

# ადამიანის უფლებები

წიგნი I

გამოხატვის თავისუფლება

შემდგენელი: ზურაბ ადეიშვილი,  
ლევან რამიშვილი და ალან მილერი

## Human Rights

Book 1

Freedom of Expression

Compiled by: Zurab Adeishvili,  
Levan Ramishvili and Alan Miller

**ადამიანის უფლებები  
გამოხატვის თავისუფლება**

შემდგენელი და იურიდიული რედაქტორი: ზურაბ ადეიშვილი  
რედაქტორი: ნანა ფრუიძე  
ყდის დიზაინი: ბესიკ დანელია

წიგნი გამოიცა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ  
ბრიტანეთის საბჭოს და ბრიტანეთის საელჩოს ხელშეწყობით.



ISBN 99928-0-707-5

The book is published by Georgian Institute for Public Affairs with the support of British Council and British Embassy in Georgia.

**Human Rights  
Freedom of Expression**

Editor: Zurab Adeishvili  
Designer: Besik Danelia

Media Law and Human Rights by Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland.  
Copyright © Blackstone Press, 2001.  
Reprinted by permission of Oxford University Press.

Cases and Materials on the European Convention on Human Rights by Alastair Mowbray.  
Copyright © Butterworth, 2001.  
Copyright permission is granted by LexisNexis.

Civil Liberties and Human Rights in England and Wales by David Feldman  
Copyright © Oxford University Press, 2002.  
Reprinted by permission of Oxford University Press.

Reprinted from First Amendment by T Daniel Shumate. Copyright © West Group, West  
Nutshell Series, 1993 with the permission of the West Group.

A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights  
Human Rights, Human Rights Handbooks, #2.  
Copyright © Council of Europe, 2002.

Copyright © British Council



# სარჩევი

## შესავალი

### კარი პირველი

ზოგადი თეორიები ფუნდამენტურ ღირებულებათა შესახებ  
თავი 1

*დევიდ ფილდმანი*

ზოგიერთი ძირითადი ღირებულება:

სამოქალაქო თავისუფლებები,

ადამიანის უფლებები და ავტონომია ..... 11

თავი 2

*თ. დენიელ შუმათი*

აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორება:

ისტორიული ექსკურსი და მეთოდოლოგია ..... 54

### კარი მეორე

ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული მექანიზმები

თავი 1

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

სტრასბურგის სასამართლო ..... 69

თავი 2

გამოხატვის თავისუფლება. გზამკვლევი ადამიანის უფლებათა

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განსახორციელებლად ..... 83

### კარი მესამე

გამოხატვის თავისუფლების კანონიერი შეზღუდვის საფუძვლები

თავი 1

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

ცილისწამება ..... 149

თავი 2

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და

კონფიდენციალური ინფორმაცია ..... 162

თავი 3

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

უხამსობა და მკრეხელობა ..... 171

თავი 4

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

რეპორტაჟები სასამართლო პროცესის შესახებ და

სასამართლოს უპატივცემულობა ..... 180

თავი 5

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

კომერციული განცხადება ..... 202

**თავი 6**

*ენდრიუ ნიკოლი, გავინ მილარი, ენდრიუ შარლანდი*

სახელმწიფო საიდუმლოება და ეროვნული უსაფრთხოება ..... 211

**კარი მეოთხე**

*ალასტაირ მოუბრეი*

ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ..... 219

**თავი 1**

ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ..... 221

ლინგენსი აესტრიის წინააღმდეგ ..... 221

კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ ..... 230

„სანდი ტაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ..... 242

პენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ..... 257

მარკტ ინტერნ ვერლაგ მბ და კლაუს

ბირმანი გერმანიის წინააღმდეგ ..... 264

ატრონიკი შვეიცარიის წინააღმდეგ ..... 270

ტოლსტოი მილოსლავესკი

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ..... 275

**კარი მეხუთე**

გამოხატვის თავისუფლება საქართველოში ..... 283

**თავი 1**

*ზურაბ ადეიშვილი*

საქართველოს კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლების შესახებ ..... 285

**თავი 2**

*ზურაბ ადეიშვილი, ლევან რამიშვილი*

სიტყვის თავისუფლებათან დაკავშირებული

სასამართლო პრაქტიკა ..... 325

ვ.კ. ნ.ჯ.-ის წინააღმდეგ ..... 327

ი.ჩ. ლ.ბ.-ის წინააღმდეგ ..... 331

თ.წ. და ს.მ.ს.ე.შ.კ.-ი ა.გ. და რ.-ს წინააღმდეგ ..... 341

შ.პ.ს. „ს.ა.“ შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ს წინააღმდეგ ..... 347

რ.კ. გაზეთ „ლ. ლუს“-ის და ქ.წ.-ის წინააღმდეგ ..... 350

დ.ა.კ.-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია თ.შ.-ის წინააღმდეგ ..... 352

ტელეკომპანია „რ“ ტელეკომპანია „ქ“-ის წინააღმდეგ ..... 355

გ.თ. ბ.ჯ.ი.-ის წინააღმდეგ ..... 357

კ.თ., ა.ჩ., ვ.დ., ზ.ვ., ნ.ი., ზ.უ. და რ.მ. გაზეთ „რ.“-ისა და

ე.ჩ.-ის წინააღმდეგ ..... 363

**დანართი**

369

# შესავალი

დემოკრატიული საზოგადოების მთავარი მახასიათებელი ხალხის მმართველობაა. საზოგადოება ვერ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, თუ მას ადეკვატური და ზუსტი ინფორმაცია არ გააჩნია. ამის მიღწევა კი თავისუფალი საჯარო დებატების გარეშე წარმოუდგენელია. პირი ვერც კონსტიტუციითა თუ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებითა და თავისუფლებებით ისარგებლებს, თუ მათ შესახებ ამომწურავ ინფორმაციას არ ფლობს. სწორედ ამიტომ, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, რომელსაც ჩვენთან სხვანაირად სიტყვის თავისუფლებაა ცნობენ, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს. სიტყვის თავისუფლება ადამიანის სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების მნიშვნელოვანი წინაპირობა და საფუძველია. ეს კიდევ უფრო ზრდის სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობას. შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების დასაცავად განსაკუთრებული გარანტიები უნდა შეიქმნას.

ნებისმიერი ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია მიდრეკილება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაკენ. ასეთ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება ყველაზე მეტად ზარალდება. სწორედ ამიტომ, რომ ტოტალიტარული სისტემები წარმოუდგენელია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.

ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში სხვა ფასეულობებთან შედარებით სიტყვის თავი-

სუფლება ყველაზე უკეთაა დაცული. ხელისუფლება აცხადებს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. ის გარემოება, რომ სიტყვის თავისუფლება, ასე თუ ისე, მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, იმით კი არ არის განპირობებული, რომ საქართველოში სახელმწიფომ ამ ინსტიტუტისათვის რეალური გარანტიები შექმნა, არამედ ხელისუფლების უუნარობით, დათრგუნოს სიტყვის თავისუფლება. თუმცაღა სიტყვის თავისუფლების დათრგუნვის სურვილი ხშირად გაისმის მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მხრიდან. პრაქტიკა ადასტურებს, რომ კონკრეტული მოხელეები მაინც ახერხებენ მედიის წარმომადგენელთა შევიწროვებას, როდესაც საკითხი მათი მუნდირის ღირსების დაცვას შეხება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ერთ ათეულ წელზე მეტს ითვლის, ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც სიტყვის თავისუფლებას რეალურ და მნიშვნელოვან გარანტიებს შეუქმნიდა. საქართველოს პარლამენტი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უშედეგოდ იხილავს კანონპროექტს „სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ“ და პირველი მოსმენის შემდეგ ამ განხილვას პროგრესი არ განუცდია. სიტუაციას სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებაც ართულებს.

შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გარდა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან არ არის გააზრებული და გათავისებული სიტყვის თავისუფლების რეალური ღირებულება. სიტყვის თავისუფლება უფრო ხშირად გა-

მოიყენება არა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატების წახალისებისთვის, არამედ ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი, სრულიად დაუსაბუთებელი და უხამსი ინფორმაციის გასავრცელებლად. ამგვარი პრაქტიკა სიტყვის თავისუფლების ფასეულობის დისკრედიტაციასა და ეროზიას იწვევს.

ამ წიგნის მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სახის საკანონმდებლო გარანტიები და სასამართლო პრაქტიკა უნდა არსებობდეს სიტყვის თავისუფლების დასაცავად.

ამ მიზნით წიგნში აღწერილია ამ ფასეულობისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება, რაც მის საკმაოდ მდიდარ სასამართლო პრაქტიკაშია ასახული. ჩვენ სიტყვის თავისუფლებისადმი ამერიკულ და ინგლისურ მიდგომებსაც შევხებით. წიგნში ასევე მოცემულია წამყვანი ფილოსოფიური დოქტრინები სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მასალა თარგმნილია დასავლეთევროპულ და ამერიკელ წამყვან ავტორთა ნაშრომებიდან.

საქართველო ევროპის საბჭოს წევრია 1999 წლიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული, ევროპული სტანდარტების დაცვა საქართველოსთვის სავალდებულოა. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია საქართველოს კანონმდებლობის მიმართ, რაც საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის კონვენციასთან შესაბამისობის აუცილებლო-

ბას წარმოშობს. სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გამოხატვის თავისუფლების სფეროში საკმაოდ ცუდად იცნობენ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე საჭირო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები თითქმის არ არსებობს. ამას ისიც ემატება, რომ უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში ეს საკითხი სათანადო ინტენსივობით არ ისწავლება. წინამდებარე კრებულის მიზანი ამ ხარვეზის შევსებაცაა.

წიგნში ასევე მიმოვიხილავთ საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას. ეს საზოგადოებას საშუალებას მისცემს, შეადაროს თანამედროვე ევროპული თუ ამერიკული მიდგომები და ქართული რეალობა.

დასასრულ, გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ საქართველოში ბრიტანეთის საელჩოსა და ბრიტანეთის საბჭოს მიმართ, რომელთა თანადგომის გარეშე ამ წიგნის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

**ზურაბ ადეიშვილი**

*საქართველოს პარლამენტის წევრი,*

*იუსტიციის საბჭოს წევრი*

# კარი კირველი

ზოგადი თეორიები  
ფუნდამენტურ  
ღირებულებათა შესახებ





# თავი I

## **ზოგიერთი ძირითადი ღირებულება: სამოქალაქო თავისუფლებები, ადამიანის უფლებები და ავტონომია<sup>1</sup>**

სამოქალაქო თავისუფლებისათვის ბრძოლა თავისთავად გულისხმობს, რომ თავისუფლებას აქვს ის ღირებულება, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა. ერთი შეხედვით ის უდავო ჭეშმარიტებაა, რომ თავისუფალ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი უფრო ბედნიერია მასზე, ვისაც ნაკლებად ლიბერალურ პირობებში უწევს ცხოვრება, მაინც პრობლემურ საკითხად გვესახება. სამოქალაქო თავისუფლებების შესწავლა იწყება იმის განსაზღვრით, თუ როგორ შეიძლება განიმარტოს თავისუფლება, რა თვალსაზრისით შეიძლება იყოს ადამიანი თავისუფალი ან შეზღუდული და რის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფლება იმ სიკეთედ, რომლის მისაღწევადაც უნდა იღვწოდეს პიროვნება თუ საზოგადოება. არის თუ არა თავისუფალი არჩევანისა და ქმედების უფლება სიკეთე თავისთავად, როგორც ამას ზოგიერთი ლიბერალი ინდივიდუალისტი ამტკიცებს? თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ უნდა შევზღუდოთ სახელმწიფოს პიროვნულ ავტონომიაში ჩარევის ძალაუფლება, ამასთან მაშინაც, როდესაც კოლექტიური მიზნების მისაღწევად წარმოებს ბრძოლა. მოაქვს თუ არა ინდივიდუალურ თავისუფლებას უდიდესი სიკეთე, როგორც ამას უტილიტარისტი ლიბერალები ამტკიცებენ? და თუ მოაქვს, ნიშნავს კი ეს იმას, რომ შესაძლებელია კანონიერად შეიზღუდოს თავისუფლება, რათა უპირატესობა შეუნარჩუნდეთ მათ, ვისაც მეტი სარგებელი აქვს, ეს სარგებელი კი თავისუფლების გამოყენებიდან გამომდინარეობს?

---

1 David Feldman, *Civil Liberties and Human Rights in England and Wales*, Oxford University Press, 2002 (თავი I, იხეჭდება შემოკლებით).

ყოველივე ზემოთქმულს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იურისტებისა და პოლიტიკოსებისათვის, რამდენადაც იგი გავლენას ახდენს როგორც უფლებათა იმ სპექტრზე, რომელსაც საზოგადოება თავისი წევრებისათვის აღიარებს, ასევე იმ პრინციპებზე, რომელთა მიხედვითაც დგინდება უფლებათა ფარგლები, როდესაც ეს უფლებები სხვა უფლებებთან ან მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის. საზოგადოებრივი ინტერესის ამგვარი საგანი შეიძლება იყოს, მაგალითად, შიმშილობის აღმოფხვრა ან დემოკრატიის შენარჩუნება. უფლებათა ფარგლები და მათი დაცვის ზოგიერთი მეთოდი ყოველთვის არ არის სხვა ღირებულებებთან შეთავსებადი. რიგი ძირეული საკითხების გასარკვევად ამ თავში განხილულია სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების ფილოსოფიური საფუძველი, ასევე, კავშირი უფლებათა მოდელს, დემოკრატიის მოდელსა და კონსტიტუციურ სტრუქტურებს შორის. ამით აიხსნება ის პოზიცია, რომლიდანაც ნიგნის დანარჩენ ნაწილში კონკრეტულ უფლებათა და თავისუფლებათა განხილვა ხდება.

### 1.1. თავისუფლება, თავისუფლებები, სამოქალაქო თავისუფლებები, ფუნდამენტური თავისუფლებები და ადამიანის უფლებები

პროფესორების — ქეთ ვეინგისა და ქონორ გირთის — შენიშვნის თანახმად, ამ ნიგნის პირველმა გამოცემამ ვერ მოახერხა „იმის განმარტება, თუ სად მთავრდება ადამიანის უფლებები და სად იწყება სამოქალაქო თავისუფლებები“.<sup>2</sup> უნდა განვასხვავოთ ხუთი ცნება: თავისუფლება, თავისუფლებები, სამოქალაქო თავისუფლებები, ფუნდამენტური თავისუფლებები და ადამიანის უფლებები. ის შეხედულება, რომ „თავისუფლება“ ადამიანისათვის კარგია, პოლიტიკური ლიბერალიზმის საფუძველს წარმოადგენს. თავისუფლება, მისი პირველადი და ზოგადი მნიშვნელობით, გულისხმობს ადამიანის არჩევანისა და ქმედების თავისუფლებაში ჩაურევლობას. იგი იცავს პიროვნების ავტონომიას, მაგრამ არასოდეს არის აბსოლუტური, რამდენადაც, ჩარევისაგან

---

2 K. D. Eving and C. A. Greaty, *The Struggle for Civil Liberties: Political Freedom and the Rule of Law in Britain, 1914-1945* (Oxford: Oxford University Press, 2000), 3.

დაცვა მხოლოდ მაშინაა ღირებული, როდესაც არსებობენ ადამიანის უფლებებში ჩარევის პოტენციური მსურველები, რომელთაც, თავის მხრივ, გარკვეული თავისუფლებები აქვთ და სხვათა თავისუფლებების შეზღუდვა შეუძლიათ. გარდა ამისა, შეცდომა იქნება, თუ ავტონომიის ღირებულებას გადაჭარბებით შევაფასებთ. ავტონომიურ პიროვნებას ახასიათებს შემდეგი თვისებები: აზროვნების ჩვევა, თვითნაალიზი და სოციალურ საკითხებში გარკვეულობა, რაც მას საშუალებას აძლევს დაგეგმოს და გააცნობიეროს თავისი გავლენა უახლოესი სოციალური ჯგუფის ყველა წევრზე. იმდენად, რამდენადაც ეს ღირსებასთანაა დაკავშირებული, ადამიანის მიერ საკუთარი ავტონომიის გამოყენება ხელს უწყობს ღირსების, საკუთარი თავისა და თანასწორთა მიმართ პატივისცემის გრძნობის გავლევას.

იმისათვის, რომ თავისუფლებასთან დაკავშირებული კონფლიქტი გადაიჭრას, ადამიანის თავისუფლება უნდა უზრუნველყოს კანონმა ან სოციალური რეგულირების რომელიმე სხვა ფორმამ. როდესაც სახელმწიფო კისრულობს ამგვარ პასუხისმგებლობას, მისი ამოცანაა, ჩამოაყალიბოს თავისუფლების განსაკუთრებულად ღირებული ასპექტები და განსაზღვროს ისინი, როგორც თავისუფლების ან „თავისუფლებათა“ ცალკეული სფეროები. ეს სფეროები მრავალი მიზეზის გამო შეიძლება იყოს განსაკუთრებით ღირებული: ზოგჯერ ისინი განაპირობებენ ადამიანის ფიზიკურ თუ მორალურ ხელშეუხებლობას, ან მათ ძალადობისა და იძულებითი ექსპერიმენტებისაგან იცავენ. სხვა თავისუფლებები იცავს ადამიანის ღირსებას, ავითარებს და აძლიერებს დემოკრატიულ ღირებულებებს, ხელს უწყობს სახელმწიფოს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, ანიჭებს პირს ამა თუ იმ გაერთიანების შექმნის ან მასში განევრიანების შესაძლებლობას და ა.შ.

თავისუფლებათა დიფერენციაცია საშუალებას გვაძლევს შევადაროთ მათი ღირებულება და გავუნონასწოროთ ისინი ერთმანეთს ან საზოგადოებრივ ინტერესს, რომელმაც, შესაძლოა, გაამართლოს თავისუფლებებში ჩარევა. შესაძლებელია სახელმწიფოს არ ჰქონდეს თავისუფლებათა ამგვარი დიფერენციაციის მუდმივი აუცილებლობა. მაგალითად, ტრადიციული დამოკიდებულება დიდ ბრიტანეთში თავისუფლებას განუყოფელ მთლიანობად მოიაზრებს, რითაც სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში, პარლამენტს) საკმაოდ ფართო და თავისუფალი არჩევანი ექმნება იმისათვის, რომ გადაწყვიტოს, თუ როგორ გაუნონასწოროს თავისუფლებათა ასპექტები ერთმანეთს ან საზოგადოებრივ ინტერესს

სხვადასხვა გარემოებებში. ხოლო როდესაც თავისუფლებები ერთმანეთისაგან გამიჯნულია, ჩნდება მათ შორის წამოჭრილი კონფლიქტის უფრო პრინციპული გადაწყვეტის შესაძლებლობა.

არ არსებობს სამოქალაქო თავისუფლებათა სხვა თავისუფლებათაგან გამიჯვნის შეთანხმებული ხერხი, მაგრამ სიტყვა „სამოქალაქო“ გულისხმობს იმ როლს, რასაც თავისუფლება ასრულებს სამოქალაქო საზოგადოებაში პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პროცესში. სამოქალაქო თავისუფლებებით პიროვნება სარგებლობს არა უბრალოდ იმიტომ, რომ ის ამ საზოგადოების წევრია, არამედ სახელმწიფოს მოქალაქეობის ინსტიტუტის საფუძველზე. „თავისუფლება“ პიროვნებას აძლევს შესაძლებლობას, რომ მან, როგორც მოქალაქემ, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. ასეთია, მაგალითად, პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლება. თავისუფლება მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის ისეთი ურთიერთობის განსასაზღვრად, როგორცაა მიკერძოების ან დისკრიმინაციის აკრძალვა. ორივე შემთხვევაში სამოქალაქო თავისუფლების განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი სახელმწიფოს მიიჩნევა ვალდებულიად, რომ დაიცვას იგი როგორც პოლიტიკური მორალის, ისე კანონის თვალსაზრისით ჩარევისაგან.

ყოველივე ეს სცდება მარტივ თავისუფლებათა ზღვარს, რაც, ძირითადად, უფლებებში ჩაურევლობას, ან, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, „ნეგატიურ უფლებებს“ გულისხმობს. სამოქალაქო უფლებები სახელმწიფოს იმ პოზიტიურ ვალდებულებასაც აკისრებს, რომ პიროვნებას მისი თავისუფლების დაცვასა და გამოყენებაში დაეხმაროს. ამგვარად, ეს უფლებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოზიტიური უფლებები, ანუ მოქალაქეთაგან სახელმწიფოს დახმარების მოლოდინი. სახელმწიფოს ამგვარი ვალდებულებების ხასიათი და მოცულობა ცვალებადია. იქ, სადაც ამ მოვალეობებს ჩვეულებრივზე მეტი ძალა აქვთ, თავისუფლებას შეიძლება ეწოდოს „ფუნდამენტური“, ხოლო სადაც სახელმწიფოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ზოგიერთი თავისუფლების განსაკუთრებულ სტატუსს, საქმე გვაქვს კონსტიტუციურ თავისუფლებებთან ან უფლებებთან.

ტერმინი „ადამიანის უფლებები“ აქ გამოიყენება მისი ტექნიკური მნიშვნელობით. ამ ტერმინის გამოყენება შესაძლებელია იმ უფლებათა აღსანიშნად, რომლებიც ადამიანებს მხოლოდ იმიტომ აქვთ, რომ ისინი საზოგადოების წევრები არიან. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა

განგვეხილა, თუ რა ხელშეუხებელი უფლებებით სარგებლობენ ადამიანები, როგორც საზოგადოების წევრები<sup>3</sup> ამის თავიდან ასაცილებლად. „ადამიანის უფლებები“ განიხილება, როგორც იურიდიული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანის უფლებების საერთაშორისო შეთანხმებებში გათვალისწინებულ უფლებებს. განსაკუთრებით ეს ეხება II მსოფლიო ომის შემდეგ დადებულ შეთანხმებებს. ამგვარმა შეთანხმებებმა სახელმწიფოებს საერთაშორისო საჯარო სამართლის ფარგლებში იურიდიული ვალდებულებები დააკისრა: ყველასათვის, ვინც მათ იურისდიქციას ექვემდებარება, გარკვეული უფლებები გამოეყონ. ეს უფლებები შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური; შესაძლოა სცდებოდეს სამოქალაქო თავისუფლებათა მიზნებს, მაგრამ არ უნდა იყოს მათზე ნაკლები, რამდენადაც ისინი არა მხოლოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს, არამედ მის იურისდიქციაში მყოფ ყველა პირს ეხება.

## 1.2. თავისუფლების, როგორც სიკეთის, იდეა

რამდენადაც სამოქალაქო თავისუფლებათა მთლიანი სტრუქტურა იმთავითვე გულისხმობს, რომ თავისუფლება დაცული უნდა იყოს, უპრიანია, მოკლედ განვიხილოთ ორი საკითხი. პირველი: რამ და რატომ განაპირობა თავისუფლების სიკეთედ აღიარება? მეორე: რა სახის პოზიტიური უფლებებია საჭირო, რათა დავიცვათ ნებისმიერი თავისუფლება, რომელიც დაცვას საჭიროებს?

### რატომ არის თავისუფლება სიკეთე?

აქ წამოიჭრა ორი შეკითხვა; პირველი: არის თუ არა თავისუფლება ზოგადად ან კონკრეტული თავისუფლება სიკეთე თავისთავად, თუ მისი ღირებულება შემდგომი სიკეთის მოტანის უნარიდან გამომდინარეობს? ამ ალტერნატივებს შეიძლება დეონტოლოგიური და ტელეოლოგიური მიდგომები ვუწოდოთ. დეონტოლოგიური მიდგომა ეძიებს გზებს, რათა ახსნას თავისუფლება, როგორც მოვლენა, რომელიც სი-

---

3 იხ. მაგ: C.S. Nino, *The Ethics of Human Rights* (Oxford: Clarendon Press, 1991, Chs 1 and 5).

კეთა იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას შემდგომი სიკეთის მოტანა. ტელეოლოგიური მიდგომა თავისუფლების ღირებულებას იმ სამომავლო სიკეთესთან აკავშირებს, რომელიც თავისუფლების განცდას მოსდევს. თანახმად ჯონ სტიუარტ მილის თეორიისა თავისუფლების უტილიტარული დაცვის შესახებ,<sup>4</sup> ან რობერტო უნგერის კრიტიკული სოციალური თეორიისა,<sup>5</sup> ამგვარ თავისუფლებას სარგებელი მოაქვს მთლიანად საზოგადოებისათვის. ჰმესაძლებელია, ეს იყოს აგრეთვე ცალკეული პიროვნების ან ჯგუფის პრივილეგია, როგორცაა, მაგალითად, უმცირესობათა უფლება, ისარგებლონ თავიანთი რელიგიური მოძღვრებით. ტელეოლოგიური მსჯელობის თანახმად, სიკეთე შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისგან შემდგომ განვითარებას მოელიან. მეორეს მხრივ, დეონტოლოგიური თეორიის თანახმად, როგორც კი რაიმეს სიკეთის სტატუსი მიენიჭება, თავისთავად ცხადია, სასურველი შედეგების განხილვისა და დიფერენცირების გარეშე, იგი ყველასათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

როდესაც უფლებებისა და თავისუფლებათა ღირებულების განსაზღვრას ვახდენთ, საკითხავია, რა უნდა იყოს ამოსავალი — მათ მხოლოდ კონკრეტული ადამიანისთვის უნდა მოჰქონდეთ სარგებლობა თუ მთელი საზოგადოებისათვის? ჩვეულებრივ, თავისუფლებებსა და უფლებებს ინდივიდუალისტები მხარს უჭერდნენ, სოციალისტები კი — ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი არსებობა სოციალური მიზნების მიღწევას უშლიდა ხელს. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, უფლებები პოტენციურად კონფლიქტურ ინტერესებს შორის ბალანსს წარმოადგენს, რომელთაგან ზოგი ინდივიდუალურია, ზოგი კი — სოციალური.

სიტუაციას გავამარტივებთ, თუ უფლებებსა და თავისუფლებებს სოციალურ შრეს მოვაცილებთ და განვიხილავთ მათ მხოლოდ როგორც პიროვნების ინტერესების დაცვის ინსტრუმენტებს. სანამ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად კანონი გამოიცემა, სახელმწიფო და საზოგადოება ზრუნავს არა იმდენად კონკრეტული პირის კეთილდღეობაზე, რამდენადაც მთელი საზოგადოების ინტერესებს იცავს. იმისათვის, რომ რომელიმე პიროვნებამ თავისი უფლებები განა-

4 J.S. Mill, On Liberty, in M. Warnock (ed), Utilitarianism (London: Fontana, 1962)

5 R.M. Unger, Law and Modern Society: Toward a Criticism of Social Theory (New York: Free Press, 1976), R.M. Unger 'The Critical Legal Studies Movement', W. Ewald, 'Unger's Philosophy: A Critical Legal Study.

ხორციელოს, აუცილებელია, რომ სხვა ინდივიდმა ან ზოგადად საზოგადოებამ სათანადო ხარჯი გასწიოს. ამიტომ საზოგადოებისათვის მომგებიანია, მეტი ფასი დაადოს თავისუფლებებითა და უფლებებით სარგებლობის იმ ფორმებს, რომლებსაც მეტი სოციალური სარგებელი მოაქვს ან რომელთა დაცვასაც საზოგადოების მხრიდან მინიმალური ხარჯი სჭირდება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან (პრაივესისთან) დაკავშირებულ უფლებებსაც კი, რომლებიც, ერთი შეხედვით, სრულიად ინდივიდუალურია, აქვთ გარკვეული სოციალური სარგებელი, რაც სოციალური ურთიერთობებისა და ოჯახური ცხოვრების შესაძლებლობაში გამოიხატება. ისინი შეიძლება შეიზღუდოს სხვა სოციალური სარგებლის დასაცავად, როგორც ეს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-8 მუხლშია მოცემული.

ეს არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალური ინტერესები თავისუფლებებისა და უფლებების დაცვის გამართლებისას მნიშვნელოვანი არ არის. ბევრი ლიბერალი თეორეტიკოსისათვის ლიბერალიზმი წარმოადგენს იმის ფუნდამენტურ რწმენას, რომ ადამიანის მიერ სიკეთის პირადი კონცეფციის აღმოჩენა და მისი განხორციელებისაკენ სწრაფვა არის სიცოცხლის უმაღლესი მიზანი. სიკეთის ინდივიდუალური კონცეფციისადმი პატივისცემას მაქსიმუმამდე აჰყავს თითოეული ინდივიდის მორალური ავტონომია. ადამიანის თავისუფლება — ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი რომელიმე სიკეთის შესახებ და იმოქმედოს საკუთარი მრწამსის მიხედვით — შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სხვა ადამიანთა ასეთივე თავისუფლებების დაცვისა და იმგვარი საზოგადოების შენარჩუნების მიზნით, რომელშიც ამგვარი არჩევანის გაკეთება არის შესაძლებელი. კანონმა, როგორც მინიმუმში, უნდა დაიცვას ის ძირითადი თავისუფლებები, რომლებიც სოციალურად მისაღები ცხოვრებისეული გეგმის განსახორციელებლად არის აუცილებელი. ეს დამოკიდებულება შეიმუშავა ჯონ როულზმა თავის ნაშრომში — *სამართლიანობის თეორია*<sup>6</sup>. იგი ამტკიცებს, რომ ფუნდა-

---

6 J. Rawls, *A theory of Justice*, revised edn (Oxford: Clarendon Press, 1999), 78-81, 112-118, 358-365. ამ იდეას უკავშირდება ის აზრი, რომ ადამიანის მიერ სიკეთის არჩევა არის, ან უნდა იყოს საკუთარი თავის გაუმჯობესების გზების ძიება და თვითრეალიზაცია, რაც წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლებისა და არჩევანის დაცვისაკენ სწრაფვის განსაკუთრებული მორალური გამართლების საფუძველს. როულზმა ეს დაუდო საფუძვლად იმ ფსიქოლოგიას, რომელსაც მისი თეორია ემყარება. იგი მიმართავს არისტოტელესეულ პრინციპს: *ibid.*, 372-380. თუმცა, როგორც ნახავთ, ეს არ არის ლიბერალური თეორიის აუცილებელი ნაწილი.

მენტურ თავისუფლებებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურ სიკეთესთან (როგორცაა ეკონომიკური განვითარება) შედარებით და შესაძლოა, კონსტიტუციური სტატუსიც კი მიენიჭოს, რაც მათ პოლიტიკური დაპირისპირებებით განპირობებული ხშირი და უხეში ხელყოფისაგან დაიცავს.<sup>7</sup>

ინდივიდუალური არჩევანის უმაღლეს ადამიანურ სიკეთედ მიჩნევა და თავისუფლების სხვა ღირებულებებზე მაღლა მისი დაყენება ძალზე საკამათო იდებია. სოციალისტი და კომუნისტარი თეორეტიკოსები უარყოფენ ნებისმიერ თეორიას, რომელიც პიროვნებასა და მის არჩევანს რაიმე ფორმით საზოგადოებისაგან განცალკევებით განიხილავს. ადამიანთა ღირებულებებსა და არჩევანს საზოგადოება განაპირობებს, ხოლო ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს თავისუფალი, თუ მის თავისუფლებას საზოგადოება უზრუნველყოფს.<sup>8</sup> ამდენად, კომუნისტარები უარყოფენ თავისუფლების პრიორიტეტულობას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ იმგვარ მიდგომას, რომელიც ინდივიდუალურ ავტონომიას სოციალურ სიკეთეზე მაღლა აყენებს. თუმცა, ლიბერალიზმის როულზისეული ფორმის წინააღმდეგ ეს ღირებულ არგუმენტს არ წარმოადგენს, რამდენადაც როულზის ნაშრომები გულისხმობს იმას, რომ თავისუფლების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური თანამშრომლობის მეშვეობით, ხოლო თავისუფლების პრიორიტეტი საჭიროებს გამართლებას სოციალური პირობების გათვალისწინებით.<sup>9</sup> სწორედ ამ მიზეზით, საზოგადოებაში თავისუფლების თანაბრად განაწილებას როულზი სოციალური სამართლიანობის ძირითად ელემენტად, თავად საზოგადოებას კი „დროში სამართლიანი თანამშრომლობის სისტემად“<sup>10</sup> მიიჩნევს. სხვაობა როულზსა და კომუნისტარისმს შორის ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვაობა ორივე მათგანსა და

---

7 ეს ამყარებს იმ აზრს, რომ უფლება არის „იარაღი“, რომელიც კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში გააბათილებს სხვა ინტერესებს, თუკი ისინი არ წარმოადგენენ უფლებას. რ. დვორკინი, *აღვიქვით უფლებები სერიოზულად* (ლონდონი, დაქუორთი, 1976), თავი 7.

8 S. Mulhall and A. Swift, *Liberals and Communitarians* (Oxford: Basil Blackwell, 1993), 13-18.

9 J. Rawls, *Political Liberalism* (New York: Columbia University Press, 1993), 320-323.

10 J. Rawls, *Political Liberalism*, 15 R. Alejandro, *Rawls's Communitarianism* (1993) *Canadian Journal of Philosophy* 75-100.



ინდივიდუალისტ ლიბერტარებს შორის (მაგ.: რობერტ ნოზიკი, რომელიც სოციალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ავტონომიისათვის დაქვემდებარებას ქადაგებს). ჰ.ლ.ა. ჰარტი ამტკიცებდა, რომ ძირითადი თავისუფლებების უპირატესობის აღიარება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების წინაშე (განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც რესურსები შეზღუდულია) რაციონალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი საზოგადოებრივი სულის მქონე მოქალაქის იმ მოდელს გაითავისებს, რომელიც უმაღლეს ღირებულებად პოლიტიკურ საქმიანობასა და სამსახურს მიიჩნევს და მათ ცხოვრების უმაღლეს სიკეთეთა შორის მიუჩენს ადგილს. ჰარტს მიუღებლად მიაჩნია ამ ღირებულებათა გაცვლა უბრალოდ მატერიალურ სიკეთესა თუ შესაძლო კმაყოფაში.<sup>11</sup> ნაშრომში *პოლიტიკური ლიბერალიზმი* როულზი განმარტავს, რომ თავისუფალი მოქალაქის ნება, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას საზოგადოებრივ სიკეთეს დაუმორჩილოს პირადი ინტერესები, პოლიტიკური არჩევანია და არა შეხედულება ადამიანის ბუნების შესახებ, თუმცა მართებული იქნებოდა, რომ ადამიანები სწორედ ასე იქცეოდნენ.

პროფესორი ჯოზეფ რაცი თავის ნაშრომში *თავისუფლების მორალურობა*<sup>12</sup> ამტკიცებს, რომ ავტონომიური მორალური პირის მიერ საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება ნაწილობრივ არის ღირებული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სოციალურ სიკეთეს აძლიერებს. გამოხატვის თავისუფლების, პიროვნების ხელშეუხებლობის, რელიგიური თავისუფლებისა და სხვა ამგვარი „ინდივიდუალური ინტერესების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ შემთხვევაში, რამდენადაც ეს საზოგადო კულტურის ასპექტს წარმოადგენს, პიროვნება კოლექტიური სიკეთის დაცვასაც ახორციელებს“.<sup>13</sup> თავისუფლება მაშინაა ღირებული, თუკი მას, ამავე დროს, გარკვეული სოციალური სიკეთის მოტანაც შეუძლია. თავისუფლება სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების სოცია-

---

11 H. L. A. Hart, 'Rawls on Liberty and its Priority' in N. Daniels (ed), *Reading Rawls: Critical Studies of A Theory of Justice* (Oxford: Basil Blackwell, 1975) 230-52 at 252 (reproduced in H.L.A. Hart, *Essay in Jurisprudence and Philosophy* (Oxford: Clarendon Press, 1983) 223-247.

12 Oxford, Clarendon Press, 1986.

13 *Ibid.*, 256.

ლური და ეკონომიკური სტრუქტურა საკმარისად ფართო არჩევანს ქმნის და ადამიანის არჩევანის უნარს განხორციელების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, თავისუფლება დანახულია როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური სიკეთე.<sup>14</sup> რაცის თანახმად, ცალკეული პიროვნებებისათვის ავტონომიის მინიჭება მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს პიროვნების კეთილდღეობას, როდესაც იგი ადამიანს ობიექტურად ღირებული და არჩევანის ღირსი მისწრაფებების განხორციელებაში ეხმარება.<sup>15</sup> ეს გარკვეულწილად ზღუდავს ნებადართული თავისუფლებების სპექტრს და იმ მიზნებს, რომელთაც მორალურად შეესაბამება ისინი: თავისუფლების კონსტიტუციური უფლებად ქცევის გადანყვებილება საზოგადოების კოლექტიური პოლიტიკური კულტურის გამოვლინებაა. კოლექტიურად მოქმედმა ინდივიდებმა სოციალური ვალდებულება უნდა შეინარჩუნონ ინდივიდუალური არჩევანის მორალური მნიშვნელოვნების იდეის წინაშე, თუკი ამ არჩევანს მორალური ღირებულება გააჩნია. არჩევანის ინდივიდუალური თავისუფლება სოციალური ნყობაზეა დამოკიდებული.

რწმენა იმისა, რომ ადამიანი არის სოციალური ინდივიდი და რომ სოციალურობაცა და ინდივიდუალურობაც მისი დამახასიათებელი უმთავრესი თვისებებია, საბოლოო ჯამში წარმოადგენს დეონტოლოგიურ მიდგომას. თუმცა, ამგვარი რწმენა, როგორც მეტ-ნაკლებად რაციონალური, შესაძლოა, ობიექტურად შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება იგი ადამიანთა თვალნათლივ საქციელსა და ფსიქოლოგიას. პროფესორი ჯონ ფინისი იძლევა ამ დებულების თვალსაჩინო მაგალითს. კაცობრიობის შესახებ თავის შეხედულებას იგი ორ პრინციპზე დაყრდნობით ასაბუთებს: პირველი — რომ ადამიანის მისწრაფებათა გარკვეული ობიექტები შკარა, თავისთავად სიკეთეს წარმოადგენს და მათი არჩევა მხოლოდ სუბიექტური შეხედულებების გათვალისწინებით არ ხდება; და მეორე — რომ ერთ-ერთი ამ აშკარა სიკეთეთაგანი პრაქტიკული მიზანშეწონილობაა, რომელიც ადამიანს სხვა ასეთივე აშკარა სიკეთეების შეცნობაში ეხმარება.<sup>16</sup>

---

14 Ibid., 255-60.

15 J. Raz, *Ethics in the Public Domain: Essay in the Morality of Law and Politics* (Oxford: Clarendon Press, 1994) 104-105.

16 J. Finnis, *Natural Law and Natural Rights* (Oxford: Clarendon Press, 1980) 3, 4, 5.

უტილიტარიზმი, ბედნიერების მაქსიმიზაციის (თუ ტკივილის მინიმიზაციის) ვითომდა მეცნიერული პრინციპის მიღებით, ერთი შეხედვით, თავს არიდებს დეონტოლოგიას<sup>17</sup> ჯონ სტიუარტ მილმა თავისუფლების განმარტებისას ივარაუდა, რომ თავისუფლებას შეუძლია გვაზიაროს სამყაროს ხედვის ახალ გზებს და ცენზურაზე უფრო ეფექტურად და სწრაფად მიგვიყვანოს უკეთშეცნობილ და უკეთმოწყობილ მსოფლიომდე. ამდენად, აზროვნებისა და გამოსატყვის თავისუფლება უპირატესია და, შესაბამისად, გარკვეული შეზღუდვების დანესება შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავისუფლება დავიცვათ იმგვარი გამოყენებისაგან, რომელიც ზიანს მიაყენებს სხვა ადამიანებს.<sup>18</sup> თუმცა, უპირატესობათა და არახელსაყრელ გარემოებათა შეფასების ეს მეთოდი გარკვეულ ჰიპოთეზებზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ყველა ინდივიდი მეტ-ნაკლებად მსგავსია, ერთნაირად შეიგრძნობს სიამოვნებასა და ტკივილს და მათი რეაქციაც თანაფარდია. ეს იდეა ბენტჰემმა მაქსიმას სახით გამოთქვა: ყველა ადამიანი უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ერთად და არავინ უნდა ჩაითვალოს ერთზე მეტად.<sup>19</sup> ეს ფუნდამენტური იდეაა როგორც დემოკრატიული, ისე უტილიტარული თეორიებისათვის, მაგრამ იგი ასახავს ღირებულების შესახებ მსჯელობას, რომელიც არ შეიძლება მეცნიერულად შემონდგეს და ემყარება მეტაფიზიკურ დებულებებს. ქმილის კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, თუკი ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებას მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს, მაშინ იგი უფრო ღირებულია, ვიდრე კონკრეტული პირისთვის ამ ფაქტების გამოაშკარავებით მიყენებული მორალური ტრავმა; სარგებელი, რომელიც ცოდნას შეიძლება მოჰყვეს, უფრო დიდია, ვიდრე შეურაცხყოფით მიყენებული ტკივილი და უფრო ნაკლებია, ვიდრე ფიზიკური ზიანით გამოწვეული ტანჯვა. ყოველგვარი მსგავსი მსჯელობა კვლავ მხოლოდ რწმენის დონეზე რჩება და მოკლებულია სხვა რომელიმე ღირებულებიდან გამომდინარე ლოგიკურ საფუძველს, რომელიც შეიძლება და, ამდენად, მას სამართლიანად ეწოდება დეონტოლოგიური. ხოლო ნებისმიერი ტელეოლოგიური განმარტების უკან დეონტოლოგიური რწმენა დგას.

17 J. S. Mill, On Liberty, ch 4 in Marnock (ed), Utilitarianism (London: Fontana, 1962), 126-250 205-225.

18 J. Bentham, Intorduction to Constitutional Code, in J. Bowring (ed), Works of Jeremy Bentham (Edinburgh: William Tait, 1843), ix. 5-8; J. S. Mill, Utilitarianism, in Marnock (ed), 251-321, 319.

რწმენათა სპექტრი, რომელიც წარმატებით გამოიყენება უფლებათა და თავისუფლებათა განმარტებისათვის, რაცის დებულების საფუძველს წამოადგენს: რწმენა იმისა, რომ სოციუმის შიგნით ნებისა და ქმედების თავისუფლება ადამიანთა ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია. იმისათვის, რომ პატივი ვცეთ გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და ქმედების ერთმანეთის უნარს, ჩვენ უნდა მოგვეცეს სხვადასხვა იდეებითა და მიზნებით ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობა, რათა ჩვენთვის სასურველი მიზნები შევარჩიოთ და მათი მიღწევის საუკეთესო გზების დავსახოთ, მიღებული გადანყვეტილება კი სისრულეში მოვიყვანოთ. ამგვარი შეხედულების შემთხვევაში თავისუფლება არსებითია; თავისუფლება სიკეთეა ყველასათვის, რადგანაც მისი ღირებულება, არა მარტო სოციალური მნიშვნელობიდან, არამედ ინდივიდუალურ ავტონომიაში წვლილის შეტანიდანაც გამომდინარეობს.<sup>19</sup>

### რა სახის უფლებები და თავისუფლებები იგულისხმება ამ კონცეფციაში?

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ავტონომიის იდეა სხვათა ჩარევისაგან ადამიანის თავისუფლებას გულისხმობს. თუ ეს ასეა, საკმარისი უნდა იყოს ჩაურევლობის უფლება (თავისუფლება), რაც ამავედროულად გამორიცხავს სხვებისაგან დახმარების მოლოდინის ან მათთვის რაიმე პოზიტიური ვალდებულების დაკისრების უფლებას (რასაც, ჰომფელდის მიხედვით, „უფლება-განაცხადი“ შეიძლება ვუწოდოთ).<sup>20</sup> მაგრამ ჩაურევლობის უფლება ორი მიზეზის გამო არ წარმოადგენს საკუთარი

---

19 იხ.: J. Rawls, *Theory of Justice*; J. Raz, *Morality of Freedom*; R. Nozick, *Anarchy, State and Utopia* (Oxford: Basil Blackwell, 1974); Sir Isaiah Berlin, *Four Essays on Liberty* (Oxford: Clarendon Press, 1969), 121-31. ეს მიდგომა განსხვავებულია ც. კუკატასისა და პ. პეტიტის მიდგომებისაგან, როულზი, *სამართლიანობის თეორია და მისი კრიტიკა* (კემბრიჯი, პოლითი პრესი, 1990), რომლებიც ამტკიცებენ, რომ თემის სოლიდარობას გააჩნია ღირებულება იმდენად, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანია ინდივიდებისათვის და, ამდენად, შეუძლია გადანაწილოს სხვა ინდივიდუალური სიკეთეები და არ იყოს უბრალოდ მორალურ ღირებულებათა დამოუკიდებელი წყარო.

20 W. N. Hohfeld, *Fundamental Legal Conceptions as Applied in Judicial Reasoning* (New Haven, Conn: Yale University Press, 1923).

ავტონომიის განხორციელებისათვის საჭირო ყველა პირობის გარანტიას. პირველი: გასაჭირში მყოფ ზოგიერთ ადამიანს საკუთარი ავტონომიის განსახორციელებლად დახმარება სჭირდება. საზოგადოება პასუხისმგებელია იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც არ შესწევთ უნარი, საკუთარი რესურსებით იცხოვრონ ისე, როგორც ამას სრული მორალური ავტონომიის თეორია გულისხმობს. ეს პასუხისმგებლობა, ვთქვათ, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების ან მოზრდილების წინაშე აღებულ ვალდებულებებშია გამოვლენილი. ასეთ ადამიანებს გააჩნიათ უფლება-განაცხადი, რომელიც ფოკუსირებულია იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სხვა ადამიანებს უფლებათა მქონესათვის და რისი გაკეთება შეუძლიათ უფლებათა მქონეთ საკუთარი თავისათვის. მეორე: — სრულებით კომპეტენტურ, ზრდასრულ ადამიანებსაც შეიძლება ჰქონდეთ სრული თავისუფლება იმისაგან, რომ ვინმე პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის მათ ნებაში ჩაერიოს, მაგრამ შესაძლოა ეს თავისუფლება ეფექტურად ვერ გამოიყენონ, თუ საზოგადოება მათ საკომუნიკაციო სისტემებითა და პოლიტიკური ორგანიზაციით არ უზრუნველყოფს. პრაქტიკაში ადამიანის თავისუფლების რეალური ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ალიარებს საზოგადოება თავის პასუხისმგებლობას, რომ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურა, რომელიც საშუალებას მისცემს ინდივიდს, მონაწილეობა მიიღოს და მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი არჩევანის უფლება. ავტონომია უსარგებლოა, თუ ადამიანს არა აქვს ავტონომიური მორალური დასკვნების შესაბამისად ცხოვრების შესაძლებლობა.<sup>21</sup>

მეთოდი, რომლითაც საზოგადოება არჩევს და ანონასწორებს უფლება-განაცხადსა და ნეგატიურ თავისუფლებებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ინდივიდუალიზმსა და კოლექტიურ პასუხისმგებლობას დომინანტურ პოლიტიკურ კულტურაში. თუ აქცენტი ინდივიდუალურ ავტონომიაზე კეთდება, წარმოიშვება მხოლოდ ის გარანტირებული უფლება-განაცხადი, რომელიც აუცილებელია თავისუფლებების ცხოვრებაში გასატარებლად. თუკი მეტი აქცენტი კეთდება სხვათა კეთილდღეობის მიმართ პასუხისმგებლობაზე, შედეგად მივიღებთ უფლება-განაცხადის უფრო ფართო სპექტრს (როგორცაა სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისა და კომუნალური მომსახურების, ან განათლების

---

21 G. Dvorkin. *The theory and Practice of Autonomy* (Cambridge: Cambridge University Press, 1988), 41, 41.

უზრუნველყოფა). ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გაიზარდოს ყოველი ადამიანის თავისუფლებისათვის მინიმალური ღირებულების მინიჭების გარანტია, მაგრამ გარანტირებულ თავისუფლებათა სპექტრი შემცირდება, რათა შესაძლებელი გახდეს ავტონომიაში ჩარევა, რაც ხშირად ყველას უფლება-განაცხადის გამოყენებას უზრუნველყოფს. ეს საკვებით რეალურია, რადგან უფლება-განაცხადი, რომელიც ერთხელ იქნა აღიარებული, მისი ხასიათიდან გამომდინარე, თვით ამ უფლება-განაცხადის უზრუნველყოფისათვის გარკვეულ შეზღუდვას მოითხოვს.

დამოკიდებულება, რომელიც მეოცე საუკუნეში ბრიტანეთში დომინირებდა, გულისხმობდა ინდივიდუალური თავისუფლების დაფასებას, მაგრამ იგი იძულების ჩარჩოში იყო მოქცეული, რათა საზოგადოებაში წესრიგი შენარჩუნებულიყო. განსაკუთრებით 1940-ანი წლებიდან არსებობდა ძლიერი კომუნიტარული ელემენტი, რომელსაც კეთილდღეობის პრინციპები ემყარებოდა. მეორე მხრივ, მორალური პატერნალიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო, მაგალითად, ექსტენსიურ ცენზურაზე და ცხოვრების სტილის კონტროლზე, პროგრესულად შემცირდა 1950-იანი წლების ბოლოს. 1980-იან წლებში კონსერვატორულმა მთავრობამ შეიმუშავა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ეკონომიკურ საკითხებში უფრო ლიბერალური იყო, სხვა სფეროებში კი — მეტად რეპრესიული. იყო მცდელობა, ყოველივე მიმართულიყო იმისაკენ, რასაც რობერტ ნოზიკი დამაჯერებლად უწოდებს „მინიმალურ სახელმწიფოს“ (minimal state): ესაა სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს შიდა და გარეშე საფრთხეებისგან დაცვას, მაგრამ არ ასრულებს სხვა ფუნქციებს.<sup>22</sup> უფლებებს, რომლებიც მოქალაქეებს ამგვარ სახელმწიფოში აქვთ, შეიძლება დავარქვათ ნეგატიური თავისუფლებები: თავისუფლებები, რომლებიც ზიანს უფრო იწვევს, ვიდრე — სიკეთეს.<sup>23</sup> ამ რადიკალი ლიბერალების აზრით, სახელმწიფო მხოლოდ იცავს ადამიანს მის თავისუფლებებში არამართებული ჩარევისაგან. ამ თვალსაზრისით, ავტონომიაში ერთადერთი არაკანონიერი ჩარევა ისაა, რასაც თქვენ სხვა ადამიანები გიკეთებენ.<sup>24</sup> თუმცა, ნოზიკისა და ფრიდრიხ ჰაიეკის მსგავსად, რადიკალი ინდივიდუალისტებისთვისაც მისაღებია ის

22 Anarchy, State and Utopia, 26-28, 333-334.

23 Berlin, Four Essays on Liberty, 122-123.

24 შემდგომი განხილვისათვის იხ: J. Gray, Hayek on Liberty, 2nd edn. (Oxford: Basil Blackwell, 1986), 67-71, 125-129; J. Paul, Reading Nozick (Oxford: Basil Blackwell, 1982).

გარემოება, რომ სახელმწიფოს აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა თავისუფლებასთან მიმართებაში, ანუ, ძირითადად, მან უნდა შექმნას, ან განავითაროს პირობები, სადაც თავისუფლება იქნება დაცული.<sup>25</sup> ამდენად, უნდა არსებობდეს იურიდიული სისტემა და პოლიტიკური ძალა, რომელიც აღმოფხვრის ერთი ადამიანის მცდელობას, ჩაერიოს და ხელი შეუშალოს მეორე ადამიანს თავისუფლების გამოყენებაში. სახელმწიფომ ეს უნდა უზრუნველყოს, მაგრამ არც ესაა საკმარისი იმისათვის, რომ ავტონომია სერიოზულად იქნეს აღქმული. თავისუფლებები სასარგებლოა მხოლოდ მანამ, სანამ მათი განხორციელება შესაძლებელია და კუთვნილი თავისუფლების საკუთარი სურვილის მიხედვით გამოყენების ეს შესაძლებლობა ყველასათვის თანაბარია. ამდენად, ნებისმიერი თავისუფლების ღირებულება სერიოზულად შემცირდება, თუ არ იქნება მისი სრულად გამოყენების შესაძლებლობა.<sup>26</sup>

იქ, სადაც სიმდიდრისა და შესაძლებლობების სერიოზული უთანასწორობაა, სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული ნეგატიური თავისუფლებები ყველაზე ღირებული მათთვისაა, ვისაც სხვაზე მეტად შეუძლია მათი გამოყენება. სამაგიეროდ, ამ თავისუფლებებს საერთოდ არ გააჩნია ღირებულება საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისი ცხოვრების დონეც სასიცოცხლო მინიმუმზე დაბალია და ვისაც არც იმდენი დრო და სახსრები აქვს, რომ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის გარდა სხვა რამეზე იფიქროს. მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ადამიანები მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით არიან თავისუფალი. რეალურად კი ისინი გარკვეულ დონემდე მოკლებული არიან თავისუფლებას. ამ თვალსაზრისით პრესის თავისუფლება არ არის ღირებული, თუკი პრესის, როგორც საკომუნიკაციო მედიუმის გამოიყენება და პუბლიკაციების წაკითხვა ყველას არ შეუძლია. მსგავსად ამისა, გადაადგილების თავისუფ-

---

25 F. A. Hayek, *The Constitution of Liberty* (London: Routledge Kegan Paul, 1960), ch. 15, esp. 233; Nozick, *Anarchy, State and Utopia*, ch. 5, 6.

26 რაც მაგალითად მოჰყავს ორმოში მყოფი ადამიანი ცოტაოდენი სარჩოთი, რომლის ერთადერთი არჩევანი იმაში მდგომარეობს, შეჭამოს თუ არა ეს საჭმელი და მარტოხელა ქალი, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გადაურჩეს სასტიკ კაციჭამია მხეცს. რაცი ამტკიცებს, რომ არც ორმოში მყოფი კაცი და არც ქალი უკაცრიელ კუნძულზე არ ცხოვრებენ ავტონომიურად. Raz, *Morality of Freedom*, 373-4. იხ: ასევე, N. McCormick, *Legal Rights and Social Democracy: Essays in Legal and Political Philosophy* (Oxford: Clarendon Press, 1982), 42-43.

ლებაც მოკლებულია ღირებულებას, თუკი ადამიანებს არა აქვთ მოგზაურობისათვის საჭირო დრო და მატერიალური რესურსები. ამ რესურსების მოსაპოვებლად შრომის თავისუფლებაა არსებითი, მაგრამ ეს უკანასკნელი თავისუფლებაც კარგავს თავის აზრს, თუ განათლების სისტემა, რომელიც მუშაობისათვის საჭირო ცოდნას უზრუნველყოფს, არ არის ხელმისაწვდომი ყველა ადამიანისათვის თუ ჯანმრთელობის დაცვის სისტემა (შეძლებისდაგვარად) ვერ უნარჩუნებს მათ ჯანმრთელობის სათანადო მდგომარეობას, ხოლო ეკონომიკური პირობები არახელსაყრელია ყველასათვის სამყოფი სამუშაო ადგილის შექმნისათვის.

სიმდიდრის გადანაწილება შეიძლება ემსახურებოდეს სოციალურად სასარგებლო მიზნებს, როგორცაა : განათლების გრანტები მათთვის, ვისაც არა აქვს შესაძლებლობა, საკუთარი რესურსებით მიიღოს სასურველი განათლება და ა.შ. მინიმალური სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ნეგატიური თავისუფლება ზოგი მოქალაქისათვის ნაკლებს ნიშნავს, ზოგისათვის — მეტს, ხოლო სხვაობა განპირობებულია საზოგადოების სოციალური, ან ეკონომიკური სტრუქტურით რომელიმე რაციონალური მორალური კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფომ უნდა შექმნას იმგვარი პირობები, სადაც ყველას ავტონომია სათანადოდ განვითარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცხოვრების ძირითადი სტანდარტით უზრუნველყოფის გარანტია, რათა ყველამ მოიპოვოს დამატებითი შესაძლებლობის გამოყენების შანსი.

ღმწას მივყავართ თავისუფლების უფრო ფართო გაგებამდე, რომლის თანახმადაც ადამიანი არ არის თავისუფალი, თუ მისი არჩევანი შეზღუდულია სხვა ადამიანთა ჩარევის ან ფიზიკური თუ მატერიალური რესურსების სიმწირის გამო. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ვამტკიცოთ, რომ თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ფასი, თუ მას თან სდევს უფლება-განაცხადი, რომელიც ავალდებულებს საზოგადოების სხვა წევრებს, თითოეული ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახადონ არჩევანის რეალიზაციისათვის აუცილებელი რესურსები. ეს, თავის მხრივ, გზას გვიხსნის ინდივიდუალური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების უფრო მასშტაბური თეორიისაკენ, რომელშიც ნეგატიური თავისუფლება ივსება და, ამავდროულად, იზღუდება პოზიტიური სოციალური და ეკონომიკური უფლებებით. ეს უფლებები ძლიერ განსხვავდება კლასიკური თავისუფლებებისაგან, მაგრამ გამართლებულია იმის საფუძველზე, რომ ისინი ნეგატი-



ური თავისუფლებების ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომობას ემსახურება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი ქმნიან ხიდს, ერთი მხრივ, თავისუფლების ღირებულებას, მეორე მხრივ კი — თანასწორუფლებიანობისა და სოციალური სამართლიანობის სხვა ღირებულებებს შორის.

უფლებათა ამ მოდელში იგულისხმება ნეგატიურ თავისუფლებათა შინაარსი და სპექტრი. მაგალითად, ყველა ნეგატიური თავისუფლება უნდა შეიზღუდოს, რათა დაცულ იქნეს ის ეკონომიკური უფლებები, რომლებიც ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომს ხდის მსგავსი რანგის თავისუფლებებს. ეს უნდა გვახსოვდეს, როდესაც განვიხილავთ პრეტენზიებსა და უფლებებს, დაფუძნებულს იმ არგუმენტზე, რომ ერთი უფლება არ უნდა შეიზღუდოს სხვა უფლების სასარგებლოდ; ანუ ერთი თავისუფლების *ხელმისაწვდომობა* იზღუდება რათა სხვებისათვის სხვა თავისუფლებათა *პრაქტიკული ღირებულება* გაუმჯობესდეს. ამდენად, უნდა განვასხვავოთ ორი რამა<sup>27</sup> უფლებები, რომლებიც თავისუფლებათა სპექტრის მაქსიმიზებას ახდენენ და უფლებები, რომლებიც ამ თავისუფლებათა სარგებლიანობის მაქსიმიზებას განაპირობებდნენ.

ეს არის ნყარო იმ აზრისა, რომ არსებობს პოზიტიური, ძირითადად სოციალური და ეკონომიკური უფლებები. სასიცოცხლო მინიმუმის უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, უმუშევრობისას დახმარების მიღების ან ოჯახის შენახვის უფლება, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს იმას, რომ ადამიანებს უკიდურესი გაჭირვების თავიდან აცილების შესაძლებლობა მიეცეთ; მეორეც, ეს უფლებები ადამიანებს საკუთარი არჩევანის განხორციელებისათვის დამატებითი შემოსავლების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს (ე.წ. „სიღარიბის მახე“, რომლის თანახმადაც ადამიანები შემოსავლის ზრდასთან ერთად შესაბამის დიდ თანხას კარგავენ, რათა ყველას შეეძლოს კეთილდღეობით სარგებლობა. ეს არის ერთი გზა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მეორე მიზნის განხორციელებას).<sup>27</sup> ეს უფლებები უთავსდება მოვალეობებს — არა თავშეკავების, არამედ დახმარების მოვალეობებს — რომელიც საზოგადოებამ სახელმწიფოს მეშვეობით უნდა შეასრულოს. ამგვარად, პოზიტი-

---

27 F. Field, M. Meacher, and C. Pond, *To Him Who Hath: A Study of Poverty and Taxation* (Harmondsworth: Penguin, 1976), 56; Institute for Fiscal Studies, *The Structure and Reform of Direct Taxation: Report of a Committee Chaired by Professor J.E. Meade* (London: George Allen and Unwin, 1978), 82-87.

ური სოციალური თუ ეკონომიკური უფლებები ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ნაბიჯების გადადგმას საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული ნაწილის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამას შეიძლება დასჭირდეს გადარიცხვები დაბეგვრის გზით და კეთილდღეობისათვის აუცილებელი რესურსების გადანაწილება, მომსახურებითა და შეღავათებით უზრუნველყოფა ან საბაზრო აქტივობის გარკვეული რეგულირება, ეს ყველაფერი კი ბეგარის სახით უნდა გადაიხადოს საზოგადოების შედარებით შეძლებულმა ნაწილმა.

ადამიანის რეაქცია ყოველივე ამაზე ნაწილობრივ დამოკიდებულია ბაზრის შესახებ მის შეხედულებაზე. თუ ბაზარი განიხილება, როგორც რესურსების განთავსების ეროვნული ფორუმი, რეგულირება ემსგავსება მცდელობას, რომ ადამიანის ნახელავი – სახელმწიფო გადანაწილების სისტემა – სამყაროს ბუნებრივ წყობაში ჩარევისათვის გამოვიყენოთ. მეორე მხრივ, თუ ბაზარს განვიხილავთ, როგორც ადამიანის ნახელავს, აღარ იქნება იმის საფუძველი, რომ უარი ვთქვათ მისი მუშაობის მოდიფიცირების შესაძლებლობაზე ადამიანის სხვა ასეთივე ნახელავის მეშვეობით, იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზრის მექანიზმის გაუკონტროლებელი მუშაობის შედეგები ანტისოციალურად ან უსამართლოდ გვეჩვენება.

პოლიტიკური და იურიდიული აზრის ილუსტრირებისათვის გამოსადეგია დისკრიმინაციის მიმართ იურიდიული და სამთავრობო რეაგირება. თუკი აღმოჩნდება, რომ, მაგალითად, ზოგიერთი ჯგუფი სისტემატურად მოკლებულია განათლების მიღების შესაძლებლობას იმის გამო, რომ ამ ჯგუფის წევრთა კანის ფერი მათ გარკვეულ პრობლემებს უქმნის და ზღუდავს ისეთი განათლების მიღების შესაძლებლობას, რომელიც სხვა ჯგუფისთვის არის ხელმისაწვდომი, ამ შემთხვევაში არსებობს რეაგირების სამი შესაძლო ვარიანტი: პირველი არის ლიბერალური, თავისუფლებაზე დამყარებული რეაგირება, რომლის თანახმადაც, ამ ჯგუფის წევრთა კანის ფერიდან გამომდინარე, უნდა დაისვას საკითხი დისკრიმინაციისაგან მათი დაცვის უფლების შესახებ. თუ მათ ამგვარი უფლება აქვთ, მაშინ პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი ამგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ (და უზრუნველყოს დაცვის მექანიზმი). ეს არის პოზიცია, რომელიც 1976 წელს ბრიტანეთში შეიმუშავეს „რასების ურთიერთობის აქტით“.<sup>28</sup> ეს უკანასკნელი დისკრიმინაცი-

28 იხ: თავი 3 და შემდგომი.

ას სოციალურ ბოროტებად მიიჩნევენ და მასზე პასუხისმგებლობას პიროვნებას აკისრებს. მეორე მხრივ, სოციალურ უფლებათა კონცეფციის შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს კანონები, რომელთა თანახმადაც ამ ჯგუფების წევრებს განათლების მიღებისა და სამუშაოს ძებნის დროს (შესაძლოა, სხვა სათანადო სფეროებშიც) მიენიჭებათ უპირატესობა მანამ, სანამ ისინი, უფლებების თვალსაზრისით, სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს არ გაუთანასწორდებიან. ეს უკანასკნელი შეხედულება მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიურ ქმედებას, რაც სცდება უბრალოდ ნეგატიური თავისუფლების დაცვის ფარგლებს.

დაბოლოს, არსებობს შუალედური დამოკიდებულება (მისი ელემენტები თავმოყრილია გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში), რომელიც სახელმწიფო სტრუქტურას (ამ შემთხვევაში, რასობრივი თანასწორობის კომისიას) აკისრებს პასუხისმგებლობას, რომ ინფორმაცია მიაწოდოს დამქირავებლებს, განათლების მუშაკებსა და სხვებს მათი იურიდიული და სოციალური ვალდებულებების შესახებ, რათა თავიდან ავიცილოთ დისკრიმინაცია და უკანონო დისკრიმინაციის მსხვერპლთ დავებმართო მათი უფლებების რეალიზებაში.

თუმცა სოციალურ უფლებათა მიდგომას უარყოფითად შეხვდა ზოგიერთი ლიბერალი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი სახელმწიფოს მხრიდან პირად ცხოვრებასა და ნეგატიურ უფლებებში ექსტენსიურ ჩარევას მოიცავს. ისინი ამტკიცებენ, რომ არ არის გამართლებული, თუ სახელმწიფო აიძულებს ადამიანებს, გადაიხადონ სხვა ადამიანთა კეთილდღეობის საფასური. განსხვავებულია პოზიცია დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. გადამხდელები არ იღებენ სარგებელს თავიანთი მონაწილეობის საფასურად. ერთი ადამიანის გადასახადის გამოყენება სხვათათვის უპირატესობის მისანიჭებლად, ნოზიკის თანახმად, ტოლფასია იმისა, რომ სახელმწიფომ გადასახადის გადამხდელს იძულებითი სამუშაო დააკისროს.<sup>29</sup> ეს განაცხადი ყურადღებას იმსახურებს, რამდენადაც იგი, დასაბუთების შემთხვევაში, პოზიტიური ეკონომიკური და სოციალური უფლებების მხარდამჭერ ყოველგვარ არგუმენტს უარყოფს. იგი ემყარება ფუნდამენტურ იდეას იმის შესახებ, რომ ადამიანს არა აქვს უფლება ჩაერიოს სხვა ადამიანის საკუთრებაში იმ წუთიდან, როცა უფლება ამ საკუთრებაზე მის მფლობელს გადაეცემა. მაგალითად, ირლანდიის სახელმწიფო თავისი

---

29 Nozick, *Anarchy, State and Utopia*, 169-172.

კონსტიტუციის 43-ე მუხლში მიუთითებს, რომ „ადამიანს, თავისი რაციონალური არსებობის მანძილზე, გააჩნია გარეშე ქონების დასაკუთრების ბუნებითი უფლება, რაც წინ უსწრებს პოზიტიურ კანონმდებლობას“ და „შესაბამისად, ცდილობს არ დაუშვას არანაირი კანონი, რომელიც გააუქმებს კერძო საკუთრების უფლებას ან საკუთრების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის ან მიღების ზოგად უფლებას“. ამავდროს, სახელმწიფო აღიარებს, რომ ამ უფლებების „რეგულირება სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად უნდა მოხდეს“. ამგვარად, ინარჩუნებს უფლებას, რომ „საერთო ქონებით სარგებლობის მწვავე აუცილებლობასთან შესაბამისობისობაში განსაზღვროს აღნიშნული უფლების გამოყენების ფარგლები“.<sup>30</sup>

ნოზიკის არგუმენტი, ისევე, როგორც 43-ე მუხლი, იმავე სტატუსს ანიჭებს საკუთრების უფლებას, როგორც — საკუთარი მთლიანობის შენარჩუნების უფლებას, დამონებისა და თავდასხმისაგან დაცვის თავისუფლებას. თუმცა, 43-ე მუხლისაგან განსხვავებით, ნოზიკი უარყოფს სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების დარეგულირების უფლებას სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. გაუგებარია, თუ რა უდევს საფუძვლად ნოზიკის მიერ საკუთრების უფლებისათვის ესოდენ პრივილეგირებული სტატუსის მინიჭებას.<sup>31</sup> ძირითადი არგუმენტი ნეგატიურია, რომელიც საკუთრების უფლებაში ჩარევის მართებულობას ან ფექტურობას მხოლოდ იმისათვის უარყოფს, რომ სოციალური და ეკონომიკური სიკეთის განაწილებაში სამართლიანობა იქნას მიღწეული. ნათქვამია, რომ განაწილების ნებისმიერი სამართლიანი ფორმის მიღწევა და შენარჩუნება მოითხოვს ხანგრძლივ გადანაწილებას სახელმწიფოს მიერ; უსამართლობა წარმოიშვება არათანაბარი კონკურენციის გაჩენასთან ერთად. ხანგრძლივი სამართლიანობის მიღწევისათვის კი არ კმარა ერთი გადანაწილება. ეს გადანაწილება უშედეგო და უკუშედეგიანი იქნება ორი მიზეზის გამო: ის არ გაამართლებს და არ იქნება სამართლიანი.

ჰაიეკის თანახმად, არც ერთ ადამიანს ან მთავრობას არა აქვს ეკონომიკაში მიზეზებისა და შედეგების კომპლექსური თანაფარდობის

30 იხ.: ასევე, ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენცია, ოქმი 1, მუხლი 1.

31 იხ.: A. Halpin, *Rights & Law, Analysis & Theory* (Oxford: Hart Publishing, 1997), 241-50.

საკმარისი ცოდნა, ამიტომაც ვერავინ შეძლებს იწინასწარმეტყველოს ის შედეგები, რასაც ბაზრის განვითარების ისტორიულ პროცესში გააზრებული ჩარევა გამოიწვევს. ამდენად, ყველაზე მართებული იქნება, თავად საბაზრო პროცესებმა განსაზღვროს, თუ როგორ გადანაწილდეს საზოგადოებაში სარგებელი და ტვირთი.<sup>32</sup> მეორე მხრივ, ნოზიკის თანახმად, მთავრობის მიერ სიკეთის გადანაწილება უძღურია ადამიანთა „ისტორიულ“ უფლებებში სამართლიანობის დამყარებისათვის, რადგან ის ადამიანებს წარსული დროის განმავლობაში მოპოვებული სარგებლის მოქმედი წესების შესაბამისად, თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობას უზღუდავს. ამ თვალსაზრისით, სამართლიანი განაწილების მიღწევის ერთადერთი ფორმა ისაა, რომლის შედეგადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკუთრების შექმნის დროს არსებული წესების სწორი გამოყენება ხდება: საბაზრო ძალების „უხილავ ხელს“ ის შედეგი მოაქვს, რომელსაც, თუ ისტორიულ უფლებებს ვცემთ პატივს, უსამართლოს ვერ ვუნოდებთ.<sup>33</sup>

ეს არგუმენტები გულისხმობს, რომ საკუთრების შექმნის წესები, თავისთავად, დავას არ იწვევს ან სამართლიანია. და, ალბათ, ამ წესების შეცვლა არ იქნებოდა კანონიერი. სახელმწიფოს საკანონმდებლო ავტორიტეტის ამგვარი შეზღუდვა არ არის დაუფიქრებლად მისაღები, განსაკუთრებით იქ, სადაც სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო დემოკრატიულია, რამდენადაც შეზღუდვა კანონმდებელთა ძალაუფლების სპექტრს მწვავედ შეამცირებს.<sup>34</sup> წესი, რომელსაც ჩვეულებრივ ემყარებიან, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი, რომელიც მიწის დამუშავებასა და გაუმჯობესებაზე, ან მიწიდან ბუნებრივად აღმოცენებული სუბსტანციის მოპოვებაზე ხარჯავს დროსა და ენერგიას, იძენს უფლებას ისე მოეპყროს მიწას, ან მიღებულ პროდუქციას, როგორც თავის საკუთრებას. სავარაუდოდ, ეს რომ ასე არ იყოს, ადამიანს აღარ ექნებოდა მიზეზი, რათა გაეუმჯობესებინა მიწა და ეწარმოებინა იმაზე მეტი, ვიდრე თვითონ სჭირდება საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო ნა-

---

32 F. A. Hayek, *Law, Legislation and Liberty* (Routledge & Kegan Paul, 1981), 8-54; Gray, *Hayek on Liberty*, chs 1, 2.

33 Nozick, *Anarchy, State and Utopia*, 180.

34 აზრი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ამგვარი შეზღუდვა გარდუვალია, სამართლიანი ნორმების ფარგლებში განმარტებული აქვს ჰაიეკს ნაშრომში *Law, Legislation and Liberty*, თავი 18.

მატი — ბაზრის მეშვეობით ან ჰუმანიტარული დოტაციის სახით სხვე-  
ბისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა.<sup>35</sup>

თუმცა პირველადი შესყიდვის ეს ზოგადი უფლება არ არის აბსოლუ-  
ტური. ლოკმა აღიარა, რომ შესაძლებელია გარკვეულწილად შეიზღუ-  
დოს პიროვნების მიერ საგნების საკუთარი სარგებლობისათვის გამოყე-  
ნება. მთავარი ის არის, რომ ადამიანის მიერ მიწის დამუშავების გზით  
მისი მითვისების უფლება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკ-  
მარისი რაოდენობით მიწა იმათთვის რჩება, ვისაც უნდა, ან სჭირდება  
იგი; და თუ დარჩენილი მიწა ისეთივე კარგი ხარისხისაა, როგორც უკვე  
მითვისებული.<sup>36</sup> ეს აზრი განავითარა უოლდრონმა, რომელიც ამტკი-  
ცებდა, რომ საკუთრების ექსკლუზიური უფლება მორალურად მხოლოდ  
იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ რეალურად ყველას შეუძლია იმა-  
ვე უპირატესობით სარგებლობა, თუნდაც იმავე ტიპის სხვა საკუთრება-  
ზე.<sup>37</sup> თუკი ეს შეუძლებელია, საკუთრების უფლება არ არის მისაწვდომი  
ყველასათვის, რამდენადაც ყველას არ შეუძლია ისარგებლოს იმ აუცი-  
ლებელი პირობებით, რომლებიც მისი გამოყენებისათვის არის საჭირო.  
ამდენად, საკუთრების უფლება არ შეესატყვისება ყველასათვის თანაბ-  
რად ხელმისაწვდომობის ლიბერალურ პრინციპს.

შემდგომი შეზღუდვა, რომელიც ლოკმა დაანესა საკუთრების შეს-  
ყიდვაზე, მდგომარეობს იმაში, რომ ერთხელ უკვე შეძენილი საკუთრე-  
ბა არ უნდა გაიხარჯოს.<sup>38</sup> ეს იდეა მჭიდრო კავშირშია იმ მოსაზრებას-  
თან, რომ გასაჭირში მყოფს აქვს უფლება სხვათა საკუთრების ნამატ-  
ზე, თუკი იგი გადარჩენისათვის ესაჭიროება. ეს უფლება ქველმოქმე-  
დებაზე არ არის დამოკიდებული. ლოკი თვლიდა, რომ გასაჭირში  
მყოფს სწორედ გადარჩენის მიზნით უნდა ეკუთვნოდეს სხვათა საკუთ-  
რების ნამატი.<sup>39</sup> შემდგომ, ლოკის მიხედვით, თუ რესურსი სასიცოცხლო  
მნიშვნელობისაა, მისი შესყიდვის შემდეგ იგი ხელშეუხებელი ხდება

---

35 ეს განმარტება განსაკუთრებით ნათლად არის მოცემული ნოზიკის ნაშრომში  
*ანარქია, სახელმწიფო და უტოპია*, 265-8; ლოკი, *მთავრობის ორი ტრაქტატი*, II, 34.

36 Locke, *Two treaties of Government*, II, 48.

37 J. Waldron, *The Right to Private Property* (Oxford: Clarendon Press, 1988), ch. 12.

38 Locke, *Two treaties of Government*, II, 47. ლოკისა და ნოზიკის მიერ საკუთრების  
უფლების გასამართლებლად გამოყენებული თეორიების უფრო  
დანვრილებითი განხილვისათვის იხ.: უოლდრონი, *კერძო საკუთრების უფლე-  
ბა*, თავები 6 და 7.

39 Rayn, *Property and Political Theory*, 34.

(მაგალითად, თუ შეძენილ მინის ნაკვეთზე მდებარეობს ჭა, რომელიც გვალვისას მიმდებარე ტერიტორიაზე სასმელი წყლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს; ან თუ ცივ ამინდში თბილი ტანსაცმლის ნაკლებობაა). ადამიანი, რომელმაც შეიძინა საკუთრება, ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს იგი ყველასათვის, ვისაც ის დასჭირდება და სტიქიური უბედურების დროს, რომლის შედეგადაც ყოველგვარი წყარო დამპრალაია, წყურვილით არ მოკლას ისინი.

როგორც ჩანს, ნოზიკი მიიჩნევს, რომ პირველადი შეძენის ეს მოდელი მორალურად მიუღებელი იქნებოდა ამგვარი პირობების შეუქმნელობას შემთხვევაში.<sup>40</sup> პირველადი უფლებები საკუთრების უფლების ლიბერალურ მოდელშიც კი გამართლებულია და ინსტრუმენტულად არის შეზღუდული გარკვეული სოციალური ღირებულებების გასაძლიერებლად.<sup>41</sup> თუ ეს ასეა, უცნაური იქნება ვიფიქროთ, რომ ეს პირობები არ ზღუდავს საკუთრების შემსყიდველს უფლებამოსილებების ისტორიული ჯაჭვის მთელ სიგრძეზე. თანმიმდევრულობისათვის შევნიშნავთ: ისეთმა ლიბერალებმა, როგორცაა ნოზიკი, უნდა აღიარონ, რომ პიროვნების ვალდებულება, ხელმისაწვდომი გახადოს სამყარო რაოდენობით ხარისხიანი რესურსი ყველასათვის, ვინც ამ რესურსის შეძენას საჭიროებს, მოიცავს მათ მიერ საკუთრების ფლობის მორალური უფლების პირობას.

თუმცა, შესაძლოა, ამან სახელმწიფოს დააკისროს ბაზრის დარეგულირების ვალდებულება, რაც რეგულაციის პროცესში ზოგიერთ თავისუფლებას შეზღუდავს. თუკი საბაზრო ეკონომიკის პირობებში „ფარული ხელის“ გავლენით კერძო პირებს არ შეუძლიათ განსაჯონ, თუ მოცემული რესურსის რა ნაწილია ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის და არ არსებობს ყველას მიერ თავისი წილის გარანტირებულად მიღების მეთოდოლოგია, ეს სამუშაო სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. დაბეგვრისა და კეთილდღეობის სარგებელის საშუალებით წილების გადანაწილებისას სახელმწიფო არ ერევა საკუთრების უფლებაში; წესები, რომელთა თანახმადაც შესაძლებელია საკუთრების შეძენა საკუთარი შრომის საფუძველზე, საზოგადოებრივი წესებია. ისინი პირველ

---

40 Nozick, *Anarchy, State and Utopia*, 178-82.

41 Rawls, *Theory of justice*, ადასტურებს სწორედ ამას და მიეყვართ იმ აზრამდე, რომ იგი არის „ფარული უტილიტარისტი“: A. Halpin, *Rights & Law, Analysis & Theory* (Oxford: Hart Publishing, 1997, 235-241).

რიგში საზოგადოებამ მიიღო და სწორი იქნება, თუ საზოგადოება თავისი პასუხისმგებელი ორგანოს, ანუ სახელმწიფოს მეშვეობით გაატარებს ამ წესებს.<sup>42</sup>

ამდენად, მტკიცება იმისა, რომ საკუთრების უფლებას განსაკუთრებული სტატუსი აქვს, თავისთავად უმართებულოა. შესაბამისად, თუკი თემის წევრთა გადარჩენისა და უსაფრთხოების, ასევე მათ მიერ უფლებების უკეთ გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ჩაერევა საკუთრების უფლებაში, ეს ჩაერევა შეიძლება კანონიერი იყოს. ამან შეიძლება გაამართლოს, მაგალითად, ისეთი დაბეგვრის შემოღება, რომლის მიზანია ადამიანთა კეთილდღეობის გარკვეული დონისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. თუკი წესები, რომლებიც კერძო საკუთრების ფლობის საშუალებას იძლევა, სოციალური წესებია და არა მარადღირებული და უცვლელი საღმრთო კანონები, მაშინ საკუთრების ფლობის პირობები და საკუთრებაში ჩაერევის მისაღები გამართლებანიც ასევე სოციალური წესებია. შესაბამისად, მათი შეცვლა, დემოკრატიული თვალსაზრისით, მაშინაა კანონიერი, როცა ეს ჩაერევა გამართლებულია სოციალური გეგმის შესასრულებლად. საკუთრების უფლების დაცვა საჭიროა, მაგრამ ეს დაცვა არ უნდა იყოს არც უფრო ძლიერი, არც უფრო სუსტი, ვიდრე სხვა იმგვარი თავისუფლებების დაცვა, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება და სხვ.

აქედან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიულ-ლიბერალურ თეორიაში არაფერია ისეთი, რაც უცილობლად გამორიცხავს პოზიტიური სოციალური და ეკონომიკური უფლებების კანონიერ დაცვას. ხალხი, რომელიც ეწინააღმდეგება ამგვარი უფლებების დანერგვის მცდელობას, სხვებთან შედარებით ერთი ტიპის პოლიტიკურ ან ეკონომიკურ პროგრამას ანიჭებს უპირატესობას.

თუკი იდეა უფლებების შესახებ, რომელიც თეორიულად ყველასათვის ხელმისაწვდომი თავისუფლებების გამოყენების უფლებასაც მოიცავს, შეიძლება დავიცვათ ისეთი რადიკალი ლიბერალებისგან, როგორიცაა ჰაიეკი და ნოზიკი, მაშინ ინდივიდუალურ უფლებათა

---

42 ამ ფორმას ზოგჯერ საკუთრების „კონცესიის თეორიას“ უწოდებენ, რადგან იგი წარმოადგენს საკუთრებას, როგორც კონცესიას სახელმწიფოს მხრიდან და, შესაბამისად, იგი ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დროდადრო დანესებულ პირობებს. კონცესიის თეორიას ზოგჯერ უპირისპირებენ „კონტრაქტების“ თეორიებს, რომელთა თანახმადაც, საკუთრება ბუნებრივად წარმოიშვება პირებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.



იდეას სოციალისტი კრიტიკოსებისაგან სჭირდება დაცვა. ლიბერალური ინდივიდუალიზმის ზოგიერთმა რადიკალმა კრიტიკოსმა, როგორცაა მარქსი, შენიშნა, რომ ინდივიდუალური უფლებები აუცილებლად ინდივიდუალისტურია და უარყო ისინი, როგორც გაუცხოებისა და ეგოიზმის სიმპტომები კაპიტალიზმის პირობებში. ამის შეცვლა შესაძლებელია ემანსიპირებული და გაერთიანებული საზოგადოების მეშვეობით. სოციალისტურ სახელმწიფოებში, კერძოდ დამლამდელ საბჭოთა კავშირში, კონსტიტუცია არ ანიჭებდა დიდ უპირატესობას ინდივიდუალურ უფლებებს. სსრკ-ის კონსტიტუცია რეალურად შედგებოდა მისი მოქალაქეებისათვის გარანტირებული ინდივიდუალური უფლებების შთამბეჭდავი ჩამონათვალისაგან, მაგრამ მათი გამოყენება მხოლოდ იმდენად ითვლებოდა კანონიერად, რამდენადაც შეესაბამებოდა ეს უფლებები პრემამულაში განმარტებულ სახელმწიფოს უზენაეს მიზანს: — „უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, რომელშიც იქნება სახალხო, კომუნისტური თვითმმართველობა“. მიზნის მისაღწევად აუცილებელი ნაბიჯები წინ უსწრებდა ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და უფლებათა თეორიებს.<sup>43</sup>

### პოლიტიკური უფლებები

განვიხილოთ უფლებათა კიდევ ერთი ტიპი, რომელიც არ აუმჯობესებს პიროვნების მორალური ავტონომიის სარგებლიანობას, მაგრამ ადამიანს აძლევს იმის საშუალებას, რომ მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ უფლებებს ჩვენ შეგვიძლია ვუნოდოთ *პოლიტიკური უფლებები* და უნდა ითქვას, რომ ისინი მოქალაქეობისა და ლიბერალური საზოგადოების იდეის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ეს უფლებები განაპირობებს როგორც სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი ქმედების აუცილებლობას, ისე თავისუფლების იძულებითი შეზღუდვების კანონიერებას. პოლიტიკური უფლებები ითვალისწინებს იმ ადამიანთა შერჩევის მეთოდებს, ვინც უნდა დაადგინოს თავისუფლების ზღვარი და მოქმედების პირობები. მაგა-

---

43 A. Erh-Soon Tay, *Maxims, Socialism and Human Rights*, in E. Kamenka and A. Erh-Soon Tay, *Human Rights* (London: Edward Arnold, 1978), 104-12.

ლითად, ნარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში მოქალაქეებს ეძლევათ უფლება, აირჩიონ საკანონმდებლო ორგანოს წევრები; თავისუფლებათა იძულებითი შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად, თუ ისინი დანესებულია არჩეულ ნარმომადგენელთა საკმაო რაოდენობის მიერ. პირდაპირი დემოკრატიის პირობებში მოქალაქეს ენიჭება უფლება, ხმა მისცეს ან მოითხოვოს რეფერენდუმი გარკვეული საკითხების წამოწევის მიზნით; იძულება დასაშვებია, თუ იგი დამტკიცებულია მოცემულ ხმათა უმრავლესობის მიერ. ორივე შემთხვევაში, კონსტიტუციური მოთხოვნების თანახმად, საკანონმდებლო ორგანოს ნარმომადგენელი უნდა მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა არ ჰქონდეს გარკვეულ უფლებათა დარღვევის საშუალება.

პოლიტიკური უფლებები არ უნდა აგვერიოს ნეგატიურ თავისუფლებებში. პოლიტიკური უფლებები, მათი სხვადასხვაგვარად გამოყენების შემთხვევაში, შედეგად გვაძლევს მთელ რიგ ინდივიდუალურ თავისუფლებებს (როგორცაა სიტყვის თავისუფლება). ეს უფლებები შეიძლება შენარჩუნდეს, გაძლიერდეს ან შესუსტდეს. თუმცა, როგორც სერ ისაია ბერლინი აღნიშნავდა, ისინი იმთავითვე გამიზნულნი არიან იმის საკონტროლოდ, თუ რა შემთხვევაში ან რა პირობებში თმობს ადამიანი ინდივიდუალურ ავტონომიას, და არა იმისათვის, რომ დაიცვას თითოეული მოქალაქის თავისუფლება მისი ცხოვრებისეული გეგმის განხორციელების მიზნით.<sup>44</sup> პოლიტიკური უფლებები, ძირითადად, პროცედურულია: ისინი ადამიანებს საშუალებას აძლევენ, გავლენა იქონიონ სახელმწიფოს იძულებით პროცესებზე; ისინი არ იძლევიან იმის გარანტიას, რომ ადამიანის მიერ პოლიტიკურ უფლებათა გამოყენების კომბინირებული ეფექტი თავისუფლების შენარჩუნება იქნება. დემოკრატიასაც შეიძლება მოჰყვეს არალიბერალური შედეგები. ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფო ორგანიზაცია მოქალაქეებისაგან გარკვეულ დამოკიდებულებებს მოითხოვს, რაც, შეიძლება, მათივე ნების სანინააღმდეგოდ, სწორედ მათი თავისუფლებების შეზღუდვაში გამოიხატოს.

ზოგიერთი თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ თუ ადამიანი თანახმაა მიიღოს პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა ან რაციონალურად ეთანხმება მას, ამ ორგანიზაციის მიერ შემოღებული ადამიანის თავისუფ-

---

44 Sir Isaiah Berlin, *Two Concepts of Liberty*, in *Four Essays on Liberty*, 118-172; ასევე, იხ.: შესავალი.

ლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს, როგორც ამ ადამიანის ნება და არა იძულებითი ქმედება. ლოკი, კანტი, ჰეგელი, რუსო, ბენტჰემი, მარქსი და მრავალი სხვა ავტორი ამტკიცებდნენ, რომ „ნამდვილი“ თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი ადამიანის სურვილები დაექვემდებარება საზოგადო სიკეთეს, რაციონალობას ან რაიმე სხვა იდეალს, რომელიც ეფექტურად აუქმებს ადამიანის თვითმმართველობის შესაძლებლობას. ეს იდეა აშკარად არის გამოხატული დემოკრატიის თეორიებში, რომელთა თანახმადაც, მოქალაქე უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების ნებას, გამოხატულს საარჩევნო ყუთის საშუალებით. ამ შემთხვევაში თვითგამორკვევის უფლება განიხილება, როგორც თავისუფლების ასპექტი.

თუმცა ეს არ არის თავისუფლება იმ გაგებით, რომელსაც აქამდე ვიზიარებდით. იგი პიროვნულ სიკეთეს საზოგადოებრივი სიკეთით ანაცვლებს. თუ ადამიანი სპეციალურ სწავლებას არ გაივლის, ეს ინდივიდუალური თვითრეალიზაციისაკენ არ მიგვიყვანს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება პიროვნების „ნამდვილი“ (ან რაციონალური) ნება კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შედეგის იდენტური.

### 1.3. ბუნებითი და პოზიტიური უფლებები

ამგვარად, ჩვენ უკვე გავეცანით დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ავტონომიას, თავისუფლებასა და ზოგიერთ უფლებას შორის და მიმოვიხილეთ რამდენიმე მათგანის პრაქტიკაში გამოყენების საკითხი. ახლა კი გადავიდეთ დასაბუთებისა და გამართლების იმ სისტემების განხილვაზე, რომლებიც ქმნიან ამ ღირებულებებს. მოცემული ნაწილი განიხილავს აზროვნების ორ ტრადიციულ სისტემას, რომლებმაც გავლენა მოახდინეს დასავლურ საზოგადოებაში უფლებებისა და თავისუფლებების ფორმულირებაზე. ეს არის **ბუნებითი** და **პოზიტიური უფლებების** ტრადიცია. როგორც ეს შემდგომში გამოჩნდება, მათ არ მიეყვართ ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგამდე. თითოეული მათგანი ძლიერია თავისთავად, მაგრამ ნებისმიერი პრაქტიკული თეორია უფლებების შესახებ გარკვეულწილად ცდილობს მათ შეჯერებას (ახდენს მათ სინთეზს).<sup>1</sup> უფრო რომ გავართულოთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თავისთავად ტრადიციები არ არის ერთგვაროვანი. თითოეული მათგანი მრავალი სხვადასხვა ელემენტისგან შედგება. ქვემოთ მო-

ტანილი მოკლე დისკუსია მათ შესახებ მიზნად ისახავს მხოლოდ ზოგიერთი ასეთი ელემენტის განსაზღვრას, მათი ურთიერთკავშირის ილუსტრირებას და ზოგიერთ შედეგზე მოსაზრების გამოთქმას.

## (I) ბუნებითი უფლებების ტრადიცია

ბუნებითი უფლებების ტრადიციის დასაბამი კლასიკური ბუნებითი სამართლის თეორიებშია საძიებელი, თუმცა იგი არ წარმოადგენდა მათ ძირითად ნაწილს: იმდროინდელი იურისტების უმრავლესობას ის მოვალეობები უფრო აინტერესებდა, რაც მოქალაქეებს ღმერთის, სახელმწიფოს ან საზოგადოების წინაშე ჰქონდათ, ვიდრე მოქალაქეების ნებისმიერი უფლება ღმერთთან, სახელმწიფოსთან ან საზოგადოებასთან მიმართებაში<sup>45</sup>. მიუხედავად ამისა, ბევრ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა თავისუფლების პატივისცემის ძლიერი ტრადიცია, რომელმაც მათ ფუნდამენტური სოციალური ღირებულებები შეუქმნა. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება განაცხადონ, რომ თავისუფალნი არიან არაობიექტურ მმართველობისგან და რომ სახელმწიფოს აქვს ამ თავისუფლების შიდა თუ გარე საფრთხისაგან დაცვის ფუნდამენტური (სოციალური თუ იურიდიული) პასუხისმგებლობა, ეს მოსაზრება ზოგჯერ ძირითადი რელიგიების მიერ საღმრთო კანონის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალური ურთერთობების ჩამოყალიბებისათვის ძველ ისრაელში, ათენში, რომსა და მეჩვიდმეტე საუკუნის ნიდერლანდებში<sup>46</sup>. საღმრთო კანონზე დაყრდნობის მთავარი ეფექტი მხოლოდ არსებული რეჟიმის ლეგიტიმურობის დადასტურებაა, თუმცა თვით ეს რეჟიმი ტიპობრივად უფრო აბსოლუტურის კატეგორიას განეკუთვნება, ვიდრე ლიბერალურისას. „მეფის ღვათაებრივობის“ დოქტრინა, რომელსაც მე-17 საუკუნის ინგლისში

---

45 იხილეთ ასევე: A.P. d'Entrèves, *Natural Law: An Introduction to Legal Philosophy* (ბუნებითი სამართალი: შესავალი სამართლის ფილოსოფიაში), 2nd edn. (London: Hutchinson, 1970), ch. 4; R. Tuck, *Natural Rights Theories: Their origin and Development*, Cambridge: Cambridge University Press, 1979), passim; J.J. Shestack, "The Jurisprudence of Human Rights" in T. Meron (ed.), *Human Rights in International Law: Legal and Political Issues* (Oxford: Clarendon Press, 1984), ch.3.

46 იხილეთ: S. Schama, *The Embarrassment of Riches* (London: Collins, 1987), ch 2. ძველი აღთქმის პარალელების მნიშვნელობის შესახებ ჰოლანდიის

სტიუარტთა დინასტიის მმართველობის გარიჟრაჟზე აღიარებდნენ, აბსოლუტიზმისაკენ ისწრაფის, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკლესია ჩამოყალიბებულია.

ამან განაპირობა ის, რომ ლიბერალები განდგნენ ღვთის ნებაზე დამოკიდებულებისგან, რათა, ამის საპირისპიროდ, სამყაროს თვალნათლივი მდგომარეობისა და ადამიანთა ქცევის საფუძველზე აღმოეჩინათ ბუნებითი უფლებები. იდეა, რომ ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ გონივრული განსჯის უნარი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, თავისთავად არ იყო უცხო. მეცამეტე საუკუნის ბუნებითი სამართლის კონცეფცია, რომელიც წმ. თომა აქვინელმა და ღუნს სკოტუსმა ჩამოაყალიბეს, აღიარებდა ადამიანური რაციონალიზმის როლს ღვთის ნების განმარტებაში<sup>47</sup>. ამასთან, მეთვრამეტე საუკუნემ გამოავლინა ადამიანის ბუნებისა და შესაძლებლობებისადმი უკიდურესად ოპტიმისტური დამოკიდებულება. ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულება ადამიანზე, როგორც დაბადებით ღირსეულ და თავისუფალ არსებაზე, რომელსაც შემდგომში გარიგებითი ცივილიზაცია აფუჭებს<sup>48</sup>, მკვეთრად განსხვავდებოდა ტრადიციული ქრისტიანული შეხედულებისგან, რომელიც განიხილავს ადამიანს, როგორც დაცემულ არსებას, რომელსაც ეკლესიის საშუალებით სჭირდება გადარჩენა. მორალური სამყაროს ცენტრში ადამიანის მოთავსებით რუსომ შექმნა ინდივიდუალისტური ფილოსოფია, რომელიც კონცენტრირებული იყო ადამიანის მორალური და ინტელექტუალური დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე. თვითდისციპლინა იყო მორალური სრულყოფის საფუძველი.<sup>49</sup>

- 
- 47 Thomas Aquinas, *Summa Theological*, Qu XCIII, თავი 3 და Qu XCIV თავები 2-4, ღუნს სკოტუსმა გამოიყენა რაციონალიზმის პრინციპები, რათა დამტკიცებინა, რომ საკუთრების მფლობელობა (*dominium*) შეუსაბამო იყო ბუნებით სამართალთან/კანონთან, რადგანაც უმანკობის ქვეყანაში ოპტიმალური გადაწყვეტილებაა საკუთრების ერთობლივი მართვა: Questions in Librium Sententiarum, 15.2, in *Opera Omnia* (Paris, 1894), xvooo. 256-7. დისკუსიისთვის იხილეთ ასევე Tuck, *Natural Rights Theories: The Origin and Development*, 21; d'Entreves, *Natural Law: An Introduction to legal Philosophy*, ch. 3
- 48 Jean-Jacques Rousseau, *Du Contract Social* (1762), Book I, translated by Sir Ernest Barker (ed.), *Social Contract: Essays by Locke, Hume, Rousseau* (London: Oxford University press, 1971), 167-307.
- 49 ანალიზისთვის იხილეთ: J. Plamenatz, *Man and Society: A Critical Examination of Some Important Social and Political Theories from Machiavelli to Marx*, 2nd edn. rev. M. E. Plamenatz and R. Wolker (London: Longman, 1992), ii, ch. 4.

ამგვარ თეორიაში უფლებები, განსაკუთრებით კი ინდივიდუალური თავისუფლებები, დაცული უნდა იყოს საზოგადოების ან სახელმწიფოს მიერ სოციალური მორალის სახელით ჩარევისაგან. რუსოს თვალსაზრისით, ეს უნდა განხორციელებულიყო კანონების მეშვეობით, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებდა ხალხი – კანონები გამოხატავენ „საერთო ნებას“ და გადასახლებისა თუ სიკვდილის შემთხვევაში, ყველასაგან მოითხოვდნენ ლოიალურობის შენარჩუნებას.<sup>50</sup> ეს თეორია გვაძლევს თავისუფლებების ლეგალური დაცვის საფუძველს: თავისთავად საჭიროა კანონები, რომლებიც საზოგადოებრივი ელემენტების შენარჩუნებას უწყობს ხელს, რათა დაცულ იქნეს ის თავისუფლებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ლეგიტიმურობას.

ადამიანის ბუნებისა და თვითდისციპლინის რწმენა, რომელიც გააჩნდა რუსოს, არ იყო რაციონალური. ეს უბრალოდ რწმენა იყო. თუმცა კარგი საზოგადოების ან კარგი ცხოვრების ნებისმიერი რაციონალური სპეკულაცია უნდა იწყებოდეს ადამიანთა ცხოვრებისა და საზოგადოების მიზნების შესახებ რწმენათა კომპლექსით. ადამიანის ბუნებაზე ნაკლებად ოპტიმისტური შეხედულების თვალსაზრისით, ეს მიმართულება არ არის ირაციონალური: საჭიროა საშუალებები ადამიანთა ძირითადი ინსტინქტების საკონტროლებლად, მათ შორის თანამშრომლობის გამყარების მიზნით. თომას ჰობსის მხრიდან ლევიათანისათვის მხარის დაჭერა, ანუ სახელმწიფო, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, არის მაგალითი იმისა, თუ ბუნებითი კანონების რა ფორმა შეიძლება იყოს მიდრეკილი აბსოლუტიზმისაკენ.<sup>51</sup> ამდენად, თავისთავად ბუნებითი კანონი არ არის უფლებების გარანტია, რადგან მისი გამოყენება დამოკიდებული იქნება იმ ადამიანთა პოლიტიკურ მისწრაფებებზე, ვინც მათ ახორციელებს.

საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვის მიზანი იყო ინსტიტუციონალიზებული საერო და არა რელიგიური პოლიტიკური თეორია, ხოლო ბუნებითი კანონი

---

50 სოციალური კონტრაქტი, წიგნი I, 3-6; წიგნი IV.

51 Thomas Hobbes, *Leviathan*, (1651; ed. J. Planets, London: Fontana, 1962), თავები 13, 14, 15, 18, 20, 21; G. S. Kanko, *Hobbesian Moral and Political Theory* (Princeton, NJ) Princeton University Press, 1986), 245.

ნი გამოიყენებოდა რევოლუციური მიზნების მისაღწევად.<sup>52</sup> როდესაც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ აშკარა გახდა, რომ პოპულისტური მთავრობა არისტოკრატიულ ხელისუფლებაზე მეტად აკნინებდა ადამიანის თავისუფლებასა და რაციონალიზმს, ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის გაძლიერდა. ტომ ფეინის მსგავსი აქტივისტები ადამიანის უფლებების იდეალს ინდივიდუალური თავისუფლების ქმედებად გადაქცევის გზად იყენებდნენ. ადამიანის უფლება იძლეოდა ქმედების მიზეზს და, ასევე, ქმნიდა პერსპექტივას მთავრობის პოსტრევოლუციური რეგულირებისათვის. სწორედ ამ როლში გვევლინება ბუნებითი უფლებები როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, ისე — ადამიანის უფლებების შესახებ საფრანგეთის დეკლარაციაში.<sup>53</sup> მას შემდეგ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში სამოქალაქო ბუნებითი კანონიდან წარმოშობილმა თავისუფლების იდეამ გავრცელებული წარმოდგენების მძლავრი გავლენა განიცადა. ინგლისში კი, პირიქით, კანონი განვითარდა ბუნებითი კანონის კონსერვატიული ასპექტების გაუთვალისწინებლად, იმის გარეშე, რომ ჩანაცვლებულიყო ნებისმიერი რამით, რაც ბუნებითი კანონის საფუძვლებზე იქნებოდა დამყარებული; მაგრამ მაინც საკამათოა ის გარემოება, რომ ინგლისის პოზიტივიზმის უმეტესი ნაწილი ბუნებითი კანონის რაციონალისტური ტიპის იდეებს ეფუძნებოდა.

რა თვალსაზრისით არის თავისუფლების დაცვა „ბუნებითი“ არსებობს რამდენიმე გზა, რომელთა მეშვეობით ამტკიცებენ, თითქოს კანონი, თავისუფლება ან უფლებები, ან რაიმე გარკვეული კანონები და თავისუფლებები ბუნების მიერ არის ნაკარნახები. კანონი შეიძლება

---

52 კავშირი სამოქალაქო ფილოსოფიასა და უფლებათა თეორიებს შორის განმარტებულია ე.ჯ. პობსბაუმის ნაშრომი *Age of Revolution 1789-1848*, (London Sphere Books, 1973), სადაც აღნიშნულია, რომ თომას ფეინი ცნობილია პირველი წიგნით, რომელშიც პოპულარულ ენაზეა დემონსტრირებული, რომ ბიბლია არ არის ღვთის სიტყვა (*Age of Reason*, 1794). იგივე აზრია გადმოცემული მის ნაშრომში *Human Rights* (1791). იგი განაგრძობს თავისუფალ ორგანიზაციასა და თავისუფლების ბუნებრივ უფლებას შორის კავშირის განმარტებას.

53 საფრანგეთის შესახებ იხ. G. Rude, *The French Revolution* (London: Weidenfeld & Nicolson, 1988), 59-60; S. Schama, *Citizens*, (London: Viking Penguin, 1989) 746-847. აშშ-ის შესახებ იხ. L. Levy, *Constitutional Opinions: Aspects of the Bill of Rights* (New York: Oxford University Press, 1986), 124-125.

იყოს ბუნებითი, რადგან თვითონ ადამიანის ბუნება განაპირობებს იმას, რომ წესებით შეზღუდვა იყოს გადარჩენის ან ისეთი მიზნების მიღწევის საფუძველი, რომლებიც კაცობრიობის ბუნებრივ მიზანს ემსახურება. ამის სანიხააღმდეგოდ ითქვა, რომ წესები, მოვალეობები და უფლებები არ არის ბუნებითი ფაქტები, არამედ, როგორც ფილოსოფოსები ფიქრობენ, ისინი ნორმატიულია. ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით, ეს უდავოდ მართებულა. ფაქტია, რომ გარდაცვლილთ არ შეუძლიათ კენჭისყრაში მონაწილეობა. მაგრამ, ლოგიკის თვალსაზრისით, აქედან არ გამომდინარეობს, რომ დემოკრატია გულისხმობს სიცოცხლის უფლებას. თუმცა ბუნებითი უფლების არგუმენტაცია არ არის იმის მცდელობა, რომ ღირებულებები უშუალოდ ფაქტებიდან გამომდინარეობდეს.<sup>54</sup> მათი მიზანია, მიიღონ უფლებები არაპირდაპირ, ნორმატიული არგუმენტების ფენებად დანყობის გზით.

ბუნებითი უფლებების შესახებ თეორიამ განაცხადის სიმწირის გამო შესაძლოა განაცვიფროს ზოგიერთი მკითხველი. უფლებები არ მოიაზრება როგორც მუდმივი, შეუცვლელი ან უნივერსალური და არ არის აუცილებელი, რომ რომელიმე მათგანი მივიჩნიოთ აბსოლუტურად (თუმცა არც ის არის აუცილებელი, რომ აბსოლუტური უფლებების არარსებობა ვამტკიცოთ).<sup>55</sup> შეცდომა იქნება, თუ ბუნებით უფლებებს ან ბუნებით კანონს ბუნებაზე (ადამიანისა თუ სხვ.) უფრო ჩამოყალიბებულად ან უცვლელად მივიჩნევთ. იმის თქმა, რომ უფლება ბუნებითია, ნიშნავს იმის აღიარებას, რომ უფლება წარმოიშვება მოცემული საზოგადოების შეხედულებიდან ადამიანის ბუნების შესახებ და ამ საზოგადოების წევრთა მისწრაფებებისა და პასუხისმგებლობებისაგან. საზოგადოება იცვლება და ამ ცვლილების ხასიათს ფაქტორთა სიმრავლე განსაზღვრავს. შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ უფლებები, რომლებიც სოციალური ორგანიზაციის კაპიტალისტურ ფორმაში ჩამოყალიბდა, პოსტკაპიტალისტურ საზოგადოებაში (რა ფორმაც უნდა ჰქონდეს მას) არ იქნეს მიჩნეული ბუნებითად.

ამგვარად, ბუნებით უფლებათა თეორიები დაფუძნებულია მორალური და პოლიტიკური ანალიზის, სოციალური ფსიქოლოგიისა და

---

54 Finnis, *Natural Law and Natural Rights*, 33-48.

55 აბსოლუტური უფლებების არსებობის მხარდამჭერი არგუმენტების განსახილველად იხ.: Gewirth, *Are there Any Absolute Rights?* in J. Waldron *Theories of Rights* (Oxford University Press, 1984), 91-109.



პრაქტიკული მიზეზების ნაზავზე. ბუნებითი უფლებები არ ერწყმის იდეალის, მუდმივი კონცეფციის პლატონისეულ გაგებას.<sup>56</sup> ისინი ისეთივე მტკიცე, რეალური, ცვალებადი და მოუხელთებელია, როგორც თვით ბუნება. ამასთან, „ბუნებითი“ უფლებები არ უნდა დაეუპირისპიროთ „ადამიანურ“ ან „სოციალურ“ უფლებებს.

### პოზიტიური უფლებები, უტილიტარიზმი და ლეგალური პოზიტივიზმი

პოზიტიური უფლებების ტრადიცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ლეგალურ პოზიტივიზმთან, ისევე, როგორც ბუნებითი უფლებების ტრადიციაა დაკავშირებული ბუნებითი კანონების თეორიებთან. ისტორიულად, ლეგალური პოზიტივიზმი მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე რაციონალისტური, რეფორმისტული იდეიდან წარმოიშვა ბრიტანეთში. კერძოდ, იგი უტილიტარიზმის პირმოა<sup>57</sup> და განვითარდა, როგორც რეაქცია ჯერემი ბენტჰემის კონცეფციაზე, რომლის თანახმადაც კონსერვატორი იურისტები იმისათვის იყენებდნენ ბუნებით კანონს, რომ სოციალური რეფორმის გატარებისას კანონმდებლობის გამოყენება შეეფერხებინათ.<sup>58</sup> ბენტჰემი თავს ესხმოდა ბუნებითი უფლებების იდეას, რომელიც, მისი ხედვით, დროდადრო მოქმედებდა როგორც რეფორმის შეზღუდვის არალეგალური მექანიზმი, ხოლო ზოგჯერ იმ კანონიერი უფლებამოსილების შელახვას იწვევდა, რომელზეც დამოკიდებული იყო თვით რეფორმა.<sup>59</sup> ბენტჰემისათვის ლეგიტიმური, გატარებადი უფლებები არ იყო ბუნებითი, არამედ ისინი გამომდი-

---

56 ყველაზე გავრცელებული კრიტიკისათვის იხ.: J. Bentham, *Anarchical Fallacies*, in J. Bowring, 491. განონასწორებული, რაციონალისტური მიდგომისათვის იხ.: d'Entreves, *Natural Law: An Introduction to Legal Philosophy*, ch. 4. ბუნებრივი უფლებების თეორიების ისტორიული საფუძვლების დეტალური განხილვა წარმოდგენილია Tuck, *Natural Rights Theory: Their Origin and Development*. შედარებით მოკლე მოხსენება მოცემულია ე. კამენკას *Anatomy of Idea*.

57 H. L. A. Hart, *Essay on Bentham* (Oxford: Clarendon Press, 1982), ch. 4; E. Halevy, *The Growth of Philosophical Radicalism* (London: Faber & Faber, 1972), 155-181.

58 იხ.: G. Posner, *Bentham and Common Law Tradition* (Oxford: Clarendon Press, 1986), თავი 8.

59 H. L. A. Hart, *Essays in Jurisprudence and Legal Philosophy* (Oxford: Clarendon Press, 1982), თავები 8 და 9.

ნარეობდა კანონებიდან, რომლებიც სახელმწიფოს უზენაესმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, სუვერენულმა კანონმდებელმა გაატარა. თავისუფლებათა სპექტრი ყოველთვის უნდა შემუშავდეს, პირველ რიგში, პოლიტიკური გზით და მხოლოდ ამის შემდეგ — ლეგალური პროცესების მეშვეობით.

იმ უფლებათა დაკარგვის რისკმა, რომლებსაც უტილიტარისტებისთვისაც კი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთები აიძულა ელიარებიანთ, რომ კლასიკური უტილიტარიზმი ენეოდა ამგვარი უფლებების დამატებით დაცვას ტკივილისა და სიამოვნების მინიჭების მარტივი თანაფარდობის წინაშე. რამდენადაც შეუძლებელია რომელიმე უფლების აბსოლუტურად დაცვა თავისუფლებათათვის გარკვეული ფარის შესაქმნელად, აუცილებლად უნდა განსაზღვრულიყო როგორც დაცული ინტერესების რანგი, ისე საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც დასაშვები იქნებოდა თავისუფლების უფლებაში გარეშე ჩარევა. ოღონდ იმის შეფასებისას, საკმარისად დამუშავდა თუ არა ეს საფუძველები კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია სიამოვნებისა და ტკივილის თანაფარდობის გათვალისწინება. ყველაზე საყურადღებო მცდელობა ამ გზით უტილიტარიზმში ცვლილებების შეტანისა გააკეთა ჯონ სტიუარტ მილმა თავის ესეში *თავისუფლების შესახებ*, რომელიც 1859 წელს გამოქვეყნდა. იგი ქადაგებს თავისუფლების პირველადობას და ამტკიცებს, რომ პიროვნებას ან საზოგადოებას მხოლოდ საკუთარი თავის დაცვის მიზნით შეუძლია ლეგალურად მოახდინოს სხვა ადამიანების იძულება და კონტროლი. ამ დებულების დაცვისას იგი ეყრდნობოდა შემდეგ არგუმენტაციას: აზრისა და გამოხატვის თავისუფლება იმიტომ უნდა იყოს დაცული, რომ შეხედულებათა დაფარვისას ადამიანს არ შეუძლია იცოდეს, მართალი იყო ისინი თუ მცდარი. სიმართლის დაკარგვის რისკი ძალზე სერიოზულია იმისათვის, რომ იგი გამართლდეს უტილიტარისტულ საფუძველზე; შეხედულება ღირებულია, თუნდაც იგი მცდარი იყოს, რადგანაც მისი მცდარობის დემონსტრირებით სიმართლე მეტ ძალას იძენს. ინდივიდუალობა ღირებულია იმდენად, რამდენადაც ნაირფეროვნება აძლიერებს ღირებული აღმოჩენებისა და ინოვაციების შანსს; ინტელექტუალური და ბაზრის თავისუფლებები ზრდის ყველასათვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობათა რაოდენობას. ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნული ლიბერტარული ინდივიდუალიზმის შემთხვევაში, სახელმწიფოს როლი უნდა შემცირდეს; საქმიანობის განევის უფლება ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც კი უნდა და-

ეთმოს კერძო სექტორს, როცა მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ორგანიზაცია ამ საქმიანობას უკეთ წარმართავს, რადგან სამუშაოს შესრულების მცდელობა გააღრმავებს ადამიანთა გამოცდილებას და მათ ახალი ძალისხმევის სტიმულს მისცემს. ეს კი, საბოლოოდ, სასარგებლოა მათთვისაც და (შესაძლოა) ზოგადად საზოგადოებისთვისაც.<sup>60</sup>

თუ კონკრეტული იურისდიქციის კონსტიტუციური კანონმდებლობა გვაძლევს ამის საშუალებას, კანონმდებლობამ უნდა დაიცვას აღნიშნული თავისუფლებები. თუმცა ინგლისელი პოზიტივისტები გარკვეულ პრობლემებს წააწყდნენ უფლებების დამტკიცებასთან დაკავშირებით. ამისათვის არსებობს ორი მიზეზი. პირველი ისაა, რომ ინგლისის და, შესაძლოა, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კანონმდებლობა უკანასკნელ დრომდე არ აწესებდა რაიმე შეზღუდვებს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის საკანონმდებლო კომპეტენციაზე. პარლამენტის სუვერენიტეტის ამ ექსტრემალური ვერსიის პარადოქსალურ შედეგად მოგვევლინა ის, რომ პარლამენტს თეორიულად არ შეეძლო საკუთარი უფლებამოსილებისათვის ლიმიტის დაწესება მაშინაც კი, თუ ის შეზღუდავდა პირობებს, რომლებითაც იგი შემდგომ ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და უფლებებში ჩარევას შეძლებდა. ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ევროგაერთიანების ზენაციონალურ იურიდიულ წყობას დაექვემდებარა, ამ დოქტრინამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ იგი გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებს იმ სფეროებში, რომლებიც, ჯერ-ჯერობით, არ ექვემდებარება გაერთიანების კანონებს.<sup>61</sup>

მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ბრიტანეთის დემოკრატიულ თეორიაში, ისევე, როგორც მის იურიდიულ დამატებაში — პოზიტივისტურ თეორიაში — დომინირებს იდეა, რომ ელექტორატის უფლება, საარჩევნო ყუთის მეშვეობით გამოხატოს თავისი პოლიტიკური შეხედულება, საკანონმდებლო ლეგიტიმურობის უდიდეს წყაროს წარმოად-

60 J.S. Mill, *On Liberty*, თავები 2 და 4.

61 იხ.: J. Jaconelli, *Enacting a Bill of Rights*, (Oxford: Clarendon Press, 1980). ეს საკითხი განხილულია მე-2 თავში.

62 P.P. Craig, *Bentham, Public Law and Democracy* [1987] 42, 407-27; P.P. Craig, *Bentham, Public Law and Democracy in the United Kingdom and the United States of America* (Oxford: Clarendon Press, 1991), თავი 2.

გენს.<sup>62</sup> უფლებათა დარღვევა განიხილება, როგორც ანტიდემოკრატიული ქმედება, რომელიც ზღუდავს მოქალაქეთა უფლებამოსილებას საარჩევნო ყუთთან, აგრეთვე მათ მიერ თემთა პალატაში, ანუ პარლამენტის წამყვან ნაწილში არჩეული წარმომადგენლების საკანონმდებლო ძალაუფლებას; სამაგიეროდ, ხშირად აძლიერებს მოსამართლეთა უფლებამოსილებას. გაერთიანებულ სამეფოში მოსამართლე არ არის არჩევითი თანამდებობა. ის არ არის ანგარიშვალდებული ელექტორატის წინაშე. მას არც ის აუცილებელი ინფორმაცია აქვს, რაც ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით წამოჭრილი სოციალური საკითხების გადაჭრას სჭირდება და არც პროცედურული მექანიზმი, რაც ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად არის საჭირო.<sup>63</sup> ამ განხილვებს მივყავართ პირდაპირ სამოქალაქო თავისუფლებებსა და ადამიანის უფლებათა პოლიტიკურ ასპექტებთან.

### კავშირი ბუნებით და პოზიტიურ უფლებებს შორის

ამ სექციაში მოცემულია დასკვნები ბუნებითი და პოზიტიური უფლებების თეორიათა გამოყენების შესახებ, რამდენადაც ეს არის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ კანონების საფუძველი. პოზიტიური და ბუნებითი უფლებების თეორიები საკმაოდ ძლიერია, მაგრამ არც ერთს არ შეუძლია დამოუკიდებლად ეფექტური მოქმედება. თუკი უფლებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მორალურ ღირებულებათა გათვალისწინებით, მაშინ ბუნებითი კანონის ელემენტი (ბუნებითი კანონის იმ მნიშვნელობით, რომელიც ზემოთაა მოცემული) არის ის აუცილებელი საფუძველი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ადამიანის უფლებათა შესახებ კანონები. მეორე მხრივ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მორალური ღირებულებების განსაზღვრა არცთუ სასარგებლო იქნება, თუ მათ უპატივცემულოდ მოეპყრობა ადამიანი. პოლიტიკურმა სისტემამ უფლებათა სქემას სოციალური აღიარება და იურიდიული ძალა უნდა მიანიჭოს და უნდა აქციოს იგი პოზიტიურ კანონად. მხო-

---

63 J. A. Griffith, *The Political Constitution* (1972), 42 1-21, 16; P.P. Craig, *Bentham, Public Law and Democracy in the United Kingdom and the United States of America* (Oxford: Clarendon Press, 1991), თავი 7.

ლოდ ლეგალური პოზიტივიზმი არ კმარა იმ ინტერესების იდენტიფიკაციისათვის, რომლებიც უნდა დაიცვას უფლებებმა. რადგანაც პოზიტივიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ნეიტრალური იყოს სხვადასხვა არაიურიდიულ ღირებულებათა შორის, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ გვიჩვენოს, თუ როგორ შეიძლება ამგვარი ღირებულებების გარდაქმნა ლეგალურ კანონებად; მაგრამ პოზიტიური კანონისა და იურიდიული დანესებულებების ატრიბუტები, გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენს უფლებების დაცვასა და საგანმანათლებლო, იძულებითი და სიმბოლური როლების შესრულებაში.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გარკვეული ბუნებითი კანონები და უფლებების მიმართ პოზიტივისტური დამოკიდებულება ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთმანეთს ავსებს. და მართლაც, პოზიტიური კანონის ეს ნაწილები, რომლებიც შედგება სწორი ან სასურველი ქცევის ჩამონათვალისაგან, გულისხმობს ქცევის ამ ფორმების მართებულობას. მართებულობის ამგვარი იდეა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ სოციალურ და მორალურ სისტემათაგან, რომლებიც კანონისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ.<sup>64</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბენტჰემმა დაგმო ბუნებითი კანონი,<sup>65</sup> კანონის ყველა რეფორმატორმა უნდა დაინყოს ჯერ ზეიურიდიული მიზნებითა და სტანდარტებით და მხოლოდ შემდეგ შეუდგეს მათ დანერგვას პოზიტიურ კანონში. ბენტჰემმა, თუ მას სწორად განვმარტავთ, იერიში მიიტანა ბუნებითი კანონის ისეთ მოძველებულ გაგებაზე, როგორიც ბლექსთონს ჰქონდა. ეს უკანასკნელი ბუნებით კანონს განიხილავდა როგორც წესების დეფინიციურ და უცვლელ კომპლექსს, განსხეულებულს საერთო კანონში.<sup>66</sup>

შეუძლებელია იმ ღირებულებების განსაზღვრა, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება ყველა საზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ რომ ვთხოვოთ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენ-

---

64 ლეგალურ კანონწარმოებასა და მორალურ სტანდარტებს შორის ამგვარი კავშირის მნიშვნელობა განხილულია რ. დეორკინის ნაშრომში *Taking Rights Seriously* (London: Duckworth, 1977) და *Law's Empire* (London: Fontana, 1986), იხ: ასევე, C. Palley, *The United Kingdom and Human Rights*, (London: Sweet & Maxwell, 1991), თავი 1.

65 ყველაზე ცნობილი მაგალითი მოცემულია მის ნაშრომში *Anarchical Fallacies*, 56.

66 იხ.: Postema, *Bentham and the Common Law Tradition*, 328-36

ლებს, ჩამოთვალონ 10 ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება და თავის-  
უფლება, ზოგიერთი უფლება ამ ჩამონათვალთა უმეტესობაში, ალბათ,  
განმეორდება. რა სახის უფლებებია ესენი?

ჰ.ლ.ა. ჰარტის თანახმად, თუ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა ბუ-  
ნებითი უფლება, იგი უნდა მოიცავდეს თავისუფლების უფლებას, რამ-  
დენადაც სხვა უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაშია ღირებული, თუ ადა-  
მიანს აქვს უფლება, იყოს თავისუფალი ამ უფლებების გამოყენების  
თვალსაზრისით.<sup>67</sup> ეს მიმზიდველი შეხედულება წარმოადგენს ბევრი ლი-  
ბერალური აზრის საფუძველს, მაგრამ იგი მთელ რიგ ცვალებად ფაქტორ-  
ებზეა დამოკიდებული. ამ სექციაში ბუნებრივი და პოზიტიური უფლე-  
ბების განხილვა მოცემულია ოთხი ამგვარი ფაქტორის წამოწევით.

### განსახილველი უფლებები

თავისუფლების უფლების იდეა გვეხმარება ავხსნათ ისეთი ნეგატი-  
ური უფლებები, როგორცაა სიტყვის თავისუფლება და უკანონო პა-  
ტიმრობისაგან თავისუფლება. თუკი არ არსებობს ამგვარი თავისუფ-  
ლებების დაცვის უფლება-განაცხადი, კანონში მათი გატარება შეუძ-  
ლებელი ხდება. თუმცა თავისუფლების უფლება არც აუცილებელი და  
არც საკმარისი პირობაა პოზიტიური უფლებების აღიარებისათვის. თა-  
ვისთავად, სოციალური და ეკონომიკური უფლებები მიჩნეულია იმ ნე-  
გატიურ უფლებათა გამოყენების წინაპირობად, რომლებიც კლასიკუ-  
რი ლიბერალური თეორიის ნაწილს წარმოადგენენ. ამგვარად, თავი-  
სუფლების უფლება, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებთან ერთად,  
შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნეგატიური უფლებების (არჩევანის  
თავისუფლება) გამოყენების პირობა.

### (ii) უფლებები და სოციალური ორგანიზაციის ბუნება

თავის მხრივ, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბუნებითი უფლებების კონ-  
ცეფცია განპირობებულია პოლიტიკურ ღირებულებათა გარკვეულ  
წყებაზე. მართლაც, უფლებებზე მსჯელობა შეიძლება აღვიქვათ რო-

---

67 H. L. A. Hart, *Are there any Natural Rights?* (1955), 64, *Philosophical Review*, 175-191.

გორც მსოფლმხედველობის იმგვარად გამოხატვა, რომ ასეთ პოლიტიკურ ღირებულებებს დამატებითი რიტორიკული ძალა მიეცეს. ამგვარი მოსაზრებები ბრწყინვალედ განავეითარა რიჩარდ რორთმა თავის ნაშრომში, რომელსაც „გაუთვალისწინებლობა და ირონია“ უწოდა<sup>68</sup>.

თავისუფლებისადმი ირონიული მიდგომა ადამიანთა მდგომარეობას და მათ ღირებულებებს განიხილავს უფრო როგორც შემთხვევით, ვიდრე გარდაუვალ მოვლენას. ადამიანები აღიქვამენ რეალობას ისე, როგორც ხედავენ და ეს განპირობებულია შემთხვევითობით, რომლის ახსნასაც ისინი კონკრეტულ მომენტში მათთვის უფრო გამოსადეგი ენით ცდილობენ. ირონიული ადამიანი კი რადიკალურ და მუდმივ ეჭვებს ინარჩუნებს იმ ლექსიკის მიმართ, რომელიც სამყაროსა და ღირებულებების აღსაწერად გამოიყენება. ის არ იყენებს ამ ლექსიკურ მარაგს თავისი ეჭვების გასაფანტად და მოვლენებისა და ღირებულებების აღწერისთვის მიმართავს სხვა ხერხებს („ენები“), რათა ნახოს, ხომ არ აღმოჩნდება ისინი უფრო გამოსადეგი<sup>69</sup>. ასეთი დამოკიდებულება ერთმანეთს აშორებს თავისთავად ცხადი საგნების ენასა და კაცობრიობისა და საზოგადოების არსებით ბუნებას.<sup>70</sup> ასეთი მიდგომით მიზანშეუწონელია დაისვას კითხვები ან გაიცეს პასუხები საგნების, სიმართლის ან მორალურობის არსის შესახებ. ადამიანს შეუძლია შეცვალოს სამყარო, თუ მას ხელახლა აღწერს ახალი ენით. ლიბერალური საზოგადოების უპირატესობა არალიბერალურ საზოგადოებასთან შედარებით სწორედ ახალი ენების განვითარების შესაძლებლობაში მდგომარეობს. იგი ადამიანს უფრო დიდ შესაძლებლობას აძლევს იმ ენის არჩევისათვის, რომელიც უკეთ უწყობს ხელს მისი მიზნების განხორციელებას<sup>71</sup>. ახალი ხედვის იდეა განსხვავდება მილის მიერ განვითარებული პოზიციისგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ ახალი ხედვისთვის მზადყოფნა აუცილებლად გამოიწვევს უფრო კარგად გაგებული და კარგად ორგანიზებული სამყაროს არსებობას, მაშინ როდესაც რორთი ამტკიცებდა, რომ ამით მხოლოდ განსხვავებულად გაგებული და განსხვავებულად ორგანიზებული სამყარო შეიქმნება, რომელიც, შესაძლებელია, გარ-

---

68 R. Rorty, *Contingency, Irony and Solidarity* (Cambridge: Cambridge University Press, 1989).

69 იქვე, 73.

70 იქვე, თავი 2 და 3.

71 იქვე, თავი 1.

კვეულნილად უკეთესიც იყოს (თუმცა ასეთივეა ალბათობა იმისა, რომ იყოს უარესი).

რორთის თანახმად, თავისუფლებისა და ლიბერალური საზოგადოების მისეული ხედვის უპირატესობა ვლინდება იმ უნარში, რომ თავისუფლების მნიშვნელობას იგი სხვებზე უკეთ არგებს მორალური პლურალიზმის დომინანტურ ეთიკას. ის (ენის მიერ დადგენილ ფარგლებში) ანიჭებს პიროვნებას თავისუფლებას — თვითონ გადაწყვიტოს, თუ როგორ მოახდინოს თავისუფლებების ფორმულირება იმ სახით, რომ უკეთ გაიაზროს განსხვავებულ მორალურ იმპერატივთა შეთავსების ფორმა. რასაკვირველია, თავისთავად ირონია არ გვეხმარება არც სისტემის და, შესაბამისად, არც იმ მიზნების არჩევანში, რისთვისაც ჩვენ მსოფლმხედველობის შეცვლა გვჭირდება. ამასთან, იგი ხაზს უსვამს იმ აუცილებლობას, რომ უფლებების ნებისმიერი კონცეფცია როგორც სოციალურად, ისე ინსტიტუციონალურად მისაღები იყოს. უფლებების შესახებ თეორიული მსჯელობის სარგებლობა მანამ იქნება შეზღუდული, სანამ ყველა, ვისაც ეს ეხება, არ მიიღებს უფლებების ერთსა და იმავე ენას.

### (iii) კონსტიტუციური და პოლიტიკური კულტურა

რორთის იდეის ეს ბოლო ასპექტი ნათელს ჰფენს უფლებების იდეების სხვა მახასიათებელს, რომელიც უკვე ვახსენეთ თავისუფლების უფლების შესახებ ჰართის მოსაზრებასთან მიმართებაში. ორივე: როგორც ადამიანის ხელთ არსებული უფლებები, ისე მათი დაცვისა და განხორციელების შესაძლებლობაც — გამომდინარეობს პოლიტიკური და კონსტიტუციური კულტურიდან, რომელიც უფლებების შესახებ მსჯელობისათვის სწორ ენას გვკარნახობს. ამით ის განამტკიცებს არსებულ ვითარებას და ამცირებს ხალხის ან საზოგადოებრივი ფიგურების მიერ სერიოზული მსჯელობის შესაძლებლობათა ალბათობას. მიუხედავად ამისა, ისეთ კონკრეტულ საზოგადოებაში, როგორიც, მაგალითად, დიდ ბრიტანეთშია, პოლიტიკურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს კულტურათა თანაარსებობა. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც არ არის შეთანხმებული, თუ რა ფორმით ანარმოოს დისკუსია უფლებების შესახებ. როგორც ამ ნაწილშია ნაჩვენები, უფლებების კონცეფციები წინააღმდეგობრივია.



დიდი ბრიტანეთის სამართლებრივი კულტურის ტრადიციულად დომინანტური კონცეფცია ეფუძნება ლიბერალურ თეორიას. ძირითადი თავისუფლებები დომინირებდა უფლება-განაცხადებზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოების ნაწილია, რომელმაც განავითარა სახელმწიფოს უფლება-განაცხადთა ენა, შეუსაბამობა მაინც არსებობს, ერთი მხრივ — ტრადიციული ინგლისური კანონის ენასა და კულტურას და, მეორე მხრივ — ადამიანის უფლებების იმ საერთაშორისო ენასა და კულტურას შორის, რომელსაც დანარჩენი სახელმწიფოები იზიარებენ<sup>72</sup>. 1998 წლის ადამიანის უფლებების აქტი აახლოებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონსა და დიდი ბრიტანეთის მუნიციპალურ კანონს, რაც, თავისთავად, ინსტიტუციური წინააღმდეგობების დაძლევის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯად ითვლება.

#### 1.4. უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა

ბოლო საკითხი, რომელსაც ეს ნაშრომი ეხება, უკავშირდება უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ურთიერთკავშირს. მორალურ ავტონომიაზე დაფუძნებული უფლებების აღიარებით სახელმწიფო იმასაც აღიარებს, რომ დღესდღეობით ზოგიერთი საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება უფრო კერძო სფეროს საქმეა, ვიდრე საზოგადოებრივის. ცხოვრების საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის ასეთი განსხვავება მოიაზრება, როგორც ფუნდამენტური დიქოტომია ლიბერალურ საზოგადოებასა და სამართლებრივ სისტემას შორის. ეს არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ან საზოგადოებას არა აქვთ საკითხის დეტალური შესწავლის კანონიერი ინტერესი. პირიქით, იგულისხმება, რომ კერძო სფეროს საკითხებთან მიმართებაში ინდივიდის არჩევანს მეტი პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე საზოგადოებრივ პრეფერენციებს.

შეიძლება დაეუშვათ, რომ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა თავისუფლებასა და დემოკრატიას შორის და, ამდენად, პირადი ავტონომიის შექმნა და სასამართლოების მიერ მისი დაცვა ხელს უშლის ამ სფეროში გადაწყვეტილების მიღების ნორმალურ დემოკრატიულ პრო-

72 იხ.: A. Lester "Fundamental Rights: The United Kingdom Isolated" [1984], PL 46-72.

ცეს. ეს განსაკუთრებით აღელვებთ დემოკრატებს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს კონსტიტუციურად დანერგილი და იურიდიულად გატარებული უფლებათა ბილი. მაგალითად, აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება უკრძალავს კონგრესს ისეთი კანონების მიღებას, რომელიც ზღუდავს პრესის თავისუფლებას. ამით იზღუდება ხალხის წინაშე დემოკრატიულად ანგარიშვალდებული წარმომადგენლების ძალაუფლება. გარდა ამისა, კანონის უზენაესობა პოლიტიკურად დამოუკიდებელ მოსამართლეებს აკისრებს იმ ვალდებულებას, რომ განსაზღვრონ კონსტიტუციური საკითხები, უფლებათა მნიშვნელობა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების ზღვარი. თუმცა, დემოკრატიასთან თავისუფლებათა ან უფლებათა შეუსაბამობა ორი მიზეზის გამო არ არის ისეთი გადაუჭრელი ამოცანა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს; პირველი: კერძო და სახელმწიფო სფეროების გამიჯვნა სახელმწიფო დებატებისა და გადაწყვეტილებების სფეროს წარმოადგენს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინდივიდუალური უფლებები კონსტიტუციურად განსაზღვრულია და კანონმდებლობის რიგითი ცვლილებებისაგან დაცული, რამდენადაც ყოველ კონსტიტუციას აქვს ცვლილებების შეტანის პროცედურა. ის მოსამართლეებიც კი, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ უფლებათა კონსტიტუციური დაცვის სპექტრი, ამ საკითხების ირგვლივ მიმდინარე სახელმწიფო დებატების გავლენის ქვეშ ექცევიან. სწორედ ამ მიზეზით, როცა აშშ-ის უზენაეს სასამართლოში ახალ მოსამართლეებს ნიშნავენ, მიიჩნევენ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია მათი პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინება. ამან გამოიწვია ვრცელი პოლიტიკური დისკუსია სენატის იურიდიულ კომიტეტში, რაც იმით დასრულდა, რომ სენატმა უარყო პრეზიდენტ რეიგანის მიერ დანიშნული მოსამართლე ბორკი<sup>73</sup> და საბოლოოდ დაამტკიცა მოსამართლე ქლარენს თომასის კანდიდატურა, რომელიც 1991 წელს მოსამართლე თარგუდ მარშალის ნაცვლად დაინიშნა.

მეორე: მოქალაქეებს უნდა გააჩნდეთ გარკვეული გარანტირებული უფლებები, რათა შემუშავდეს და შენარჩუნდეს ეფექტური დემოკრატიული სტრუქტურა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სწორად მოქმედი დემოკრატია იმ ქვეყანაში, სადაც ხალხს არა აქვს თვითგამოხატვის

---

73 იხ.: ფ. ფობითი, *კონსტიტუციური ინტერპრეტაცია* (ოქსფორდი, ბეიზილ ბლეიქელი, 1991), 83-108.

თავისუფლება, თავისუფალი პრესა, ხმის უფლება, პროტესტის თავისუფლება და სადაც არაფერი იცავს მათ სამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შემთხვევითი დაპატიმრებისაგან. ეს უფლებები ფუნდამენტურია დემოკრატიისა და თვით მოქალაქეობრიობის იდეის განვითარებისათვის.” მათი გაუქმება არ შეეძლოთ დემოკრატიაზე პასუხისმგებელ პირებს, რადგან ამით თვით დემოკრატიას აყენებდნენ საფრთხის წინაშე. ეს უფლებები ფორმულირებულია და მათ დასაცავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი გზა (კონსტიტუციური კანონი თუ პოლიტიკური კონვენცია). არასწორი იქნება იმის მტკიცება, თითქოს, თვით დემოკრატიისათვის ფუნდამენტური უფლებების თვალსაზრისით, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირთა უფლებამოსილებების შეზღუდვაში იყოს რაიმე არადემოკრატიული.

---

74 თ. ჯანოსკი, *მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება* (ქემბრიჯი, ქემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 1998), თავი 2; სერ ჯონ ლოუზი, *კანონი და დემოკრატია* (1995), 72-93; ჯეფრი ჯოუელი, *სამართლის ნორმის გარეთ: კონსტიტუციური იურიდიული განხილვა* (2000), 671-683.

## თავი 2

### **აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორება: ისტორიული ექსკურსი და მეთოდოლოგია**

#### **შესავალი**

1791 წელს კონგრესმა კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, რომელიც უფლებათა ბილის სახელითაა ცნობილი. ამ ცვლილების პირველ მუხლს პირველი შესწორება ეწოდება და აზრის, სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას შეეხება. 1787 წლიდან დღემდე, კონსტიტუციის თავდაპირველი ტექსტის მეხუთე თავის შესაბამისად, კონგრესმა წარმოადგინა და ცალკეული შტატების მიერ რატიფიცირდა ოცდაშვიდი შესწორება.

პირველი შესწორების შესაბამისად, კონგრესმა არ უნდა მიიღოს არც ერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას; რომელიც აღკვეთს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებასა და პეტიციით მთავრობისადმი მიმართვის ნებას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები (რატიფიცირებულია 1791 წ. დეკემბერში).

#### **შინაარსი, ისტორია და თეორია<sup>1</sup>**

ზოგიერთ იურისტს მიაჩნდა, რომ აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული აკრძალვა მხოლოდ და მხოლოდ კონგრესზე ვრცელდებოდა. საერთო სამართლის ის ნორმები,

---

<sup>1</sup> T. Daniel Shumate, First Amendment, West Group, West Nutshell Series 1993.

რომლებიც ეხება ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას, სასამართლო ბრძანებებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების იძულებით მოქმედებებს, პირველი შესწორების მოქმედების სფეროს მიღმა უნდა დარჩენილიყო. თავდაპირველად, სანამ სასამართლო და კომენტატორები მოახდენდნენ პირველი შესწორების ინტერპრეტაციას, მიჩნეული იყო, რომ მასში ნაგულისხმები შეზღუდვა მხოლოდ კონგრესზე ვრცელდებოდა, თუმცა დღეისათვის უდავოა, რომ შესწორებით გათვალისწინებული გარანტიები თანაბრად ვრცელდება ფედერალური ხელისუფლების ყოველგვარ საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ ვერ შეძლო იუსტიციის სამინისტრომ გახმაურებულ საქმეში — „Pentagon Papers“ — შეეზღუდა წამყვანი გაზეთებისათვის იმ მასალების გაშუქება, რომელიც ვიეტნამის ომში მიმდინარე ამბებს ეხებოდა. პირველი შესწორებით დაწესებული შეზღუდვები ასევე შეეხება ფედერალური სასამართლო სისტემისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებებს.

პირველი შესწორების სიტყვასიტყვითი განმარტებით იმ დასკვნამდე შეიძლება მისვლა, რომ მასში გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების გარანტიები არ ვრცელდება შტატებზე. მედისონის წინადადება, რომ შეზღუდვები შტატების საქმიანობაზეც გაეგრძელებინათ, არ გაიზიარეს. უფრო მეტიც, 1833 წელს საქმეზე „Barron v Baltimore“ დაადგინეს, რომ უფლებათა შესახებ ბილის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ფედერალურ ხელისუფლებაზე, თუმცა საქმეში „Gitlow v New Yourk“ (1925) უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლება „ადამიანის იმ ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა შორის მოიაზრება, რომლებიც დაცულია მე-14 შესწორების შესაბამის დებულებებში, რაც ასევე ვრცელდება შტატებზე.“ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყველა შტატი ვალდებულია, დაიცვას პირველი შესწორებით გათვალისწინებული გარანტიები. არსებობდა მოსაზრება, რომ მე-14 შესწორებაში არსებული დებულებები სიტყვის თავისუფლების შესახებ ნაკლები ძალისა და ეფექტის მქონე იყო შტატებთან მიმართებაში, ვიდრე პირველ შესწორებაში საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული დამცავი მექანიზმები, თუმცა ამ აზრმა ვერ ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა (იხ.: საქმე „Roth v United States“ (1957)). მე-14 შესწორებაში არსებული გარანტიები, რომლებიც სიტყვის თავისუფლების ხელმყოფი შტატების ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგაა მიმართული, ზუსტად იმგვარადვე იქნა გაგებული, როგორც

ფედერალური ხელისუფლების მსგავსი ქმედებების წინააღმდეგ მიმართული პირველი შესწორების დებულებები.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბლეკი მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორების პროექტი პირველი მოწვევის კონგრესის მიერ მომზადდა ყველა სათანადო პირობისა და ინტერესთა ბალანსის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მასში მოცემული აკრძალვა აბსოლუტურია. მიუხედავად პირველი შესწორების აბსოლუტური ბუნებისა, ხელისუფლება მრავალ შეზღუდვას უნესებს პრესისა და სიტყვის თავისუფლებას, რაც გამოიხატება კანონმდებლობაში ცილისწამების, უხამსობის, შანტაჟის, ცრუ ჩვენების აკრძალვისა და თაღლითობის შესახებ შესაბამისი მუხლების შეტანაში. საქმეში „Schenck v United states“ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰოლმსმა განმარტა: „სიტყვის თავისუფლების შესახებ თვით ყველაზე იდეალური კანონიკი ვერ იხსნის პასუხისმგებლობისაგან პირს, რომელმაც თეატრში ხანძრის გაჩენის შესახებ ცრუ განცხადება ატეხა და პანიკა გამოიწვია.“

როგორ უნდა შეთავსდეს ერთმანეთთან პირველი შესწორების „აბსოლუტიზმის“ მომხრეებისა და მოსამართლე ჰოლმსის გამონათქვამები? ამისათვის საჭიროა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ პირველი შესწორების ტექსტს. კონსტიტუციური გარანტია იცავს სიტყვის თავისუფლებას ყოველგვარი შეზღუდვისაგან, თუმცა სიტყვის თავისუფლებაზე დაწესებული ყოველგვარი შეზღუდვა არ გულისხმობს „შეზღუდვას“ პირდაპირი გაგებით. არც ფრაზა „სიტყვისა და პრესის თავისუფლება“ გულისხმობს, რომ ნებისმიერი სიტყვა, წარმოთქმული თუ დაწერილი, აუცილებლად დაცულია. პირველი შესწორების ამგვარი გაგებაც არაერთ ანალიტიკურ პრობლემას წარმოშობს. საინტერესოა, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია თავად სიტყვას „შეზღუდვა“? რა ურთიერთობები მოვიპოვებთ ფრაზაში „სიტყვისა და პრესის თავისუფლება“? პირველი შესწორების განმარტებისათვის მნიშვნელოვანია მისი ავტორების პოზიციის დადგენა. როგორ ესმოდათ სიტყვის თავისუფლება მათ, ვინც მოამზადა, კენჭისყრაზე გაიტანა და მიიღო პირველი შესწორება?

საერთო სამართლის მიხედვით, პრესის თავისუფლება თავის თავში გულისხმობდა ხელისუფლების მხრიდან პუბლიკაციების წინასწარი კონტროლის აკრძალვას. როგორც ცნობილია, ინგლისში არსებობდა სამეფო ლიცენზირების სისტემა, რომელიც 1644 წელს ჯონ მილტონმა დაგმო თავის „არეოპაგიტიკაში“. თუმცა ლიცენზირების სისტემის გაუქმება 1694 წელს თავისთავად არ გულისხმობდა პრესის სრულ თავისუფ-

ლებას სახელმწიფო შეზღუდვებისაგან. როგორც ბლექსტოუნმა განაცხადა: „პრესის თავისუფლება გულისხმობს, რომ დაუშვებელია პრესაზე წინასწარი შეზღუდვების დანესება. თუმცა შეზღუდვა შეიძლება დანესდეს, თუ უკვე გამოქვეყნებული მასალა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს“. დღესაც შესაძლებელია ამა თუ იმ გამომცემლისათვის სახელმწიფო ლაღატის ნიშნების შემცველი მასალის გამოქვეყნების ბრალდების წაყენება, თუ იგი გაავრცელებს ცრუ ინფორმაციას მონარქის სიკვდილის შესახებ. სწორედ ანალოგიური სახით გადაინაცვლა საერთო სამართალმა ამერიკის კოლონიებში. შეკითხვის არსი ამგვარია — რამდენად მოქმედებს ეს კონცეფცია პირველი შესწორების მიღების შემდეგ?

ისტორიკოსი ლეონარდ ლევი თავის ნაშრომში „იძულების კანონიერება“ (1960) წერს, რომ პირველი შესწორების ავტორებმა უბრალოდ გაითავისეს საერთო სამართლისეული გაგება იმის თაობაზე, რომ პრესის თავისუფლება ნიშნავს ყოველგვარი წინასწარი აკრძალვის აღკვეთას და მეტს არაფერს (ზუსტად ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰოლმსმა, როცა გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „*Patterson V Colorado*“ (1907). თუმცა მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1985 წელს, ლევიმ საკუთარი მოსაზრებების ხელახალი გადასინჯვისას აღნიშნა, რომ „პრესის თავისუფლება სათავეს იღებს წინასწარი შეზღუდვების აკრძალვიდან“. მიუხედავად ამისა, ლევი ამტკიცებდა, რომ პირველი შესწორების ავტორები სიტყვისა და პრესის თავისუფლების საკითხს საკმაოდ ვიწრო ჭრილში განიხილავდნენ და რომ მათ არც მოსვლიათ აზრად, გაეუქმებინათ საერთო სამართლის პრაქტიკა ცილისწამებასთან დაკავშირებით. ლევის თქმით, „პირველი შესწორება უფრო მეტად ფედერალიზმიდან გამომდინარეობდა, ვიდრე ლიბერტარიანიზმიდან.“ ერთი სიტყვით, აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება მიჩნეულია კონგრესის საკანონმდებლო უფლებამოსილებაზე დანესებულ შეზღუდვად და არა სიტყვის თავისუფლების სისტემის ფორმირების საფუძვლად.

პირველი შესწორების ძველი თაობის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი ზაქარია შეფი ამბობდა, რომ „პირველი შესწორება მიზნად ისახავდა მთავრობის შეურაცხყოფის საერთო სამართლებრივი გაგების გაუქმებას. პირველმა შესწორებამ შეუძლებელი გახადა აშშ-ში სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება ხელისუფლების კრიტიკისათვის, თუ იგი სხვა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს“. საგულისხმოა, რომ შეფისა და ახალი თაობის სხვა მკვლევარების აზრით, სწორედ პირველი

შესწორებიდან მოდის ინიციატივა, სრულიად ახლებურად მოხდეს ხელისუფლებასა და ხალხს შორის ურთიერთობის ფორმირება. ყველას უნდა გაეთავისებინა იდეა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხალხია აბსოლუტური სუვერენიტეტის მატარებელი. კანონმდებლები არიან ხალხის წარმომადგენლები და მსახურნი. საზოგადოება, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია სასჯელის არსებობა ხელისუფლების ცილისწამებისა თუ შეურაცხყოფისათვის, უბრალოდ, აღარ შეესაბამება იმ ახალ სისტემას, რომელიც შექმნილია პირველი შესწორებით.

პირველი შესწორების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი პარადოქსი ისაა, რომ მის ავტორთა უმეტესობა იმავდროულად მონაწილეობდა უცხოელთა და ხელისუფლების შეურაცხყოფის შესახებ კანონთა (alien and sedition) მომზადებაში. საინტერესოა, სჯეროდათ თუ არა მე-18 საუკუნის მინურულის ამერიკელებს ამ კანონების პირველ შესწორებასთან შესაბამისობა? უზენაეს სასამართლოს იმ დროს არ ჰქონდა შესაძლებლობა, პრაქტიკული მონაცემების საფუძველზე ემსჯელა აღნიშნული საკითხის ირგვლივ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს კანონები მალევე გაუქმდა. 1964 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბრენანმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი ხელისუფლების შეურაცხყოფის შესახებ სასამართლოში არც კი განხილულა, მის კონსტიტუციურობაზე დავა მაინც არსებობდა“.

პირველი შესწორების მნიშვნელობას მისი სრულყოფილი ფორმულირება ან შექმნის ისტორია კი არა, თავად ამ შესწორებით დაცული სიტყვის თავისუფლების ღირებულება განსაზღვრავს. პირველი შესწორების განმარტებისადმი ორი ძირითადი თეორიული დამოკიდებულება არსებობს: უტილიტარული, ანუ შედეგობრივი და არსებითი, ანუ არა-შედეგობრივი.

პირველი დამოკიდებულების თანახმად, პირველი შესწორება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა მას საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა. მაგალითად, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ძიებისათვის ხელშეწყობა, თვითმმართველობის პროცესის წახალისება და ა.შ. მეორე დამოკიდებულება კი სიტყვის თავისუფლებას აღიქვამს როგორც მიზანს, რითაც ხაზს უსვამს სიტყვის თავისუფლების ღირებულებას. ეს ორი დამოკიდებულება ერთიანობაში აისახა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბრანდისის ნაშრომში, სადაც იგი აცხადებს: „მათ, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობა მოიპოვა... სიტყვის თავისუფლება ესმოდათ როგორც მიზანი და, იმავე დროს, როგორც საშუალება“.



## ა) იდეათა ბაზრის მოდელი

პირველი შესწორებისადმი უტილიტარული მიდგომა, რომელიც ყველაზე მისაღები აღმოჩნდა სასამართლოებისათვის, გახდა იდეათა ბაზრის თეორიის წარმოშობის საფუძველი. ბევრი ამ თეორიის ფესვებს ჯონ მილტონისა და ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომებში ეძებდა. კლასიკური ამერიკული გამოხატულება ამ თეორიამ ჰპოვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰოლმსის სასამართლო აქტებში: „როდესაც ადამიანები მიხედებიან, რომ დრომ ბევრი იდეა უკუაგდო, მათ, შესაძლოა, იმაზე მეტი დაიჯერონ, ვიდრე ეს მანამდე საკუთარი საქციელიდან გამომდინარე სჯეროდათ. დიდი მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იდეათა ურთიერთგაცვლით, ეს ჭეშმარიტების საუკეთესო გამოცდა და კონკურენტუნარიანი იდეისათვის ბაზარზე დამკვიდრების ერთადერთი საშუალებაა. მათი სურვილების ასრულება კი მხოლოდ ჭეშმარიტების ნიადაგზეა შესაძლებელი“.

1859 წლის კლასიკურ ნაშრომში „აზრისა და განსჯის თავისუფლება“ ჯონ სტიუარტ მილმა შექმნა დასაბუთებული საფუძველი იდეათა ბაზრის თეორიისა, რომელიც დღესაც აქტუალურია: „კაცობრიობა ჯეროვნად ვერასოდეს დააფასებს ჭეშმარიტებას, თუ მან არ იცის, რა არის მცდარი და პირიქით, თუ მხოლოდ მცდარ იდეებს იცნობს, ეჭვსაც კი ვერ აიღებს, რომ არსებობს ჭეშმარიტებაც“.

იდეათა ბაზრის თეორიის კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ მოსაზრებას, რომ ეს თეორია სიმართლის ძიებას შეუწყობს ხელს. ისინი ასევე ეჭვქვეშ აყენებენ ამ თეორიის დამცველთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იდეათა კონკურენციის პროცესში სიმართლე ყველაზე დიდი ღირებულებაა. ამ საკითხს დემოკრატიული თეორიის გადასახედიდან თუ შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება უმრავლესობის მიერ მოწონებულ იდეას, მიუხედავად იმისა, მისაღებია თუ არა იგი ყველასათვის, ყალბია იგი თუ ჭეშმარიტი. ბევრი აკრიტიკებს ამ თეორიას შემეცნებითი სიტყვის უკიდურესი შეფასებისათვის, რაც ქმნის საშიშროებას, რომ ნებისმიერი ის აზრი, რომელიც ხელს არ უწყობს იდეათა კონკურენციასა და ჭიდილს, ნაკლებად იქნება დაცული.

არსებობენ ასევე „იდეათა ბაზრის თეორიის კრაზის“ თეორეტიკოსები, რომლებიც არა მხოლოდ აკრიტიკებენ ამ თეორიას, არამედ მიაჩნიათ, რომ იგი აღარ არსებობს. ისინი მიიჩნევენ, რომ ურთიერთგაცვლის პროცესის კონტროლირება დომინირებულ მდგომარეობაში მყო-

ფი მედიის მიერ ხდება, მედიაში შელწევა კი ძალზე ძნელია და ყველას არ შეუძლია. ისინი ამტკიცებენ, რომ დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი მედია აკონტროლებს არა მხოლოდ იდეათა ბაზარში შელწევის საკითხს, არამედ შინაარსაც, რაც გამორიცხავს ფართო საზოგადოების მონაწილეობას.

საბოლოოდ, კრიტიკოსები სვამენ შეკითხვას: თვით მაშინაც კი, თუ ჩვენ შევთანხმდებით, რომ სიმართლე ან ჭეშმარიტი დამოკიდებულება საბოლოოდ მაინც გამოჩნდება, შეძლებს კი ყოველთვის საზოგადოება ლოდინს? შეძლებს კი საზოგადოება მოცდას მანამ, სანამ ჭეშმარიტება გაირკვევა და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედებს? მაგალითად, გენოციდი ან აპარტიდო შეიძლება დავეგმოთ სიტყვით, საბოლოოდ კი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს პოზიცია მართებულია, თუმცა ამასობაში შესაძლოა მილიონობით შავკანიანი ან ებრაელი დაზარალდეს ან დაიღუპოს.

## **ბ) თვითმმართველობის მოდელი - სამოქალაქო რესპუბლიკანიზმი და სამოქალაქო ინიციატივები**

სიტყვის თავისუფლების პრინციპის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება სიტყვის თავისუფლების უფლებას აიგივებს დემოკრატიული საზოგადოების თვითმმართველობასთან. ცნებაში „სამოქალაქო ინიციატივები“ იგულისხმება პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის ვალდებულება, საზოგადოებრივი დისკუსიების მნიშვნელობა, ასევე იმის აღიარება, რომ ნეიტრალიტეტის დაცვა კი არა, სხვებთან აქტიური თანამშრომლობაა აუცილებელი, რათა უზრუნველყოფილი იყოს თავისუფლების ყველანაირი პირობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს „ბედნიერების საიდუმლოს“. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბრენდისმა ერთ-ერთი საქმის განხილვისას ზემოაღნიშნული იდეა მეტად ლაკონიურად ჩამოაყალიბა: „პოლიტიკური დისკუსია პოლიტიკური მოვალეობაა“.

თვითმმართველობა როგორც სიტყვის თავისუფლების პრინციპი პირველად პოლიტოლოგ ალექსანდრ მეიკლჯოუნთან გვხვდება. იგი ამბობდა, რომ სიტყვის თავისუფლების პრინციპი გამომდინარეობს იმ უმთავრესი ამერიკული შეთანხმებიდან, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა უნდა მიმდინარეობ-

დეს შეხედულებათა საერთო შეჯერების საფუძველზე. ამერიკულ პოლიტიკაში პოლიტიკური ძალაუფლება ხალხისგან მომდინარეობს, იმისათვის, რომ ხალხმა განახორციელოს საკუთარი თვითმმართველობითი ფუნქცია, მას უნდა ჰქონდეს როგორც საკუთარი ხელისუფლების კრიტიკის, ასევე ხელისუფლების მიერ განეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. საქმეში „ნიუ იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ“ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბრენანმა ხალხის უფლება, პასუხისმგებლობის ყოველგვარი შიშის გარეშე გააკრიტიკოს საკუთარი ხელისუფლება, დაახასიათა როგორც „პირველი შესწორების ამოსავალი პრინციპი“.

პროფესორმა ვინსენტ ბლასმა მეიკლჯოუნის თეზისის საკმაოდ გამომწვევი კრიტიკა წამოიწყო. მან დასვა შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა, ისეთ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება მასის ტიპის საზოგადოებით, მასმედიითა და დიდი სახელისუფლებო სისტემით, რომელიც, საბოლოო ჯამში, ცალკეული ამომრჩევლის გაუცხოებას იწვევს, თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს დრო, ინტერესი ან უნარი, რათა გადანყვეტილების მიღების პროცესში თავისი ინდივიდუალური წვლილი შეიტანოს. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ეჭვს გამოთქვამს, რომ თითოეული მოქალაქე ჯეროვნად შეასრულებს იმ მოვალეობებს, რასაც მისგან მოითხოვს სამოქალაქო ინიციატივების იდეა. ამავე დროს იგი ამბობდა, რომ ძლიერი მედია ძლიერი ხელისუფლების სათანადო და ღირსეული მონიშნაღმდეგე უნდა იყოს. ამ ურთიერთმაკომპენსირებელი ძალაუფლების თეორიაში პროფესორი ბლასი მედიას საზოგადოების წარმომადგენლის ფუნქციას ანიჭებდა. ამ თეორიის არსის თანახმად, თვითმმართველობის მოდელი დღევანდელი დემოკრატიის პირობებში ნაკლებ რეალისტურია.

თუმცა მეიკლჯოუნის თეზისებშიც მრავალ პრობლემას ვაწყდებით. მას მიაჩნდა, რომ ყველას ყველაფრის თქმის უფლება არ უნდა ჰქონოდა, მისთვის მნიშვნელოვანი არ იყო ზოგადად სიტყვის თავისუფლება. „მოსმენილ უნდა იქნეს ის, რაც ფასეულია და რისი გაგებაც ღირს“, — ნერდა მეიკლჯოუნი. იგი მხოლოდ და მხოლოდ საჯარო მნიშვნელობის მქონე სიტყვის თავისუფლების დაცვას ქადაგებდა: „კერძო მნიშვნელობის სიტყვა ან კერძო ინტერესი არ უნდა იყოს დაცული იმ გარანტიებით, რასაც პირველი შესწორება ითვალისწინებს.“ იგი მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან საჯარო, ანუ პოლიტიკური სიტყვის თავისუფლებას, რომელიც აბსოლუტურად დაცული და აღიარებულია და კერძო

ხასიათის აზრის გამოხატვას, რომელსაც მიმდინარე კანონმდებლობა შედარებით ნაკლებ იცავს. მეიკლჯოუნის პირველი შესწორების თეორიაში პარადოქსად ჟღერს ის ფაქტი, რომ აბსოლუტიზმის იდეის შემოთავაზების მიუხედავად, ეს თეორია უჩვეულოდ ვიწროა.

თავდაპირველად მეიკლჯოუნს საკმაოდ ვიწროდ ესმოდა საჯარო მნიშვნელობის სიტყვის ცნება, აიგივებდა რა მას იმ საკითხებთან, რომელთანაც ამომრჩეველს ჰქონდა საქმე. თუმცა მოგვიანებით მან შეხედულება შეიცვალა. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მან მაინც აღიარა, რომ თვითმმართველობის ცნება განათლების, ფილოსოფიის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ გამოთქმულ აზრებსაც მოიცავს. ზუსტად ანალოგიურად, მოსამართლე რობერტ ბორკმა, რომელიც ერთ დროს ამტკიცებდა, რომ აბსოლუტური დაცვა მხოლოდ პოლიტიკური აზრის გამოხატვას ეხებოდა და არა სიტყვის თავისუფლების სხვა კატეგორიებს, შეცვალა თავის შეხედულება და პოლიტიკური სიტყვის ფართო გაგებას დაუჭირა მხარი.

დეფინიციის პრობლემის გარდა გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად ადეკვატურია თვითმმართველობის მოდელი იმ ღირებულებების ახსნაში, რაც სიტყვის თავისუფლებისთვისაა დამახასიათებელი. არის თუ არა ლიტერატურული ნაწარმოები, პოემა ან თუნდაც „რეპერის“ მიერ ნამღერი სიმღერა კონსტიტუციით დაცული მხოლოდ იმის გამო, რომ მას გარკვეული წვლილი შეაქვს პოლიტიკურ დემოკრატიაში? ვრცელდება თუ არა პირველი შესწორების დამცავი მექანიზმები კომუნიკაციებზე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი, გარკვეულწილად, ემსახურებიან თვითმმართველობას? თუ მათი დაცვა მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ისინი საზოგადოების წევრთა პიროვნულ განვითარებას უწყობენ ხელს?

### გ) თავისუფლების მოდელი — თვითრეალიზაცია და ავტონომია

სიტყვის თავისუფლება თავის თავში გულისხმობს როგორც მიზანს, ასევე საშუალებას. იგი პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროფესორმა ედვინ ბეიკერმა ამგვარად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება: „თავისუფლების თეორია მაღალ შეფასებას აძლევს დამცავი მექანიზმების არსებობას იმის გამო, რომ დაცული ქმედება აყალიბებს პიროვნებაში თვითრეალიზაციისა და თვითგამორკვე-

ვის უნარს, რომელიც არ დაუშვებს კანონით დაცულ სხვის უფლებებში გაუმართლებლად ჩარევას". უფრო ადრე პროფესორმა დევიდ სტრაუსმა წარმოადგინა პრინციპი, რომელიც უკრძალავდა ხელისუფლებას, საგანგებო და გადაუდებელი შემთხვევების გარდა, შეეზღუდა სიტყვის თავისუფლება იმ მოტივით, რომ „მან შეიძლება დაიყოლიოს აუდიტორია ისეთი საქციელის ჩადენაზე, როგორსაც ხელისუფლება ეწინააღმდეგება". იგი ამ პრინციპს ამყარებს კერძო ავტონომიის იდეაზე და პიროვნების უფლებაზე, ყოველგვარი იძულების გარეშე გააკეთოს თავისუფალი არჩევანი.

თავისუფლების მოდელის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ თეორიის მართებულობის პირობებში სიტყვის თავისუფლებაზე არ შეიძლება გავრცელდეს იმაზე მეტი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, ვიდრე სხვა თვითგამოხატვის მეთოდზე. მაგ.: პიანისტი ახდენს თვითგამოვლენას, ავითარებს თავის ტალანტს და საკუთარი შრომით აყალიბებს საკუთარ პიროვნებას, მაგრამ პიანისტის მოქმედებაზე ჩვენ კონსტიტუციის დამცავ მექანიზმებს ვერ გავავრცელებთ. იგი, უბრალოდ, სარგებლობს დაცვის იმ მექანიზმებით, რაც გათვალისწინებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპით. მოსამართლე რობერტ ბორკი, მაგალითად, თვლის, რომ თავისუფლების მოდელი „სიტყვას“ არ განასხვავებს სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმიანობისაგან: „დაუშვებელია, ვინმემ თანაბარ პირობებში მიიღოს გადანყვეტილება, რომ დაიცვას სიტყვის თავისუფლება სხვა თავისუფლებებზე მეტად“. მოკლედ რომ ვთქვათ, სიტყვის თავისუფლება თვითრეალიზაციისა და კერძო ავტონომიის პრინციპებთან ერთად თავის სპეციფიკურ მნიშვნელობასაც დაკარგავს.

## **დ) სიტყვის თავისუფლების სხვა თეორიები**

იდეთა ურთიერთგაცვლის, თვითგამორკვევისა და თავისუფლების მოდელებში ჩამოყალიბებული შეხედულებები სიტყვის თავისუფლების სპეციალური დაცვის თაობაზე ყველაზე მეტად პოპულარული გახდა, თუმცა სიტყვის თავისუფლებისადმი დამოკიდებულება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. სანამ კომენტატორთა შორის მიმდინარეობდა აზრთა შეჯერება, თუ რომელ თეორიას უნდა მინიჭებოდა უპირატესობა, სიტყვის თავისუფლება ამ სამი თეორიის ურთიერთნაზავს დაეყრდნო.

**უსაფრთხოების გარანტიის თეორია** პირველი შესწორების ერთ-ერთი ნაკლებ გავრცელებული თეორიაა. ეს უკანასკნელი ჩამოაყალიბა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბრანდეისმა, როდესაც განაცხადა, რომ „დამლუპველია ადამიანის ფიქრის, იმედის ან წარმოსახვის ჩაკვლა. შიში ბადებს რეპრესიებს, რეპრესიას მოჰყვება სიძულვილი, სიძულვილი კი საფრთხეს უქმნის სტაბილურ ხელისუფლებას; უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია ისეთ გარემოში, სადაც არის საშუალება, თავისუფლად განიხილო არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზები.“

დაახლოებით 40 წლის შემდეგ პირველი შესწორების მკვლევარმა ტომას ემერსონმა აღნიშნა, რომ ბრანდეისის შენიშვნა სიტყვის თავისუფლების უსაფრთხოების გარანტიად მიჩნევის შესახებ პირველი შესწორების პირდაპირი ფუნქციის ლოგიკური ახსნაა. მოქალაქეები გაცილებით დიდი ხალისით იღებენ გადაწყვეტილებებს ღია დისკუსიების საფუძველზე, რომლებშიც მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული. სიტყვის თავისუფლება გვთავაზობს „ჩარჩოს, რომელშიც, შესაძლოა, საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო კონფლიქტიც არსებობდეს, ოღონდ ისე, რომ არ განადგურდეს საზოგადოება“.

**ტოლერანტობის თეორია.** ლი ბოლინგერი აღნიშნავდა, რომ სიტყვის თავისუფლება უმთავრესად იმითაა ღირებული, რომ შეუძლია წინა პლანზე გამოიტანოს და იქადაგოს ტოლერანტობა. ამ დებულების შესაბამისად, მრავალფეროვან საზოგადოებრივ აურზაურში სიტყვის თავისუფლების მკაცრად დაცვა წარმოადგენს ტოლერანტობის გაძლიერების საფუძველს. იგი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავშეკავებას, როგორც სათანადო პასუხს იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოთქმული იდეა გვაღიზიანებს. ამგვარად, როდესაც ნაცისტები ჩიკაგოში, ებრაელთა უბანში, აწყობენ ანტისემიტურ გამოსვლას, შესაფერისი პასუხი ამ შემთხვევაში გამოსვლის აღკვეთა კი არ არის, არამედ თავშეკავებაა. ტოლერანტობის გამოყენებით ჩვენ ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ კონფლიქტურ საზოგადოებაში და, შესაძლოა, უკეთ მომზადებულებიც კი ვხვდებით მოულოდნელობებს, რითაც სავსეა ჩვენი ცხოვრება. სიტყვის თავისუფლება ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტელექტის განვითარებას.

**რომანტიკული ტრადიციები.** სტივენ შიფრინგი პირველ შესწორებას აფასებს როგორც „ნაჩქარევს, უპრინციპოსა და ქაოტურს“. მისი აზრით, თუკი პირველ შესწორებას მაორგანიზებელი სიმბოლო უნდა

ჰქონდეს, მაშინ ასეთ სიმბოლოს... დისიდენტის სახე ექნება. შიფრინგის თქმით, პირველი შესწორების უმთავრესი მიზანია, „დაიცვას რომანტიკოსები — პიროვნებები, რომლებიც ამსხვრევენ კლასიკურ ჩარჩოებს: სექტანტები, არა-ორთოდოქსები და საზოგადოებისგან მოკვეთილები“.

**ეკონომიკური და საზოგადოებრივი არჩევანის თეორია.** თეორიებში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ნათლად ჩანს ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულება პირველი შესწორებისადმი და ის ღირებულებები, რასაც ეს შესწორება ემსახურება, თუმცა არსებობს სხვა მრავალი შეხედულება, რომელთაც სიტყვის თავისუფლებისა და, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დანესებული შეზღუდვების შესახებ სრულიად ახლებური პოზიცია გააჩნიათ. ერთ-ერთი ასეთი თეორიის ფესვები ეკონომიკისა და არჩევანის შეხედულებიდან მომდინარეობს. მოსამართლე რიჩარდ პოზნერი, მაგალითად, ავითარებდა თეორიას, თუ როდის შეეძლო ხელისუფლებას იმ გამონათქვამების რეგულირება, რომლებიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის მთელ რიგ ნიშნებს ატარებენ.

პროფესორი დანიელ ჰარბერი იზიარებს პოზნერის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სიტყვის თავისუფლების საკითხების გადასაწყვეტად მეტად საჭიროა ეკონომიკური ანალიზი: „საზოგადოებრივი არჩევანის თეორიისათვის საბედისწეროა შემდეგი მომენტი: ვინაიდან ინფორმაცია საზოგადოებრივი პროდუქტია, იგი უნდა შეფასდეს როგორც საბაზრო, ასევე პოლიტიკური სისტემის თვალთახედვით... ჩვენი პოლიტიკა ინფორმაციის შეფასების საკითხს ეხმაურება იმგვარად, რომ აწესებს სპეციალურ კონსტიტუციურ გარანტიებს ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე“. იმის გამო, რომ ბაზარს ბუნებაში არ ახასიათებს სიტყვის თავისუფლების წინა პლანზე წამოწევა, საჭიროა პიროვნების ნახალისება, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ინფორმაციის შექმნისა და უზრუნველყოფის პროცესში, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მოქალაქის მეტად საჭირო ფუნქციას წარმოადგენს. ხელისუფლებამ არ უნდა შეაფერხოს ამ პროცესის მსვლელობა; ხელისუფლებას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სიტყვის თავისუფლების რეგულირების საქმეში ზედმეტად ჩარევისა და შეზღუდვისათვის.

## ე) კრიტიკა სიტყვის თავისუფლების სპეციალური დაცვის ირგვლივ

არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობენ პიროვნებები, რომელთა აზრით, სიტყვის თავისუფლება არ საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მნიშვნელობა შეიძლება გადაჭარბებულადაც მოგვაჩვენონ. რიჩარდ დელგადოს მიაჩნია, რომ რასისტული გამონათქვამები არ უნდა დაიცვას კონსტიტუციამ. მისი აზრით, ტოლერანტობის თეორია, რომელიც არ ეწინააღმდეგება რასისტულ გამონათქვამებს, სიტყვის თავისუფლების დაცვას კი არ ემსახურება, არამედ იწვევს იმ ადამიანების კიდევ უფრო გაუცხოებას, რომლებიც დისკრიმინაციისა თუ რასიზმის გამო საზოგადოების შედარებით ქვედა საფეხურზე იმყოფებიან. ფემინისტი ქეთრინ მაკკინონი ამტკიცებს, რომ სიტყვის თავისუფლება გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს და იცავს იმ პუბლიკაციებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ემსახურება ქალისადმი იძულების გამოყენებას, მის გაუპატიურებასა და მორჩილებაში ყოლას. ამგვარი კრიტიკის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ საჭიროა პირველი შესწორების ღირებულებებისა და დანიშნულების ხელახალი გადაფასება და განხილვა. კრიტიკოსები ასევე მიიჩნევენ, რომ საჭიროა ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოხდება პირველი შესწორების მოთხოვნებისა და მასთან წინააღმდეგობაში მყოფი ღირებულებებისა და ინტერესების ურთიერთშეთავსება.



# კარი მორე

ადამიანის  
უფლებების დაცვის  
ევროპული  
მექანიზმები



# თავი 1

## სტრასბურგის სასამართლო<sup>1</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიქმნა კონვენციის მე-19 მუხლის საფუძველზე. მისი ამოცანა წვერი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების „უზრუნველყოფაა.“ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გააჩნია კონვენციის წვერი სახელმწიფოს მოქალაქეს, თუ ის მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული მისი რომელიმე უფლება. მოსარჩელე „მსხვერპლს“ უნდა წარმოადგენდეს იმ სახით, როგორც ეს განმარტებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. სასამართლოს, თუკი დაადგენს უფლების დარღვევის ფაქტს, შეუძლია მოპასუხე სახელმწიფოს დააკისროს მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მას აგრეთვე ხელეწიფება ეროვნული სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შეცვლა, რომლის ძალითაც პირი იქნა დაპატიმრებული, კონფისკებული მასალების უკან დაბრუნება და ა. შ. — ერთი სიტყვით, შეუძლია გაატაროს ყველა ის ზომა, რაც აუცილებელია შელახული უფლების აღსადგენად. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას ზედამხედველობს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

### 1. მუდმივმოქმედი სასამართლო

1998 წლამდე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის<sup>2</sup> მონიტორინგის პროცესში ორი ორგანო მონაწილეობდა: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია<sup>3</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 1998 წლის 11 ნოემბერს კონვენციის მე-11 ოქმი შევიდა ძალაში, რომელმაც რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. ორივე ზემოხსენებული ინსტიტუტი გაუქმდა. კერძო პირებს საშუალება მიეცათ, პირდაპირ მიმართონ ახლად შექმნილ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. თუ ძველი სასამართლოს მოსამართლეები არასრულ

---

1 Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, *Media Law and Human Rights*, Blackstone Press, 2001 (იბეჭდება შემოკლებით).

განაკვეთზე მუშაობდნენ და მხოლოდ დროდადრო იკრიბებოდნენ, ახალი სასამართლო, ოქმის მე-19 მუხლის შესაბამისად, მუდმივმოქმედია. მისი ამოცანაა წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების „უზრუნველყოფა“. წევრ სახელმწიფოებს ეკრძალებათ თავისი მოქალაქეებისათვის სასამართლოსადმი თავისუფალი მიმართვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა ან მათზე ზენოლა საჩივარზე უარის თქმის ან შეცვლის მიზნით. მე-11 ოქმით ასევე შეიცვალა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის როლი კონვენციის ზედამხედველობის პროცესში. ოქმის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტის ერთადერთი ფუნქციაა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და წევრი სახელმწიფოს მიერ მისი შესრულების უზრუნველყოფა (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლი).

სასამართლო 40 მოსამართლისაგან შედგება. მოსამართლეებს ირჩევს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა წევრი სახელმწიფოების მიერ დასახელებულ კანდიდატთაგან. სასამართლო პლენუმი, რომელშიც ყველა მოსამართლე შედის, იკრიბება მხოლოდ ადმინისტრაციული საკითხების გადასაწყვეტად. სასამართლოს პლენუმი ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს სამი წლის ვადით. თავმჯდომარე და მისი მოადგილე ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებენ. სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება საჩივრების მიღება, მათი დასაშვებობის საკითხის გა-

- 
- 3 ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია მიღებულ იქნა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს. კონვენცია ეფუძნება 1948 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღიარებულ პრინციპებს. მისი მიზანი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვაა. სახელმწიფო, რომელიც ხდება ევროსაბჭოს წევრი, ვალდებულია, მოახდინოს კონვენციის რატიფიცირება.
  - 4 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით დაცულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენდა. კომისია ამჟამად აღარ არსებობს. იგი გაუქმდა 1998 წლის 11 ნოემბრის კონვენციის ოქმით. სტრასბურგის სასამართლოში საჩივარი თავდაპირველად კომისიაში შედიოდა, რომელიც წყვეტდა მისი დასაშვებობის საკითხს. მას შემდეგ, რაც დაადგინდა საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კომისია განსაზღვრავდა, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის დარღვევას და, საჭიროების შემთხვევაში, საქმეს განსახილველად გადასცემდა სასამართლოს.

დანყვეტა, დასაშვებ საჩივრებთან მიმართებაში კონვენციის დარღვევის არსებობა-არარსებობის დადგენა. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, ნეერ სახელმწიფოს საქმის წაგების შემთხვევაში დააკისროს საჩივრის წარმდგენისათვის კომპენსაციის გადახდა. სასამართლოს დღეს მოქმედი რეგლამენტი მიღებულია 1998 წლის 1 ნოემბერს.

## 2. სასამართლოს სტრუქტურა

ყველა საჩივარი თავდაპირველად დაენერება ერთ მოსამართლეს, რომელსაც მომხსენებელ მოსამართლეს უნოდებენ. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მომხსენებელი მოსამართლე შეატყობინებს სასამართლოს მიერ შექმნილ პალატას ან მოსამართლეთა კოლეგიას. თითოეულ პალატაში მოსამართლეთა რამდენიმე კოლეგიაა შექმნილი. პალატები საქმეებს განიხილავენ შვიდი მოსამართლის მონაწილეობით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეა, ხოლო ერთ მოსამართლეს ასახელებს ის სახელმწიფო, რომლის გადანყვეტილებაცაა გასაჩივრებული (როგორც წესი, პალატის შემადგენლობაშია ამ სახელმწიფოს მიერ დასახელებული მოსამართლე). სასამართლოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დიდი პალატა, რომელიც 17 მოსამართლისაგან შედგება. დიდი პალატა განიხილავს რთულ და სერიოზულ საქმეებს. დიდ პალატას საქმეს უგზავნიან პალატები მხარეთა შეთანხმებით. ამავე დროს დიდი პალატა არსებითად იხილავს აპელაციას პალატების გადანყვეტილებებზე. გადანყვეტილებას აპელაციის დაშვებაზე იღებს ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია. კოლეგია აპელაციას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება კონვენციის ინტერპრეტაციისა და ზოგადი ხასიათის სერიოზულ საკითხებს. ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის გადანყვეტილება აპელაციის დასაშვებობის თაობაზე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## 3. რეგისტრაცია

კანცელარია შედგება იურისტებისაგან (იურიდიული სამდივნო) და დამხმარე აპარატისაგან. კანცელარიის კომპუტერშია შედის სასამართლოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული რუტინული საკითხების გადანყვეტა. კანცელარიას ხელმძღვანელობს რეგისტრატორი,

რომელსაც ორი მოადგილე ჰყავს. რეგისტრატორსა და მის ორ მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს სასამართლოს პლენუმი. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი იურისტი სასამართლოსა და საჩივრის წარმდგენის დამაკავშირებელია. ამის გამო იგი, როგორც წესი, იმავე ქვეყნის მოქალაქეა, რომელშიც საჩივრის წარმდგენი ცხოვრობს.

#### 4. სამართლებრივი დახმარება

ჯერჯერობით სახელმწიფოთა სამართლებრივი დახმარების სისტემა არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მიერ სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენასა და განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. თავად სტრასბურგის სასამართლოს გააჩნია შეზღუდული სახსრები მოქალაქეთა ხარჯების ასანაზღაურებლად. სასამართლო სამართლებრივი დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, როდესაც საჩივარი დასაშვებია. ფინანსური დახმარება გაეწევათ იმ განმცხადებლებს, რომლებსაც არ გააჩნიათ აუცილებელი სასამართლო ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურების შესაძლებლობა. სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას წვერი სახელმწიფოს მოსაზრებასაც იმენს. როგორც წესი, სასამართლო სამართლებრივი დახმარებისათვის სახსრების გამოყოფისას საკმაოდ ხელმომჭირნეა. სასამართლო მხოლოდ ერთი ადვოკატის წარმომადგენლობის ხარჯებს ანაზღაურებს. როგორც წესი, ეს ხარჯები მხოლოდ მგზავრობისა და სტრასბურგში ყოფნის კომპენსაციაა. საქმის მოგების შემთხვევაში საჩივრის წარმდგენს შეიძლება სასამართლო ხარჯები აუნაზღაურდეს წვერი სახელმწიფოს ხარჯზე.

#### 5. საჩივრის წარდგენა

საჩივრის წარდგენის პროცედურა საკმაოდ მარტივია, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. საჩივართა უმეტესობა ყოველგვარი მოსმენის გარეშე დაუშვებლად ცხადდება. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საჩივარში აღინიშნოს საჩივრის დასაშვებობის მხარდამჭერი არგუმენტები. საჩივარში ასევე უნდა აღინუსხოს ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ კონვენციის დარღვევას.

## საჩივრის წარდგენის ვადა

კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჩივარი სტრასბურგის სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში. ვადის ათვლა იწყება საჩივრის წარმდგენის მიერ დასაბუთებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ან იმ მომენტიდან, როდესაც საჩივრის წარმდგენი შეიტყობს დარღვევის ფაქტს. განგრძობადი დარღვევის შემთხვევაში ეს ვადა აითვლება დარღვევის საბოლოო შეწყვეტის მომენტიდან. საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილად ჩაითვლება იმ წუთიდან, როდესაც სასამართლო მიიღებს წერილს ან ფაქსს, რომელშიც საჩივრის ძირითადი დეტალები იქნება აღნიშნული.

## საჩივრის ფორმა

არსებობს საჩივრის სტანდარტული ფორმა. თუ საჩივრის წარმდგენი თავის თავდაპირველ წერილში ამ ფორმას არ გამოიყენებს, სასამართლო მას ამ ფორმის ასლს უგზავნის და სთხოვს მის შევსებას. როგორც კი საჩივრის წარმდგენი შევსებულ ფორმას უკან დაუბრუნებს სასამართლოს, საჩივარი რეგისტრაციაში გატარდება. ფორმაში მითითებული უნდა იყოს:

- ა) საჩივრის წარმდგენის სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, მოქალაქეობა, სქესი და სამუშაო ადგილი;
- ბ) წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი და სამუშაო ადგილი;
- გ) მოპასუხე სახელმწიფოს დასახელება;
- დ) შესაბამისი ფაქტების აღწერა თარიღების მითითებით;
- ე) კონვენციის იმ მუხლის მითითება, რომელიც სავარაუდოდ დაირღვა და ამ დარღვევის დამადასტურებელი არგუმენტები;
- ვ) არგუმენტები საჩივრის დასაშვებობის სასარგებლოდ. მითითებულ უნდა იქნეს ექვსთვიანი ვადის დაცვისა და შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობების ამონაწერის შესახებ;
- ზ) მოთხოვნის შინაარსი და მოსაზრებები სამართლიანი კომპენსაციის თაობაზე;
- თ) შესაბამისი დოკუმენტების, მათ შორის, გადაწყვეტილებების, ასლები;

ი) ინფორმაცია სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე (საჩივრის წარმდგენის მიერ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტისადმი მიმართვის შემთხვევაში);

თუ ფორმა არასაკმარის ან ბუნდოვან ინფორმაციას შეიცავს, შესაძლოა მომხსენებელმა მოსამართლემ რეკომენდაცია მისცეს კოლეგიას სარჩელის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე.

## 6. დასაშვებობა

საჩივარს პირველივე ეტაპზე შეექმნება დაბრკოლება, თუ იგი არ პასუხობს კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ შემდეგ მოთხოვნებს:

საჩივრის წარმდგენი იდენტიფიცირებული უნდა იყოს. სასამართლო ანონიმურ საჩივრებს არ განიხილავს. ამავე დროს, საჩივრის წარმდგენმა შეიძლება მოითხოვოს თავისი ვინაობის შესახებ ინფორმაციის მხოლოდ მოპასუხე მხარისათვის გადაცემა. საჩივრის წარმდგენის ასეთი შუამდგომლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში დაკმაყოფილება სათანადო მიზეზის არსებობისას.

საჩივარი არ უნდა შეეხებოდეს არსებითად იმავე საკითხებს, რაც უკვე განხილულია სასამართლოს ან სხვა საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ; საჩივარი არ უნდა იყოს კონვენციასთან შეუსაბამო ან აშკარად დაუსაბუთებელი; ამასთან, ბოროტად არ უნდა იყენებდეს გასაჩივრების უფლებას.

საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებზე დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

საჩივარი „შეუსაბამო“, თუკი იგი არ ეხება კონვენციით მონესრიგებულ საკითხებს. მაგალითად, თუკი საჩივარი არ შეეხება კონვენციით დაცული უფლებების ან თავისუფლებების დარღვევას. ასევე „შეუსაბამო“ სარჩელი, რომელიც კერძო პირთა მიერ უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეხება. თუმცა უკანასკნელ პერიოდში სტრასბურგის სასამართლო ავითარებს „პოზიტიური ვალდებულებების“ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია კერძო პირთა შორის წარმოქმნილ დავასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენა, თუ სახელმწიფო მოცემულ შემთხვევებში არ ქმნის კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის პირობებს. ეს განსაკუთრებით ხშირია კონვენციის მე-10 მუხ-



ლთან დაკავშირებით. საქმეზე „Fuentes Bobo v Spain“ (App. #39293/98) საჩივრის წარმდგენი, სახელმწიფო ტელეარხის ყოფილი თანამშრომელი, სამსახურიდან დაითხოვეს შრომით დავასთან დაკავშირებით თავისი ხელმძღვანელობის საჯარო გაკრიტიკებისათვის. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მისი გათავისუფლება შრომის კანონმდებლობის დაცვით მოხდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ გათავისუფლებით საჩივრის წარმდგენის სიტყვის თავისუფლება არ დარღვეულა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ საჩივრის წარმდგენის სამსახურიდან გათავისუფლებით დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი ვრცელდება დამქირავებელსა და მუშაკს შორის არსებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზეც და სახელმწიფოს „პოზიტიურ ვალდებულებას“ წარმოადგენს სიტყვის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა ასეთ შემთხვევებში.

საჩივრის განხილვაში მოპასუხე მხარედ გამოდის ის სახელმწიფო, რომლის იურისდიქციაშიც მოხდა დარღვევა. არ არის აუცილებელი, რომ დარღვევა მაინცადამაინც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდეს. მოპასუხე სახელმწიფოს განსაზღვრისას უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ამ სახელმწიფოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ მოვლენებზე დე ფაქტო კონტროლი (მაგ.: „Loizidou v Turkey“ საქმეზე ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევისათვის მოპასუხე მხარედ მონვეულ იქნა თურქეთი, რადგან თურქეთი ახორციელებდა დე ფაქტო კონტროლს ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე). ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო მაინც პასუხისმგებელია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევისათვის, თუნდაც ის ამ ტერიტორიას დე ფაქტო არ აკონტროლებდეს. ეს განსაკუთრებით ეხება პირთა გადაცემას ან გაძევებას ისეთ ქვეყანაში, სადაც არსებობს პირის დაპატიმრებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვის გარეშე ამ პირის გასამართლების საფრთხე (მაგ.: საქმე „M.A.R. v UK“). საჩივარი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ ოქმების დარღვევებზე, რომლებიც რატიფიცირებული არ არის წევრი სახელმწიფოს მიერ. ამავ დროს, მე-11 ოქმი ითვალისწინებს, რომ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ოქმის რატიფიცირება, მაგრამ გააკეთოს განაცხადი, რომლის მიხედვითაც საჩივრის წარდგენა დაუშვებელია ამ ოქმის დარღვევასთან დაკავშირებით.

## საჩივრის წარმდგენი უნდა იყოს „მსხვერპლი“

საჩივარი უნდა წარადგინოს იმ ფიზიკურმა ან არასახელმწიფო იურიდიულმა პირმა (პოლიტიკური პარტია, საწარმო, რელიგიური ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია) ან პირთა ჯგუფმა, რომელიც „დარღვევის მსხვერპლია“. 1990 წელს „ტაიმს ნიუსფეიფერსმა“ სტრასბურგში გაასაჩივრა ცილისნამებების საქმეზე ზიანის ასანაზღაურებლად შეუზღუდავი რაოდენობის კომპენსაციის დაკისრების თაობაზე ნაფიცო მსაჯულების უფლებამოსილება. საჩივრის წარმდგენმა მიუთითა, რომ უკანასკნელ პერიოდში ინგლისის სასამართლოების მიერ ცილისნამებების საქმეზე შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის ანაზღაურების დაკისრება ნეგატიურად იმოქმედებს სიტყვის თავისუფლებაზე. კომისიამ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, რადგანაც საჩივრის წარმდგენი ასაჩივრებდა ცილისნამებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის ნორმებს. ამავე დროს, არ არის აუცილებელი, რომ საჩივრის წარმდგენი მოპასუხე ან ევროპის საბჭოს წევრი რომელიმე ქვეყნის მოქალაქე იყოს. უფრო მეტიც, არ არის აუცილებელი, რომ საჩივრის წარმდგენი ფიზიკურად იმყოფებოდეს ევროსაბჭოს წევრი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მაგალითად, ამერიკულ ჟურნალს შეუძლია საჩივარი წარადგინოს, თუკი ევროსაბჭოს წევრი რომელიმე სახელმწიფო ამ ჟურნალის ეგზემპლარების გავრცელებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემას შეუქმნის. საჩივრის წარმდგენა „მსხვერპლის“ სახელით მის კანონიერ (მაგ.: მშობელს) ან უფლებამოსილ წარმომადგენელსაც (მაგ.: ადვოკატს) შეუძლია (იხ.: „საქმე PP and T v UK“, 1996).

სტრასბურგის სასამართლო „მსხვერპლის“ სამი ტიპს გამოყოფს: „რეალურმა მსხვერპლმა“ კონვენციით დაცული უფლებების დარღვევით პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი უნდა განიცადოს. „ტაიმს ნიუსფეიფერსთან“ დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ საქმეში საჩივრის წარმდგენი „მსხვერპლად“ შეიძლება ყოფილიყო განხილული, თუკი ის მიუთითებდა რომელიმე კონკრეტულ სტატიაზე, რომელიც მან არ გამოაქვეყნა ცილისნამებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების მაღალი ოდენობის შიშით. აღსანიშნავია, რომ საქმეზე „*Miloslavsky v UK*“ საჩივრის წარმდგენი სწორედ ამ კანონმდებლობით დაზარალებული პირი იყო, რომელსაც ნაფიცო მსაჯულთა სასამართლომ ზიანის ასანაზღაურებლად საკმაოდ დიდი თანხის გადახდა დააკისრა.

პირი „მსხვერპლის“ სტატუსს დაკარგავს, თუკი შესაბამისი სახელმწიფოს მთავრობა დარღვევის აღმოსაფხვრელად ადეკვატურ ზომას მიიღებს (მაგ.: გააუქმებს გასაჩივრებულ კანონს და ა.შ.). მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ნევრმა სახელმწიფომ აღიაროს კონვენციის დარღვევის ფაქტი და მიიღოს ეფექტური ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად. საქმეზე „*Dalban v Romania*“ (2000) საჩივარი წარადგინა ჟურნალისტმა, რომელსაც ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება დაეკისრა. კომისიამ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ჟურნალისტი გარდაიცვალა და საქმის წარმოება მისმა ქვრივმა გააგრძელა. ამასობაში რუმინეთის უზენაესმა სასამართლომ სასჯელი გააუქმა მსჯავრდებულის გარდაცვალების გამო. რუმინეთის მთავრობის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საჩივრის წარმდგენი „მსხვერპლად“ აღარ უნდა ჩაითვალოს. სასამართლო ეს არგუმენტი არ გაიზიარა. სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესმა სასამართლომ განაჩენი გააუქმა პირის გარდაცვალების გამო და მას არ უღიარებია კონვენციის დარღვევის ფაქტი. სტრასბურგის სასამართლომ ეჭვი გამოთქვა, რომ ქვრივი ადგილობრივი სასამართლო პროცედურის მეშვეობით სამოქალაქო წესით კომპენსაციას ვერ მიიღებდა.

„პოტენციურ მსხვერპლად“ პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ არსებობს საფრთხე, რომ მას მომავალში პირდაპირ და უშუალოდ მიადგება ზიანი. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია გერმანელი ადვოკატების საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული იყო საიდუმლო მოსმენების შესახებ გერმანული კანონი („*Class v Germany*“, 1978). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მომავალში მათი ინტერესების დარღვევის კონკრეტული საფრთხე, სასამართლომ ადვოკატები მაინც აღიარა „პოტენციურ მსხვერპლად“.

### **ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების (პროცედურის) ამონურვა**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივარი შეიძლება წარედგინოს მხოლოდ ყველა შიდასახელ-

მნიფორმაციის საშუალების (პროცედურის) ამონაწერის შემდგომ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებრმა სახელმწიფომ დაარღვია კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლება ან თავისუფლება. სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენამდე განმცხადებელმა უნდა მისცეს ადგილობრივ სასამართლოებს შესაძლებლობა, „თავიდან აიცილონ ან აღმოფხვრან“ კონვენციის დარღვევა. ეს კონვენციის ერთ-ერთ უმთავრეს საპროცესო ნორმას წარმოადგენს. ეს ნორმა ხშირად არასწორად აღიქმება ან გამოიყენება საჩივრის წარმდგენების ან მათი წარმომადგენლების მიერ, რის შედეგადაც ბევრი საჩივარი დაუშვებლად ცხადდება.

საჩივრის წარმდგენმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნევს, რომ ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება (პროცედურა) ამონაწერულია. შემდეგ სახელმწიფო ვალდებული ამტკიცოს, რომ სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა გამოყენებული არ ყოფილა. თუ დადგინდება, რომ თუნდაც ერთი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება კიდევ არსებობს, საჩივარი დაუშვებლად ჩაითვლება. საქმეზე „Earl Spencer v UK“ სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, რადგან საჩივრის წარმდგენმა არ უჩივლა შესაბამის გაზეთს, ხოლო ინფორმაციის გამავრცელებელ მეგობართან მორიგებით დაამთავრა საქმე.

## დასაშვებობის განსაზღვრის წესი

მომხსენებელი მოსამართლე ამზადებს მოხსენებას საჩივრის დასაშვებობის თაობაზე და მას გადაუგზავნის კოლეგიას ან პალატას. თუ მომხსენებელი მოსამართლე საჩივარს დაუშვებლად მიიჩნევს, იგი საჩივარს გადაუგზავნის კოლეგიას, რომელსაც შეუძლია ერთხმად, ყოველგვარი შემდგომი ფორმალობების დაცვის გარეშე, საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადოს. პალატა დასაშვებობის საკითხს იმ შემთხვევაში გადაწყვეტს, თუ საქმე მომხსენებელი მოსამართლის მიერ მასთან გადაიგზავნა ანდა კოლეგიის ყველა წევრი ვერ შეთანხმდა დასაშვებობაზე. პალატას ასევე შეუძლია ერთხმად, ყოველგვარი შემდგომი ფორმალობების დაცვის გარეშე, საჩივრის დაუშვებლად გამოაცხადება. თუ პალატა ერთხმად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, საჩივარი გადაეგზავნება მოპასუხე სახელმწიფოს. სა-

ხელმწიფო ამზადებს ნერილობით შეპასუხებას, რომელშიც უნდა გამოავლინოს საკუთარი დამოკიდებულება როგორც დასაშვებობის საკითხის, ისე საქმის არსებითი გარემოებებისადმი. საჩივრის წარმდგენს უფლება აქვს, ნერილობით წარმოადგინოს საკუთარი ახსნა- განმარტება მთავრობის შეპასუხებასთან დაკავშირებით. პალატა უფლებამოსილია, ჩაატაროს ხანმოკლე ზეპირი მოსმენა დასაშვებობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ასეთი ზეპირი მოსმენის ჩატარება. იშვიათ შემთხვევაში სასამართლო პალატა უფლებამოსილია, დასაშვებობისა და არსებითი საკითხის შესახებ კომბინირებული ზეპირი მოსმენა გამართოს და შესაბამისი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

სასამართლო გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს. გადაწყვეტილება ნერილობითია და ორივე მხარეს ეგზავნება. პალატა ან პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიყენოს საჩივრის უზრუნველყოფის „დროებითი“ ღონისძიება, თუ ეს აუცილებელია მხარის ინტერესების დასაცავად ან პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის (მაგ.: იმ ხელოვნების ნიმუშის განადგურებისაგან დასაცავად, რომელიც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უხამსადაა მიჩნეული). როგორც წესი, სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენისას თავად სახელმწიფო ამბობს უარს ისეთი გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ შესრულებაზე, რომელიც აღუდგენელ ზიანს გამოიწვევს.

## საჩივრის განხილვა


მას შემდეგ, რაც საჩივარი დასაშვებად იქნება მიჩნეული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმის არსებით განხილვას შეუდგება. სასამართლო მხარეებს აძლევს ნერილობითი შუამდგომლობებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას. სასამართლო პალატას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე. თუ ზეპირი მოსმენა დასაშვებობის საკითხზე არ გამართულა, მხარეს შეუძლია მოითხოვოს არსებითი განხილვისათვის ზეპირი მოსმენის დანიშვნა. თუმცა ზეპირი მოსმენის გამართვის უფლება გარანტირებული არ არის და სასამართლო ზეპირ მოსმენას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მართავს. ადამიანის უფლებათა ევრო-

პული კონვენციის 38-ე მუხლი ზეპირი სხდომის გამართვას არ მოითხოვს. საჩივრის დასაშვებად გამოცხადების შემდეგ სასამართლო მხარეებს სთავაზობს მორიგებას. მორიგება კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე უნდა მოხდეს. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტების განვითარების კვალდაკვალ, საქმეთა მორიგებით დამთავრების ფაქტები ბოლო პერიოდში უფრო გახშირდა. უკვე გადაწყვეტილ მსგავს საქმეთა შედეგის შესაბამისად, ნევრმა სახელმწიფომ წინასწარ იცის, თუ რა შანსები გააჩნია საქმის წარმატებით დასასრულებლად.


თუ საქმე მორიგებით არ დამთავრდება, „მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“, სასამართლომ შეიძლება მესამე მხარეს (არასამთავრობო საერთაშორისო ან ადგილობრივ ორგანიზაციას და ა.შ.) სთხოვოს სპეციალური მოხსენების წარმოდგენა. საბოლოო მთავარი სხდომა ზეპირი მოსმენის ფორმით იმართება. ზეპირი მოსმენა ძალზე ხანმოკლეა და, როგორც წესი, ნახევარ დღეზე მეტი არ გრძელდება. მხარეები სასამართლოს მიერ განსაზღვრული რეგლამენტის გათვალისწინებით წარმოდგენენ თავიანთ პოზიციას. გადაწყვეტილებას სასამართლო მხარეთა დაუსწრებლად აცხადებს. სასამართლო მხარეებს გადაწყვეტილების ასლებს გადაუგზავნის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან საქმეებზე პალატის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს დიდ პალატაში. სასამართლო პროცესის მონაწილეები პასუხს არ აგებენ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებებისათვის.

## სამართლიანი ანაზღაურება

საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო განიხილავს სასამართლო ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების საკითხს კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად. სამართლებრივი დახმარებისათვის გამოყოფილი თანხის მსგავსად, ანაზღაურების ოდენობაც საკმაოდ მოკრძალებულია. საჩივრის წარმდგენი ვალდებულია, საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ ორი თვის ვადაში დააზუსტოს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დეტალები და თანხის ოდენობა. კომპენსაციის მიზანია მხარეთა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, კომპენსაციის ოდენობა მიყენებული ზარალის ოდენობაზეა დამოკიდებული.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1998 წლის შემდეგ





## თავი 2

### გამოხატვის თავისუფლება. გზამკვლევი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განსახორციელებლად<sup>1</sup>

#### შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია დემოკრატიული ფასეულობების, მშვიდობისა და სამართლიანობისადმი ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების დამოკიდებულების გამოხატულებაა. კონვენცია ასახავს სახელმწიფოთა პატივისცემას საზოგადოების წევრთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი. ევროკონვენციას ხელი მოეწერა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში კონვენცია განვითარდა როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის პრაქტიკის, ისე ევროსაბჭოს მიერ კონვენციის ტექსტში შეტანილი დამატებების საფუძველზე. ევროსაბჭომ მიიღო კონვენციის რამდენიმე დამატებითი ოქმი, რომელთა მეშვეობითაც კონვენციით რეგულირებადი საკითხების სფერო გაიზარდა. მიღებულ იქნა მრავალი რეზოლუცია და რეკომენდაცია, რომელთაც დაამკვიდრეს ქვეყის ახალი სტანდარტები. კონვენციის დებულებების შეუსრულებლობისათვის წევრი სახელმწიფოების მიმართ სანქციების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონვენციის ფუნქციონირებას. ო.

<sup>1</sup> A guide to Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, Human Rights Handbook N2, Council of Europe Publications.

1 ევროკონვენციის მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა შეუსაბამოს კონვენციას. ამდენად, კონვენცია ადგილობრივი სასამართლოებისა და ყველა საჯარო მოხელისათვის უსათუოდ გასათვალისწინებელი დოკუმენტია. ეს ნიშნავს იმასაც, რომ, კონვენციიდან გამომდინარე, ნებისმიერ უფლებასა და მოვალეობასთან დაკავშირებით ნევრ სახელმწიფოში მცხოვრებმა ნებისმიერმა ინდივიდმა შეიძლება დაიმონმოს კონვენციის ტექსტი და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეროვნულმა სასამართლომ. უფრო მეტიც, ადგილობრივმა თანამდებობის პირმა და სასამართლომაც უპირატესობა უნდა მიაწიოს კონვენციას, თუკი ეროვნული კანონი ეწინააღმდეგება კონვენციას და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას.

კონვენციის ტექსტი განიმარტება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად. კონვენცია ფუნქციონირებს საერთო (პრეცედენტული) სამართლის პრინციპების საფუძველზე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვეტილებები განმარტავს კონვენციის ტექსტს — ისინი წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის პრეცედენტებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა. ამიტომაც კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ ხელმომწერი სახელმწიფოების თანამდებობის პირები (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყანაში კონტინენტური სამართლის სისტემა მოქმედებს) ვალდებულნი არიან, სტრასბურგის სასამართლოს გადანყვეტილებები სავალდებულო ძალის მქონე ნორმებად განიხილონ. ამიტომაც ეს გზამკვლევი უმეტესად სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას (იურისპრუდენციას) შეეხება.

კონვენციის ინტერპრეტაცია დინამიკური და განვითარებადი პროცესია. ეს ხელს უწყობს კონვენციის სიცოცხლისუნარიანობას, რათა დღევანდელ გარემოებათა გათვალისწინებით მოხდეს მისი ტექსტის ინტერპრეტაცია. შესაბამისად, სასამართლო ითვალისწინებს (და უნდა გაითვალისწინოს) ევროსაბჭოს ნევრ ქვეყნებში ჩამოყალიბებულ და საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.

## მე-10 მუხლის ძირითადი პრინციპები

კონვენციის პრეამბულაში მოხსენიებული ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის კონტექსტში, გამოხატვის თავისუფლება არათუ მნიშვნელოვანია, არამედ ცენტრალურ როლს თამაშობს კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების დასაცავად. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებისთვის ფართო დაცვითი გარანტიის მინიჭების გარეშე არ არსებობს თავისუფალი ქვეყანა, არ არსებობს დემოკრატია. ეს ზოგადი თეზისი უდავოა.

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს როგორც დამოუკიდებელ უფლებას, ასევე კონვენციით დაცული სხვა უფლებების კომპონენტს (მაგ.: გამოხატვის თავისუფლება შეკრების თავისუფლების შემადგენელი ნაწილია). ამავე დროს, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაუპირისპირდეს კონვენციით დაცულ ისეთ უფლებებს, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება. როდესაც ამგვარი კონფლიქტი იქმნება, სასამართლო ადგენს ერთ-ერთი უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) მეორესთან შედარებით. მაგალითად, საქმეში „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა: „აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი, პროგრესისა და საზოგადოების თითოეული წევრის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა“, „პრესა სამართლებრივ სახელმწიფოში წამყვან როლს თამაშობს.“

გამოხატვის თავისუფლების დაცვა აუცილებელია დემოკრატიული პოლიტიკური პროცესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მე-10 მუხლის დებულებები ვრცელდება ნებისმიერი აზრის ნებისმიერი სახითა და ფორმით გამოხატვაზე, შინაარსის მიუხედავად. ამავე დროს, კონვენცია გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შეზღუდვას ექვემდებარება ნაცისტური იდეოლოგიის, რასობრივი დისკრიმინაციისა და გენოციდის პროპაგანდა. კომისიამ კონვენციის მე-17 მუხლზე დაყრდნობით დაადგინა, რომ არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების იმგვარად გამოყენება, რომ ამან გამოიწვიოს კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ამგვარი დამო-

კიდებულება ეხმიანება ტოლერანტობის პარადოქსულობის თეორიას. აბსოლუტურმა შემწყნარებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ტოლერანტობის სანინაალმდეგო იდეების შეწყნარება, რაც შეინირავს ტოლერენტობას.

სახელმწიფოები ვალდებული არიან, გამოხატვის თავისუფლებაში მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ჩარევა დაასაბუთონ. გამოხატვის თავისუფლების გარანტიების უზრუნველსაყოფად სასამართლო ამონმებს გამოხატვის ტიპს (პოლიტიკური, კომერციული, მხატვრული და ა.შ.), ფორმას, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია გავრცელდა (ბეჭდვითი პრესა, ტელევიზია და ა.შ.) და აუდიტორიას (სრულწლოვანები, ბავშვები, მთელი საზოგადოება, განსაზღვრული ჯგუფი). ამ კრიტერიუმების გათვალისწინებას გამოხატვის თავისუფლების დაცვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

გადანყვეტილების მიღების დროს სტრასბურგის სასამართლო ეროვნულთან ერთად ყურადღებას აქცევს ამერიკის შეერთებული შტატების საკონსტიტუციო პრაქტიკას, რომელიც გამოხატვის თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს ანესებს. თუმცა ადგილობრივი სასამართლოს გადანყვეტილებები — მათ შორის ძალაში შესული გადანყვეტილებებიც — არცთუ ფართოდ გამოიყენება ისეთი საერთაშორისო სუბიექტის მიერ, როგორიც საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შექმნილი და მოქმედი სასამართლოა. ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებებს სტრასბურგის სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა არ გააჩნია. ზოგიერთ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ და კომისიამ მიუთითეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტსა და სხვა ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას.

კონვენციის მე-10 მუხლი შედგება ორი პუნქტისაგან:

— პირველი პუნქტი განმარტავს დაცული უფლების შინაარსს.

— მეორე პუნქტი ადგენს, რა შემთხვევაში იქნება კანონიერი სახელმწიფოს ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში.

## **გამოხატვის თავისუფლების დაცვა – მუხლი მე-10, პუნქტი 1—ლი:**

*1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს*

და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინონარმოების ლიცენზირება.

## რა უფლებაა დაცული პირველი პუნქტით

მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირებიდან გამომდინარე, დაცულია ისეთი აზრის გამოხატვა, რომელიც ზიანს აყენებს ან მომავალში მიაყენებს სხვათა ინტერესებს.

ამიტომაც, მე-10 მუხლის მიერ შეთავაზებული დაცვა ვრცელდება იმ ინფორმაციებსა და აზრებზეც, რომლებიც გამოხატულია პირთა მცირე ჯგუფის ან ინდივიდების მიერ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი გამოხატვა შოკს ჰგვრის უმრავლესობას. ინდივიდის მოსაზრებისადმი შემწყნარებლობა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. გმობდა რა უმრავლესობის ტირანიას, ჯონ სტიუარტ მილი მიუთითებდა: „თუკი მთელ კაცობრიობას, გარდა ერთი ადამიანისა, ექნებოდა ერთიანი აზრი და იგი ჩაახშობდა ამ ერთი ინდივიდის მოსაზრებას, მაშინ მისი ქმედება ისევე მიუღებელი იქნებოდა, როგორც იმ ადამიანის ქმედება, რომელიც მთელი კაცობრიობის აზრს ახშობს.“ ამ თვალსაზრისით სასამართლომ დაადგინა, რომ მე-10 მუხლით გარანტირებული „გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღელვებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია.“

2. მე-10 მუხლით დაცული „გამოხატვა“ ვრცელდება არა მარტო დაწერილ, დაბეჭდილ ან წარმოთქმულ სიტყვებზე, არამედ სურათებზე, წარმოდგენებსა და მოქმედებებზე, რომლებიც რაიმე იდეას გამოხატავს ან რაიმე ინფორმაციას შეიცავს. მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვა ზოგიერთ გარემოებაში შესაძლოა ადამიანის სამოსსაც კი შეეხოს.

უფრო მეტიც, მე-10 მუხლი იცავს არა მარტო ინფორმაციებისა და

იდების შინაარსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმებსაც. ამიტომაც ბეჭდური ინფორმაცია, მაუნყებლობა, ნახატები, ფილმები ან ელექტრო-ინფორმაციული სისტემები ამავე მუხლითაა დაცული.

3. მე-10 მუხლი არ იცავს არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას. ხმის მიცემის უფლება სახელმწიფოს იმ ვალდებულების კომპონენტად ითვლება, რომელიც გულისხმობს „დროის გონივრულ შუალედებში თავისუფალი და ფარული არჩევნების ჩატარებას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს კანონმდებლობის შესაბამისად ხალხის მიერ აზრის თავისუფალი გამოხატვა.“

4. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ასევე დუმილის უფლებას. ასეთი უფლების არსებობის შესახებ კომისიამ მიუთითა საქმეში „*K v Austria*“, რათა დაეცვა საჩივრის ნარმდგენი საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან.

5. სტრასბურგის ინსტიტუტებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებად ელიარებინათ. მაგალითად, ლინდერის საქმეში (*Leander v. Sweden*, 1987) აპლიკანტი ითხოვდა მთავრობის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებას. ლინდერი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში აპლიკანტი არ სარგებლობდა მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებით. თუმცა, აღინიშნა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, ზოგ შემთხვევაში, კონვენციის სხვა მუხლებით არის დაცული. გასკინის საქმეში (*Gaskin v. UK*, 1989) სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ქონდა მე-8 მუხლის დარღვევას, ვინაიდან აპლიკანტს უარი ეთქვა ისეთი ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც ბავშვა სახლში მისი ყოფნის პერიოდს ეხებოდა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაცია აპლიკანტის პირად ცხოვრებას უკავშირდებოდა და მისთვის დიდი მნიშვნელობისა იყო.

გარდა ამისა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციაში (428, 1970) ნათქვამია, რომ გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას და რომ მას-მედიას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

6. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი აზრის გამოხატვის უფლების სამკომპონენტს შეიცავს:

- აზრის (ქონის) თავისუფლებას;
- ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებას;
- ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლებას;

ამ უფლებების რეალიზება უნდა მოხდეს საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და სახელმწიფოთა საზღვრების მიუხედავად.

## აზრის თავისუფლება

7. აზრის თავისუფლება მე-10 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი თავისუფლებების უმთავრესი წინაპირობაა. ის სარგებლობს თითქმის აბსოლუტური დაცვით, რადგან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები მასზე არ ვრცელდება. როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, „ამ უფლებაში ნებისმიერი ჩარევა შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ბუნებასთან.“

სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან ამა თუ იმ მოსაზრების მქონე ინდივიდებს შორის დიფერენცირება. უფრო მეტიც, ცალმხრივი ინფორმაციისთვის ხელის შეწყობამ შესაძლოა აზრის თავისუფლებას სერიოზული და გადაულახავი ბარიერი შეუქმნას.

8. აზრის თავისუფლება მოიცავს ასევე საკუთარი აზრის გავრცელებაზე უარის თქმის ნეგატიურ თავისუფლებას.

## ინფორმაციისა და აზრის გავრცელების თავისუფლება (ინფორმაციის თავისუფლება)

9. ქვეყნის დემოკრატიული სტრუქტურისა და მისი პოლიტიკური ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციისა და აზრის გავრცელების თავისუფლებას. ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია, თუკი ეს უფლება ირღვევა. უფრო მეტიც, ინფორმაციისა და აზრის გავრცელების თავისუფლება მთავრობის კრიტიკის საშუალებას იძლევა, რაც თავისუფალი და დემოკრატიული მმართველობის მთავარი ინდიკატორია. სასამართლომ ჯერ კიდევ 1976 წელს მიუთითა, რომ კონვენციით დაცულ უფლებებზე საზედამხედველო ფუნქცია მას ავალდებულებს, მაქსიმალური ყურადღება დაუთმოს „დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ დამახასიათებელ პრინციპებს.

ამგვარი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საფუძველს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას" გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს. პრესა ვალდებულია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია პოლიტიკური თემების შესახებ ისევე, როგორც ამას აკეთებს საზოგადოებრივი ინტერესის სხვა სფეროში. ეს არ არის მხოლოდ პრესის ამოცანა. ცხადია, საზოგადოებასაც აქვს უფლება, ასეთი ინფორმაცია და მოსაზრებები მიიღოს."

ამკარაა, რომ ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლება ინფორმაციის მიღების თავისუფლების შემადგენელი კომპონენტია. ეს ვრცელდება როგორც ბეჭდვით, ისე სამაუწყებლო მედიაზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ მაუწყებლობისა და მსმენელთა ურთიერთობაში.

10. მე-10 მუხლით ასევე დაცულია ინფორმაციისა და აზრის გავრცელების უფლება ეკონომიკურ საკითხებზე (ე.წ. კომერციული ინფორმაცია). თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ კომერციულ ინფორმაციასთან მიმართებაში წევრი სახელმწიფოები უფრო ფართო დისკრეტული უფლებამოსილებით სარგებლობენ.

11. მხატვრულ ინფორმაციასა და მის გავრცელებას სტრასბურგის სასამართლო განიხილავს, როგორც დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელ კომპონენტსა და იდეებისა და ინფორმაციის გაცვლისათვის ხელშემწყობ მთავარ ფაქტორს. რაკი მხატვრული შემოქმედების თავისუფლება და მხატვრული ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევა მხოლოდ არადემოკრატიულ ქვეყნებშია შეზღუდული, კომისიამ დაადგინა: „ხელოვანი თავის ნაწარმოებში გამოხატავს არა მარტო საკუთარ მსოფლმხედველობას, არამედ დამოკიდებულებას იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით ხელოვნება ემსახურება არა მარტო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, არამედ მას შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო დისკუსიის ინიცირებაც."

12. ინფორმაციისა (ფაქტი) და მოსაზრებას (შეფასებითი მსჯელობა) შორის განსხვავების დაზუსტებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია, შეფასებითი მსჯელობისას კი ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობა (მოსაზრება) პირადი შეხედულებაა ამა თუ იმ მოვლენასა თუ ფაქტთან დაკავშირებით და შეუძლებელია მისი სინამდვი-



ლესთან შესაბამისობის დადგენა. ფაქტი კი (რომელსაც, შესაძლოა, ეს მოსაზრება ეყრდნობოდეს) შეიძლება სწორი ან არასწორი იყოს. შესაბამისად, დალბანის საქმეში სასამართლომ განაცხადა: „გაუმართლებელი იქნება, თუკი ჟურნალისტს საკუთარი კრიტიკული შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას მოვთხოვთ.“

იმ ინფორმაციას ან მონაცემებთან ერთად, რომლებიც სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენას ექვემდებარება, კონვენციის მე-10 მუხლი იცავს იმ შეფასებით მსჯელობებს, შეხედულებებსა და კრიტიკასაც, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად სწორად ან არასწორად. მეტიც, პოლიტიკურ სფეროში გამოთქმულ შეფასებით მსჯელობებს მე-10 მუხლი განსაკუთრებით იცავს, რადგან ეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი შეხედულებათა პლურალიზმის მოთხოვნაა. ასევე დაცულია მკაცრი და გაზვიადებული შეფასებებიც. კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების მოქმედება დამოკიდებულია კრიტიკის შინაარსსა და მიზანზე. საარჩევნო კამპანიის, პოლიტიკური დებატების, პოლიტიკოსების ან საჯარო მოხელეების წინაღმდეგ მიმართული კრიტიკის დროს, აგრეთვე საჯარო ინტერესის საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებებს სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით იცავს. მაგალითად, თორგეისონის საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ თუმცა სტატია შეიცავდა ძალზე მკაცრ და უხემ გამონათქვამებს, იგი დაცული იყო მე-10 მუხლის გარანტიებით, რამეთუ მიზნად ისახავდა პოლიციის რეფორმის გატარებას. ჯერსილდის საქმეში კი ინტერვიუ შეიცავდა რასისტულ გამონათქვამებს, რომლებიც სერიოზული საინფორმაციო პროგრამით გადაიცა. დალბანის საქმეში, სადაც ჟურნალისტმა პოლიტიკოსი დაადანაშაულა კორუფციაში და სახელმწიფო აქტივების გაფლანგვაში, სასამართლომ დაადგინა: „ჟურნალისტის გამობატვის თავისუფლება გულისხმობს გაზვიადების მაღალ ხარისხს ან თუნდაც პროვოკაციას.“

ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავების დაწესება თანდათან წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებისათვისაც მნიშვნელოვანი ხდება. ბევრ წევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ მოითხოვენ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას.

საქმეზე „*Dalban v Romania*“ სასამართლომ აღნიშნა: ვერ მტკიცდება, რომ სტატიაში მოვლენათა აღწერა შორსაა რეალობისაგან და მი-

მართულია G.S.-ის წინააღმდეგ ცილისნამების კამპანიის ხელშეწყობისათვის". არსებითად, ამ შემთხვევაში სიმართლის მტკიცების ნაცვლად კეთილსინდისიერების ტესტი უნდა გამოვიყენოთ. თუკი საკითხი საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს და საჯარო მიზანს ემსახურება, ხოლო ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობის დასადგენად გონივრული ზომებია მიღებული, ჟურნალისტი პასუხს არ აგებს პატივისა და ღირსების შელახვისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფაქტები არასწორია.

## ინფორმაციისა და იდეათა მიღების თავისუფლება

13. ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლება გულისხმობს ყველა შესაძლო კანონიერი წყაროს მეშვეობით ინფორმაციის მოძიებისა და მოპოვების უფლებას. ინფორმაციის მიღების თავისუფლება მოიცავს ასევე საერთაშორისო სატელევიზიო მაუწყებლობის არსებობას.

ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებით პრესაც სარგებლობს, რათა მან შემდგომ შეძლოს ასეთი ინფორმაციისა და იდეის საზოგადოებისათვის მიწოდება. სასამართლო ამ უფლების ქვეშ მოიაზრებს ასევე საზოგადოების უფლებას, იყოს სათანადოდ ინფორმირებული, განსაკუთრებით კი ისეთ მოვლენებზე, რომელთა მიმართაც არსებობს საჯარო ინტერესი.

## პრესის თავისუფლება

14. მართალია, მე-10 მუხლში პირდაპირ არ არის ნახსენები პრესის თავისუფლება, მაგრამ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად პრესის მიმართ მე-10 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებებით სარგებლობის განსაკუთრებული გარანტიებია შექმნილი. ძირითად არგუმენტს, რის გამოც პრესის თავისუფლებას განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს, ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკა იძლევა: საჯარო მოხელეების მხრიდან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მსხვერპლნი უფრო მეტად ჟურნალისტები არიან, ვიდრე კერძო პირები.

15. პრესის როგორც „პოლიტიკური დარაჯის“ როლის შესახებ

სტრასბურგის სასამართლომ პირველად ლინგენსის საქმეში (1986) მიუთითა. რამდენიმე პუბლიკაციაში ჟურნალისტიკა გააკრიტიკა ავსტრიის მაშინდელი ფედერალური კანცლერი იმის გამო, რომ იგი კოალიციაში შევიდა ისეთ პარტიასთან, რომლის ლიდერი ნაცისტური წარსულის მქონე პიროვნება იყო. ჟურნალისტიკა კანცლერის საქციელს უწოდა „ამორალური“, „უღირსი“ და მონათლა „მდარე ოპორტუნიზმად“. კანცლერის კერძო ბრალდების საფუძველზე ავსტრიის სასამართლომ ზემოთ მოტანილი განცხადებები შეურაცხმყოფელად მიიჩნია და ლინგენსი დააჯარიმა. მისი ბრალის არგუმენტირებისას სასამართლოებმა ასევე დაადგინეს, რომ ჟურნალისტიკა ვერ შეძლო საკუთარი განცხადებების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის სასამართლოების პოზიცია მცდარი იყო, რამეთუ შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება შეუძლებელია და არ შეიძლება, ასეთი რამ ვინმეს დაევალოს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პოლიტიკური დებატების დროს პრესის თავისუფლების მნიშვნელობაზე: „ეს პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრესასთან მიმართებაში. მართალია, პრესამაც უნდა დაიცვას ის მოთხოვნები, რაც დადგენილია *inter alia* „სხვა პირთა რეპუტაციის“ დასაცავად, მაგრამ, ამავე დროს, მას ეკისრება პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელების მისია. ერთი მხრივ, პრესას აკისრია ამგვარი ინფორმაციის გავრცელების ამოცანა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებას უფლება აქვს, მიიღოს ეს ინფორმაცია თუ იდეები.“

ამასთან დაკავშირებით სასამართლო ვერ გაიზიარებს ვენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოხატულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „პრესის ამოცანა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაა, რომლის ინტერპრეტირება მხოლოდ მკითხველს უნდა მივანდოთ.“

იმავე გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პრესის თავისუფლება საზოგადოების ხელში იმ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და იდეების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათზე ამა თუ იმ წარმოდგენის ჩამოყალიბება. პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კი სწორედ ამ კონცეფციას ეყრდნობა.“

16. პრესის თავისუფლება ასევე სარგებლობს განსაკუთრებული დაცვით საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა მოვლენების გაშუქებისას. თორგეისონის საქმეში საჩივრის წარმდგენმა პრესაში გააკეთა განცხადება, რომელიც ეხებოდა ისლანდიაში გავრცელებულ ძალადობის ფაქტებს პოლიციის მხრიდან და პოლიციის ოფიცრებს ადარებდა „უნიფორმიან მხეცებს“. პოლიციის ქცევა დახასიათებული იყო, როგორც „დაშინებითი, უკანონო, დაუდევარი და უნიჭო მოქმედებები“. ეროვნულმა სასამართლომ თორგეისონი დამნაშავედ ცნო ზოგადად პოლიციელთა ცილისწამებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივრის წარმდგენი შეეხო პოლიციური ძალადობის თემას საკუთარ ქვეყანაში, რაკი „პრესა ვალდებულია, ხალხს შეატყობინოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია და იდეები“. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ „მის პრეცედენტულ სამართალში არ არსებობს რაიმე საფუძველი, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ... დისკუსიები პოლიტიკური და საჯარო ინტერესის მქონე სხვა მოვლენების თაობაზე.“ საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ ისლანდიის სასამართლოს განაჩენი „საჯარო ინტერესის საკითხებზე დისკუსიის გამართვის ხელისშემშლელად“ მიიჩნია. ეჭვსგარეშეა, რომ სასამართლო პრესის თავისუფლებას განსაკუთრებულად იცავს მაშინაც კი, როცა საკითხი არა პოლიტიკურ, მაგრამ საჯარო ინტერესის მქონე სხვა მოვლენის თაობაზე დისკუსიას ეხება.

17. პრესის თავისუფლებას უკავშირდება ჭორებისა და ისეთი ბრალდებების გამოქვეყნების საკითხი, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება უურნალისტს არ შეუძლია. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ განაცხადა, რომ შეფასებით მსჯელობას არ ესაჭიროება რაიმე მტკიცებულების მოტანა. თორგეისონის საქმეში პოლიციის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები შეგროვებული იყო მრავალი წყაროდან; ძირითადად სტატია შეიცავდა ხალხში გავრცელებულ ჭორებს, თუმცა მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა, რომ საჩივრის წარმდგენის სტატიას აკლდა ობიექტური და ფაქტობრივი საფუძველი, რადგან მას არ შეეძლო განცხადებულის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების მოთხოვნა არააგონივრული იქნებოდა, თუ შეუძლებელიც არა და განაცხადა, რომ პრესა თითქმის ვერც ერთ საკითხს ვერ შეეხებოდა, თუკი მხოლოდ ზუსტად დამტკიცებული ფაქტების დაბეჭდვა იქნებოდა აუ-

ცილებელი. ამკარაა, რომ სასამართლოს მოსაზრება იცავს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენების შესახებ გამართული საჯარო დისკუსიის თავისუფლებას.

18. მე-10 მუხლით დაცულია ასევე ჟურნალისტური წყაროს უფლებები. სასამართლომ განმარტა, რომ ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დაცვა პრესის თავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. გუდვინის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ „კონფიდენციალობის გარანტიის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება პრესას საზოგადოების ინფორმირებაში, ჟურნალისტებთან თანამშრომლობასა და მათთვის ინფორმაციის გადაცემაზე უარს იტყვის. შედეგად კი პრესა ვერ შეძლებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლის შესრულებასა და საზოგადოებისათვის ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას.

## რადიო და ტელემაუწყებლობის თავისუფლება

19. კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით, ინფორმაციისა და იდეის მიღებისა და გადაცემის უფლება „არ უნდა ზღუდავდეს სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიული გაერთიანებების მაუწყებლობის ლიცენზირება“; „მოსამზადებელ ეტაპზე ამ დებულების ფართო ფორმულირებით ასახვა კონვენციაში ტექნიკური მიზეზების გამო უარყოფილ იქნა. ამის საფუძველი იყო იმ დროისათვის სიხშირული სპექტრის შეზღუდული რაოდენობა და ტელემაუწყებლობის მონოპოლია. თუმცა სამაუწყებლო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად ეს მიზეზები აღარ არსებობს. „Informationsverein Lentia“-ს საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ „უკანასკნელ ათწლეულში მომხდარი პროგრესის კვალდაკვალ, შეზღუდვები არ შეიძლება გამართლებული იყოს სიხშირეთა და არხთა რიცხვის შეზღუდულ რაოდენობაზე მითითებით.“ სატელიტური და საკაბელო მაუწყებლობის განვითარებამ შედეგად ის მოიტანა, რომ აღარ არის შეზღუდული სიხშირული სპექტრის რაოდენობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოების სალიცენზიო უფლებამოსილებამ ახალი დატვირთვა შეიძინა, განსაკუთრებით კი ინფორმაციის პლურალიზმისა და თავისუფლად გავრცელების დაცვის თვალსაზრისით.

20. სასამართლომ განაცხადა, რომ წევრი სახელმწიფოების თანამდებობის პირთა უფლებამოსილება სალიცენზიო სისტემის რეგულირების თაობაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით და არა გამოხატვის თავისუფლების (კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნების სანინაალმდეგოდ) შესაზღუდად. გროპერას საქმეში სასამართლომ მიიჩნია: „მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მესამე წინადადება სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, სალიცენზიო სისტემის მეშვეობით აკონტროლონ მხოლოდ მაუნყებლობის ორგანიზაციული და განსაკუთრებით კი ტექნიკური საკითხები თავიანთ ტერიტორიებზე...“

ეტრონიკის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სატელიტური ანტენებით ინფორმაციის გადაცემა არ შეიძლება იყოს კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული შეზღუდვის ობიექტი.

21. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, აუდიოვიზუალურ მედიაში სახელმწიფო მონოპოლია მე-10 მუხლს ეწინააღმდეგება, რამეთუ ეს ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის პლურალიზმს. ამგვარი მონოპოლია არაა აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის და მხოლოდ „გადაუდებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილებით“ შეიძლება იქნეს გამართლებული. თუმცა თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც არსებობს მაუნყებლობის მრავალი საშუალება, მონოპოლიის გამართლება ძნელია. მეორე მხრივ, შეუძლებელია, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოთხოვნილებები სრულყოფილად დააკმაყოფილოს ერთმა სამაუნყებლო კომპანიამ.

22. მე-10 მუხლის მიერ ასევე დაცულია აუდიოვიზუალური მედიის კომერციული ინფორმაცია (რეკლამა) მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს ამ მიმართულებით ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნიათ. პრინციპში, რეკლამის მომზადებისა და გავრცელებისას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების აზრს და იმ მორალურ ფასეულობებს, რომლებიც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს აყალიბებს. ნებისმიერი რეკლამა, რომელიც ეხება ბავშვებს, არ უნდა შეიცავდეს მათი ინტერესებისთვის ზიანის მომტან ინფორმაციას და პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს მათ ფიზიკურ, მორალურ და გონებრივ განვითარებას.

## გამოხატვის თავისუფლების უფლების გამოყენების შეზღუდვათა სისტემა — პუნქტი მეორე

23. მე-10 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

2. „ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, უნესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად“.

24. გამოხატვის თავისუფლების აკრძალვა, შეზღუდვა, მის გამოსაყენებლად რაიმე პირობის დანესება ან სხვაგვარი ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში. ასეთმა შეზღუდვამ გამოხატვის თავისუფლების იდეის შინაარსი არ უნდა შეცვალოს. კონვენციის მე-17 მუხლში ვკითხულობთ: ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ანიჭებდეს უფლებას რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფსა თუ პიროვნებას რაიმე საქმიანობაში გამოიყენოს ან შეასრულოს რაიმე ქმედება მიმართული აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი უფლებისა და თავისუფლების დესტრუქციისა ან მათი შეზღუდვისაკენ იმაზე უფრო დიდი ზომით, ვიდრე ეს განსაზღვრულია კონვენციით.

აშკარაა, რომ უფლების შინაარსის შეზღუდვა ამ უფლების გაუქმების ტოლფასია. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს არ ევალებათ შეზღუდონ გამოხატვის თავისუფლება თუნდაც მეორე პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. მაგალითად, ვინმეს რეპუტაციის ან ღირსების შელახვა შეიძლება ყოველთვის არ იქნეს განხილული დანაშაულად ან სამოქალაქო დელიქტად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჯარო ხელისუფლებას ენიჭება გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ზომების მიღების უფლება და არ ეკისრება ამის ვალდებულება. ამ საკითხისადმი განსხვავებულმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს უფლებებისა და შეფასებების ან ინტერესების იერარქიაში გა-

მოხატვის თავისუფლების უკანა პლანზე გადაწევა (მაგ.: პატივისა და ღირსების, მორალის ან საჯარო ნებსრიგის შემდეგ). მსგავსი ცვლილების განხორციელება იერარქიაში გამოიწვევს საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევას, რამეთუ ისინი ითვალისწინებენ უფლებათა თანასწორობას. კონვენცია ნებას არ იძლევა, პერმანენტულად შეიზღუდოს რომელიმე უფლება, რადგან ეს ამ უფლების გაუქმების ტოლფასი იქნება.

25. იდეა, რომლის მიხედვითაც გამოხატვის თავისუფლების განხორციელება იწვევს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, უნიკალურია, რადგან კონვენციაში არ მოიძებნება სხვა უფლება და თავისუფლება, რომელიც მსგავს დებულებას ითვალისწინებს.

26. სასამართლო გარკვეული პროფესიების მქონე პირთა სიტყვის თავისუფლების ავტომატურ შეზღუდვას არ ანებს. სასამართლოს გადაწყვეტილება ასახავს სხვადასხვა შეხედულებებს ზოგიერთი სამოქალაქო მოხელის „ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის“ შესახებ. დაბოლოს, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იმგვარად ვითარდება, რომ სახელმწიფოებს სთავაზობს მხოლოდ ლიბერალურ მიდგომას, რაც გულისხმობს სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილების შემცირებას.

27. „*Hadjianastassiou v Greece*” საქმესთან დაკავშირებით ოფიცერი გასამართლებული იყო საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. მან გასცა ინფორმაცია კონკრეტულ იარაღზე. გამჟღავნებული ინფორმაცია შეეხებოდა სამხედრო იარაღსა და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს, რასაც შეეძლო ზიანი მოეტანა ეროვნული უსაფრთხოებისთვის. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილება უნდა შეფასებულიყო გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად, მაგრამ იგი შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისებს: „აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის „ვალდებულებები“ და „პასუხისმგებლობა“, რომელიც გააჩნიათ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს და ის სპეციფიკური პირობები, რაც არსებობს სამხედრო სფეროში. მოსარჩელე, როგორც KETA-ს ყუმბარების წარმოების პროგრამის ოფიცერი, ვალდებული იყო, თავი შეეკავებინა სამსახურებრივი ინფორმაციის გაცემისგან.”

28. ენგელისა და სხვების საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ სასამართლომ შეცვალა მოსაზრება. საქმე-



ში „Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs und Gubi v Austria“ ავსტრიის ხელისუფლებამ კერძო კომპანიას აუკრძალა კრიტიკული შინაარსის მქონე პერიოდიკის გავრცელება, რომელიც ეხებოდა სამხედრო ადმინისტრაციას. ავსტრიის მთავრობამ მიიჩნია, რომ საჩივრის წარმდგენის გაზეთი საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის თავდაცვის სისტემას და არმიის ეფექტურობას. სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებებს და დასძინა, რომ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული ინფორმაციის უმეტესობა „წარმოადგენდა საჩივრებს, მოუწოდებდა რეფორმების ჩატარებისაკენ, აგრეთვე მკითხველებს ურჩევდა კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურებისა და შესაძლებლობების გამოყენებას. თუმცა, მიუხედავად ხშირი პოლემიკისა, მათ არ დაურღვევიათ იდეების თაობაზე დისკუსიის დასაშვები საზღვრები, რაც აუცილებელია იმ დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომელსაც არმია ემსახურება.“

29. „*Rommelfanger*“-ის საქმესთან დაკავშირებით კომისიამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამოქალაქო მოხელეების სპეციალური „ვალდებულებები და პასუხისმგებლობა“ გასათვალისწინებელია, მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს იმგვარად, როგორც ეს ხდება სხვათა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დროს.

30. „*Vogt v Germany*“ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო მოხელისათვის ლოიალობის იმგვარი კონკრეტული ფორმით მოთხოვნა, როგორც ეს აღნიშნულ საქმეში დადასტურდა, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაა. 1987 წელს ქალბატონი ფოგთი დაითხოვეს იმ სკოლიდან, სადაც იგი 12 წელი ასწავლიდა. დათხოვნის მიზეზად კი ის დასახელდა, რომ ქალბატონი ფოგთი გერმანიის კომპარტიის აქტივისტი იყო და უარი განაცხადა პარტიის დატოვებაზე. სახელმწიფოსადმი ლოიალობის ვალდებულებამ მნიშვნელოვანი ხასიათი შეიძინა ვაიმარის რესპუბლიკის გამოცდილების გამო და იგი გამართლებული იყო, რადგან საჯარო მოხელეებს უკრძალავდა კონსტიტუციის დებულებების საწინააღმდეგო პოლიტიკურ საქმიანობას. ქალბატონ ფოგთის ზედამხედველებმა მიიჩნიეს, რომ მან დაარღვია ყველა საჯარო მოხელის ვალდებულება, ეცხოვრა კონსტიტუციით გათვალისწინებული დემოკრატიული სისტემის წესებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ:

„მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ზემოქმედება სამოქალაქო

მოხელეებზე, მათი სტატუსიდან გამომდინარე, კანონმდებლობას შეესაბამება, სამოქალაქო მოხელეები ინდივიდები არიან და, შესაბამისად, სარგებლობენ კონვენციის მე-10 მუხლის დაცვით.”

ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თუმცადა გასაგებია გერმანიის ისტორიასთან დაკავშირებული არგუმენტები, მაინც მიუღებელია ლოიალობის ვალდებულების აბსოლუტური ხასიათი, მისი ყველა საჯარო მოხელისადმი მისადაგების მცდელობა. სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანიის ხელისუფლებამ დაარღვია როგორც სიტყვის, ისე შეკრების თავისუფლება.

31. ნებისმიერი ეროვნული კანონი, რომელიც აწესებს აბსოლუტური და შეუზღუდავი ლოიალობის მოთხოვნას სხვადასხვა საჯარო მოხელეებთან მიმართებაში (მათ შორის საიდუმლო სამსახურის, არმიისა და სხვა უწყებათა წევრებთან მიმართებაშიც), არღვევს კონვენციის მე-10 მუხლს.

როდესაც სახელმწიფოები ჩარევას ახორციელებენ „ეროვნული უშიშროების“ ინტერესების დასაცავად, მაშინ მათ „ეროვნული უშიშროება“ ძალზე ვიწროდ უნდა განმარტონ. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა დაასაბუთონ ეროვნული უსაფრთხოებისათვის ზიანის მიყენების რეალურობა და ასევე უნდა გაითვალისწინონ ზოგიერთ ინფორმაციაზე საჯარო ინტერესის არსებობა. თუ ეს ორი პირობა არ არსებობს, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა აბსოლუტურ ხასიათს იძენს და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან შეუთავსებელი ხდება.

32. სასამართლომ „ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის“ პრინციპთან დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთი კატეგორიის პირების მიმართ უფრო იზღუდება ჩარევის შესაძლებლობა. გამომცემლები და ჟურნალისტები სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ობზერვერისა და გარდიანის საქმეში სასამართლოს ბრძანებით აიკრძალა გარკვეული სტატიების ბეჭდვა იმ მოტივით, რომ ზიანი მიადგებოდა ეროვნული უშიშროების ინტერესს. სტრასბურგის სასამართლო შეეხო „პრესის მოვალეობას, შეატყობინოს საზოგადოებას საჯარო ინტერესის გამომწვევი მოვლენები“ და დასძინა, რომ საზოგადოების უფლება, მიიღოს ამგვარი ინფორმაცია, ეხმიანება პრესის მოვალეობას, საჯარო გახადოს ეს უკანასკნელი. შესაბამისად, ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლებისა და მოვალეობის მინიჭებით სასამართლომ პრესას დიდი თავისუფლება მისცა, რაც სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შესაძლებლობას ზღუდავს.

## „ფორმалობები, პირობები, შეზღუდვები ან სასჯელები“

33. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ხერხები მრავალგვარია (ფორმალობები, პირობები, შეზღუდვები ან სასჯელები) და მათი წინასწარ განსაზღვრა არ ხერხდება. სასამართლო ამონმებს, თუ რა სახით არის განხორციელებული მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. ასეთი ჩარევები შეიძლება იყოს: სისხლის სამართლის განაჩენი (ჯარიმის ან პატიმრობის ჩათვლით), სამოქალაქო საქმის წარმოების წესით ზიანის ანაზღაურება, პუბლიკაციის აკრძალვა, პუბლიკაციის ან სხვა იმ მასალის კონფისკაცია, რომლის მეშვეობითაც მოხდა აზრის გამოხატვა, სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა, ჟურნალისტიკისთვის პროფესიული საქმიანობის აკრძალვა, სასამართლოს ან ხელისუფლების სხვა ორგანოს ბრძანება ჟურნალისტიკური წყაროს გამჟღავნების მოთხოვნის თაობაზე ან დასჯა ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის და ა.შ.

34. ჩარევის სახეთა (საშუალებათა) შორის სასამართლო განსაკუთრებით საშიშად მიიჩნევენ ცენზურას, რადგან ეს უკანასკნელი აბრკოლებს იდეებისა და ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის გადაცემის პროცესს. სწორედ ამიტომაც, დაბეჭდვამდე მიღებული ზომები, როგორცაა ჟურნალისტიკის ლიცენზირება, სტატიის შემოწმება თანამდებობის პირის მიერ ანდა სტატიის აკრძალვა, სტრასბურგის სასამართლოს უმკაცრეს კონტროლზე ჰყავს აყვანილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ასეთი ჩარევა მხოლოდ დროებითია, მას მაინც შეუძლია ინფორმაციის ღირებულებას ფასი დაუკარგოს. სასამართლომ ზოგიერთი სტატიის დაბეჭდვის აკრძალვასთან დაკავშირებით განაცხადა: „მე-10 მუხლი უპირობოდ კრძალავს გამოქვეყნებამდე რაიმე ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობას; ...მეორე მხრივ, წინასწარი აკრძალვებიდან მომდინარე საფრთხე იმდენად დიდია, რომ სასამართლოს მხრიდან აუცილებელია მისი ყურადღებით შესწავლა. პრესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მიწოდების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებას, რადგან ახალ ამბებთან დაკავშირებული ინფორმაცია „მალფუჭებადი პროდუქტია“ და სწრაფად კარგავს თავის ღირებულებას.“

დიქტატურისათვის დამახასიათებელი წინასწარი ნებართვები არასოდეს ყოფილა მიღებული დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამეთუ იგი ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს.

35. გამოხატვის თავისუფლებაში ე.წ. „პოსტ ფაქტუმ“ ჩარევის არსებულ ფორმებს შორის ყველაზე საშიში, ალბათ, სისხლის სამართლის განაჩენი და სასჯელია. კასტელის საქმეში საჩივრის წარმდგენს (საპარლამენტო ოპოზიციის წევრს), რომელმაც გაზეთის მეშვეობით ესპანეთის მთავრობას ბასკეთის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდგენთა მფარველობაში ბრალი დასდო, ვადიანი პატიმრობა შეეფარდა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განაჩენით ჯარიმის მცირე რაოდენობა განსაზღვრული, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამან შეიძლება შინაგანი ცენზურის როლი ითამაშოს. იმ საქმეთა უმეტესობაში, სადაც ურუნალისტებს სასჯელის სახით ჯარიმა შეეფარდათ, სასამართლომ განაცხადა: „... პოლიტიკური დისკუსიის კონტექსტში ამგვარი განაჩენის არსებობა ბევრ ურუნალისტს გაუნელებს სურვილს, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა საჯარო განხილვაში. ამ განაჩენით დანესებულ სანქციას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას მასზე დაკისრებული ამოცანის (ინფორმაციის გავრცელება) განხორციელებასა და საზოგადოების „დარაჯის“ ფუნქციის შესრულებაში (იხ.: გადაწყვეტილება ბარტოლდის საქმეზე. სერია ა, პუნქტი 58).

დაბოლოს, ჯარიმისა და სასამართლო ხარჯების დაკისრებამაც შეიძლება შელახოს გამოხატვის თავისუფლება, თუკი ჯარიმის რაოდენობა თავისუფალ პრესას ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის.

36. სამოქალაქო საქმის წარმოების წესით (სისხლის სამართლის განაჩენთან ერთად ან ცალკე) სხვა პირის პატივისა და ღირსების შელახვისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება ასევე შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად.

*“Tolstoy Miloslavsky v UK”* საქმეში საჩივრის წარმდგენს ცილისმწამებლური სტატიის გამო დიდი ბრიტანეთის სასამართლომ დაზარალებულისათვის 1500000 ფუნტი სტერლინგის გადახდა დაკისრა. სტრასბურგის სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა თავისთავად წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას, დაადგინა:

„... ნაფიცი მსაჯულები უფლებამოსილნი არ იყვნენ, შეუზღუდავად დაედგინათ ჯარიმის რაოდენობა, რადგან, კონვენციის მიხედვით, ჯარიმა პირის რეპუტაციისთვის ცილისწამებით მიყენებული ზიანის პროპორციული უნდა იყოს. მსაჯულებს საჩივრის წარმდგენი კი არ უნდა დაესაჯათ, არამედ მისთვის ლორდ ალდინგტონისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისრებინათ“.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „...იმ დროისათვის სასამართლო პრაქტიკა არ ითვალისწინებდა შეუსაბამოდ (არაპროპორციულად) დიდი ჯარიმის წინააღმდეგ მიმართული ეფექტური და ადეკვატური დაცვის სათანადო საშუალებებს.“ ასე რომ, „ჯარიმის ოდენობისა და, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დიდ ბრიტანეთში იმ დროისათვის არ არსებობდა შეუსაბამოდ დიდი ჯარიმის წინააღმდეგ მიმართული დამცავი მექანიზმი, სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლება დარღვეულად ჩათვალა.“

37. ინფორმაციისა და იდეების გამოხატვის საშუალებების კონფისკაცია ჩარევის კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის მოხდა ეს: გამოქვეყნებამდე თუ მას შემდეგ. მაგალითად, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ ნახატების დროებითი ჩამორთმევა, რომლებიც ადგილობრივმა სასამართლოებმა უხამსობად მიიჩნიეს, ჩარევა იყო მხატვრის გამოხატვის თავისუფლებაში. ანალოგიურად, იმ ფილმების დაყადაღება, რომელთა ზოგიერთი სცენა ადგილობრივმა სასამართლოებმა უხამსობად მიიჩნიეს, სასამართლომ აღიქვა, როგორც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. იმ წიგნების დაყადაღება, რომლებიც უხამს ფრაგმენტებს შეიცავდნენ, სასამართლომ ასევე შეაფასა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად.

38. გარკვეული გარემოებების არსებობისას რეკლამის აკრძალვაც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევაა. ბერტოლდის საქმეში მოსარჩელე იყო ქირურგი-ვეტერინარი, რომელსაც ჰამბურგში ერთადერთს შეეძლო სასწრაფო ვეტერინარული დახმარების შეთავაზება. მან ინტერვიუ მისცა ჟურნალისტს, რომელმაც მოგვიანებით დაწერა სტატია რეგიონში კატების პრობლემებზე. ბერტოლდის კონკურენტებმა აღძრეს სარჩელი მის წინააღმდეგ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ბრალდებით, რადგან სტატიით მან საზოგადოება თავის სასარგებლოდ განაწყო. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ რეკლამა ამ შემთხვევაში უფრო საჯარო ინტერესის საგანს შეეხებოდა, ვიდრე კომერციულს, ამიტომ ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ მიიჩნია: „ასეთი დაუსაბუთებელი ჩარევა სურვილს მოუსპობს თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე გამართულ საჯარო დებატებში. თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელს გაუჩნდება შიში, რომ მას არასათანადო რეკლამის გავრცელებაში დასდებენ ბრალს ამგვარ დებატებში მონაწილეობისათვის. ამავე თვალსაზრი-

სით, იმ დებულებებს, რომელთაც შეიცავს განაჩენი, შეუძლიათ ხელი შეუშალონ პრესას თავისი, როგორც ინფორმაციის მომპოვებლისა და საზოგადოებრივი „დარაჯის“, როლის შესრულებაში.“

ცხადია, საგაზეთო პუბლიკაცია შეიძლება რეკლამასაც შეიცავდეს. მაგალითად, „Cassado Coca v Spain“ საქმეში ადვოკატის მიერ საკუთარი საქმიანობის თუნდაც შენიღბულად რეკლამირება დისციპლინური სასჯელის დაკისრებით დასრულდა, სასამართლომ კი ეს კომერციული ინფორმაციის გავრცელებად ჩათვალა. მიუხედავად იმისა, რომ კომერციული განცხადება მე-10 მუხლით არის დაცული, იგი მაინც კონტროლის შედარებით განსხვავებული სტანდარტებით სარგებლობს, ვიდრე გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმები. მაგალითად, მარკ ინტერნის საქმეში სასამართლომ განიხილა ბრძანება, რომელიც სავაჭრო ურნალს უკრძალავდა ინფორმაციის დაბეჭდვას მისი კომერციული საქმიანობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ეს წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, სასამართლომ ადგილობრივ ხელისუფლებას მიანიჭა ფართო დისკრეციული უფლებამოსილება და დაადგინა, რომ აკრძალვა შეესაბამებოდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს: „...იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პუბლიკაციაში აღწერილი მოვლენები შეესაბამება სინამდვილეს, შეიძლება მათი აკრძალვა. ამის მაგალითებია სხვათა პირადი ცხოვრების ან კომერციული ინფორმაციის დაცვა“. თუმცა ზოგიერთ მოსამართლეს განსხვავებული აზრი გააჩნდა. მათი შეხედულებით, არ არსებობდა რაიმე საფუძველი სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების გაფართოებისათვის. მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში შეიძლება იქნეს დაშვებული ცენზურა ან დაბეჭდვის აკრძალვა [ . . . ] ეს განსაკუთრებით ითქმის კომერციული რეკლამების ან ეკონომიკური თუ კომერციული პოლიტიკის საკითხებზე [ . . . ]. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა დაკავშირებულია პროდუქციის თუ მომსახურების თაობაზე თუნდაც ყველაზე მწვავე კრიტიკის დაბეჭდვის თავისუფლებაზე [ . . . ] კომერციული განცხადება შეიძლება დაცულ იქნეს მე-10 მუხლით. შესაბამისად, მისი აკრძალვა ან მასზე სანქციების დანესება ჩაითვლება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად.

39. ურნალისტური წყაროსა და დოკუმენტის გამჟღავნების შესახებ ბრძანება და მისი შეუსრულებლობისათვის ურნალისტის დასჯა სასამართლოს მიერ განიხილება, როგორც გამოხატვის თავისუფლების გამოყენებაში ჩარევა. გუდვინის საქმეში სასამართლომ აღნიშნა,

რომ ასეთი ზომების მიღება უეჭველად ნიშნავს პრესის თავისუფლებაში ჩარევას და საქმე გადაწყვიტა ჟურნალისტის სასარგებლოდ.

40. გაზეთების რედაქციებისა (ოფისების) და მაუნყებლობის საშუალებათა ადგილსამყოფელის ჩხრეკა პრესის თავისუფლებაში ჩარევის კიდევ ერთი სახეა. ამგვარი ჩხრეკის ჩატარება, კანონიერი თუ უკანონო საფუძვლით, არა მარტო საფრთხეს უქმნის ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობის დაცვას, არამედ რისკის ქვეშ აყენებს მთელ მედიას და ასრულებს თავისებური ცენზურის როლს მთელი ქვეყნის ჟურნალისტებისათვის.

### **გამოხატვის თავისუფლებაში კანონიერი ჩარევის სამი აუცილებელი მოთხოვნა**

კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნევრი სახელმწიფოების ნებისმიერი ადგილობრივი ხელისუფლება უფლებამოსილია ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლების გამოყენებაში, თუკი დასტურდება სამი კუმულაციური პირობა:

- ჩარევა (გულისხმობს „ფორმალობას“, „პირობას“, „შეზღუდვას“ ან „სანქციას“) განსაზღვრულია კანონის მიერ.

- ჩარევა მიმართულია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან რამდენიმე ინტერესისა თუ ფასეულობის დასაცავად: ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის, მორალის და სხვათა რეპუტაციის ან მორალის დაცვა, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება.

- ჩარევა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

41. მე-10 მუხლის უპირველესი მიზანი თითოეული ინდივიდის გამოხატვის თავისუფლების დაცვაა. ამიტომაც სასამართლომ შეიმუშავა მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო შეზღუდვების ინტერპრეტირების მკაცრი წესები. „სანდი ტაიმისს“ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა: „მკაცრი ინტერპრეტირება ნიშნავს, რომ ნებისმიერი შეზღუდვის საფუძვლად არ შეიძლება მივიჩნიოთ რაიმე კრიტერიუმში, გარდა იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც გამონაკლისის სახით მოცემულია მე-2 პუნქტში. ამავე დროს, ეს კრიტერიუმები იმგვარად უნდა იქნეს აღქმული, რომ არ გასცდეს მათ ჩვეულებრივ მნიშ-

ვენლობას. მკაცრი ინტერპრეტირების პრინციპი ხელისუფლებისათვის ნათლად ჩამოყალიბებულ მთელ რიგ პასუხისმგებლობებს ითვალისწინებს.”

სტრასბურგის სასამართლომ შეიმუშავა სამართლებრივი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც საეჭვო შემთხვევებში საკითხი პირის გამოსხატვის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

42. თუ სასამართლო დაადგენს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამივე მოთხოვნა დასტურდება, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა კანონიერად ჩაითვლება. სამივე მოთხოვნის არსებობის შესახებ მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება. სასამართლო ამ მოთხოვნების არსებობას ზემოთ მითითებული რიგითობის მიხედვით ამონმებს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო თუნდაც ერთ—ერთი მოთხოვნის არსებობის დამტკიცება, მაშინ საქმის განხილვა შეწყდება და დადგინდება, რომ ჩარევა იყო გაუმართლებელი და, შესაბამისად, დაირღვა გამოსხატვის თავისუფლება.

43. „სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ჩარევად” განიხილება ნებისმიერი ქმედება, რომელიც მომდინარეობს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირისაგან. საჯარო სამსახურში იგულისხმება: სასამართლოები, პროკურატურა, პოლიცია, ნებისმიერი ძალოვანი უწყება, საიდუმლო სამსახური, ცენტრალური ან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, სამთავრობო დაწესებულებები, არმია, საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სასამართლოსთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი საჯარო დაწესებულება ჩაერევა გამოსხატვის თავისუფლებაში. სტრასბურგის სასამართლოში აღძრულ ყველა საქმეზე მოპასუხეა წევრი სახელმწიფო.

44. ამ სამი მოთხოვნის არსებობა უნდა დაადგინონ ადგილობრივმა სასამართლოებმა გამოსხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას. კონვენციის მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა გამოიყენონ კონვენციის ტექსტი იმგვარად, როგორც მას სტრასბურგის სასამართლო განმარტავს. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქმე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გასაჩივრდეს. სწორედ ამიტომაც, რომ ეროვნული სასამართლო არის გამოსხატვის თავისუფლების დაცვის უზრუნველსაყოფად პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტანცია.



## „ამ თავისუფლებათა გამოყენება შეიძლება დაექვემდებაროს... კანონით განსაზღვრულ შეზღუდვებსა და სანქციებს“

45. ამ მოთხოვნის მიხედვით გამოხატვის თავისუფლებაში განხორციელებული ნებისმიერი ჩარევისათვის საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა მოიპოვებოდეს. როგორც ნესი, ამგვარი საფუძველია პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. ნევი სახელმწიფოს პარლამენტმა თავად უნდა განსაზღვროს, თუ როდის არის შესაძლებელი ჩარევის განხორციელება, მაგალითად, ცილისწამებისთვის. ცილისწამების შესახებ დებულებას ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს. როდესაც პუბლიკაციის აკრძალვა ან გამოხატვის საშუალებათა დაყადაღება ხდება, ეს ზომები ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ანალოგიურად, გაზეთის შენობის (რედაქციების) გაჩხრეკა ან სამაუწყებლო სადგურების გათიშვაც მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნესების დაცვითაა შესაძლებელი.

46. სტრასბურგის სასამართლომ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საერთო სამართლის ნორმები ან საერთაშორისო სამართლის პრინციპები ქმნიან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კანონიერ საფუძველს. მაგალითად, „სანდი ტაიმისი“ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრიტანეთის საერთო (პრეცედენტული) სამართლის ნორმები სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ უნდა ჩაითვალოს „კანონით გათვალისწინებულად“. ასევე „*Gropera Radio AG v Switzerland*“ და „*Autronik v Switzerland*“ საქმეებზე სტრასბურგის სასამართლომ ნევი სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენების ნება დართო. არ არის გამორიცხული, რომ გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს პრეცედენტული სამართლის ნორმებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომ მისი შეზღუდვის ლეგიტიმურობა სათავეს საპარლამენტო გადაწყვეტილებაში უნდა იღებდეს.

47. თავად პარლამენტის მიერ მიღებული კანონიც გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ კანონი უნდა იყოს გამოქვეყნებული, ხელმისაწვდომი და წინასწარგანჭვრეტადი. „სანდი ტაიმისი“ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა:

„სასამართლოს მიაჩნია, რომ გამონათქვამიდან „გათვალისწინებულია კანონით“ გამომდინარეობს ორი მოთხოვნა. პირველ რიგში, სამართალი ადეკვატური ხერხების მეშვეობით ხელმისაწვდომი უნდა იყოს: მოქალაქემ უნდა შეძლოს ორიენტირება, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რა სახის სამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენოს. მეორეც, ნორმა არ შეიძლება კანონად ჩაითვალოს, თუ იგი სათანადოდ ზუსტად არ არის ფორმულირებული, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეს, წინასწარ განჭვრიტოს თავისი ქმედება და მისგან გამომდინარე შედეგებიც.“

48. „სანდი ტაიმისი“ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვა „კანონი“ ფორმულაში „გათვალისწინებულია კანონით“ გულისხმობს როგორც საკანონმდებლო აქტებს, ასევე პრეცედენტულ სამართალსაც. „Rotaru v Romania“ საქმესთან დაკავშირებით კი სასამართლომ აღნიშნა: „რუმინეთის გასაჩვირებული საკანონმდებლო ნორმა არ აკმაყოფილებს მოთხოვნას „გათვალისწინებულია კანონით“, რამეთუ იგი სათანადოდ ზუსტად არ არის ფორმულირებული. ეს კი მოქალაქეს არ აძლევს საშუალებას, წინასწარ განჭვრიტოს თავისი ქმედება და ამ ქმედებისაგან გამომდინარე შედეგები.“ სტრასბურგის სასამართლომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე „Petra v Romania“ სასამართლომ აღნიშნა: „ადგილობრივი სამართლის ის ნორმები, რომლებიც შეეხება პატიმართა მიმონერის მონიტორინგს... ეროვნულ ხელისუფლებას აბსოლუტურ დისკრეციას ანიჭებს. ეს ნორმები არ აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობის მოთხოვნას... და... რუმინეთის კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს საჯარო ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრებს“.

49. „Malone v U.K“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება ეროვნულ უშიშროებას ან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, სადაც კანონის განჭვრეტადობა შესუსტებულია (მაგალითად, გამოძიების ეფექტურობის უზრუნველყოფის გამო), კანონი მაინც იმდენად ნათლად უნდა იკითხებოდეს, რომ ინდივიდებს შეუქმნას სრული წარმოდგენა ქმედების შემადგენლობასა და მოსალოდნელ სანქციებზე. დაბოლოს, „Leander v Sweden“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „წინასწარგანჭვრეტადობის (პროგნოზირების) კრიტერიუმის დასადგენად მხედველობაში მიიღება აგრეთვე კანონქვემდებარე აქტები ან ადმინისტრაციული პრაქტიკა იმის მიუხედავად, რომ მათ კანონის სტატუსი არ გააჩნიათ.“



52. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სავარაუდო საფუძველები ამომწურავადაა განსაზღვრული. ნევრ სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოებს უფლება არა აქვთ, დაეყრდნონ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულის გარდა რაიმე სხვა საფუძველებს. ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა დაადგინონ, ითვალისწინებს თუ არა დასაცავ ინტერესს ან ღირებულებას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

53. მაგალითად, ცილისწამების საქმეზე სისხლის სამართლის განაჩენის კანონიერ მიზანს წარმოადგენს „სხვათა რეპუტაციის ან უფლებების“ დაცვა. უხამსი წიგნის დაყადლებისას კანონიერი მიზანია „მორალის“ დაცვა. სასამართლოს ბრძანებით გაზეთისთვის გარკვეული ინფორმაციის დაბეჭდვის აკრძალვა შეიძლება გამართლებული იყოს „ეროვნული უსაფრთხოების“ ინტერესებით, თუმცა სასამართლოები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ დასაცავი ინტერესი რეალურია.

54. პრობლემები შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც შეურაცხყოფის ან ცილისწამების ობიექტები მაღალი თანამდებობის პირები (მათ შორის: პრეზიდენტი, მინისტრები, პარლამენტის წევრები) ან სამოქალაქო მოხელეები (პოლიციის ოფიცრები, პროკურორები, ძალოვანი უწყების ოფიცრები და ყველა საჯარო მოხელე) არიან.

ამ ორ კატეგორიას მიკუთვნებულ პიროვნებათა შეურაცხყოფის ან ცილისწამების გამო გამოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება შეიძლება გამართლებული იყოს „სხვათა რეპუტაციისა და უფლებების“ დაცვის სურვილით, მაგრამ სასჯელი არ შეიძლება იმაზე მკაცრი აღმოჩნდეს, რაც გამოაქვთ ხოლმე ჩვეულებრივი ადამიანების ცილისწამების შემთხვევაში. მაღალი თანამდებობის პირებისა და სამოქალაქო მოხელეების მიმართ ცილისწამებლური განცხადებების გამო უფრო მაღალი სასჯელის დაკისრება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევაა. უფრო მეტიც, ეს გამოიწვევს ისეთი აბსტრაქტული ობიექტების დაცვას, როგორიცაა „სახელმწიფოს ავტორიტეტი“ ან „სახელმწიფოს პრესტიჟი“, რაც ნამდვილად არ გვხვდება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ჩამონათვალში.

55. უფრო მეტიც, ისეთი ღირებულებები, როგორიცაა „სახელმწიფოს ღირსება“, „ერის ღირსება“, „სახელმწიფო ან სხვა ოფიციალური სიმბოლოები“, „სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტი“ (არ იგულისხმება სასამართლო), არ არის მოხსენიებული მე-2 მუხლში და, შესაბამისად, არ შედის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ

მიზნებში. სწორედ ამიტომ, ისეთი აბსტრაქტული ფასეულობების სიტყვებით, უესტებით, წარმოდგენით ან სხვა ფორმით გამოხატული კრიტიკა, რომლებიც არ არიან ნახსენები მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, არ შეიძლება აიკრძალოს წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის ან სასამართლო პრაქტიკის მიერ. ყოველივე ამის ასახსნელად შეიძლება გამოდგეს დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედი ის წესები, რომელთა მიხედვით მედიის, ჩვეულებრივი ადამიანებისა და, ზოგადად, საზოგადოების მიერ ხელისუფლების წარმომადგენელი ინდივიდების ან ინსტიტუტების კრიტიკა მათი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა. მაგალითად, სახელმწიფოს სიმბოლოს განადგურება ან მისი შეურაცხყოფა ზოგიერთი პოლიტიკური გადაწყვეტილების, სახელმწიფო ორგანოების მოქმედების ან ზოგიერთ სფეროში არსებული საჯარო პოლიტიკის მიმართ პირის კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვა შეიძლება იყოს. ამგვარი კრიტიკა თუ პროტესტის გამოხატვა არ უნდა შეიზღუდოს, რადგან ეს არის საზოგადოებაში მიმდინარე დადებითი და უარყოფითი მოვლენების შესახებ საჯარო დისკუსიის დაწყების ერთ-ერთი საშუალება. დაბოლოს, იმგვარი აბსტრაქტული ფასეულობების დაცვამ, როგორიცაა „სახელმწიფოს ავტორიტეტი“, შეიძლება შენიღბოს ხელისუფლებაში მყოფი პირების უკანონო ინტერესები ან მათი სურვილი — ნებისმიერ ფასად დარჩნენ ხელისუფლებაში.

56. როდესაც წევრი სახელმწიფოების სასამართლოები მიიჩნევენ, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კანონიერი მიზნით იყო განპირობებული, მათ აგრეთვე უნდა დაადგინონ, დასტურდება თუ არა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მესამე მოთხოვნა — „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

„ამ თავისუფლებათა გამოყენება... შეიძლება იყოს... შეზღუდვების ობიექტი... თუ... ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში...“

57. მესამე მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ პროპორციულობის პრინციპი და პასუხი გასცენ შემდეგ შეკითხვას: „იყო თუ არა მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება მიზნის პროპორციული?“ ამ შეკითხვაში „მიზანს“ წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებაში ჩასარევად მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან მეტი ფასეულობა თუ ინტერესი, „საშუალება“ გულისხმობს თავად ჩარევას. მაშასადამე, „მიზანი“ არის სახელმწიფოს მიერ მითითებული

ისეთი სპეციფიკური ინტერესი, როგორიცაა: „ეროვნული უშიშროება“, „ნესრიგი“, „მორალი“, „სხვათა უფლებები“ და ა.შ. „საშუალება“ ის კონკრეტული ზომაა, რომელიც მიღებულ იქნა ინდივიდის გამოსხატვის თავისუფლების წინააღმდეგ. მაგალითად, „საშუალება“ შეიძლება იყოს: შეურაცხყოფის ან ცილისწამების გამო გამოტანილი განაჩენი, სამოქალაქო საქმისწარმოების წესით ზიანის ანაზღაურების დაკისრება, სასამართლოს ბრძანება გამოქვეყნების აკრძალვის თაობაზე, ჟურნალისტური საქმიანობის აკრძალვა, გაზეთის გამომცემლობის შენობის (სათავსოების) ჩხრეკა, გამოსხატვის საშუალებათა დაყადაღება და ა.შ.

58. პროპორციულობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ეყრდნობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედ წესებს. იმისათვის, რათა დაადგინონ, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ადგილობრივმა სასამართლოებმა, ისევე, როგორც ევროპულმა სასამართლომ, უნდა დაადასტურონ, რომ არსებობს „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილება“ გამოსხატვის თავისუფლების კონკრეტულ შეზღუდვის მიმართ. საქმეში „გარდიანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ განაცხადა, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში გამოყენებული ზედსართავი სახელი „აუცილებელია“ გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილების“ არსებობას.

59. „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილების“ შინაარსს თავდაპირველად წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები განსაზღვრავენ, რომლებმაც საამისოდ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა გაითვალისწინონ.

მაშასადამე, სტრასბურგის სასამართლო უფლებამოსილია, საბოლოოდ შეაფასოს „შეზღუდვის“ შეთავსებადობა გამოსხატვის თავისუფლებასთან იმგვარად, როგორც ამას მე-10 მუხლი მოითხოვს. წევრი სახელმწიფოს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ყველა საქმის განხილვისას. თუ ევროპული სტანდარტები გამოსხატვის თავისუფლებას უფრო მეტად იცავს, ვიდრე ადგილობრივი კანონები ან სასამართლო პრაქტიკა, მოსამართლემ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს.

## გამოხატვის თავისუფლება პრაქტიკაში. ეროვნული უსაფრთხოება და გამოხატვის თავისუფლება

61. „ობზერვერისა“ და „გარდიანის“ საქმეში ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა ორ გაზეთს გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდეს „ეროვნული უსაფრთხოების“ დაცვის მიზნით. გენერალური პროკურორის მოთხოვნით, 1986 წლის ივლისში ინგლისის სასამართლომ გასცა დროებითი ბრძანება, რომლის მიხედვითაც „ობზერვერსა“ და „გარდიანს“ აეკრძალათ ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების შესახებ ინფორმაციის დაბეჭდვა. ინფორმაცია ციტირებული იყო რაიტის ნიგნის — „Spycatcher“ — ხელნაწერიდან. აკრძალვის მოთხოვნისას ნიგნი ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი. გენერალური პროკურორის მოთხოვნა მიზნად ისახავდა ეროვნული უშიშროების სისტემაში არსებული საიდუმლოს გამჟღავნების თავიდან აცილებას.

ბატონი რაიტის ნიგნი შეიცავდა ბრალდებებს საიდუმლო სამსახურისა და მისი აგენტების უკანონო მოქმედებების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ MI 5-ის სამსახურები უსმენდნენ 1950-1960 წლებში ლონდონში ჩატარებულ ყველა დიპლომატიურ კონფერენციას ისევე, როგორც ზიმბაბვეს დამოუკიდებლობის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებს 1979 წელს. ავტორი ამტკიცებდა, რომ MI 5 უსმენდა ფრანგ, გერმანელ, ბერძენ და ინდონეზიელ დიპლომატებს ისევე, როგორც ბატონ ხრუშჩოვს 1950 წელს მისი ბრიტანეთში ვიზიტისას. იგი ასევე უსმენდა საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთულ საკონსულტოებს. ნიგნში მითითებული იყო, რომ MI 5-მა სუეცის კრიზისის დროს წარუმატებლად განახორციელა შეთქმულება ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის წინააღმდეგ; ნაპრომში მოთხრობილი იყო, თუ როგორ აწყობდა MI 5 შეთქმულებას ჰაროლდ ვილსონის წინააღმდეგ 1974-1976 წლებში მისი პრემიერ-მინისტრობის დროს და როგორ ფლანგავდა MI 5 თავის რესურსებს ბრიტანეთის მემარცხენე პოლიტიკური ჯგუფების საქმიანობის გამოძიებისას. 1987 წლის ივლისში ეს ნიგნი აშშ-ში დაიბეჭდა. მისი ეგზემპლარები გავრცელდა დიდ ბრიტანეთშიც. მიუხედავად ამ ფაქტისა, სასამართლოს აკრძალვა ძალაში იყო 1988 წლის ოქტომბრამდე. სწორედ ამ დროს ლორდთა პალატამ უარი განაცხადა გენერალური პროკურორის მოთხოვნილი აკრძალვის გაცემაზე.

„ობზერვერმა“ და „გარდიანმა“ იჩივლეს ადამიანის უფლებათა კომისიაში და განაცხადეს, რომ დროებითმა სასამართლომ აკრძალვამ და-

არღვია მათი გამოხატვის თავისუფლება. ბრიტანეთის მთავრობამ კომისიას განუცხადა, რომ ჩარევის საფუძველი იყო „მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება“. მთავრობამ სასამართლოზე გამოსვლისას ჩარევის საფუძველს დაუმატა „ეროვნული უსაფრთხოების“ დაცვის მიზანი. ის უთითებდა, რომ დროებითი სასამართლო აკრძალვის გაცემის დროს პიტერ რაიტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. თუკი ეს ინფორმაცია გამოქვეყნდებოდა, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურს, მის აგენტებსა და მესამე მხარეებს დიდი ზიანი მიადგებოდათ, რასაც მოჰყვებოდა აგენტების გაშიფვრა; დიდი ზიანი მიადგებოდა ასევე მოკავშირე ქვეყნებთან ურთიერთობას; ორგანიზაციებსა და საზოგადოებას გაუქრებოდათ ნდობა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურისადმი. დაბოლოს, მთავრობამ ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ მისტერ რაიტის მაგალითს მიბაძვდნენ მოქმედი ან ყოფილი აგენტები. ნიგნის დასტამბვის შემდეგ მთავრობა ეყრდნობოდა მხოლოდ „ეროვნული უშიშროების“ საფუძველს და აცხადებდა, რომ „ეროვნული უშიშროება მართლაც საფრთხის წინაშე იდგა, რადგანაც ბრიტანეთს გაუჭირდებოდა თავისი მოკავშირე ქვეყნებისათვის დაემტკიცებინა, რომ მის საიდუმლო სამსახურს შესწევს საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უნარი“. მთავრობა მიიჩნევდა, რომ ამგვარი აკრძალვა ერთადერთი ეფექტური საშუალება იყო, რომლის მეშვეობითაც ის ოფიცრები, რომელთაც ნაკისრი ჰქონდათ სახელმწიფო საიდუმლოს დაცვის ვალდებულება, ვერ შეძლებდნენ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. საჩივრის წარმდგენი გაზეთი კი აცხადებდა, რომ ნიგნის აშშ-ში გამოქვეყნების შემდეგ მთავრობის ამ არგუმენტმა აზრი დაკარგა.

სტრასბურგის სასამართლომ მთავრობის მიერ დასახელებული „კანონიერი მიზანი“ მართებულად მიიჩნია. სასამართლომ საქმის განხილვისას გადამწყვეტ ფაქტორად იმის დადგენა ჩათვალა, იყო თუ არა დროებითი სასამართლო აკრძალვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული თავისი სასამართლო პრაქტიკა გამოიყენა:

*„კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების... უმთავრესი საყრდენთაგანი და მისი პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხედებიან ან რომე-*



ლიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეუ-  
რაცხბმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამალელებელია. სწორედ ასეთია  
შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები,  
რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენე-  
ლია (იხ.: „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პუნქტი  
49).

პოლიტიკური დისკუსიის კონტექსტში ამგვარი განაჩენის არსებო-  
ბა ბევრ ყურნალისტს გაუჩნელებს სურვილს, თავისი წვლილი შეიტანოს  
საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა საჯარო განხილვაში. ამ  
განაჩენით დაწესებულ სანქციას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას მას-  
ზე დაკისრებული ამოცანის (ინფორმაციის გავრცელება) განხორციე-  
ლებასა და საზოგადოების „დარაჯის“ ფუნქციის შესრულებაში (იხ.: გა-  
დაწყვეტილება ბარტოლდის საქმეზე. სერია ა, პუნქტი 58).

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოქვეყნებამდე აკრძალვების დანე-  
სება სასამართლოს მხრიდან მოითხოვს ძალზე ფრთხილ შესწავლას:  
„...კონვენციის მე-10 მუხლი პირდაპირ არ კრძალავს წინასწარ ცენზურ-  
რას... მეორე მხრივ, წინასწარი აკრძალვებიდან მომდინარე საფრთხე  
იმდენად დიდია, რომ სასამართლოსგან ყურადღებით შესწავლას მო-  
ითხოვს. მით უმეტეს, როდესაც ეს პრესას ეხება. „ახალი ამბები, რო-  
გორც მალფუჭებადი პროდუქტი, შეყოვნების შემთხვევაში სწრაფად  
უფასურდება და იკარგება მის მიმართ ინტერესი“. ამ პრინციპების  
გათვალისწინებით და მთავრობის მიერ დამონმებული არგუმენტების  
შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დროებითი  
აკრძალვა წიგნის გამოქვეყნებამდე გამართლებული იყო. მას შემდეგ,  
რაც წიგნი აშშ-ში გამოქვეყნდა, ინფორმაციამ დაკარგა კონფიდენცია-  
ლური ხასიათი და წიგნში არსებული მონაცემების საიდუმლოდ შენახ-  
ვის ინტერესი აღარ არსებობდა. ამ პირობების გათვალისწინებით, არ  
არსებობდა აკრძალვის თაობაზე სასამართლო ბრძანების მიღების „აუ-  
ცილებლობაც“. გენერალური პროკურორის მიერ მოტანილი ისეთი არ-  
გუმენტები, როგორიცაა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების რეპუ-  
ტაციისა და ეფექტურობის შენარჩუნება, სასამართლომ ჩარევის გასა-  
მართლებლად არასაკმარისად მიიჩნია და დასძინა: „1987 წლის შემდეგ  
ჩარევა აღარ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათ-  
ვის“.

მოსამართლე პეტიტიმ განსხვავებული აზრი გამოთქვა და მიუთითა,  
რომ დროებითი წინასწარი აკრძალვა წიგნის ბრიტანეთის ფარგლებს

გარეთ გამოქვეყნებამდეც არ იყო გამართლებული, რადგანაც „მიმდინარე მოვლენების თაობაზე ინფორმაციის გავრცელების დაყოვნება ჟურნალისტიკის სტატიას დიდად უკარგავს ინტერესს“.

ბატონ პეტიტის მოსაზრებით, ჩარევა წარმოადგენდა ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვას, ხოლო „საზოგადოებისთვის სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის მიღების აკრძალვა წარმოადგენს დემოკრატიის ფუნდამენტური უფლების დარღვევას“. მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ სასამართლო აკრძალვის გახანგრძლივება ცენზურის შენიღბული ფორმად და პრესის თავისუფლების გაუქმებად უნდა ჩაითვალოს. მოსამართლემ განაცხადა, რომ „გამოხატვის თავისუფლება ერთ რომელიმე ქვეყანაში არ შეიძლება იყოს იმის განმსაზღვრელი, დაიბეჭდოს თუ არა მასალა სხვა ქვეყანაში. სატელიტური ტელევიზიის ხანაში შეუძლებელია დავყოთ ტერიტორია და შევზღუდოთ იმ ქვეყნის მოქალაქეთა ინფორმაციის თავისუფლება, სადაც აკრძალულია გაზეთის დაბეჭდვა“. ამგვარად, მოსამართლე პეტიტიმ დაასკვნა, რომ მე-10 მუხლი დროებითი აკრძალვის მოქმედების მთელ პერიოდში დარღვეული იყო.

მეორე მოსამართლე დე მეიერი დაეთანხმა მოსამართლე პეტიტის და დასძინა: „ინფორმაციის წყაროს მიუხედავად, ახალი ამბების გავრცელებისას პრესა თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სახის ცენზურის, სასამართლო აკრძალვების ან წინასწარ შეზღუდვისაგან“.

*[პრესას უნდა ჰქონდეს უფლება, დაბეჭდოს ინფორმაცია ნებისმიერ წყაროზე დაყრდნობით ცენზურის და წინასწარი ნებართვის გარეშე; თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთ შეზღუდვებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამით მთავრობა მისთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელება ზღუდავს]*

63. საქმეში „Vereniging Weekblad Bluf!“ „ეროვნულ უსაფრთხოებასა“ და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონფლიქტის მონესრიგება სტრანსბურგის სასამართლოს განსხვავებული ფაქტების გათვალისწინებით მოუხდა. ამ საქმეზე სასამართლოს საჩივრით მიმართა ამსტერდამში დაფუძნებულმა ასოციაციამ, რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალ „Bluf!“-ს გამოსცემდა. ჟურნალი გათვალისწინებული იყო მემარცხენე ფრთის მკითხველთათვის. 1987 წელს „Bluf!“-მა მოიპოვა ჰოლანდიის შიდასაიდუმლო სამსახურის პერიოდული მოხსენება. 1981 წლით დათარიღებული მოხსენება გრიფით „კონფიდენციალური“ შეიცავდა ინფორმაციას ჰოლანდიის საიდუმლო სამსახურების ინტერესე-

ბის შესახებ. მოხსენება შეეხებოდა ჰოლანდიის კომუნისტურ პარტიასა და ანტიბირთვულ მოძრაობას. მასში მითითებული იყო, რომ არაბული ლიგა გეგმავდა ჰააგაში ოფისის გახსნას. მოხსენება იძლეოდა ინფორმაციას ასევე პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის საიდუმლო სამსახურების მოქმედების შესახებ ჰოლანდიაში.

ჟურნალის გამომცემელმა გამოაქვეყნა მოხსენება კომენტარითურთ. იმავე დღეს ჰოლანდიის საიდუმლო სამსახურმა სახალხო პროკურორს გაუგზავნა წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ მოხსენების გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაული იყო. მოხსენებაში არსებული საიდუმლო ხასიათის ინფორმაციების გათვალისწინებით სამსახურის უფროსმა აღნიშნა: „თუმცა... ფაქტები ცალკე აღებული არ (ან აღარ) შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოს, ერთმანეთთან კავშირში ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს ან მის მოკავშირეთა საიდუმლო ინფორმაციას. ფაქტების შედარება საშუალებას იძლევა, შეგვექმნას წარმოდგენა საიდუმლო სამსახურების საქმიანობის სახეებისა და მეთოდების შესახებ“.

შედეგად, ჟურნალის გავრცელებამდე გამოძიების მოსამართლის ბრძანების საფუძველზე გაიჩხრიკა „Bluf!“-ის სათავესოები. „Bluf!“-ის 29 აპრილის ეგზემპლარები, დანართების ჩათვლით, დაყადაღებულ იქნა. ღამით, ხელისუფლების ორგანოებისაგან ფარულად, „Bluf!“-ის თანამშრომელმა გაამრავლა ჟურნალი 2500 ეგზემპლარად და მეორე დღეს ქუჩებში დაურიგა ამსტერდამის მოსახლეობას. ხელისუფლების ორგანოებს ქუჩებში გაზეთის ეგზემპლარების გავრცელების პროცესი არ შეუჩერებიათ. 1987 წლის მაისში გამომძიებელმა მოსამართლემ „Bluf!“-ის თანამშრომლის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეწყვიტა. ამასობაში ჟურნალმა მოითხოვა კონფისკებული ეგზემპლარების დაბრუნება, მაგრამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს. 1988 წლის მარტში სახალხო პროკურორის მოთხოვნით ჰოლანდიის სასამართლოებმა „Bluf!“-ის ყველა ეგზემპლარის ბრუნვიდან ამოღების გადაწყვეტილება გამოიტანეს. სასამართლოებმა ბრძანებას საფუძვლად დაუდეს ეროვნული უშიშროების დაცვა და აღნიშნეს, რომ ამ მასალების უნებართვო ფლობა საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ კანონდარღვევას წარმოადგენდა.

ჟურნალმა ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიაში იჩივლა და განაცხადა, რომ ჰოლანდიის ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლება. მთავრობამ განაცხადა,

რომ მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა კანონიერად იყო განპირობებული „ეროვნული უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით“, რამეთუ იმ პირებისათვის, რომელთაც სურთ ზიანი მიაყენონ ნიდერლანდების ეროვნულ უსაფრთხოებას, მოხსენების წაკითხვით ნათელი გახდება ჰოლანდიის საიდუმლო სამსახურის მოქმედების თავისებურებანი, მისი სუსტი თუ ძლიერი მხარეები.

„Bluf“-ის ეგზემპლარების დაყადაღებასა და მათი ბრუნვიდან ამოღების „კანონიერ მიზანთან“ დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი აცნობიერებს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის საიდუმლო სამსახურების კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობას. სასამართლოს აზრით, კონფიდენციალობა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაიცვას თავი იმ ინდივიდებისა და ჯგუფების საქმიანობისაგან, რომელთაც სურთ, ძირი გამოუთხარონ დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ღირებულებებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალის ეგზემპლარების დაყადაღებასა და ბრუნვიდან ამოღებას „ეროვნული უსაფრთხოების“ დაცვის „კანონიერი მიზანი“ დაედო საფუძვლად.

ამის შემდეგ სასამართლომ შეაფასა, იყო თუ არა ჟურნალის ეგზემპლარების დაყადაღება და ბრუნვიდან ამოღება „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. სასამართლომ აღნიშნა: „დოკუმენტი ნლის წინათ იყო შექმნილი... საიდუმლო სამსახურის უფროსმა 1987 წელს განაცხადა, რომ ინფორმაციის შემადგენელი ერთეულები ცალცალკე აღებული არ წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოს; მოხსენებას ედო გრიფი „კონფიდენციალური“, რაც სახელმწიფო საიდუმლოების ყველაზე დაბალ ხარისხს აღნიშნავს. [. . .] ჟურნალის ეგზემპლარების მიმოქცევიდან ამოღება... განხილული უნდა იქნეს მოვლენებთან ურთიერთკავშირში. მას შემდეგ, რაც გაზეთი დააყადაღეს, გამომცემლებმა გადაბეჭდეს მისი მრავალი ეგზემპლარი და გაავრცელეს ამსტერდამის ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებში, ჟურნალის მიმოქცევიდან ამოღებისას ინფორმაცია უკვე ფართოდ იყო გავრცელებული [. . .] ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ უკვე აღარ არის საჭირო ინფორმაციის გავრცელებისათვის ხელის შეშლა, რადგან იგი საჯარო გახდა და დაკარგა საიდუმლო ხასიათი [. . .]. ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა ბევრი ადამიანისთვის და მათ შეეძლოთ ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია გაემართათ. უფრო მეტიც, ეს მოვლენები გაშუქდა მედიის მიერ. აქედან გამომდინარე, ინ-

ფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა აღარ იყო გამართლებული (აუცილებელი) და „Bluf!“-ის ბრუნვიდან ამოღება აღარ წარმოადგენდა კანონიერი მიზნის მიღწევის საშუალებას [. . .]. შესაბამისად, რადგან ჩარევის ზომა არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის, დაირღვა მე-10 მუხლი”.

64. „ობზერვერისა“ და „გარდიანის“ და „Bluf!“-ის საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ორ მნიშვნელოვან პრინციპს დაუდეს საფუძველი:

პირველი პრინციპი გულისხმობს შემდეგს: თუკი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია თუნდაც ერთხელ გახდა საჯარო, შემდგომში მისი ბრუნვიდან ამოღება, აკრძალვა ან გამავრცელებლის დასჯა არ შეიძლება.

მეორე პრინციპის მიხედვით, ეროვნული უშიშროების შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია მართლაც შეიძლება იყოს კონფიდენციალურად მიჩნეული, თუკი ასეთი ინფორმაციის საჯაროობა ზიანს მიაყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. უფრო მეტიც, ინფორმაცია შეიძლება გარკვეული ვადით გასიდუმლოვდეს. გასაიდუმლოებული ინფორმაციის სტატუსი შესაძლებელია პერიოდულად გადაისინჯოს. ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამგვარი ინფორმაციისადმი საზოგადოებაში არსებული ინტერესი.

65. მაშასადამე, კანონმდებლობა, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას და უპირობოდ კრძალავს საიდუმლო სამსახურების მოქმედებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საშუალებას, არღვევს მე-10 მუხლს, რამდენადაც ამგვარი ბარიერების დანესება არ არის აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. როდესაც საქმე განიხილება ისეთი კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელების უპირობო შეზღუდვას, წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა ასეთი კანონმდებლობა არ უნდა გამოიყენონ. წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა საშუალება უნდა მისცენ საზოგადოებრივი ინტერესების სადარაჯოზე მდგარ პრესას, გამოამჟღავნოს საიდუმლო სამსახურებში არსებული უკანონობა, უმოქმედობა და სხვა უარყოფითი მოვლენები. ევროპული სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებასა და ეროვნული უსაფ-

რთხოების ინტერესებს შორის არსებული კონფლიქტების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები წევრი სახელმწიფოების შესაბამისმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შიდა სამართლებრივი სისტემა არ ითვალისწინებს ტესტს „აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, წევრი სახელმწიფოს სასამართლოებმა იგი მაინც უნდა მიიღონ მხედველობაში. <sup>37</sup>

ანალოგიური პოზიციაა ასახული 1995 წლის იოჰანესბურგის პრინციპებში. კერძოდ, მე-12 პრინციპის მიხედვით: „სახელმწიფოს არ შეუძლია კატეგორიულად აკრძალოს ეროვნული უშიშროების კუთვნილი ინფორმაციის გავრცელება, მან მხოლოდ უნდა მიუთითოს კანონმდებლობაში ინფორმაციის ის სპეციფიკური და ვიწრო კატეგორიები, რომელთა გასაიდუმლოება აუცილებელია ეროვნული უშიშროების ინტერესების დასაცავად.“ დაბოლოს, მე-15 პრინციპი კრძალავს პირის დასჯას, „რომელმაც გაააშფაფა ეროვნული უშიშროების ინტერესების შემცველი ინფორმაცია, თუ განსაიდუმლოება არ იწვევს მნიშვნელოვან ზარალს და ეროვნული უშიშროების ინტერესების დაზიანების ნაკლები ალბათობა არსებობს ან განსაიდუმლოებით გამოწვეულ ზიანს გადასწონის საზოგადოების ინტერესი, ფლობდეს ასეთ ინფორმაციას.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1981 წლის რეკომენდაცია „საჯარო ხელისუფლების ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“ ადგენს შეზღუდვის სამნაწილიან ტესტს: შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონის ან პრეცედენტული სამართლის მიერ; შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის და საზოგადოების კანონიერი ინტერესის დაცვას ისახავდეს მიზნად. ნებისმიერი უარი ინფორმაციის გაცემაზე უნდა გახდეს სასამართლო გადასინჯვის ობიექტი. ცხადია, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებულ ინფორმაციაზეც ვრცელდება ეს საერთო წესი.

66. „ეროვნული უშიშროების“, „საზოგადოებრივი წესრიგისა“ და „სხვათა უფლებების“ დაცვის ინტერესი გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ისეთ საქმეებში, სადაც გამოხატვის თავისუფლება უპირისპირდება კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს. საქმეზე „Kuhnen v Germany“ საჩივარი იმ ორგანიზაციის ლიდერმა წარადგინა, რომლის მიზანსაც გერმანიაში აკრძალული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოლიტიკურ სცენაზე კვლავ დაბრუნება წარმოადგენდა. საჩივრის წარმდგენმა გამოაქ-

ვეყნა პუბლიკაციები, სადაც მოუწოდებდა სოციალისტური და დამოუკიდებელი დიდი გერმანიისთვის საბრძოლველად. იგი წერდა, რომ მისი ორგანიზაცია მხარს უჭერდა „გერმანიის ერთიანობას, სოციალურ სამართლიანობას, ეროვნულ სიამაყეს“ და „კაპიტალიზმის, კომუნიზმის, სიონიზმის, უცხოელი მუშახელის ექსპანსიისა და გარემოს განადგურების“ წინააღმდეგი იყო. მისტერ ქუნენს გერმანიის სასამართლოებმა პატიმრობა შეუფარდეს. მან საჩივრით მიმართა ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიას. კრიტიკიუმის — „აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ — შეფასებისას კომისიამ აღნიშნა, რომ საჩივრის წარმდგენი იცავდა ნაციზმს, რომელიც მიმართული იყო დემოკრატიისა და თავისუფლების ძირითადი წესის წინააღმდეგ და რომ მისი გამოსვლები ეწინააღმდეგებოდა კონვენციის პრეამბულაში გამოხატულ ერთ-ერთ ძირითად ფასეულობას. კონვენციით დაცული ფუნდამენტური თავისუფლებები „საუკეთესოდ არიან უზრუნველყოფილი... ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის მიერ.“ შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ ქუნენის გამოსვლები შეიცავდა რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაციის ელემენტებს. შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ ქუნენი გამოხატვის თავისუფლებას კონვენციის მე-17 მუხლის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ იყენებდა, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენებას კრძალავს. კომისიამ მიიჩნია, რომ საჩივრის წარმდგენის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის.“

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს საქმეში „D.I. v Germany“, სადაც საჩივრის წარმდგენი ისტორიკოსი უარყოფდა აუსშვიცში გაზის კამერების არსებობას და აცხადებდა, რომ გაზის კამერები აშენდა ომის შემდგომ პირველივე დღეებში. მისი აზრით, ეს სიყალბე გერმანელ გადასახადის გადამხდელებს 16 მილიონი მარკა დაუჯდათ. ამ ინფორმაციის გავრცელებისათვის ადგილობრივმა სასამართლომ საჩივრის წარმდგენს ჯარიმის გადახდა დააკისრა. მთავრობამ ჩარევის მიზნად „ეროვნული უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის“, „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა“ და „არეულობისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება“ დაასახელა. პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით კომისიამ განაცხადა: „დანაშაულის ჩადენის, არეულობის, აგრეთვე ებრაელებისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების თავიდან აცილება, მათი უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში გადასწონის საჩივრის წარმდგენის მიერ ისეთი

ინფორმაციის გავრცელების უფლებას, რომლითაც უარყოფილია ნაცისტური რეჟიმის მიერ ებრაელების გაზით გაგუდვის ფაქტები”.

67. „ეროვნული უშიშროებისა“ და გამოხატვის თავისუფლების საკითხი სტრასბურგის სასამართლომ შეაფასა „*Hadjianastassiou*“-ს (მოპასუხე - საბერძნეთის სახელმწიფო) საქმეში, რომელიც სამხედრო საიდუმლოებებს უკავშირდებოდა. კერძო კომპანიისათვის გარკვეული საზღაურის ფასად სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნების გამო ოფიცერს ხუთთვიანი პატიმრობა მიესაჯა. ინფორმაცია შეეხებოდა კონკრეტულ იარაღსა და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ტექნიკურ ცოდნას. მთავრობის აზრით, მისი განსაიდუმლოება ეროვნულ უსაფრთხოებას განსაკუთრებულ ზიანს აყენებდა.

სტრასბურგის სასამართლომ ეროვნული სასამართლოს განაჩენი ჩათვალა საჭიროდ „ეროვნული უშიშროების“ დასაცავად, „აუცილებლად დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და დასძინა: „სახელმწიფოს ისეთი ინტერესის განსაიდუმლოებას, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ იარაღსა და მის თაობაზე შესაბამის ტექნიკურ ცოდნას, შეუძლია სერიოზული საფრთხე მიაყენოს ეროვნულ უსაფრთხოებას.“

68. „*Hadjianastassiou*“-ს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ეროვნული სასამართლოებისათვის აყალიბებს ორ მნიშვნელოვან პრინციპს. პირველი: ყველა სამხედრო ინფორმაცია არ შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლოდ; მეორე: სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ საკითხი იმის შესახებ, აყენებს თუ არა გავრცელებული ინფორმაცია რეალურ ზიანს ეროვნულ უსაფრთხოებას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გადაწყვიტონ ეროვნულმა სასამართლოებმა პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე.

## **გამოხატვის თავისუფლება და არეულობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება**

69. ინკალის საქმეში თურქეთის შესაბამისმა სტრუქტურებმა გამოხატვის თავისუფლება შეზღუდეს „არეულობის თავიდან აცილების“ საბაბით. ბ-მა ინკალმა — ეროვნებით ქურთმა და 1993 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული სახალხო ლეიბორისტული პარტიის წევრმა — გაავრცელა პროკლამაციები, რომლებიც შეიცავდა თურქეთის სამთავრობო პოლიციის შესახებ შეურაცხმყოფელ განცხა-



დებებს და ქურთი ეროვნების მოსახლეობას გაერთიანებისა და ერთიანი პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებისაკენ მოუწოდებდა. პროკლამაციები საზოგადოებას თურქეთის უსაფრთხოების პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წამოწყებული ანტიქურთული კამპანიის წინააღმდეგ განაწყობდა. საჩივრის წარმდგენი ამ კამპანიას „ქურთი ხალხის წინააღმდეგ ქვეყანაში მოქმედი სპეციალური ომის ნაწილად“ განიხილავდა. პროკლამაციებში სახელმწიფოს მოქმედება შეფასებული იყო როგორც „თურქი და ქურთი პროლეტარების წინააღმდეგ მიმართული ტერორი.“ თუმცა პროკლამაციები არ შეიცავდა მოწოდებებს შუღლის გაღვივებისა და მკვლევლობების თაობაზე, თურქეთის უშიშროების პოლიციამ ეს მოწოდება სეპარატიზმის პროპაგანდად შეაფასა. დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის ბ-ნ ინკალს ეროვნული სასამართლოს მიერ ექვსთვიანი პატიმრობა მიესაჯა. მას ასევე აეკრძალა სამოქალაქო სამსახურში შესვლა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ასოციაციებში და სავაჭრო გაერთიანებებში საქმიანობა.

ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას თურქეთის მთავრობამ მიუთითა, რომ საჩივრის წარმდგენის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება საჭირო იყო არეულობის თავიდან ასაცილებლად, რადგან პროკლამაციების პროვოკაციული შინაარსი იწვევდა აგრესიას. პროკლამაციების წყალობით ქურთ მოსახლეობას შეიძლება დაეჯერებინა, რომ „სპეციალური ომის“ მსხვერპლნი იყვნენ და მათ მიერ თავდაცვის კომიტეტების ჩამოყალიბება გამართლებული იქნებოდა. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ „პროკლამაციების შინაარსი... ერთ ეთნიკურ ჯგუფს განაწყობდა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ.“

იმის შესაფასებლად, იყო თუ არა თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიებისა და მისი აქტიური წევრებისათვის“. სასამართლომ დასძინა, რომ საქმის არც ერთი გარემოება არ იძლეოდა საფუძველს, რომლის ვათვალისწინებითაც ბატონ ინკალს პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა თურქეთში არსებული ტერორიზმის პრობლემების გამო [. . .]. დაბოლოს, ბატონი ინკალის განაჩენი დასახული მიზნის არაპროპორციული იყო და, შესაბამისად, არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის.“ მე-10 მუხლის დარღვევასთან ერთად სასამართლომ დაადასტურა მე-6 მუხლით

გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის დარღვევა, რადგან საჩივრის წარმდგენი გასამართლებული იყო სამი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლოს მიერ, რომლის ერთი წევრიც სამხედრო მოსამართლე გახლდათ.

70. არეულობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვა დაასახელა ავსტრიის მთავრობამ არგუმენტად საქმეზე „Saszmen v Austria“. საჩივრის წარმდგენს სამთვიანი პატიმრობა მიესაჯა პრესის მეშვეობით არმიის წევრთა ნაქეზებისათვის. მთავრობის განცხადებით, საჩივრის წარმდგენი ჯარისკაცებსა და ოფიცრებს დაუმორჩილებლობისა და სამხედრო კანონების დარღვევისაკენ მოუწოდებდა. კომისიამ მიიჩნია, რომ ავსტრიის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გამართლებული იყო ავსტრიის ფედერალურ არმიაში წესრიგის შესანარჩუნებლად და ეროვნული უშიშროების დასაცავად. „...სამხედრო კანონების დარღვევისაკენ მოწოდება კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებაა, რომელიც მიზნად ისახავს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გაუქმებას. ამგვარი არაკონსტიტუციური ქმედება არ უნდა იქნეს შეწყნარებული დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

71. სასამართლომ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო საქმეში „Vereinigung Demokratischer Soldaten Osterreichs and Gubi v Austria.“ ამ საქმის არსი ზემოთ უკვე აღვწერეთ. სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებებს და განაცხადა, რომ პერიოდიკაში გამოქვეყნებული საკითხების უმეტესობა „წარმოადგენდა საჩივრებს, მოუწოდებდა რეფორმების ჩატარებისაკენ, აგრეთვე მკითხველებს ურჩევდა კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურებისა და შესაძლებლობების გამოყენებას. თუმცა, მიუხედავად პოლემიკის მძაფრი ხასიათისა, მათ არ დაურღვევიათ იდეების თაობაზე დისკუსიის დასაშვები საზღვრები, რაც აუცილებელია იმ დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომელსაც არმია ემსახურება.“

შესაბამისად, სასამართლომ დაადასტურა მე-10 მუხლის დარღვევა.

72. „არეულობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების“ მიზანი შეიძლება დაუპირისპირდეს მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ კრიტიკას. კასტელსის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მხარი დაუჭირა პოლიტიკური ოპოზიციის სასარგებლოდ გამოხატვის თავისუფლების დაცვას. ბატონი კასტელსი ესპანეთის პარლამენტის სენატორი იყო, რომლის პოლიტიკური ორგანიზაცია მხარს

უჭერდა ბასკეთის დამოუკიდებლობას. 1979 წელს მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით „აღმაშფოთებელი დაუსჯელობა“, რომელიც დაიბეჭდა ეროვნულ ყოველდღიურ გაზეთში. ბატონი კასტელსი მთავრობას ადანაშაულებდა ბასკეთში მომხდარი მკვლელობების გამოუძიებლობის გამო და აცხადებდა: „ამ დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენნი ტოტალური დაუსჯელობის გამო დღესაც აგრძელებენ მუშაობას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მათ დასაპატიმრებლად არაფერი გაკეთებულა.“ იგი მთავრობას ბრალად სდებდა ამ დანაშაულში თანამონაწილეობას: „მემარჯვენეებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, ყველა ბერკეტი (პოლიცია, სასამართლოები, ციხეები) აქვთ, რათა მოძებნონ და დასაჯონ ამდენი დანაშაულის ჩამდენნი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ [ . . . ] . წესრიგის დაცვასა და სისხლის სამართლის დევნაზე პასუხისმგებელი პირები კვლავ თანამდებობაზე არიან.“

ამ დანაშაულთა ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების შესახებ კასტელსმა მიუთითა: „მათ დღემდე აქვთ სრული ინფორმაცია. მათ აქვთ იარაღისა და ფულის მნიშვნელოვანი მარაგი. მათ აქვთ შეუზღუდავი სახსრები და დაუსჯელად მოქმედებენ... შეიძლება ითქვას, რომ მათ წინასწარვე აქვთ გარანტირებული სრული დაუსჯელობა.“

ბატონმა კასტელსმა ასევე დასძინა: „ამ აქტების უკან შეიძლება იდგეს მხოლოდ მთავრობა, მმართველი პარტია და მისი აპარატი. ჩვენ ვიცით, რომ ისინი აპირებენ გამოიყენონ პოლიტიკური ინსტრუმენტები ბასკ დისიდენტებზე სანადიროდ და მათ ფიზიკურად გასანადგურებლად“...

ბატონ კასტელსს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა მთავრობის შეურაცხყოფისათვის. პროცესის დროს კასტელსს ესპანეთის სასამართლომ უარი უთხრა მონმეების დაკითხვასა და დოკუმენტების წარმოდგენაზე. ესპანური სასამართლოს აზრით, ასეთი მტკიცებულებები დასაშვები არ არის, როდესაც ბრალდება მთავრობის (და არა მისი რომელიმე წევრის) შეურაცხყოფას შეეხება. კასტელს ერთნაირი პატიმრობა მიესაჯა. ეს სასჯელი არ აღსრულებულა.

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე საჩივრის წარმდგენმა განაცხადა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება. ესპანეთის ხელისუფლებამ კი ჩარევა „არეულობისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების“ კანონიერი მიზნით გაამართლა. მოსარჩელის აზრით, განაჩენის გამოტანის ერთადერთ მიზანს მთავრობის ღირსების დაცვა წარმოადგენდა. იმის შემონმების დროს, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი

დემოკრატიული საზოგადოებისათვის", სასამართლომ დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლება ყველასათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებთან მიმართებაში. ისინი წარმოადგენენ საკუთარ ელექტორატს, იცავენ მათ ინტერესებსა და ყურადღებას ამახვილებენ მათ პრობლემებზე. შესაბამისად, ოპოზიციონერი დეპუტატის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა სასამართლოს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.“

სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ „ბატონმა კასტელსმა თავისი აზრი სენატის კედლებში კი არ გამოხატა, სადაც იგი დაცული იქნებოდა სადეპუტატო ინდემნიტეტით, არამედ პერიოდული პრესის ფურცლებზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უფლება არ ჰქონდა მთავრობა ამ გზით გაეკრიტიკებინა“.

სასამართლომ ხაზი გაუსვა ასევე პრესის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში: „პრესის თავისუფლება საზოგადოების ხელში იმ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და იდეების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათზე ამა თუ იმ წარმოდგენის ჩამოყალიბება. კერძოდ, იგი საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხებზე აზრის გამოთქმისა და თავისუფალ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის საშუალებას იძლევა (იხ.: 1986 წლის 8 ივლისის გადანყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, სერია ა, ტ. 103, გვ. 26, პუნქტი 42.).“

შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მოსარჩელის ბრალდებები საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, რაც დადასტურდა პუბლიკაციის ყველა ეგზემპლარის გაყიდვით. პოლიტიკური კრიტიკის შეზღუდვასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა: „დასაშვები კრიტიკის ზღვარი მთავრობასთან მიმართებაში გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის ან თუნდაც პოლიტიკოსის მიმართ. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში მთავრობის ნებისმიერი ქმედება უნდა გახდეს არა მარტო საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების, არამედ პრესისა და საზოგადოების მხრიდანაც დეტალური განხილვის საგანი.“

სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ასევე იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაუშვებლად მიიჩნიეს მოსარჩელის მიერ შეთავაზებული მტკიცებულებების განხილვა. შესაბამისად, სასამართლომ მე-10 მუხლში ჩარევა გაუმართლებლად ჩათვალა.

დაბოლოს, ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა: „არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები და მთავრობა სამართლებრივი დაცვის უკეთესი გარანტიებით სარგებლობდნენ, ვიდრე კერძო პირები ან ოპოზიცია“.

73. ეროვნულმა სასამართლოებმა ზემოთ აღწერილი გადაწყვეტილებების ანალოგიურად უნდა იმოქმედონ; წვერი სახელმწიფოების სასამართლოებმა უნდა გააცნობიერონ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონისადმი დაუმორჩილებლობის მონოდება დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული, მათ ავტომატურად არ უნდა მიმართონ კანონისმიერი აკრძალვის გამოყენებას. მოსამართლეებმა უნდა შეაფასონ დაპირისპირებული ინტერესები პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, სანამ გადაწყვეტენ, დასაჯონ თუ არა გამოხატვის თავისუფლების კონკრეტული გამოყენება „დემოკრატიული საზოგადოების აუცილებლობიდან გამომდინარე“. უფრო მეტიც, როგორც ეს კასტელისის საქმის გადაწყვეტილებაშიც გამოჩნდა, ეროვნულმა სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ ხელისუფლების ორგანოების კრიტიკისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისაგან. ამგვარი, თუნდაც მწვავე, კრიტიკა წარმოადგენს პოლიტიკური პლურალიზმისა და მოსაზრებათა პლურალიზმის ნაწილს.

## გამოხატვის თავისუფლება და მორალი

74. „მორალსა“ და გამოხატვის თავისუფლებას შორის არსებული ნინაალმდეგობა პროპორციულობის პრინციპის ახლებური ინტერპრეტაციის აუცილებლობას წარმოშობს. საზოგადოდ, ამგვარ შემთხვევებში სასამართლო წევრ სახელმწიფოებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას უტოვებს, რაც განპირობებულია თითოეულ წევრ სახელმწიფოში ან თუნდაც მის ცალკეულ რეგიონებში არსებული „მორალის“ სპეციფიკურობით.

75. მიუღერის საქმეში წვერი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ გამოხატვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა გონივრულად და „საჭიროდ დემოკრატიულ სახელმწიფოში“ „მორალის“ დასაცავად. 1981 წელს თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე ბატონმა მიუღერმა გამოფინა თავისი რამდენიმე ნახატი, რომელზეც ასახული იყო სოდომური სცენე-

ბი, ზოოფილია, მასტურბაცია და ჰომოსექსუალიზმი. გამოფენის დათვალეირება უფასო იყო და რაიმე შეზღუდვა ბავშვებისა და მოზრდებისათვის დაწესებული არ ყოფილა. შვეიცარიის სასამართლოებმა, უხამსი პუბლიკაციების ამკრძალავი კანონმდებლობის საფუძველზე, ბატონი მიულერი და გამოფენის ორგანიზატორები დააჯარიმეს. ნახატები დაყადაღებულ იქნა და შესანახად გადაიგზავნა ხელოვნების მუზეუმში, თუმცა ეს ტილოები შემდგომში მაინც დაუბრუნეს ბატონ მიულერს. ბატონმა მიულერმა და გამოფენის ორგანიზატორებმა საჩივრით მიმართეს კომისიას. მათ განაცხადეს, რომ დაჯარიმებითა და ყადაღის დადებით დაირღვა მათი გამობატვის თავისუფლება.

იმის დასადგენად, იყო თუ არა გამობატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, სასამართლომ აღნიშნა, რომ მორალის ერთიანი კონცეფცია არ არსებობს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოები „მორალის“ საკითხის გადანყვეტის დროს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლეები, რადგანაც წევრი სახელმწიფოს მოსამართლეს პირდაპირი შეხება აქვს თავისი ქვეყნის რეალობასთან. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „ნახატები ასახავდნენ სექსუალურ ურთიერთობას, კერძოდ კი ადამიანებსა და ცხოველებს შორის... ეს ნახატები ხელმისაწვდომი იყო მთელი საზოგადოებისათვის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რადგან ორგანიზატორებს გამოფენის დათვალეირებისათვის რაიმე ფასის გადახდა არ დაუდგენიათ და არც ასაკობრივი ბარიერი დაუწესებიათ. ნახატები გამოფენაზე გამოტანილი იყო მთელი საზოგადოების წინაშე“.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ წევრი სახელმწიფოს მოსამართლეთა გადანყვეტილება ნახატების მავნე ზეგავლენის შესახებ გონივრული იყო. სასამართლომ გადანყვიტა, რომ წევრი სახელმწიფოს ხელისუფლებას ჰქონდა კანონიერი უფლება, „მორალის“ დაცვის „აუცილებელ“ ზომად ჯარიმა დაეკისრებინა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნახატების დაყადაღება ასევე იყო „აუცილებელი“, რათა შეწყვეტილიყო მისი საჯარო დემონსტრირება. შვეიცარიის სასამართლოს ამ გადანყვეტილებაში მითითებული იყო, რომ მხატვარს ნებისმიერ დროს შეეძლო ნახატის დაბრუნება მოეთხოვა, რამეთუ ყადაღას დროებითი ხასიათი ჰქონდა.

76. მიულერის საქმეში სტრასბურგის სასამართლოს გადანყვეტი-

ლებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბავშვების შეუზღუდავმა დაშვებამ გამოფენაზე, მსგავსად ჰენდისაიდთან დაკავშირებული პროცესისა.

77. „მორალსა“ და გამოხატვის თავისუფლებას შორის არსებული კონფლიქტი სტრასბურგის სასამართლომ განიხილა საქმეში „Open Door and Dublin Well Woman v Ireland.“ ეს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია საქმიანობდა დუბლინში, ირლანდიაში, სადაც იმ დროისათვის აბორტი აკრძალული იყო. ისინი საკონსულტაციო მომსახურებას უწევდნენ ფეხმძიმე ქალებს ოჯახის დაგეგმვის, ფეხმძიმობის, ჯანმრთელობის, სტერილიზაციისა და სხვა მსგავს საკითხებში. ეს ორგანიზაციები ფეხმძიმე ქალებს ასევე სთავაზობდნენ ინფორმაციას ირლანდიის ფარგლებს გარეთ აბორტის გაკეთების შესაძლებლობების შესახებ და აძლევდნენ დიდი ბრიტანეთის შესაბამისი კლინიკების მისამართს. არც ერთი ეს ორგანიზაცია არ აძლევდა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას ფეხმძიმე ქალებს მანამ, სანამ აბორტის შესახებ გადწყვეტილებას თავად ქალები არ მიიღებდნენ. 1983 წელს „Dublin Well Woman“-მა დაბეჭდა ბროშურა, სადაც იგი აკრიტიკებდა კონსტიტუციის ბოლო ორ შესწორებას. პირველი შესწორების მიხედვით, ყველა მოქალაქეს მიენიჭა უფლება, მოეთხოვა ირლანდიის ფარგლებს გარეთ აბორტის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა. მეორე შესწორების მიხედვით კი ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო მოეთხოვა სასამართლოს მეშვეობით ფეხმძიმე ქალის ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა.

„ბავშვთა შობამდელი უფლებების დაცვის“ ირლანდიის ასოციაციის მიერ 1986 წელს შეტანილი სარჩელის საფუძველზე ირლანდიის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ აბორტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსს.

სასამართლოებმა გამოცეს შესაბამისი ბრძანებები, რომელთა მიხედვითაც ამ ორ არასამთავრობო ორგანიზაციას აეკრძალა ფეხმძიმე ქალებისთვის ირლანდიის გარეთ აბორტების გაკეთების თაობაზე კონსულტაციის განწევა. ზემოაღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საჩივრით მიმართეს კომისიას და განაცხადეს, რომ დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლება. ოთხი ქალი ინდივიდუალურად შეუერთდა საჩივარს; ორი როგორც პირდაპირი და ორი როგორც პოტენციური მსხვერპლი.

ირლანდიის მთავრობამ სასამართლოს განუცხადა, რომ ჩარევა აუცილებელი იყო „სხვათა უფლებების“, „მორალის“ დასაცავად და „დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად“. სასამართლომ მართლზომიერ მიზნად მხოლოდ „მორალის“ დაცვა მიიჩნია იმის გათვალისწინებით, რომ აბორტის აკრძალვა ირლანდიელი ხალხის ფასეულობებს ეყრდნობა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ „მორალის“ დასაცავად ეროვნული ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება ფართოა, მაგრამ არა აბსოლუტური. ეროვნულ ხელისუფლებას არა აქვს „აბსოლუტური და გადაუსინჯვადი“ დისკრეცია. ამის შემდეგ სასამართლომ შეაფასა, იყო თუ არა ჩარევა „გადაუდებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილება“ და იყო თუ არა იგი კანონიერი მიზნის პროპორციული. ირლანდიის სასამართლოების მიერ დანესებული აკრძალვა ეხებოდა ყველას, „მიუხედავად ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მშობიარობის შეწყვეტის მიზეზისა“. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ფართო ჩარევა გაუმართლებელი იყო. ჩარევის უმართებულობის მტკიცებისას სასამართლომ შენიშნა, რომ ინფორმაციის სხვა წყაროები მაინც არსებობს (ჟურნალები, სატელეფონო წიგნები, უცხოეთში მცხოვრები ხალხი), რაც საჩივრის წარმდგენის მიმართ შეზღუდვის დანესების არამიზანშენილობას ადასტურებს.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ისეთ სპეციფიკურ სფეროშიც კი, როგორცაა მორალი, არ დაუშვან გამოხატვის თავისუფლების აბსტრაქტული, აბსოლუტური მუდმივი შეზღუდვა. ნევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა უნდა დაიცვან პროპორციულობის პრინციპი: გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მნიშვნელოვანია, თუ საქმე ეხება ბავშვებს ან ახალგაზრდებს; შეზღუდვა ასევე დასაშვებია, თუ დამტკიცდება, რომ იგი აუცილებელია „ამორალური“ ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად.

## **გამოხატვის თავისუფლება და სხვათა უფლებები და რეპუტაცია**

78. „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა“, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „კანონიერი მიზანი“, ყველაზე ხშირად არის ხოლმე მოხმობილი ეროვნული ხელისუფლების მიერ. უფრო



ხშირად ის გამოყენებულია პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო მოხელეების კრიტიკისაგან დაცვის მიზნით. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულად იცავს ასეთ შემთხვევებში. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საკითხი პრესას ეხება. პრესისათვის ამგვარი მნიშვნელოვანი როლის მინიჭება პოლიტიკური დისკუსიებისას პრესის მნიშვნელოვანი ფუნქციითა განპირობებული. რაც შეეხება აზრის გამოხატვის ფორმებს, სასამართლომ დასაშვებად ჩათვალა როგორც მკაცრი კრიტიკა, ისე ხატოვანი გამოთქმები, რამეთუ ამ უკანასკნელს ძალუძს დებატების საგნად აქციოს ესა თუ ის მოვლენა.

79. ლინგენსის საქმეში სტრასბურგის სასამართლომ, პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, სიტყვისა და პრესის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვიდრე მალალი თანამდებობის პირის რეპუტაციის დაცვა. 1975 წლის ოქტომბერში ავსტრიის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ლინგენსმა გამოაქვეყნა ორი სტატია, რომლებშიც აკრიტიკებდა არჩევნებში გამარჯვებულ ფედერალურ კანცლერ ბრუნო კრაისკის. ლინგენსმა კრაისკი ავსტრიის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარესთან, ბატონ ფრიდრიხ პეტერთან, ლოიალურ კავშირში ამხილა. ფრიდრიხ პეტერი მეორე მსოფლიო ომის დროს „ეს-ეს“-ის ბრიგადაში მსახურობდა. ამავე დროს, ლინგენსმა კრაისკი გააკრიტიკა ბ-ნ ვიეზენტალზე თავდასხმისათვის, რომელმაც საჯაროდ დაგმო ლიბერალური პარტიის თავმჯდომარის წარსული. კანცლერის ქცევა სტატიაში შეფასებული იყო, როგორც „ამორალური“, „უღირსი“. კანცლერის მიერ კერძო საჩივრის საფუძველზე ავსტრიის სასამართლოებმა ეს განცხადებები შეურაცხმყოფელად მიიჩნიეს და ჟურნალისტი დააჯარიმეს. ავსტრიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჟურნალისტიმ ვერ შეძლო დაემტკიცებინა თავისი ბრალდების სიმართლე. კანცლერის სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილებულა, თუმცა ავსტრიის სასამართლომ გასცა ბრძანება ჟურნალის ეგზემპლარების დაყადაღებისა და ჟურნალის ხარჯით სასამართლო გადაწყვეტილების დაბეჭდვის შესახებ. ბატონმა ლინგენსმა ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი და ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული ზომები არღვევდნენ მე-10 მუხლს. ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ გამოყენებული ზომები გამიზნული იყო კანცლერის რეპუტაციის დასაცავად. იმის შეფასებისას, იყო თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩა-

რევა „ აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, სტრას-ბურგის სასამართლომ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპი ჩამოაყალიბა და დაადგინა, რომ პოლიტიკოსებს მედიის მხრიდან განხორციელებულ კრიტიკაზე მეტი თმენა ჰქმარებთ. სასამართლომ ამის მიზეზად შემდეგი არგუმენტი დაასახელა:

„პრესის თავისუფლება საზოგადოების ხელში ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და იდეების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათზე ამა თუ იმ წარმოდგენის ჩამოყალიბება. პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კი სწორედ ამ კონცეფციას ეყრდნობა. შესაბამისად, დასაშვები კრიტიკის ფარგლები საჯარო პირების მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ. კერძო პირებისაგან განსხვავებით, საჯარო პირმა უფრო მეტად უნდა მოითმინოს ის ყურადღება, რასაც მისი სიტყვა თუ საქმიანობა იწვევს ჟურნალისტებსა თუ მთლიანად საზოგადოებაში.“

კანცლერის რეპუტაციის დაცვის საჭიროება სასამართლომ არ გამორიცხა, მაგრამ განაცხადა: „საკამათო არ არის, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ყველას რეპუტაციას იცავს, ანუ იგი პოლიტიკოსებზეც (მაშინაც კი, როდესაც ისინი საჯარო ურთიერთობებში მონაწილეობენ) ვრცელდება, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ პოლიტიკურ საკითხებზე არსებობს ღია დისკუსიისადმი საზოგადოებრივი ინტერესი...“

კანცლერის რეპუტაციის დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართების მონესრიგებისას სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება მიაქცია დისკუსიის პერიოდში არსებულ პოლიტიკურ კონტექსტს: „ინკრიმინირებული გამონათქვამი განხილულ უნდა იქნეს არჩევნების შემდგომ გამართული პოლიტიკური დებატების ფონზე. როგორც ეს ვენის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებასა და მითითებული, ამ დავისას თითოეული მხარე იყენებდა ყველა იმ იარაღს, რაც ამ დროისთვის მის განკარგულებაში იმყოფებოდა. მწვავე პოლიტიკური დისკუსიის დროს ამაში უჩვეულო არაფერია.“

პრესის თავისუფლებაზე მოსარჩელის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის შეფასებისას სასამართლომ განაცხადა: „როგორც მთავრობამ აღნიშნა, სადავო სტატიები იმ დროს უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, ასე რომ, თუმცა ავტორის წინააღმდეგ მიღებული სანქცია, უხე-

შად რომ ვთქვათ, ვერ შეუშლიდა მას ხელს საკუთარი თავის გამოხატვაში, ის მაინც გადაიქცეოდა ერთგვარ ცენზურად, რომელიც აიძულებდა, მომავალში ამგვარი კრიტიკისაგან თავი შეეკავებინა; ...პოლიტიკური დისკუსიის კონტექსტში ამგვარი განაჩენის არსებობა ბევრ ჟურნალისტს გაუნელებს სურვილს, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა საჯარო განხილვაში. ამ განაჩენით დაწესებულ სანქციას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას მასზე დაკისრებული ამოცანის (ინფორმაციის გავრცელება) განხორციელებასა და საზოგადოების „დარაჯის“ ფუნქციის შესრულებაში”

ავსტრიის სასამართლოების დამოკიდებულება „სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებასთან დაკავშირებით“ სტრასბურგის სასამართლომ არასწორად მიიჩნია. სასამართლომ ხაზი გაუსვა „ფაქტებსა“ და „შეფასებით მსჯელობებს“ შორის არსებულ განსხვავებას და დასძინა, რომ „შეფასებითი მსჯელობის“ სიმართლესთან შესაბამისობის დამტკიცება გადაუჭრელ ამოცანას წარმოადგენს და პრაქტიკულად შეუძლებელია. საჩივრის წარმდგენის გამონათქვამები კანცლერის პოლიტიკური ქცევისა და მოქმედების შესახებ წარმოადგენდა მოსაზრებას (რაც აზრის შემუშავებისა და გამოხატვის თავისუფლებას უკავშირდება) და არა ფაქტს (რაც ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას უკავშირდება). ფაქტის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება შესაძლებელია, შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობა კი არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების მოთხოვნა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას გამოიწვევს. სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ ფაქტები, რომლებზეც ბატონმა ლინგენსმა დააფუძნა თავისი შეფასებითი მსჯელობა, არ იყო საკამათო, რადგანაც იგი კეთილსინდისიერად მოქმედებდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონ ლინგენსის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის... სხვათა... რეპუტაციის დასაცავად; ის იყო კანონიერი მიზნის არაპროპორციული“.

80. პოლიტიკურ კრიტიკას და ფაქტებსა და აზრებს შორის განსხვავების დადგენის სფეროში სტრასბურგის სასამართლოს მიერ განვითარებული პრინციპები ხელახლა დადასტურდა მომდევნო გადაწყვეტილებებშიც. ასე, მაგალითად, დალბანის საქმეში სასამართლომ განაცხადა: „გაუმართლებელი იქნება, თუკი ჟურნალისტს აუუკრძალავთ კრიტიკული შეფასების გაკეთებას, ვიდრე ვერ დაამტკიცებს თავის სი-

მართლეს". დაბოლოს, კომისია შვების საქმესთან დაკავშირებით შეეხო ენობრივი ნორმების შესაძლო ლიმიტებს: „პოლიტიკოსთა ქცევისა და მათი მორალის შესახებ ინფორმაციის სადისკუსიოდ სწრაფი გატანის დროს შეუძლებელია აინონოს ყველა სიტყვა და გამოირიცხოს ყველა შესაძლო გაუგებრობა“.

დალბანის საქმეში სასამართლომ პრესის თავისუფლებას განსაკუთრებით ფართო ასპარეზი მისცა: „ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის გაზვიადების გარკვეულ ხარისხს ან თუნდაც პროვოკაციასაც“.

81. სტრასბურგის სასამართლოს მიერ განვითარებული პრეცედენტული სამართლის პრინციპების მიხედვით, ნებისმიერი შიდა კანონი, რომელიც შეურაცხყოფის ან ცილისწამებისაგან (განსაკუთრებით, პრესისაგან) იცავს პოლიტიკოსებს და, ზოგადად, მაღალი თანამდებობის პირებს (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრი, პარლამენტის წევრი და ა.შ.) და ითვალისწინებს სპეციალურ ან უფრო მკაცრ სასჯელს, შეუთავსებელია მე-10 მუხლთან. წევრი სახელმწიფოს სასამართლოებმა ასეთი კანონის არსებობის პირობებშიც კი თავი უნდა შეიკავონ მისი გამოყენებისაგან, თუნდაც ამას პოლიტიკოსი მოითხოვდეს. უფრო მეტიც, როდესაც წარმოიშევა კონფლიქტი პრესის თავისუფლებასა და პოლიტიკოსის რეპუტაციის დაცვას შორის, წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ პროპორციულობის პრინციპი. მათ უნდა დაადგინონ, არის თუ არა ჟურნალისტის მიმართ გამოტანილი განაჩენი აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამ დროს მათ უნდა გამოიყენონ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული ის ძირითადი პრინციპები, რაც ლინგენსის საქმეშია ასახული.

ანალოგიურად, როდესაც წევრი სახელმწიფოს სასამართლო იყენებს „სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების“ პრინციპს, შეურაცხმყოფელ განცხადებებთან დაკავშირებულ საქმეებში მან თავი უნდა შეიკავოს ამგვარი მოთხოვნისაგან და უნდა გაითვალისწინოს სტრასბურგის სასამართლოს მიერ ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის დადგენილი განსხვავება. უფრო მეტიც, ფაქტებთან დაკავშირებულ ცილისწამების საქმეებში ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ „კეთილსინდისიერების“ პრინციპი. თუკი გამოქვეყნების დროს ჟურნალისტს გააჩნდა საკმარისი მიზეზი, რათა დაეჯერებინა ინფორმაციის კონკრეტული ნაწილის უტყუარობა, მაშინ იგი არ უნ-

და დაისაჯოს. ახალი ამბები არის „მალფუჭებადი პროდუქტი“ და მისი გამოქვეყნების თუნდაც მცირე დროით შეყოვნება დაუკარგავს მას ღირებულებასა და ინტერესს“. სწორედ ამიტომ არის, რომ ჟურნალისტს მოეთხოვება ახალი ამბების მხოლოდ გონივრულ ფარგლებში გადამონმება და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ ამ თვალსაზრისით. თუკი ჟურნალისტს კეთილსინდისიერად სჯეროდა, რომ ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდა, მაშინ მისი პასუხისგებაში მიცემა განზრახ ცილისწამებისთვის არ შეიძლება.

ნეერი სახელმწიფოების სასამართლოებმა ასევე უნდა შეიკავონ თავი სისხლის სამართლებრივი სასჯელის, განსაკუთრებით კი პატიმრობის, შეფარდებისაგან. ამგვარი სასჯელის გამოყენება საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლების არსს და ცენზურის ეფექტი გააჩნია. ეს კი მნიშვნელოვნად შეუშლის პრესას ხელს, შეასრულოს „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლი.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ზემოთ დამონებული პრინციპები თანაბრად შეეხება როგორც საჯარო მოხელის, ისე ნებისმიერი ინდივიდის კრიტიკას, თუკი ეს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროშია.

82. თორგეირსონის საქმეში სასამართლომ პრესის თავისუფლება სამოქალაქო მოხელეების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის კონტექსტში განიხილა. საჩივრის წარმდგენმა ყოველდღიურ გაზეთში გამოაქვეყნა ორი სტატია პოლიციის ძალადობის შესახებ. პირველ სტატიას იუსტიციის მინისტრისადმი განკუთვნილი წერილის ფორმა ჰქონდა. სტატია მინისტრს მოუწოდებდა კომისიის შექმნისაკენ, რომელიც „რეიკიავიკის პოლიციის მხეცური ძალადობის თაობაზე ხალხში გავრცელებულ ჭორებს“ გამოიძიებდა. საჩივრის წარმდგენს არ დაუსახელებია ძალადობის არც ერთი მსხვერპლის სახელი, გარდა ერთი ჟურნალისტისა. თორგეირსონი აღწერდა რა პოლიციის ოფიცრების მხეცურ ძალადობას, წერილში მიუთითებდა: „...თქვენ ბრძანდებით იუსტიციის მინისტრი და, მაშასადამე, უფროსი იმ უნიფორმიანი მხეცებისა, რომლებიც ჩვენი ქალაქის ღამის ჯუნგლებში უხმოდ ან ხმაურთან დაძრწიან... ერთი ახალგაზრდა კაცის მეზობლებმა მიამბეს, თუ როგორ სცემეს იგი რესტორნის დაცვამ და პოლიციელებმა. თავიდან მე გამიჭირდა ამის დაჯერება, ამიტომ ეს ინფორმაცია საავადმყოფოს თანამშრომლებთან გადავამოწმე და, სამწუხროდ, ინფორმაციის ჭეშმარიტება დადასტურდა. ჩვენ საქმე გვაქვს რეიკიავიკის პოლიციის ღამის რაზ-

მის მსხვერპლთან... შემდეგ მე დავადგინე, რომ ბევრმა ადამიანმა იცოდა უნიფორმიანი მხეცების ამნაირ და ამაზე უფრო ცუდი ქმედებების თაობაზე. არსებობს იმდენი მსგავსი ისტორია, რომ შეუძლებელია მათი მშვიდად მოსმენა."

სატელევიზიო პროგრამებმაც განიხილეს ამ სტატიის შინაარსი. ორმა პოლიციელმა უარყო ყველა ბრალდება და წარმოადგინა იმ ადამიანის წერილი, რომელიც თორგეირსონს მოიხსენებდა, როგორც თალღის და იმგვარ პიროვნებას, რომლის ნდობაც არ შეიძლება. თორგეირსონმა მეორე სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც აცხადებდა, რომ „[პოლიციის] საქციელი ზუსტად შეესაბამებოდა მათზე საზოგადოების წარმოდგენას. მათ იგივე მეთოდი გამოიყენეს: დაშინება, გაყალბება, უკანონო მოქმედება, დაუღვერობა და უუნარობა“.

რეიკიავიკის პოლიციის ასოციაციის მიმართვის საფუძველზე პროკურორმა საჩივრის წარმდგენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მას ბრალი ედებოდა პოლიციის (დაუკონკრეტებლად) წევრთა ცილისწამებაში.

პროცესის განმავლობაში თორგეირსონმა უარი განაცხადა პოლიციის მიერ ჩადენილი დარღვევების იდენტიფიცირებაზე. მან სასამართლოს განუცხადა, რომ „სრული აბსურდია, კაცს შვიდი წლის წინ შემთხვევით ნანახი ადამიანის გახსენება მოსთხოვო. ეს ადამიანის გონების ბუნებას ეწინააღმდეგება“.

თორგეირსონს ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ევროპის სასამართლოს წინაშე მთავრობამ განაცხადა, რომ განაჩენიცა და სასჯელიც მიმართული იყო „სხვათა... რეპუტაციის“, კონკრეტულად კი პოლიციის ოფიცრების რეპუტაციის, დასაცავად. იმის დასადგენად, იყო თუ არა განაჩენი „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, სასამართლოს მიაჩნია, რომ „ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული პრესის პრიორიტეტულ როლზე სამართლებრივ სახელმწიფოში. სანამ პრესა არ გადააბიჯებს „სხვათა... რეპუტაციის დაცვის“ საზღვრებს, მანამ იგი უფლებამოსილია გააერცელოს საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაცია. ეს არის არა მარტო პრესის ვალდებულება, არამედ საზოგადოების უფლებაც, მიიღოს ამგვარი ინფორმაცია. სხვაგვარად პრესა „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლს ვერ შეასრულებს“. მთავრობამ მიუთითა, რომ დასაშვები კრიტიკის ფართო საზღვრები მხოლოდ პოლიტიკურ გამოსვლებს შეეხება. სტრასბურგის სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „მისი პრაქტი-

კა არ განასხვავებს პოლიტიკურ დისკუსიას საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე დისკუსიისაგან”.

საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „საჩივრის წარმდგენის სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს აკლდა ფაქტობრივი საფუძველი“. სასამართლომ „სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების“ პრინციპის შეზღუდული გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითა: „უდავოა, რომ ეს ინციდენტი [პოლიციის ძალადობის მსხვერპლთან დაკავშირებით] ნამდვილად მოხდა. სტატიის ფაქტობრივი ელემენტების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ სტატია, არსებითად, შედგებოდა „ისტორიების“ ან „ჭორებისაგან“, რომლებიც მომდინარეობდა არა საჩივრის წარმდგენის, არამედ სხვა ადამიანების ან „საზოგადოებრივი აზრისაგან“ და პოლიციურ ძალადობაზე ბრალდებებს შეიცავდა [. . .]. პირველი სტატიის მიხედვით, მოსარჩელემ უამრავი ადამიანისაგან შეიტყო მსგავსი ისტორიები. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველა ეს ისტორია სიცრუე იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, მოსარჩელე მხოლოდ ახმაურებდა იმას, რაც სხვებისგან მოისმინა პოლიციის ძალადობასთან დაკავშირებით [. . .]. სასამართლოს აზრით, სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებისას საჩივრის წარმდგენი შეეჩეხა არაგონივრულ და გადაუჭრელ ამოცანას“.

სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის არც იმ მოსაზრებას, თითქოს საჩივრის წარმდგენის მიზანი რეიკიავიკის პოლიციის რეპუტაციის შელახვა იყო და დაადგინა, რომ „უურნალისტს იუსტიციის მინისტრისათვის გამოძიების დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობის დამტკიცება სურდა, რაც ხელს შეუწყობდა პოლიციის ძალადობაზე არსებული საჩივრების გამოძიებას“. რაც შეეხება სტატიაში გამოყენებული გამონათქვამების ფორმას, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა: „ორივე სტატია სავსე იყო მკვეთრი გამონათქვამებით, თუმცა სტატიის მიზნისა და შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებული გამონათქვამები არ შეიძლება ზღვარგადასულად შეფასებულიყო“.

საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ „განაჩენსა და სასჯელს შეეძლო ხელი შეეშალა საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი მოვლენების შესახებ საჯარო დისკუსიისათვის“ და რომ მთავრობის მიერ ნამოყენებული მიზეზები ვერ ამტკიცებდნენ ჩარევის პროპორციულო-

ბას კანონიერ მიზანთან. შესაბამისად, ნეკრი სახელმწიფოს მიერ საჩივრის წარმდგენის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

84. „სხვათა უფლებების“ დაცვის აუცილებლობის დაპირისპირება ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებასთან განიხილა სტრასბურგის სასამართლომ ტელევიზიით გადაცემულ ზოგიერთ რასისტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. საქმეზე „*Jersild v Denmark*“ საჩივრის წარმდგენი ტელევიზიის ჟურნალისტი იყო, რომელიც ადგილობრივმა სასამართლომ გაასამართლა რასისტული გამონათქვამების გავრცელების ხელშეწყობის გამო. მან მოამზადა პროგრამა და მოიწვია რასისტული იდეების მქონე სამი ახალგაზრდა. ჟურნალისტმა იცოდა, რომ ინტერვიუს დროს მათ შეიძლება გამოუყენებინათ რასისტული გამონათქვამები. ინტერვიუ გადაიკა კარგად ინფორმირებული აუდიტორიისათვის განკუთვნილ სატელევიზიო პროგრამაში, რომელიც შეეხებოდა ფართო სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, მათ შორის ქსენოფობიასა და იმიგრაციას. გადაცემის დროს მოწვეულმა ახალგაზრდებმა განაცხადეს: „რასისტად ყოფნა კარგია. ჩვენ გვჯერა, რომ დანია მხოლოდ დანიელებს ეკუთვნის“; „ხალხს უფლება უნდა მიეცეთ, მონები ჰყავდეთ“; „აიღეთ გორილას სურათი და... შემდეგ შეხედეთ ზანგს, ეს არის სხეულის ერთი და იგივე სტრუქტურა... თავიდან ბოლომდე“; „ზანგი ადამიანი არ არის, ის ცხოველია. უცხოელი მუშახელი: თურქები, იუგოსლავიელები და ა.შ. ასევე ცხოველები არიან“.

ერთ-ერთი სასულიერო პირის სარჩელის საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ბატონ ჯერსილდს ჯარიმის გადახდა დაეკისრა რასისტული განცხადებების გავრცელების ხელშეწყობისათვის. ადგილობრივ სასამართლოში განახილვის დროს საჩივრის წარმდგენმა განაცხადა, რომ მის მიზანს სულაც არ წარმოადგენდა ამგვარი განცხადებების გასაკეთებლად სხვათა პროვოცირება და რომ მხოლოდ რეალობის ასახვა სურდა. გადაცემამ, მისი აზრით, მხოლოდ სიბრალოლი გამოიწვია იმ ახალგაზრდების მიმართ, რომელთაც ამგვარი განცხადებები გააკეთეს და თავი გაიმასხარავეს. საჩივრის წარმდგენმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ტრანსლირება საჯარო დებატების კონტექსტში განხორციელდა. ძირითადი მიზეზი, რის გამოც საჩივრის წარმდგენი დანიის სასამართლომ ბრალეულად მიიჩნია, ის იყო, რომ ჟურნალისტმა თავის შემაჯამებელ გამოსვლაში არ გააკრიტიკა ინტერვიუს დროს გამოთქმული რასისტული ფრაზები.



ჯერსილდმა ევროპულ სასამართლოში იჩივლა გამოხატვის თავისუფლების დარღვევის გამო. მთავრობამ გამოტანილი განაჩენი იმ პირთა უფლებების დაცვის აუცილებლობით დაასაბუთა, რომელნიც შეურაცხყოფილი დარჩნენ რასისტული გამონათქვამებით. მხედველობაში მიიღო რა ეს არგუმენტები, სასამართლომ ხაზი გაუსვა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის აუცილებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის წარმდგენის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოების დიდი ინტერესის საგანი იყო. სასამართლომ აღნიშნა: „ობიექტურად არ ჩანს, რომ პროგრამის მიზანს რასისტული იდეების პროპაგანდა წარმოადგენდა. პირიქით, გადაცემის მიზანი იყო იმ ახალგაზრდების რეალურ პრობლემებზე საუბარი, რომლებიც სოციალურად ფლუსტრირებული და კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებული არიან.“ მთავრობის იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საჩივრის წარმდგენს შემაჯამებელი სიტყვით აუცილებლად უნდა გაეკრიტიკებინა ამ ახალგაზრდათა პოზიციები, სასამართლომ განაცხადა:

„ობიექტური და განონასნორებული რეპორტაჟის მომზადების მეთოდები შეიძლება ძალზე განსხვავებული იყოს. არც სტრასბურგისა და არც წევრი სახელმწიფოს სასამართლო ჟურნალისტის მიერ რეპორტაჟის გადაცემის ტექნიკის ან მეთოდების შერჩევაში არ უნდა ჩაერიოს“.

ინტერვიუს საფუძველზე მომზადებული ახალი ამბების ეთერში გაშვების მიზანშეწონილობის საკითხის თაობაზე სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა:

„ინფორმაციის ამ ფორმით გავრცელება ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც პრესა „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლს ასრულებს“.

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივრის წარმდგენის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. ინტერვიუში სხვა პიროვნების მიერ გაკეთებული განცხადების გამო ჟურნალისტის დასჯა „სერიოზულად შეუშლის ხელს პრესას საჯარო ინტერესის მოვლენების თაობაზე საზოგადოებრივი დისკუსიის ინიცირებაში და ამის გაკეთება არ შეიძლება, სანამ არ იარსებებს ძალზე სერიოზული მიზეზი“.

## გამოხატვის თავისუფლება და მართლმსაჯულების მიუკერძოებლობა და ავტორიტეტი

85. მართლმსაჯულება სპეციალური დაცვით სარგებლობს, თუმცა ის ვაკუუმში არ ფუნქციონირებს და მართლმსაჯულების განხორციელება შეიძლება გახდეს საჯარო დებატების საგანი. „სანდი ტაიმსის“ საქმეში მთავრობამ საგაზეთო სტატიის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ სასამართლო ბრძანება გაამართლა მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის, აგრეთვე სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნების მართლზომიერი მიზნებით. 1959-1962 წწ-ში ტკივილგამაყუჩებელი „თალიდომიდის“ გამოყენების გამო ბევრი ბავშვი სერიოზული დეფექტით დაიბადა. წამალი დაამზადა და გაყიდა კომპანია „დისტილერსმა“. მშობლებმა ზიანის ასანაზღაურებლად კომპანიის წინააღმდეგ შეიტანეს სარჩელი. მხარეთა შორის მოლაპარაკება რამდენიმე წელი გაგრძელდა. ყველა გაზეთმა, „სანდი ტაიმსის“ ჩათვლით, ეს საკითხი თავის ფურცლებზე გააშუქა. 1971 წელს მხარეებმა წამოიწყეს მოლაპარაკება თანდაყოლილი დეფექტების მქონე ბავშვებისათვის საქველმოქმედო ფონდის დასაარსებლად. 1972 წელს „სანდი ტაიმსმა“ დაბეჭდა სტატია სათაურით „ჩვენი თალიდომიდიზირებული შვილები — ეროვნული სირცხვილის მიზეზი“. სტატიაში კომპანია გაკრიტიკებული იყო, ერთი მხრივ, მედიკამენტის მსხვერპლთათვის გადასახდელი თანხის შემცირებისათვის და, მეორე მხრივ, საქველმოქმედო ფონდში მის მიერ გადასარიცხად განსაზღვრული თანხის სიმცირის გამო. „სანდი ტაიმსმა“ განაცხადა, რომ ის მომავალშიც გააგრძელებდა ტრაგედიის გამომწვევ გარემოებათა აღწერას.

კომპანიის სურვილის თანახმად, გენერალურმა პროკურორმა სასამართლოს მიმართა გაზეთის აკრძალვის ბრძანების გამოცემის მოთხოვნით, რომელშიც მიუთითა, რომ ეს სტატია სასამართლოსადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას ავლენდა, რამეთუ სასამართლო განხილვა ამ საკითხზე ჯერ დასრულებული არ იყო. გენერალურმა პროკურატურამ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიმართა ასეთი პუბლიკაციების აკრძალვის მოთხოვნით. 1972 წლის ნოემბერში სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და გასცა ბრძანება სტატიის აკრძალვის თაობაზე. სადავო სტატია შეიცავდა ინფორმაციას წამლის წარმოების, ტესტირებისა და გასაღების შესახებ. სტატიის შესაბამისად, კომპანიამ მედიკამენტი დაამზადა და გაყიდა ზოგიერთი ექსპერტის გაფროთხილების მიუხედავად.

გაზეთმა საჩივრით მიმართა სტრასბურგის სასამართლოს და განაცხადა, რომ სტატიის გამოქვეყნების აკრძალვით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება... მთავრობამ აკრძალვა გაამართლა „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის“ დაცვის აუცილებლობით, რამეთუ „თალიდომიდის საქმე“ იმუამად სასამართლოში იხილებოდა. სასამართლომ ეს მიზეზი კანონიერად მიიჩნია და ამის შემდეგ იმის გარკვევას შეუდგა, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. სასამართლომ აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს“ და იგი მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღელვებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია.

„ეს პრინციპები მართლმსაჯულების აღსრულებისასაც გამოიყენება, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და ინფორმირებული საზოგადოების მხრიდან თანამშრომლობას საჭიროებს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასამართლოები ვაკუუმში ვერ იმოქმედებენ. მართალია, სასამართლო დავის გადანყეტის ადგილია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ დავის განხილვა სხვაგან არ შეიძლება, თუნდაც პრესაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ უნდა გადალახონ ის ზღვარი, რაც დადგენილია სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, მაგრამ, ამავე დროს, მათ ევალებათ გაავრცელონ ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის შესახებ ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებთან დაკავშირებით.“

საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ შენიშნა: „ექვს არ ინვესს ის გარემოება, რომ „თალიდომიდთან“ დაკავშირებულმა კატასტროფამ საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. აგებს თუ არა მედიკამენტის მწარმოებელი ძლიერი კომპანია მორალურად თუ იურიდიულად პასუხს იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც საშინელი ტრაგედია განიცადეს? მოცემულ საქმეში ტრაგედიის მრავალრიცხოვან მსხვერპლთ გააჩნდათ სასიცოცხლო ინტერესი, გაცნობოდნენ საქმის ყველა გარემოებასა და პრობლემას და მიეღოთ ინფორმაცია ამ პრობლემების შესაძლო გადანყეტის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გარანტირებულია არა მარტო პრესის მოვალეობა — მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, არამედ საზოგადოების უფლებაც — იყოს სათანადოდ ინფორმირებული

ინტერესთა განონანსორებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ გაზეთის წინააღმდეგ ბრიტანეთის სასამართლოების მიერ მიღებული ბრძანება არ იყო გამონკვეული „გადაუდებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილებით“, რომელიც გადანონიდა კონვენციით დაცული გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე საზოგადოებრივ დაინტერესებას. ეს შეზღუდვა დასახული მიზნის პროპორციული არაა და აუცილებელი არ არის „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „სასამართლოს ავტორიტეტის“ დასაცავად.

86. ახლახან განხილულ „*De Haes and Gijssels v Belgium*“ (1997 წ.) საქმეში შეფასდა პრესის თავისუფლებისა და სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვის საკითხი. ჟურნალისტებმა გაზეთის ფურცლებზე მიმოიხილეს სასამართლოში მიმდინარე საქმე. ამ საქმეს სულ ხუთი სტატია მიეძღვნა, რომლებშიც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები ძალზე მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებულნი. საქმე ეხებოდა განქორწინებას, რომელშიც სააპელაციო სასამართლომ ბავშვებზე მეურვეობა დააკისრა მამას, ნოტარიუსს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეჭვიმტანილი იყო ინცესტში და ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის სხვა ფაქტებში. ამ ბრალდებების გამო ნოტარიუსის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები შეწყდა და, შესაბამისად, მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა და პროკურორმა მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლებრივი წესით. სამოქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ორმა ჟურნალისტმა ეჭვის ქვეშ დააყენა მოსამართლეთა მიუკერძოებლობა, რადგან მათ, ნოტარიუსთან ახლო პოლიტიკური კავშირის გამო, საქმის მის სასარგებლოდ გადანყვეტა დასწამეს. ჟურნალისტებს დაეველათ ზიანის ანაზღაურება (სიმბოლური თანხით) და სასამართლო გადანყვეტილების საკუთარი ხარჯებით დაბეჭდვა ექვს გაზეთში. ჟურნალისტებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს და განაცხადეს, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეები საზოგადოებრივი ნდობით უნდა სარგებლობდნენ და, მამასადამე, ისინი დაცულნი უნდა იყვნენ უსაფუძვლო ბრალდებებისაგან. მით უფრო, რომ მოსამართლეებს არ შეუძლიათ საჯაროდ უპასუხონ მათ წინააღ-

მდეგ გამოთქმულ ბრალდებებს, მაშინ როცა, მაგალითად, პოლიტიკოსებს ამის გაკეთება ხელენიფებათ. სასამართლომ შეინაწავლა სადავო სტატიები და აღნიშნა, რომ მათში პრობლემა საკმაოდ დეტალურად იყო აღწერილი, იგი შეიცავდა ექსპერტების მოსაზრებებს. ეს კი იმას ადასტურებდა, რომ ჟურნალისტებმა სერიოზული გამოძიება ჩაატარეს, ვიდრე ამ საკითხს საჯაროდ გამოიტანდნენ. ეს სტატიები სასამართლოს მიერ ინცესტის საქმის გადაწყვეტის შესახებ საზოგადოებაში გამართული საჯარო დებატების მხოლოდ ნაწილი იყო. გაითვალისწინა რა საზოგადოების უფლება, იყოს ინფორმირებული საჯარო ინტერესების შემცველი მოვლენების შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბელგიის სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და, მაშასადამე, არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს. სასამართლოს მიერ მიღებული მეორე მნიშვნელოვანი განცხადება ეხებოდა ნოტარიუსის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს საჯარო განხილვის საგანი. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ფაქტი არ აბრკოლებს ჟურნალისტს, გამოიკვლიოს და გააკრიტიკოს ეს ფაქტი ან ეს გადაწყვეტილება.

87. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანია და იგი საჯარო დისკუსიის საგანი უნდა იყოს. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლა გადადიან დამოუკიდებელი და ეფექტური მართლმსაჯულების სისტემაზე. სწორედ ამიტომაც, წევრი სახელმწიფოს სასამართლომ უნდა გაანონასწოროს კონკრეტული მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესი და პრესის თავისუფლება. რასაკვირველია, როდესაც კრიტიკა მიმართულია სამართალწარმოების მონაწილეთა შეურაცხყოფისა და ცილისწამებისაკენ და მიზნად არ ისახავს მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე მიმდინარე საჯარო დისკუსიისათვის ხელშეწყობას, მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვას შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში. მეორე მხრივ, როგორც სასამართლომ აღნიშნა, სასამართლოები არ მოქმედებენ ვაკუუმში და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ საჯარო დისკუსია, ისევე როგორც მართლმსაჯულების საბოლოო შედეგის კრიტიკა, არ უნდა იქნეს აკრძალული. სასამართლოს საბოლოო გადან-

ყვეტილება, თავისთავად, არ უნდა შეიცავდეს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მედია ტყუის, როდესაც ის ავრცელებს სასამართლოს გადაწყვეტილებებთან შეუსაბამო ინფორმაციას.

## ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა

მზ./ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის დაცვა გამომხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია. ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება დაუპირისპირდეს კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ სხვა კანონიერ მიზნებს. გუდვინის სასამართლო გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რათა მოვახდინოთ განონასწორება, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებსა და სხვათა უფლებებს და, მეორე მხრივ, ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესებს შორის, რამ საქმეში ჟურნალისტმა გუდვინმა „Tetra Ltd“-ს შესახებ ინფორმაცია წყაროსაგან ტელეფონით მიიღო. წყარო ამტკიცებდა, რომ სერიოზული ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად კომპანია დიდი კრედიტის აღებას აპირებდა. ინფორმაციის გაცემისთვის წყაროს ფული არ აუღია. სტატიის მომზადებისას ჟურნალისტმა კომპანიის ოფიციალურ წარმომადგენელს ამის თაობაზე კომენტარის გაკეთება სთხოვა. ამასობაში კომპანიამ აღმოაჩინა, რომ აღნიშნული საკითხის თაობაზე ინფორმაციის შემცველი „მკაცრად კონფიდენციალური“ გრიფის მქონე დოკუმენტი სადღაც გაქრა. კომპანიამ სასამართლოს მიმართა ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვის მოთხოვნით, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

ამის შემდეგ კომპანიამ სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ ჟურნალისტს გაემხილა წყაროს ვინაობა. მოთხოვნა არგუმენტირებული იყო იმით, რომ კომპანიას ეს დაეხმარებოდა არაკეთილსინდისიერი თანამშრომლის გამოვლენასა და მის წინააღმდეგ საქმის აღძვრაში. ჟურნალისტმა წყაროს გამჟღავნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. შესაბამისად, სასამართლომ იგი დააჯარიმა „მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლისათვის“.

ჟურნალისტმა მიიჩნია, რომ წყაროს გამხელის შესახებ სასამართლოს ბრძანებამ და ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული ჯარიმამ მისი გამომხატვის თავისუფლება შელახა. სტრასბურგის

სასამართლომ გაითვალისწინა რა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის, დაადგინა, რომ „ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა პრესის თავისუფლების უმთავრესი პირობაა, როგორც ეს მთელი რიგი ნევრი ქვეყნების კანონებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით არის გათვალისწინებული. წყაროს კონფიდენციალურობის გარანტიის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება პრესას საზოგადოების ინფორმირებაში, ჟურნალისტებთან თანამშრომლობაზე და მათთვის ინფორმაციის გადაცემაზე უარს იტყვის. შედეგად კი პრესა ვერ შეძლებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლის შესრულებას და საზოგადოებისათვის ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას. სასამართლო მხედველობაში იღებს რა დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისათვის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის უზარმაზარ მნიშვნელობას, მიიჩნევს, რომ ჩარევის გამოყენებული ზომა არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს. დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისათვის ჟურნალისტური წყაროების მნიშვნელობისა და წყაროს გამჟღავნების შესახებ ბრძანების შესაძლო გამყინავი ეფექტის შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლომ განაცხადა, რომ ამგვარი ზომა შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლთან, სანამ ის არ იქნება გამართლებული „აღმატებული საზოგადოებრივი ინტერესით“.

89. გუდვინის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, 2000 წლის 8 მარტს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია „WoR“ (2000)7, რომელიც ეხება ჟურნალისტის უფლებას, არ გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო.

90. გუდვინის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და 2000 წლის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ეროვნული სამართლებრივი სისტემები ადგილობრივ სამართალში უნდა შეიცავდნენ დებულებებს ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. განსაიდუმლოება დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას ითხოვს „გადაუდებელი საზოგადოებრივი მოთხოვნა“ ან სასიცოცხლო ინტერესები. თუმცა ამგვარი მოთხოვნები და ინტერესები უნდა შეეფარდოს ჟურნალისტური წყაროების, როგორც გამოხატვის თავისუფლების ნაწილის, დაცვას. როგორც რეკომენდაცია ადგენს, ჟურნალისტები უნდა იყვნენ ინფორმირებული მათი ამ უფლების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წყაროს გამჟღავნების მოთხოვნა. სასამართლო

ჩხრეკა და ზედამხედველობა არ დაიშვება, თუკი ის მიზნად ისახავს უურნალისტური წყაროების განსაიდუმლოებას.

91. იმ ქვეყნებში, სადაც არ არის დანესებული უურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის დაცვა, სასამართლოები ვალდებულნი არიან, ამგვარი დაცვა განახორციელონ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად; მაგალითად, გუდვინის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახულია საერთაშორისო მნიშვნელობის სამართლებრივი პრინციპები. ეროვნული სასამართლოები უნდა წარმოადგენდნენ გამოხატვის თავისუფლების გარანტს, რაც მოიცავს უურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის დაცვასაც ყველა ინსტანციაში, მათ შორის იქაც, სადაც უურნალისტები წარმოადგენენ მოპასუხეებს ან მოწმეებს. ამ დროს წვერი სახელმწიფოს სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ პროპორციულობის პრინციპით და კარგად უნდა გააცნობიერონ პრესის ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში.



# პარი მესამე

გამოხატვის თავისუფლების  
კანონიერი შეზღუდვის  
საფუძვლები  
და სასამართლო პრაქტიკა

ნინამდებარე კარში ჩვენ  
დეტალურად განვიხილავთ  
ადამიანის უფლებათა  
ევროპული კონვენციის მე-10  
მუხლის მე-2 პუნქტით  
გათვალისწინებული  
გამოხატვის თავისუფლების  
შესაძლო შეზღუდვების  
სახეებს. აქვე მიმოვიხილავთ  
ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
მიერ გამოტანილ  
მნიშვნელოვან  
გადაწყვეტილებებს.



# თავი 1

## ცილისწამება<sup>1</sup>

### 5.2. ვინ შეიძლება იჩივლოს

საჩივარი შეიძლება შეიტანონ როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ინტერეს-ჯგუფებმა. ცილისწამების გამო აღძრული ბევრ საქმეზე სარჩელი უურნალისტებმა შეიტანეს. საჩივრის შეტანა შეუძლიათ აგრეთვე იმ გამომცემლებს, მესაკუთრეებს, მედია-ორგანიზაციებსა და დისტრიბუტორებს, რომელთა უფლებები შეილახა ცილისწამების საქმის წარმოების გამო. საჩივარი შეიძლება წარადგინოს მხოლოდ იმ პირმა, რომელიც „მსხვერპლად“ განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად. სარჩელი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს აბსტრაქტულად ან მსხვერპლის ნაცვლად. აუცილებელი არაა, რომ მოსარჩელე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის მოქალაქე იყოს. ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის მიღმა დაფუძნებულ გამომცემლებს უფლება აქვთ, საჩივარი წარადგინონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრ სახელმწიფოებში მათი პუბლიკაციების მიმართ გამოყენებული შეზღუდვების გამო.

### 5.3. „საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე“

ცილისწამების საქმეებზე წინასწარი ცენზურა საკმაოდ იშვიათია როგორც პრაქტიკული, ასევე იურიდიული მოსაზრებების გამო. კონ-

---

1 Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, *Media Law and Human Rights*, Blackstone Press, 2001 (თავი V, იბეჭდება შემოკლებით, დაცულია ქვეთავების ნუმერაცია).

ვენციის მე-10 მუხლი ვრცელდება ისეთი ტიპის ცენზურაზე, როგორიცაა გამოქვეყნებამდე დაწესებული დროებითი სასამართლო აკრძალვა. თითოეულ ასეთ წინასწარ ჩარევას ინფორმაციის გავრცელებაში სასამართლო ყურადღებით ეკიდება, რადგან იგი გულისხმობს ინფორმაციისა და იდეების გავრცელების შეზღუდვას ან აკრძალვას. (*Observer and Guardian v UK* (1991) 14 EHRR 153, პარაგრ. 60) ინფორმაციის გავრცელების გამო სისხლის სამართლის სასჯელი, ზიანის ანაზღაურების დაკისრება, სასამართლო აკრძალვა — ასევე ითვლება „ჩარევად“ და არღვევს მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს, თუკი არ აკმაყოფილებს მე-10 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

„*Times Newspaper LTD v UK*“ (app. #31811/96 [1997] EHLR 430) საქმე ცილისწამების მოტივით არამართლზომიერი ჩარევის საუკეთესო მაგალითია. „*Sunday Times*“-მა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნოველის ავტორს დასწამა პლაგიატორობა და გამოაქვეყნა მისი ფოტოსურათი. აღმოჩნდა, რომ ფოტოზე გამოსახული იყო იგივე სახელისა და გვარის მქონე სრულიად სხვა პიროვნება. გაზეთმა ბოდიში მოიხადა ამის გამო, თუმცა სასამართლოში მის მიმართ სარჩელი იქნა წარდგენილი. „სანდი ტაიმსმა“ ეს საქმე წააგო.

### 5.3.1. სისხლის სამართლებრივი ცილისწამება

მთელ რიგ საქმეებზე ეროვნულმა სასამართლოებმა სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნეს და დასაჯეს ჟურნალისტები ცილისწამებისათვის, მაგრამ საქმეში „*Lingens v Austria* (1986) 8 EHRR 407“ ევროსამართლომ არგუმენტად არ მიიჩნია მტკიცება იმის თაობაზე, რომ ასეთი სანქციები არ შეუძლის ხელს ჟურნალისტებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში, იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელი წარმოადგენს... თავისებურ ცენზურას. „პოლიტიკური დისკუსიის კონტექსტში ამგვარი განაჩენის არსებობა ბევრ ჟურნალისტს გაუნელებს სურვილს, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა საჯარო განხილვაში. ამ განაჩენით დაწესებულ სანქციას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას მასზე დაკისრებული ამოცანის (ინფორმაციის გავრცელება) განხორციელებასა და საზოგადოების „დარაჯის“ ფუნქციის შესრულებაში“ (იხ.: პარაგრაფი 44).

### 5.3.2. სასამართლო გადაწყვეტილება უარყოფის გამოქვეყნების შესახებ

საქმეში „Ediciones Timpo SA v Spain“ (App #13010187 (1989) 62 Dr 247, at 253 ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი წარადგინა ჟურნალმა, რომელმაც დაბეჭდა სტატია, სადაც საჯარო კომპანიაში არსებულ ცუდ მენეჯმენტს აკრიტიკებდა. ესპანურმა სასამართლომ, არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ჟურნალს დაავალა ამ საჯარო კომპანიის იმ მენეჯერის საპასუხო სტატიის გამოქვეყნება, რომელიც ჟურნალის თავდასხმის ერთ-ერთი ობიექტი იყო. კომისიამ დაადგინა, რომ სასამართლო ბრძანება ჟურნალის გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული იყო და „ჩარევას“ წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი ფაქტობრივ გარემოებათა გამო საჩივარი დასაშვებად არ მიიჩნია.

### 5.3.3. ზიანის ანაზღაურება და საბოლოო აკრძალვა

საქმეში „Tolstoy Miloslavsky v UK“ (1995) 20 EHRR 442 აღინიშნა ზიანის ანაზღაურების რეკორდული თანხა — 1,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი. საოლქო სასამართლომ საჩივრის წარმდგენს სწორედ ამ ოდენობის თანხის გადახდა დაავალა ლორდ ალდინგტონის სასარგებლოდ. ეს თანხა სამჯერ აღემატებოდა სამოქალაქო ცილისწამების საქმეზე ზიანის ასანაზღაურებლად ვინმესთვის ოდესმე დაკისრებულ ოდენობას. ინგლისის საოლქო სასამართლომ ასევე მიიღო სასამართლო ბრძანება, რომლის მიხედვითაც საჩივრის წარმდგენს ცილისწამებლური განცხადებების შემდგომი დაბეჭდვა აუკრძალა.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის წარმდგენმა გამოაქვეყნა პამფლეტი, სადაც ლორდ ალდინგტონს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში არმიის ოფიცრად მსახურობდა, ბრალად დასდო საომარი მოქმედების დროს დანაშაულის ჩადენა. პამფლეტის ავტორი მიუთითებდა, რომ ლორდმა ალდინგტონმა კაზაკები საბჭოთა ხელისუფლებას გადასცა. კაზაკთა დიდი ნაწილი შემდგომში გაანადგურეს ან ბანაკებში გაამწყვდეს. პამფლეტი გავრცელდა ვინჩესტერის კოლეჯში, სადაც ლორდ ალდინგტონს დირექტორის თანამდებობა ეკავა.

საჩივრის წარმდგენმა აღნიშნა, რომ საერთო სამართალი არ ითვა-

ლისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების ქვედა და ზედა ზღვარს და რომ გამოტანილი გადაწყვეტილება არ იყო მიზნის პროპორციული. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობისა და საერთო სამართლის ხარვეზის გამო მას არ შეეძლო გონივრულ ფარგლებში წინასწარ განეჭვრიტა შესაძლო შედეგი. ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ სასამართლოს კონვენცია არ დაურღვევია „გათვალისწინებულია კანონით“ კონტექსტში. სამოქალაქო ცილისწამების საქმეებზე ზიანის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება ძალზე განსხვავებული იყოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა „გათვალისწინებული იყო კანონით“.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა, რამეთუ პროპორციულობის პრინციპი გაუთვალისწინებელი დარჩა. იმ თანხის ოდენობა, რომელიც ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა საჩივრის წარმდგენს, საკმაოდ საკამათოა. რაც შეეხება სასამართლო ბრძანებას აკრძალვის თობაზე, იგი შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს, რამეთუ ძირითადი გადაწყვეტილების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

#### 5.4. კანონიერი მიზანი

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ცილისწამების თაობაზე განხილული საქმეების უმეტესობაში წვერი ქვეყნები ამტკიცებდნენ, რომ გამოხატვის თავისუფლება მათ შეზღუდეს კანონიერი მიზნით, რადგან იცავდნენ სხვათა რეპუტაციას. პრინციპში, „სხვათა“ რეპუტაციის დაცვა მართლაც კანონიერი მიზანია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცილისმწამებლურ მასალაში კონკრეტული პირები არ არიან მოხსენიებულნი. საქმეში „Thorgeirson v Iceland“ (1992) 14 EHRr 843, 59-ე პარაგრაფი, მოსარჩელემ საგაზეთო სტატიამი რეიკიავიკის პოლიცია მოიხსენია როგორც „უნიფორმიანი ნადირები“ და „მხეცი პოლიციელები“, თუმცა სასამართლომ (სხვა საფუძვლით) მიიჩნია, რომ თორგეირსონის მიმართ გამოტანილი განაჩენით კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა, მაინც ჩათვალა, რომ სტატიით „სხვათა რეპუტაცია“ შეილახა და ჩარევა რეპუტაციის დაცვის სურვილით იყო განპირობებული.

### 5.4.1. კერძო პირების რეპუტაციის დაცვა

საქმეში „Bladet Tromsø and Stensaas v Norway“ (1999) 29 EHRR 125, მოსარჩელის გაზეთმა დაადანაშაულა სელაპზე მონადირეები ცხოველების მიმართ სასტიკო მოპყრობასა და სელაპზე ნადირობის წესების დარღვევაში. ზოგიერთმა მონადირემ იჩივლა, რის შედეგად ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით მათი სარჩელი დაკმაყოფილდა და ზიანი ანაზღაურდა. გაზეთმა იჩივლა ევროსასამართლოში, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა იყო გამართლებული, რადგან არსებობდა მონადირეების რეპუტაციის დაცვის კანონიერი მიზანი თუმცაღა ევროპულ სასამართლოში სარჩელის წარმდგენის უფლება მაინც იყო დარღვეული.

### 5.4.2. პოლიტიკოსები

პოლიტიკოსებისა და კერძო პირების რეპუტაციათა თაობაზე კანონის პოზიცია განსხვავებულია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალ საქმეში განასხვავა ერთმანეთისაგან კერძო და საჯარო პირთა რეპუტაციათა თაობაზე თავისი დამოკიდებულება და დაადგინა, რომ დაცვა, რომელიც შეიძლება გავრცელდეს პოლიტიკოსებზე, გაცილებით შეზღუდულია. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საჯარო ინტერესის შემცველი მოვლენების გაშუქების დროს პრესა მოქმედებს „საზოგადოების დარაჯის“ პოზიციიდან. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია საქმე „Lingens v Austria“ (1986) 8 EHRR 407. მოსარჩელემ გამოაქვეყნა ორი სტატია, სადაც ბრალი დასდო ავსტრიის კანცლერ ბრუნო კრაისკის პოლიტიკური მიზნების გამო ყოფილი ნაცისტი ოფიცრების დახმარებასა და დაცვაში. კრაისკიმ უჩივლა ლინგენსს სისხლის სამართლებრივი ცილისწამების გამო, რის შედეგადაც ლინგენსი ავსტრიულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და ჯარიმის გადახდა დააკისრა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკოსის რეპუტაციის დაცვა კანონიერი მიზანი იყო, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ პოლიტიკოსის მიმართ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ. სასამართლომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება შემდეგზე:

„კერძო პირებისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსმა უფრო მეტად უნდა მოითმინოს ის ყურადღება, რასაც მისი სიტყვა თუ საქმიანობა

ინვესსიის უზრუნველყოფის საზოგადოებაში. მას უფრო მეტი შემწყნარებლობა მოეთხოვება. საკამათო არ არის, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ყველას რეპუტაციას იცავს, ანუ იგი პოლიტიკოსებზეც (მაშინაც კი, როდესაც ისინი საჯარო ურთიერთობებში მონაწილეობენ) ვრცელდება, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც რომ, მეორე მხრივ, არსებობს პოლიტიკურ საკითხებზე ღია დისკუსიისადმი საზოგადოებრივი ინტერესი. ”

მეტად მნიშვნელოვანია ასევე საქმე „Oberschlick v Austria“ (#2) (1997) 25 EHRR 357. მოსარჩელემ დაბეჭდა სტატია, რომელიც ეხებოდა ავსტრიის ლიბერალური პარტიის ლიდერის, იორგ ჰაიდერის, გამოსვლას. სტატიის სათაური იყო „P.S.: „იდიოტი“ „ნაცისტის“ ნაცვლად“. გამოსვლამ შეაძრწუნა ავსტრიის ის ჯარისკაცები, რომლებიც იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში როგორც „ეს-ეს“-ის, ისე ვერმახტის შემადგენლობაში. ობერშლიკს ჰაიდერის კერძო ბრალდების საფუძველზე გამოუტანეს განაჩენი ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული „შეურაცხყოფის“ მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიტიკოსის „იდიოტად“ მიჩნევა არ სცილდება საჯარო ინტერესის გამომწვევი მოვლენის შესახებ გამართული დისკუსიისა და დემოკრატიის პირობებში დასაშვები კრიტიკის ზღვარს.

#### 5.4.3. მოსამართლეები და სხვა საჯარო მოხელეები

მოსამართლეებს, ისევე როგორც პოლიტიკოსებს, აქვთ უფლება, დაიცვან თავიანთი რეპუტაცია.

„Barfod v Denmark (1989) 13 EHRR 483“ საქმეზე საჩივრის წარმდგენმა მიკერძოებაში დაადანაშაულა გრენლანდიის ადგილობრივი სასამართლოს ორი მსაჯული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა გამართლებული იყო, რადგან არსებობდა კანონიერი მიზანი — დაეცვათ მოსამართლეთა რეპუტაცია. ამავე დროს, მოსამართლეები უფრო მეტად არიან დაცულნი, ვიდრე პოლიტიკოსები. საქმეში „Prager and Oberschlick v Austria“ (1995, U EHRR პარაგრაფი 34) უზრუნველყოფა სასამართლო ხელისუფლებას და ზოგიერთ მოსამართლეს ძალზე მკვეთრი ფრაზებით იხსენიებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ... ისინი დაცული უნდა ყოფილიყვნენ უსაფუძვლო დესტრუქციული თავდასხმებისაგან. მით უფრო, რომ მოსამართლეები გარკვეულად შეზღუ-



დულები არიან პოლემიკაში ჩაბმისა და პასუხის გაცემის თვალსაზრისით. ამავე პრინციპით გაიჩნა საქმე „De Haes and Gijssels v Belgium” (1997) 25 EHRR 1, პარაგრაფი 37. საქმეში „Janowski v Poland” (1999) 29 EHRR 705, სასამართლომ დაადგინა: „თუ სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირები კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, მათ მიმართ უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი ნდობა. ისინი არ უნდა იქცნენ დაუსაბუთებელი კრიტიკის ობიექტებად, რადგან მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის ზღვრის” პოლიტიკოსებისაგან განსხვავებული სტანდარტებია დადგენილი. თუმცა აღნიშნული საქმე საკმაოდ უჩვეულო გახლდათ. მოსარჩელეს შეეფარდა სასჯელი ადგილობრივი პოლიციის ორი წარმომადგენლის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მაშინ, როდესაც მათ ქალაქის სკვერიდან არალიცენზირებული მოვაჭრეების გასაყვანად ფიზიკური იძულების გამოყენება მოუხდათ. მოსარჩელე თუმცა უურნალისტი იყო, მაგრამ ამჯერად მოქმედებდა როგორც კერძო პირი. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობდა საჯარო პირების რეპუტაციის დაცვასა და პრესის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობა. თუმცა შედარებით გვიანდელ საქმეში „Dalban v Romania” (2000) 8 BHRC 91 უურნალისტს სასჯელი შეეფარდა სისხლის სამართლებრივი ცილისწამებისათვის. უურნალისტმა ბრალი დასდო სახელმწიფო აგარარული კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს თაღლითობაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

#### **5.4.4. სხვა კანონიერი მიზნები:**

#### **საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილება**

საქმეში „Castells v Spain” (1992) 14 EHRR 445 სარჩელის წარმდგენი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიიდან არჩეული სენატორი იყო, რომელიც მხარს უჭერდა ბასკეთის დამოუკიდებლობას. 1979 წელს მან გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღნიშნა, რომ სეპარატისტების მიერ ორგანიზებული მკვლელობების უკან მთავრობა იდგა. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მას გამოუტანეს განაჩენი მთავრობის შეურაცხყოფის ბრალდებით, რომლის გამოც მას სადეპუტატო იმუნიტეტი მოეხსნა. ამ საქმეში მთავრობის ძირითადი არგუმენტი იყო ის გარემოება, რომ სტატია კონსტიტუციის მიღებიდან რამდენიმე წნის შემდეგ გამოქვეყნდა,

სწორედ იმ დროს, როდესაც „განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური ჯგუფები ძალადობას მიმართავდნენ“. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იმგვარ არასტაბილურ სიტუაციაში, როგორც ესპანეთში სუფევდა 1979 წელს, სისხლის სამართლის აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავდა „არეულობის თავიდან აცილებას“, რაც, თავისთავად, კანონიერი მიზანია. თუმცა საეჭვოა, რომ სხვა შემთხვევაშიც მიიჩნიოს სასამართლომ მთავრობის ამგვარი განცხადება დამაჯერებელ არგუმენტად, თუკი არ დადასტურდება ქვეყანაში მსგავსი ექსტრემალური მდგომარეობა პოლიტიკური სიმძაფრის თვალსაზრისით.

### 5.5. აკრძალვები, რომლებიც აუცილებელია „დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცილისწამების კონტექსტში დაადგინა:

თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოების საპასუხო რეაქცია იმგვარი განცხადებების მიმართ, რომლებიც არ არის დაცული მე-10 მუხლით, სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლოა განსხვავებული იყოს. შესაბამისად, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს ამ საკითხის შეფასებისას ფართო დისკრეციული უფლებამოსილებები გააჩნიათ. ეს მოიცავს ასევე „პასუხის გამოქვეყნების უფლების“ გამოყენებასაც.

საქმეზე „*Ediciones Tiempo SA v Spain*“ კომისიამ აღნიშნა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში პასუხის გამოქვეყნების უფლება საინფორმაციო პლურალიზმის გარანტიაა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული“. სარჩელის წარმდგენმა გაასაჩივრა სასამართლოს ბრძანება, რომლის მიხედვითაც მას დაევალა გამოქვეყნებინა იმ ბიზნესმენის პასუხი, რომელსაც ჟურნალმა კომპანიის ცუდი მენეჯერობა დასწამა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებული ზომა (პასუხის გამოქვეყნება) მიზნის პროპორციული იყო. მით უმეტეს, რომ სასამართლოს ჟურნალისაგან გავრცელებული ცნობების უარყოფა არ მოუთხოვია. სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა:

„კანონმდებლობაში პასუხის გამოქვეყნების მოთხოვნის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ გარანტირებულ იქნეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მიღების საჯარო ინტერესი და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.“

კონვენციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი, საზოგადოების პროგრესისა და მისი თითოეული წევრის თვითრეალიზაციის მთავარი პირობაა. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღელვებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოების“ არსებობა წარმოუდგენელია.

### 5.5.1. პრესის როგორც „საზოგადოების დარაჯის“ განსაკუთრებული სტატუსი

სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, პრესას განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ პრესას არა მარტო აქვს ნება, არამედ ევალება კიდევ; საზოგადოებას მისთვის საინტერესო თემებზე მიანოდოს ინფორმაცია, რაც თავისთავად გულისხმობს ფაქტების ინტერპრეტირების უფლებასაც („Sunday Times v United Kingdom” (1979) 2 EHRR 245 პარაგრაფი 65 და „Lingens v Austria”, პარაგრაფი 41). „პრესის როგორც „საზოგადოებრივი დარაჯის როლი მნიშვნელოვანია... დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ („Dehaes and Gijssels v Belgium” (1997) 25 EHf 1, პარაგრაფი 37). მართლაც, უზრუნველყოფის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის გაზვიადების გარკვეულ ხარისხს, ან თუნდაც პროვოკაციასაც („De Haes Gijssels v Belgium”, პარაგრაფი 46 და ახალი საქმე „Dalban v Romania” (2000) 8 BHRC 91, პარაგრაფი 46 და „Loses homes Pa Siha v Portugal” (App. #37698197, 28 სექტემბერი 2000).

### 5.5.2. გამოხატვის ფორმა

დადგენილია, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მარტო იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათ ფორმასაც (მაგ.: „Iersild v Denmark” (1994) 19 EHf 1, პარაგრაფი 31 და „DeHaes and Gijssels v Belgium”,

პარაგრაფი 48). ამიტომაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ჟურნალისტებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, მიმართონ ინფორმაციისა და იდეების გადამუშავებისა და მიწოდების მათთვის სასურველ ფორმას. მართლაც, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ინტერვიუებზე დაფუძნებული ახალი ამბების გავრცელება ძალზე ღირებულია და ამიტომაც მას სპეციალური დაცვა სჭირდება (იხ.: „Iersila v Denmark“, პარაგრაფი 35, რომელიც დანვრილებით იქნება განხილული მე-7 თავში; იხ.: ასევე „Bergers Tidende v Norway“).

სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფაქტები და შეფასებითი მსჯელობა ერთმანეთისაგან ნათლად უნდა განვასხვაოთ. ამის აუცილებლობა კი იმითაა განპირობებული, რომ „ფაქტის არსებობის ან არარსებობის დამტკიცება შესაძლებელია, შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა კი პრაქტიკულად წარმოუდგენელია“. ჟურნალისტებს ამის გამო ხშირად ექმნებათ პრობლემები. ხანდახან შეუძლებელიც კია, თავი დაიცვან, როდესაც მათ შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობის დასაბუთებას სთხოვენ. დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება „კეთილსინდისიერი“ შეფასებითი მსჯელობისათვის.

ამ პრინციპით განიხილეს საქმე „Schwabe v Austria“, 26 აგვისტო, 1992, სერია A, #242-B. საჩივრის წარმდგენმა გაავრცელა პრეს-რელიზი, სადაც ერთმანეთს შეადარა 1966 წელს მომხდარი საგზაო შემთხვევა, რომელიც პოლიტიკოს ფრიუბრაუერის ბრალი იყო და გაცილებით გვიანდელი, უფრო სერიოზული ავარია, როდესაც ნასვამმა ქალაქის მერმა საგზაო შემთხვევის მსხვერპლს არ აღმოუჩინა დახმარება. ფრიუბრაუერს ჩაუტარდა შემონმება. მას სისხლში ალკოჰოლის ისეთი დოზა აღმოაჩნდა, რომელიც აკრძალულთან ძალიან ახლოს იდგა, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი მხოლოდ ტრანსპორტის გაუფრთხილებელი მართვისთვის გაასამართლეს. ფრიუბრაუერმა ბრალი დასდო საჩივრის წარმდგენს სისხლისსამართლებრივ ცილისწამებაში და მოიგო კიდევ საქმე ავსტრიულ სასამართლოში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან საჩივრის წარმდგენი არ გასცილებია გამოხატვის თავისუფლებისათვის დასაშვებ საზღვრებს (პარაგრაფი 34). განცხადება ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული თუ მოსაზრებად, ამის დადგენა სახელმწიფოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება („Prager and Oberschlik v Austria“ (1995) 21 EHRR 1, პარაგრაფი 36). ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევ-

როპულ სასამართლოს შეუძლია თვითონ იმსჯელოს ამა თუ იმ გამო-  
ნათქვამის კლასიფიკაციაზე. მაშინ, როდესაც განცხადება ფაქტად გა-  
ნიხილება, ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს უფლება, ამ განცხადების სი-  
ნამდვილესთან შესაბამისობის დასამტკიცებლად გამოიყენოს საჭირო  
მტკიცებულებები („Castells v Spain” (1992) 14 EHRR 445, პარაგრაფი 48).  
ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათ-  
ვალისწინებული სიკეთის დაცვა იმ პირებმა მოითხოვონ, ვის რეპუტა-  
ციასაც მიაღდა ზიანი ცილისმამბლური შეფასებებით. ამ შემთხვევა-  
შიც აუცილებელია, რომ ნებისმიერ შეფასებით მსჯელობას გააჩნდეს  
რაიმე დადგენილი ან უდავო ფაქტობრივი საფუძველი („Lingens v Aus-  
tria”, პარაგრაფი 46 და „De Haesand Gijssels v Belgium”, პარაგრაფი 47).  
საქმეში „Prager and Oberschlick v Austria” სასამართლომ მიიჩნია, რომ  
ჟურნალისტებმა გადააბიჯეს დასაშვებ ზღვარს, რადგან მათ ბრალდე-  
ბას არ ჰქონდა „საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი” (პარაგრაფი 37).  
ცილისმამებისათვის სისხლის სამართლის წესით დასჯა ამ საქმეში სა-  
სამართლომ არ მიიჩნია მიზნის პროპორციულად. თუმცა ეჭვგარეშეა,  
რომ ჟურნალისტს უფრო ფართო შესაძლებლობა გააჩნია საკუთარი  
მოსაზრებების გამოსახატად.

### **5.5.3. პოლიტიკური დისკუსია და საკითხები, რომელთა მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი**

„პოლიტიკური. დებატების თავისუფლება დემოკრატიული საზოგა-  
დოების უმთავრესი პირობაა, ხოლო კონვენცია მთლიანადაა გამსჭვალ-  
ული დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციით („Lingens v Austria”,  
პარაგრაფი 42). დაძაბული პოლიტიკური კლიმატის პირობებში მედიას  
პოლიტიკოსებზე თავდასხმის გაცილებით ფართო საშუალებები უნდა  
გააჩნდეს. სწორედ ასეთი პოლიტიკური კლიმატის პირობებში გამოქვეყ-  
ნდა სტატიები ლინგენსის საქმეში (იხ.: ზემოთ 5.4.2.). საპარლამენტო არ-  
ჩევნებიდან რამდენიმე დღეში „ებრაულმა დოკუმენტურმა ცენტრმა“ ავ-  
სტრიის ლიბერალური პარტიის პრეზიდენტი ფრიდრიხ პეტერი მოიხსე-  
ნია „ეს-ეს“-ის ყოფილ ოფიცრად. მომდევნო დღეს, ლიბერალურ პარტი-  
ასთან კოალიციის გაფორმებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ავსტრიის  
კანცლერმა ბრუნო კრაისკიმ სატელევიზიო ინტერვიუში ზემოაღნიშნუ-  
ლი ცენტრი „მაფიასთან“ გააიგივა. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვ-

ნული სასამართლოს მხრიდან ჩარევა მიზნის არაპროპორციული იყო. მან განსაკუთრებულ აღნიშვნის ღირსად მიიჩნია შემდეგი გარემოება: „შხედველობიდან არ უნდა გამოგვჩქეს ის პოლიტიკური ვითარება, რომლის გამოც ლინგენსის სტატია გამოქვეყნდა. არჩევნების შემდგომ გაჩაღებულმა „ბრძოლამ“ ნამოატივტივა ბატონ პეტერის წარსული. ამ დავისას თითოეული მხარე იყენებდა ყველა იმ იარაღს, რაც ამ დროისთვის მის განკარგულებაში იმყოფებოდა. მწვავე პოლიტიკური დისკუსიის დროს ამაში უჩვეულო არაფერია“ (პარაგრაფი 43).

საქმეში „Bladet Tromsø and Stensaas v Norway“ (1999) 29 EHRR 125 (იხ. 5.4.1.) საჩივარი წარადგინა ქ.ტრომსოს ადგილობრივმა გაზეთმა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა შემდეგი: „სადავო სტატია არ შეიძლება განვიხილოთ იმ დროისათვის ნორვეგიასა და მის მთავარ სავაჭრო ცენტრში — ტრომსოში — სელაპების ხოცვასთან დაკავშირებით გაჩაღებული დისკუსიებისაგან მოწყვეტილად“ (პარაგრაფი 62).

საქმეში „Nilsson and Johnsen v Norway“ (1990) 30 EHRR 878 საჩივარი წარადგინეს პოლიციის ასოციაციის წარმომადგენლებმა. მათ პრესაში გააკრიტიკეს ავტორი ნიგნისა „პოლიციის სისასტიკე“. სტატიაში მათ განაცხადეს, რომ ნიგნის ავტორი განზრახ ტყუოდა. სტატიაში ასევე გამოთქმული იყო მოსაზრებები ნიგნის გამოცემის მოტივების თაობაზე. ნიგნის ავტორმა აღძრა სარჩელი პატივისა და ღირსების შელახვის გამო, რომელიც ეროვნულმა სასამართლომ დააკმაყოფილა და, ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, დააკისრა მოპასუხეს ქალაქ ტრომსოში გაკეთებული განცხადების უარყოფა. აღსანიშნავია, რომ ნიგნი გამოქვეყნდა პოლიციის სისასტიკის თაობაზე მიმდინარე ცხარე დებატების ფონზე. განსაკუთრებით მწვავე დებატები მიმდინარეობდა ბარგენის პოლიციის მიერ ჩადენილ მკვლელობებზე. საჩივრის ერთ-ერთი წარმდგენი ამ ქალაქში მუშაობდა. დიდმა პალატამ 12 ხმით 5-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ნორვეგიის სასამართლოს გადაწყვეტილება მწერლის რეპუტაციის დაცვის კანონიერი მიზნის არაპროპორციული იყო და, შესაბამისად, დაირღვა საჩივრის წარმდგენთა გამოხატვის თავისუფლების უფლება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არსებობდა კრიტიკისათვის ფაქტობრივი საფუძველი, რაც არსებითად გამოვლინდა კიდევ ცხარე დებატების პროცესში. საჩივრის წარმდგენთ უფლება ჰქონდათ, „იმავე გზით მიეყენებინათ საპასუხო დარტყმა“ (პარაგრაფი 52).

აღამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Bergers Tidende v Norway“ (App No261321) 195, 2 მაისი 2000) ამ პრინციპის რეალიზების მეორე მნიშვნელოვანი მაგალითია. ამ საქმეზე საჩივარი წარადგინეს დიდმა რეგიონულმა გაზეთმა და მისმა ორმა ყურნალისტმა. გაზეთში გამოქვეყნდა სტატიათა სერია მკერდის პლასტიკური ოპერაციით უკმაყოფილო ქალთა პრობლემების თაობაზე. ქირურგმა, რომელმაც გააკეთა პლასტიკური ოპერაციები, სასამართლოში იჩივლა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო. ნორვეგიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მას უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი, რადგან სტატიებმა მასზე როგორც ქირურგზე უარყოფითი „შთაბეჭდილება“ შექმნა. აღამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სტატიები შეეხებოდა „ადგილობრივი და მთელი ქვეყნის მომხმარებელთა უფლებების დაცვას“. მან ასევე დაადგინა, რომ ყურნალისტური რეპორტაჟები დაბალანსებული იყო, არ სცდებოდა დასაშვები კრიტიკის ზღვარს და შეცდომაში არ შეჰყავდა მკითხველი. ინტერვიუები, ფაქტობრივად, კეთილსინდისიერად ასახავდა ნაოპერაციებ ქალთა განცდებს. ამით ევროპის სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ინტერვიუზე დაფუძნებული ახალი ამბავი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციის შესრულების საქმეში პრესას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი...“ სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სტატიების „საერთო პათოსი“ იქით იყო მიმართული, რომ ექიმმა სათანადოდ არ ჩაუტარა პაციენტს აუცილებელი პროცედურები წარუმატებელი ოპერაციის შედეგების აღმოსაფხვრელად. უეჭველია, ასეთი ფაქტები იმოქმედებდა ექიმის რეპუტაციაზე (პარაგრაფი 56 და 57), მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ:

„...ექიმ R-ის კანონიერი ინტერესი, დაიცვას საკუთარი პროფესიული რეპუტაცია, ვერ გადაწონის საზოგადოების ინტერესს, საჭირობოროტო საკითხებზე მიიღოს მიუკერძოებელი ინფორმაცია პრესის თავისუფლების მეშვეობით.“

საჩივრის წარმდგენთა „გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, რომელიც „გამოიხატა დიდი ფულადი ჯარიმის დაკისრებაში, "არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ (პარაგრაფი 60). ნორვეგიის მთავრობას საჩივრის წარმდგენებისათვის ფულადი ანაზღაურების სახით 600 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა დაევალა (პარაგრაფი 62-64).

## თავი 2

### პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალური ინფორმაცია<sup>1</sup>

#### 6.2 კონფიდენციალურობის დარღვევა

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც მომჩივანი მოითხოვს სასამართლო აკრძალვას ან ზარალის ანაზღაურებას მასმედიის მიერ მის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების გამო, ანუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად თავისუფლების შეზღუდვა მართლზომიერი მიზანია. ამ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით იმის დადგენა, რამდენად აუცილებელია მოცემული კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული ჩარევის ესა თუ ის ფორმა „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

ამ საკითხის გადაწყვეტისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იხელმძღვანელებს იმ პრინციპებით, როგორც ეს საერთოდ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებითაა დადგენილი. მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ 1999 წლის საქმე „Fressoz and Boire v France“. ფრანგულ სატირულ ჟურნალში „Le Canard Enchaniné“ გამოქვეყნდა ინფორმაცია კომპანია „პეჟო“-ს ხელმძღვანელის მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ იმ დროს, როდესაც ფირმას უთანხმოება შეექმნა თანამშრომლებთან ხელფასების თაობაზე. გამოქვეყნებული მასალებიდან ნათლად ჩანდა, რომ კომპანიის ხელმძღვანელის შემოსავალმა 45 პროცენტით მოიმატა ბოლო ორი წლის მანძილზე, მაშინ როცა რიგითი მუშების ხელფასი მხოლოდ 6,7

---

<sup>1</sup> Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, *Media Law and Human Rights*, Blackstone Press, 2001 (თავ. VI, იბეჭდება შემოკლებით).



პროცენტით გაიზარდა. საგადასახადო ორგანოში გადახდილი გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების გამოქვეყნებისათვის გაზეთს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად გადასახადის გადამხდელის თაობაზე საგადასახადო ინფორმაციის კონფიდენციალურობისა, საფრანგეთის კანონმდებლობით გადამხდელებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მიიღონ კონსულტაციები სხვა გადამხდელების დასაბეგრ შემოსავლებზე და საგადასახადო ვალდებულებებზე. ასე რომ, მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადების თაობაზე თავისთავად ხელმისაწვდომი იყო ხალხის ფართო მასებისათვის. სტატიაში ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დისკუსიის ინიცირებას. ჟურნალისტები კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ, რადგან საგადასახადო დოკუმენტაციის ამონაწერები გამოიყენეს სტატიაში გაშუქებული ინფორმაციის უტყუარობის დასამტკიცებლად. სასამართლომ ევროკონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით დაადგინა, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით ჟურნალისტების უფლებები უხეშად დაირღვა.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, არსებობს შემთხვევები, როცა მედიას ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება აკრძალა, თუმცა აქვე უნდა განვასხვავოთ ჩარევის შემდეგი სამი სახე:

ა) როდესაც პუბლიკაცია პირდაპირ და უშუალოდ არ ეხება ბავშვის აღზრდასა და მეთვალყურეობას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო რაიმე შეზღუდვას არ აწესებს. მაგ.: „In rex” [1975] Fam 47; „RVcentralIndependent Television pec” [1994] Fam 192).

ბ) როდესაც პუბლიკაცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის აღზრდაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ზოგჯერ მიმართავს ამკრძალავ ღონისძიებებს მასმედიის მიმართ, მაგრამ არ ანიჭებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ბავშვის ინტერესებს, რამეთუ ითვალისწინებს მედიის გამოხატვის თავისუფლებას. (მაგალითად: In Re M and N (Minors) (Ward ship:Publication of Information) [1990] Fam 211 Rewa (minors) (Ward ship;Restrictions on publication) (1992) 1 WLR 100).

გ) თუ ამა თუ იმ ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად კანონი მშობლის (ან სასამართლოს) თანხმობას მოითხოვს, მაშინ ბავშვის ინტერესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (ReZ(AMinor)(Identification and Restriction

on Publication) [1997] Fam 1). ეს პრინციპი გამოიყენეს სატელევიზიო პროგრამის აკრძალვისას, რომელიც შეეხებოდა გამოჩენილი პოლიტიკოსისა და მისი ყოფილი საყვარლის ინვალიდი ბავშვის სარეაბილიტაციო მკურნალობას. ტელევიზიის წარმომადგენლები (და ბავშვის დედა) ამტკიცებდნენ, რომ ამ აკრძალვით დაირღვა ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის მე-10 მუხლი, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ჩარევის გამამართლებელ გარემოებად მიიჩნია ბავშვის ინტერესების დაცვა („Aand Byrne and Twenty-Twenty Television v U.K.” (1997) 25 EHRR 159).

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა თავად კონფიდენციალურობის დარღვევის ცნება. შესაბამისად შეიცვალა ტრადიციული მოთხოვნები მომჩივანსა და იმ პირს შორის, რომელსაც ინფორმაცია ანდეს, სანდო ურთიერთობის არსებობის თაობაზე.

საქმეებში — „Stephens v Avery” [1988] 1CH 449; „Barrymore v News Group Newspaper” LTD [1997] FsR 600) — დადგინდა, რომ საკმარისი „სანდო ურთიერთობა” არსებობს „კარგ მეგობრებს” შორის, რომლებსაც გააჩნიათ ყოველდღიური ურთიერთობა. ასეთი მეგობრები ვალდებული არიან, არ გაამჟღავნონ თავიანთ მეგობართა კონფიდენციალური ინფორმაცია. სხვა სასამართლოების მიერ კი დადგინდა, (XLtd v Morgan Grampian (Publishers) LTD [1991] 1 AC1 (thebt); English and American Insurance co Ltd v Herbet Smith [1998] Fsr 232, Derby and Co. Ltd v Weldon (# 8) [1991] 1WLR 13 and A.G. Guardian Newspaper Ltd (No 2) [1990] 1 AC 109, at 28), რომ ქურდი, რომელიც იპარავს აშკარად კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას, პასუხს აგებს მისი გამჟღავნებისათვის. ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ეკისრება პირს, რომელსაც შემთხვევით ჩაუვარდა ხელში სხვა პირის შესახებ საიდუმლო ინფორმაცია.

უფრო რადიკალური მიდგომა შემოგვთავაზა ერთ-ერთმა მოსამართლემ „Hellewell v Chief Constable of Derbyshire” [1995] 1 WLR 804 საქმის განხილვისას. მისი აზრით, „კონფიდენციალური კავშირი” შეიძლება არსებობდეს ფოტოგრაფსა და მის ობიექტს შორის, რომელმაც სრულებითაც არ იცის, რომ ფოტოგრაფი მას მალულად უღებს სურათს. აღნიშნული დებულების ფონზე ინგლისურმა სამართალმა გაცილებით გააფართოვა კონფიდენციალურობის ცნება.

სამართლებრივი საშუალებები კონფიდენციალურობის დარღვევის შესახებ 1998 წლის მონაცემთა დაცვის აქტშია ჩამოყალიბებული და-

ნართის სახით. მასში ასახულია კონვენციით გათვალისწინებული პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლების დაცვა (იხ.: paras 2,10,11 და 17 ევროსაბჭოს დირექტივები 95/46, პარაგრაფი მე-9), რაც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, მონაცემთა ბაზის მაკონტროლებელს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება კომპენსაციის სახით თაღლითობით კონფიდენციალურობის დარღვევისათვის (იხ. 13).

### 6.3. კონფიდენციალური წყაროს დაცვა

ჟურნალისტებს, რომლებიც ინფორმაციას ან დოკუმენტებს ანონიმური წყაროებიდან იღებენ, ხშირად სასამართლო წესით აიძულებენ, გაამჟღავნონ ინფორმაციის წყარო ან დააბრუნონ დოკუმენტები. „სამართალდარღვევა“ ხშირად ზღუდავს ჟურნალისტის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას.

გაერთიანებული სამეფოს სამართალში მასმედიას გააჩნია დამცავი ბერკეტი სასამართლოს უპატივცემულობის აქტის სახით (1981), მუხლი მე-10, რომელშიც აღნიშნულია:

*სასამართლოს არ შეუძლია, ბრალი დასდოს პირს სასამართლოსადმი უპატივცემულობაში ან მოსთხოვოს გაამჟღავნოს მის პუბლიკაციაში გამოყენებული ინფორმაციის წყარო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია მართლმსაჯულებისა თუ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველსაყოფად ანდა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.*

გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში ანალოგიური სამართლებრივი შინაარსის მრავალი შემთხვევაა განხილული. სამ მათგანზე აპელაცია წარედგინა ლორდთა პალატას. საქმეში „X Ltd v Morgan Gramplan (Publishers)“ LTD [1991] 1 AC1) ლორდმა ბრიჯმა აღნიშნა, რომ მოსარჩელის ცალკეული მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ჟურნალისტის უფლებების (მოპოვებული ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა) დაცვას შორის სამართლებრივი ბალანსი უნდა არსებობდეს. ასეთ დროს „მართლმსაჯულების ინტერესის“ უზრუნველსაყოფად გამონაკლისის დაშვება და იძულებითი ინფორმაციის წყაროს გამჟღავნება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმაციის წყაროს გამჟღავნების გარეშე მართლმსაჯულების ინტერესის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

ლორდთა პალატამ ერთ-ერთი ასეთი საქმის განხილვისას ჟურნალისტ გუდვინს მოსთხოვა ინფორმაციის წყაროს გამჟღავნება. მან უარი განაცხადა, რის გამოც იგი ინგლისის სასამართლომ 5000 ფუნტით დააჯარიმა. ჟურნალისტმა განცხადებით მიმართა ადამიანის უფლებათა კომისიას, სადაც მიუთითა, რომ დაირღვა ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული მისი უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსარჩელის განცხადება დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი ნამდვილად დაირღვა (Goodwin v U.K (1996) 22 EHRR 123). მოცემულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა:

*„ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროს დაცვა, როგორც ეს მთელი რიგი ნევრი ქვეყნების კანონებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით არის გათვალისწინებული, პრესის თავისუფლების უმთავრესი პირობაა. თუკი არ იარსებებს წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის გარანტია, ინფორმაციის წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება პრესას საზოგადოების ინფორმირებაში, ჟურნალისტებთან თანამშრომლობაზე და მათთვის ინფორმაციის გადაცემაზე უარს იტყვის. შედეგად კი პრესა ვერ შეძლებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლის შესრულებას და საზოგადოებისათვის ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას. სასამართლო მხედველობაში იღებს დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისათვის წყაროს კონფიდენციალურობის უზარმაზარ მნიშვნელობას და მიიჩნევს, რომ ჩარევის გამოყენებული ზომა არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს.“*

მოცემულ საქმეში არსებული ფაქტების მიხედვით, მოსარჩელის ინტერესები საკმარის საფუძველს არ აძლევდა ეროვნულ სასამართლოს მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რადგან მოსარჩელის ინტერესები კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნებით ვერ შეძლებდა საზოგადო ინტერესების (ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროს დაცვის შესახებ) გადანონას.

ლორდთა პალატამ და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გუდვინის საქმესთან დაკავშირებით ერთი და იგივე ტესტი გამოიყენა: „მართლმსაჯულების ინტერესებისა“ და წყაროს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საზოგადოების ინტერესების დაბალანსება. თუმცა ამ სასამართლოებმა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული გადანყვეტილებები მიიღეს. ლორდთა პალატამ ჟურნალისტს დააკისრა ინფორმაციის წყაროს გამხელა, ხოლო ადამიანის

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა გამართლებული არ იყო.

ამ თვალსაზრისით ევროპის მინისტრთა კაბინეტს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები. ამ დოკუმენტში მოცემულია მაგალითები, თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მიზანშეწონილი წყაროს კონფიდენციალურობის გამჟღავნების მოთხოვნა. ასეთი შემთხვევებია: ადამიანის სიცოცხლის დაცვა, მძიმე დანაშაულის თავიდან აცილება და იმ პირის დაცვა, ვისაც მძიმე დანაშაულის ჩადენას აბრალებენ. მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციებს არა აქვთ ისეთივე სტატუსი, როგორც ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა სასამართლო მას დროდადრო მხედველობაში იღებს (მაგ.: „Z v Finland“ (1997) 25 EHRR 371).

#### 6.4. მუხლი 8. სახელმწიფო ჩარევა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს:

ყველას აქვს უფლება პირად და საოჯახო ცხოვრებაზე, სახლსა და კორესპონდენციაზე.

საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონით ეს დასაშვებია და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მე-8 (2) მუხლის პირველივე ფრაზა — „საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა“ — ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიერ ადამიანთა პირად ცხოვრებაში ჩარევა შეზღუდულია. ეს მუხლი ჩინებულად გამოხატავს ევროკონვენციის არსს, რომელიც სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმებაა.

მედია სარგებლობს იმ დაცვით, რაც უზრუნველყოფილია ევროკონვენციის მე-8 მუხლით სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შესაზღუდად. მთელ რიგ შემთხვევებში ევროკონვენციის მე-8(1) მუხლი თანაბრად გამოიყენება როგორც პირადი, ისე სამსახურებრივი საიდუმლოს დასაცა-

ვად. მაგალითად, „კორესპონდენცია“ გულისხმობს როგორც პირად, ისე სამსახურებრივ მიმონერას („Niemitz v Germany“ (1978) 2 EHRH 219). მე-8 მუხლით გარანტირებული უფლება ვრცელდება ელექტრონულ ფოსტაზეც. პოლიციის მიერ მედიის კუთვნილი შენობების ჩხრეკა ან მისი დოკუმენტების დაყადაღება უნდა შეესაბამებოდეს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ რომელიმე გამონაკლისს. მე-10(2) მუხლის მიხედვით, ჩარევას თან უნდა ახლდეს არა მხოლოდ კანონიერი მიზანი, არამედ უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასაც. ბრიტანეთის პოლიციის მიერ სატელეფონო საუბრის ჩანერა იყო ამ პრინციპის დარღვევა საქმეში „Malone v UK“ (1984) 7 EHRH 141, რომლის დროსაც დაირღვა კომუნიკაციების შესახებ 1985 წლის კანონის მოთხოვნები. კომისიამ მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია საიდუმლო სამსახურების საქმიანობა საქმეზე „Hewitt and Hasman v. UK“ (1989) 67 PR 88, რომლის დროსაც დარღვეულ იქნა 1989 წლის კანონი უშიშროების სამსახურების შესახებ. ჩარევა ასევე უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

## 6.6 მუხლი 8. მედიის მხრიდან პირადი საიდუმლოების დარღვევა

თუმცა კონვენციის მე-8(2) მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შესაძლებლობას, მე-8(1) მუხლი მაინც ზოგადია და ეხება ყველას უფლებას, „პატივი სცენ“ პირადად მის და მისი ოჯახის ცხოვრებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებებში ხშირად ფიგურირებს ტერმინი „პოზიტიური ვალდებულება“. მაგალითად, სასამართლომ სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებად ჩათვალა იმ პირთა დასჯა, რომელთაც ბრალი ედებოდათ დაქვეითებული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ქალის მიმართ სექსუალურ ძალმომრებაში (X and Y v Netherlands); ასევე, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებადაა მიჩნეული, დაეხმაროს მოქალაქეებს უკანონო ბავშვების ოჯახებში ინტეგრაციისათვის ზომების მიღებაში („Marck x v Belgium“ (1979) 2 EHRH 330); დაიცვას ქალის უფლებები და ხელი შეუწყოს მას ლოთ და მოძალადე ქმართან განქორწინებაში; (Aireg v Ireland (1979) 2 EHRH 305); გაცეს ინფორმაცია იმ პირებზე, რომლებიც დაზარალდნენ

გარემოს დაბინძურებით (*Guerra and Others v Italy* (1998) 26 EHRR 357); სამართლებრივი დახმარება გაუწიოს იმ ტელეპროდიუსერს რომელიც გაათავისუფლეს რადიო-პროგრამაში საკუთარი მენეჯერის გაკრიტიკებისათვის (*Fuenter Bobo v Spain*).

გაერთიანებული სამეფოდან წარდგენილ რამდენიმე საჩივარში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ამ სახელმწიფოში არ არსებობს კანონი პირადი ცხოვრების შესახებ.

საქმეში „*Winner v UK*”(App #1084 1/84) (1986) 4\*DR 154 საჩივრის წარმდგენმა გააპროტესტა წიგნი, სადაც მას სამხრეთ აფრიკის საიდუმლო სამსახურის აგენტობას („BOSS“) აბრალებდნენ და რომელიც მისი და მისი მეუღლის ცხოვრების ინტიმურ დეტალებს შეიცავდა. კომისიამ არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი. საჩივრის წარმდგენმა პატივისა და ღირსების შელახვისათვის სარჩელი წარადგინა ინგლისის სასამართლოში და საქმე მორიგებით დაამთავრა. კომისიამ მიიჩნია, რომ ინგლისის სასამართლოს არ დაურღვევია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება. ასევე არ დაუკმაყოფილებიათ მკვლევლობისათვის გასამართლებული იან ბრედის საჩივარი. იგი ბრალს სდებდა გაერთიანებულ სამეფოს, რომელმაც, მისი აზრით, ვერ დაიცვა იგი ცილისმწამებელი ჟურნალისტებისაგან. გაზეთში გამოქვეყნდა მისი ქალოშვილის სტატია, სადაც იგი ბრალს სდებდა მამამისს ძალადობასა და გაუპატიურების მცდელობაში. ბრედიმ განაცხადა, რომ სტატია მთლიანად ტყუილია და არღვევს მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთში არ არსებობს კანონი პირადი საიდუმლოების დაცვის შესახებ, კომისია დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც პირადი ცხოვრება დაცულია, რადგან არსებობს ცილისწამების ან თაღლითობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დარღვევა არ აღინიშნებოდა, რამეთუ ბრედის საზოგადოებაში არავითარი რეპუტაცია არ გააჩნდა. თაღლითობის თაობაზე სარჩელი ასევე ვერ დაკმაყოფილდებოდა, რადგან ბრედის რაიმე ფინანსური ზარალი არ განუცდია.

ბრედიმ სხვა საქმესთან დაკავშირებითაც უჩივლა ინგლისს. ამჯერად იგი აპროტესტებდა სპეციალურ ჰოსპიტალში გადაღებული მისი ფოტოს ეროვნულ გაზეთში გამოქვეყნების ფაქტს. ბრედიმ თავდაპირველად იჩივლა სპეციალურ კომისიაში, რომელიც მასმედიასთან დაკავშირებულ

საჩივრებს იხილავდა. კომისიამ დაადგინა, რომ სურათი გადაღებული და გამოქვეყნებული იყო საჯარო ინტერესის გათვალისწინებით და ჟურნალისტს ეთიკის კოდექსი არ დაურღვევია. კომისიის ამ გადაწყვეტილების სასამართლოში უშედეგოდ გასაჩივრების შემდეგ ბრედმ კვლავ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიას, რომელმაც ხელახლა განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში გაერთიანებულ სამეფოს კონვენციით ნაკისრი არც ერთი პოზიტიური ვალდებულება არ დაურღვევია („Stewart-Brady v UK“ (App #36908/97, 21 ოქტომბერი, 1998 წელი).

შედარებით გვიანდელ საქმეში ე.სპენსერი და მისი მეუღლე მიუთითებდნენ, რომ ჟურნალისტმა სპეციალური ოპტიკური მონაცემების გამოყენებით შორი მანძილიდან გადაუღო სურათი საავადმყოფოში მოთავსებულ გრაფინია სპენსერს. სურათების გასწვრივ დაბეჭდილი იყო მასალა მისი მკურნალობის შესახებ. სტატია ასევე შეიცავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედა ავადმყოფობამ მათ ქორწინებაზე. პრესასთან დაკავშირებული საჩივრების შემსწავლელმა კომისიამ დააკმაყოფილა მეუღლეთა საჩივარი. ამის შემდეგ სპენსერებმა უჩივლეს თავიანთ ორ მეგობარს, რომლებმაც, სპენსერების აზრით, ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიანოდეს გაზეთს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივარი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული სამეფო არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებებს, რადგან ინგლისური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ეფექტურ ზომებს მოცემულ შემთხვევაში. კერძოდ, პირად ცხოვრებაში ჩარევის გამო სპენსერებმა ვერ შეძლეს ზიანის ასანაზღაურებლად რაიმე კომპენსაციის მიღება ან შემდგომი სტატიების გამოქვეყნების აკრძალვა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ეს საქმე სრულყოფილად არ შეუსწავლია, რადგან იგი დაუშვებლად ცნეს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების და შესაძლებლობების გამოუყენებლობის მოტივით.

ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით („N v Sweden“ (App #1136185) (1986) 50 Dr 173) კომისიამ განმარტა, რომ სახელმწიფოებს ამ მუხლთან დაკავშირებით პოზიტიური ვალდებულებები ეკისრებათ. ამავე დროს, თუ მედიის მხრიდან აღინიშნება მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, „საკითხის გადაწყვეტისას სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბალანსი კონვენციით გარანტირებულ ორ უფლებას — პირადი ცხოვრების საიდუმლოების პატივისცემისა (მე-8 მუხლი) და გამოხატვის თავისუფლების (მე-10 მუხლი) უფლებათა — შორის“.



# თავი 3

## უხამსობა და მკრეხელობა<sup>1</sup>

### 8.1. შესავალი

უხამსი და მკრეხელური გამონათქვამები (რასისტულ გამოსვლებთან ერთად) გარკვეულწილად იზღუდება, ვინაიდან მათ შეუძლიათ შოკი მოჰგვარონ ცალკეულ ინდივიდებს ან მთელ მოსახლეობას. მართლაც, რელიგიური შეხედულებების აბუჩად აგდების გამო ინდივიდების შეურაცხყოფისაგან დაცვა ღვთისმგმობი გამოსვლების აკრძალვის ერთადერთი გამამართლებელი მიზეზია.

რაც შეეხება უხამსი გამოსვლების აკრძალვას, აქ მიზეზი მრავალია: უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ზიანი, რომელსაც განიცდის ინდივიდი უხამსობის მოსმენით ან დაბრალებით; ასევე, ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს მოსახლეობას (განსაკუთრებით, მდებრობით სქესს) უხამსობის შემცველი მასალის გავრცელებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეურაცხყოფელი გამოსვლების შეზღუდვის თაობაზე საქმეში „Handyside v UK“ დაადგინა: კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ძირითად საყრდენსა და მისი განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი საფუძველი, საზოგადოების პროგრესისა და მისი თითოეული წევრის თვითრეალიზაციის მთავარი პირობაა. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ზედებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეუ-

---

1 Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, *Media Law and Human Rights*, Blackstone Press, 2001 (თავი VIII, იბეჭდება შემოკლებით).

რაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღლებებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია (იხ.: პენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პუნქტი 49.).

სამწუხაროდ, ზემოთ დამონმებული ძალზე ფასეული მოსაზრება თავად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც ხშირად ავიწყდება, როდესაც გადწყვეტილებას იღებს უხამსი და ღვთისმგმობი გამოთქვამების თაობაზე აღძრულ საქმეებთან დაკავშირებით.

უხამსობა და მკრეხელობა უფრო ხშირად დასტურდება ხელოვნების სფეროში, ვიდრე პოლიტიკასა და კომერციაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნევრ სახელმწიფოებს დისკრეციული უფლებამოსილება მიანიჭა ამ საკითხებში. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ასეთი გამონათქვამები (პოლიტიკური გამონათქვამებისაგან განსხვავებით) არ განიხილება დემოკრატიული სისტემისათვის მთავარი ღირებულების მქონედ. მეორეც, მორალის ამა თუ იმ საკითხზე ნევრ სახელმწიფოებს უფრო ფართო დისკრეცია გააჩნიათ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „Muler v Switzerland“ (1988) 13 EHRR R12 დაადგინა:

„შეუძლებელია, კონვენციის ნევრი ქვეყნების სამართლებრივ-ზნეობრივ კანონებში იპოვოთ მორალის საერთო კონცეფცია. ზნეობრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით მონაწილე სახელმწიფოთა შეხედულებები შეიძლება იცვლებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით, თანამედროვე ეპოქაში. ადგილობრივ სასამართლოებს ევროპულ სასამართლოზე უკეთესად შეუძლიათ იმსჯელონ ზნეობრივ მოთხოვნათა ზუსტი შინაარსის შესახებ“ (პარაგრაფი 35).

## 8.2. უხამსობა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

### 8.2.1. „საჯარო ხელისუფლების ჩარევა“

უხამსი გამონათქვამების თაობაზე საქმეების განხილვის დროს საჩივრის წარმდგენის მიერ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტი სერიოზული დისკუსიის საგანი არასოდეს გამხდარა. ჩარევა მოიცავ-

და: შეურაცხმყოფელი მასალების კონფისკაციას ან დაყადაღებას („Muller v Switzerland“ (1998) 13 EHRR 212) და აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელის სახით ჯარიმის (იხ.: „Muller v Switzerland“ (1988) 13 EHRR 212) ან პატიმრობის შეფარდებას („Hoare v UK“ (App #31211196) [1997] EHRLR 678).

გამოხატვის თავისუფლებაში ჩაურევლობასთან დაკავშირებით მთავრობის ერთადერთ არგუმენტად ის დასახელდა, რომ შეურაცხმყოფელი პუბლიკაციები ვერ ჩაითვლებოდა „გამოხატვად“ იმ მნიშვნელობით, როგორც ამას კონვენციის მე-10 მუხლი გულისხმობს. თუმცა ევროპის სასამართლომ უარყო ხელოვნური მიდგომა საკითხისადმი და საქმეზე „Muller v Switzerland“ დაადგინა, რომ რაკი მე-10 მუხლი არ ასხვავებს ერთმანეთისგან გამოხატვის სახეებს, ამიტომ ხელოვნების სფეროში აზრის გამოხატვა (რაც ასევე მოიცავს უხამს ან უღირს შემოქმედებას) უნდა განიხილებოდეს კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ინფორმაციისა და იდეების საჯარო გაცელაში მონაწილეობად.

### 8.2.2. „გათვალისწინებულია კანონით“

უხამსობის ზუსტი განსაზღვრა ძალზე რთულია. ის, რაც ერთი ადამიანისათვის უწყინარია, მეორისთვის შეურაცხმყოფელი და საზოგადოებისთვის საფრთხის შემქმნელი შეიძლება იყოს. მოსამართლე პოეტერ სტიუარტმა საქმის „Iacobellis v Ohio“ (1964) განხილვისას აღნიშნა, რომ უხამსობის დეფინიცია ძალზე ძნელი, შეუძლებელიც კია, თუმცა მიუთითა: „მე ვიცი რა არის უხამსობა, როდესაც ვხედავ მას“. უხამსობის დეფინიციის არარსებობას ხელი არ შეუშლია ევროპული სასამართლოსა და კომისიისათვის, ყველა საქმესთან დაკავშირებით მოეთხოვათ, რომ შეზღუდვა ნინასწარგანჭვრეტადი და ნათელი ყოფილიყო, რათა იგი „კანონით გათვალისწინებულად“ მიეჩნიათ.

### 8.2.3. „კანონიერი მიზანი“

უხამს გამოსვლებთან დაკავშირებულ ყველა საქმეში კანონიერი მიზანია „მორალის დაცვა“. საქმეში „Muller v Switzerland“ (1988) 13 EHRR R12 სასამართლომ დაადგინა, რომ „სხვათა უფლებები“ შეიძლება და-

ირღვეს უხამსი მასალების გამოქვეყნებისას, ასეთი დასკვნის გამოტანას საფუძვლად დაედო ცალკეული მოქალაქეების მიერ უხამსი ნახატების გამოფენის გაპროტესტება (იხ.: პარაგრაფი 30).

#### 8.2.4. „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“

კონვენციის მე-10 მუხლის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი პირველი საქმე შეეხებოდა უხამსობის შესახებ არსებული ინგლისური კანონმდებლობის შესაბამისობას კონვენციასთან. საქმეზე „Handyside v UK“ (1976) 1 EHRR 737 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა მთელი რიგი ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას შეეხებოდა.

საჩივარი მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა გამომცემელმა, რომელმაც დანიაში გამოქვეყნებული წიგნის — „პატარა წითელი სახელმძღვანელო“ — ბრიტანეთში გამოცემის უფლება მოიპოვა. წიგნი გათვალისწინებული იყო 12-18 წლის ბავშვებისათვის და რამდენიმე თავისაგან შედგებოდა, მათ შორის: „განათლება“, „მასწავლებელი“, „მოსწავლე“. თავი „მოსწავლე“ 26 გვერდს მოიცავდა და მასში სქესობრივ ურთიერთობებზე იყო საუბარი (სქესობრივი კავშირი, მასტურბაცია, აბორტი, ჰომოსექსუალობა და ა.შ.). თუმცა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე მსჯელობისას ნახსენებიც კი არ იყო ქორწინება. სასამართლო ბრძანების საფუძველზე პოლიციამ წიგნის ეგზემპლარებისა და მისი მატრიცის კონფისკაცია მოახდენა. საჩივრის წარმდგენი გაასამართლეს უხამსობის შესახებ 1959 და 1964 წლის კანონთა საფუძველზე და დააკისრეს ჯარიმა.

ინგლისის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ წიგნით ბავშვისთვის გარკვეული ცოდნის მიწოდება ძირს გამოუთხრიდა მშობლების, ეკლესიისა და სხვა უფლებამოსილ სუბიექტთა აღმზრდელობით როლს. კომისიამაც და სასამართლომაც მიიჩნიეს, რომ ბრალდება, განაჩენი და წიგნის კონფისკაცია იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და შეესაბამებოდა სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებებს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „მორალის დაცვის მიზნით“ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია.

საჩივრის წარმდგენი აცხადებდა, რომ წიგნის კონფისკაცია უკვე აღარ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, რადგან მისი ეგზემპლარები გაიყიდა ევროპის ქვეყნებში. წიგნის გავრცელება ასევე არავის შეუზღუდავს დიდ ბრიტანეთში შემავალ მენის კუნძულებზე და ჩრდილოეთ ირლანდიაში. ხოლო რაც შეეხება შოტლანდიას, ამ წიგნის გამო იქ აღიძრა სარჩელი, თუმცაღა წარუმატებლად. მიუხედავად ამისა, სასამართლომ, დაეყრდნო რა სახელმწიფოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, ეს არგუმენტები არ გაითვალისწინა.

ანალოგიურად გადაწყდა საქმე „Muller v Switzerland“ (1988) 13 EHRR 212, რომელიც შეეხებოდა საჯარო გამოფენაზე გამოტანილ სამ სურათს. ადგილობრივმა სასამართლომ სურათები უხამსობად მიიჩნია, რადგან ისინი ასახავდნენ ადამიანებსა და ცხოველებს შორის სქესობრივ აქტს. ადგილობრივმა სასამართლომ ნახატის ავტორი დააჯარიმა, ხოლო ნახატები კონფისკებულ იქნა, თუმცა ისინი ავტორს 8 წლის შემდეგ დაუბრუნეს. ევროპის სასამართლომ მიიჩნია, რომ ორივე ზომა — კონფისკაცია და ჯარიმა — არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციას და შევიცარია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე „Hoare v UK“ (App. # 31211/96) [1997] EHRR 678 შეეხებოდა პორნოგრაფიული ფილმების გაცეცხვას. საჩივრის წარმდგენმა ამ ფილმების შესახებ რეკლამა სპორტულ გაზეთში განათავსა. იმ პირებს, რომლებიც რეკლამას გამოეხმაურენ, გაეგზავნათ კატალოგი, რომლის მიხედვითაც შეეძლოთ სასურველი კასეტის ამორჩევა. საჩივრის წარმდგენს 30 თვიანი პატიმრობა შეუფარდეს უხამსი პუბლიკაციების შესახებ ინგლისის 1959 წლის კანონის საფუძველზე. საჩივრის წარმდგენი ამტკიცებდა, რომ მის მიერ შემუშავებული პროცედურა უზრუნველყოფდა ფილმის მხოლოდ სრულწლოვნებისთვის მიყიდვას. კომისიამ უარყო ეს არგუმენტი, რადგან აღნიშნული ფილმების ნახვა ყველას, მათ შორის, ბავშვებსაც, ძალზე ადვილად შეეძლო. აქედან გამომდინარე, სასჯელი „სხვათა უფლებების დაცვის“ კანონიერი მიზნის პროპორციული იყო.

## 8.2.5. „შერჩევითი აღსრულება“

საქმეში „W and K v Switzerland“ საჩივრის წარმდგენი აპროტესტებდა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას უხამსი მასალების გა-

ყიდვისა და გაქირავების აკრძალვის თაობაზე. მას მიაჩნდა, რომ მის წინააღმდეგ გამოყენებული იძულებითი ზომები უსამართლო იყო, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ფილმების გამქირავებული მალაზიების უმრავლესობა არ დასჯილა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა კანონიერი მიზნის პროპორციული იყო, ხოლო საჩივრის წარმდგენმა ვერ შეძლო ერთმანეთთან დაეკავშირებინა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია და კონვენციის მე-14 მუხლი.

### **8.3. მკრეხელობა; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია**

#### **8.3.1. „საჯარო ხელისუფლების ჩარევა“**

კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში მკრეხელობასთან დაკავშირებით განხილულ არც ერთ საქმეში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტი სერიოზული დისკუსიის საგანი არ გამხდარა. თუმცა ორივე მხარე, როგორც წესი, ასეთი ჩარევის ფაქტს ადასტურებდა.

გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევაა ღვთისმგმობი პუბლიკაციის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი („Gay New LTD an Lemon v UK“ (1982) 28 DR 77 (1982) 5 EHRR 123), ასევე პირველ ჩვენებამდე ფილმის კონფისკაცია ან დაყადაღება („Otto-Preminger-Institut v Austria“ (1994) ). უნდა ითქვას, რომ წინასწარ ცენზურასა და აკრძალვას თეორიულად ყოველთვის უფრო ძნელად ამართლებენ, თუმცა ზემოთ მითითებულ ორივე საქმეში სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავსი ჩარევა სამართლიანი (მიზანშეწონილი) იყო.

#### **8.3.3. „კანონიერი მიზანი“**

ევროპის სასამართლომ განიხილა საქმე „Otto-Preminger-Institut v Austria“ (1994) 19 EHRR 34, რომელიც შეეხებოდა სატირული ფილმის — „სამოთხის საბჭოს“ — საჯარო დემონსტრირებას. ფილმის პირველ ჩვენებამდე პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე საჩივრის

ნარმდგენი კომპანიის მენეჯერის წინააღმდეგ და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ფილმი დააყადაღა, რასაც ფილმის კონფისკაციის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებაც მოჰყვა. ადამიანის უფლებათა კომისიამ ცხრა ხმით ხუთის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ ფილმის დაყადაღებით კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა, ხოლო ცამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ მიიჩნია, რომ ფილმის კონფისკაციის თაობაზე გადაწყვეტილებამაც ასევე დაარღვია აღნიშნული მუხლი. კომისიამ დაასკვნა, რომ ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია „სხვათა უფლებების დაცვა“ და „არეულობის თავიდან აცილება“, განსაკუთრებით კი რელიგიური მშვიდობის შენარჩუნება. ამიტომაც კომისია არ იყო ვალდებული გადაწყვიტა, იყო თუ არა დაყადაღება და კონფისკაცია „მორალის დასაცავად“ გამიზნული. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმსარებლობის თავისუფლების მნიშვნელობას.

#### 8.3.4. „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“

კომისიამ საქმეში „Otto-Preminger-Institut v Austria“ (1994) დაიმონმა ამონარიდი ჰენდისაიდის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებიდან, რომელიც შეურაცხმყოფელი და შოკის მომგვრელი ინფორმაციისა და გამონათქვამების დაცვის აუცილებლობას შეეხებოდა და დაასკვნა, რომ დაყადაღება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. ფილმი ლამის საათებში აჩვენეს, კინოთეატრში სენსის ესწრებოდა მხოლოდ დაინტერესებული პუბლიკა, ფილმის ნახვა ფასიანი იყო. კომისიის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ ფილმს ახლდა მისი შინაარსის შესახებ ადეკვატური, მაგრამ არაშეურაცხმყოფელი გაფრთხილება. კომისიის შემადგენლობის უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ფილმის დემონსტრირების ორგანიზატორების მხრიდან მიღებული ზემოაღნიშნული ზომები კანონის მოთხოვნების ადეკვატური იყო. ეს ზომები იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ფილმის ნახვა ვერ მოეხერხებინათ ბავშვებსა და იმ პირებს, რომელთა რელიგიურ გრძნობებზეც ეს ფილმი იმოქმედებდა. კომისიამ ასევე დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ჩარევა მიზნის დისპროპორციული იყო, რამდენადაც ფილმის ორგანიზატორებმა ისედაც საკმარისი შეზღუდვები დაანესეს.

ზემოთქმულის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სა-

სამართლომ ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაყადაღება და კონფისკაცია იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და იგი მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისაგან დაცვას ემსახურებოდა. ფილმის კონფისკაცია „რელიგიური მშვიდობის უზრუნველყოფის“ მიზნის პროპორციული იყო, ხოლო ავსტრია არ გასცდენია სახელმწიფოსთვის მინიჭებულ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს. ბევრი მას არადამაჯერებლად მიიჩნევდა. სასამართლოს არ შეუფასებია, რამდენად შეუწყობდა ხელს ფილმის ჩვენება ადამიანის უფლებათა თაობაზე საჯარო დებატების ინიცირებას. ამავე დროს, სასამართლო ვალდებული იყო დაეცვა განსხვავებული აზრი ისეთი აგრესიული რელიგიური უმრავლესობისაგან, როგორიც ავსტრიისათვის არის დამახასიათებელი.

მწვავე კრიტიკის მიუხედავად, სასამართლომ საქმეზე „Wingrove v UK“ ანალოგიური გადანყვეტილება მიიღო და დაასკვნა, რომ მკრეხელობის შესახებ არსებულ კანონმდებლობას და შესაბამისი სახელმწიფო უწყების უარს ფილმის სერტიფიცირებაზე არ დაურღვევია კონვენციის მე-10 მუხლი, რადგანაც იგი „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ფილმის სერტიფიცირებაზე უარი საჩივრის წარმდგენმა მკაცრად გააკრიტიკა, ვინაიდან ვიდეონამუშევრის აკრძალვის „მწვავე სოციალური მოთხოვნილება“ არ არსებობდა. აკრძალვა ეყრდნობოდა მხოლოდ საეარაუდო მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ფილმს შეიძლება დაერღვია კანონმდებლობა მკრეხელობის შესახებ. საჩივრის წარმდგენი ასევე ამტკიცებდა, რომ მიღებული ზომა მიზნის არაპროპორციული იყო, რადგან მისი კინონამუშევარი არ შეიცავდა უხამსობას ((1996) 24 EHRR 1, პარაგრაფი 54). სასამართლომ უარყო საჩივრის წარმდგენის მოსაზრება და აღნიშნა, რომ განხორციელებული აკრძალვა იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და სახელმწიფო მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა.

### 8.3.5. „დისკრიმინაცია“

მკრეხელობის შესახებ ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონვენციის მე-9 (რწმენის თავისუფლება) და მე-14 მუხლთან



(დისკრიმინაციის აკრძალვა) კომისიის განხილვის საგანი გახდა საქმეში „Choudhury v UK“ (App. # 17439190, 5 მარტი, 1991 წ.). დავა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც არ დაკმაყოფილდა მკრეხელობის საქმეზე აღძრული კერძო საჩივარი სალმან რუშდის წინააღმდეგ, რომელიც გახმაურებული „სატანური სურების“ ავტორი და გამომცემელი გახლდათ. იმის გამო, რომ ისლამზე არ ვრცელდება მკრეხელობის შესახებ კანონმდებლობა, საჩივრი არ დაკმაყოფილდა. საჩივრის წარმდგენმა მიუთითა, რომ ეს მისი უფლებების - „იყოს დაცული დისკრიმინაციისაგან“ და „რელიგიის თავისუფლების“ — დარღვევას წარმოადგენდა. საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

მკრეხელობის შესახებ ინგლისური კანონმდებლობის დისკრიმინაციული ბუნების თაობაზე გაკეთდა აქცენტი საქმეზე „Wingrove v UK“ საჩივრის წარმდგენი აცხადებდა, რომ ინგლისის სამართალი მკრეხელობის შესახებ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ „კანონიერ მიზანს“ არ ემსახურება. სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ქრისტიანულ რწმენას ეხებოდა და საკითხი იმის შესახებ, იცავს თუ არა ინგლისის სამართალი სხვა აღმსარებლობას, არ იყო განხილვის საგანი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აბსტრაქტულად არ იღებს გადაწყვეტილებას. იგი კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება წევრი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა კონვენციას (არის თუ არა ადგილობრივ სამართალსა და კონვენციას შორის შესაბამისობა).

### რეპორტაჟები სასამართლო პროცესის შესახებ და სასამართლოს უპატივცემულობა<sup>1</sup>

9.1. როგორც დიდი ბრიტანეთში, ასევე კონვენციის ნეერ სხვა სახელმწიფოებში სასამართლო პროცესები მაუწყებლებისა და პრესის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მე-10 მუხლით დაცული მთავარი ფასეულობა გამოხატვის თავისუფლებაა, რომელიც ისევე გააჩნია მედიას, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს (მე-10(1) მუხლი). ბრალდებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გარანტირებულია მე-6 მუხლით, მოიცავს „საჯარო განხილვისა“ და განაჩენის საჯაროდ გამოცხადების უფლებას. როგორც დიდი ბრიტანეთის გამოცდილებამ გვიჩვენა, შესაძლებელია, სასამართლო პროცესების თაობაზე რეპორტაჟებმა შელახონ ბრალდებულთა და პროცესში ჩართულ სხვა პირთა ინტერესები. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ გამოხატვის თავისუფლების გამოყენებისას პირებს გააჩნიათ „ვალდებულებები და პასუხისმგებლობა“. შეზღუდვა ან სასჯელი შეიძლება დაწესდეს: „სხვათა უფლებების დასაცავად“ ან „სასამართლოს მიუკერძოებლობის“ უზრუნველსაყოფად. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

„...პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაესწრონ სასამართლო პროცესს დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის ნორმების, სამოქალაქო წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების მთლიანად ან ნაწილობრივ დაცვის მიზნით, აგრეთვე არასრულწლოვანთა ინტერესების ან მხარეთა პირადი ცხოვრების დასაცავად, ანდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საჯაროობა, სასამართლოს აზრით, ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს.“

1 Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, *Media Law and Human Rights*, Blackstone Press, 2001 (თავი IX, იხეჭდება შემოკლებით).

ასეა თუ ისე, დაპირისპირებული ინტერესების აღიარება ჯერ მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს. ამ თავში განხილული იქნება, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს ინტერესები კონკრეტულ სიტუაციებში.

## 9.2. ვისი უფლება? დასაშვებობა

### 9.2.1. მუხლი 10.

უდავოა, რომ მედია-ორგანიზაციებს და ცალკეულ ჟურნალისტებს აქვთ ინფორმაციის მიღებისა და გაცემის თავისუფლება კონვენციის მე-10(1) მუხლის თანახმად. სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლო პროცესის გაშუქების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ წარმოადგენს მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებაში „ჩარევას“, თუმცაღა მედია და ჟურნალისტები არ გვევლინებიან სასამართლო პროცესის ოფიციალურ მხარეებად. ისეთი პროფესიული ორგანიზაციისათვის, როგორცაა ჟურნალისტთა ეროვნული გაერთიანება, ვითარება უფრო რთულადაა. როგორც უკვე განვმარტეთ, სტრასბურგის სასამართლოში საჩივარი მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც საჩივრის წარმდგენი „მსხვერპლს“ წარმოადგენს კონვენციის 34-ე მუხლის მიზნის თვალსაზრისით, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის წარმდგენს პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევით. ჟურნალისტების გაერთიანებას მხოლოდ მაშინ შეუძლია იჩივლოს, თუ უშუალოდ მისი გამომხატვის თავისუფლება შეიზღუდა (მაგალითად, საკუთარ ჟურნალში ან ვებ-გვერდზე რალაცის გამოქვეყნება აეკრძალა), მაგრამ თუ ზიანი არაპირდაპირ იქნა მიყენებული (თუკი მხოლოდ მისი რომელიმე წევრის უფლება შეიზღუდა), ჟურნალისტთა გაერთიანების საჩივარი დასაშვებად ვერ ჩაითვლება (იხილეთ: „Hodgson, O. Woolf Productions LTD and National Union of Journalists v UK” (App. #11553/85 and 11685/85) (1987)51 DR 136).

### 9.2.2. მუხლი 6.

სასამართლო პროცესების საჯაროობა ემსახურება მხარეთა ინტერესების დაცვას, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს საზოგადოებრივი ინ-

ტერესი: როგორ აღსრულდება მართლმსაჯულება სასამართლოში. საჯაროობა შეიძლება უარყოფილ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ მისი შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესებს („Håkansson v Sweden” (1990) 13 EHRR 1. პარაგრაფი 66). მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას გააჩნია უფლება, დაესწროს სასამართლო სხდომას, მისი უმეტესი ნაწილისათვის უფრო მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ მედიის საშუალებით ინფორმაციის მიღება. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მედიას შეუძლია დაზარალებულად ცნოს თავი მე-6 მუხლის საფუძველზე, თუ მას სასამართლო პროცესზე არ დაუშვებენ? ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადანწყვეტილება ამ საკითხის თაობაზე ჯერ არ მიუღია. თუმცა, სავარაუდოა, რომ სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ უფლებებს გაავრცელებს მხოლოდ სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებზე და არა საზოგადოების სხვა წევრებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, მასმედიას მაინც შეუძლია არაპირდაპირ დაეყრდნოს კონვენციის მე-6 მუხლს. უფრო კონკრეტულად, სასამართლო პროცესების მიმართ საჯარო ინტერესით გამყარდება კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლება — დაესწროს სასამართლო სხდომებს.

იმ შემთხვევაში, თუ ყურნალისტები ან მედია-ორგანიზაციები თავად წარმოადგენენ სასამართლო პროცესის მხარეებს, მათ შეუძლიათ სრულად ისარგებლონ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

### 9.3. „ჩარევა“

სასამართლოს მიერ დასაშვებობის საკითხის გადანწყვეტისას უნდა გაირკვეს, მოხდა თუ არა „ჩარევა“ საჩივრის წარმდგენის გამოხატვის თავისუფლებაში. ზოგ შემთხვევაში ამის დადგენა ადვილია, ზოგ შემთხვევაში კი დავას ინვესტ. მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსს, არამედ ფორმასაც („Jersild v Denmark” (1994) 19 EHRR 1, პარაგრაფი 31). საქმეზე „News Verlags v Austria” (2000) ევროპის სასამართლო არ დაეთანხმა ავსტრიის მთავრობის არგუმენტს. ავსტრიის სასამართლომ მიიჩნია, რომ ფოტოს არ გააჩნია ინფორმაციული დატვირთვა და, შესაბამისად, აუკრძალა გაზეთს ექვმიტანილის იმ ფოტოს გამოქვეყნება, რომელიც თან უნდა დართოდა ამ უკანასკნელ-

ლის დაკავების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიას. შესაბამისად, ავსტრიის მთავრობის აზრით, ეს აკრძალვა არ განიხილება გამომცემლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად.

კომისიამ საქმეზე „Loersch v Switzerland“ (App. # 23868(94) (1995) 80 PR 162 მსჯელობისას დაადგინა, რომ მოსარჩელე ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ მომხდარა და, შესაბამისად, საჩივარი დაუშვებლად ჩაითვალა. ამ საქმეში ჟურნალისტს უარი ეთქვა სასამართლოში აკრედიტაციაზე იმ მოტივით, რომ მას არ წარმოუდგენია ავტობიოგრაფია ან პროფესიის დამადასტურებელი იურიდიული საბუთი. თუმცა აკრედიტაციის უქონლობის შემთხვევაშიც ჟურნალისტს, საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრის მსგავსად, მაინც ჰქონდა პროცესზე დასწრებისა და განაჩენის ასლის მიღების უფლება. აკრედიტაციის გარეშე მას არ გააფრთხილებდნენ სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე და ვერც გამოუქვეყნებელი განაჩენის ასლებს გადასცემდნენ (ამ უფლებებით მხოლოდ აკრედიტებული ჟურნალისტები სარგებლობენ). კომისიამ განაცხადა, რომ არც ერთი ამ უფლებათაგანი არ იყო გარანტირებული კონვენციის მე-10 მუხლით. აქედან გამომდინარე, ჩარევა არ მიიჩნევა კონვენციის დარღვევად.

#### 9.4. „კანონიერი მიზანი“

გამოხატვის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე გამონაკლისს. ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მართლზომიერ მიზანს: „სახელმწიფო დაცვის ინტერესები, ტერიტორიული მთლიანობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობისა და ზნეობის ნორმების დაცვა, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის კონფიდენციალურობა“. ამავე დროს, ერთ-ერთი უმთავრესი მართლზომიერი მიზანია „მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ დაცვა. ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს თანახმად, ამ მიზანს ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ტერმინი „მართლმსაჯულება“ („pouvoir judiciaire“) გულისხმობს სასამართლო ხელისუფლებასა და მოსამართლეებს მათი ოფიციალური

უფლებამოსილებების შესრულებისას. საზოგადოების თვალში იგი წარმოადგენს კანონიერი უფლებებისა და ვალდებულებების სამსჯავროს. ფართო საზოგადოებას უნდა გააჩნდეს სასამართლოს მიმართ პატივისცემა და რწმენა, რომ სასამართლოს შესწევს თავისი ფუნქციის შესრულებისა და სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებების დაცვის ძალა („Sunday Times v UK” (1979) 2 EHRR 245, პარაგრაფი 55 და 56).

## 9.5. „გათვალისწინებულია კანონით“

ნებისმიერი სახის ჩარევის შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს „კანონით“. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერი აკრძალვა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის წინასწარ განჭვრეტადი უნდა იყოს (საქმე „Sunday Times v UK” (1979) 2 EHRR 245, პარაგრაფი 49).

„Spycatcher v UK” საქმეზე გენერალურმა პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა გაზეთ „ინდეფენდენტის” წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა სასამართლოს ბრძანებით აკრძალული ინფორმაციის გამოქვეყნებაში. სააპელაციო სასამართლომ გაზეთის ქმედება სასამართლოსადმი უპატივცემულობად შეაფასა. ამ შემთხვევაში მთავარი ის იყო, თუ რამდენად შეეძლო გაზეთს სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების წინასწარ განჭვრეტა. კომისიამ დასაშვებად არ მიიჩნია გაზეთის საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სხვა გაზეთებსაც აკრძალული ჰქონდათ მოცემულ საკითხზე ინფორმაციის გამოქვეყნება. თავად გაზეთს რამდენჯერმე მიეცა გაფრთხილება ინფორმაციის დაბეჭდვისაგან თავის შეკავების თაობაზე. აქიდან გამომდინარე, გაზეთმა იცოდა, რომ სერიოზულად რისკავდა.

## 9.6. „აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის“

### 9.6.1. „Sunday Times v UK ” —

ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების შესახებ საგაზეთო სტატიების აკრძალვა

კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით გადამწყვეტია იმის გარკვევა, თუ რამდენად აუცილებელია ჩარევა „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. ერთ-ერთ პირველი საქმე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ამ საკითხის გარკვევა მოუხდა, იყო „Sunday Times v UK“ (1979) 2 EHRR 245. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვას წინ უძღოდა ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გაზეთს უნდა შეეწყვიტა სტატიების სერიის გამოქვეყნება ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების შესახებ. ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სტატიები წინასწარ ჩამოაყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს იმ სასამართლო პროცესთან მიმართებაში, რომელიც პრეპარატის სავარაუდო მსხვერპლთა და მწარმოებელთა შორის მიმდინარეობდა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ლორდთა პალატის გადაწყვეტილება არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებებს. სასამართლო დასაბუთების უმეტესი ნაწილი მე-10 მუხლის განზოგადოებულ შეფასებას შეიცავს და ამ წიგნის სხვა თავებშიც იქნება განხილული. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლოს შემდეგ კომენტარს გააჩნია:

ა) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოებს შეუზღუდავ დისკრციულ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. სახელმწიფოები გაცილებით თავისუფალნი არიან ზნეობრივი ნორმების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისას, ვიდრე მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ უნივერსალურ ცნებას, როგორც „მართლმსაჯულების ავტორიტეტია“. რაც შეეხება „მართლმსაჯულების ავტორიტეტს“, ამ საკითხზე მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში გაცილებით მეტია საერთო. ამ შემთხვევაში ევროპული კონტროლის სფერო გაცილებით ფართოა, ხოლო მონაწილე სახელმწიფოთა დისკრციული უფლებამოსილებები — გაცილებით მცირე.

ბ) როგორც უნდა იყოს ისტორიული წარმოშობა სიტყვისა „აუცი-  
ლებლობა“ სასამართლო სისტემასთან კავშირში, იგი კონვენციის ცნე-  
ბაა ავტონომიური მნიშვნელობით. შესაბამისად, სასამართლოსადმი  
უპატივცემულობის თაობაზე მიღებულმა ზომებმაც ეს დადგენილი  
სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს (პარაგრაფი 60);

გ) კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული  
გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი  
საყრდენი და მისი პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობაა. გამოხატ-  
ვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“,  
რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია,  
არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის  
მომგვრელი ან ამაღელვებელია:

ეს პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრესასთან მი-  
მართებაში. ისინი გამოიყენება მართლმსაჯულების აღსრულებისასაც,  
რომელიც საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და ინფორმირებუ-  
ლი საზოგადოების მხრიდან თანამშრომლობას საჭიროებს. საყოველ-  
თაოდ აღიარებულია, რომ სასამართლოები ვაკუუმში ვერ იმოქმედე-  
ბენ. მართალია, სასამართლო დავის გადანყვეტის ადგილია, მაგრამ ეს  
არ გამორიცხავს იმას, რომ დავის განხილვა სხვაგანაც შეიძლება, თუნ-  
დაც პრესაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ უნდა გადა-  
ლახონ ის ზღვარი, რაც დადგენილია სამართლიანი მართლმსაჯულე-  
ბის უზრუნველსაყოფად, მაგრამ, ამავე დროს, მათ ევალებათ გაავრცე-  
ლონ ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის თაობაზე ზუსტად ისევე,  
როგორც ეს ხდება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმიანობის  
სხვა სფეროებში. მედიის ამოცანა ინფორმაციის გავრცელებაა, ხოლო  
საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია მისთვის საინტერე-  
სო საკითხებზე (პარაგრაფი 65);

დ) სასამართლო არ იხილავს კონფლიქტურ პრინციპთა საკითხს.  
სასამართლო იხილავს გამოხატვის თავისუფლების საკითხს, რომელ-  
საც გარკვეული გამონაკლისები გააჩნია. ეს გამონაკლისები, თავის  
მხრივ, საკმაოდ შეზღუდულად უნდა იქნენ განმარტებულნი.

სწორედ ამის გამო დიდმა ბრიტანეთმა 1981 წელს მიიღო სასამარ-  
თლოსადმი უპატივცემულობასთან დაკავშირებით ახალი კანონი, რომ-  
ლითაც „წინასწარი გადანყვეტილების“ კონცეფცია „სერიოზული რის-  
კის“ სტანდარტით შეცვალა.



## 9.6.2. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე მასალების გამოქვეყნება; სხვა საქმეები

საქმე „Worm v Austria“ (1995) 25 EHRR 454. უზრუნველყოფის გამოქვეყნა სტატია ავსტრიის ყოფილ ვიცე-კანცლერსა და ფინანსთა მინისტრ ჰანეს ანდროშზე, რომლის წინააღმდეგაც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე გადასახადებისაგან თავის არიდების ბრალდებით. ვორმი ცნეს დამნაშავედ სასამართლო პროცესის მსვლელობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენაში. ავსტრიის სასამართლომ დაადგინა, რომ თავისი სტატიით ვორმმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. სტატია ფაქტობრივად გულისხმობდა, რომ სხვა შედეგი, გარდა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა, შესაძლებელი არ იყო. საქმე ანდროშის წინააღმდეგ განიხილეს მსაჯულთა მონაწილეობით. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ხელისუფლებას არ დაურღვევია კონვენციის მე-10 მუხლი. ამის მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო „Sunday Times v UK“-ის საქმეში ჩამოყალიბებულ პრინციპებს:

ა) „Sunday Times v UK“-ის საქმეში საუბარი იყო სასამართლო პროცესზე, რომელიც არ გამორიცხავდა პრესაში ამავე საკითხის წინასწარი განხილვის შესაძლებლობას. ვორმმა დაამატა, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობამ არ უნდა შეზღუდოს პარალელური დისკუსია და კომენტარები პრესაში. სასამართლო პროცესების გაშუქება პრესის მიერ ხელს უწყობს საქმის განხილვის საჯაროობას და სრულად შეესაბამება მე-6(1) მუხლის მოთხოვნას (სასამართლოში საქმის საჯაროდ განხილვა);

ბ) მედიის ამოცანაა, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, ხოლო საზოგადოების უფლებაა, მიიღოს ასეთი ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც საჯარო პირებს შეეხებათ. საჯარო პირების მიმართ მომეტებული ინტერესი არსებობს. შესაბამისად, საჯარო პირების მონაწილეობით სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე კომენტარების „დასაშვები ზღვარი“ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო პროცესის მიმართ (პარაგრაფი 50). სასამართლოს ამგვარი მსჯელობა განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ იგი სასამართლოსადმი უპატივცემულობასთან დაკავშირებით იგივე სტანდარტს აყენებს, რაც მანამდე მხოლოდ პატივისა და ღირსების შელახვის საქმეებზე ვრცელდებოდა. ამავე დროს, სასამარ-

თლო აღნიშნავს, რომ საჯარო პირებს კერძო პირების მსგავსად გააჩნიათ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება, რაც გულისხმობს საქმის განხილვას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. „დასაშვები კომენტარის ზღვარი“ დარღვეულად ჩაითვლება, თუკი გამონათქვამი სერიოზულ ზიანს აყენებს პირის უფლებას „სამართლიან სასამართლოზე“ ან სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას.

საქმე „News Verlags v Austria“ (2006.). გაზეთმა გამოაქვეყნა პუბლიკაცია, სადაც ავტორი ფაქტობრივად დადასტურებულად მიიჩნევდა აფეთქებაში ექვმიტანილის ბრალეულობას. სტატიას თან ერთვოდა ფოტომასალა. ავსტრიის კანონმდებლობა კრძალავს პიროვნების ფოტოს გამოქვეყნებას, თუ ეს ეწინააღმდეგება მის კანონიერ ინტერესებს. სასამართლოს ბრძანებით აკრძალული იყო ამ ექვმიტანილის სურათის გამოქვეყნება სისხლის სამართლის საქმის მსვლელობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პუბლიკაციაში. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ეს აკრძალვა არამართლზომიერად მიიჩნია, რადგანაც მას ზოგადი ხასიათი ჰქონდა და არ შემოიფარგლებოდა ექვმიტანილის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით.

1987 წელს, ბირმინჰემ სიქსის აპელაციის დროს, მე-4 არხმა მაყურებელს შესთავაზა ლამის ახალი ამბების რეპორტაჟი, სადაც მსახიობები ითამაშებდნენ მოსამართლეების, ადვოკატებისა და მონშეების როლებს. ეს პროექტი შეაჩერა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც გამოსცა ბრძანება აკრძალვის თაობაზე. სასამართლოს აზრით, გადაცემა ნეგატიურ გავლენას მოახდენდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. გადაცემას შეეძლო საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა, მოეხდინა მასზე შთაბეჭდილება, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება ზენოლის შედეგად გამოიტანა, ეს კი ძირს გამოუთხრიდა სასამართლოს გადაწყვეტილები-სადმი საზოგადოების ნდობას. მე-4 არხმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ მის უფლებებს. ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ ჩარევა შეესაბამებოდა „გადაუდებელ საზოგადოებრივ მოთხოვნებს“ და არ დააკმაყოფილა საჩივარი (C v UK (App.#14132/88, 13 აპრილი, 1989 წელი). შემდგომში უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-10 მუხლს, მაგრამ იგი არღვევდა სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ 1981 წლის კანონს (საქმეში „Al Meghrali v Times Newspapers LTD.“ 10 აგვისტო 1999; იხილეთ: Scots Courts Website at <http://www.scotcourts.gov.uk>).

### 9.6.3. წინასაპროცესო აკრძალვები

„სანდი ტაიმისი“ საქმე ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის თაობაზე შეეხებოდა სასამართლოს მიერ იმ საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნების აკრძალვას, რომელიც, ადგილობრივი სასამართლოს აზრით, სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ კანონს არღვევდა. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ პუბლიკაციაზე წინასწარი შეზღუდვა არ მიიჩნეოდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად. სასამართლომ ეს გარკვევით განაცხადა საქმეში „Observer and Guardian v UK“ (1991) 14 EHRR 153, პარაგრაფი 60, თუმცა დასძინა, რომ წინასწარი შეზღუდვისათვის დამახასიათებელი საშიშროებანი ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი მის მიერ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრესასთან მიმართებაში, ვინაიდან ინფორმაცია გაუფასურდება, თუ მას დროულად არ მიანვდიან საზოგადოებას. სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ში წიგნის გამოქვეყნებამდე სასამართლო აკრძალვა მართლზომიერი იყო და შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. მას შემდეგ კი, რაც წიგნი აშშ-ში გამოქვეყნდა, ინგლისის სასამართლოს ბრძანებამ გამოქვეყნების აკრძალვის თაობაზე აზრი დაკარგა და მისი შემდგომი არსებობა ველარ ჩაითვლებოდა „აუცილებლად დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

### 9.6.4. მართლმსაჯულების კრიტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული რამდენიმე საქმე შეეხებოდა მე-10 მუხლის ისეთ შესაძლო დარღვევას, რომელიც დაკავშირებული იყო მედიის მიერ მოსამართლეთა პატივისა და ღირსების შელახვასთან. პრინციპში, სასამართლომ დაადასტურა, რომ პრესის როგორც „საზოგადოების დარაჯის“ როლი მოიცავს მართლმსაჯულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევისაც. პრესა ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შეუძლიათ შეაფასონ, თუ რამდენად ეფექტურად და დანეხებული მოთხოვნების შესაბამისად ასრულებენ მართლმსაჯულების მსახურები თავიანთ მძიმე მოვალეობას („Prager and Oberschlick v Austria“ (1995) 21 EHRR 1, at para.34). ამასთანავე, სასა-

მართლმადიდებელი ეკლესიის მართლმსაჯულების განსაკუთრებულ როლს და ამ როლის შესასრულებლად საზოგადოებრივი ნდობის არსებობის აუცილებლობას: „აუცილებელია საზოგადოებრივი ნდობის დაცვა დაუსაბუთებელი შეტევებისაგან, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს შეზღუდული აქვთ ბრალდებებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა“. საქმეში „Prager and Oberschlick“ სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა, რამდენადაც საჩივრის წარმდგენმა ვერ შეძლო თავისი სიმართლის დასაბუთება.

საქმეში „Barfod v Denmark“ (1989) 13 EHRR 493 გრენლანდიის მაცხოვრებელს მსჯავრი დაედო ცილისწამებისათვის. მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა. ამ მოქალაქემ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გააკრიტიკა სასამართლოს ორი მსაჯული, რომელთაც გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ გამოიტანეს. ეს მსაჯულები სწორედ ამ ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში მუშაობდნენ. „მათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა“, — ნათქვამი იყო სტატიაში. გრენლანდიის სასამართლოს დასკვნის თანახმად, ამ გამონათქვამში იგულისხმებოდა, რომ მსაჯულებმა მიკერძოებულობა გამოიჩინეს და თავიანთი პროფესიული მოვალეობა არ შეასრულეს. გრენლანდიის სასამართლომ აღიარა, რომ მსაჯულებს საერთოდ არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამ სასამართლო პროცესში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი აზრით, მსაჯულთა მიკერძოების დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ არსებობდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მკაცრად გააკრიტიკეს ამ გადაწყვეტილების გამო, რადგან მან ვერ შეძლო სტატიაში წამოჭრილი საკითხის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო ნევრი სახელმწიფოების დისკრეციულ უფლებამოსილებებს და სავალდებულოდ მიიჩნია, პატივი ეცა ადგილობრივი კანონმდებლობისათვის, რომელიც მსაჯულებს განსაკუთრებულად იცავდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაცილებით ჯანსაღი პოზიცია დაიკავა საქმის — „De Haes and Gijssels v Belgium“ (1997) 25 EHRR 1 — განხილვისას. საჩივრის წარმდგენმა საგაზეთო სტატიებში მკაცრად გააკრიტიკა ანტივერპენის სააპელაციო სასა-

მართლო, რომელმაც ბავშვებზე მეურვეობა დააკისრა მამას, ნოტარიუსს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეჭვმიტანილი იყო ინცესტში და ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის სხვა ფაქტებში. ნოტარიუსს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია, თუმცა სასამართლოს არც მისი სარჩელი დაუკმაყოფილებია მეუღლის წინააღმდეგ პატივისა და ღირსების შელახვის თაობაზე, რადგან ამ ქალბატონის გულწრფელობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა და გენერალურმა პროკურორმა, რომლებიც ამ საქმეს განიხილავდნენ, წარადგინეს სარჩელი ჟურნალისტების წინააღმდეგ, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ საგაზეთო პუბლიკაციები არაობიექტურობაში სდებდნენ მათ ბრალს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ჟურნალისტების უფლებები. სტატიები ბავშვების ჯამრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნიდან ციტირებულ მრავალ ფაქტს შეიცავდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა დაცვის სასამართლომ აღიარა, რომ ადგილობრივ სასამართლოს უნდა შეესწავლა სამედიცინო დასკვნის ასლები. სტატიები კომენტარის ხასიათს ატარებდა. ამავ დროს, ჟურნალისტებს თავიანთი მოსაზრებების გასამართლებლად საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი გააჩნდათ. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ არ მოიწონა სტატიების პოლემიკური (და თანაც აგრესიული) ტონი, მაგრამ აღიარა, რომ ჟურნალისტებს აზრის გამოხატვის ფორმის თავისუფლება გააჩნიათ, რაშიც სასამართლო ვერ ჩაერევა. სტატიებში მითითებული იყო, რომ ერთ-ერთი მოსამართლის მამა ნაცისტებთან თანამშრომლობისათვის იყო ნასამართლელი, ეს კი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კერძო ცხოვრებაში ჩარევად მიიჩნია. თუმცა საკითხი იმ საჯარო დისკუსიების ფონზე უნდა განხილულიყო, რაც ქვეყანაში ბავშვებზე განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა. ამდაგვარი საჯარო ინტერესი გადანონის კერძო ცხოვრებაში ჩარევის დაცვის ინტერესს. ამ შემთხვევაში ჟურნალისტებმა შეძლეს დაერწმუნებინათ სასამართლო, რომ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობის გამო გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეზღუდულიყო მართლმსაჯულების ავტორიტეტის დაცვის მოტივით. შესაბამისად, საკითხი თავისუფალი პრესის სასარგებლოდ გადაწყდა.

### 9.6.5. კრიტიკა ადვოკატების მიერ

ადვოკატები სხვა პირთა მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. ამავ დროს, საზოგადოებასა და სასამართლოს შორის შუამავლის განსაკუთრებული სტატუსი მართლმსაჯულების განხორციელებისას მათ მთავარ პოზიციაზე აყენებს. განსაკუთრებული სტატუსი მათ ავალდებულებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების განხორციელებასა და სასამართლოებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებაში. შეეცარიელმა ადვოკატმა შოფპერმა ჩაატარა პრესკონფერენცია და განაცხადა, რომ არასწორად მიაჩნდა ადგილობრივი პროკურატურის გადანყვეტილება. ამის გამო ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებამ მას დისციპლინური სახდელი დააკისრა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შოფერისათვის დაკისრებული საკმაოდ მოკრძალებული და ზომიერი ჯარიმა არ იყო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. პრესკონფერენციის მონყობის დროისათვის მას თავისი კლიენტის სამართლებრივი დაცვის ყველა კანონიერი შესაძლებლობა ამონურული არ ჰქონია. შემდგომში ამ სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით შოფერმა ნაწილობრივ წარმატებასაც კი მიაღწია. სწორედ ამის გამო არადამაჯერებლად იქნა მიჩნეული ადვოკატის არგუმენტი, რომ მას მედიისათვის საჩივრით მიმართვის გარდა სხვა ალტერნატივა არ გააჩნდა („Schopfer v Switzerland“ [1998] EHRLR 646).

„Zihlman v Switzerland“ (App. #21861/93) (1995) 82 DR12 საქმის განხილვისას კომისიამ საჩივარი დასაშვებად არ მიიჩნია ანალოგიური მოსაზრების გამო. განსხვავებით ისეთი პროცესებისაგან, როგორიცაა „De Haes and Cuijels“ (9.6.4.), სტრასბურგის სასამართლოზე გავლენა იქონია საჩივრის წარმდგენის გამონათქვამის ტონმა. კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის სტატუსი მას ავალდებულებს, იყოს „ფრთხილი, დაიცვას ობიექტურობა და შეინარჩუნოს საუბრისას ნეიტრალური ტონი“.

თუმცა, ცილმანის საქმეში ხაზი გაესვა ორ სხვა საკითხს: პირველ რიგში, მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დისკრეციულ უფლებამოსილებებს, რამდენადაც ადვოკატებთან და სასამართლო ადმინისტრაციასთან პირდაპირი და ხანგრძლივი ურთიერთობის გამო პროფესიულ ასოციაციებსა და ეროვნულ სასამართლოებს საერთაშორისო სასამართლოზე უკეთესად შეუძლიათ უზრუნველყონ კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა ბალანსირება. მით

უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება მართლმსაჯულების აღსრულებისა და პროფესიული ღირსების ინტერესებს (იქვე მიუთითებს საქმეს „Caso Coca v Spain“ (1994) 18 EHRR 1).

მეორე რიგში, ხაზი გაესვა მცირე ზომის სასჯელს, რაც გადამწყვეტია გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მიზნის პროპორციულობის შეფასებისას. კომისია ანალოგიურად მიუდგა საკითხს, როდესაც უარი განაცხადა ავსტრიელი მოსამართლის საჩივარის განხილვაზე დაუშვებლობის მოტივით. ფრაზისათვის — „სასამართლო სისტემა მსუბუქი ყოფაქცევის ქალია“ — მან შედარებით რბილი სახდელი — საყვედური დაიმსახურა (საქმე „Leininger-westerburg v Austria“ (App. # 26601/95) ((1997) 880 R85).

### 9.6.6. სასამართლოებში დაშვება

შეუძლიათ თუ არა ჟურნალისტებს, კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე მოითხოვონ სასამართლო პროცესების საჯაროობა? ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მე-6 მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის ბრალდებისა თუ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისას სასამართლო საქმეების სამართლიან და საჯარო განხილვას. მე-6 მუხლის მიხედვით, ეს უფლება სასამართლო პროცესში უშუალოდ მონაწილე მხარეებს გააჩნიათ და ნაკლებად ეხება გარეშე პირებს, მათ შორის პრესასაც. იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მხარეებს სურთ, აიცილონ მედიის ყურადღება ანდა მათთვის სულერთია პროცესის საჯაროობის საკითხი, შეუძლია თუ არა მედიას, თავად მოითხოვოს სასამართლო საქმის საჯარო განხილვა? შეუძლიათ თუ არა მათ ასეთ შემთხვევაში მიუთითონ კონვენციის მე-10 მუხლზე?

მიუხედავად იმისა, რომ სხვა საკითხებთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „პოზიტიური ვალდებულების“ დოქტრინას უჭერს მხარს, მე-10 მუხლთან დაკავშირებით მან მიიჩნია, რომ ეს მუხლი გულისხმობს არა ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას, არამედ, ერთი მხრივ, პირს, რომელსაც სურს ინფორმაციის გაცემა და, მეორე მხრივ, პირს, რომელსაც მისი მიღება სწადია. აქ არ იგულისხმება, რომ პირი შეიძლება ვაიძულოთ გასცეს ინფორმაცია, თუკი მას ამის გაკეთება არ სურს (იხილეთ: „Leander v Sweden“ (1987) 9 EHRR 433 და „Guerra and others v Italy“ ((1998) 26 EHRR 357). რო-

დესაც საქმე ეხება სასამართლო პროცესების საჯაროობას, განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს. სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ სასამართლო პროცესის საჯაროდ წარმართვა ვალდებულე-ბაა, რომელიც ემსახურება როგორც საზოგადოების, ასევე მონაწილე მხარეთა ინტერესებს. შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ პროცესის საჯაროობის შესახებ თავიანთ უფლებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სწორედ მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ დაადასტურონ საზოგადოებრივი ინტერესების არსებობა. კონვენციიდან გამომდინარე, მედიას ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის მე-10 მუხლი ასეთ პოზიტიურ უფლებას ითვალისწინებს.

ეს არგუმენტი წარედგინა კომისიას საქმეში „Atkinson, Crook and The Independent v UK“ (App. #13366/87) (1996) 670 R244). რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, სასამართლო განხილვაზე ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური არ არის და შესაძლებელია შეიზღუდოს, თუ „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არსებობს იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ამავე მუხლის მე-2 პუნქტშია მითითებული. მე-6(1) მუხლში აღნიშნული შემთხვევები პირდაპირ არ უკავშირდება მე-10 მუხლს, მაგრამ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ. „Atkinson and Crook“-ის საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ნებისმიერი ჩარევა ჟურნალისტების უფლებაში სასამართლო განხილვების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გამართლებული უნდა იყოს „აუცილებლობით“ „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

საჯაროობა ფართო გაგებით განხილულ იქნა საქმეში „Grupo Interpres SA v Spain“ (App. # 32849/96) (1997) 89 DR 150. კომერციულ ორგანიზაციას სურდა მიეღო ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილებათა არქივიდან მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით, რომელსაც შემდგომში კომერციული მიზნისათვის გამოიყენებდა (ამ ინფორმაციას მიჰყიდდა ფინანსურ დაწესებულებებს). ადგილობრივმა სასამართლომ კომერციული ორგანიზაციის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საჩივრის წარმდგენმა განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება. კომისიამ საჩივარი არ მიიღო, რადგან მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლება არ გულისხმობს ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომლის გაცემაც მის მფლობელს არ სურს. სასამართლო არქივში დაცული მასალები ზოგადად ღია არ არის,



რადგანაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა. ეს, და კიდევ სხვა ფაქტორები, წარმოადგენს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ერთ-ერთ პრინციპს. თუმცა საჩივრის წარმდგენის კომერციული ინტერესი მოცემულ საქმეზე უფრო მეტ პრობლემას ქმნის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

მთავრობის მიერ ნებისმიერი მოკვლევისა თუ გამოძიების დაწყებისას კონვენციის მე-6 მუხლის დაცვა შეიძლება ყოველთვის არ მოხერხდეს, რადგანაც, შესაძლოა, მოკვლევის ამოცანა არ იყოს სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა. თუმცა ზოგ შემთხვევაში კონვენციის ამ მუხლის მოთხოვნები მაინც უნდა შესრულდეს. 2000 წლის ივნისში რაიონულმა სასამართლომ განიხილა საჩივარი ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც შეეხებოდა დოქტორ ჰეროლდ შიპმანის საქმიანობის გამოძიების დახურულად წარმართვას („R v Secretary of State for Health“). საჩივრის წარმდგენმა მიუთითა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა მე-10 მუხლს. მთავრობამ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ მომხდარა „ჩარევა“ გამოხატვის თავისუფლებაში. სტრასბურგის სასამართლო მთავრობის პოზიციას არ დაეთანხმა. მედიას შეუძლია მიუთითოს კონვენციის მე-10 მუხლზე, რამდენადაც მას საჯარო სასამართლოს სხდომაზე დასწრების უფლება გააჩნია. მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლო განხილვამდე ზოგიერთ მონმესაც სურდა პროცესის საჯაროდ ჩატარება. მთავრობამ მოგვიანებით მიიღო გადაწყვეტილება სასამართლო გამოძიების საჯაროდ ჩატარების თაობაზე.

### **9.6.7. მე-6 მუხლი და „საჯარო განხილვის“ ვალდებულებების გაფართოება**

კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვების ცოდნა მნიშვნელოვანია მედიისათვის მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები უშუალოდ მასზე არ ვრცელდება. უწინარეს ყოვლისა, იგი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების პირველ სასამართლო განხილვას ეხება. დიდ ბრიტანეთში არსებული პრაქტიკა მცირე მნიშვნელობის სარჩელების დახურული წესით განხილვის თაობაზე არამართლზომიერად მიიჩნია სტრასბურგის სასა-

მართლმ. შედეგად დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში, რითაც საქმეთა საჯარო განხილვის პრეზუმფცია აღიარა (იხ.: „Scarth v Uk”. [1999] EHRLR 322).

ობადება კითხვა: საჯარო უნდა იყოს თუ არა წინასასამართლო პროცედურები? ადამიანის უფლებათა კომისიის ძველი გადანყვეტილებების მიხედვით, საჯაროობის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან ზემოხსენებული პროცედურები არ „განსაზღვრავენ“ სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს („X v UK” (1970)), თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განსხვავებულია (იხ.: მაგ.: „Robins v UK” (1997) 26 EHRR 527, პარაგრ. 28). ნებისმიერ შემთხვევაში, გაერთიანებული სამეფოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მედიის ინტერესები უნდა იყოს დაცული დროებითი გადანყვეტილებების მიღებისას და ეს უკანასკნელი საჯარო განხილვის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული („Hodgson v Imperial” [1998] 2 ALL ER 673). ეს პოზიცია აისახა კიდევ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში (CPR Part 89, r 8.9.2).

„Diennet v France” (1997) 21 EHRR 554 საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, რადგან საფრანგეთის სამედიცინო ტრიბუნალის საპროცესო წესები ყველა სხდომის დახურულ კარს მიღმა ჩატარებას ითვალისწინებდა. ასეთი საქმეების განხილვისას სასამართლო შეიძლება კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხოს, ამიტომაც სასურველია არსებობდეს ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც საქმის განხილვა საჯაროდ წარიმართება მანამ, სანამ სასამართლო კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა ღიად ტარდება, სასამართლო პროცესზე საზოგადოების დასწრების შესაძლებლობა უნდა იყოს რეალური და არა ილუზიური (იხ.: მაგ.: „Riepan v Austria” 14 Nov. 2000 (ევროსასამართლო)).

როგორც ვნახეთ, მე-6(1) მუხლი თავად ითვალისწინებს, რომ ზოგ შემთხვევაში საჯაროობა შეიძლება შეიზღუდოს. „Campbell and Fell v UK” ((1984) 7 EHRR 165) საქმეზე გასაჩივრდა ციხეში დისციპლინარული სახდლების დადების თაობაზე სხდომათა დახურულ კარს მიღმა ჩატარების პრაქტიკა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს პრაქტიკა მიზნის პროპორციულად აღიარა მე-10(2) მუხლის თანახმად. ნებისმიერ შემთხვევაში, აღიარებულ იქნა, რომ მოსამართლის მიერ სხდომის დახურულ კარს მიღმა ჩატარების მოთხოვნის განხილვა უნდა პასუხობდეს მე-6(1) მუხლის მოთხოვნებს (CPR, PD 39, para.1.4A).

საქმეში „T v UK“ (2000) 7 BHRC 659 განხილულია საპირისპირო პოზიცია. ორი არასრულწლოვანი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ჩვილი ბავშვის, ჯვიმს ბულგერიის, მკვლელობა, გასამართლებულ იქნენ სრულწლოვანთა სასამართლოში, თუმცა გარკვეული შესწორებები შეიტანეს მათი ასაკის გამო (პროცესის დროს ბრალდებულები 11 წლის ასაკის იყვნენ). მათ საქმეზე სამკვირიანი საჯარო სასამართლო პროცესი გაიმართა, რამაც მედიის ყურადღებაც მიიპყრო. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო დაეყრდნო ბავშვთა უფლებების თაობაზე გაერთიანებული ერების კონვენციასა და პეკინურ პრინციპებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ზოგად დებულებას ბავშვთა პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ. მთავრობამ განაცხადა, რომ საჯარო სასამართლო პროცესები (განსაკუთრებით, გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით) საზოგადოების ინტერესს ემსახურება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილება სხვა ფორმითაც იქნებოდა შესაძლებელი (შერჩევითი დასწრების ან სპეციალური რეპორტაჟის ორგანიზება). საჯარო განხილვის გამო ბრალდებულს არ მიეცა სასამართლო განხილვებში სრულყოფილი მონაწილეობის საშუალება და, შესაბამისად, დაირღვა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე.

გარდა საჯარო სასამართლო განხილვის მოთხოვნისა, მე-6 მუხლის თანახმად, ასევე საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილების საჯარო გამოცხადება, თუმცა ეს მოთხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული. შესაძლოა, გადაწყვეტილება სასამართლოს საჯარო რეესტრშიც მოთავსდეს, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია (საქმეში „Pretto v Italy (1983) 6 EHRR 182, Suffer v Switzerland“ (1984) 6 EHRR 272). თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კანონიერი ინტერესის არსებობისას გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა გამოცხადდეს საჯაროდ („Werner v Austria“ (1997) 26 EHRR 310, პარაგრაფები 56-59; *Strucs v Austria*, 24 ნოემბერი 1997).

### **9.6.8. სასამართლო პროცესის საჯაროობა და მონაწილეთა ინტერესები**

ხშირად სასამართლო პროცესი პიროვნებისა და მისი ოჯახური ცხოვრების ყველაზე ინტიმურ საკითხებს ეხება. კონვენციის მე-8 მუხ-

ლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის სახლსა და მიმონერას. როგორ უნდა მოხდეს ამ ორი ინტერესის შეთავსება? „Z v Finland“ (1997) 25 EHRH 371 საქმე ეხებოდა ქალბატონს, რომლის ქმარიც დადანაშაულებული იყო მკვლელობის მცდელობაში. შიდასი დაავადებულმა მეუღლემ ქალბატონს განზრახ შეუქმნა შიდასი ვირუსით ინფიცირების საფრთხე. ამასთან დაკავშირებით პოლიციამ შეისწავლა სამედიცინო ინფორმაცია ცოლისა და ქმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რაც დაერთო კიდევ საქმეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის ეს ნაბიჯი გამართლებული იყო კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისების შესაბამისად, რადგან იგი მიზნად ისახავდა სხვათა უფლებების დაცვასა და დანაშაულის თავიდან არიდებას. ქმარი დამნაშავედ ცნეს, თუმცა საქმე სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. სასამართლოს შეეძლო განაჩენში ქალის სახელის მხოლოდ ინიციალებით მოხსენიება, მით უფრო, რომ წინასწარ იცოდა დაზარალებულის ასეთი სურვილის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ ამ უკანასკნელის სრული სახელი და გვარი გამოაქვეყნა. პრესისათვის ხელმისაწვდომი განაჩენით სააპელაციოზე იქნა გამოტანილი ინფორმაცია დაზარალებულის შიდასი დაავადების თაობაზე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ დაზარალებულის სრული სახელისა და გვარის გამოქვეყნება არ იყო „აუცილებელი“ და არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ დაზარალებულის უფლებებს.

ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოზე განსაკუთრებულად იმოქმედა ამ ინფორმაციის უკიდურესად განსაკუთრებულმა სპეციფიკამ. იგი არა მარტო საჩივრის წარმდგენის ჯანმრთელობას ეხებოდა, არამედ მეტად საშიშ დაავადებას უკავშირდებოდა. სასამართლომ აღნიშნა:

*ასეთი მონაცემების სააპელაციოზე გამოტანამ შეიძლება დრამატულად იმოქმედოს ადამიანის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაზე, ასევე სოციალურ და სამსახურებრივ მდგომარეობაზე. დაზარალებული შერცხვენილია და საზოგადოებისაგან მოკვეთის რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. ამ მიზეზთა გამო საჩივრის წარმდგენის ვინაობის გამხელამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ პირებზე, რომელთაც სურთ შიდასი დაავადებაზე ანალიზის აღება ან მკურნალობა. ეს კი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების ძალისხმევას, იბრძოლოს ეპიდე-*

მიის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ამიტომაცაა მნიშვნელოვანი. ასეთი ჩარევა არ შეიძლება იყოს მე-8 მუხლის შესაბამისი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ის გამართლებულია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობით (პარაგრაფი 96).

### 9.6.9. კონფიდენციალურობის შესახებ დადგენილი მოთხოვნების დარღვევები

როდესაც სასამართლო სხდომა დახურულია, ხოლო საქმეში არსებული დოკუმენტაცია კონფიდენციალური, მათი გამჟღავნება შეიძლება სანქციებს ითვალისწინებდეს. პრინციპში ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც კანონიერი მიზნის — „მართლმსაჯულების ავტორიტეტის“ — დაცვა. სხვაგვარია დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია აღარ ითვლება კონფიდენციალურად. „Harman v UK.“ (App. # 10038/82) (1984) 38 DR 53 — საქმეში ჰარიეტ ჰარმანმა (სამოქალაქო უფლებათა ეროვნული საბჭოს თანამშრომელი) ჟურნალისტებს გადასცა შინაგან საქმეთა დეპარტამენტის მიერ შექმნილი დოკუმენტების პაკეტი, რომელიც შეეხებოდა პირის უკანონო დაპატიმრებას. ამ საქმის თავისებურება ის იყო, რომ ყველა ეს დოკუმენტი საჯაროდ იქნა წაკითხული ღია სასამართლო პროცესზე. მიუხედავად ამისა, ლორდათა პალატამ ფარმანი დაადანაშაულა სასამართლოსადმი უპატივცემულობაში, რადგან მას ევალეზობდა ამ დოკუმენტაციის მხოლოდ სასამართლო პროცესის მიზნებისათვის გამოყენება. კომისიამ მისი სარჩელი დასაშვებად მიიჩნია. საქმე გადანყვეტილების გამოტანით არ დამთავრებულა, რადგან მხარეები მორიგდნენ. გაერთიანებულმა სამეფომ იკისრა უზენაესი სასამართლოს განხილვის წესების შესახებ კანონის შეცვლის ვალდებულება. თანამოსარჩელე ჟურნალისტის, დევიდ ლეის, საჩივარი კი დასაშვებად არ ცნეს, რადგანაც მისი ინტერესები მოცემულ საქმეზე დარღვეული არ ყოფილა „Leigh v UK.“ (App.# 10039/82) (1984) 38 DR 74).

„Weber v Switzerland“ (1990) 12 EHRR 508 (იხ.: აგრეთვე „Vareining Weelxbald bluf v Netherlands“ (1995) 20 EHRR 189 განხილული 13.22-ში) საქმეზე საჩივრის წარმდგენს დაეკისრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პრესკონფერენციის მონაცემებისათვის, სადაც მან გამჟღავნა

მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დეტალები. შვეიცარიის კანონის შესაბამისად, ინფორმაცია გამოძიების თაობაზე კონფიდენციალურად ითვლება და ჟურნალისტს მისი გამჟღავნება ეკრძალება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-10 მუხლი, რადგანაც ცხრა თვით ადრე იგივე პიროვნებამ გამართა პრესკონფერენცია, სადაც იგი, ფაქტობრივად, საქმის გამოძიების იმავე დეტალებს შეეხო, თუმცა მაშინ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტის მიერ მეორე პრესკონფერენციის გამართვისას ინფორმაცია საზოგადოებისათვის უკვე ხელმისაწვდომი იყო.

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა კრძალავს ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების გამჟღავნებას. „Attorney General v Associated Newspapers LTD“ [1994] 2 AC 238 საქმეში ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ ტერმინი „გამჟღავნება“ ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და იგი მოიცავს გაზეთის მიერ ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების გამოუქვეყნებელი დეტალების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებასაც. სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ კანონის დარღვევისათვის სასამართლომ ჟურნალისტს და გამომცემელს ჯარიმის გადახდა დააკისრა. ადამიანის უფლებათა კომისიამ საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა. გაზეთი ამტკიცებდა, რომ შეზღუდვა აბსოლუტური ფორმით იქნა მიღებული და ეროვნულ სასამართლოს „ჩარევის“ პროპორციულობაზე არ უმსჯელია. საჩივრის წარმდგენის მტკიცებით, ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. კომისიამ ეს მოსაზრება არ გაიზიარა. კომისიის აზრით, აკრძალვა მიზნად ისახავდა ნაფიც მსაჯულთა ოთახში საქმის დეტალებზე გულწრფელი მსჯელობისა და აზრთა გაცვლის ნახალისებას. თათბირის საიდუმლოს ნებისმიერი ფორმით გამჟღავნება ხელს შეუშლის თავისუფალ დებატებს. ამ შეზღუდვის აბსოლუტური ხასიათი დაკავშირებულია მის მიზანთან (იხ.: „Associated Newspapers LTD v UK“ (App. # 24770/94, 30 November 1994)).

„Du Roy and Malaurie v France“, 3 October 2000 საქმეში საკითხი ასევე ეხებოდა აბსოლუტურ აკრძალვას. საფრანგეთის კანონით აკრძალულია იმ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელს შეეხება. ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო კომპანიის ახალმა ხელმძღვანელობამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და

კომპანიის ყოფილი უფროსის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი წა-  
რადგინა. უურნალის გამომცემელსა და უურნალისტს ჯარიმის გადახ-  
და დაეკისრათ. საჩივრის წარმდგენები მიუთითებდნენ, რომ ზოგადი  
და აბსოლუტური ტიპის აკრძალვა კონვენციის მე-10 მუხლს ეწინააღ-  
მდეგება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა,  
რომ დაირღვა მე-10 მუხლი. სასამართლომ მიუთითა, რომ ფრაგული  
კანონის ზემოაღნიშნული ნორმა ანომალიას წარმოადგენს: მისი აკ-  
რძალვა ვრცელდებოდა მხოლოდ აღძრულ სისხლის სამართლის საქმე-  
ზე წარდგენილ სამოქალაქო სარჩელებზე. ასეთი ნორმის არსებობის  
ობიექტური საფუძველი არ არსებობდა. უფრო მეტიც, ეს კონკრეტული  
საქმე საჯარო ინტერესს ეხებოდა და აბსოლუტური აკრძალვა სრული-  
ად შეუსაბამო იყო.

### კომერციული განცხადება<sup>1</sup>

კომერციული ღირებულების მქონე ინფორმაციის გავრცელება როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში ფართო შეზღუდვის ობიექტია. კომერციული ღირებულების მქონე ინფორმაციის უამრავი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ამომწურავი. ასეთი ინფორმაციის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს ფიზიკურ პირთა და საწარმოთა ეკონომიკური ინტერესების დაცვასა და რეკლამირებას. კომერციული ღირებულების მქონე ინფორმაციის ყველაზე ნათელი მაგალითი რეკლამაა, მაგრამ თუკი სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი ასევე გულისხმობს მომხმარებელამდე კომერციული ინფორმაციის მიტანის ნებისმიერ ფორმას.

### რატომ ვიცავთ კომერციულ განცხადებას?

კომერციული განცხადება ნორმალური და გასაგები სიტყვების ისეთი ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ინფორმაციის ან აზრის სხვისთვის მიწოდებას. იმისათვის, რომ კომერციული განცხადება გამოირიცხოს კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან, აუცილებელია, სასამართლოებმა გამიჯნონ იგი სხვა ინფორმაციისაგან. ამავე დროს, როგორც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან, მიიღონ ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქციის თაობაზე:

*რიგითი მომხმარებლის ყოველდღიური ინტერესი კომერციული ინფორმაციის თავისუფალ მიღებასთან მიმართებით გაცილებით უფრო*

---

1 Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, *Media Law and Human Rights*, Blackstone Press, 2001 (თავი XII, იბეჭდება შემოკლებით).



მეტია, ვიდრე დღის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებატი-სადმი... მედიკამენტების ღირებულების ცვლილებისას ფასების გაზრდაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე ინფორმაცია გაცილებით მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის. ეს შეიძლება ნიშნავდეს ფიზიკური ტკივილის შემსუბუქებას ან პირველადი აუცილებლობის საგნების ხელმისაწვდომობას („Virginia State Board of Pharmacy v Virginia citizens Consumer Council” 425 US 748 (1976).

## დაპირისპირებული ინტერესები

კომერციული განცხადების შეზღუდვის მხარდამჭერი არგუმენტები უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე პოლიტიკური სიტყვის შეზღუდვის მომხრეთა არგუმენტები. ცხადია, რომ საზოგადოება დიდადა დაინტერესებული, აიკრძალოს შეცდომაში შემყვანი და ყალბი რეკლამა. მომხმარებლის ინტერესებისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის მხარდასაჭერად აუცილებელია კომერციული განცხადებების სათანადო რეგულირება.

## ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა

### კომერციული განცხადება: ძირითადი პრინციპები

კომერციული განცხადების დაცვის საქმეში სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა საქმე „Markt Intern Verlag and Claus Beermann v Germany” (1989) 12 EHRR 161. ეს პრეცედენტი ნევრ-სახელმწიფოებს უდიდეს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს კომერციული განაცხადებების მონესრიგებისა და აკრძალვის სფეროში. მოსამართლეთა ხმები ამ გადაწყვეტილების მიღებისას შუაზე გაიყო — ცხრა ხმა ცხრის წინააღმდეგ, მაგრამ თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტი აღმოჩნდა და სასამართლომ დაასკენა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი ამ საქმეზე არ დარღვეულა. საჩივრის წარმდგენმა გამოაქვეყნა ბიულეტენი, რომელიც გამოხატავდა

მომხმარებელთა უკმაყოფილებას შეპირებული შეღავათის მიუღებლობის გამო (რაც გადახდილი თანხის ნაწილის უკან დაბრუნებაში გამოიხატებოდა) ერთ-ერთი ფირმისაგან ფოსტის მეშვეობით შეძენილ კოსმეტიკურ პროდუქციაზე. ბიულეტენი სთხოვდა მკითხველებს, მიენოდებინათ დამატებითი ინფორმაცია ამ ფირმის კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით. საჩივრის წარმდგენს გერმანულმა სასამართლომ აუკრძალა მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნება იმის საფუძველზე, რომ ეს არღვევდა გერმანიის 1909 წლის კანონს „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“. გერმანიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენება ამ შემთხვევაში გაუმართლებელი იყო განცხადების კომერციული ხასიათიდან გამომდინარე. საჩივრის წარმდგენი კი ასაბუთებდა, რომ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენების სფეროს მხოლოდ პოლიტიკური და კულტურული ხასიათის ინფორმაციაზე გავრცელება პრესით გავრცელებული ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ინფორმაციის კომერციული ხასიათის მიუხედავად, ეს განცხადება კონვენციის მე-10 მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა. მან ხმათა უმრავლესობით უარი თქვა ეროვნული სასამართლოების მიერ ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების დეტალურ განხილვაზე, როდესაც დაადგინა, რომ კომერციული საქმიანობის სფეროში და, კერძოდ, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან მიმართებაში სახელმწიფოებს ეძლევათ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს თითოეულ ფაქტსა და საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გადამოწმება მოუწევდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხოლოდ ნევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომების სამართლიანობა და პროპორციულობა უნდა შეამოწმოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გერმანიის მთავრობა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა და, აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

სასამართლოს ეს პოზიცია სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. ბევრი სასამართლოს გადაწყვეტილებას კონვენციის კონტროლის ფუნქციაზე უარის თქმად განიხილავდა. სხვები მიიჩნევდნენ, რომ ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ გადაუხვია კონვენციის მე-10 მუხ-

ლის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა სათანადოდ დასაბუთებული უნდა იყოს. რამდენიმე მოსამართლემ განსხვავებული აზრი წარმოადგინა წერილობით, რომლის მიხედვითაც:

აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა კომერციული საქმიანობის სფეროში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პოლიტიკური საქმიანობის სფეროში. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სამენარმო საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა, შესაძლებელი უნდა იყოს იმ ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლისათვის შეთავაზებულ პროდუქციასა და მომსახურებასთან.

### კომერციული განცხადება და პროფესიული რეკლამა

„Barthold v Germany“ (1985) 7 EHRH 383. საქმე შეეხებოდა გერმანელი ვეტეკიმის (ქირურგის), ბარტოლდის მიერ ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუს, რომელშიც ვეტერინარი აღნიშნავდა, რომ ჰამბურგში არ არსებობდა ღამის სასწრაფო ვეტერინარული სამსახური. ბარტოლდმა მიუთითა, რომ მისი კლინიკა იყო ერთადერთი, რომელიც ასეთ მომსახურებას სთავაზობდა მომხმარებელს. ეს ინტერვიუ საფუძვლად დაედო მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას, რომლის მიხედვითაც მას პროფესიული ეთიკის ნორმებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ გერმანიის კანონის დარღვევაში ედებოდა ბრალი. გერმანულმა სასამართლოებმა აუკრძალეს მას მსგავსი განცხადებების გაკეთება იმ საფუძველზე, რომ ეს სცილდებოდა საჯარო ინტერესის საკითხზე ობიექტური კომენტარის ფარგლებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა. გერმანიის მთავრობა მიუთითებდა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ ვრცელდება კომერციულ განცხადებაზე და საკითხი უკავშირდება ვაჭრობისა და პროფესიული საქმიანობის თავისუფლებას, რომელიც არ არის დაცული კონვენციით.

მოსამართლეთა უმრავლესობამ უარყო ეს არგუმენტი იმაზე დაყრდნობით, რომ განცხადება საჯარო ინტერესთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და შეხედულებას შეიცავდა. მეტიც, საკითხი შეეხებოდა ჟურნალისტიკის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას და არა კომერციულ რეკლამას. სასამართლომ მიუთითა, რომ ბატონი ბარტოლდისათვის

დანესებული შეზღუდვები, მართალია, „სხვათა უფლებების დაცვის“ კანონიერ ინტერესს ემსახურებოდა, მაგრამ „აუცილებელი არ იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. სასამართლოს აზრით, ასეთი დაუსაბუთებელი ჩარევა სურვილს მოუსპობს თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე გამართულ საჯარო დებატებში. თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელს გაუჩნდება შიში, რომ მას არასათანადო რეკლამის გავრცელებაში დასდებენ ბრალს ამგვარ დებატებში მონაწილეობისათვის. მოსამართლე პეტიმ ამერიკული სამართლის გავლენით განსხვავებული აზრი წარმოადგინა, რომელშიც იგი მიუთითებდა:

*გამოხატვის თავისუფლება არის უფლება, მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია და იდეები. კომერციული განცხადება პირდაპირ არის დაკავშირებული ამ თავისუფლებასთან. რეკლამის სფეროს რეგულირებისას სახელმწიფოსათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭების პირობებშიც კი, ჩემი აზრით, ის მაინც უდავოა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება თავის თავში „კომერციული განცხადების“ თავისუფლებასაც მოიცავს.*

„Cosado Coca v Spain“ (1994) 18EHR121. საქმე შეეხება იურისტისათვის თავისი საქმიანობის რეკლამის აბსოლუტურ აკრძალვას. საჩივრის წარმდგენმა ადგილობრივ გაზეთში განათავსა განცხადება, რომელიც შეიცავდა მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციას: სახელს, მისამართსა და ტელეფონის ნომერს. განცხადებაში არაფერი იყო სინამდვილესთან შეუსაბამო ან შეცდომაში შემყვანი. განცხადება არც სხვა იურისტების კრიტიკას შეიცავდა. კომისიამ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. ამის სანაწილდემოდ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-10 მუხლი არ დარღვეულა. კომისიამ მიიჩნია, რომ მსგავსი განცხადების სრული აკრძალვა გადაჭარბებულია და „აუცილებელი არ არის დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. კომისიის აზრით, ასეთი აკრძალვით არა მხოლოდ საჩივრის წარმდგენის, არამედ ინფორმაციის თავისუფალ მიღებაზე საზოგადოების უფლებაც იზღუდება. სასამართლომ კი ამ შემთხვევაშიც ისევ სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილების დოქტრინა გამოიყენა და შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ მე-10 მუხლი არ დარღვეულა. სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოცემულ საქმეზე სანქციის უმნიშვნელო ხასიათი, იურიდიული რეკლამის თაობაზე ევროპაში კონსენსუსის არარსებობა და საკითხის სირთულე.

„Colman v United Kingdom” (App. #16632190). საქმე შეეხებოდა პროფესიული რეკლამის სრულ აკრძალვას. კომისიამ საჩივარი დასაშვებად მიიჩნია, მაგრამ საქმე მხარეთა მორიგებით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ კონვენციის დარღვევა არ აღიარა, მან საჩივრის წარმდგენს კომპენსაციის სახით 12 500 ფუნტი სტერლინგი გადაუხადა.

„Lindner v Germany” (App. #32813/96, 9 march 1999). სასამართლოს უნდა განეხილა გერმანელი ადვოკატის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც რეკლამირებისას არღვევდა პროფესიულ ეთიკას. სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელი მიუღებელი იყო და განაცხადა:

“...მოქალაქისათვის რეკლამა არის საშუალება, შეაფასოს მისთვის შეთავაზებული პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხი. თუმცა ასეთი რეკლამა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს, განსაკუთრებით, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და საეჭვო თუ შეცდომაში შემყვანი რეკლამის აღსაკვეთად. ზოგიერთ შემთხვევაში თუნდაც ობიექტური და უტყუარი ცნობების გამოქვეყნებითაც შეიძლება შეილახოს სხვათა უფლებები. სასამართლომ ყოველი ასეთი შემთხვევა დანვრილებით უნდა შეისწავლოს და საქმე კონკრეტული გარემოებების შეფასებით უნდა გადაწყვიტოს”.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ნევრ სახელმწიფოებში პროფესიული რეკლამის რეგულირების უამრავი საშუალება არსებობს. სასამართლომ ეს სახელმწიფოთა ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით ახსნა. მოცემულ საქმეში სასამართლომ საჩივრის წარმდგენზე დაკისრებული სახდელი, მისი უმნიშვნელობის გამო, მიზნის არაპროპორციულ ზომად არ მიიჩნია.

### **კონკურენტის ან პროდუქტის კრიტიკა კომერციულ განცხადებაში**

„Jakubovski v Germany” (1994) 19 EHRR 12 64. საჩივარი წარადგინა საინფორმაციო სააგენტოს მიერ სამუშაოდან გათავისუფლებულმა რედაქტორმა. საჩივრის წარმდგენს სასამართლომ აუკრძალა ჟურნალისტებთან მიმოწერა, რადგან ის აკრიტიკებდა ყოფილ დამსაქმებელს და სთავაზობდა ჟურნალისტებს შეხვედრასა და მედიის პრობლემებზე საუბარს. საჩივრის წარმდგენმა მიუთითა, რომ ასეთი აკრძალვა არღვევდა მისი აზ-

რის გამოხატვის თავისუფლებას. კომისიამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ ირღვეოდა მე-10 მუხლი. თუმცა სასამართლო კომისიის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და სახელმწიფოთა ფართო დისკრეციული უფლებამოსილების დოქტრინა გამოიყენა. სასამართლომ განაცხადა, რომ ასეთი სარეკლამო ხასიათის განცხადებების აკრძალვა შეუთავსებელი არ არის კონვენციასთან, ვინაიდან მოსარჩელეს მაინც რჩება უფლება, გააკრიტიკოს საინფორმაციო სააგენტო. ძნელია დაეთანხმოთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საჩივრის წარმდგენის წერილში უბრალოდ წარმოჩენილი და ხაზგასმული იყო ადგილები უკვე გამოქვეყნებული სტატიებიდან. გერმანულმა სასამართლომ მოცემული საქმე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კუთხით განიხილა და არ დაუკავშირა აზრის გამოხატვის თავისუფლებას. სტრასბურგის სასამართლოს კი ეს დამოკიდებულება არ გაუკრიტიკებია.

„Hartel v Switzerland“. საქმე შეეხებოდა „Swiss Association of Manufacturers and Suppliers of Household Electrical Appliances“ მოთხოვნით შვეიცარიული სასამართლოს მიერ გამოცემულ ბრძანებას. არაკეთილსინდისიერი კონკურენტის შესახებ შვეიცარიის კანონის შესაბამისად, საჩივრის წარმდგენს აკრძალა ინფორმაციის გავრცელება იმის თაობაზე, რომ მიკროტალღოვან ღუმელში მომზადებული საკვები ვნებს ჯანმრთელობას. საჩივრის წარმდგენი გახლდათ მეცნიერი, რომელმაც გამოაქვეყნა გამოკვლევა ამ თემასთან დაკავშირებით. ნაშრომში ნათქვამი იყო, რომ მიკროტალღოვან ღუმელში მომზადებულ საკვებს „შეეძლო“ ზიანი მიეყენებინა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ადგილობრივმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ნაშრომი დაუსაბუთებლად სცხებდა ჩირქს მიკროტალღოვანი ღუმლების დამამზადებლებს გაურკვეველი, შეცდომაში შემყვანი და დაუზუსტებელი განცხადებით.

ევროსასამართლომ ეს საქმე საზოგადოებრივ ინტერესთან მიმართებაში განიხილა. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა არა კომერციულ განცხადებაზე, არამედ ისეთ საზოგადოებრივ ფასეულობაზე, როგორცაა ჯანმრთელობა. სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივრის წარმდგენის აზრის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა, ვინაიდან მას ეს თავისუფლება უკანონოდ და საზოგადოებრივი ინტერესის საწინააღმდეგოდ შეეზღუდა. ის გარემოება, რომ საჩივრის წარმდგენის მოსაზრება საზოგადოების უმრავლესობის აზრს არ ემთხვევა, არ არის არსებითი, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს უმრავლესობის შეხედულების საფუძველზე.

## პოლიტიკური რეკლამა

სამწუხაროდ, დღეისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. საქმეში „Amnesty International (United Kingdom) v United Kingdom“ ( App. #38383/97) საჩივრის წარმდგენს მაუნყებლობის 1990 წლის კანონის საფუძველზე აეკრძალა რადიოთი სარეკლამო განცხადებების გავრცელება, რომლის მიზანი იყო რუანდასა და ბურუნდიში ადამიანის უფლებების დარღვევაზე ბრიტანული საზოგადოებრივი აზრის ყურადღების მიპყრობა. საკანონმდებლო ბაზა ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ რადიოეთერში არ უნდა მოხვდეს „ისეთი განცხადება, რომელიც შეკვეთილია ისეთი პირის მიერ ან ისეთი პირის მაგიერ, ვისი მიზნებიც მთლიანად ან უმთავრესად პოლიტიკური ბუნებისაა“. რადიოს ხელმძღვანელობამ თავდაპირველად უარი განაცხადა ასეთი რეკლამის განთავსებაზე. ეს უარი უშედეგოდ გასაჩივრდა ინგლისის სასამართლოში. საბოლოოდ, საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაეცა. თუმცა, სარჩელის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე რადიოს ხელმძღვანელობამ შეცვალა გადაწყვეტილება და საჩივრის წარმდგენს რეკლამის განთავსების უფლება მისცა. შესაბამისად, საქმის წარმოება სტრასბურგის სასამართლოში შეწყდა.

### კომერციული ორგანიზაციების განცხადებები საჯარო ინტერესის საკითხებზე

„Open Door Counselling and Dublin Well Woman Ireland“ (1992) 15 EHRH 12 245. საქმეზე საჩივარი წარადგინეს ირლანდიურმა ორგანიზაციებმა: „Open Door Counselling“ და „Dublin Well Woman“, რომლებიც ორსულ ქალთა უფლებებს იცავდნენ და საკონსულტაციო მომსახურებას ახორციელებდნენ, რაც გულისხმობდა საზღვარგარეთ აბორტის იოლი გაკეთების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის, ასევე სათანადო მისამართებისა და ტელეფონის ნომრების მიწოდებასაც. ბავშვთა შობამდელი უფლებების დამცველი საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ აკრძალა ასეთი ინფორმაციის ორსულთათვის მიწოდება.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თხუთმეტი ხმით რეის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ეს აკრძალვა არღვევდა კონვენციის

მე-10 მუხლს. უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ჩანასახის სიცოცხლის დაცვის კანონიერი ინტერესი სახელმწიფოს არ აძლევს შეუზღუდავ უფლებას, იმოქმედოს ამ ინტერესის დასაცავად.

ირლანდიის მთავრობა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე მიუთითებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები არ არის შეუზღუდავი და ჩანასახის სიცოცხლის დასაცავად მიღებული ნებისმიერი ზომა ავტომატურად ვერ ჩაითვლება მართლზომიერად. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი სახით აზრის გამოხატვა კონვენციის მე-10 მუხლითაა გარანტირებული და აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი არღვევს ამ მუხლს. სასამართლოს განაცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ინფორმაციას შეიძლება შოკის მომგვრელი ეფექტი ჰქონდეს და დაარღვიოს დემოგრაფიული ბალანსი, ეს მაინც არ არის მისი აკრძალვისათვის საკმარისი საფუძველი, განსაკუთრებით მაშინ, როცა აზრის გამოხატვა არ სცდება ფაქტობრივი და უტყუარი ინფორმაციის ფარგლებს. ეს ინფორმაცია შეეხება ისეთ მომსახურებას, რომელიც დაშვებულია ბევრ სხვა სახელმწიფოში და შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი იყოს ქალის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ ირლანდიაში დანაშაულად არ ითვლება ორსული ქალის საზღვარგარეთ გამგზავრება აბორტის გაკეთების მიზნით.



# თავი 6

## სახელმწიფო საიდუმლოება და ეროვნული უსაფრთხოება<sup>1</sup>

### 13.2. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა

#### 13.2.1. ეროვნული უსაფრთხოება: მთავარი პრინციპი

„Guardian and Observer v UK” (1991) 14 EHRR 153). ამ საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამხედრო თანამდებობის პირების უარი ჯარისკაცებს შორის ცალკეული ჟურნალების გავრცელებაზე იმ პირობებში, როდესაც სხვა ჟურნალების გავრცელება ნებადართულია, განიხილება ჩარევად და ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს („Vereinigung Demokratischer Soldaten und Gubi v Austria” (1994) 20 EHRR 56). სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება ვრცელდება შეიარაღებული ძალების წევრებზე (მაგ.: „Engel and others v Netherlands” (1976) 1 EHRR 647 და „Hadjiahastassiou v Greece”) და სამოქალაქო პირებზე (მაგ: Vogt v Germany 91995) 21 EHRR 205).

კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლია ის კანონიერი მიზნები, რომელთა გამოც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. მათ შორისაა: „ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები“, „ტერიტორიული მთლიანობა“, „არეულობის თავიდან აცილება“.

---

1 Andrew Nicol, Gavin Millar, Andrew Sharland, Media Law and Human Rights. Blackstone Press, 2001 (თავი XIII, იბეჭდება შემოკლებით).

საქმეში „Observer and Guardian v UK” (1991) 14 EHRR 153 ძნელია წარმოსადგენია, როგორ მოხერხდება ჯარისკაცებს შორის ჟურნალების გავრცელების აკრძალვით ეროვნული უსაფრთხოების დაცვა მაშინ, როდესაც ეს ინფორმაცია შეიძლებოდა ნაეკითხათ ავსტრალიაში, აშშ-ში და, ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირში.

### 13.2.2. საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება ან გამოქვეყნება

„Sunday Times v UK” (#2) (1991) 14 EHRR 299. საქმეში ინგლისის სასამართლომ აკრძალა ბატონ რაითის ნიგნში „Spycatcher” შესული მასალების შემდგომი პუბლიკაცია გაზეთში. რაითის მემუარები დეტალურად აღწერდა იმ დროს, როდესაც იგი MI 5-ში მუშაობდა. ნიგნი შეიცავდა ბრალდებებს ამ საიდუმლო სამსახურის უმოქმედობასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც „ობსერვერმა” და „გარდიანმა” დაბეჭდეს ორი მოკლე სტატია საიდუმლო სამსახურების მუშაობის შესახებ, მთავრობამ სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა და მოსამართლე მაილით ჯ.-მ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე აკრძალა „Spycatcher“-ის გამოქვეყნება.

მოსამართლის ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ლორდთა პალატამ. სასამართლოს ზემოხსენებული დროებითი აკრძალვა თავიდან დროის მოკლე პერიოდზე იყო გათვლილი, თუმცა 1986 წლის 11 ივლისიდან 1988 წლის 13 ოქტომბრამდე გაგრძელდა. ამავე დროს, საქმის არსებითად განხილვის შემდეგ მოსამართლემ უარი თქვა მთავრობისათვის მუდმივი აკრძალვის უფლების მინიჭებაზე. გაზეთმა მიმართა ევროპის სასამართლოს საჩივრით, რომ დროებითმა სასამართლო აკრძალვამ დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული მისი გამოხატვის თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ სადავო არ გამხდარა არც ჩარევის ფაქტი და არც ჩარევის კანონიერება (იყო თუ არა ჩარევა გათვალისწინებული კანონით). მთავრობამ დაასახელა ჩარევის ორი კანონიერი მიზანი: მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვა.

სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია არც ერთი ზემოთ დასახელებული კანონიერი მიზნის არსებობა (იხ.: პარაგრაფი 55-57). პრინციპი „სასამართლო ავტორიტეტის დაცვა” გულისხმობს სამართალ-

ნარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვასაც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დროებითი სასამართლო აკრძალვა სწორედ საერთო ნარმოების ერთ-ერთი მონაწილის, პროკურატურის, უფლების დაცვას ისახავდა მიზნად.

„ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან“ დაკავშირებით მთავრობა ბრიტანულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ ამ ინფორმაციის გახსნა ზიანს მიაყენებდა საიდუმლო სამსახურებს. იმ დროისათვის, როდესაც დავამ მიაღწია ლორდთა პალატამდე, „Spycatcher“-ი უკვე გამოქვეყნებული იყო მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში. მთავრობის პოზიციამ მოგვიანებით „საექვმო მეტამორფოზა“ განიცადა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ქვეშ ნაგულისხმევი იქნა „საიდუმლო სამსახურების ეფექტურობისა და რეპუტაციის შენარჩუნება და ნახალისება“, განსაკუთრებით კი: ა) მესამე პირთა მხრიდან ამ სამსახურისადმი ნდობის დაცვა; ბ) იმის დემონსტრირება, რომ საიდუმლო სამსახურების ყოფილი თანამშრომლების მიერ ინფორმაციის უნებართვო გაცემა არ ნახალისდება; გ) სხვათათვის ბატონი რაითისათვის მიბაძვის სურვილის მოკვლა (1991) 14 EHRR 153, პარაგრაფი 69).

სამწუხაროდ, ევროპის სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ახალი მიზანი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ინტერესის სფეროში შედიოდა. თუმცა სასამართლომ ერთხმად აღიარა, რომ 1987 წლის 30 ივლისიდან 1988 წლის 13 ოქტომბრამდე დროებითი სასამართლო აკრძალვის მოქმედებამ დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან ამ დროისათვის უკვე მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული აღნიშნული წიგნი. ამდენად, მასში მოცემული ინფორმაცია საიდუმლოდ ველარ ჩაითვლებოდა. ამ თვალსაზრისით ჩარევა მიზნის არაპროპორციული იყო.

სასამართლომ უარყო არგუმენტი, თითქოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოდიფიცირებული ინტერესი საკმარისი გამართლებაა დროებითი სასამართლო აკრძალვის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად.

მოსამართლეთა აზრი ორად გაიყო იმის თაობაზე, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლი 1986 წლის 11 ივლისიდან 1987 წლის 30 ივლისამდე.

უმრავლესობამ დაასკვნა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან წიგნის აშშ-ში გამოქვეყნებამდე შეზღუდვა კანონიერი მიზ-

ნის პროპორციული იყო და, შესაბამისად, „აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ (იხ.: პარაგრაფი 62-64).

ათი მოსამართლე ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ დროებითი სასამართლო აკრძალვის ძალაში შესვლისთანავე დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მოსამართლეების დასაბუთება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ზოგიერთი მათგანი უპირატესობას ანიჭებდა ხალხის უფლებას — მიიღოს ინფორმაცია და ასკვნიდა, რომ დროებითი აკრძალვა „პრესის თავისუფლების შენიღბულ ცენზურას“ წარმოადგენდა (იხ.: პარაგრაფი 201); ზოგიერთი მათგანი კი მიიჩნევდა, რომ დროებითი აკრძალვა უკანონოა, რადგან პრესის თავისუფლებაზე წინასწარი შეზღუდვის დაწესება უკანონოაა.

ერთი წლის შემდეგ სასამართლომ განიხილა საქმე „Hadjianastassiou v Greece“ (1992) 16 EHRR 219, სადაც საჩივარი წარადგინა საჰაერო შეიარაღებული ძალების ოფიცერმა, რომელსაც სამხედრო სასამართლომ სისხლის სამართლის სასჯელი (თავისუფლების აღკვეთის სახით) შეუფარდა მართვადი რაკეტების წარმოების შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაციის კერძო კომპანიისათვის მიყიდვის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის წარმდგენის მოსაზრება კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე, რადგან სახელმწიფოს მიერ დასახელებული მიზეზი — კონკრეტული სისტემის იარაღის წარმოების განვითარება — წარმოადგენდა კანონიერ მიზანს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოფიცერმა საიდუმლო ინფორმაცია გაამჟღავნა არა საჯარო ინტერესის გამო, არამედ იმიტომ, რომ კერძო კომპანიისაგან მიიღო ანაზღაურება.

„BluF v Netherlands (1995) 20 EHRR 189), საქმე შეეხებოდა საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებას. საჩივარი წარადგინა ყოველკვირეულმა ჰოლანდიურმა ჟურნალმა, რომელმაც ჰოლანდიის სპეცსამსახურების მოხსენება მოიპოვა. ინფორმაცია ასახავდა საიდუმლო სამსახურების ინტერესს ჰოლანდიის კომპარტიისა და ანტი-ბირთვული მოძრაობის მიმართ. მოხსენება შეიცავდა აგრეთვე ინფორმაციას ჰოლანდიაში პოლონური, ჩეხური და რუმინული სპეცსამსახურების საქმიანობის შესახებ. მოხსენება 6 წლის წინ იყო დაწერილი და ედო „კონფიდენციალურის“ გრიფი (გასაიდუმლოებული ინფორმაციის ყველაზე დაბალი კატეგორია). ჟურნალი მის გამოქვეყნებას დანარ-

თის სახით აპირებდა, მაგრამ გავრცელებამდე პოლიციამ უკლებლივ ყველა ეგზემპლარი ამოიღო. იმავე ღამით ჟურნალის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაზეთი 2500 ეგზემპლარად გაამრავლა და გაავრცელა ამსტერდამის ქუჩებში. რამდენიმე თვის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენელმა მიიღო ნებართვა აღნიშნული ეგზემპლარების მიმოქცევიდან ამოღების შესახებ. ევროპის სასამართლომ „Observer and Guardian v UK” საქმის ანალოგიურად მიიჩნია, რომ აღინიშნა კონვენციის მე-10 მუხლის ნაწილობრივი დარღვევა, რადგან გადამრავლებული ეგზემპლარები უკვე მიმოქცევაში იყო გაშვებული და, შესაბამისად, მის შეზღუდვას აზრი აღარ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ „Spycatcher“-ის შემთხვევაში ერთ მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა აშშ-ში გამოქვეყნების შემდეგ, სასამართლო იმავე პრინციპით მიუდგა გაცილებით ნაკლები ტირაჟით გავრცელებულ პუბლიკაციასაც. ასეთივე მიდგომა განახორციელა სასამართლო საქმეზე „Weber v Switzerland” (1990) 12 EHRR 508. საკითხის მიმართ სასამართლოს ამგვარი პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნეტის ხანაში, რამეთუ სახელმწიფოები ფაქტობრივად ვერ შეძლებენ, შეაფერხონ ინფორმაციის სწრაფი და საყოველთაო გავრცელება.

### 13.2.3. ისეთი გამოსვლების აკრძალვა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ ადრეულ საქმეში „Arrowsmith v UK” (1978) 3 EHRR 218 არ დააკმაყოფილა პაციფისტი ქალის სარჩელი, რომელიც თავისი პროკლამაციებით ჯარისკაცებს მოუწოდებდა, მიეტოვებინათ სამხედრო სამსახური ჩრდილოეთ ირლანდიაში. კომისიამ დაადგინა, რომ ჩარევა განპირობებული იყო კანონიერი მიზნით. კერძოდ, ის მიზნად ისახავდა ეროვნული უსაფრთხოების დაცვასა (იგულისხმება შეიარაღებული ძალების დასუსტების თავიდან აცილება) და შეიარაღებულ ძალებში არეულობის თავიდან აცილებას. საჩივრის წარმდგენმა მოიშველია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (იხ.: „Justice Holmes dissent in Abrams v US” 25045616 (1919) 624) და განაცხადა, რომ არ დასტურდებ-

ბოდა „აშკარა და მყისიერი საფრთხე“, ამიტომაც ჩარევა ზედმეტი და მიზნის არაპროპორციული იყო. სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და განაცხადა, რომ 9 თვის განმავლობაში მოსარჩელის პატიმრობაში ყოფნა იყო მიზნის პროპორციული და წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიული საზღადაოებისათვის“. კომისიის ეს გადაწყვეტილება სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული სასამართლოს ორი წევრის განსხვავებულ მოსაზრებაში, რადგან მთავრობამ ვერ მოახერხა წარედგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ როგორ მიაყენა საჩივრის წარმდგენის არაპოპულარულმა განცხადებებმა ზიანი ეროვნულ უსაფრთხოებას.

„Chorherr v Austria“ (1993) 17 EHRR 358 საჩივრის წარმდგენი დააპატიმრეს სამხედრო ცერემონიალის დროს სამხედრო თვითმფრინავების შექმნის საწინააღმდეგო მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილისათვის. იგი დაპატიმრებულ იქნა მას შემდეგ, რაც პოლიციის მოთხოვნის მიუხედავად არ შეწყვიტა დემონსტრაცია. სასამართლომ 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაპატიმრება საჭირო იყო არეულობის თავიდან ასაცილებლად და წარმოადგენდა პროპორციულ ზომას შექმნილი გარემოებისა და სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილებების გათვალისწინებით. ავსტრიის მთავრობამ ვერ შეძლო წარმოედგინა იმის მტკიცებულებები, არეულობის დაწყების რა ალბათობა იქმნებოდა მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარების შემთხვევაში. ასეთი მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა მაინც ვერ დაადასტურა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე სტრასბურგის სასამართლოს პოზიცია კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მიმართულებით შეუდარებლად პროგრესულია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც იყენებს „აშკარა და მყისიერი საფრთხის“ კონცეფციას. როდესაც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ, აუცილებელია, საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდეს, რომ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ ქმედებებს გამოიწვევს.

### 13.2.4. ისეთი გამოსვლების აკრძალვა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას ან სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას

საქმეში „Piermont v France“ (1995) 20 EHRR 301 საჩივრის წარმდგენი ევროპარლამენტის წევრი ადმინისტრაციული ბრძანების საფუძველზე გააძევეს წყნარ ოკეანეში არსებული საფრანგეთის კუთვნილ ტერიტორიიდან. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთი მოქმედებდა არეულობის თავიდან აცილებისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების კანონიერი მიზნებით, მაგრამ ასევე დაასკვნა, რომ ბრძანება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის“.

ბოლო დროს სტრასბურგის სასამართლოში ათობით საჩივარი იქნა განხილული თურქეთის წინააღმდეგ. ბევრ მათგანში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. ორ საქმეზე — „Surek v Turkey“ (#1) და „Surek v Turkey“ (#3) 8 July 1999 — სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის“. საქმე Surek v Turkey (#1) ეხებოდა საჩივრის წარმდგენის მიერ გაზეთში ორი წერილის გამოქვეყნებას, საქმე „Surek v Turkey“ (#3) კი ეხებოდა სტატიას, რომელიც მოწოდებდა ქურთისტანის ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად შეიარაღებული ბრძოლისაკენ. სტამბულის ეროვნული უშიშროების სასამართლომ დაასკვნა, რომ ორივე წერილი და სტატიაც გამიზნული იყო თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად, რადგან მათში თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია ქურთისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ხოლო PKK — ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციად იყო მოხსენიებული. იმავე სასამართლომ მოგვიანებით დაასკვნა, რომ წერილები და სტატია შეიცავდა ასევე მოწოდებებს ცალკეული ინდივიდების, საჯარო მოხელეებისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მკვლელობისაკენ. ევროპის სასამართლომ მართებულად მიიჩნია ასეთი მიდგომა და თურქეთის მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მიუთითა. სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობამ დაასკვნა, რომ სადავო წერილები და სტატია მართლაც შეიცავდა შუღლისაკენ მოწოდებებს და ამიტომაც ჩარევა აუცილებელი იყო „დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის“.

იმ მოსამართლეებმა, რომლებმაც განსხვავებული აზრი გამოთქვეს, გააკრიტიკეს უმრავლესობის მიერ დანარჩენ 13 თურქულ საქმეზე გამოყენებული ტესტი და განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი შემდეგს:

„თუკი პუბლიკაციებში მართლაც იყო ძალადობის ინიცირებაზე საუბარი, მაშინ ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს განაჩენი გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (Surek (#1) პარაგრაფი 25; (Surek (#3) პარაგრაფი 16). მოსამართლე ბონელომ ეს მტკიცება დაუსაბუთებლად მიიჩნია და საჭიროდ ჩათვალა ასეთ შემთხვევაში აშშ-ში მიღებული „აშკარა და მყისიერი“ ტესტის მსგავსი მიდგომის გამოყენება.



# კარი მეოთხე

ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
მნიშვნელოვანი  
გადანყვეტილებები



# თავი I

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები<sup>1</sup>

### ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ *Lingens v. Austria*

#### ძირითადი ფაქტები.

ბატონმა ლინგენსმა ავსტრიულ ჟურნალ „Profil“-ში 1975 წლის 14 და 21 ოქტომბერს გამოაქვეყნა ორი სტატია, რომელშიც იმჟამინდელი ფედერალური კანცლერი, ბატონი კრაისკი, მკაცრად გააკრიტიკა. ლინგენსმა კრაისკი ავსტრიის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარესთან, ბატონ ფრიდრიხ პეტერთან, ლოიალურ კავშირში ამხილა. ფრიდრიხ პეტერი მეორე მსოფლიო ომის დროს „SS“-ის ბრიგადაში მსახურობდა. ამავე დროს, ლინგენსმა კრაისკი გააკრიტიკა ბ-ნ ვიზენტალზე თავდასხმისათვის, რომელმაც საჯაროდ დაგმო ლიბერალური პარტიის თავმჯდომარის წარსული.

ბატონმა კრაისკიმ ბრალი დასდო ლინგენსს პატივისა და ღირსების შემლახველი არასწორი ცნობების გავრცელებაში. ვენის რაიონულმა სასამართლომ 1976 წლის 19 აპრილს ნაწილობრივ დააკმაყოფილა კრაისკის მოთხოვნა და ლინგენსს 20 000 შილინგის გადახდა დააკისრა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. საბოლოოდ, 1981 წლის 29 ოქტომბერის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლინგენსს 15 000

---

1. Cases and Materials on the European Convention on Human Rights, Alastair Mowbray, Butlerworth, 2001.

## ბ) საქმის განხილვა ადამიანის უფლებათა კომისიაში

ლინგენსმა კომისიაში საჩივარი წარადგინა 1982 წლის 19 აპრილს, სადაც მიუთითებდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული მისი უფლებების დარღვევაზე. 1983 წელს საჩივარი დასაშვებად გამოცხადდა.

კომისიამ ხანგრძლივი განხილვის შედეგად 1984 წლის 11 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ მე-10 მუხლი მართლაც დაირღვა. 1984 წლის 13 დეკემბერს საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაეცა.

### სასამართლოს გადაწყვეტილება (ამონაკრები)

#### სამართლებრივი საკითხები

#### კონვენციის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ

#### 34. კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად:

„1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია თუ იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინონარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად“.

ლინგენსი მიუთითებდა, რომ ავსტრიის სასამართლომ მისი უფლება სიტყვის თავისუფლებაზე ისეთი ხარისხით დაარღვია, რომელიც შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებთან.

ასეთივე დასკვნა გააკეთა კომისიამაც. მეორე მხრივ, მოპასუხე მხარე — ავსტრიის მთავრობა — ამტკიცებდა, რომ სადავო სასჯელი აუცილებელი იყო ბატონ კრაისკის რეპუტაციის დასაცავად.

35. არც ერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ორგანოების ჩარევას მოსარჩელის სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში. ეს ჩარევა გამოიხატა როგორც პირველი, ისე სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ განაჩენებში.

ამგვარი ჩარევა ეწინააღმდეგება კონვენციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული არ არის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ უნდა გაარკვიოს, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩარევა გათვალისწინებული იყო თუ არა კანონით, მიმართული იყო თუ არა იგი კონვენციაში მითითებული მიზნების დაცვისაკენ და ამგვარი ჩარევა აუცილებელი იყო თუ არა „დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის“.

36. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირველ ორ პირობასთან დაკავშირებით ეთანხმება ავსტრიის მთავრობასა და კომისიას, რამდენადაც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ამგვარი ჩარევა გათვალისწინებულია ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით და იგი ითვალისწინებს სხვა პირების რეპუტაციის დაცვას. სასამართლოს არ გაჩნია საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ასეთი ჩარევა სხვა მიზნების მისაღწევად იქნა გამოყენებული. ამგვარად, ავსტრიის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა კანონის საფუძველზე და კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

37. კომისიამ, საჩივრის წარმდგენმა და მოპასუხემ ყურადღება მიექციეს საკითხს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ამგვარი ჩარევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

საჩივრის წარმდგენი მიუთითებდა თავის როგორც ყურნალისტიკის როლზე, რომელიც პლურალისტურ საზოგადოებაში პოლიტიკურ თემებზე წერს. ამ ამპლუაში იგი თავს ვალდებულად თვლიდა, გამოეხატა თავისი პოზიცია კრაისკის მხრიდან ბატონ ვიზენტალის მწვავე კრიტიკაზე. საჩივრის წარმდგენი, ისევე როგორც კომისია, მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსი, რომელიც მიჩვეულია, იერიში მიიტანოს თავის ოპონენტებ-

ზე, უნდა მოელოდეს საკუთარი მისამართით უფრო მწვავე კრიტიკას, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქენი.

ავსტრიის მთავრობა, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ სიტყვის თავისუფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ეროვნულ სასამართლოებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც პოლიტიკური დისკუსიის პირად შეურაცხყოფაში გადაზრდას შეუშლის ხელს. ავსტრიის მთავრობა მიუთითებდა, რომ ბატონი ლინგენსის ზოგიერთი გამონათქვამი გასცდა დასაშვებ ზღვარს და, შესაბამისად, დაკისრებული სასჯელი საჭიროა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა კონფლიქტი კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ სიტყვის თავისუფლებასა და მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. კომისიის მიერ პირველი უფლების ფართო ინტერპრეტაცია ვერ უზრუნველყოფდა მეორე უფლების დაცვას.

38. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ აღნიშნა, რომ გამონათქვამები, რომლის გამოც ბატონი ლინგენსი დაისაჯა, ეხებოდა კრაისკის მხრიდან ბატონი ვიზენტალის მისამართით გაკეთებულ საჯარო ბრალდებებს. დასმული იყო ნაციონალ-სოციალიზმთან და ყოფილ ნაცისტებთან მისი დამოკიდებულების საკითხი.

39. ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივი მოთხოვნის“ არსებობას (იხ.: გადაწყვეტილება ბარტოლდის საქმეზე. სერია A.T. 90, გვ. 24-25, პუნქტი 55.). მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ასეთი საზოგადოებრივი მოთხოვნილება, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელია კანონმდებლობისა და მისი შესაბამისი პრაქტიკის (მათ შორის, სასამართლოთა გადაწყვეტილებების) კონტროლის განხორციელება ევროპის სასამართლოს მიერ. სწორედ ევროპის სასამართლოა უფლებამოსილი, საბოლოოდ დაადგინოს, რამდენად შეესაბამება „შეზღუდვა“ ან „სანქცია“ კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სიტყვის თავისუფლებას.

40. თავისი მაკონტროლებელი იურისდიქციის განხორციელებისას ევროპული სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ნაციონალური სასამართლოს სადავო გადაწყვეტილების განხილვით და საქმის კონტექსტი სრულად უნდა შეისწავლოს. ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ჩარევა „დასახული მართლზომიერი მიზნის“

შესატყვისი, არის თუ არა ეს დასაბუთებული ავსტრიული სასამართლოების მიერ და არის თუ არა ეს დასაბუთება საკმარისი (იხ.: გადანყეტილება ბარტოლდის საქმეზე. სერია ა, ტ. 90, მუხ. 25, პუნქტი 55).

41. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ვალდებულია გაიხსენოს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აზრის გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს, საზოგადოების პროგრესისა და საზოგადოების თითოეული წევრის თვითრეალიზაციის უმთავრეს პირობას. სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღლებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია (იხ.: ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პუნქტი 49).

ეს პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრესასთან მიმართებაში. მართალია, პრესამაც უნდა დაიცვას ის მოთხოვნები, რაც დადგენილია *inter alia* „სხვა პირთა რეპუტაციის“ დასაცავად, მაგრამ, ამავე დროს, მას ეკისრება პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელების მისია. ერთი მხრივ, პრესას აკისრია ამგვარი ინფორმაციის გავრცელების ამოცანა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებას უფლება აქვს, მიიღოს ეს ინფორმაცია თუ იდეები (იხ.: „სანდი ტაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პუნქტი 65). სასამართლო ვერ გაიზიარებს ვენის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პრესის ამოცანა ინფორმაციის გავრცელებაა, ხოლო ამ ინფორმაციის ინტერპრეტირება — მკითხველისა.

42. პრესის თავისუფლება საზოგადოების ხელში იმ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და იდეების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათზე ამა თუ იმ წარმოდგენის ჩამოყალიბება. პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კი სწორედ ამ კონცეფციას ეყრდნობა.

შესაბამისად, დასაშვებია კრიტიკის ფარგლები საჯარო პირების მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებისადმი. კერძო პირებისაგან განსხვავ-

ვებით, საჯარო პირმა უფრო მეტად უნდა მოითმინოს ის ყურადღება, რასაც მისი სიტყვა თუ საქმიანობა იწვევს უურნალისტებსა თუ მთლიანად საზოგადოებაში. საკმაოდ არ არის, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ყველას რეპუტაციას იცავს, ანუ იგი პოლიტიკოსებზეც ვრცელდება (მაშინაც კი, როდესაც ისინი საჯარო ურთიერთობებში მონაწილეობენ), მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ დიდია პოლიტიკურ საკითხებზე ღია დისკუსიისადმი საზოგადოებრივი ინტერესი.

43. საჩივრის წარმდგენი დაისაჯა იმის გამო, რომ მან ფედერალური კანცლერის, ბატონ კრაისკის, მიმართ გამოიყენა ისეთი გამოთქმები, როგორცაა: „ამორალური“, „ულირსი“, „მდარე ხარისხის ოპორტუნიზმი“. სტატიამ განხილული იყო პოლიტიკური პრობლემები, რომლებმაც დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. ცხარე დისკუსია გაიმართა ავსტრიული საზოგადოების თაობაზე მთლიანად და, კონკრეტულად, ფედერალური კანცლერის დამოკიდებულების შესახებ ნაციონალ-სოციალიზმსა და ყოფილი ნაცისტების სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობაზე. ამ პუბლიკაციათა შინაარსი და ტონი მთლიანობაში საკმაოდ დაბალანსებული იყო, მაგრამ ზემოაღნიშნული გამონათქვამები იმგვარად გამოიყურებოდა, რომ შეიძლებოდა ბატონ კრაისკის რეპუტაციის შელახვა გამოეწვია.

მაგრამ, რადგანაც საკითხი ბატონ კრაისკის, როგორც პოლიტიკოსს, ეხებოდა, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის ფონი, რაც ამ პუბლიკაციების დაბეჭდვის პერიოდში არსებობდა. ეს მოხდა საყოველთაო არჩევნების შემდეგ 1975 წლის ოქტომბერში. მრავალი ავსტრიელი ფიქრობდა, რომ კრაისკი არჩევნების შედეგად პარლამენტში უმრავლესობას დაკარგავდა და ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით კოალიციაში შევიდოდა ბატონ პეტერსის პარტიასთან. არჩევნების შემდეგ ბატონმა ვიზენტელმა გამოაქვეყნა სტატიათა სერია, რომელშიც ამხილა ბატონ პეტერსის ნაციისტური წარსული. ამ პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ ბატონმა კრაისკიმ დაიცვა ბატონი პეტერსი და მის ოპონენტებს შეუტია. მან ბატონ პეტერსის ოპონენტებს ბრალი დასდო მაფიოზური მეთოდების გამოყენებაში, რამაც, თავის მხრივ, ბატონ ლინგენსის მკვეთრი რეაქცია გამოიწვია.

ამგვარად, ინკრიმინირებული გამონათქვამი განხილულ უნდა იქნას არჩევნების შემდგომ გამართული პოლიტიკური დებატების ფონზე. როგორც ეს არის მითითებული ვენის სააპელაციო სასამართლოს დადსყვეტილებაში, ამ დავისას თითოეული მხარე იყენებდა ყოველგვარ



იარაღს, რაც იმ დროისთვის მის განკარგულებაში იმყოფებოდა. მწვავე პოლიტიკური დისკუსიის დროს ამაში უჩვეულო არაფერია.

საჩივრის წარმდგენისადმი დაკისრებული სანქციის კონვენციის პრიზმაში განხილვისას ამ გარემოებების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

44. ვენის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმადაც ბ-ნ ლინგენსს დაეკისრა ჯარიმა, უურნალ „Profil“-ის შესაბამისი ნომრები კონფისკებულ იქნა, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება გამოქვეყნდა.

პოლიტიკური დისკუსიის კონტექსტში ამგვარი განაჩენის არსებობა ბევრ უურნალისტს გაუნებლებს სურვილს, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა საჯარო განხილვაში. ამ განაჩენით დაწესებულ სანქციას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას მასზე დაკისრებული ამოცანის (ინფორმაციის გავრცელება) განხორციელებასა და საზოგადოების „დარაჯის“ ფუნქციის შესრულებაში (იხ.: გადაწყვეტილება ბარტოლდის საქმეზე. სერია ა, პუნქტი 58).

45. ავსტრიულმა სასამართლომ მხოლოდ ის საკითხი გამოარკვია, წარმოადგენდა თუ არა ბატონ ლინგენსის ფრაზები ობიექტურად ცილისწამებას და დაადგინა, რომ გამონათქვამებმა — „ამორალური“, „უღირსი“, „მდარე ხარისხის ოპორტუნიზმი“ — შელახა ბატონ კრაისკის რეპუტაცია.

საჩივარში ბატონმა ლინგენსმა მიუთითა, რომ ეს გამონათქვამები შეფასებით კატეგორიას მიეკუთვნება და ისინი გამოითქვა სიტყვის თავისუფლების შესახებ კონვენციით გარანტირებული უფლების რეალიზაციისას. სასამართლო, ისევე როგორც კომისია, ამ მოსაზრებას იზიარებს. ბატონი ლინგენსის კრიტიკა, ფაქტობრივად, მიმართული იყო ფედერალური კანცლერის, ბატონ კრაისკის, პოზიციის წინააღმდეგ. დავის საგანი არის არა პირის უფლება, გაავრცელოს ინფორმაცია, არამედ მისი თავისუფლება აზრის გამოხატვისა და იდეების გავრცელების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შეზღუდვები მაინც იქნა გამოყენებული.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ფაქტები და შეფასებითი მსჯელობა ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობა ყოველთვის არ ექვემდებარება დადასტურებას. სასამართლო აღნიშნავს, რომ ფაქტები, რომლებზეც ბატონი ლინგენსი თავის შეფასებით მსჯელობას აფუძნებდა, მეორე მხარისათვის საკამათო არ ყოფილა.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, ჟურნალისტი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი შეძლებს პუბლიკაციაში მოტანილი ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობის დადასტურებას.

შეფასებითი მსჯელობის მიმართ ასეთი მოთხოვნის არსებობა შეუძლებელია, რადგან იგი თავისთავად გამოიწვევს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.

ვენის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთის დაკისრება კანონითაა დადგენილი და მხოლოდ კანონს შეუძლია მისი შეცვლა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მას არ ევალება იმის დაზუსტება, საჯარო ხელისუფლების კონკრეტულად რომელმაც ორგანომ დაარღვია კონვენცია. საქმე ეხება მთლიანად სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

47. ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ სახელმწიფო ჩარევა ბატონი ლინგენის სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში არ იყო აუცილებელი. დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებების დასაცავად ასეთი ჩარევა არაპროპორციულია დასახული კანონიერი მიზნისა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

## II. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენება

48. კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო თუ სხვა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ზომები მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვევს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ანდა თუკი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი გადაწყვეტილებით ან ზომებით გამონეული შედეგების ნაწილობრივ კომპენსაციას, დაზარალებულ მხარეს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება განესაზღვროს სამართლიანი ანაზღაურება.“

50. საჩივრის წარმდგენი ითხოვდა 15 000 შილინგისა და 30 600 შილინგის ანაზღაურებას, რაც მას სააპელაციო სასამართლომ დააკისრა ჯარიმის თანხისა და სასამართლო ხარჯების სახით. მას ნამდვილად გააჩნდა ამ თანხების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რადგანაც ეს ხარჯები სადავო სასამართლო გადაწყვეტილებასთან უშუალო კავშირშია.

51. ჟურნალ „Profil“-ში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბის გამოქვეყნების ასანაზღაურებლად საჩივრის წარმდგენმა მოითხოვა 40 860 შილინგი.

ავსტრიის მთავრობა ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა, რადგანაც ამ თანხაში ნაგულისხმები იყო როგორც ფაქტობრივი ზარალი, ასევე ხელიდან გაშვებული მოგებაც. ავსტრიის მთავრობის მოსაზრებით, ხელიდან გაშვებული მოგება არ შეიძლება ანაზღაურდეს.

სასამართლოს არ შეუძლია ბატონი ლინგენსის მიერ დაკარგული მოგების ოდენობის დადგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ სავარაუდო მოგების დაკარგვით მიღებული ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

ხარჯების რაოდენობა შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს. სამართლიანობის საფუძველზე და მთლიანობაში შეფასებით სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონ ლინგენსს უნდა მიეცეს 25 000 შილინგი სასამართლო განაჩენის გამოქვეყნების ხარჯების ასანაზღაურებლად.

52. საჩივრის წარმდგენმა მოითხოვა 54 938,60 შილინგი ვენის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში ადვოკატის ხარჯების ასანაზღაურებლად. ეს მოთხოვნა განსახილველია, რადგან იგი უშუალოდ დაკავშირებულია კონვენციით გათვალისწინებული უფლების დაცვასთან. დასახელებული თანხა დასაბუთებულია და იგი უნდა ანაზღაურდეს.

53. კონვენციით გათვალისწინებულ დანესებულებებში საქმის განხილვის ხარჯების ასანაზღაურებლად ბატონმა ლინგენსმა მოითხოვა 197 033,20 შილინგი. სასამართლომ გაიზიარა ამ საკითხთან დაკავშირებით ავსტრიის მთავრობის მოსაზრება და საჩივრის წარმდგენს ხარჯები აუნაზღაურდა 13 000 შილინგის ოდენობით.

54. კომისიასა და სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ტრანსპორტისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების ასანაზღაურებლად ბატონმა ლინგენსმა მოითხოვა კომპენსაცია 29 000 შილინგის ოდენობით. სასამართლომ ეს მოთხოვნა დასაბუთებულად ჩათვალა.

კონვენციის 50-ე მუხლის საფუძველზე ბატონ ლინგენსისათვის გადახდილი კომპენსაციის საერთო თანხამ შეადგინა 284 538,60 შილინგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად სასამართლომ ერთხმად დაადგინა: დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი;

ავსტრიის რესპუბლიკა ვალდებულია, საჩივრის წარმდგენს სამართლიანი ანაზღაურების სახით გადაუხადოს 284 538,60 შილინგი.

გადანყვეტილება შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოქვეყნებულია სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში, 1986 წლის 8 ივლისს.

# კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ Castells v. Spain

სასამართლო გადაწყვეტილება  
23 აპრილი, 1992 წელი,  
ძირითადი ფაქტები:

საჩივრის წარმდგენმა, ბასკეთის დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკური პარტიიდან არჩეულმა სენატორმა, 1979 წელს ყოველკვირეულ „Punto y Hora de Euskalhera“-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც საუბარი იყო შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ბასკი მოქალაქეების მკვლელობებსა და მათ მიმართ განხორციელებულ თავდასხმებზე. სტატიის ავტორი მიუთითებდა, რომ ეს შეიარაღებული დაჯგუფებები მოქმედებდნენ სრული დაუსჯელობის რეჟიმში, რადგან მათ უკან იდგა მთავრობა და მმართველი პარტია. სტატია მთავრდებოდა სიტყვებით: „ჩვენ ვალდებული ვართ, ღიად დავასახელოთ პასუხისმგებელი პირები“.

პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა კასტელსის წინააღმდეგ. მას შეუწყდა სადეპუტატო იმუნიტეტი და ბრალი დაედო მთავრობის შეურაცხყოფაში, რასაც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 1983 წელს კასტელსი დამნაშავედ ცნო და მას შეეფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ მიიჩნია, რომ კასტელსს მთავრობის გასაკრიტიკებლად იმ საშუალებებით უნდა ესარგებლა, რომლებსაც სენატის რეგლამენტი ითვალისწინებდა. უფრო მეტიც, მის პუბლიკაციაში აშკარად გამოხატულია კასტელსის განზრახვა, შეურაცხყოს მთავრობა. უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო დაცვის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ სტატიაში მითითებული ფაქტები საყოველთაოდ იყო ცნობილი და ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა.

1985 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად არ მიიღო კასტელსის საჩივარი; თუმცა განაჩენის აღსრულება შეაჩერა.

## ბ) საქმის განხილვა კომისიაში

კასტელსმა ადამიანის უფლებათა კომისიაში საჩივარი წარადგინა 1985 წლის 17 სექტემბერს, სადაც მიუთითებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6, მე-7, მე-10 და მე-14 მუხლებით გარანტირებული უფლებები.

კომისიამ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებაში, თუმცა დასაშვებად ჩათვალა მე-10 და მე-14 მუხლებთან მიმართებაში.

1991 წლის 8 იანვარს კომისია (ცხრა ხმით სამის წინააღმდეგ) მივიდა დასკვნამდე, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

კომისიამ საქმე სასამართლოს განსახილველად გადასცა 1991 წლის 8 მარტს.

### სასამართლოს გადაწყვეტილება

(ამონაკრები)

სამართლებრივი საკითხები

კონვენციის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ

ბატონი კასტელსი მიუთითებდა, რომ დარღვეულია მისი უფლება სიტყვის თავისუფლებისა, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით:

„1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია თუ იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომუწყებლობის, ტელევიზიის ან კინონარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, უნესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენცი-

აღურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად“.

ესპანეთის მთავრობა მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ დარღვეულა. კომისიამ კი მიიჩნია, რომ ესპანეთის მთავრობამ კონვენციის მე-10 მუხლი დაარღვია.

### ესპანეთის მთავრობის წინასწარი პოზიცია:

24. მთავრობა მიიჩნევს, რომ საჩივრის წარმდგენს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები. საჩივრის წარმდგენს საკონსტიტუციო სასამართლოში არ დაუყენებია კონსტიტუციის მე-20 მუხლის დარღვევის საკითხი. მთავრობის განცხადებით, ბატონი კასტელსი ამპოროს პროცედურის<sup>1</sup> საფუძველზე წარდგენილ სარჩელში პირდაპირ არ უთითებდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის დარღვევაზე.

ბატონმა კასტელსმა კი აღნიშნა, რომ თავის საკონსტიტუციო სარჩელში ყურადღებას ამახვილებდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის დარღვევაზე. სარჩელში აღნუსხული გარემოებები თავისთავად მიუთითებდნენ, რომ დავის საგანი იყო სიტყვის თავისუფლების განხორციელება, ხოლო სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები ადასტურებდნენ სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების განხორციელების პროცესში ჩარევას.

27. ამ საკითხის განხილვისას სასამართლო შეზღუდული იყო საკუთარი პრაქტიკით, რაც გამოიხატა საქმეში „ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ“ (სერია ა, ტ. 232-ც, გვ. 45, პუნქტი 35-36, 1992 წლის 25 მარტი).

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 26-ე მუხლის გამოყენებისას გარკვეული მოქნილობის გამოვლენაა საჭირო. ამ მუხლს ზედმეტი ფორმალიზმის გარეშე უნდა მიდგომა. საკითხის გადაწყვეტისათვის საკმარისია, თუკი კონვენციით გათვალისწინებულ სტრუქტურებში წარდგენილი საჩივარი შიდასახელმწიფოებრივ დანესებულებებში იქნება განხილული, შიდა კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური მოთხოვნებისა და ვადების დაცვით (იხ.: 1980 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „გუცარდი იტალიის წინააღმდეგ“, სერია ა, ტ. 39, გვ 26, პ. 72).

საჩივრის წარმდგენი კონვენციის მე-10 მუხლს ორ ასპექტში იმონმებს:

ბატონ კასტელსის მტკიცებით, მის მიმართ სისხლისსამართლებრი-

ვი დევნა განხორციელდა და განაჩენი გამოუტანეს ისეთი გამონათქვამების გავრცელებისათვის, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამებოდა. ამავე დროს, მას სასამართლოში არ მიეცა ამ გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების შესაძლებლობა.

მეორეც, მის მიერ გამოქვეყნებული სტატია პოლიტიკური კრიტიკის სფეროს განეკუთვნება, რაც, თავისთავად, პარლამენტის ყველა წევრის მოვალეობაა.

29. ბატონმა კასტელსმა ორივე ეს საკითხი ესპანეთის უზენაესი სასამართლოს წინაშე დააყენა. 1983 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ ეს პოზიცია არ გაიზიარა და დაადგინა, რომ კასტელსის მიერ წარდგენილი არგუმენტები არ ამართლებს მთავრობის შეურაცხყოფის ფაქტს და რომ კასტელსი გასცდა პოლიტიკური კრიტიკის დასაშვებ ზღვარს.

საჩივრის დასაბუთებისას კასტელსმა მიუთითა თავის (როგორც სენატორის) უფლებაზე, გააკრიტიკოს მთავრობის მოქმედებები. ეს წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის სიტყვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სარჩელის წარმდგენმა ასევე მიუთითა უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ისეთი მტკიცებულებების წარდგენის უფლებაზე, რომლებიც მისი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობას დაადასტურებდა.

32. ზემოქმულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ ბატონმა კასტელსმა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ნამდვილად დასვა კონვენციის მე-10 მუხლში გათვალისწინებული საკითხები. შესაბამისად, ესპანეთის მთავრობის წინასწარი შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **საჩივრის დასაბუთებულობის შესახებ**

33. ბატონ კასტელსის საჩივრის მიხედვით, მისთვის სასჯელის შეფარდება წარმოადგენს სიტყვის თავისუფლების შესახებ კონვენციით გარანტირებული უფლების განხორციელებაში ჩარევას, რადგანაც მას არ მიეცა სტატიაში მოტანილი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების შესაძლებლობა.

34. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და სასჯელი კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლების განხორციელებაში ჩარევაა.

იმისათვის, რომ ასეთმა ჩარევამ არ დაარღვიოს კონვენციის მე-10 მუხლი, იგი კანონით გათვალისწინებული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად უნდა იყოს აუცილებელი.

## 1. „გათვალისწინებულია კანონით“

35. ეჭვგარეშეა, რომ სასამართლო განაჩენს სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე და 162-ე მუხლები. საჩივრის წარმდგენი კანონის ამ ნორმებს სადავოდ არ ხდის, თუმცა მიიჩნევს, რომ მას არ მიეცა საკუთარი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1982 წლის 19 მაისამდე, უზენაეს სასამართლოს ამგვარ დანაშაულთან დაკავშირებით არც ერთი საქმე არ განუხილავს. შესაბამისად, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე სამეცნიერო იურიდიულ წრეებში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა.

36. თავის პასუხში ესპანეთის მთავრობის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ საკუთარი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეურაცხყოფის ადრესატი კონკრეტულ საჯარო მოხელეს წარმოადგენს. უზენაესი სასამართლო *exceptio veritatis* არასოდეს იყენებდა იმ შემთხვევაში, როდესაც შეურაცხყოფა ცალკეულ პირთა წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ბატონმა კასტელსმა თანამდებობის კონკრეტული პირი კი არ შეურაცხყო, არამედ მთლიანად მთავრობა.

## 2. კანონიერი მიზანი

38. საჩივრის წარმდგენი ამტკიცებს, რომ არც წაყენებული ბრალდება და არც სასამართლო განაჩენი არ არის მიმართული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე მიზნის მისაღწევად. საჩივრის წარმდგენის ქმედებები თუ გამონათქვამები განსაკუთრებული შემფოთების საფუძველს არ იძლეოდა. უზენაესი სასამარ-



თლოს 1983 წლის 12 ოქტომბრის განაჩენიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ჩარევა მიზნად ისახავდა არა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, არამედ მოპასუხის — სახელმწიფოს — რეპუტაციის დაცვას.

39. ესპანეთის მთავრობა ეყრდნობა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 1985 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო უშიშროებას შეიძლება საფრთხე შეუქმნას დემოკრატიული ინსტიტუტების მხრიდან დისკრედიტაციის მცდელობამ. თავის სტატიაში ბატონი კასტელსი არა მარტო აღწერს ბასკეთში შექმნილ სერიოზულ მდგომარეობას, არამედ ბრალს სდებს ხელისუფლებას პასიურობასა და დანაშაულებრივი დაჯგუფებების ხელშეწყობაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ჩარევა განპირობებული იყო არა მარტო მოპასუხის რეპუტაციის დაცვის, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების ამოცანით.

### 3. ჩარევის აუცილებლობა

40. კასტელსი დაეთანხმა კომისიის მოსაზრებას და ხაზი გაუსვა სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას არჩევითი წარმომადგენლებისათვის. სწორედ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრმა უნდა გამოხატოს თავისი ელექტორატის შემფოთება და მოსაზრებები. იგი დამატებითი დაცვის გარანტიებს საჭიროებს, თუკი საქმე ეხება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას. ბატონ კასტელსის სტატია სწორედ ასეთ შემთხვევას განეკუთვნება, რადგანაც იგი ასახავდა ბასკეთში 1977 წლის შემდეგ შექმნილი არასტაბილურობის შესახებ არსებულ დისკუსიას. საჩივრის წარმდგენის დასჯა ოპოზიციის შეტევებისაგან ხელისუფლების დაცვას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მთავრობის დისკრედიტაციის თავიდან აცილებას. საჩივრის წარმდგენმა მიუთითა, რომ იმ ფაქტების გახმაურება, რომელიც მთავრობას არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა, საზოგადოების ინტერესებში შედიოდა.

41. ესპანეთის მთავრობამ მიუთითა, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური. იგი, ამავე დროს, მოიცავს „ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას“. ბატონი კასტელსი გასცდა პოლიტიკური დისკუსიის დადგენილ საზღვარს. მან შეურაცხყო დემოკრატიული მთავ-

რობა და ამით ხელი შეუწყო ესპანეთისათვის ძალზე კრიტიკულ პერიოდში დესტაბილიზაციას.

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ძირითად საყრდენსა და მისი პროგრესის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღელვებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია (იხ.: „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,“ პუნქტი 49).

სიტყვის თავისუფლება ყველასათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი განსაკუთრებულ ფასეულობას იძენს წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებთან მიმართებაში. ისინი წარმომადგენენ საკუთარ ელექტორატს, იცავენ მათ ინტერესებსა და ყურადღებას ამახვილებენ მათ პრობლემებზე. შესაბამისად, ოპოზიციონერი დეპუტატის სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა სასამართლოს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

43. განსახილველ საქმეში ბატონმა კასტელსმა თავისი აზრი სენატის კედლებში კი არ გამოხატა, სადაც იგი დაცული იქნებოდა სადეპუტატო იმუნიტეტით, არამედ პერიოდული პრესის ფურცლებზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მთავრობის ამ გზით გაკრიტიკების უფლება არ ჰქონდა.

ამასთან, არ შეიძლება იმის დავინყება, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში პრესას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა პრესამ გარკვეული ზღვარი უნდა დაიცვას, რაც დადგენილია *inter alia* საზოგადოებრივი წესრიგისა და „სხვა პირთა რეპუტაციის“ დასაცავად, მაგრამ, ამავე დროს, მას ეკისრება პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელების მისია.

პრესის თავისუფლება საზოგადოების ხელში იმ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და იდეების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათზე ამა თუ იმ წარმოდგენის ჩამოყალიბება. კერძოდ,

პრესა საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხებზე აზრის გამოთქმისა და თავისუფალ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის საშუალებას იძლევა (იხ.: 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ,“ სერია ა, ტ. 103, გვ. 26, პუნქტი 42).

44. 1983 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონი კასტელსი გასცდა პოლიტიკური კრიტიკის დასაშვებ ზღვარს.

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ კასტელსმა გააკრიტიკა ის დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც არსებობს სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების წევრებში. ამ დაჯგუფებებმა 1977 წლიდან მოყოლებული თავდასხმათა მთელი სერია განახორციელეს ბასკეთში. ამავე დროს, თავის სტატიაში კასტელსმა ბრალი დასდო მთავრობას, რომელსაც, მისი აზრით, უნდა დაჰკისრებოდა მთელი პასუხისმგებლობა შექმნილ სიტუაციაზე.

46. უეჭველია, რომ პოლიტიკური დისკუსიების თავისუფლება, თავისი ბუნებით, აბსოლუტური არ არის. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ მიმართულებით გარკვეული შეზღუდვები ან სანქციები დაანესონ. მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს, თუ რამდენად შეესაბამება ეს შეზღუდვები კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ სიტყვის თავისუფლების უფლებას.

კრიტიკის დასაშვები ზღვარი მთავრობასთან მიმართებაში გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის ან თუნდაც პოლიტიკოსის მიმართ. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში მთავრობის ნებისმიერი ქმედება უნდა გახდეს არა მარტო საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების, არამედ პრესისა და საზოგადოების მხრიდან დეტალური განხილვის საგანი. მთავრობამ არ უნდა ისარგებლოს თავისი დომინირებული მდგომარეობით. იგი ყოველთვის თავს უნდა იკავებდეს კრიტიკის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოპონენტის გაუმართლებელ თავდასხმებზე პასუხის გაცემის სხვა შესაძლებლობები გააჩნია. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის ან უსაფრთხოების დასაცავად მთავრობას შეუძლია მიიღოს სისხლისსამართლებრივი ხასიათის ზომები დაუსაბუთებელ და არაკეთილსინდისიერ შეურაცხყოფაზე ადეკვატური რეაგირებისათვის.

47. ბატონმა კასტელსმა მოსთხოვა უზენაეს სასამართლოს ისეთი მტკიცებულებების განხილვა, რომლებიც მისი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობას ადასტურებდნენ. ამავ დროს, კასტელსმა მიუთითა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ისედაც საყოველთაოდ იყო ცნობილი. შესაბამისად, მისი გამონათქვამები არ შეიძლება განხილულიყო შეურაცხყოფად.

მიუხედავად ამისა, 1982 წლის 19 მაისს უზენაესმა სასამართლომ ასეთი მტკიცებულებები დაუშვებლად მიიჩნია იმ მოტივით, რომ გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენის აუცილებლობა არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება მთავრობის შეურაცხყოფას.

შესაბამისად, საჩივრის წარმდგენს არ მიეცა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის კეთილსინდისიერებისა და სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების შესაძლებლობა.

48. თავის შეპასუებაში ესპანეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ ბატონ კასტელსის არგუმენტები არ არის საკმარისად ზუსტი. ბატონ კასტელსის გამონათქვამებს შეფასებითი ხასიათი გააჩნიათ, ხოლო შეფასებითი მსჯელობების მიმართ სინამდვილესთან შესაბამისობის კრიტერიუმის გამოყენება შეუძლებელია.

მთავრობის ეს არგუმენტი დამაჯერებელი არ არის. ბატონი კასტელსის მიერ გამოქვეყნებული სტატია განხილული უნდა იყოს მთლიანობაში. სტატიაში მოტანილი ბევრი გამონათქვამის სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა სავსებით შესაძლებელია.

შეუძლებელია იმის განსაზღვრა, როგორი იქნებოდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ ბატონ კასტელსს მიეცემოდა შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმ გარემოებას, რომ უზენაესმა სასამართლომ ასეთი მტკიცებულებები დაუშვებლად მიიჩნია. სასამართლო თვლის, რომ სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ამგვარი ჩარევა აუცილებელი არ იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

49. ესპანეთის მთავრობამ მიუთითა შეფარდებული სასჯელის უმნიშვნელობაზე, თუმცა ეს არ უნდა გახდეს სასამართლოს მსჯელობის საფუძველი.

50. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-10 მუხლი დაირღვა.

## II. მე-14 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ

51. ბატონმა კასტელსმა მოითხოვა, რომ იგი ელიარებინათ დისკრიმინაციის მსხვერპლად. მან მიუთითა, რომ იგივე შინაარსის გამონათქვამები გაავრცელეს სხვა პირებმაც, თუმცა მათ მიმართ სისხლის სამართლის დევნა არ განხორციელებულა. ბატონი კასტელსი მიიჩნევს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-14 მუხლის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად:

„კონვენციით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა სარგებლობდეს ყველა, მიუხედავად სქესისა, რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებისა, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ადგილისა და სხვა გარემოებებისა.“

მთავრობამ უარყო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა.

52. იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხს მოცემულ საქმეში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება, სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი განხილვა (იხ.: 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ეირე ირლანდიის წინააღმდეგ“, სერია ა, ტ. 32, გვ 16, პუნქტი 30).

## III. 50-ე მუხლის გამოყენება

53. კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო თუ სხვა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ზომები მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვევს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ანდა თუკი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი გადაწყვეტილებით ან ზომებით გამოწვეული შედეგების ნაწილობრივ კომპენსაციას, დაზარალებულ მხარეს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება განესაზღვროს სამართლიანი ანაზღაურება.“

54. საჩივრის წარმდგენმა მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსის გამოქვეყნება ბასკეთის, მადრიდისა და სხვა პროვინციების გაზეთებში, აგრეთვე სისხლის სამართლის ცენტრალური არქივიდან მისი ნასამართლობის შესახებ მონაცემების ამოღება.

სასამართლომ მიუთითა, რომ იგი უფლებამოსილი არ არის, განიხილოს და გადაწყვიტოს ამგვარი მოთხოვნა (იხ.: 1992 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „მანიფატურა ფლ“ იტალიის წინააღმდეგ“, სერია ა, ტ. 230-ბ, გვ. 21, პუნქტი 22).

### **მატერიალური ზიანი**

კასტელსმა მოითხოვა 375 000 პესეტა დაკარგული ხელფასის კომპენსირებისათვის. გირაოს საფუძველზე გათავისუფლებული ბრალდებული კასტელსი 52-ჯერ გამოცხადდა სან-სებასტიანის ადგილობრივ სასამართლოში და სამჯერ მადრიდის უზენაეს სასამართლოში, რამაც მას საშუალება არ მისცა ამ დროის განმავლობაში საკუთარი პროფესიული (საადვოკატო) საქმიანობა განეხორციელებინა.

სასამართლო დასაბუთებულად არ მიიჩნევს ამგვარი მატერიალური ზიანის არსებობას, რადგანაც კასტელსი, როგორც ადვოკატი, ისედაც ხშირად სტუმრობდა ზემოაღნიშნულ სასამართლოებს.

### **არამატერიალური ზიანი**

56. საჩივრის წარმდგენმა ასევე მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა კონკრეტული თანხა თავის მოთხოვნაში არ მიუთითებია. სასამართლო არ გამოორიცხავს მორალური ზიანის არსებობას, თუმცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტის აღიარება თავისთავად წარმოადგენს სამართლიან კომპენსაციას.

### **გ) განეული ხარჯები**

57. ესპანეთის სასამართლოებში განეული ხარჯების ასანაზღაურებლად კასტელსმა მოითხოვა 2 181 476 პესეტას ანაზღაურება. სასამართლომ კასტელსს განუსაზღვრა 1 000 000 პესეტას ანაზღაურება.

58. კონვენციის დანესებულებებში განეული ხარჯების ასანაზღაურებლად კასტელსმა მოითხოვა 3 328 000 პესეტას ანაზღაურება, აგ-

რეთვე 20 000 გერმანული მარკა ბატონების კორფუსა და ვერვაელეს პონორარებისათვის.

როგორც ესპანეთის მთავრობა, ისე სასამართლო მიიჩნევს, რომ ბატონ კასტელსს ადვოკატთა დაუსაბუთებელი რაოდენობა — ოთხი ადვოკატი — იცავდა. ამავ დროს, ბატონი კასტელსის ზოგიერთი საჩივარი სასამართლომ არ მიიღო განსახილველად.

სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლომ კასტელსს მიაკუთვნა 2 000 000 პესეტას ოდენობის კომპენსაცია.

**ზემოქმედიდან გამომდინარე,  
სასამართლომ ერთხმად დაადგინა:**

- ა) დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი;
  - ბ) მე-14 მუხლის დარღვევის გამო საქმის განხილვის აუცილებლობა არ არსებობს;
  - გ) ეს სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაძლო მორალური ზიანის სამართლიან კომპენსაციას;
  - დ) ესპანეთის სამეფო ვალდებულია, საჩივრის წარმდგენს სამართლიანი ანაზაურების სახით გადაუხადოს 3 000 000 პესეტა განეული ხარჯების ასანაზლაურებლად.
- გადაწყვეტილება შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოქვეყნებულია სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში, 1992 წლის 23 აპრილს.

**„სანდი ტაიმსი გაერთიანებული  
სამეფოს წინააღმდეგ“  
Sunday Times v.**

**სასამართლოს გადაწყვეტილება  
1979 წელი  
ა) ძირითადი ფაქტები:**

1959-1962 წლებში ინგლისში ბევრი ახალშობილი იბადებოდა თანდაყოლილი დეფექტით. ამის მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ მათი დედები ორსულობის პერიოდში იღებდნენ მედიკამენტ თალიდომიდს, რომელიც დამანყარებელ და უძილობის საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა. მშობლებმა სასამართლო პროცესი წამოიწყეს დიდ ბრიტანეთში თალიდომიდის მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიის — „დისტილერსის“ — წინააღმდეგ.

1972 წლის სექტემბერში „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჩვენი თალიდომიდიზირებული შვილები — ეროვნული სირცხვილის მიზეზი“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ გაზეთს განზრახული ჰქონდა, მომავალშიც გაეგრძელებინა ტრაგედიის ისტორიის (მათ შორის, წამლის დამზადებისა და ტესტირების) შესახებ საგამოძიებო შინაარსის მქონე პუბლიკაციების გამოქვეყნება.

კომპანია „დისტილერსმა“ ოფიციალური განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას, რომელშიც მიუთითა, რომ ეს სტატია სასამართლოსადმი უპატივცემულობას ადასტურებდა, რადგან სასამართლო განხილვა ამ საკითხზე ჯერ დასრულებული არ იყო. გენერალურმა პროკურატურამ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიმართა ასეთი პუბლიკაციების აკრძალვის მოთხოვნით. 1972 წლის ნოემბერში სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და გასცა ბრძანება პუბლიკაციების აკრძალვის თაობაზე. გაზეთი, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ ნორმები მონოდებულია, დაიცვას სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს ნორმები არ უკრძალავს პროფესიონალ ჟურნალისტს საკუთარი მოვალეობის შესრულებას.



სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა „ტაიმს ნიუსპეიპერზ ლტდ“ სააპელაციო საჩივარი და სასამართლო ბრძანება გააუქმა. თუმცა ლორდთა პალატამ 1973 წლის 13 ივლისს აღადგინა სასამართლო ბრძანების მოქმედება. ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ ამგვარი პუბლიკაციები წინასწარ ჩამოაყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს, რაც, თავის მხრივ, აისახებოდა სასამართლოში საქმის განხილვის მსვლელობაზე, მით უმეტეს, მოსარჩელებსა და კომპანიას შორის მორიგების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

აკრძალვის შესახებ სასამართლო ბრძანების მოქმედება შეწყდა 1976 წელს, ხოლო 1981 წელს მიღებულ იქნა კანონი სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ, რომელმაც შეცვალა პრეცედენტული სამართლის ნორმები.

### ბ) განხილვა ადამიანის უფლებათა კომისიაში

1974 წლის 19 იანვარს წარდგენილ საჩივარში გაზეთის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს ბრძანება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-10 მუხლს. ამავე დროს, საჩივრის წარმდგენი ამტკიცებდა, რომ განიცდიდა დისკრიმინაციას, რამდენადაც სხვა ბექდვით ორგანოებში ანალოგიური პუბლიკაციები აკრძალული არ ყოფილა. 1977 წლის 18 მაისის მოხსენებაში კომისიამ *inter alia* დაადგინა, რომ:

- დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რვა ხმით ხუთის წინააღმდეგ);
- მე-14 მუხლი არ დარღვეულა (გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული);

### ამონაკრები სასამართლო გადაწყვეტილებიდან სამართლებრივი საკითხები

მე-10 მუხლის შესახებ

42. საჩივრის წარმდგენი ამტკიცებს, რომ იგი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის მსხვერპლია, რომლიც მიხედვითაც:

„1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება

მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია თუ იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის; ტელევიზიის ან კინონარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად“.

საჩივრის წარმდგენს მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა როგორც ინგლისის სასამართლოს მიერ გამოცემული ბრძანებით, ისე — სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ არსებული პრეცედენტული ნორმების ბუნდოვანებითა და ორაზროვნებით.

მთავრობა თავის შეპასუხებაში ამტკიცებდა, რომ პირის უფლებები არ დარღვეულა.

45. ცხადია, რომ სახელმწიფო კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩაერია. ამგვარი ჩარევა ეწინააღმდეგება კონვენციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული არ არის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები. სასამართლომ უნდა გაარკვიოს, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩარევა გათვალისწინებული იყო თუ არა კანონით, მიმართული იყო თუ არა იგი კონვენციაში მითითებული მიზნების დაცვისაკენ და ამგვარი ჩარევა აუცილებელი იყო თუ არა „დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის“.

**იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“**

46. საჩივრის წარმდგენი მიუთითებს, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ ნორმები ლორდთა პალატის მიერ ზემოაღნიშ-

ნული გადაწყვეტილებების მიღებამდეც ძალზე ბუნდოვანი და ორაზროვანი იყო და მის შემდგომაც. თავად ლორდთა პალატამ თავის გადაწყვეტილებაში ამ ნორმათა იმდენად ახლებური ფორმულირება წარმოადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზემოაღნიშნული ჩარევა არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო კანონით დადგენილად. მთავრობამ მიიჩნია, რომ ამგვარი ჩარევა კანონით იყო გათვალისწინებული. სუბსიდიარული წესის საფუძველზე მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდვები, არსებითად, წინასწარ განჭვრეტადი იყო. კომისიის მთავარმა წარმომადგენელმა 1978 წლის 25 აპრილს აღნიშნა, რომ, ნორმის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, შეზღუდვა მით უმეტეს არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო კანონშესაბამისად 1972 წელს, როდესაც პირველად გამოიცა სასამართლო ბრძანება პუბლიკაციების აკრძალვის თაობაზე.

47. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვა „კანონი“ ფორმულაში — „გათვალისწინებულია კანონით“ — გულისხმობს როგორც საკანონმდებლო აქტებს, ასევე პრეცედენტულ სამართალსაც. შესაბამისად, სასამართლო მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტი საერთო სამართლის პირმშოა და არ არის ასახული კანონმდებლობაში. თუ პრეცედენტული სამართლით განსაზღვრულ შეზღუდვებს კანონით გაუთვალისწინებლად მივიჩნევთ, მაშინ შეუძლებელი გახდება პრეცედენტული სამართლის სახელმწიფოებისათვის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მექანიზმის გამოყენება. ეს კი კონვენციის ამოცანებს აშკარად ეწინააღმდეგება.

საჩივრის წარმდგენი არ ამტკიცებს, რომ ფორმულა „გათვალისწინებულია კანონით“ აუცილებლად გულისხმობს საკანონმდებლო აქტის არსებობას. მოთხოვნა „გათვალისწინებულია კანონით“ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, თუკი პრეცედენტული სამართლის ნორმა იმდენად ბუნდოვანია, რომ ეწინააღმდეგება სამართლებრივი წინასწარგანჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის პრინციპს.

49. სასამართლოს მიაჩნია, რომ გამონათქვამიდან — „გათვალისწინებულია კანონით“ — გამომდინარეობს ორი მოთხოვნა. პირველ რიგში, კანონმდებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა მოქალაქემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეძლოს შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობა. მეორეც, ნორმა არ შეიძლება კანონად ჩაითვალოს, თუ იგი სათანადოდ ზუსტად არ არის ფორმულირებული, რაც სა-

შუალეხას მისცემს მოქალაქეს, წინასწარ განჭვრიტოს თავისი ქმედება და მისგან გამომდინარე შედეგები.

50. მოცემულ შემთხვევაში სადავოა ის გარემოება, რამდენადაა დაცული ხელმისაწვდომობისა და წინასწარგანჭვრეტადობის მოთხოვნები. ამ საკითხის გადაწყვეტას ის გარემოებაც ართულებს, რომ სხვადასხვა სასამართლომ თავ-თავის გადაწყვეტილებას სხვადასხვა საფუძველი დაუდო. პირველი ინსტანციის სასამართლოს სასამართლოსადმი უპატივცემულობად მიაჩნია პროცესის ერთ-ერთ მხარეზე ზენოლა დავის მორიგებით დასრულებაში ხელის შეშლის მიზნით (ზენოლის პრინციპი). ლორდთა პალატის უმრავლესობამ სასამართლოსადმი უპატივცემულობად მიიჩნია ისეთი პუბლიკაციის გამოქვეყნება, რომელიც საზოგადოებას მიმდინარე სასამართლო დავის შედეგების თაობაზე წინასწარ უქმნიდა წარმოდგენას.

51. საჩივრის წარმდგენი არ უარყოფს, რომ მან მოცემული საქმის გარემოებებთან დაკავშირებით იცოდა ზენოლის პრინციპის თაობაზე. მისი აზრით, შესაძლოა, სტატია *prima facie* ზენოლას ჰგავდა, მაგრამ იგი ზენოლად არ უნდა განხილულიყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის გამო.

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ „ზენოლის პრინციპი“ იმდენად ნათლადაა ჩამოყალიბებული, რომ საჩივრის წარმდგენს საშუალებას აძლევდა, წინასწარ განეჭვრიტა პუბლიკაციის შედეგები.

53. შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა მოხდა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის — „გათვალისწინებულია კანონით“ — დაცვით.

### კანონიერი მიზანი

54. კომისიის უმცირესობა და საჩივრის წარმდგენი მიიჩნევენ, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ ნორმებმა უნდა დაიცვას არა მხოლოდ მართლმსაჯულების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, არამედ მონაწილე მხარეების უფლებებიც.

კომისიის უმრავლესობამ კი მიიჩნია, რომ ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ამოცანას შეადგენს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა, რაც გათვალისწინებულია კონ-

ვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით. ამ დროს საერთოდ არ უნდა ნა-  
მოიჭრას საკითხი, თუ რამდენად ითვალისწინებს ამგვარი ჩარევა სასა-  
მართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობასთან  
ერთად სხვა პირთა უფლებების დაცვას.

57. მოცემულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაირკვეს, ისახავდა  
თუ არა მიზნად ხელისუფლების ჩარევა სასამართლო ხელისუფლების  
ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას. ლორდთა პალატის  
წევრებს ამ საკითხზე საერთოდ არ უმსჯელიათ.

ლორდთა პალატამ მომავალი პუბლიკაციის აკრძალვის თაობაზე  
გადაწყვეტილება მიიღო შემდეგი მიზეზების გამო:

- პუბლიკაცია წინასწარ განსაზღვრავდა სასამართლოს შესაძლო  
გადაწყვეტილების შინაარსს;

- პუბლიკაცია სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მო-  
უწყობდა კომპანია „დისტილერსს“ საზოგადოებრივ სასამართლოს,  
რითაც ხელს შეუშლიდა სასამართლო განხილვას.

- პუბლიკაცია ზენოლას მოახდენდა პროცესის ერთ-ერთ მხარეზე  
— კომპანია „დისტილერსზე“ — სასამართლოში განსახილველი საკით-  
ხის მიკერძოებული გაშუქების გამო;

- სასამართლო ვალდებულია, დაიცვას მხარეები წინასწარი დას-  
კვნების გამოტანისაგან, რაც მათ წინასასამართლო პოლემიკის მორევე-  
ში ჩაითრევს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ლორდთა პალატის მიერ მითითებული  
ეს მიზეზები შეესაბამება სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი-  
სა და მიუკერძოებლობის დაცვის მიზანს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლების განხორ-  
ციელებაში ჩარევა შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნ-  
ქტით გათვალისწინებულ მიზანს.

### **გ) აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში**

58. საჩივრის წარმდგენსა და კომისიის უმრავლესობას მიაჩნიათ,  
რომ ხელისუფლების ჩარევა აუცილებელი არ იყო და არ შეესაბამებო-  
და კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მი-  
ზანს. მთავრობის წარმომადგენელი ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა და

მიუთითა ლორდათა პალატის უფლებამოსილებაზე, თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს ეს საკითხი.

59. სასამართლომ საქმეზე „ჰენდისაიდი გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ფრაზის — „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ — გაგებისა და შესაბამისი საკითხების განხილვისას მისი ხასიათისა და განხორციელების წესის შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სიტყვა „აუცილებელია“, მართალია, არ წარმოადგენს სიტყვა „შეუცვლელის“ სინონიმს, მაგრამ მას ასევე არ ახასიათებს ის მოქნილობა, რაც, მაგალითად, გააჩნიათ სიტყვებს: „დასაშვებია“, „როგორც წესი“, „მიზანშეწონილია“ და ა.შ. სიტყვა „აუცილებელია“ გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნის“ არსებობას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უპირველესი პასუხისმგებლობა მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი მათ გარკვეულ დისკრეციას უტოვებს იმის განსაზღვრისას, თუ რას ნიშნავს ტერმინი „აუცილებელია“. დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნიათ როგორც საკანონმდებლო, ისე კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს.

მიუხედავად ზემოქმედისა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოებს შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა მონაწილე სახელმწიფოების მიერ დანესებული შეზღუდვები კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. შიდასახელმწიფოებრივი დისკრეციული უფლებამოსილება ასევე ექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტროლს. კონტროლს ექვემდებარება როგორც კანონმდებლობა, ისე აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების მიერ მიიღებული გადაწყვეტილებები.

ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი ამოცანაა არა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების შეცვლა, არამედ კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

სახელმწიფოთა დისკრეციულ უფლებამოსილებათა მოცულობა მე-

10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა მიზანთან მიმართებაში ერთნაირი არ არის. საქმე „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ შეეხებოდა „ზნეობის დაცვას“. ზნეობრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით მონაწილე სახელმწიფოთა შეხედულებები შეიძლება იცვლებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით, თანამედროვე ეპოქაში. ადგილობრივ სასამართლოებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე უკეთესად შეუძლიათ იმსჯელონ ზნეობრივ მოთხოვნათა ზუსტი შინაარსის შესახებ. რაც შეეხება „მართლმსაჯულების ავტორიტეტს“, ამ საკითხზე მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გაცილებით მეტია საერთო. ამ შემთხვევაში ევროპული კონტროლის სფერო გაცილებით ფართოა, ხოლო მონაწილე სახელმწიფოთა უფლებამოსილებები — გაცილებით მცირე.

კომისიის უმცირესობასა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობას მიაჩნიათ, რომ „სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტი“ საერთო სამართლის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი და ანალოგი არ მოეპოვება კონტინენტური ევროპის ბევრი ქვეყნის სამართალში.

ეს ასეც რომ იყოს, სასამართლოს აზრით, „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ მართლზომიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეესაბამება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. დაუშვებელია მისი გადაქცევა ისეთ ეტალონად, რომლის შესაბამისადაც ამა თუ იმ კონკრეტული ზომის „აუცილებლობის“ შეფასება მოხდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვერ შეაფასებს საერთო სამართლის ამ ინსტიტუტს ავტონომიურ სამართლებრივ კონტექსტში. სასამართლომ უნდა შეაფასოს „აუცილებლობა“ კონვენციის შესაბამისად და შეამოწმოს ეროვნული სამართლებრივი აქტების კონვენციის ნორმებთან შესაბამისობა.

სასამართლო, კონტროლის განხორციელებისას, მთლიანობაში აფასებს საქმეს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობა ეჭვის ქვეშ არ აყენებს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ლორდთა პალატის მიერ დადგენილი პრინციპის შეცვლის აუცილებლობას.

სასამართლოს არ შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ განიხილავს ეროვნული სასამართლოს ბრძანებას „აუცილებლად“ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი გადაწყვეტილება სხვა სამართლებრივი სისტემის პირობებში არ იქნებოდა მიღებული. როგორც სასამართლომ აღნიშნა საქმეზე „ბელგიური ენების შესახებ“, კონვენციის ძირითად ამოცანას

წარმოადგენს გარკვეული საერთაშორისო სტანდარტების დადგენა, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება მონაწილე სახელმწიფოებისათვის. ზემოთქმული არ ნიშნავს აბსოლუტურ ერთგვარონებას და მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული თავისუფლება საშუალებათა არჩევაში.

62. აუცილებელია გადაწყდეს, თუ რამდენადაა გასაჩივრებული ჩარევა „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილება“; იყო თუ არა ეს ჩარევა „დასახული მართლზომიერი მიზნის“ პროპორციული; არის თუ არა მთავრობის მიერ ამ ჩარევის სასარგებლოდ წარმოდგენილი არგუმენტები საკმარისი და კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ გააანალიზა სასამართლო აკრძალვის საგანი და საქმის სხვა გარემოებები.

63. ლორდათა პალატის მიერ გაცემული სასამართლო ბრძანება შეეხებოდა არა მარტო სტატიის გამოქვეყნების აკრძალვას, არამედ იგი არ აძლევდა საჩივრის წარმდგენს საშუალებას, საკუთარი გამოკვლევის შედეგები გადაეცა სამთავრობო სტრუქტურებისა თუ პარლამენტის წევრებისათვის, გამოექვეყნებინა დაგეგმილი წიგნი, ექსპერტული კრიტიკაზე ან გაეკეთებინა კომენტარები და გაეგრძელებინა ჟურნალისტური გამოძიება მოცემულ საკითხზე. სასამართლო აკრძალვა საკმაოდ ფართო იყო.

მიუხედავად ზემოქმულისა, სასამართლო აკრძალვის მთავარი საგანი იყო მომავალი სტატიის პროექტი. ამიტომაც, უპირველესად უნდა დადგინდეს, რამდენად შეესაბამებოდა აკრძალვა „მართლმსაჯულების ავტორიტეტის“ დაცვის ამოცანას.

სასამართლო ბრძანების გაცემის ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ პროცესის მონაწილე მხარეზე, კომპანია „დისტრილერსზე“, განხორციელებულ ზენოლას ეს უკანასკნელი შეიძლება აეძულებინა, მოსარჩელებთან არახელსაყრელ მორიგებას დათანხმებულიყო. 1972 წელს სტატიას არ შეეძლო რაიმე დაემატებინა იმ ზენოლისათვის, რაც იმ დროისათვის უკვე ხორციელდებოდა „დისტრილერსზე“. მით უმეტეს, ძნელი იყო რაიმე ზენოლაზე საუბარი 1973 წელს, როდესაც თალიდომიდის საკითხს იხილავდა პარლამენტი და, ამავე დროს, საყოველთაო სახალხო განსჯის თემაც იყო.

ლორდათა პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაეცემა, თუ საზოგადოებას სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე წინასწარ ექნება ჩამოყალიბებული აზრი განსახილველ საკითხზე, ხოლო მხარეები სასამართლო განხილვამდე „საგა-



ზეთო სასამართლოში" მიიღებენ მონაწილეობას. სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი პოზიცია შეესაბამება „მართლმსჯულების ავტორიტეტის“ დაცვის ამოცანას. არ უნდა გამოირიცხოს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ორგანიზებული ფსევდოსასამართლოების რეგულარულმა თვალყურის დევნებამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს სასამართლოს ავტორიტეტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ „სანდი ტაიმისი“ აკრძალული პუბლიკაციის პროექტი საკმაოდ ზომიერი იყო, იგი საკითხს ცალმხრივად არ ამუშავებდა და არ ამტკიცებდა, რომ საქმეზე ერთადერთი შესაძლო გადანყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. მართალია, მასში დეტალურად იყო გაანალიზებული „დისტილერის“ სანინალმდეგო მტკიცებულებები, მაგრამ იგი ასევე შეიცავდა კომპანიის მხარდამჭერი არგუმენტების ჩამონათვალს. სტატია შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „როგორც ჩანს, ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი და ნათელი პასუხი არ არსებობს“. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მკითხველში სტატიას კომპანიის ბრალეულობის საკითხზე საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება შეეძლო, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნება ვერ გამოიწვევდა უარყოფით შედეგებს „მართლმსაჯულების ავტორიტეტისათვის“. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ საკითხზე ფართო საზოგადოებრივი დებატები არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო აკრძალვის კონკრეტული მიზეზი შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს, სასამართლოს უფლება არა აქვს, გადანყვეტილება საქმის სხვა გარემოებების შეფასების გარეშე მიიღოს.

64. სასამართლო ბრძანების მიღებისას საქმის განხილვა შეჩერებული იყო, რადგანაც მიმდინარეობდა მხარეთა შორის მოლაპარაკებები მორიგების თაობაზე. სარჩელის წარმდგენი ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ ამ დროისათვის საქმე „მიძინებული“ იყო. კომისიის უმრავლესობას სასამართლო განხილვის გაგრძელება რეალურად არ მიაჩნდა. კომისიის უმცირესობა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამ პოზიციას არ დაეთანხმნენ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ გადანყვეტილების მისაღებად მნიშვნელობა არა აქვს სადავო პერიოდში საქმის მდგომარეობის დადგენას. მორიგების სტადიაში ჩარევის თავიდან აცილება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სასამართლო განხილვისას. აღსანიშნავია ის გარემო-

ება, რომ მოლაპარაკებები დიდხანს გრძელდებოდა, ხოლო სასამართლო ბრძანების გაცემისას საქმის განხილვა სასამართლოში დაწყებული არ იყო.

იბადება კითხვა: რატომ გაუქმდა სასამართლო ბრძანების მოქმედება 1976 წელს „ზენოლის პრინციპზე“ დაყრდნობით, როდესაც სასამართლო განხილვა დასრულებული არ იყო? სასამართლო ბრძანების გაუქმება, პირველ რიგში, წარმოშობს კითხვას — იყო თუ არა აკრძალვა აუცილებელი?

65. ამ კითხვაზე მთავრობამ ამგვარად უპასუხა: მთავრობა ვალდებულია, დაიცვას ნონასწორობა სიტყვის თავისუფლებასა და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლებას შორის. მთავრობამ აღნიშნა, რომ სასამართლო აკრძალვა დროებითი ღონისძიება იყო და იგი მაშინვე გაუქმდა, როგორც კი სიტუაცია შეიცვალა.

როგორც სასამართლომ აღნიშნა საქმეზე — „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ — კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ძირითად საყრდენსა და მისი პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამალელვებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია (იხ.: „Hendisaidi გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პუნქტი 49).

მართალია, ეს პრინციპები პრესასთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი გამოყენება მართლმსაჯულების აღსრულების დროსაც ხდება, რაც საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და ინფორმირებული საზოგადოების მხრიდან თანამშრომლობას საჭიროებს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასამართლოები ვაკუუმში ვერ იმოქმედებენ. მართალია, სასამართლო დავის გადანაცვების ადგილს წარმოადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დავის განხილვა სხვაგან არ შეიძლება, თუნდაც პრესაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ უნდა გადალახონ ის ზღვარი, რაც დადგენილია სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, მაგრამ, ამავე დროს, მათ ევალებათ, ზუსტად ისევე გაავრცელონ ინფორმაცია სასა-

მართლო საქმიანობის საკითხებზე, როგორც ეს ხდება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმიანობის სხვა სფეროებში.

„დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“ ჩარევის ადეკვატურობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემული საქმისადმი საზოგადოების ინტერესის არსებობა. არსებობს კონცეფცია დაპირისპირებულ ინტერესებს შორის წინასწარობის მოძებნის თაობაზე, მაგრამ, ამასთან ერთად, ლორდთა პალატის ზოგიერთმა წევრმა ჩამოაყალიბა აბსოლუტური წესი, რომლის მიხედვით დაუშვებელია სასამართლოს განხილვაში მყოფი იმ საკითხების წინასწარი გადაწყვეტის შეთავაზება, რომელთა განხილვა სასამართლოში არ დასრულებულა. ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განსხვავებული პოზიცია გააჩნია. იგი განიხილავს არა ორი განსხვავებული პრინციპის დაპირისპირებას, არამედ სიტყვის თავისუფლების საკითხს, რომელსაც გარკვეული გამონაკლისები გააჩნია. ეს გამონაკლისები, თავის მხრივ, საკმაოდ ვიწროდ უნდა იქნას განმარტებული. სასამართლომ ამ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა იმ ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს.

ბნ. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თალიდომიდთან დაკავშირებულმა კატასტროფამ საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. ნამოიჭრა ასეთი პრობლემა: მედიკამენტის მწარმოებელი ძლიერი კომპანია აგებდა თუ არა პასუხს მორალურად და იურიდიულად იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც საშინელი ტრაგედია განიცადეს? განიხილებოდა სამეცნიერო მიღწევების თანამდევნი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები; კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა კანონმდებლობის ბევრი ნორმა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გარანტირებულია არა მარტო პრესის უფლება — მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, არამედ საზოგადოებრიობის უფლებაც — იყოს სათანადოდ ინფორმირებული.

მოცემულ საქმეში ტრაგედიის მრავალ მსხვერპლს გააჩნდა სასიცოცხლო ინტერესი, გასცნობოდა საქმის ყველა გარემოებასა თუ პრობლემას და მიეღო ინფორმაცია ამ პრობლემების შესახებ გადწყვეტის თაობაზე. მათი ამ ინტერესის უგულვებელყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელება საფრთხის უქმნის „მართლმსაჯულების ავტორიტეტს“.

მთავრობა და კომისიის წევრთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აკრძალვა არ ვრცელდება „უფრო ფართო პრობლემების“ განხილვაზე (მაგ.: ინგლისური სამართლის მიდგომა „გაუფრთხილებლობით“ გამონვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით). სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა საკმაოდ ხელოვნურია, რადგანაც საზოგადოებას ის საკითხიც აინტერესებს, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი ტრაგედიისათვის.

სადავო არ არის, რომ „სანდი ტაიმსის“ სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში კომპანია „დისტილერსი“ იძულებული გახდებოდა, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით საჯაროდ და საქმის სასამართლო განხილვამდე წარედგინა საკუთარი მოსაზრებები... თუმცა ფაქტების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არ ნელდება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ირგვლივ სასამართლოს გადანყვეტილება ჯერ არ გამოუტანია. მეტიც, სტატიამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს ზოგიერთ ფაქტს და ამით ხელი შეუწყოს ინფორმირებულ დისკუსიას.

67. საქმის ყველა გარემოებასა და 65-ე პუნქტში მოტანილ დებულებაზე დაყრდნობით სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ჩარევა არ არის გამონვეული „გადაუდებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილებით“, რომელიც გადანონიდა კონვენციით დაცულ სიტყვის თავისუფლების განხორციელების თაობაზე საზოგადოებრივ დაინტერესებას. ეს შეზღუდვა არ არის დასახული მიზნის პროპორციული და არ არის აუცილებელი „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „სასამართლოს ავტორიტეტის“ დასაცავად.

68. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

#### მე-14 მუხლის შესახებ

69. საჩივრის წარმდგენი მიიჩნევს, რომ მე-10 მუხლთან მიმართებაში დარღვეულია კონვენციის მე-14 მუხლით გარანტირებული მისი უფლება. მე-14 მუხლის შესაბამისად:

„კონვენციით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა სარგებლობდეს ყველა, მიუხედავად სქესისა, რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებისა, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადების ადგილისა და სხვა გარემოებებისა.“

საჩივრის წარმდგენს მიაჩნია, რომ მე-14 მუხლით გარანტირებული მისი უფლება დაირღვა იმის გამო, რომ ანალოგიური პუბლიკაციები მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც გამოქვეყნდა და ამას სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

მთავრობასა და კომისიას მიაჩნიათ, რომ მე-14 მუხლი არ დარღვეულა.

70. მე-14 მუხლი დისკრიმინაციისაგან იცავს მსგავს სიტუაციაში მყოფ ცალკეულ პირებს ან პირთა ჯგუფს. ის გარემოება, რომ სხვა გაზეთების მიმართ რაიმე ზომები არ ყოფილა მიღებული, არ შეიძლება განხილულ იქნეს საჩივრის წარმდგენის დისკრიმინაციის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად.

73. შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლი არ დარღვეულა.

### **მე-18 მუხლის შესახებ**

74. საჩივრის წარმდგენი მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლით გარანტირებული მისი უფლება. მე-18 მუხლის შესაბამისად:

„ამ კონვენციით დაშვებული შეზღუდვები ზემოხსენებულ უფლებებსა და თავისუფლებებზე არ გამოიყენება იმ მიზნების გარდა, რომლისთვისაც ისინი იქნენ გათვალისწინებულნი. „

მიუხედავად ამისა, 1978 წლის მემორანდუმში საჩივრის წარმდგენს ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი აღუნიშნავს. არც მთავრობა და არც კომისია ამ საკითხს არ შეხებია.

75. სასამართლო საჩივრის წარმდგენის პოზიციისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ამ საკითხის განხილვას.

### **50-ე მუხლის შესახებ**

76. კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად, „თუ სასამართლო დაადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო თუ სხვა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ზომები მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვევს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ანდა თუკი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი

გადანყვეტილებით ან ზომებით გამონვეული შედეგების ნაწილობრივ კომპენსაციას, დაზარალებულ მხარეს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება განესაზღვროს სამართლიანი ანაზღაურება.“

სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით, „კონვენციის დარღვევისას სასამართლო ვალდებულია, იმავე გადანყვეტილებაშივე მიუთითოს 50-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, თუ საკითხი მომზადებულია. თუ საკითხი მომზადებული არ არის, სასამართლო 50-ე მუხლის გამოყენების საკითხს გადადებს და განსაზღვრავს შემდგომ პროცედურებს.“

77. საჩივრის წარმდგენმა 1978 წლის 10 თებერვლის მემორანდუმით მოითხოვა აღნიშნულ საქმის წარმოებაზე განეული ხარჯების ანაზღაურება, თუმცა 1978 წლის 24 აპრილის მოსმენაზე მას თავისი მოთხოვნა არ დაუკონკრეტებია.

78. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სარჩელის წარმდგენმა მოითხოვა მხოლოდ ამ საქმესთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ რაკი მოცემულ მომენტში ამ ხარჯების ოდენობა მხარის მიერ დაზუსტებული არ არის და, შესაბამისად, საკითხი მოუმზადებელია, იგი უნდა გადაიდოს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს შემდგომ პროცედურებს.

### **ზემოქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა:**

ა) დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (თერთმეტი ხმით ცხრის წინააღმდეგ);

ბ) მე-14 მუხლი არ დარღვეულა (ერთხმად);

გ) არ არსებობს მე-18 მუხლის დარღვევის გამო საქმის განხილვის აუცილებლობა (ერთხმად);

დ) საკითხი 50-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მოუმზადებელია, რის გამოც ამ უკანასკნელის განხილვა გადაიდო (ერთხმად);

გადანყვეტილება შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე (ინგლისური ტექსტი ავთენტურია) და გამოქვეყნებულია სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში, 1979 წლის 26 აპრილს.

## ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ Handyside v United Kingdom

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა გამომცემელმა, რომელმაც დანიაში გამოქვეყნებული წიგნის — „პატარა წითელი სახელმძღვანელო“ — ბრიტანეთში გამოცემის უფლება მოიპოვა. ეს სახელმძღვანელო ითარგმნა და გამოქვეყნდა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის: ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიასა და შვეციაში. საჩივრის წარმდგენმა ეს წიგნი თარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოსცა. წიგნი 208 გვერდს შეიცავდა და 30 პენი ღირდა. წიგნი რამდენიმე თავისაგან შედგებოდა, მათ შორის: „განათლება“, „მასწავლებელი“, „მოსწავლე“. თავი „მოსწავლე“ 26 გვერდს მოიცავდა და მასში მოცემული იყო ინფორმაცია სქესობრივი ურთიერთობების შესახებ (სქესობრივი კავშირი, მასტურბაცია, აბორტი, ჰომოსექსუალობა და ა.შ.). დაბეჭდვის შემდეგ გამომცემელმა რამდენიმე ასეული სასიგნალო ეგზემპლარი დააგზავნა და საგანმანათლებლო-საგამომცემლო პრესაში შესაბამისი რეკლამაც განათავსა. შესაბამისად, წიგნს ძალზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა ნამყვანი გაზეთებისა თუ ჟურნალების ფურცლებზე. წიგნმა გამოიწვია როგორც კრიტიკული, ისე მხარდამჭერი რეაქცია. რამდენიმე პირმა საჩივრით მიმართა პროკურორს, რომელმაც, თავის მხრივ, დედაქალაქის პოლიციას დაავალა საქმის გამოძიება. პოლიციამ, უხამსი პუბლიკაციების შესახებ 1959 წლის კანონის შესაბამისად, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ჩხრეკის ნებართვის მისაღებად. სასამართლომ დააკმაყოფილა პოლიციის შუამდგომლობა. წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი ამოიღეს გამომცემლის ოფისიდან. გამომცემელს ბრალი დაედო უხამსი ლიტერატურის ფლობაში გასაღების მიზნით, რაც, 1959 წლის ზემოთ აღნიშნული კანონის შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. სასამართლომ დააჯარიმა გამომცემელი 50 ფუნტი სტერლინგის ოდენობის ჯარიმით. ამავე დროს, გამომცემული წიგნები კონფისკებულ იქნა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი ძალაში დატოვა და გასცა განკარგულება გამომცემული წიგნების განადგურების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სასამარ-

თლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ათასობით ეგზემპლარი გაიყიდა დიდ ბრიტანეთში. ნიგნის გავრცელება არ აუკრძალავთ ჩრდილოეთ ირლანდიაში, ხოლო შოტლანდიაში სასამართლომ უარი განაცხადა ნიგნის აკრძალვაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ გამომცემელმა ნიგნის გადაშუშავებული ვარიანტი გამოსცა და გაავრცელა. ამ ვერსიის მიმართ არავითარი შეზღუდვა არ დანესებულია დიდი ბრიტანეთის მასშტაბით.

გამომცემელმა კომისიას მიმართა საჩივრით, რომელშიც მიუთითებდა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მისი უფლებები. კომისიამ ხმათა უმრავლესობით (რვა ხუთის წინააღმდეგ) დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ დარღვეულა.

### **ამონაკრები სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სამართლებრივი საკითხები:**

კონვენციის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ

34. კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად:

„1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინონარმოების ლიცენზირება.

2. ამ უფლებათა განხორციელება მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, ამიტომაც შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომელთაც ითვალისწინებს კანონი და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, უნესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად“.

43. არც ერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია სახელმწიფო ორგანოე-



ბის მხრიდან საჩივრის წარმდგენის სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა, რაც გამოიხატა საჩივრის წარმდგენისათვის სასაჯელის შეფარდებაში, რამდენიმე ასეული წიგნისა და დაკაბადონებული მასალის კონფისკაციაში.

44. იმისათვის, რომ ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს, აუცილებელია, რომ იგი „გათვალისწინებული იყოს კანონით“. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ეს მოთხოვნა დაცული იქნა, რადგან ჩარევა განხორციელდა ზემოთ მითითებული 1959 და 1964 წლის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ამავე დროს, საჩივრის წარმდგენი არ აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული კანონები არასწორად გამოიყენეს.

45. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია დაედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩარევა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის არა მარტო პირველ, არამედ დანარჩენ მოთხოვნებსაც. სასამართლომ უნდა დააზუსტოს, რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „მორალის დასაცავად“.

46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და კომისიის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ 1959 და 1964 წლის კანონები მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ზნეობის დაცვას.

47. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის დაცვა რამდენად საჭიროებდა ისეთი ზომების მიღებას, როგორიც საჩივრის წარმდგენის წინააღმდეგ გატარდა.

გაერთიანებული სამეფოს მთავრობასა და კომისიის წევრთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ინგლისის სასამართლომ იმოქმედა გონივრულად და კეთილსინდისიერად. მას არ დაურღვევია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის დადგენილი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები. მეორე მხრივ, კომისიის უმცირესობაში დარჩენილმა წევრებმა აღნიშნეს, რომ სასამართლომ ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება კი არ უნდა შეაფასოს, არამედ უნდა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ეს სასკოლო სახელმძღვანელო კონვენციის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ

კონვენციით დაწესებულ დაცვის ინსტრუმენტებს სუბსიდიური ხასიათი გააჩნიათ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემებთან მიმართებაში. კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს, პირველ რიგში, აკისრებს კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას. კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმი მხოლოდ მაშინ უნდა ამოქმედდეს, როდესაც სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობა ამოიწურება.

შეუძლებელია, საზოგადოებრივი ზნეობის თაობაზე ერთიანი ევროპული შეხედულება არსებობდეს. მონაწილე სახელმწიფოებში ზნეობრივი მოთხოვნები შეიძლება იცვლებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით, თანამედროვე ეპოქაში. ადგილობრივ სასამართლოებს ევროპულ სასამართლოზე უკეთესად შეუძლიათ იმსჯელონ ზნეობრივ მოთხოვნათა ზუსტი შინაარსისა და მასთან დაკავშირებით შეზღუდვათა და სასჯელთა გამოყენების აუცილებლობის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სიტყვა „აუცილებელია“, მართალია, არ არის „შეუცვლელის“ სინონიმი, მაგრამ მას არ ახასიათებს ის მოქნილობა, რაც, მაგალითად, გააჩნიათ სიტყვებს: „დასაშვებია“, „როგორც წესი“, „მიზანშეწონილია“ და ა.შ. სიტყვა „აუცილებელია“ გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილების“ არსებობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოებს გარკვეულ დისკრეციულ უფლებამოსილებას უტოვებს იმის განსაზღვრისას, თუ რას ნიშნავს ტერმინი „აუცილებელია“. მიუხედავად ზემოთქმულისა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი მათ შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რამდენად შეესაბამება მონაწილე სახელმწიფოების მიერ დაწესებული შეზღუდვები კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება როგორც შიდასახელმწიფოებრივი დისკრეციული უფლებამოსილება, ისე კანონმდებლობა და აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

კონტროლის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელ უმთავრეს

პრინციპებს. კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი საყრდენთაგანი და მისი პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო „ინფორმაცია“ ან „იდეას“, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღელვებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ წარმოუდგენელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლების სფეროში ნებისმიერი „პირობის“ დაწესება, „ჩარევა“, „შეზღუდვა“ თუ „სასაჯელი“ დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლების განხორციელებისას ნებისმიერ პირს შეიძლება დაეკისროს ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რომელთა მოცულობაც დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, რომელშიც ეს პირი იმყოფება და მის მიერ გამოყენებულ გამოხატვის საშუალებებზე. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, როცა იკვლევს, თუ რამდენად შეესაბამებოდა სიტყვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევა ევროპულ კონვენციას, მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეს ასეთი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები.

50. ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი ამოცანაა არა ეროვნული სასამართლოების შეცვლა, არამედ მათი გადანაცვეტილებების შესაბამისობის დადგენა კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეროვნული სასამართლოს გადანაცვეტილება იზოლირებულად კი არა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს. სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტების სრულყოფილი ანალიზის შედეგად უნდა დაადგინოს, რამდენად პროპორციული და ეფექტურია მთავრობის მიერ გამოყენებული შეზღუდვა.

51. ზემოაღნიშნული მეთოდის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს ლონდონის სასამართლოს მიერ მიღებული გადანაცვეტილება.

52. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება

მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებასი გათვალისწინებულია სასკოლო სახელმძღვანელოს მკითხველთა წრე. წიგნი განკუთვნილი იყო ბავშვებისა და 12-დან 18 წლის ასაკამდე მოზარდებისთვის. საჩივრის წარმდგენმა განმარტა, რომ ის ამ სახელმძღვანელოს ფართოდ გავრცელებას აპირებდა.

როგორც ეროვნული სასამართლოც ადასტურებს, სახელმძღვანელოში მოტანილი ინფორმაცია ფაქტობრივი ხასიათისა იყო და, ძირითადად, სინამდვილეს შეესაბამებოდა. ამავე დროს, წიგნის ერთ-ერთ თავში მოცემულ მოსაზრებებს შეიძლება მოზარდი თაობა წაეხალისებინა მათთვის საზიანო და ნაადრევი ქმედებების, აგრეთვე ზოგიერთი დანაშაულის ჩასადენად. მიუხედავად იმისა, რომ ზნეობისა და განათლების შესახებ მოსაზრებები ინგლისურ საზოგადოებაში მუდმივად ვითარდება, ინგლისელმა მოსამართლეებმა გამოიყენეს თავიანთი დისკრეციული უფლებამოსილება და წიგნის აკრძალვა საზოგადოებრივი ზნეობის დასაცავად აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნიეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ 1959/1964 წლის კანონის ძირითადი ამოცანა — „ახალგაზრდობის ზნეობის დაცვა“ — კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი ლეგიტიმური მიზანია.

53. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, „აუცილებელი“ იყო თუ არა ჩარევა „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრთა უმცირესობამ ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ წიგნი აკრძალული არ ყოფილა ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიასა და მენის კუნძულზე. 1971 წლის ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ათასობით ეგზემპლარი ტრიალებდა თავად ინგლისში. ჩრდილოეთ ირლანდიის, მენის კუნძულის, შოტლანდიისა და უელსის შესაბამისმა ორგანოებმა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროდ არ მიიჩნიეს ჩარევა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება რეალური „აუცილებლობიდან“ არ გამომდინარეობდა, ხოლო ინგლისი დისკრეციული უფლებამოსილების მიღმა მოქმედებდა.

საჩივრის წარმდგენმა და მოსამართლეთა უმცირესობამ მიუთითეს, რომ წიგნის დანიური ორიგინალი და მისი სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ეგზემპლარები ევროპის საბჭოს უმეტეს ქვეყნებში ყოველგვარი

შეზღუდვის გარეშე იყიდებოდა.

მოსამართლეთა უმრავლესობამ კი მიიჩნია, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება და „შეზღუდვისა“ და „სასჯელის“ შერჩევის უფლება. სახელმწიფოებს უფლება აქვთ, კონკრეტული სიტუაციისა და ტერიტორიის მიხედვით გადანყვიტონ საზოგადოებრივი მორალის დაცვის საკითხი. სხვა ქვეყნების მიერ განსხვავებული გადანყვიტილების მიღება არ ნიშნავს, რომ ინგლისმა „შეზღუდვის“ დანესებით კონვენცია დაარღვია.

საქმის ყველა გარემოებაზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი ვერ დაადგინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა:

კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

**მარკტ ინტერნ ვერლაგ მბ და კლაუს ბირმანი  
გერმანიის წინააღმდეგ  
Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v Germany  
A.164 (1989) 12 EHRR 161**

ამ საქმეზე საჩივარი წარადგინა საგამომცემლო კომპანიამ, რომლის მთავარი მიზანი მცირე და საშუალო სავაჭრო ობიექტების ინტერესების დაცვა იყო. ასეთ სავაჭრო ობიექტებს დიდ მეტოქეობას უწევდნენ მსხვილი სუპერმარკეტები და საფოსტო შეკვეთებზე ორიენტირებული სავაჭრო ფირმები. ბატონი ბერმანი ამ საგამომცემლო კომპანიის მთავარი რედაქტორი იყო. 1975 წელს გამომცემლობის ყოველკვირეულ ბიულეტენში დაიბეჭდა სტატია ინგლისური კომპანიის შესახებ, რომელიც საფოსტო შეკვეთების მეშვეობით ყიდდა პარფიუმერიას. მასში მოთხრობილი იყო გერმანელი ქიმიკოსი ქალბატონის პრეტენზიების შესახებ ამ კომპანიის მიმართ. მომხმარებელი ქალბატონი მიუთითებდა, რომ კომპანიამ მას ზარალი არ აუნაზღაურა. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ინგლისურმა კომპანიამ არაფერი იცოდა ქალბატონის საჩივრის თაობაზე და აღუთქვამდა საკითხის სწრაფად შესწავლას. ბიულეტენი ამ კომპანიასთან ურთიერთობისას ყველას სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. საჩივრის წარმდგენს გერმანულმა სასამართლომ აუკრძალა მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნება, რადგან ეს არღვევდა გერმანიის 1909 წლის კანონს „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“. გამომცემლის სარჩელი არც საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა. გამომცემლობამ საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას მიმართა, რომელმაც თორმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

### **სამართლებრივი საკითხები**

24. საჩივრის წარმდგენი ამტკიცებდა, რომ „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“ გერმანიის 1909 წლის კანონის დებულებები ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს.

25. გერმანიის მთავრობის მტკიცებით, მოცემულ შემთხვევას კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები არ უნდა შეე-

ხოს. საჩივრის წარმდგენის მიერ გავრცელებული საინფორმაციო ბიულეტენის მიზანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება კი არა, მწარმეთა გარკვეული ჯგუფის საქმიანობის პოპულარიზაცია იყო. საჩივრის წარმდგენის მოქმედება სამეწარმეო თავისუფლებისა და კონკურენციის სფეროს განეკუთვნება, რაც არ არის დაცული კონვენციით.

საჩივრის წარმდგენმა არ უარყო, რომ იგი მცირე და საშუალო სავაჭრო ობიექტების ინტერესებს იცავდა, თუმცა მიუთითა, რომ ბიულეტენს მოთხოვნისა და მიწოდების პროცესთან პირდაპირი კავშირი არ გააჩნდა. ბიულეტენის გამოცემა მომხმარებელზე დამოკიდებული და, შესაბამისად, იგი მონოღებულია, თავის მკითხველთა მოითხოვნები დააკმაყოფილოს. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის პირთა ინტერესი მედიის ძირითადი საშუალებების მიერ უგულებელყოფილია. საჩივრის წარმდგენი ასაბუთებდა, რომ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენების სფეროში მხოლოდ პოლიტიკური და კულტურული ხასიათის ინფორმაციის მოქცევა პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვებდა.

ცხადია, რომ ბიულეტენი სავაჭრო ქსელში დასაქმებულ პირთა ვინაობა წრეს შეეხება და მთლიანად საზოგადოების პრობლემებს არ ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ ბიულეტენი ავრცელებდა კომერციული ხასიათის ინფორმაციას, ეს უკანასკნელი კონვენციის მე-10 მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა.

27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, მოხდა „ჩარევა“ კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ სიტყვის თავისუფლებაში, რადგან გერმანიის უზენაესი სასამართლოს ბრძანებით საჩივრის წარმდგენს გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის გამჟღავნება აეკრძალა.

#### **„გათვალისწინებულია კანონით“**

29. საჩივრის წარმდგენის აზრით, განხორციელებული ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ არ ყოფილა, რადგან ასეთი შედეგის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. გერმანიის კანონმდებლობის შესაბამის ნაკვეთში ნათლად არ არის გამიჯნული სიტყვის თავისუფლება და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

30. მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ამ თვალსაზრისით 1909 წლის კანონის გამოყენების მნიშვნელოვანი სასამართლო

პრაქტიკა არსებობს, რაც ცნობილი უნდა ყოფილიყო საჩივრის წარმდგენისათვის. კომისიამ მთავრობის პოზიცია გაიზიარა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხშირად კანონები აბსოლუტური სიზუსტით არ არის ჩამოყალიბებული. ეს განსაკუთრებით ეხება ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, სადაც სიტუაცია მუდმივად იცვლება საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით კი გერმანიაში საკმარისი სასამართლო პრაქტიკა არსებობს, რათა კომერციის სფეროში მომუშავე პირებმა შეძლონ თავიანთი ქმედებების შედეგების წინასწარ განჭვრეტა.

### „კანონიერი მიზანი“

გერმანიის უზენაესი სასამართლოს 1980 წლის გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ „ჩარევა“ განაპირობა „სხვათა უფლებების“ დაცვის უზრუნველყოფის მიზანმა. ეს მიზანი კი კანონიერია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 მუხლის შესაბამისად.

### „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“

32. საჩივრის წარმდგენი ამტკიცებდა, რომ ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. კომისიამ ეს პოზიცია გაიზიარა.

მთავრობის მოსაზრებით, საჩივრის წარმდგენის მიერ გამოქვეყნებული ბიულეტენი მიზნად არ ისახავდა საჯარო ინტერესის მქონე საკითხზე დისკუსიის გამართვის ხელშეწყობას. მთავრობა ბიულეტენში გამოქვეყნებულ ინფორმაციას არაკეთილსინდისიერ კონკურენციად განიხილავდა, რომლის შესაბამისადაც, გამომცემლობა მოქმედებდა კონკრეტული ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ ბაზარზე სხვა კომპანიის შესაწინააღმდეგობად.

33. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მას შეუძლია შეუმოწმოს ნევრ სახელმწიფოებს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების საზღვრები. აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომერციულ სფეროში, რათა ნევრმა სახელმწიფოებმა შეძლონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვა.

34. მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა ჩარევა მიზნის პროპორციული. ამისთვის მან ერთმანეთს უნდა შეუპირისპიროს „სხვათა რეპუტაციისა და უფლებების“ დაცვის მნიშვნელობა ამ ტიპის ინფორმაციის



გამოქვეყნების უფლებას.

საჩივრის წარმდგენის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ გარკვეული დადებითი შედეგი გამოიწვია. თავის მხრივ, კომპანიამ თავისი დაპირება შეასრულა და მომხმარებელთა 11 870 საჩივარი დააკმაყოფილა. გერმანიის შესაბამისმა სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას პროპორციულობის პრინციპი გამოიყენა.

35. ბიზნესის სფეროში ამა თუ იმ პირის საქმიანობაზე ინფორმაციის მიღება კონკურენტი კომპანიების ბუნებრივი ინტერესის საგანია. კომპანიის კომერციული სტრატეგია და მის მიერ დაპირებათა შესრულების საკითხი შესაძლებელია მომხმარებელთა მხრიდან კრიტიკის ობიექტი გახდეს, ამიტომაც სპეციალიზებულ პრესას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, მომხმარებელთათვის საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნოს და ამით ბიზნესის გამჭვირვალობას შეუწყოს ხელი.

ამავე დროს, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნების შესაძლებლობა უნდა შეიზღუდოს, თუნდაც ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ეს განპირობებულია სხვა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობისა და კომერციული საიდუმლოების დაცვის აუცილებლობით. ცალკეული გამონაკლისების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, რათა ეს გამონაკლისები საზოგადოებამ ზოგად ნესად არ აღიქვას. კომერციულ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებების შეფასებისას ყველა ეს ასპექტი გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

36. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის წარმდგენი ინგლისური კომპანიის კონკურენტი არ ყოფილა, თუმცა იგი მიზნად ისახავდა აფთიაქებისა და პარფიუმერიული მალაზიების მფლობელთა ინტერესების დაცვას. მართალია, სტატიაში მოტანილი ზოგიერთი ფაქტი სინამდვილეს შეესაბამებოდა, მაგრამ ავტორი ეჭვქვეშ აყენებდა ინგლისური კომპანიის სანდოობას. სტატია სხვა მომხმარებლებსაც მოუწოდებდა, თავიანთი პირადი გამოცდილების საფუძველზე მოეწოდებინათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი იყო რეალური სიტუაცია მას შემდეგ, რაც კომპანიამ მომხმარებელთა პრეტენზიების დაკმაყოფილება იკისრა.

გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება არ იყო აუცილებელი, რადგან ინგლისურმა კომპანიამ ყველა მომხმარებლის პრეტენზიის დაკმაყოფილება იკისრა. თავად გამოცემლობისთვისაც კარგად იყო ცნობილი ის

გარემოება, რომ ასეთ სიტუაციაში ინფორმაციის ნაადრევად გავრცელება გაუმართლებელი იქნებოდა და ინგლისურ კომპანიას არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ასეთი წინასწარი ინფორმაციის გავრცელება მცირე სავაჭრო ობიექტების უპირატესობას გაუსვამდა ხაზს.

37. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადანყვეტილებებს დისკრეციულ უფლებამოსილებათა საზღვრები არ დაურღვევიათ. კონვენციის მე-10 მუხლი ვალდებულებასა და პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ მიღებული ზომები აუცილებელი იყო და, შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო ცხრა ხმით ცხრის წინააღმდეგ (თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმით) ადგენს:

კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოსამართლეების: გორგიუკლუს, უსოს, პეტიტის, სპილმანის, დე მაიერის, კარილიოს სალსედოს და ვალტიკოს განსხვავებული აზრი:

სიტყვის თავისუფლების დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური შინაარსის, ისე კომერციული ხასიათის ინფორმაციასთან დაკავშირებით.

გარკვეული ეკონომიკური თუ სხვაგვარი ინტერესის დაცვის ფაქტი პირს არ უკარგავს სიტყვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას.

კომერციული საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქციისა და მომსახურების თაობაზე ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება უნდა იყოს შესაძლებელი.

მოცემულ შემთხვევაში ბიულეტენში მოტანილ ფაქტი ნამდვილად რომ მოხდა, ეს არავის გაუხდია სადავოდ. ამავე დროს, არსებობდა ასეთ ფაქტებზე ინფორმაციის გავრცელების ინტერესი, თუმცა ინფორმაციის გავრცელების ჩვეული ნორმები და ფარგლები არ დარღვეულა.

შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ დაირღვა თავისუფალი გამოხატვის უფლება.

მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილება არასწორია შემდეგ გარემოებათა გამო:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დისკრეციული უფლებამოსილების ძალზე ფართო ინტერპრეტაციას იძლევა, რაც მნიშ-

ვნელოვნად ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არასწორად თქვა უარი საქმის ყველა გარემოების ხელახალ გამოკვლევაზე, რაც „ევროპული ზედამხედველობის“ პრინციპს ეწინააღმდეგება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაპირისპირებულ ინტერესთა ურთიერთშეფარდება უნდა განახორციელოს პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. იმის აღნიშვნა, რომ ჩარევა „კანონიერი მიზნის“ დაცვას ემსახურებოდა, საკმარისი არ არის.

**ატრონიკი შვეიცარიის წინააღმდეგ**  
**Autronic AG v Switzerland**  
**178 (1990) 12 EHRR 485**

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

ამ საქმეზე სარჩელი წარადგინა შვეიცარიაში დაფუძნებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიამ, რომელიც ელექტრონიკის სფეროში იყო სპეციალიზებული. 1980 წლისათვის იგი ყიდდა საშინაო მომხმარებლის 90-სანტიმეტრიან სატელევიზიო ანტენებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო სატელიტით გადაცემული პროგრამების მიღება. ამ პერიოდისათვის მსგავსი ანტენების მეშვეობით შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირის სატელეკომუნიკაციო სატელიტის – ჰორიზონტის — გადაცემული პროგრამების მიღება. 1982 წლის გაზაფხულზე მოსარჩელემ მიმართა ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მთავარი ოფისის თანამდებობის პირს, რათა ნება დაერთოთ იმ პროგრამების ჩვენებისა, რომელთა მიღება შესაძლებელი იყო ზემოთ ხსენებული ანტენებით. კომისიამ ამის შესახებ მისწერა ბერნში საბჭოთა კავშირის საელჩოს, რომელმაც პროგრამების ტრანსლირების ნებართვა მხოლოდ გამოფენის მიმდინარეობის პერიოდზე გასცა.

1982 წლის ზაფხულში მოსარჩელემ მსგავსი თხოვნით კვლავ მიმართა კომისიას სხვა სავაჭრო გამოფენასთან დაკავშირებით. თხოვნა გაეგზავნა საბჭოთა კავშირის საელჩოს, მაგრამ მათ პასუხი არ გაუციათ. ამიტომაც კომისიამ შეატყობინა მოსარჩელეს, რომ მას არ შეეძლო გაეცა ნებართვა და რომ საბჭოთა მაუწყებლობის უნებართვოდ მიღება შვეიცარიის რადიო წესების დარღვევა იქნებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ მოსარჩელემ კომისიას განუმარტა, რომ არაკოდირებული სატელევიზიო პროგრამების პერსონალურ მიღებას უცხოური სატელიტებიდან არ ესაჭიროებოდა სახელმწიფო. მაუწყებლობის ჩინოვნიკების თანხმობა. 1983 წელს კომისიამ დაადგინა, რომ იგი პროგრამების მიღების ლიცენზიას გასცემდა მხოლოდ მაუწყებლობის მარეგულირებელი სახელმწიფო ჩინოვნიკების თანხმობის შემდეგ. მოსარჩელემ გადაწყვიტა, რომ ეს დადგენილება გაესაჩივრებინა შვეიცარიის სასამართლოში,

მაგრამ ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა დაცვის ღირსეული ინტერესი, რამეთუ მხოლოდ „ექსცენტრულობა“ განაპირობებდა საჭირო აღჭურვილობის შექმნის სურვილს. მოსარჩელემ მიმართა კომისიას და განაცხადა, რომ დაირღვა მისი უფლება ინფორმაციის მიღებაზე, სახელდობრ კი უცხოური სატელიტური ტელევიზიების მაუნეჯებლობისა. სასამართლოს წევრთა უმრავლესობამ (11 ხმა 2-ის წინააღმდეგ, ერთმა მოსამართლემ თავი შეიკავა) დაადასტურა დარღვევა.

### A. მე-10 მუხლთან შესაბამისობა

44. მთავრობის აზრით, წარმოდგენილ საქმეში მოსარჩელე კომპანიას უფლება სიტყვის თავისუფლებაზე არ გააჩნდა. ამ საქმეში სიტყვის თავისუფლება განხილული იყო, როგორც მხოლოდ ფულადი მოგების მიღების საშუალება, რაც კონვენციის ფარგლებს სცილდება. რაც შეეხება „ინფორმაციას“, იგი არ იყო დაცული მე-10 მუხლით.

47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, არც კომპანია „Autronic“-სის შეზღუდული პასუხისმგებლობა, არც ის ფაქტი, რომ მისი აქტივობა კომერციულ მიზნებს ემსახურებოდა და არც სიტყვის თავისუფლების სუბსტანციური ბუნება არ იძლევა იმის წინაპირობას, რომ „ექტრონიკსზე“ არ გაერცვლდეს მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვა. მუხლი ესადაგება „ყველას“: როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირს. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამ შემთხვევაში დაადასტურა, რომ მუხლი ესადაგება მოგების მიღებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებსაც. უფრო მეტიც, მე-10 მუხლი მოიცავს არა მარტო ინფორმაციის შინაარსს, არამედ მისი გადაცემის ან მიღების საშუალებებსაც. ამიტომაცაა, რომ მუხლის ბოლო წინადადება აღნიშნავს ცალკეულ გაერთიანებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან გადაცემის საშუალებებთან.

კონვენციის ინსტიტუტების წინაშე მოსარჩელე კომპანიამ გაასაჩივრა ჩარევა ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებაში და არა მათი შეტყობინების თავისუფლების შეზღუდვა. მსგავსად კომისიისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სატელევიზიო პროგრამების მიღება თეფშის ან სხვაგვარი ანტენის საშუალებით ესადაგება მე-10 მუხლის პირველ ორ წინადადებაში მოცემულ უფლებას, რომლის გარეშე აუცილებ-

ბელი იქნებოდა უფლების განხორციელების მიზნების გამოცალკევება.

## **B. მე-10 მუხლთან შესაბამისობა**

### **2. მე-10 მუხლის II პუნქტი.**

უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა გასაჩივრებული ჩარევა „კანონით განსაზღვრული“ და განპირობებული ერთი ან მეტი კანონიერი მიზნით, რომლებიც ჩამოთვლილია მე-2 პუნქტში. ამასთან, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

#### **ა) „განსაზღვრულია კანონის მიერ“**

ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის საკითხის შემდგომი განხილვა, თუნდაც „კანონით განსაზღვრულობის“ პირობა დაკმაყოფილებული იყოს, რადგან სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩარევა არ იყო გამართლებული. (იხ.: პარაგრაფი 60-63).

#### **ბ) კანონიერი მიზანი**

მთავრობამ განაცხადა, რომ განხორციელებული ჩარევა განპირობებული იყო კონვენციით განსაზღვრული ორი კანონიერი მიზნით.

მათგან პირველი იყო ტელეკომუნიკაციების სფეროში „არეულობის თავიდან აცილება“. ეს მიზანი განპირობებული იყო: 1) არსებულ სიხშირეთა შეზღუდული რიცხვით; 2) იმ ანარქიის თავიდან ასცილების სურვილით, რაც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ინფორმაციების შეუზღუდავმა ცირკულაციამ და 3) რათა უზრუნველყოფილიყო კულტურული და პოლიტიკური პლურალიზმი.

მთავრობის მიერ დასახელებული „მეორე კანონიერი მიზანი“ განპირობებული იყო კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების სურვილით, რადგან ტელეკომუნიკაციების საიდუმლო, რომელიც მოიცავს სატელევიზიო გადაცემებს, დაცულია ტელეკომუნიკაციების შესახებ საერთაშორისო კონვენციის 22-ე მუხლით.

59. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა განპირობებული იყო ორი კანონიერი მიზნით, რომლებიც სრულად ესადაგებოდა კონვენციას — ტელეკომუნიკაციების სფეროში არეულობისა და კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება.

### C. „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“

60. მოსარჩელე კომპანიამ განაცხადა, რომ მისთვის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა არ იყო განპირობებული მძაფრი სოციალური მოთხოვნებით. მას შემდეგ რაც სამაუწყებლო კომპანიები მოახდენდნენ პროგრამების კოდირებას ცალკეული აუდიტორიებისათვის, შეზღუდვა აღარ იქნებოდა აუცილებელი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

61. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წვერი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილებით, რათა განსაზღვრონ ჩარევის აუცილებლობა, მაგრამ ეს დისკრეციულობა უნდა შეესაბამებოდეს მის ევროპულ გაგებას. რადგანაც მე-10 მუხლით დაცული უფლებები და თავისუფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მათზე ზედამხედველობაც მკაცრი უნდა იყოს.

62. მთავრობამ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის დროს მხედველობაში უნდა მიეღო იმ დროისათვის არსებული რამდენიმე გარემოება. განსაკუთრებით კი უნდა გაეთვალისწინებინა ის ცვლილებები, რაც ამ დროის შემდეგ მოხდა სამართლებრივი და ტექნიკური განვითარების კუთხით.

სასამართლომ შენიშნა, რომ ამ დროის შემდეგ მომხდარი ცვლილებები გათვალისწინებული უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ შესაბამისი წესების მართებულ გააზრებასა და ინტერპრეტირებას.

მას შემდეგ რამდენიმე ახალმა სატელიტური მაუწყებლობის ორგანიზაციამ დაიწყო საქმიანობა. რაც შეეხება სამართლებრივ სფეროს, ცვლილებები მოხდა საერთაშორისო დონეზე, რაც გულისხმობდა 1989 წლის 5 მაისს ევროპის საბჭოში ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

63. მთავრობის მოსაზრებები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ტელეკომუნიკაციათა სატელიტების სპეციალურ მახასიათებლებს, არ ამართლებს განხორციელებულ ჩარევებს. თავისთავად ცხადია, რომ საბჭო-

თა კავშირის მაუწყებლობა არ არის „განსაზღვრული საყოველთაო მოხმარებისთვის“, ე. ი. არაა იმგვარი, როგორც ეს რადიო წესების 1992-1994-ე ნომრებშია მოცემული. შვეიცარიის მთავრობამ სასამართლოს ასევე განუცხადა, რომ მხოლოდ ტოტალური აკრძალვა იძლეოდა საშუალებას, რათა უზრუნველყოთ „საერთაშორისო კორესპონდენციების საიდუმლოება“, რადგან არ არსებობდა არავითარი მექანიზმი, რათა ერთმანეთისაგან გარჩეულიყო ასეთი სიგნალები და სიგნალები, რომლებიც საყოველთაო მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. ამგვარი მოსაზრება უსაფუძვლო იყო, რადგან მთავრობამ მანამდე დაუდასტურა კომისიას, რომ არ არსებობდა სატელიტური თეფშებით საიდუმლო ინფორმაციის მიღების რისკი. სასამართლომ (6 ხმით 2-ის წინააღმდეგ) დაასკვნა, რომ ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. შესაბამისად, დაირღვა მე-10 მუხლი.



ტოლსტოი მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს  
წინააღმდეგ  
Tolstoy Miloslavsky v UK  
(1995) LO EHRR 442, A. 316.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

ამ საქმეში მოსარჩელე იყო გრაფი ნიკოლოზ ტოლსტოი მილოსლავსკი (ცნობილი რუსი მწერლის შთამომავალი), ბრიტანეთის მოქალაქე და ისტორიკოსი. მან დანერა პამფლეტი სათაურით „ომის დანაშაული და ვინჩესტერის კოლეჯი“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ კოლეჯის ლექტორი (ლორდი ედლინგთონი) იყო „ომის მთავარი დამნაშავე, რომლის მოქმედება შეიძლება შეედაროს ყველაზე ცუდ ნაცისტს ან საბჭოელ რუს ყასაბს...“ ლორდი ედლინგთონს, როგორც სამხედრო ოფიცერს, ბრალი ედებოდა ავსტრიაში 1945 წლის ზაფხულში რამდენიმე ასეული იუგოსლავიელი და კაზაკი ტყვისა და ლტოლვილის საბჭოთა კავშირისა და ტიტოს შიარაღებული ძალების გადაცემაში მონაწილეობის მიღება. სხვა პიროვნებამაც შეურაცხყო ლორდი ედლინგთონი, როდესაც 1987 წელს პამფლეტები გაავრცელა მშობლებში, ბიჭებში, ვინჩესტერის კოლეჯის თანამშრომლებსა და ყოფილ ნევრებში, პარლამენტის დეპუტატებსა და მასმედიაში. ლორდმა შეურაცხყოფის გამო სარჩელი შეიტანა ამ პირის წინააღმდეგ, რის პასუხადაც მოსარჩელე ნებაყოფლობით შეუერთდა ამ პროცესს. პროცესმა გასტანა დაახლოებით 2 თვე, რომლის განმავლობაში ლორდმა ედლინგთონმა და მოსარჩელემ სასამართლოს მისცეს ჩვენებები. პროცესის დასრულების დროისთვის მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს ურჩია, რომ თუ ისინი საქმეს გადაწყვეტდნენ ლორდის სასარგებლოდ, მაშინ უნდა მიეთითებინათ იმ თანხის ოდენობა, რომელიც მისთვის უნდა გადაეხადა პუბლიკაციის ავტორს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ ერთსულოვნად გადაწყვიტა საქმე ლორდის სასარგებლოდ და მოსარჩელეს დააკისრა 1.500.000 ფუნტი სტერლინგის გადახდა. ეს თანხა სამჯერ აღემატებოდა ყველაზე დიდ ჯარიმას, რომელიც კი ვინმესთვის განუხაზღვრავთ ინგლისის ისტორიაში. ლორდ ედლინგთონის თხოვნით მოსამართლემ მოსარჩელეებს აუკრძალა პამფლეტების შემდგომი დაბეჭდვა. ლორდმა სასამართლოს სთხოვა, არ დაეკისრებინა მოსარჩელისთვის 1.200.000 ფუნტ სტერლინგზე მეტის გადახდა, თუმცა მოსარჩელემ არ გაიზიარა ეს მოწოდება და

განაცხადა, რომ სასამართლო პროცესი სამართლიანობის გამასხარავებას წააგავდა. სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის მიღებაზე, ვიდრე მოსარჩელე არ გადაიხდიდა 125.000 ფუნტ სტერლინგს. მოსარჩელემ ვერ შეძლო ამ თანხის მოძიება და მისი საჩივარიც განუხილველი დარჩა. მას არ გადაუხდია დაკისრებული ჯარიმა ნაწილობრივაც კი.

შესაბამისად, მოსარჩელემ იჩივლა კომისიაში და განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული მისი რამდენიმე უფლება, თუმცა კომისიამ მისი საქმე მხოლოდ მე-10 მუხლთან მიმართებით განიხილა.

### 1. კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა

33. მოსარჩელემ განაცხადა, რომ მისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო „კანონით განსაზღვრულად“. დაბოლოს, ჯარიმის ოდენობა და პუბლიკაციის აკრძალვა არაპროპორციული იყო ლორდის „რეპუტაციისა და უფლებების“ დაცვის კანონიერი მიზნისა და ამიტომაც ვერ ჩაითვლებოდა „აუცილებლად დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

34. მთავრობამ გააპროტესტა ეს მოსაზრება. კომისიამ გაიზიარა მოსარჩელის შეხედულება იმის შესახებ, რომ ჯარიმა არ იყო მიყენებული ზიანის პროპორციული, მაგრამ არ ჩამოუყალიბებია რაიმე მოსაზრება მისი სხვა არგუმენტების შესახებ.

35. როგორც ზარალის ანაზღაურების დაკისრება, ისე სასამართლო აკრძალვა აშკარა ჩარევაა მოსარჩელის სიტყვის თავისუფლებაში მე-10 (1) მუხლის თანახმად და, შესაბამისად, ეს არც ქცეულა დავის საგნად სასამართლო პროცესის განმავლობაში. ამგვარი ჩარევები არღვევენ მე-10 მუხლს, თუკი ისინი არ არის „განსაზღვრული კანონით“, არ არის განპირობებული მე-10 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან მეტი კანონიერი მიზნით და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ზემოთ აღნიშნული მიზნის ან მიზნების მისაღწევად.

### იყო თუ არა ჯარიმა „კანონით განსაზღვრული“?

დაკისრებულ ჯარიმასთან დაკავშირებით მოსარჩელემ განაცხადა, რომ იგი არ იყო „კანონით განსაზღვრული“.

## 1. ძირითადი პრინციპები

37. ტერმინი — „კანონით განსაზღვრული“ — უნდა განვიხილოთ იმ ძირითად პრინციპებთან კავშირში, რომლებიც ეხმიანება 8(2)-მე მუხლის სიტყვებს „კანონთან შესაბამისობაში“.

„...ტერმინი ... მოითხოვს, რომ გამოყენებული ზომები, პირველ რიგში, ეფუძნებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას. იგი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს თავად კანონს და მოითხოვს, რომ იგი (კანონი) ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პიროვნებებისთვის და სათანადო სიზუსტით იყოს ფორმულირებული, რათა მათ შეძლონ — თუ საჭიროა, შესაბამისი სამართლებრივი რჩევის საფუძველზე — განჭვრიტონ თავიანთი ქმედების შესაძლო შედეგი.“

კანონი, რომელიც ხელისუფლებას ამგვარ დისკრეციულობას ანიჭებს, თავისთავად არ არის შეუთავსებელი ამ მოთხოვნასთან, თუ საკმარისად ნათლად განსაზღვრავს დისკრეციის თვალსაწიერს, მისი გამოყენების მანერას და ითვალისწინებს კანონიერ მიზნებს.“ სასამართლო მრავალგზის ახსენებს სიტყვას „კანონი“, რაც მოიცავს არა მარტო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, არამედ საერთო სამართალსაც.

38. მოსარჩელემ არ უარყო ის ფაქტი, რომ დაკისრებულ ჯარიმას საფუძველად ადგილობრივი სამართალი ედო, თუმცა მან გააპროტესტა, რომ კანონი არ იძლეოდა იმის გონივრული განჭვრეტის საშუალებას, რომ ჯარიმა 1,5 მილიონის შესაბამისი იქნებოდა.

ინგლისის საერთო სამართალში არ იყო განსაზღვრული ჯარიმის ოდენობის არც ქვედა და არც ზედა ზღვარი. მისი ოდენობის დადგენის დროს მოსამართლე მკაცრად იყო შეზღუდული. მოსამართლეს შეუძლია, დაეხმაროს ნაფიც მსაჯულებს ჯარიმის განსაზღვრად რეალური ინსტრუმენტის შერჩევაში (მაგალითად, შეაფასებინოს სახლის ღირებულება). . . სარჩელის განხილვის მომენტისთვის ინგლისის სამართალი არ ითვალისწინებდა არანაირ პრინციპს, რომლის მოთხოვნა იქნებოდა დაკისრებული ჯარიმის პროპორციულობის უზრუნველყოფა მოსარჩელის რეპუტაციისთვის მიყენებულ ზიანთან. ნაფიცმა მსაჯულებმა ჯარიმის ოდენობის დადგენისას არ მიუთითეს მის მიზანზე. ჯარიმა შეიძლებოდა შეეცვალა სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ, თუ ის იქნებოდა იმდენად არაგონივრული, რომ მხოლოდ ვისიმე კაპრიზით, უსინდისობით ან არარაციონალურობით აიხსნებოდა.

ზემოთ მოტანილი გარემოებების გათვალისწინებით მოსარჩელემ

მიიჩნია, რომ მის საქმეში მოსამართლეს ნაფიცი მსაჯულებისთვის არ მიუთითებია, რომ ჯარიმა უნდა ყოფილიყო პროპორციული ლორდ ედ-ლინგტონისთვის მიყენებული ზარალისა. პირიქით, ჟიური ნააქეხეს, რომ დაენსებინათ „უზარმაზარი ჯარიმა“, რადგან მათ მოსამარ-თლისგან მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცილისწამების საქმე-ებში „არ არსებობს არავითარი ზღვარი ჯარიმის ოდენობასთან დაკავ-შირებით“. დაკისრებული ჯარიმა, თუმცა არ შეიცავდა ზიანის ანაზღა-ურებას, სამჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ინგლისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ვინმესთვის ოდესმე დაკისრებული ჯარიმა და, არ-სებითად, იმაზე მეტი იყო, ვიდრე მოსარჩელეს ესაჭიროებოდა განცდი-ლი მორალური თუ ფიზიკური ზიანის ასანაზღაურებლად.

39. მთავრობა ასაბუთებდა, რომ საჭირო იყო ლორდის სასარგებ-ლოდ საქმის ამგვარი გადანყვეტა, რადგან ეს განაჩენი უნდა ქცეულიყო არა მარტო ამ კონკრეტული ექსტრაორდინარული საქმის კანონიერ და-ბოლოებად, არამედ მომავალში აღძრულ სხვა მსგავს სარჩელთა გადან-ყვეტის სანიშნუშო მაგალითად. მხოლოდ ესოდენ მოქნილი გადანყვეტი-ლებებით შეიძლებოდა მიღწეულიყო ის მიზანი, რისთვისაც საზოგადოდ არის შემოღებული სასჯელის სახედ ცილისწამებისათვის კომპენსაცია.

40. სასამართლომ შენიშნა, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ დადას-ტურებული ბრალი ძალზე სერიოზული ხასიათის იყო. მართლაც, სასა-მართლო მოსმენების დროს მოსარჩელემ განაცხადა, რომ თუ ნაფიცი მსაჯულები დაადასტურებდნენ მის ბრალეულობას, მას ჯარიმის სა-ხით უნდა დაკისრებოდა სერიოზული ოდენობის თანხის გადახდა.

41. სასამართლო მიიჩნევს, რომ რეპუტაციისთვის მიყენებული ზი-ანის გამოსათვლელად ეროვნულმა კანონმდებლობამ ზღვარი როდი უნდა დაანესოს, არამედ უნდა გაითვალისწინოს საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. ნაფიცმა მსაჯულებმა მოქნილობის გონივრული ხარისხი შეიძლება მოიხმონ, რათა შეაფასონ ზარალის საქმესთან დაკავშირებული ფაქტები. მართლაც, ეს ჩანს ნაფიცმა მსა-ჯულებისადმი მოსამართლის საბოლოო მიმართვაში... მან მიუთითა, რომ სამართლებრივ ნორმებში ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესა-ფასებელი ნორმების არარსებობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ამ სფეროში მოქმედი კანონის დამახასიათებელი თვისება. შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული „კანონით განსაზღვრულობის“ კრიტერი-უმი, რადგან შესაბამისი სამართლებრივი რჩევის შემდეგაც კი მოსარ-ჩელეს არ შეეძლო ევარაუდა ამგვარი მოცულობის ჯარიმა.

42. შემდგომში გაირკვა, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ ჯარიმის ოდენობის შეფასებისას გამოყენებული დისკრეციული უფლებამოსილება არ იყო შეუზღუდავი. ნაფიცი მსაჯულები ვალდებული იყვნენ, მხედველობაში მიეღოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მიყენებული ზიანი, ბოდიშის მოუხდელობა, გასაჩივრებული გარემოებების სისწორის ხელახლა დადასტურება, ლორდის რეპუტაციის დაცვა... მოსამართლე ვალდებული იყო, რომ ყოველივე ეს შეეხსენებინა ნაფიცი მსაჯულებისთვის. დაბოლოს, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო, გაეუქმებინა ჯარიმა როგორც არაგონივრული და საქმე ხელახლა განეხილა.

44. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სამართლებრივი ნორმები ჩამოყალიბებული იყო საკმარისი სიცხადით. მან გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ამ სფეროში გამართლებულია მოქნილობის მაღალი ხარისხი, რადგან ნაფიც მსაჯულებს სააპელაციო სასამართლოს ზარალის მოცულობის განსასაზღვრად უამრავი კრიტერიუმის მხედველობაში მიღება უხდებათ. ერთი სიტყვით, კომპენსაცია განსაზღვრული იყო კანონით.

## **B. ითვალისწინებდა თუ არა ჯარიმა და აკრძალვა კანონიერ მიზანს?**

45. ჯარიმა და აკრძალვა ნათლად ითვალისწინებდა „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის“ დაცვის კანონიერ მიზანს. ეს არ გამხდარა დავის საგანი.

## **C. იყო თუ არა ჯარიმა და აკრძალვა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“?**

### **I. ჯარიმა**

46. მოსარჩელე და კომისია მიიჩნევდნენ, რომ ჯარიმის ოდენობა — 1,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი — იყო ლორდის რეპუტაციის ან უფლებების დაცვის კანონიერი მიზნის არაპროპორციული.

47. მთავრობამ განაცხადა, რომ ჯარიმის ოდენობასა და ლორდ ედლინგტონის რეპუტაციის აღსადგენად საჭირო კომპენსაციას შორის

არსებობდა პროპორციულობის გონივრული კავშირი და რომ მე-10 მუხლი ითვალისწინებდა „ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს“. მოსარჩელის პამფლეტი ცრუ და უსამართლო ცილისწამების თაობაზე სარჩელის აღძვრის საბაბს იძლეოდა.

48. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის გადასინჯვისას შემოიფარგლა ჯარიმის ადეკვატურობაზე მსჯელობით, რადგან ამ შემთხვევაში მისი მიზანი თავად ფაქტის კვალიფიკაციის საკითხის შეფასება არ იყო. ნევრ სახელმწიფოებში ურთიერთგანსხვავებული შეიძლება იყოს შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორი საზოგადოებრივი რეაქცია იქნებოდა მართებული კონვენციის მე-10 მუხლით დაუცველ განცხადებებზე. კომპეტენტური ეროვნული თანამდებობის პირები უკეთ აფასებენ საქმის ვითარებას, ვიდრე ევროპული სასამართლო და ამიტომაც ისინი ამ სფეროში ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით უნდა სარგებლობდნენ.

თუმცა სასამართლომ მხედველობაში მიიღო თავად მოსარჩელის მიერ დადასტურებული ფაქტი, რომ თუ ნაფიც მსაჯულები დაადგენდნენ მის ბრალდებულობას, ჯარიმა უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვნად მაღალი...

მართალია, ეს არსებითი ელემენტია, მაგრამ მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მსაჯულები იყვნენ სრულად თავისუფლები, რათა დაეკისრებინათ ნებისმიერი სიდიდის ჯარიმა. კონვენციის მიხედვით, ზარალის ანაზღაურებასა და ცილისწამებას შორის უნდა არსებობდეს პროპორციულობის გონივრული კავშირი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განემარტა, რომ მათ არ უნდა დაესაჯათ მოსარჩელე, არამედ მხოლოდ დაეკისრებინათ ჯარიმა ლორდ ედლინგტონის რეპუტაციისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის გამო... დაეკისრებული ჯარიმის ოდენობა 3-ჯერ დიდი იყო, ვიდრე ინგლისში ოდესმე დაწესებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა და არც მას შემდეგ დაუკისრებიათ ვინმესთვის მსგავსი სიდიდის ჯარიმა.

50. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვის დროს ეროვნული კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ანიჭებდა სერიოზული ლავირების საშუალებას. სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო ჯარიმის გაუქმება მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ იგი იყო უზომოდ დიდი; მას შეეძლო ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა იქნებოდა იმდენად არაგონივრული, რომ იგი ნათელი გონების მქონე ადამიანის დაწესებულს კი არა, არამედ ვინმეს

კაპრიზით, უსინდისობით ან ირაციონალურობით განპირობებულს დაემსგავსებოდა.

51. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელისათვის არაპროპორციული სიდიდის ჯარიმისაგან თავის დასაცავად საჭირო ზომები ინგლისის კანონმდებლობაში არ მოიპოვებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის უფლება.

### სასამართლო აკრძალვა

52. მოსარჩელე შემდგომში კვლავ ამტკიცებდა, რომ სასამართლო აკრძალვა იყო არაპროპორციული ღირსეულობის რეპუტაციის ან უფლებების დაცვის კანონიერი მიზნისა. ამ აკრძალვამ გამოიწვია რაიმე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა აღნიშნულ საქმეებში ღირსეულობის შესაძლო როლის შესახებ. როდესაც მოსარჩელეს ჯარიმას აკისრებდა, ნაფიცმა მსაჯულებმა არ იცოდნენ, რომ მოსამართლე მიიღებდა აკრძალვის ბრძანებას. ძალიან მაღალი იყო ალბათობა იმისა, რომ ჯარიმა გამოიწვევდა არა მარტო ღირსეულობის მიყენებული ზიანის კომპენსაციას, არამედ იმასაც, რომ მოსარჩელე შემდგომში აღარ გადანყვებოდა მის შესახებ რაიმე მასალის დაბეჭდვას.

53. მთავრობა შეედავა ამ განცხადებებს. მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უიურის ვერდიქტის გათვალისწინებით მოსამართლე უფლებამოსილი იყო, მოსარჩელისთვის აკრძალვა მსგავსი ცილისწამების მომავალში განმეორება. სწორედ ეს იყო აკრძალვის მიზანი...

### დასკვნა.

საქმის შეჯამებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ ჯარიმა იყო „კანონით გათვალისწინებული“, მაგრამ არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. შესაბამისად, დარღვეული იყო მე-10 მუხლი.

მეორე მხრივ, სასამართლო აკრძალვა, აღებული ცალკე ან ჯარიმასთან ერთად, არ ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას. ამ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლომ ერთსულოვნად მიიჩნია, რომ ჯა-

რიმა „კანონით იყო განსაზღვრული“ იმგვარი გაგებით, როგორც ეს კონვენციის მე-10 მუხლშია ჩამოყალიბებული; სასამართლო ერთსულოვნად მიიჩნევს, რომ ჯარიმა მისი ოდენობისა და იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და, შესაბამისად, არღვევს მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოსარჩელის უფლებებს; ამასთან, სასამართლო ასევე ერთსულოვნად მიიჩნევს, რომ სასამართლო აკრძალვა, აღებული ცალკე ან ჯარიმასთან ერთად, არ წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას.



# კარი მესუთე

გამონატვის თავისუფლება  
საქართველოში



# თავი 1

## საქართველოს კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლების შესახებ

### I. შესავალი

ინფორმაციისა და სიტყვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა. ის არ მოიცავს მხოლოდ პირის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ან მხოლოდ პრესის თავისუფლებას. იგი ასევე გულისხმობს ხელისუფლების ჩაურევლად ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას (სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად). ინფორმაციისა და სიტყვის თავისუფლება გულისხმობს იმ პირობების ცოდნასაც, რომლებიც ყველა სხვა უფლების განხორციელებაზე ახდენს ზეგავლენას. თუ პირს შეზღუდული აქვს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლება, ის ვერ იქნება სრულფასოვანი მოქალაქე, ეფექტურად ვერ განსაზღვრავს და ვერ გააკონტროლებს თავის მომავალს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა დღეს შემდეგი სახის საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები და ა.შ. ქვემოთ ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ამ საკანონმდებლო აქტების იმ დებულებებს, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას უკავშირდება.

### II. საქართველოს კონსტიტუცია სიტყვის თავისუფლების შესახებ

ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებს შორის უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც ადგენს სიტყვისა

და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების ძირითად პრინციპებს, საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობას და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებსა და წესს. სიტყვის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კონსტიტუციის მე-19 მუხლში მითითებულია:

„ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.“

ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი აცხადებს:

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“

სიტყვის თავისუფლება გულისხმობს პირის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ზეპირად და ა.შ.). ამიტომ ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე საშუალებები არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან იმის გამოკლებით, რაც აუცილებელია ბუნებრივად ამონურვადი რესურსის (ამ შემთხვევაში — სამაუწყებლო სიხშირის) გამოყენებისათვის. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ცენზურას, ანუ კონსტიტუცია გამორიცხავს წინასწარ კონტროლს ინფორმაციის საშუალებებზე გამოსაქვეყნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით. არავის აქვს უფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებას აუკრძალოს ან დაავალოს რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება. ამავე დროს, აკრძალულია მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეული პირების მხრიდან. ეს აკრძალვები ერთგვარად განაპირობა კომუნისტური რეჟიმის დროს სახელმწიფოს მხრიდან პრესაზე განხორციელებულმა ტოტალურმა კონტროლმა. კონსტიტუციის ამ მოთხოვნის შესაბამისად, კანონები „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ დეტალურად აკონკრეტებს, თუ რა ჩაითვლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციად.

კონსტიტუცია ყველას იცავს სიტყვის თავისუფლების გამოყენებისათვის პასუხისმგებლობისაგან. მე-19 მუხლში აღნიშნულია:

„დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.“

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური არ არის

და შესაძლებელია მისი შეზღუდვა, მაგრამ ამ შეზღუდვისათვის კონსტიტუცია მკაცრად განსაზღვრულ პირობებს ადგენს.

კონსტიტუციის მე-19 მუხლი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მთავარ პირობად სხვათა უფლებების დაცვას ასახელებს:

„დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად კი,

„ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში (იგულისხმება ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და ცენზურის აკრძალვა) ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

კონსტიტუცია ითვალისწინებს ინფორმაციისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ მისი მიზანია სხვა პირის ან საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესების დაცვა. მაგრამ სახელმწიფოს მიერ რაიმე შეზღუდვის დანესებამ არ უნდა გამოიწვიოს საკუთრივ სიტყვის თავისუფლების უფლების პარალიზება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისათვის ერთდროულად სამი პირობა უნდა არსებობდეს:

ა) შეზღუდვა უნდა დანესდეს კანონით, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონქვემდებარე აქტით სიტყვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმების მიღება დაუშვებელია. ეს, თავის მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სანინაღმდეგო სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს.

ბ) შეზღუდვა მიზნად უნდა ისახავდეს სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, დანაშაულის ანდა კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებას, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვას. არ შეიძლება დანესდეს სიტყვის თავისუფლების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე მიზანს არ ემსახურება. სხვა რაიმე მიზნით ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია.

გ) სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ამავე დროს, აუცილებელი უნ-

და იყოს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. თავისთავად, სახელმწიფო უშიშროების ან სხვა პირის უფლებების დაცვის კეთილშობილური მიზანი საკმარისი არ არის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისათვის. იმისათვის, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციურად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- შეზღუდვა უნდა გამომდინარეობდეს კანონიერების პრინციპისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან;

- შეზღუდვა მიზნად უნდა ისახავდეს რომელიმე კანონიერი ინტერესის დაცვას;

- ასეთი შეზღუდვა აბსოლუტურად აუცილებელი უნდა იყოს იმ სოციალური სიკეთის გადასარჩენად, რომლის დასაცავადაც ეს შეზღუდვა დაწესდა. ე.ი. იგი მიზნის პროპორციული უნდა იყოს და მათ შორის სათანადო ბალანსის დაცვა აუცილებელია.

### III. კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“

მასმედიის სფეროში ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს 1991 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. ამ კანონმა უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა 1994 წლის 28 ოქტომბრის, 1997 წლის 28 ოქტომბრისა და 1997 წლის 25 ნოემბრის შესწორებების საფუძველზე.

კანონი მიღებულია პოსტკომუნისტური ერის გარიჟრაჟზე და მისთვის დამახასიათებელია ამ ეტაპის დროინდელი კანონმდებლობის მთელი რიგი ნიშნები. კერძოდ, იგი შეიცავს ყოფილი საბჭოთა კავშირის კანონთა ანალოგიურ მრავალ დეკლარაციული შინაარსის მქონე დებულებას. მასში ხშირია ისეთი დებულებები, რომლებიც რეალურად არ შეიცავს სამართლის ნორმას. სამწუხაროდ, თავად ეს კანონი არ ქმნის მის მიერ განმტკიცებული უფლებების განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. კანონის რიგი დებულებები საბჭოური საკანონმდებლო კულტურის დიდ ზეგავლენას განიცდის და ამის გამო დღეს უკვე ანომალიას წარმოადგენს. კერძოდ, ეს დებულებები ანესრიგებენ ისეთ საკითხებს, როგორცაა სარედაქციო ნებსდება, რედაქტორს, რედაქციასა და დამფუძნებელს შორის ურთიერთობა, უცხოელი ჟურნალისტების მოღვაწეობა საქართველოში და ა.შ. კანონის ანაქრონიზმის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს მე-

17 მუხლის ჩანაწერი: „ცალკეულ ორგანიზაციებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს შეუძლიათ შექმნან დამოუკიდებელი სანარმო სამეურნეო ანგარიშზე და ხელშეკრულების საფუძველზე გაავრცელონ ნებისმიერი პერიოდული გამოცემა. ყველა ასეთი სანარმო საჭიროებს სპეციალურ რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით. „ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს დამფუძნებელი. საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, გაზარდოს ან შეამციროს სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ნებისმიერი პერიოდული გამოცემის ტირაჟი.“ საბაზრო ეკონომიკის მარეგულირებელი ფუნდამენტური კანონების მიღების შემდეგ, ბუნებრივია, რომ კანონის ამგვარი ნორმები სრულიად ზედმეტი გახდა.

### **მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალების დაფუძნება, სარეგისტრაციო და სალიცენზიო მოთხოვნები**

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ სარეგისტრაციო მოთხოვნებს მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალების დაფუძნებისათვის. იგი ექვემდებარება მენარმეთა კანონით გათვალისწინებულ რეგისტრაციის ზოგად წესს. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“.

3. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება რაიმე მიზეზის გამო არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, აუცილებელია მისი ხელმეორე რეგისტრაცია.

1994 წელს შეტანილი შესწორებებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ სრულიად სამართლიანად გავრცელდა მენარმეთა კანონით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრირება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (ინდივიდუალური სანარმო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება), რომელიც გათვალისწინებულია მენარმეთა შესახებ კანონით. თუ სანარმო უკვე დაფუძნებულია, მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუ-

ალების (ახალი გაზეთის, ჟურნალის და ა.შ.) ცალკე რეგისტრაცია აუცილებელია არ არის. სანარმოს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ის საქმიანობა, რაც კანონით აკრძალული არ არის. ამ სიტუაციაში უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ამ მუხლის პირველი და მესამე პუნქტები სრულიად ზედმეტი და მნიშვნელოვნად მოძველებულია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოცემისათვის ზემოხსენებული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი რეგისტრაციის მოთხოვნა ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე მენარმეთა შესახებ კანონს. ინფორმაციის გასავრცელებლად სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ნებართვა ან რეგისტრაცია აუცილებელი არ არის. ფაქტობრივად, ეს ნორმა ანომალიას წარმოადგენს და ეწინააღმდეგება მენარმეთა კანონის კონცეფციას, რომლის თანახმად, მენარმე სამენარმეო საქმიანობის დაწყებისას გადის რეგისტრაციას და შემდეგ მისი საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ცალკე რეგისტრაცია არ არის სავალდებულო. ამავე დროს, თუ რომელიმე გამომცემელი ახალი გაზეთის გამოშვებას აპირებს, ძნელი წარმოსადგენია, სად უნდა მოხდეს ახალი გაზეთის ცალკე რეგისტრირება. კანონმდებლობა უშუალოდ მასობრივი ინფორმაციის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ ცალკე ორგანოს არ იცნობს.

შესაბამისად, ანომალიას წარმოადგენს კანონის ამ მუხლის მე-3 პუნქტიც. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების ცალკე რეგისტრაცია კანონით სავალდებულო არ არის, არც მისი ხელახალი რეგისტრაცია იქნება სავალდებულო მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით იყო შეწყვეტილი ამ საინფორმაციო საშუალების ფუნქციონირება. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის არსებობა არც საგადასახადო საკითხების მოსაწესრიგებლად და საჭირო, რადგან საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე აყვანას და მოხსნას აწესრიგებს საგადასახადო კანონმდებლობა. მას უნივერსალური მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ტიპის საქმიანობისათვის, ამიტომაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ რაიმე ცალკე დებულების არსებობა სავალდებულო არ არის.

პრესისაგან განსხვავებულად წესრიგდება ტელე-რადიო კომპანიების მიერ მაუწყებლობის განხორციელების საკითხი. იმის გამო, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობა ბუნებრივად შეზღუდული რესურსის სიხშირული სპექტრის მეშვეობით ხორციელდება, აუცილებელია ასეთი საქმიანობის დასაწყებად ზოგადი რეგისტრაციის გვერდით სამაუწყებლო ლიცენზიის აღებაც. სალიცენზიო მოთხოვნების დაცვა აუცილებელია, რათა თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური პრობლემები. კავშირგაბმულობის და ფოს-



ტის შესახებ კანონის მიხედვით სამაუწყებლო ლიცენზიას გასცემს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ტელე-რადიო მაუწყებლობის ლიცენზია არ გაიცემა უცხო ქვეყნის დანესებულებებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, მათ ფილიალებსა თუ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, რომლებშიც ზემოაღნიშნულ უწყებებსა თუ პირებს 50%-ზე მეტი წილი გააჩნიათ.

კომისია ლიცენზიას გასცემს საერთო, სპეციალიზებულ ან სატრანზიტო ტელე-რადიო მაუწყებლობაზე. მაუწყებლობა სპეციალიზებულია, თუ ტელე-რადიო კომპანია ერთი თემატიკის (მხოლოდ სპორტული, მხოლოდ მუსიკალური და ა.შ) ტელე-რადიო პროგრამებს გადასცემს. არანაკლებ ორი თემატიკის ტელე-რადიო პროგრამებით მაუწყებლობას საერთო ლიცენზია ესაჭიროება. სატრანზიტო მაუწყებლობის ლიცენზია ესაჭიროება იმ ტელე-რადიო კომპანიას, რომელიც თავის ეთერში უცვლელი სახით უშვებს მხოლოდ სხვა ტელეკომპანიის ტელე-რადიო პროგრამებს (მაგ.: ტელეკომპანია „მე-15 არხი“ თავის ეთერს მთლიანად უთმობს CNN-ის ტელეპროგრამებს).

სიხშირული სპექტრის გამოყენებით ტელე-რადიო მაუწყებლობის ლიცენზია გაიცემა კონკურსის საფუძველზე. კომისია ვალდებულია, კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს ორი თვით ადრე გამოცხადოს კონკურსის ჩატარებისა და მისი ძირითადი პირობების შესახებ. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ტელე-რადიო მაუწყებლობის სახე, გეოგრაფიული არეალი, მინიმალური ხანგრძლივობა, თემატიკა, მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები, სალიცენზიო გადასახადის სანყისი ოდენობა, გამარჯვებისათვის საჭირო ქულების რაოდენობა და ა.შ.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ტექნიკური: უპირატესობა ლიცენზიის მაძიებელთა შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებელს ენიჭება;
- ფინანსური: ამ შემთხვევაში ხდება სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმათა შედარება;
- პროგრამირების ასპექტი: ამ ასპექტის შეფასებისას კომისია ითვალისწინებს საკონკურსო მოთხოვნებთან ლიცენზიის მაძიებლის სამაუწყებლო კონცეფციის შესაბამისობას და მასში ადგილობრივი პროდუქციის

ოდენობას.

თითოეული ზემოაღნიშნული ასპექტის მიხედვით ლიცენზიის ყველა მაძიებელს ენიჭება შესაბამისი ქულა. ტელე-რადიო მაუწყებლობის ლიცენზიას მოიპოვებს კონკურსის ის მონაწილე, რომელიც ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას დააგროვებს. თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულათა რაოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც გადაიხდის სალიცენზიო გადასახადის მაქსიმალურ ოდენობას. ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით კომისიის გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

### **მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლიის აკრძალვა**

კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად, კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კრძალავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზებას. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლი ადგენს: „არც ერთი დამფუძნებლის საერთო წილი ერთი და იმავე სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს“. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აქ არ არის აკრძალვა რომელიმე კონკრეტული გაზეთის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების 25 პროცენტიან წილზე. რა თქმა უნდა, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, რომელიმე კონკრეტული გაზეთის ან ჟურნალის (მაგ.: ჟურნალის „ალამი“) გამომცემელი სანარმოს წილის ასივე პროცენტს ფლობდეს, მაგრამ მას არა აქვს უფლება, აკონტროლებდეს ბაზარზე საგაზეთო ან საჟურნალო ბიზნესის ერთ მეოთხედზე მეტს. ეს აკრძალვა ეხება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

მონოპოლია ასევე აკრძალულია კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ კანონითაც. ეს კანონი ადგენს, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობის ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს იმ პირზე, რომელიც, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ამონაწევადი რესურსის სახეობის საერთო მოცულობის 50% ან მეტის მფლობელი გახდება ლიცენზიის სამოქმედო ზონაში ანუ ამ შემთხვევაში საუბარია ბაზარზე ტელე ან რადიო ბიზნესის 50% პროცენტის კონტროლის აკრძალვაზე, რითაც ტელე-რადიო მაუწყებლობაში განსხვავებული წესია დადგენილი, ვიდრე პრესის სფეროში, სადაც 25 პროცენტიანი აკრძალვის წესი მოქმედებს.

## ინფორმაცია, რომლის გავრცელება კანონსაწინააღმდეგოა

სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური უფლება არ არის. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის (იხ.: ზემოთ) შესაბამისად, მისი შეზღუდვა დასაშვებია სხვა კონსტიტუციური უფლებებისა თუ სიკეთის დაცვის მიზნით. ამავე დროს, აუცილებელია რომ ასეთი შეზღუდვები დაანესოს მხოლოდ კანონმა. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული წესით.“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულს ან საიდუმლოდ არის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ხშირად დაისმის საკითხი, შეიძლება თუ არა რაიმე ინფორმაციის გაშვების აკრძალვა ან ინფორმაციის ამოღება მის გავრცელებამდე. ამაზე ცალსახა პასუხი არსებობს: არა, რადგან საქართველოში ცენზურა აკრძალულია. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ცნობილია მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ აკრძალული ინფორმაციის შესაძლო გამოქვეყნების შესახებ, დაუშვებელია წინასწარი შეზღუდვების განხორციელება ინფორმაციის გავრცელებისას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინფორმაცია გამოქვეყნდება, შეიძლება კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება, რაც გულისხმობს პირის სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

აკრძალული ინფორმაციის სახეებს დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, როდესაც შევეხებით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონმდებლობას სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

## მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ვალდებულებები

პერიოდული პრესის გამოცემები გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, რაც დადგენილია კანონის მე-15 მუხლით. კერძოდ, ისინი შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდნენ:

- გამოცემის სახელწოდება (მაგ.: გაზეთი „თბილისი“);
- დამფუძნებლის, გამომცემლისა და რედაქტორის ვინაობა;
- გამოშვების რიგითი ნომერი და თარიღი;
- რედაქციისა და სტამბის მისამართი;
- ფასი და ტირაჟი;
- ინდექსი;

კანონი ასევე მოითხოვს, რომ ყველა პერიოდულმა გამოცემამ უფასო საკონტროლო ეგზემპლარები გადასცეს საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურს, საქართველოს პარლამენტს, ცენტრალურ ბიბლიოთეკებსა და საცავეებს. კანონის ეს მოთხოვნა კომუნისტური კანონმდებლობის დიდ ზეგავლენას განიცდის.

შესაძლოა ტელე ან რადიოეთერში ისეთი ინფორმაცია გავიდეს, რომელიც არასწორია და ლახავს პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას. ასეთი ინფორმაციის ეთერში გასვლის ფაქტის დასადგენად აუცილებელია, რომ ეთერში გასული ინფორმაცია დაცული იყოს. შესაბამისად, კანონი მოითხოვს, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობის რედაქციები ვალდებული არიან, გადაცემათა მასალები (ტექსტი, ფირი) შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში. ასეთი მოთხოვნის პირობებში ძალზე ადვილია შემდგომში იმის ზუსტად დადგენა, თუ რა სახის ინფორმაცია გავიდა ეთერში. ერთი თვის გასვლის შემდეგ ტელე-რადიო კომპანიას შეუძლია ეს მასალა გაანადგუროს.

ტელე-რადიო მაუწყებელი ვალდებულია, დაიცვას საერთაშორისო სტელსეკრულებების და საარჩევნო კოდექსის გარდა შემდეგ კანონთა მოთხოვნები: „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“, „საავტორო და მოწოდებულ უფლებების შესახებ“, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“. მან კვირაში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე და დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული პირობები.

### **მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეწყვეტა და შეჩერება, მათი თავისუფლების შეზღუდვა**

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება ავრცელებს კანონსაწინააღმდეგო ინფორმაციას, შეიძლება დადგეს მისი საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის საკითხი. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების“

ბების შესახებ" კანონის მე-12 მუხლი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს: „მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა კანონი, რითაც ხელი ეწყობა დანაშაულს, საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას“.

იმისათვის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალების მაუწყებლობის შეჩერების ან შეწყვეტის საკითხი დადგეს, საკმარისი არ არის მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ საშუალებამ დაარღვია კანონი. ამავე დროს აუცილებელია, რომ კანონის ეს დარღვევა ხელს უწყობდეს დანაშაულებრივ ქმედებებს, ანდა საფრთხეს უქმნიდეს ქვეყნის მთლიანობას ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

თავისთავად, ზემოთ აღწერილი პირობები ასევე არ არის საკმარისი მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის აკრძალვის ან შეჩერებისათვის. აუცილებელია დადასტურდეს რეციდივი, ანუ კანონის განმეორებითი დარღვევა. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება მხოლოდ ერთხელ დაარღვევს კანონს, მისი დახურვის ან შეჩერების საკითხი ვერ დადგება. ამ გაზეთის თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების საქმიანობა საზოგადოებას მაშინ უქმნის საფრთხეს, როცა კანონს განმეორებით დაარღვევს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების შეჩერება გულისხმობს ბეჭდვითი გამოცემის ერთი ან რამდენიმე ნომრის აკრძალვას, აგრეთვე განკარგულებას ტელე-რადიო მაუწყებლობის დროებითი შეწყვეტის შესახებ. შეჩერების მაქსიმალური ვადაა ერთი თვე.

გადანყვეტილებას შეჩერების შესახებ იღებს მარეგისტრირებული ორგანო ანუ სასამართლო.

ამავე დროს, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მასობრივი ინფორმაციის საშუალების აკრძალვის შესახებ. კანონით არ არის განსაზღვრული, თუ ვის აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალების ასაკრძალად. ბუნებრივია, როდესაც საუბარია ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებისათვის საფრთხის შექმნაზე, მოსარჩელე ამ საკითხზე კერძო პირი ვერ იქნება. მეორე მხრივ, არც ერთ სახელმწიფო ორგანოს არ გააჩნია ამ საკითხზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება. შესაბამისად, მათ არც სასამართლოში ამ საკითხის დაყენების უფლება გააჩნიათ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეჩერებასა და აკრძალვასთან დაკავშირებით ორგვარი დამოკიდებულება შეიძლება არ-

სებობდეს. ა) ასეთი აკრძალვა ან შეჩერება დასაშვები უნდა იყოს საშიში სამართალდარღვევის ჩადენისას. ამ თვალსაზრისის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემოთ და იგი ასახულიცაა მოქმედ კანონმდებლობაში. ბ) არ შეიძლება დანესდეს მასობრივი ინფორმაციის აკრძალვის ან საქმიანობის შეჩერების თაობაზე რაიმე დამატებითი მოთხოვნა იმის გამოკლებით, რაც დადგენილია მენარმეთა შესახებ კანონით. მასობრივი ინფორმაციის საშუალება ჩვეულებრივ სანარმოს წარმოადგენს და მისი დახურვა მენარმეთა შესახებ კანონით დადგენილი პროცედურით უნდა მოხდეს. ჩვენი აზრით, საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება უფრო მართებულია, რადგანაც ყოველ კონკრეტულ სამართალდარღვევაზე კონკრეტული სანქცია უნდა არსებობდეს. არ შეიძლება, ვინმეს ზოგადად აეკრძალოს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება. მით უმეტეს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახურვით მიზნის მიღწევა შეუძლებელია, რადგან არსებობს შესაძლებლობა, პირმა დააფუძნოს მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუალება და იქ გააგრძელოს თავისი მოღვაწეობა.

საქმიანობის შეწყვეტის დამატებითი მოთხოვნებია დადგენილი ტელერადიო მაუწყებლობის კომპანიებისათვის. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისათვის ტელერადიო მაუწყებლობის ლიცენზია ესაჭიროებათ. შესაბამისად, ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველი. კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ კანონი ითვალისწინებს ლიცენზიის შეჩერებისა და გაუქმების შესაძლებლობას. ლიცენზიის შეჩერებისას ტელერადიო კომპანიას ეკრძალება მაუწყებლობა შეჩერების მთელ პერიოდისათვის. ტელერადიო მაუწყებლობის საშუალებას ლიცენზია შეუჩერდება, თუ იგი:

- არ ასრულებს ლიცენზიის პირობებს; მაგ.: ტელემაუწყებლობის თემატიკა, მინიმალური ხანგრძლივობა, გეოგრაფიული დაფარვის ზონა ან მომსახურების ხარისხი ვერ პასუხობს ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

- ლიცენზიის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში არ ახორციელებს პრაქტიკულ საქმიანობას, ანუ ლიცენზიის მიღების შემდეგ ერთი წელი ეთერში არ გადის. რადგანაც სიხშირე ბუნებრივად შეზღუდული რესურსია, მისი გამოუყენებლობა არ შეიძლება;

- არღვევს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საარჩევნო კოდექსითა და კანონით კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების

შესახებ, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, რეკლამის შესახებ, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ან სხვაგვარად ხელყოფს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს თუ კანონიერ ინტერესებს, ანდა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. თუ რომელიმე პირი მიიჩნევს, რომ მისი უფლებები შეილახა ტელე-რადიო კომპანიის საქმიანობით, მას უფლება აქვს, მიმართოს კომისიას ლიცენზიის შეჩერების მოთხოვნით.

ლიცენზია უნდა შეჩერდეს არა უმეტეს სამი თვის ვადით. თუ ტელე-რადიო კომპანია მანამდე აღმოფხვრის ხარვეზს, მას კომისია უფლებას მისცემს, გააგრძელოს მაუწყებლობა. თუ კომისიის მიერ დადგენილ ვადაში ტელე-რადიო კომპანია არ აღმოფხვრის მითითებულ ხარვეზს, მაშინ კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ, ეს კი ტელე-რადიო მაუწყებლობის საქმიანობის შეწყვეტას ნიშნავს. ლიცენზია ასევე უნდა გაუქმდეს, თუ გავიდა ლიცენზიის მოქმედების ვადა (სამაუწყებლო ლიცენზიები გაიცემა 10 წლის ვადით) ან ამას მოითხოვს თავად ტელეკომპანია, აგრეთვე ტელეკომპანიის ლიკვიდაციისას.

## ჟურნალისტის უფლებები და მოვალეობები

ჟურნალისტს, ისევე როგორც ყველა მოქალაქეს, უფლება აქვს, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ინფორმაციის მოძიების უფლება მას გააჩნია როგორც საჯარო დაწესებულებიდან, ისე კერძო პირებისგანაც. ჟურნალისტებისათვის საინტერესო ინფორმაცია უფრო ხშირად სახელმწიფო დაწესებულებებში ინახება. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. კონსტიტუციის ეს დებულება უფლებას აძლევს თითოეულ მოქალაქეს, მიიღოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რაც განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებების საქმიანობის გამჭვირვალობას და საზოგადოების მხრიდან მათი გაკონტროლების შესაძლებლობას. სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა — მოქალაქეთა — მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე ფინანსდება, ამიტომაც საზოგადოებას აქვს

სრული უფლება, იცოდეს, რაში იხარჯება მის მიერ გაღებული ფული. ამავე დროს, ხელისუფლება ხალხის მიერაა შექმნილი და, აქედან გამომდინარე, ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლი ვერ განხორციელდება, თუკი საზოგადოება სრულყოფილად ინფორმირებული არ იქნება სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის თაობაზე. სწორედ ამიტომაცაა ღია საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაცია.

კონსტიტუცია ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის მიღება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით. სწორედ ასეთ კანონს წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მე-3 თავი შეეხება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ კოდექსის მიხედვით, ჟურნალისტსა და მოქალაქეს ინფორმაციის მიღების თანაბარი უფლება გააჩნიათ. კოდექსის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, პირის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ გასცეს საჭირო ინფორმაცია. თუ ინფორმაციას დამატებითი დამუშავება ან მოძიება ესაჭიროება, რაც კოდექსით მკაცრადაა განსაზღვრული, ინფორმაცია უნდა გაიცეს არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. ჟურნალისტს ასევე უფლება აქვს, მოითხოვოს დოკუმენტის დედანში გაცნობის უფლება. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, ჟურნალისტს დაუყოვნებლივ აცნობოს ინფორმაციის გაცემაზე დასაბუთებული უარის შესახებ, თუკი ინფორმაცია სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოს წარმოადგენს. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ჟურნალისტს უფლება აქვს, შეაგროვოს ინფორმაცია ნებისმიერი ფორმით. მას შეუძლია განახორციელოს აუდიო, ვიდეო ან ფოტოგადაღება. ტექნიკური საშუალების გამოყენება შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მიხედვით: „ჟურნალისტს უფლება აქვს, თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვედეს თანამდებობის პირებს.“ კანონის ეს ნორმა გარკვეულწილად მოძველებულია. ბუნებრივია, ჟურნალისტს უფლება აქვს, შევიდეს სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით. მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კერძო სამართლის იურიდიულ პირთა სტატუსი გააჩნიათ და ამ დაწესებულებებში შესვლა მათი ნებართვის გარეშე არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა კერძო სა-



კუთრებასა და პირის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე უნებართვო შესვლის აკრძალვის კონსტიტუციური მოთხოვნა. ჟურნალისტს ასევე უფლება აქვს, დაუბრკოლებლად ჩავიდეს სტიქიური უბედურების ზონებში და გააშუქოს იქ მიმდინარე პროცესები.

ჟურნალისტს უფლება აქვს, მოითხოვოს ავტორობის საიდუმლოს შენახვა. მას შეუძლია, ინფორმაცია გაავრცელოს ფსევდონიმის გამოყენებით ან თავისი სახელის მითითების გარეშე. ბუნებრივია, ის ვერ გათავისუფლდება თავისი სახელის მითითების გარეშე გავრცელებული ინფორმაციისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია და ლახავს სხვა პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, ანდა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. თუ ინფორმაცია გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და ამ საშუალებას არ სურს გააშუქავნოს ავტორის ვინაობა, მაშინ ინფორმაციის გავრცელებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა მას დაეკისრება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ, ჟურნალისტი წინასწარ მიავლინონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ვალდებული არიან, უზრუნველყონ ჟურნალისტი სამუშაო პირობებით. საგანგებო სიტუაციებში საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დროებით შეუზღუდოს ჟურნალისტს ეს უფლებები. აქაც უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ეს დებულებებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალდებულება არასწორია. მეორეც, გაურკვეველია, რა იგულისხმება სამუშაო პირობების შექმნაში. ბუნებრივია, სახელმწიფო უწყება ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს ჟურნალისტს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, მაგრამ ამ უწყების დავალდებულება, სამუშაო პირობები შეუქმნას ყველა ასეთ ჟურნალისტს, არასწორად მიგვაჩნია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსთან, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოახდინონ მათთან თავისი ჟურნალისტების აკრედიტება.

უფლებებთან ერთად ჟურნალისტს გარკვეული ვალდებულებებიც გააჩნია. კერძოდ, იგი ვალდებულია, შეამოწმოს მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა, დაიცვას კანონი და პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციური უფლებებს, დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის ან, პირიქით, მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება. ჟურნალის-

ტი ვალდებულია, მიუთითოს იმ პირის შესახებ, რომლისაგანაც მან ინფორმაცია მიიღო, თუ ამ პირს ეს სურს. უფრო ხშირად კი ინფორმაციის მიმწოდებელი ჟურნალისტს საკუთარი ვინაობის საიდუმლოდ შენახვას სთხოვს. ამ უფლებას წყაროს კონფიდენციალურობა ენოდება და მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

## წყაროს კონფიდენციალურობა

წყაროს კონფიდენციალურობა ჟურნალისტის საქმიანობის მნიშვნელოვანი გარანტიაა. წყაროს კონფიდენციალურობა განიმარტება, როგორც ჟურნალისტის უფლება, არ დაასახელოს იმ პირის ვინაობა, ვინც მას ინფორმაცია მიანოდა. თავისთავად ცხადია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინფორმაციის შეგროვებისას ჟურნალისტები იყენებენ სხვადასხვა წყაროს, რომელთაგან გარკვეულ ნაწილს არ სურს საკუთარი პიროვნების გამხელა. ხანდახან ეს არის სახელმწიფო ორგანოებისა და მნიშვნელოვანი ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი შესაძლებლობა, რადგანაც ძალზე ხშირად ინფორმაციის წყარო არის ამ დანესებულების თანამშრომელი, რომლის მოქმედებას სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად.

ინფორმაციის მიღების ეს ფორმა განსაკუთრებით ეფექტურია ჟურნალისტური გამოძიების დროს. ჩვენს ქვეყანაში ამ უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ადმინისტრაციული ორგანოთა ტოტალური ძალადობის პირობებში ძალზე ძნელად თუ დათანხმდება პირი, განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოხელე, გასცეს ინფორმაცია, თუ არ იქნება ანონიმურობისა და ხელშეუხებლობის გარანტია.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად ჟურნალისტი ვალდებულია, დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა მოთხოვნა მათი ავტორობის დაფარვის შესახებ. ფაქტობრივად, კანონის ეს ჩანაწერი წყაროს კონფიდენციალურობის რეალურ გარანტიას ქმნის. თუ ინფორმაციის წყაროს ანონიმურობის დაცვა ჟურნალისტის ვალდებულებაა, მაშინ, ბუნებრივია, ვერაზინ დაავალდებულებს მას, გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნაწილობრივ აღიარებს წყაროს კონფიდენციალურობის პრინციპს. კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „სასამართლოს უფლება აქვს, მონმის მო-

ვალუობისაგან გაათავისუფლოს ჟურნალისტები, თუ მათ იკისრეს ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და პუბლიკაციის ავტორის სახელი ან გამოქვეყნებული მასალის შინაარსი". ფაქტობრივად, ჟურნალისტს ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურად დაცვის უფლებას სასამართლო ანიჭებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ჟურნალისტს სურს ამ უფლების მოპოვება, მან უნდა მიმართოს შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვალდებული იქნება, ჩვენება მისცეს პროცესის მწარმოებელ ორგანოს. კანონი არ მიუთითებს იმ კრიტერიუმებზე, რომლის საფუძველზეც ჟურნალისტს ეს პრივილეგია უნდა მიენიჭოს ან მასზე უარი ეთქვას. ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში სასამართლოს მინიჭებული აქვს ძალიან ფართო დისკრეციული უფლებამოსილება. ამავდროს ნათელი არ არის, თუ როგორ უნდა დაამტკიცოს ჟურნალისტმა, რომ მას ინფორმაციის წყაროს წინაშე ნაკისრი აქვს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფრო გვიან მიღებულ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს, ვიდრე კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, კოლიზიის დროს მას უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება. ეს კი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონით განმტკიცებულ წყაროს კონფიდენციალურობის უფლების სრულყოფილ გამოყენებას მნიშვნელოვან ბარიერს უწესებს.

### **პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო ინფორმაციის გავრცელებისათვის**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული სახის ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება შეზღუდულია და კანონით დადგენილია პასუხისმგებლობა მათი გავრცელებისათვის. პასუხისმგებლობის კონკრეტულ ფორმებზე შემდგომ თავებში ვისაუბრებთ. აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ საკითხს, რომელიც ეხება კანონის დარღვევით ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელ პირთა წრეს. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, „ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუა-

ლებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი”, ანუ ამ შემთხვევაში კანონი საუბრობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, რედაქტორისა და უშუალოდ ინფორმაციის ავტორის პასუხისმგებლობაზე. ბუნებრივია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე ვერ დადგება და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე საუბარი ზედმეტია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობისას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის ზოგადი წესები გამოიყენება.

კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც ჟურნალისტს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა არასწორი ცნობების გავრცელებისათვის, მიუხედავად ინფორმაციის გავრცელების ფაქტის არსებობისა. ჟურნალისტს არ შეიძლება პასუხი მოეთხოვოს, თუ:

ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაცია. მაგ.: თუ ჟურნალისტმა გააერცვლა ან გამოიყენა სახელმწიფო უწყების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი ან რაიმე სხვა დოკუმენტი, სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაცემული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, მაშინ არასწორი ინფორმაციის გავრცელებაზე სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი.

ცნობა მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანოების პრეს-სამსახურებიდან. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით საინფორმაციო სააგენტოს ან შესაბამისი უწყების პრეს-სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით რაიმე ცნობა გამოქვეყნდა, ასეთ შემთხვევაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებლობა შესაბამის პრეს-სამსახურს ან საინფორმაციო სააგენტოს უნდა დაეკისროს.

თუ ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული მასალა სიტყვა-სიტყვით იმეორებს სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს.

თუ ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გავიდა წინასწარი ჩანერის გარეშე. აქ იგულისხმება პირდაპირი ეთერის დროს მონეული სტუმრის ან რესპოდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები.

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალება პასუხს აგებს რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვისაც. ასეთ შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებ-

ლობა, რაც შრომის ანაზღაურების 15 მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმის დაკისრებაში გამოიხატება. კანონის ეს ნორმაც მოძველდა რეგისტრაციის საერთო წესზე გადასვლის შემდეგ და გასაუქმებელია.

#### **IV. რეკლამის სფეროში კონტროლის განხორციელება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად**

სახელმწიფო კონტროლს რეკლამის გავრცელებასთან დაკავშირებით ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც არსებობს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან. ყველა სხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ რეკლამის მართლზომიერების შემოწმება განიხილება როგორც უკანონო ჩარევა ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებაში და კანონდარღვევაა.

თუ არსებობს რეკლამის გავრცელების სფეროში დარღვევის ფაქტი, ანტიმონოპოლიური სამსახური მიმართავს გამაფრთხილებელ ღონისძიებებს. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, იგი:

უგზავნის დამრღვევ პირს შეტყობინებას უკანონო ქმედების შეწყვეტის თაობაზე;

აღკვეთს არასათანადო რეკლამას;

იღებს გადაწყვეტილებას კონტრერეკლამის განხორციელებაზე;

იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე ადმინისტრაციული კოდექსის მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

მიმართავს სასამართლოს სარჩელით მომხმარებელთა განუსაზღვრელი წრის სახელით არასათანადო რეკლამასთან დაკავშირებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

ანტიმონოპოლიური სამსახური არ სარგებლობს უფლებამოსილებით, დახუროს რომელიმე გაზეთი ან ტელე-რადიო კომპანია არასათანადო ინფორმაციის გავრცელებისათვის.

იმისათვის, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა შეძლოს მასზე დაკისრებული კონტროლის ფუნქციის განხორციელება, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს რეკლამასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შე-

საბამისი კერძო ორგანიზაციებისაგან. ასეთ შემთხვევაში ანტიმონოპოლიური სამსახური ვალდებულია, დაიცვას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

კანონის დარღვევით გავრცელებული რეკლამისთვის პასუხს აგებს:

რეკლამის გამავრცელებელი მხოლოდ იმ დარღვევისთვის, რაც რეკლამის გავრცელების დროს, ადგილს ან საშუალებებს უკავშირდება;

რეკლამის მწარმოებელი იმ დარღვევისთვის, რომელიც რეკლამის გაფორმებას, წარმოებას ან მომზადებას უკავშირდება;

რეკლამის დამკვეთი რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა რომ ეს დარღვევა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის ბრალია.

## V. საქართველოს კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“

„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი პარლამენტმა მიიღო 2001 წლის 28 სექტემბერს და მის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია კინო, ვიდეო, ტელეფილმების ჩვენებასა და ნაბეჭდ პროდუქციასთან. მავნე ზეგავლენად კანონი მიიჩნევს ისეთ ზემოქმედებას, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ ან სოციალურ განვითარებას.

კანონი ზღუდავს არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების ჩვენებას. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება ფილმები, რომლებიც შეიცავენ სექსუალური ურთიერთობის, ძალადობის, ნარკოტიკების დამზადებისა და უკანონო მოხმარების ამსახველ სცენებს.

კანონი მოითხოვს, რომ უნდა მოხდეს ფილმების 4 კატეგორიად დაყოფა, კერძოდ:

ა) ფილმი, რომლის ჩვენებაც შეზღუდულია 18 წლის ასაკამდე ახალგაზრდებისათვის (ფილმის ჩვენებისას მასზე უნდა არსებობდეს სპეციალური აღმნიშვნელი ნიშანი — წრენირში ჩასმული რიცხვი „18“);

ბ) ფილმი, რომლის ჩვენებაც შეზღუდულია 15 წლის ასაკამდე მოზარ-

დებისთვის (ფილმის ჩვენებისას მასზე უნდა არსებობდეს სპეციალური აღმნიშვნელი ნიშანი- წრენიროში ჩასმული რიცხვი „15“);

გ) ფილმი, რომლის ჩვენებაც შეზღუდულია 12 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის (ფილმის ჩვენებისას მასზე უნდა არსებობდეს სპეციალური აღმნიშვნელი ნიშანი- წრენიროში ჩასმული რიცხვი „12“);

დ) ფილმი, რომლის ჩვენებაც არ იზღუდება (ფილმის ჩვენებისას მასზე უნდა არსებობდეს სპეციალური აღმნიშვნელი ნიშანი — წრენიროში ჩასმული ლათინური ასო „P“);

ფილმებისათვის კატეგორიების მინიჭების კრიტერიუმები უნდა დადგინდეს საქართველოს ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ.

კანონით აკრძალულია არასრულწლოვნისათვის ისეთი ნაბეჭდი პროდუქციის მიყიდვა ან გადაცემა, რომელიც შეიცავს მათზე მავნე ზეგავლენის მომხდენი სექსუალური ურთიერთობის ამსახველ მასალას. განსხვავებით ვიდეო, კინო და ტელეჩვენებებისაგან, არ არის აკრძალული ნაბეჭდი პროდუქციის საშუალებით ძალადობის ანდა ნარკოტიკების დამზადების ან მოხმარების შესახებ ინფორმაციის გავრცელება არასრულწლოვნებს შორის. ნაბეჭდი პროდუქციის მიკუთვნება მავნე ზეგავლენის მომხდენ პროდუქციისადმი ხორციელდება ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

კანონი არ ითვალისწინებს მავნე ზეგავლენის მომხდენი მასალის გავრცელების საერთოდ აკრძალვას. კანონი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ასეთი მასალის გავრცელებისას გარკვეული წესები და მოთხოვნები უნდა იქნეს დაცული, რათა ამგვარი მასალა არასრულწლოვანთათვის ხელმისაწვდომი არ გახდეს.

კანონი შესაბამისი დანესებულების დირექციას ავალდებულებს, არ დაუშვას ფილმის ჩვენებაზე, ამ უკანასკნელის კატეგორიიდან გამომდინარე, სათანადო ასაკის არ მქონე მაყურებელი (მაგ.: თუ ფილმს მინიჭებული აქვს კატეგორია „შეზღუდულია 15 წლის ასაკამდე“, ასეთი ფილმის ჩვენებაზე არ უნდა დაიშვას 15 წლამდე ასაკის მაყურებელი). კანონი ასევე კრძალავს არასრულწლოვნებისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების მიყიდვას ან მიქირავებას.

კანონით შეზღუდულია მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების ჩვენება სატელევიზიო არხების საშუალებით დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგ.: ფილმის, რომლის ჩვენებაც შეზღუდულია 18 წლის ასაკამდე მაყუ-

რებლისთვის, ტელედემონსტრირება არ შეიძლება განხორციელდეს 7-დან 24 საათამდე.

მავენ ზეგავლენის შემცველი ნაბეჭდი მასალის მიყიდვა შეიძლება მხოლოდ სრულწლოვნებისთვის და მხოლოდ შეფუთული სახით. მავენ ზეგავლენის შემცველი ნაბეჭდი მასალის გარეკანზე აუცილებლად უნდა იყოს წარწერა: „აკრძალულია 18 წლამდე“. კანონით ასევე აკრძალულია მავენ ზეგავლენის შემცველი ნაბეჭდი მასალით გარე ვაჭრობა. მაგ.: იკრძალება დროებითი სადგომიდან ან შენობის გარეთ განლაგებული დახლიდან ასეთი ნაბეჭდი პროდუქციის რეალიზაცია.

განათლების ან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა შეიძლება ნებართვა გასცენ სექსუალური ურთიერთობის შემცველი ნაბეჭდი მასალის დაუბრკოლებლად გავრცელებაზე, აგრეთვე ფილმის ჩვენებაზე, თუ ნაბეჭდი მასალა ან ფილმი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ხასიათისაა, ხოლო სექსუალური ურთიერთობის ამსახველი დეტალები მოცემულია იმ სახით, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო და საინფორმაციო საკითხების ილუსტრირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის ბევრი ნორმა უმოქმედოა. პრაქტიკაში შესაბამისი მასალის გავრცელება იშვიათად ხორციელდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. თავად კანონშიც მრავალი უსარგებლო ან არაეფექტური ნორმაა ჩადებული, რაც კიდევ უფრო უშლის ხელს კანონის იმპლიმენტაციას. კანონს შეუძლია მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას სიტყვის თავისუფლებას არა იმ თვალსაზრისით, რომ იგი სიტყვის თავისუფლებას მნიშვნელოვნად შეზღუდავს, არამედ იმით, რომ ამ კანონის დარღვევისათვის შეიძლება პასუხი აგებინონ მედიის მხოლოდ იმ წარმომადგენლებს, ვისთანაც ხელისუფლებას პოლიტიკური ხასიათის პრობლემები აქვს ან რომლებიც ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელს უპირისპირდებიან.

## VI. სამოქალაქო კოდექსი

არასწორი ინფორმაციის გავრცელებისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის მე-18-19 მუხლებში. კერძოდ, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს:

„პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ღაზავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრე-



ბის საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.”

სამოქალაქო კოდექსის ამ დებულებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ გამავრცელებელს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ორ შემთხვევაში:

- თუ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია. თუ დადგინდება, რომ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება, პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

- თუ გავრცელებული ინფორმაცია არასრულია. თავისთავად, ყველა სახის არასრული ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის არ შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. აქ საუბარია პირის შესახებ ცნობების ისეთ არასრულ გამოქვეყნებაზე, რომლითაც საზოგადოებას ცალსახად არასწორი შთაბეჭდილება ექმნება მოცემული მოვლენის ან ფაქტის მიმართ. თუმცა ეს გარემოებაც არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აუცილებელია, რომ ინფორმაციის არასრული სახით გამოქვეყნება ინვესტირებს პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

ზემოთ აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება დადგეს არც შეხედულების (მოსაზრების) გამოთქმისა და არც შეურაცხმყოფელი განცხადებებისათვის. მოსაზრება (შეხედულება) პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს მოვლენის, ფაქტის ან პიროვნების მიმართ. მაგ.: „ა“ ცუდი მწერალია; დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს ვერ გადაარჩენს, „ბ“ ლამაზი არ არის და ა.შ. სინამდვილეს შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს ფაქტი, მაგრამ არა მოსაზრება. მეორე მხრივ, შეურაცხმყოფელი განცხადებებიც, თუნდაც ისინი ზიანს აყენებდნენ პირის პატივსა და ღირსებას, არ ექვემდებარება სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რადგან მათი სინამდვილესთან შესაბამისობა ვერ დადგინდება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ინფორმაციის გავრცელებისას პასუხისმგებლობაზე არ შეიძლება იყოს საუბარი (თუნდაც გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს), თუკი რეალურად არ არსებობს ზიანი. პასუხისმგებლობაზე საუბარი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც ინფორმაციის გავრცელებით შეილახება პირის პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი

რეპუტაცია. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავს მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ. ზოგიერთი არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, თავისი უმნიშვნელო შინაარსის გამო, არ შეუძლია გამოიწვიოს პირის პატივისა და ღირსების შელახვა. რიგ შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებისათვის იმდენად ცნობილია, რომ მას უკვე აღარ შეუძლია დამატებით რაიმე ზიანი მიაყენოს პირის ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას. თუ რომელიმე საჯარო პირს აქვს კორუმპირებულის რეპუტაცია, ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელებამ მისი საქმიანი რეპუტაცია კიდევ უფრო შელახოს.

შელახული პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით სარჩელის წარდგენის საფუძველზე. პირი პატივისა და ღირსების დასაცავად რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს ვერ მიმართავს.

გავრცელებული ცნობების სინამდვილე ამ ინფორმაციის გამავრცელებელმა უნდა ამტკიცოს. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვისას მოსარჩელე ვალდებულია ამტკიცოს, რომ ასეთი ცნობები გავრცელებულია. მას არ ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, შეესაბამება თუ არა ეს ცნობები სინამდვილეს. მტკიცების ტვირთის მხოლოდ ცნობების გამავრცელებლისათვის დაეკისრება ინფორმაციის გამავრცელებელს გარკვეულად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. ეს დებულება მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის სიტყვის თავისუფლებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია საჯარო პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე. ასეთ დროს, როგორც წესი, დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში მტკიცების ტვირთი ეკისრება არა ინფორმაციის გამავრცელებელს, არამედ თავად საჯარო პირს, რაც უზრუნველყოფს მოქმედების მეტ თავისუფლებას ანიჭებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას. ჩვენი აზრით, სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი შელახული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენის ფორმად მიიჩნევს გავრცელებული ცნობების უარყოფას. ამ შემთხვევაში კანონი ნათლად არ მიუთითებს, ვის ევალება ამ ცნობების უარყოფა. ჩამოყალიბებული პრაქტიკით, ამ ცნობების უარყოფის ვალდებულება ინფორმაციის გამავრცელებელს

ეკისრება. ეს, ჩვენი აზრით, გარკვეულ წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან, რომელიც კრძალავს პირის იძულებას, გამოთქვას თავისი შეხედულება. უმჯობესი იქნება, თუ სავალდებულო იქნება სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება და ამ ფორმით მოხდება გავრცელებული ცნობების უარყოფა.

სამოქალაქო კოდექსის ეს დებულება დაცვის ერთ-ერთ ობიექტად მიიჩნევს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას. თუმცა სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს, თუ ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება. პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და ხელშეუხებლობის დაცვა კი იმას გულისხმობს, რომ საერთოდ არ შეიძლებოდეს პირის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციის გავრცელება, თუნდაც ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. იმედია, რომ მომავალში კანონის ეს წინააღმდეგობრივი ჩანაწერი გასწორდება.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად:

„თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.“

როცა პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ არასწორი ცნობების უარყოფაც იმავე საშუალებით უნდა მოხდეს. აქ ასევე საუბარია გავრცელებული არასრული ცნობების შევსებაზე ისეთი ცნობებით, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამება და ამასთან ერთად აქარწყლებს არასრულ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახვე ცნობებს. როდესაც საუბარია გავრცელებული ცნობების უარყოფაზე მასობრივი ინფორმაციის ამავე საშუალებაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უარყოფა ადეკვატური ფორმით მოხდეს (ეს შეიძლება გაკეთდეს გაზეთის იმავე გვერდზე, იმავე ფორმატით, იმავე სათეთრო დროს და ა.შ.). ამავე დროს, კანონი არ იძლევა იმაზე პასუხს, თუ სად უნდა მოხდეს გავრცელებული ცნობების უარყოფა, თუკი მასობრივი ინფორმაციის მოცემული საშუალება აღარ ფუნქციონირებს. თუ ინფორმაცია გავრცელდა ისეთ გაზეთში, რომელიც აღარ გამოდის სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, ბუნებრივია, მასში გავრცელებული ცნობების უარყოფა ვეღარ მოხდება.

თუ ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით კი არ გავრცელდა, არამედ ასახულია ორგანიზაციის მიერ გაცემულ დოკუმენტში, მაშინ ეს დოკუმენტი აუცილებლად უნდა გამოიცვალოს და გადაეგზავნოს ყველა შესაბამის პირს.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებას გავრცელებული არასწორი ცნობების უარყოფის გამოქვეყნების შესახებ იღებს სასამართლო. მაგრამ ამასთან ერთად პირს, რომლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შეილახა, თავადაც შეუძლია მიმართოს მასობრივი ინფორმაციის შესაბამის საშუალებას, რათა მან გავრცელებული ინფორმაციის საპასუხო ცნობები გამოაქვეყნოს. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება ნებაყოფლობით არ აქვეყნებს პირის პასუხს, მაშინ პირს, რომლის პატივი, ღირსება, ან საქმიანი რეპუტაციაც შეილახა, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს პასუხის გამოქვეყნების იძულების მოთხოვნით.

პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა დაუშვებელია. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ მისი გამოსახულება ქვეყნდებოდეს რომელიმე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. თუ ვინმეს სურს სხვა პირის გამოსახულების (სურათის, ვიდეოფილმის და ა.შ.) გამოქვეყნება, მას ამისათვის აუცილებლად სჭირდება ამ პირის ნებართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უფლება აქვს, დასვას მისი გამოსახულების გამავრცელებლის პასუხისმგებლობის საკითხი. ნებართვის აღება არ არის აუცილებელი შემდეგ შემთხვევებში:

თუ პირი საჯარო ფიგურას წარმოადგენს (მაგ.: თუ იგი მინისტრი, ცნობილი მსახიობი, ცნობილი მწერალია და ა.შ.);

ფოტო ან ვიდეოგადაღება მოხდა საზოგადო თავშეყრის ადგილზე. (მაგ.: ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, თეატრში და ა.შ.);

დაკავშირებულია მართლმსაჯულებასთან ან პოლიციის საქმიანობასთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან. (მაგ.: ძეზნილის სურათის გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით);

პირმა პოზიორობისათვის მიიღო საზღაური (მაგ.: ფოტომოდელის გამოსახულების გამოქვეყნება).

როდესაც საუბარია სამოქალაქო პასუხისმგებლობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა გავრცელებული ცნობების უარყოფა და პასუხის გამოქვეყნება, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, ინფორმაციის გამავრცელებელი ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლად) მოქმედებდეს. ამ დროს საკმარისია, რომ თავად არასწორი ინფორმაციის გავრცელების ფაქტი არსებობდეს. თუკი ასეთი ფაქტი დასტურდება, მას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული რეაგირება უნდა მოჰყვეს.

მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში არასწორი ან არასრული ინფორმაციის გავრცელებით არა მარტო ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია, არამედ პირი მატერიალურ ან არაქონებრივ ზიანსაც იღებს. მაგ.: მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ შ.პ.ს. „ლაში“ გაკოტრდა, რის შედეგადაც ყველა საქმიანმა პარტნიორმა შეწყვიტა ამ სანარმოსთან ურთიერთობა. ბუნებრივია, რომ ამით სანარმოს მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც მიღებულ ქონებრივი დანაკლისის, ასევე სამომავლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით. თუ აღმოჩნდება, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია და სანარმო არავითარ ფინანსურ სიძნელეებს არ განიცდიდა, ბუნებრივია, დგება საკითხი, ექვემდებარება თუ არა არამართლზომიერი ქმედებით (არასწორი ინფორმაციის გავრცელებით) მიყენებული ზიანი ანაზღაურებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი მიუთითებს, რომ ზიანი ანაზღაურდება, თუ იგი გამონეწეულია ბრალეული მოქმედებით. თუ გავრცელებული არასწორი ცნობების უარყოფისათვის ბრალეულობა აუცილებელი არ იყო, მოცემულ შემთხვევაში განზრახვის ან გაუფრთხილებლობის არსებობა აუცილებელია, რათა მიყენებული ზიანი ანაზღაურდეს.

ზიანის ანაზღაურება ორი ფორმით შეიძლება მოხდეს:

- პირმა უნდა მოითხოვოს მისთვის ფაქტობრივად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება (მათ შორის, ხელიდან გაშვებული შემოსავლისაც) ან
- მოითხოვოს იმ მოგების მისთვის გადაცემა, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. აქ საუბარია იმ შემოსავალზე, რომელიც არასწორი ინფორმაციის გავრცელებელმა ამ ინფორმაციის გავრცელებით მიიღო (მაგ.: არასწორი ინფორმაციის შემცველი გაზეთის ან ჟურნალის გაყიდვით მიღებული მოგება). ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში მოსარჩელეს არჩევანის საშუალება გააჩნია. თუ მან უმნიშვნელო ქონებრივი ზიანი განიცადა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხელმყოფის მიერ მიღებულ მოგებას, მაშინ შესაძლოა მან ზიანის ანაზღაურება ხელმყოფის მიერ მიღებული მოგების ფორმით აირჩიოს. თუ ხელმყოფის მიერ მიღებული მოგება უმნიშვნელოა მოსარჩელისათვის მიყენებულ ქონებრივ ზიანთან შედარებით, მაშინ უფრო ლოგიკური იქნება, თუ პირი მისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავრცელებული ცნობები აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს და არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არასწორი ინფორმაციის გავრცელებასა და მიყენებულ ქონებრივ ზიანს შორის.

მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პარალელურად ან მისგან დამოუკიდებლად მოსარჩელემ შეიძლება მოითხოვოს ასევე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ქვეშ იგულისხმება ის სულიერი ტკივილი (სულიერი აშლილობა, ფიზიკური დაუძლურება და ა.შ.), რაც მოსარჩელემ განიცადა მის შესახებ არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნებით.

მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობის დადგენა საკმაოდ რთულია. სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაში მიუთითებს, რომ ანაზღაურება უნდა იყოს „გონივრული და სამართლიანი“. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსარჩელის პიროვნება, ბრალის ხარისხი, ხელმყოფის სოციალური სტატუსი, ხელყოფის სიმძიმე და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მითითებულია, რომ: „მორალური ზიანის ანაზღაურების პირველ უმთავრეს მიზანს შეადგენს არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რომელიც შეუძლებელია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. ფულადმა კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს ახალი დადებითი ემოციების მეშვეობით დაზარალებულის სულიერი განონასწორება და სრულფასოვანი ჩართვა სოციალურ ურთიერთობაში. აღნიშნული შეადგენს მორალური ზიანის სატისფაქციის შინაარსს“.

პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვა პირის გარდაცვალების შემდეგაც შეიძლება. ამ შემთხვევაში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც საამისოდ დაცვის ღირსი ინტერესი გააჩნიათ. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

## **VI. სისხლის სამართლის კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით**

### **პასუხიმგებლობა ცილისნამებისათვის**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით:

„ცილისნამება დანაშაულის დაბრალებით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე“.

იმისათვის, რომ გავრცელებულ ინფორმაციას ცილისნამების კვალი-  
ფიკაცია მიეცეს, აუცილებელია შემდეგ გარემოებათა არსებობა:

გავრცელებული ცნობა უნდა იყოს მცდარი. თუ ინფორმაცია სინამ-  
დვილეს შეესაბამება, ბუნებრივია, რაიმე პასუხისმგებლობაზე არ შეიძლე-  
ბა საუბარი.

ამავე დროს, იგი ზიანს უნდა აყენებდეს პირის პატივსა და ღირსებას.

ინფორმაციის გამავრცელებელმა უნდა იცოდეს გავრცელებული ინ-  
ფორმაციის სიმცდარე და შეგნებულად სურდეს ამ ინფორმაციის გავრცე-  
ლება, ანუ აუცილებელია, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს პირდაპირი  
განზრახვით. თუ პირი შესაბამისი მიზნით არ მოქმედებდა, ასეთ შემთხვე-  
ვაში პასუხისმგებლობა ცილისნამებისათვის გამორიცხულია.

გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს პირზე ისეთ ცნობას,  
რომელიც მას დანაშაულის ჩადენაში ამხელს. თუ გავრცელებული ცნობა  
პირის დანაშაულებრივ ქმედებას არ ეხება, თუნდაც იგი მცდარი იყოს, პი-  
რის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

ცილისნამება ისეთი კატეგორიის დანაშაულია, რომელზეც კერძო სის-  
ხლისსამართლებრივი დევნაა მხოლოდ შესაძლებელი. ეს კი იმას ნიშნავს,  
რომ საქმე ცილისნამებაზე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივ-  
რის საფუძველზე. ასეთი საქმეები ვერ აღიძვრება ვერც მოკვლევის ორგა-  
ნოს, ვერც გამომძიებლისა და ვერც პროკურორის მიერ. დაზარალებულს,  
რომელმაც გადაწყვიტა ცილისმნამებლური ცნობების გამავრცელებლის  
პასუხისმგებლობის საკითხის დააყენება, შეუძლია შეიტანოს სასამარ-  
თლოში სარჩელი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის მოთხოვნით ან  
წარადგინოს საჩივარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით.  
საჩივარი უნდა შევიდეს რაიონულ სასამართლოში, რომელიც იღებს გა-  
დანყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან სისხლის სამარ-  
თლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

თუ დაზარალებული გადანყვეტს, უარი თქვას საჩივარზე და შეურიგ-  
დეს ბრალდებულს, სისხლის სამართლის საქმე აუცილებლად უნდა შეწყ-  
დეს. შერიგება დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მათ  
შორის საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლოს სათათბი-  
რო ოთახში გასვლამდეც კი.

პროკურორი ცილისნამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა-  
ში მონაწილეობს დაზარალებულის მოთხოვნით. პროკურორს ასევე აქვს  
უფლება, საკუთარი ინიციატივით ჩაებას საქმის განხილვაში, თუ საქმე  
განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა.

სამოქალაქო საქმის განხილვისაგან განსხვავებით, ცილისწამებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეში მტკიცების ტვირთი მთლიანად ბრალდების მხარეს ეკისრება. ინფორმაციის გამავრცელებელი სისხლის სამართლის საქმეში თავად არ ამტკიცებს თავის უდანაშაულობას და გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობას. ამ მხრივ იგი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოების შემთხვევაში, სადაც ცნობების გამავრცელებელია მთლიანად ვალდებული, ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობა. ამიტომაც ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს იმ პირმა, ვის მიმართაც ცილისწამებლური განცხადებებია გაკეთებული. მას გაცილებით გაუჭირდება დაიცვას თავისი შელახული პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების გზით, ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი მნიშვნელოვნად ლიბერალურია სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებაში. ადრე მოქმედი კოდექსით ცილისწამება ბევრად უფრო ფართოდ იყო გაგებული და შეგნებულად ცრუ მონაჭორის გავრცელების ყველა შემთხვევის დასჯას ითვალისწინებდა. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში ცილისწამება საერთოდ აღარ ითვლება დასჯად ქმედებად და იმედია, რომ მომავალში ეს მუხლი ქართული კოდექსიდანაც გაქრება. ამავე დროს, ძველი სისხლის სამართლის კოდექსით სისხლისსამართლებრივ დასჯად ქმედებად ითვლებოდა შეურაცხყოფაც. ახალი კოდექსმა ადრე არსებულ კონცეფციაზე უარი თქვა, თუმცა შეურაცხყოფის ერთი ფორმა დასჯადი მაინც დარჩა. კერძოდ, აქ საუბარია კოდექსის 366-ე მუხლზე (სა-სამართლოს უპატივცემულობა), რომლის შესაბამისადაც:

„სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა ტუსალობით ვადით ორიდან ოთხ თვემდე.

იგივე ქმედება, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით,

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა ტუსალობით ვადით სამიდან ექვს თვემდე.”

შეურაცხყოფად ჩაითვლება პიროვნების პატივისა და ღირსების გან-



ზრახ დამცირება, გამოხატული უნესო ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის მიხედვით ნათელი არ არის, სასამართლოსადმი უპატივცემულობა მართო სასამართლო სხდომის დროსაა შესაძლებელია თუ მის გარეთაც.

მეორე მხრივ, სასამართლოსადმი უპატივცემულობად ითვლება, თუ პირი შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს სამართალწარმოების ნებისმიერი მოწინააღმდეგის მიმართ: ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, ბრალმდებლის და ა.შ. ამავე დროს, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფა.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა აბსოლუტურად მიუღებელია. თუკი დასტურდება სასამართლოსადმი უპატივცემულო დამოკიდებულება, მოსამართლეს უფლება უნდა ჰქონდეს, მიიღოს შესაბამისი ზომები (გააძეგოს პირი დარბაზიდან, დააკისროს მას ჯარიმა ან შეუფარდოს ადმინისტრაციული დაპატიმრება), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომები (თუ, რა თქმა უნდა, პირის ქმედება იმავე დროს სხვა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს). განსაკუთრებით მიუღებელია მიდგომა, როდესაც დაკონკრეტებული არ არის, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო სხდომის დროს. ასევე მიუღებელია ის ფაქტი, რომ მოსამართლისა და მსაჯულის შეურაცხყოფა ცალკე, დამამძიმებელ გარემოებად, განიხილება.

### **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის**

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მასობრივი ინფორმაციის ბევრ ნაშთადგენელს აინტერესებს, არის ის, თუ რამდენად ემუქრება ჟურნალისტს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გავრცელებისათვის. სახელმწიფო საიდუმლოება ისეთი ინფორმაციაა, რომლის გამჟღავნებაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს. იმისათვის, რომ ესა თუ ის ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ იგი უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა კანონით დადგენილი წესით გაასაიდუმლოს და მიანიჭოს „საიდუმლოს“ გრიფი. სახელმწიფო საიდუმლოებაზე ხელი მხოლოდ საჯარო მოხელეთა მკაცრად განსაზღვრულ წრეს მიუწვდება. შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოების

დაცვა შესაბამის სახელმწიფო მოხელეთა მოვალეობას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი პასუხს აგებენ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებისათვის. ამავე დროს დგება საკითხი, რამდენად აგებს ყურნალისტი პასუხს ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა და რომელიც, იმავე დროს, სახელმწიფო საიდუმლოებაა. დემოკრატიულ ქვეყნებში ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობს — სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაზე მხოლოდ ის სახელმწიფო მოხელები აგებენ პასუხს, რომლებსაც მისი დაცვა ევალებათ (აქ არ იგულისხმება დანაშაულებრივი გზით სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების მოპოვება). ყურნალისტს, რომელმაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობა გამოაქვეყნა, პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მან ხომ ეს ინფორმაცია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შესაბამისი სახელმწიფო მოხელებებისაგან მიიღო.

საქართველოში ამ მხრივ განსხვავებული სიტუაციაა. სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის შესაბამისად:

„სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ ან გაუფრთხილებლად გახმაურება იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია საქართველოს ინტერესებისათვის მძიმე შედეგი,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.“

სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთ მოტანილი ნორმა საკმაოდ ფართო სუბიექტთა წრეს ეხება და შესაძლებლობას იძლევა, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის პასუხი აგოს არა მარტო სახელმწიფო მოხელემ, არამედ ნებისმიერმა სხვა პირმაც, რომელსაც ეს საიდუმლოება გაანდეს. ასეთ პირთა შორის ყურნალისტიც შეიძლება იყოს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ ყურნალისტი გამოაქვეყნებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს. ამავე დროს, პასუხისმგებლობა დადგება არა მხოლოდ სპეციალური მიზნის ან განზრახვის არსებობისას, არამედ გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც.

ბუნებრივია, ასეთი ნორმის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვნად ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. თუ შესაძლებელია,

რომ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია მოხვდეს უურნალისტთან, გაცილებით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთი ინფორმაცია მტრული სახელმწიფოს სპეცსამსახურს ჩაუვარდეს ხელში. ამიტომაც უურნალისტის მიერ ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნებამ გარკვეული ინდიკატორის როლი შეიძლება ითამაშოს, რომელიც საზოგადოებას დაინახევებს, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი ქვეყანაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა. საზოგადოების ინტერესში შედის არა მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისაგან დაცვა, არამედ იმის გაგებაც, თუ რამდენად საიმედოდაა დაცული სახელმწიფო უწყებებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები. თუ სახელმწიფო საიდუმლოების ხელში ჩაგდება ადვილად შესაძლებელი, საზოგადოებას სრული უფლება აქვს, ატეხოს ამ საკითხზე განგაში და იგი საჯარო მსჯელობის საკითხად აქციოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგომარეობის გამოსწორების შანსი ნაკლებად არსებობს.

შეიძლება თუ არა, მოსთხოვონ უურნალისტს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამჟღავნება და პასუხი აგებინონ მას განუცხადებლობის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის? ამაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, როდესაც შევეხეთ წყაროს კონფიდენციალურობის საკითხს. აქ ერთი რამის დამატება შეიძლება მხოლოდ: თუ სასამართლო არ გაათავისუფლებს უურნალისტს ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან, მაშინ უურნალისტი ისევე აგებს პასუხს ჩვენების მიცემაზე უარისათვის, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე.

### **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვა სახის ინფორმაციის გავრცელებისათვის**

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პირის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და არაეის აქვს უფლება, უკანონოდ ჩაერიოს მასში. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად:

„პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ შენახვა ან გავრცელება ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გამოქვეყნებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან საჯარო გამოსვლისას.

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით."

პირად საიდუმლოებად ჩაითვლება ინფორმაცია, რომელიც შეეხება პირის ფინანსებს, ჯანმრთელობასა და სხვა კერძო საკითხებს. პირის პირადი მიმონერა, სატელეფონო საუბრები, ინტიმური ცხოვრება ასევე წარმოადგენს პირად საიდუმლოებას. საგადასახადო კოდექსი კონფიდენციალურად მიიჩნევს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოქალაქის მიერ გადახდილ გადასახადებს ეხება. საბანკო კანონმდებლობით ასევე საიდუმლოა პირის საბანკო ანგარიშზე თანხის მიმოქცევა. სამედიცინო კანონმდებლობა კრძალავს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. არ შეიძლება ჩვეულებრივი მოქალაქის კერძო ცხოვრების დეტალები საჯარო მსჯელობის საგანი გახდეს. კანონმდებლობა ოჯახური საიდუმლოს ცნებას არ განმარტავს და ეს სასამართლო პრაქტიკისათვის არის მინდობილი. ოჯახური საიდუმლოს ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შვილად აყვანის საიდუმლო.

კანონით აკრძალულია პირადი ან ოჯახური საიდუმლოების შემცველი ცნობების უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება, თუ პირს კანონით აქვს მინიჭებული უფლება, შეაგროვოს ან გაავრცელოს პირადი ან ოჯახური საიდუმლო. საგადასახადო ინსპექტორს პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება კანონით ევალება. საჯარო თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ბიუროს ასევე კანონით ევალება, გასცეს მაღალი თანამდებობის პირების დეკლარაციები, რომლებიც პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას შეიცავენ.

კანონი პირადი და ოჯახური საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ყველასაგან მოითხოვს, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი ან ოჯახური საიდუმლოების დაცვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. სახელმწიფო უკანონოდ არ უნდა ერეოდეს პირის პირად ცხოვრებაში, არ უნდა შეაგროვოს მასზე ინფორმაცია (გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისა), აგრეთვე არ უნდა გაამჟღავნოს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც კანონიერად დაცულია სახელმწიფო უწყებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი პირდაპირ ავალდებს მას ამ ინფორმაციის გაცემას.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ორ ისეთ საკითხზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათლად არ არის გამოკვეთილი წარმოდგენილ მუხლში. რიგ შემთხვევაში მოქალაქეს შეიძლება შემთხვევით

ჩაუვარდეს სხვა პირზე რაიმე ინფორმაცია (შემთხვევით დაინახოს ან გაიგონოს) ან თუნდაც უკანონოდ გადასცეს ეს ინფორმაცია სხვა პირმა. ასეთ დროს, ბუნებრივია, მოქალაქეს ვერ აუკრძალავ სხვასთან ისაუბროს იმაზე, რაც გაიგო, მოისმინა ან დაინახა. ამის გამო რაიმე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საუბარი არ უნდა იყოს. ამავ დროს, არ შეიძლება პირმა პასუხი აგოს ისეთი ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელიც უკვე გავრცელებულია სხვა პირის ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ.

მეორეც, საჯარო პირები ძალზე დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე. აქედან გამომდინარე, გაზრდილია საზოგადოების ინტერესი მათ მიმართ. საზოგადოებას გააჩნია სრულიად ლეგიტიმური ინტერესი, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას საჯარო პირის პიროვნების შესახებ. ამიტომაც, ამ პირების პირადი საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ შეიძლება განხილულ იქნეს სისხლის სამართლის დანაშაულად.

რიგ შემთხვევაში დგება იმის აუცილებლობა, რომ დასჯადი იყოს ინფორმაციის გავრცელების ისეთი ფორმები, რომლებიც იმდენად დიდ ძალადობას იწვევს, რომ არსებითი საფრთხე ექმნება თავად დემოკრატიული საზოგადოების არსებობას. აქ საუბარია საჯარო მონოდეტებზე, რომლებსაც ძალზე სერიოზული და მძიმე შედეგების გამოწვევა შეუძლიათ. სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად,

„საქვეყნოდ მონოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მონოდეტების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამ მიზნით შეიარაღებისაკენ მონოდება,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე”

თავისთავად, მონოდება კონსტიტუციური წყობის შეცვლისაკენ არ ჩაითვლება დანაშაულად. ნებისმიერ მოქალაქეს გააჩნია იმის სრული უფლება, რომ არ მოსწონდეს არსებული კონსტიტუციური წყობა და მხარს უჭერდეს სხვა ტიპის სახელმწიფო ფორმებს, მაგ.: მონარქიას, პროლეტარიატის დიქტატურას, თეოკრატიას და ა.შ. მოქალაქეს ასევე აქვს უფლება, საჯაროდ გამოხატოს თავისი პოზიცია და ანარმოს პროპაგანდა კონსტიტუციური წყობის შეცვლის მიზნით, მაგრამ მას ამის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ მშვიდობიან ფორმებში კონსტიტუციური გზით (არჩევნებში გამარჯვების, რეფერენდუმის და ა.შ. ფორმით). დასჯადია მხოლოდ ისეთი მონოდება, რომელიც კონსტიტუციური წყობის ძალადობის გზით შეცვლას

ითვალისწინებს. თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში მხოლოდ მონოდება კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლისაკენ არ განიხილება დანაშაულად. ამ დროს აუცილებელია, რომ ასეთი მონოდება უშუალოდ და მყისიერად ინვედეს ამგვარ ძალადობას, ანუ მონოდება რეალური და სერიოზული საფრთხის შემქმნელი უნდა იყოს. ძნელია, დანაშაულად იქნეს განხილული სახელმწიფო ორგანოების უკანონო ქმედებებით წონასწორობიდან გამოსული მოქალაქის საჯარო მონოდება, თუკი ყველასთვის ნათელია, რომ ამ მონოდებას რაიმე შედეგის გამოწვევა არ შეუძლია.

სისხლის სამართლის 405-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს მონოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ, რომლის მიხედვითაც:

„საქვეყნოდ მონოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე;

იგივე ქმედება, ჩადენილი საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.“

თავისთავად, ომისაკენ მონოდება არ შეიძლება განვიხილოთ დანაშაულად. თუ ქვეყანას ემუქრება საფრთხე, შესაძლებელია საზოგადოებაში იყოს მსჯელობა თავდაცვითი ომის აუცილებლობის შესახებ და ასეთი მოსაზრება არ შეიძლება დასჯადი იყოს. თუ რომელიმე უცხო სახელმწიფოს სამხედრო ძალებმა დაარღვიეს სახელმწიფო საზღვარი და განახორციელეს სამხედრო ოპერაცია ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც აქვთ სრული უფლება, გამოხატონ თავიანთი პოზიცია თავდაცვითი ომის დაწყების აუცილებლობის შესახებ და მოუნოდონ ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას. დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ აგრესიული, ანუ ისეთი ომის გაჩაღებისაკენ მონოდება, რომელიც ითვალისწინებს სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაკავებას, სხვა ქვეყანაზე სამხედრო თავდასხმის განხორციელებას და ა.შ. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმის დადგენა, რამდენად შეუძლია ამ მონოდებას ასეთი აგრესიის გამოწვევა ან სიტუაციის დაძაბვა. უწყინარ სიტუაციაში ან კერძო საუბარში ასეთი განცხადებები, რომლებიც მხოლოდ პირის პოზიციას გამოხატავს და რომელთაც არა აქვთ უნარი, პირდაპირ და მყისიერად გამოიწვიოს აგრესიულ ქმედებები, არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად. იმისათვის, რომ მონოდება დასჯადი გახდეს, იგი საქვეყნოდ უნდა იქნეს გაკეთებული.

## სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიტყვის თავისუფლების ხელყოფისათვის

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის იმ შემთხვევებზე, როდესაც სიტყვის თავისუფლება სხვა სიკეთეთა დაცვის მიზნით შეზღუდულია და მისი ბოროტად გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში დასჯად ქმედებას წარმოადგენს. მაგრამ აქვე დგება საკითხი, რამდენად იცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლებას, როგორც საქართველოს კონსტიტუციით გამყარებულ ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას; ითვალისწინებს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსი რაიმე პასუხისმგებლობას ჟურნალისტიკისათვის დაბრკოლების შექმნის ან მისთვის კანონით დაშვებული ინფორმაციის გაუცემლობისათვის და სად უნდა დააყენონ მათ საკითხი თავიანთ უფლებათა დაცვის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლი ეძღვნება, რომლებსაც დეტალურად განვიხილავთ. იმის გამო, რომ სიტყვის თავისუფლება არა მარტო ჟურნალისტიკის, არამედ ყველა მოქალაქის უფლებას წარმოადგენს, სისხლის სამართლის კოდექსით ყველა მათგანის უფლებაა დაცული დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად:

„სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით ანდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,—

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.“

ეს მუხლი ზოგადია და იცავს პირის უფლებას, თავისუფლად, ყოველგვარი ცენზურის გარეშე, გამოხატოს თავისი აზრი. ყოველ მოქალაქეს აქვს აგრეთვე უფლება, თავისუფლად შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფო ორგანოებში დაცულ ინფორმაციას. საქართველოს კონსტიტუცია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ყველას ანიჭებს უფლებას, დაუბრკოლებლად მიიღოს საჯარო დანესებულებებში არსებული ინფორმაცია, თუ იგი სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას არ წარმოადგენს. თუ რომელიმე მოხელე უარს განაცხადებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ეს სამართალდარღვევად ჩაითვლება.

იმისათვის, რომ სიტყვის ან ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს, უნდა დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგ გარემოებათაგან:

სიტყვის ან ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფამ მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს. მნიშვნელოვან ზიანში იგულისხმება როგორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანიც და აგრეთვე პირის კანონით დაცული სხვა ინტერესის უხეშად შელახვა.

სიტყვის ან ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფა ჩადენილი უნდა იყოს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ბუნებრივია, როდესაც თანამდებობის პირი არღვევს სიტყვის ან ინფორმაციის თავისუფლებას, ამას გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია. მათ ზემოქმედების უფრო მეტი ბერკეტი გააჩნიათ და მათი ქმედება უფრო საშიში შეიძლება იყოს კანონით დაცული სიკეთისათვის, ამ შემთხვევაში — სიტყვის თავისუფლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება სუბიექტი მხოლოდ სახელმწიფო მოხელე არ იყოს. კერძო სანარმოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანამდებობის პირებსაც შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფისათვის. მაგ.: როდესაც სანარმოს თანამშრომელს არ აძლევენ იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის კანონით ხელმისაწვდომია.

საკუთარი აზრის გამოთქმისა და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების კონსტიტუციური უფლების გამოყენებას არ შეიძლება რაიმე რეპრესია მოჰყვეს. თუ პირის მდგომარეობა საკუთარი აზრის ან მსოფლმხედველობის გამო უარესდება, მაშინ, ცხადია, რომ ამ უფლებათა დაცვაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი კრძალავს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, რომ:

„ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.“

პირის დევნა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. შეიძლება იგი გაათავისუფლონ თანამდებობიდან, უარი უთხრან სამსახურში მიღებაზე, უარი უთხრან იმ სიკეთეზე, რომელიც მას კანონით ეკუთვნის და ა.შ. იმისათვის, რომ ასეთმა ქმედებამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს, აუცილებელია, რომ დევნა დაკავშირებული იყოს პირის რწმენასთან, აღმსარებლობასთან ან გამოთქმულ მოსაზრებასთან. თავის-



თავად ის ფაქტი, რომ განსხვავებული აზრის ან რწმენის მქონე პირი სამსახურიდან გაათავისუფლეს, არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას. თუ პირი სამსახურიდან გაათავისუფლეს სისტემატური გაცდენისათვის, ბუნებრივია, არავითარ დანაშაულზე არ შეიძლება იყოს საუბარი. აუცილებელია, რომ დევნასა და პირის რწმენას ან გამოთქმულ აზრს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არსებობდეს.

თუ ჩვენ ზემოთ ზოგადად ყველა ადამიანის სიტყვის თავისუფლების დაცვაზე ვსაუბრობდით, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სპეციალურ დამცავ მუხლს ჟურნალისტებისათვის. პირი, რომლის პროფესიასაც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მინოდება წარმოადგენს, განსაკუთრებულად უნდა იქნეს დაცული თავისი საქმიანობის პროცესში, რათა მან შეძლოს საზოგადოებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მინოდება. სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი ითვალისწინებს:

„ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან,

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.”

ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლა ორგვარად შეიძლება გამოიხატოს:

მისი იძულება, გამოაქვეყნოს რაიმე ინფორმაცია;

ჟურნალისტის იძულება, თავი შეიკავოს ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებისაგან, რომელიც ხელმყოფი პირისათვის არ არის სასურველი.

თუ იძულება გამოიხატა ძალადობის მუქარაში ან საამისოდ გამოყენებულ იქნა სამსახურებრივი მდგომარეობა, მაშინ ეს მიიჩნევა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად და უფრო სერიოზულ სასჯელს ითვალისწინებს.

## VII. დასკვნა

მოქმედი კანონმდებლობის ზემოთ ნარმოდგენილი მოკლე ანალიზიც კი ნათლად მიუთითებს, რომ აუცილებელია სიტყვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის შემუშავება. საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა და, შესაბამისად, მასზე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ამ კონვენციასთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მოქმედი კანონმდებლობის მთელი რიგი დებულებები პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს. ქართული კანონმდებლობით რეალურად არ არის გარანტირებული წყაროს საიდუმლოება. ქართული კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლების სფეროში ზედმეტი დოზით იყენებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაეკისროს ჟურნალისტს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გამოქვეყნებისათვის. ინფორმაციის გავრცელებისათვის ჟურნალისტის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები ძალზე შეზღუდულია. ბუნდოვნადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული ფაქტისა და შეფასების ცნებები. კანონმდებლობა თითქმის არ განასხვავებს პასუხისმგებლობას საჯარო და კერძო პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის და ა.შ. ამავ დროს, ჩვენ გვჭირდება არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონი, რომელიც მათი საქმიანობის რეგლამენტაციასა და, შესაბამისად, შეზღუდვებს გაითვალისწინებს, არამედ კანონი სიტყვის თავისუფლების შესახებ, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს გარანტიებს სიტყვის თავისუფლებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის თავისუფლების თაობაზე ახალი კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობა კარგა ხანია დღის წესრიგში დგას. 1999 წლის საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი სიტყვის თავისუფლების შესახებ (იხ.: დანართი 2), რომელიც მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. კანონპროექტი მას შემდეგ მნიშვნელოვნად გადაამუშავდა და მისი საბოლოოდ მიღება ამ მოწვევის პარლამენტისათვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გადაწყვეტილება იქნება.

## თავი 2

# სიტყვის თავისუფლებათან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

### შესავალი

ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითს. ქვემოთ მოტანილი საქმეები სამოქალაქო სამართალწარმოების ნესითაა განხილული. საბედნიეროდ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებული სტატისტიკის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში სისხლის სამართლის არც ერთი საქმე არ დამთავრებულა გამამტყუნებელი განაჩენით. ეს იმას მიანიშნებს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით მოქალაქეები თავის უფლებებს, ძირითადად, სამოქალაქო კანონმდებლობით იცავენ, რაც მისასალმებელია.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული დავები არც ისე ხშირია. პირები ამ სიკეთეთა დასაცავად სასამართლოს იშვიათად მიმართავენ. ამავე დროს, ბევრი დავა მორიგებით მთავრდება ან განხილვის პროცესში მხარეებს საქმის სასამართლო გადანყვეტილებით დასრულების ინტერესი ეკარგებათ. ეს, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ სასამართლოში საქმის განხილვა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, საბოლოო გადანყვეტილების მიღებას კი შეიძლება წლები დასჭირდეს. ამავე დროს, მხარეები ზოგჯერ დავასთან დაკავშირებულ დამატებით აჟიოტაჟს ერიდებიან. სწორედ ამის გამო ბევრ საქმეზე სამართალწარმოება წყდება.

ტრადიციულად, საქართველოში სიტყვის თავისუფლების მიმართ სასამართლოები უფრო ლიბერალურ გადანყვეტილებებს იღებდნენ, ვიდრე კონსტიტუციით გარანტირებული სხვა უფლებებისა თუ თავისუფლებების მიმართ. სასამართლო ყოველთვის ერიდებოდა სიტყვის თავისუფლების შემზღუდველი გადანყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით მაშინ, რო-

დესაც საქმე ძალიან რეზონანსული იყო და მასში მასობრივი ინფორმაციის მსხვილი წარმომადგენელი მონაწილეობდა. სასამართლოთა ასეთმა გადაწყვეტილებებმა ბევრ ჩინოვნიკს დაუკარგა სურვილი, სასამართლოში სარჩელის აღძვრის გზით მიეღწია არასასურველი მასობრივი ინფორმაციის საშუალების დასჯისთვის. სამწუხაროდ, ბოლო დროს ეს ტენდენცია გარკვეულწილად შესუსტდა და მოსასამართლეებმა მიიღეს რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილება, რომლებიც სიტყვის თავისუფლების არეალს მნიშვნელოვნად ავიწროებს და, შესაბამისად, შეშფოთების საფუძველს ქმნის. სასამართლოთა მიერ მიღებული ზემოხსენებული რამდენიმე გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლების დაცვის შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღება გადაუდებელი აუცილებლობაა და ამ კონსტიტუციური უფლების დასაცავად სასამართლო პრაქტიკის შექმნა საკმარისი არ არის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები ძალზე წინააღმდეგობრივია და განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებისათვის ფართო გარანტიებს ქმნის, სხვა გადაწყვეტილებები სიტყვის თავისუფლების არეალს მნიშვნელოვნად ავიწროებს. ბუნებრივია, საქართველოში პრეცედენტული სამართალი არ არსებობს და სასამართლოები არ არიან შებოჭილი სხვა სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, მაგრამ კანონის ერთგვაროვანი გაგების დამკვიდრება აუცილებელია კონსტიტუციური პრინციპების (თანასწორობის პრინციპი, წინასწარგანჭვრეტადობის პრინციპი და ა.შ) დაცვის მიზნით.

ქვემოთ დამონმებული მაგალითები კარგად ასახავს თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის ტენდენციებს. აქ მოტანილი საქმეების განხილვა მიზნად არ ისახავს არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების იურიდიული გადასინჯვის მოთხოვნას ან ვინმეს დადანაშაულებას უკანონო გადაწყვეტილების გამოტანაში. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკის ქვემოთ მოტანილ განხილვას მხოლოდ სამეცნიერო და სასწავლო მიზანდასახულება გააჩნია.

## ვ.კ. ნ.ჯ.-ის წინააღმდეგ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარ-  
მეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის  
აღდგენა

### 1. საქმის მოკლე შინაარსი

ვ.კ.-მ სარჩელი აღძრა ნ.ჯ.-ის წინააღმდეგ და მოითხოვა პატივის, ღირ-  
სებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მო-  
რალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. სარჩელის საფუძ-  
ვლად მითითებულია ის გარემოება, რომ ტელეკომპანია „რ.“-ის ეთერში  
გავიდა გადაცემა, რომელშიც პარლამენტის ყოფილმა წევრმა ნ.ჯ.-იანმა  
მოსარჩელის, ვ.კ.-ს, წინააღმდეგ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„ის, რაც მიუტანეს ბ-ნ ე.შევარდნაძეს როგორც გაკეთებული ნიმუში,  
ეს პრაქტიკულად იყო სხვა დეტალებიდან აკრეფილი; ეს გააკეთა ვ.კ.-მ,  
აუტანა და დაუდო პრეზიდენტს იარაღი, რომელიც პრაქტიკულად აუთვი-  
სებელი იყო და თუ ათვისებული იყო, ახლა რატომ არ ვაკეთებთ?“

„ეს კაცი (იგულისხმება ვ.კ.) სულ სხვა საქმეზეა გამიზნული და მას არ  
უნდა, რომ საქართველოში დავნერგოთ იარაღი და ტყვია-წამალი და ცოტა  
რალაცნაირად ფეხზე წამოვდგეთ ამ საკითხებში. იმიტომ, რომ მისი პირა-  
დი ინტერესები არ არის ჩადებული ამში.“

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული  
გარემოებანი არ შეესაბამება სინამდვილეს. მას არ შეულახავს მოსარჩე-  
ლის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. რაიონულმა სასამართლომ  
ვ.კ.-ს სარჩელი არ დააკმაყოფილა, საოლქო სასამართლომ კი დაადგინა,  
რომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა მოხდა და, შე-  
საბამისად, ნ.ჯ.-ს დაეკისრა გავრცელებული ცნობების უარყოფა.

### 2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ვ.კ.-ს სარ-  
ჩელი უსაფუძვლობის გამო, დააკმაყოფილა ნ.ჯ.-ის საკასაციო საჩივარი

და გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით:

სახელმწიფო პოლიტიკურ, ასევე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირზე არ უნდა გავრცელდეს საქმიანი რეპუტაციის ის გეგმა, რასაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი განამტკიცებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სახელმწიფოში ამჟამადაც არ ხდება ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სერიული დამზადება, ე.ი. მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის „აუთვისებლობისა“ და მისი სერიული წარმოების არარსებობის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება. ასევე დადგენილია, რომ დამზადდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ერთი ეგზემპლარი და ის პრეზიდენტს ვ.კ.-მ წარუდგინა. მოსარჩელეს ცილისწამებად მიაჩნია არა თვით ფაქტი, არამედ ამ ფაქტის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, რომ მან (ვ.კ.-მ) შეცდომაში შეიყვანა ქვეყნის პრეზიდენტი, რითაც მისი პატივი და ღირსება შეილახა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს პატივისა და ღირსების შელახვად შემდეგ გარემოებათა გამო:

- გადაცემა შეეხებოდა ქვეყანაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხებს და იქ გამართულ საჯარო პოლემიკაში ვ.კ.-ს ჰქონდა საშუალება, პასუხი გაეცა ნ.ჯ.-ის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და შეფასებებისათვის.

- გადაცემა, რომელშიც ვ.კ.-ს მიმართ სადავო ფრაზები გამოითქვა, ეხებოდა ქვეყნის ეკონომიკას, რაც დიდი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საგანია და ასეთი საკითხის გაშუქებისას პოლიტიკური და საჯარო სამსახურის მოხელეთა მიერ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები, ე.ი. „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“, შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტების შეფასებისას განსხვავებული სტანდარტები უნდა გამოვიყენოთ. კერძოდ, განმარტა, რომ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები მთავრობის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ“. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინ-

ტერესთან — თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.

### 3. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვის თავისუფლების საკითხზე მიღებულ სანიმუშო გადაწყვეტილებად. ამ გადაწყვეტილებით რეალურად განხორციელდა სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია. ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი გარემოებების გამო:

გადაწყვეტილებით გამიჯნულია შეფასება და ფაქტი ერთმანეთისაგან და ნათქვამია, რომ პირს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა შეფასებისათვის. შეფასების სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა არ ხდება. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „მოსარჩელეს ცილისწამებად მიაჩნია არა თვით ფაქტი, არამედ ამ ფაქტის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, რომ მან (ვ.კ.-მ) შეცდომაში შეიყვანა ქვეყნის პრეზიდენტი, რითაც მისი პატივი და ღირსება შეილახა.“

გადაწყვეტილება საჯარო მოხელის პატივისა და ღირსების დაცვის უფრო დაბალ სტანდარტს ადგენს. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ.“

გადაწყვეტილება იცავს საზოგადოებისათვის საჭირო როტო საკითხზე საჯარო დებატების თავისუფლებას. კერძოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ „რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი ნონასწორდება საზოგადოების ინტერესთან — თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე“, „გადაცემა შეეხებოდა ქვეყანაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხს და იქ გამართულ საჯარო პოლემიკაში ვ.კ.-ს ჰქონდა საშუალება, პასუხი გაეცა ნ.ჯ.-ის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და შეფასებებისათვის“.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოყენებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველო ევროპის საბჭოს ნეერი ქვეყანა და მიერთებულია ადამიანის

უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. კონვენციით დაცულ უფლებებსა თუ თავისუფლებებთან დაკავშირებით ქართულ სასამართლოში განხილული ნებისმიერი საქმე შეიძლება გასაჩივრდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. ბუნებრივია, რომ სიტყვის თავისუფლების თაობაზე არსებულ ევროპულ სტანდარტებს პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია საქართველოსათვის. სწორედ ამიტომ, სასამართლო თავის გადწყვეტილებაში სრულიად მართებულად უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ ცნობილ საქმეს „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“.



## ი.ჩ. ლ.ბ.-ის წინააღმდეგ

საქმის განმხილველი სასამართლო: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგია; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება

### 1. საქმის მოკლე შინაარსი:

ი.ჩ.-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ბ.-ის წინააღმდეგ და მოითხოვა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და მორალური ზიანის ანაზღაურება ერთი მილიონი ლარის ოდენობით. საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას კასატორმა უარი განაცხადა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან.

სარჩელის საფუძვლად მოსარჩელე უთითებდა გაზეთ „ა.“-ში მოქაზუხესთან ინტერვიუს „დაუსაბუთებელი ქონების ხალხისათვის დაბრუნების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით. მოსარჩელე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად განიხილავდა შემდეგ გამონათქვამებს აღნიშნული ინტერვიუდან:

„არსებობს საშიშროება, ამ სასახლეებს გადაჰყვეს არა მარტო პრეზიდენტი, მისი ოჯახი და „ვანობი“, არამედ მთელი საქართველო“;

„ჯერ არმიღებული კანონის წინააღმდეგ უკვე ილაშქრებენ ის მაფიოზები, რომლებსაც ნამდვილად აქვთ არაკანონიერი გზით მოპოვებული სიმდიდრე. ი.ჩ. თანამდებობაზე დანიშნვიდან მცირე ხანში, ნულიდან გახდა მილიონერი. ჩ.-ის წრიდან, რომელსაც ე.წ. „გურული მაფიას“ ეძახიან, სხვებმაც გამოხატეს უკმაყოფილება, მაგრამ ისინი ცოტა მოკრძალებით მაინც ლაპარაკობდნენ“;

„ამით მან დაამტკიცა, რომ ყველაზე მეტი აქვს მოპარული“.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისთვის შეურაცხმყოფელია ასევე სიტყვა „ვანობი“, რომელსაც მოქაზუხე საუბრის ბოლოს იყენებს. კონტექსტიდან გამომდინარე, ამ სიტყვაში იგულისხმებიან „გაუმადლარი მაფიოზები“,

რომელთა გამაერთიანებელ ტერმინად მოპასუხე „ვანოებს“ ხმარობს. მოსარჩელე ასევე შეურაცხმყოფელად მიიჩნევს მოპასუხის განცხადებას მისი თავშეუკავებელი და თავხედური გამოსვლების შესახებ და მიუთითებს, რომ დაუსაბუთებელი ქონების ხალხისათვის დაბრუნების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით მისი გამოსვლები არასოდეს ატარებდა მსგავს ხასიათს.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელის მაფიოზობისა და სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო გზით მისაკუთრების, ანუ „მოპარვის“, შესახებ ცნობები არ გაუვრცელებია. მან გამოხატა საკუთარი აზრი, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ მამხილებელი ხასიათის დოკუმენტებს და მათ ურთიერთშედარებით ანალიზს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. გამოთქმას „გურული მაფია“ მოპასუხე ეროვნული ფოლკლორის ნაწილად მიიჩნევს, ხოლო რაც შეეხება ვ.ჩ.-ის თავშეუკავებელ და თავხედურ გამოსვლებს, იგი წარმოადგენს „კურიერი პოსტ სკრიპტუმისათვის“ მიცემული ინტერვიუს შეფასებას.

მოპასუხემ განმარტა, რომ მოსარჩელემ არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება მთავრობის სხდომაზე განსახილველად შემოტანილი კანონპროექტის გამო, დაგმო იგი როგორც ბოლშევიკური, რითაც საზოგადოების ნაწილის თვალში საკუთარი ქონების გადარჩენაზე მზრუნველ პიროვნებად და რადგან მოსარჩელე ხალხის მიერ დაქირავებული მოხელეა, რომლის ნება ასცდა და არ ემთხვევა დამქირავებლის ნებას, გაჩნდა ინტერესი, თუ რა გზით დააგროვა მან ქონება. ქონებრივ დეკლარაციაში ასახულმა ხელმისაწვდომმა მონაცემებმა გამოააშკარავა, რომ მოსარჩელის შემოსავალი მის მიერ განეული ხარჯების არაადეკვატურია, ხოლო მინის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული სარეგისტრაციო მასალები ცხადყოფს, რომ მოსარჩელემ დეკლარაციებში არასწორი მონაცემები შეიტანა. კერძოდ, წყნეთში მშენებარე აგარაკს და თბილისში, მცხეთისა და ზაქარიაძის ქუჩებზე, მდებარე სახლებს მისი და მისი ოჯახის წევრების საკუთრებად აცხადებს, იმ დროს, როდესაც ეს ქონება საჯარო რეესტრში სხვა პირებზეა აღრიცხული.

## 2. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ მიიჩნია რომ ი.ჩ.-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

- მოსარჩელის საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა, რადგანაც საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული

თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირს არ გააჩნია ის საქმიანი რეპუტაცია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი გულისხმობს.

- მოსარჩელის პატივი და ღირსება არ შელახულა, რადგან კანონით ამ სიკეთეების შელახვა შეიძლება ცნობის (ფაქტის) გავრცელების გზით, ხოლო მოპასუხე მითითებულ საგაზეთო სტატიაში გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს.

- მოპასუხის მიერ გამოთქმული მოსაზრება ეხმიანება კანონპროექტის ირგვლივ გამართულ პოლემიკას. კერძოდ, იგი, გარკვეულწილად, წარმოადგენს პასუხს მოსარჩელის მიერ კანონპროექტის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

- ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, პოლიტიკური და საჯარო მოსამსახურის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები, ე.ი. „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“, შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე კერძო პირის მიმართ.

- მოპასუხის გამონათქვამები სასამართლოს არ მიაჩნია იმ ხასიათის ცნობად, რომლისაგანაც დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებები. პრესაში გამოქვეყნებული ან სხვაგვარი პუბლიკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული ცილისმწამებლურად (მართლსაწინააღმდეგოდ), თუკი ამ პუბლიკაციაში კამათია არა ფაქტის გამო, არამედ იგი მიზნად ისახავს მოსარჩელის პიროვნების დამცირებას.

- მისაღები კრიტიკის საზღვრები პოლიტიკოსის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ფიზიკური პირის მიმართ. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, პოლიტიკური მოღვაწე აუცილებლად და შეგნებულად თავად აყენებს თავის თითოეულ სიტყვას და საქმეს ჟურნალისტების, ასევე მთელი საზოგადოების თვალწინ და, ამდენად, მან უფრო მეტად უნდა გამოიჩინოს შემწყნარებლობა. (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ).

- „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“ საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და აზრების გამოთქმის უფლებას, რომლებიც შეურაცხყოფელი, აღმამფოთებელი და შემანუხებელია.“

- მოპასუხის მოსაზრება ემყარებოდა მის ხელთ არსებულ საჯარო ინ-

ფორმაციის შემცველ ობიექტურ მონაცემებს, დოკუმენტებსა და თვით მოსარჩელის მიერ საკუთარი ქონების შესახებ სატელევიზიო გადაცემა „კურიერ პოსტ სკრიპტუმისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

### 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ გააუქმა საოლქო სასამართლოს ძველი გადაწყვეტილება და საქმეზე გამოიტანა ახალი, რომლის ძალითაც ი.ჩ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ლ.ბ.-ის დავებზე გარეცხვებული ცნობების უარყოფა გაზეთ „ა.“-ის საშუალებით შემდეგი ფორმით: „გავრცელებული ი.ჩ.-ის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები იმის შესახებ, რომ ი.ჩ. არის კორუმპირებული ჩინოვნიკი, აქვს არაკანონიერი გზით მოპოვებული მოპარული სიმდიდრე და არის მაფიის წევრი, არ შეესაბამება სინამდვილეს“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ თავისი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებებზე დააფუძნა:

- საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საკასაციო პალატა არ ეთანხმება საოლქო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ ლ.ბ.-ის ინტერვიუ შეიცავს რესპოდენტის დასკვნებსა და მოსაზრებებს და არ არის გამიზნული იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელე არის მაფიოზური დაჯგუფების წევრი, რომელსაც ყველაზე მეტი სიმდიდრე აქვს მოპარული და ნამდვილად აქვს არაკანონიერი გზით მოპოვებული ქონება.

- პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და მიზნად ისახავს ადრესატის ღირსების შელახვას. კრიტიკამ არ უნდა გადალახოს საზღვარი, რომელიც დადგენილია „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ დასაცავად. გადაწყვეტილებაში „ლინგენსი ავსტრიის ნინალმდეგ“ მითითებულია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესითა და ტელევიზიით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუკი ინფორმაცია შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს და ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს პირის პატივისა და ღირსებას.

- საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პუბლიკაცია შეიცავს მტკიცებებს, რომ ი.ჩ.-ს ნამდვილად აქვს არაკანონიერი გზით მოპოვებული „მოპარული“ ქონება, რის დასადასტურებლადაც მითითებულია ფაქტებზე „ნულიდან გახდა მილიონერი“. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხე გასცდა კრიტიკის ფარგლებს და კრიტიკა გადაიზარდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის დაბრალებაში, რაც ექვემდებარება მტკიცებას. ამდენად, კრიტიკამ გადალახა საზღვარი, რომელიც დადგენილია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად და ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს არ ევალება ითმინოს დანაშაულის ჩადენის ბრალდება.

-სასამართლომ პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი საარჩელის განხილვისას უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს იმ გარემოებას, თუ მონაწილეობდა მოსარჩელე საჯარო პოლემიკაში და ხომ არ იყო მოპასუხის განცხადება პასუხი ანალოგიურ მოქმედებაზე. არ დასტურდება და არც მოპასუხე მიუთითებს, რომ ვ.ჩ.-მა საჯარო პოლემიკაში მიიღო მონაწილეობა და ლ.ბ.-ს მიმართ რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა. ამიტომ ლ.ბ.-ის განცხადება არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხად მოსარჩელის ანალოგიურ მოქმედებაზე.

- საოლქო სასამართლოს კოლეგიას არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გავრცელებული ცნობები მოსარჩელის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება და არ მიუთითებია იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებდა იმ ბრალდებას, რაც პუბლიკაციაშია მოცემული, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაევალოს მათი უარყოფა.

#### 4. უზენაესი სასამართლოს გადანყევტილების მოკლე კომენტარი

აღნიშნული სასამართლო გადანყევტილება, ჩვენი აზრით, სიტყვის თავისუფლების შესახებ მსოფლმხედველობათა კონფლიქტს ასახავს და დაზუსტებას მოითხოვს როგორც ქართული კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან მიმართებაში. სასამართლოს ასეთი პოზიცია, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სიტყვის თავისუფლების ევროპული კონცეფციის არსებობას საქართველოში. ქვემოთ ჩვენ მიუთითებთ იმ რამდენიმე გარემოებაზე, რომელთა გამოც, ჩვენი აზრით, სასამართლო გადანყევტილება საკამათოა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალსახად ადგენს, რომ მხოლოდ იმ ცნობებმა შეიძლება შელახონ პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუ-

ტაცია, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს კი თავისთავად გამო-  
რიცხავს იმას, რომ მოსაზრებამ ან შეფასებამ შეიძლება სამოქალაქო პასუ-  
ხისმგებლობა გამოიწვიოს. მოსაზრება ან შეფასება პირის სუბიექტურ პო-  
ზიციას გამოხატავს და მისი სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა შე-  
უძლებელია. ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი დამოკიდებულება პი-  
რების, საგნების ან მოვლენების მიმართ და თავისუფლად გამოხატოს იგი.  
ამავე დროს, არ შეიძლება ტერმინი „ცნობა“ ფართოდ იქნეს განმარტებული.  
არ შეიძლება სამართალდარღვევად გამოცხადდეს ზოგადი ხასიათის მსჯე-  
ლობა. შესაძლოა, ბევრი ასეთი გამონათქვამი მოსაზრებასა და ფაქტს შო-  
რის ზღვარზე იმყოფებოდეს, მაგრამ მათი ფაქტად ცალსახად მიჩნევა არას-  
ნორი იქნება, მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება საჯარო მოხელეს.

ხშირად ასეთი გამონათქვამები ფაქტების, მოვლენების ან დამოკიდე-  
ბულებათა განზოგადებას ნარმოადგენს.

თუკი სასამართლო გააფართოებს ზემოაღნიშნული ცნების შინაარსს,  
მაშინ გამოდის, რომ იმისათვის, რათა მოპასუხემ დაამტკიცოს გამონათ-  
ქვამის — „მან ყველაზე მეტი მოიპარა“ — სინამდვილესთან შესაბამისობა,  
მაშინ მან არა მარტო ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოსარჩელემ ნამდვილად  
მოიპარა სახელმწიფო ქონება, არამედ მან იმის დაამტკიცებაც უნდა შეძ-  
ლოს, რომ სხვა სახელმწიფო მოხელეებმა მასზე ნაკლები მოიპარეს. ამი-  
სათვის კი მას, ალბათ, ყველა სახელმწიფო მოხელის (რომელთა რაოდენო-  
ბა ათეულ ათასებს შეადგენს) სახელმწიფო ქონებასთან დამოკიდებულე-  
ბის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების მოტანა მოუწევს.

ასევე, ძნელი წარმოსადგენია, მოპასუხე დაავალდებულო წარმოადგი-  
ნოს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოსარჩელე „გურული მაფიის“  
წევრია. ასეთი ცნობის ნამდვილობის დადგენა შეუძლებელია არა მარტო  
მოსარჩელის, არამედ საერთოდ ნებისმიერი პირის მიმართ. ამ შემთხვევა-  
შიც ეს ფრაზა გამოხატავს მოპასუხის განზოგადებულ დამოკიდებულებას  
მოსარჩელის მიმართ. პირისადმი დამოკიდებულება შეიძლება შეურაც-  
ხმყოფელი ან უხამსი ფორმით გამოიხატოს. ცალსახად შეიძლება ითქვას,  
რომ ასეთ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი გამონათქვამები არ იწვევს პა-  
სუხისმგებლობას სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბევრ ქვეყანაში პირმა პასუხი უნდა აგოს სხვა პირის პატივისა და ღირ-  
სების შემლახველი უხამსი გამონათქვამების გამო. ალბათ, ახალი საკანონ-  
მდებლო ცვლილებები ამგვარ ნორმას საქართველოშიც დაამკვიდრებს,  
მაგრამ მანამდე პირისათვის რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება მის მი-  
ერ გაკეთებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისათვის დაუშვებლად

მიგვაჩნია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის არარსებობის გამო. ასევე დაუშვებელია საკანონმდებლო ვაკუუმის კომპენსირება იმით, რომ შეურაცხყოფელი გამონათქვამები ფაქტებად იქნეს განხილული ან გამონათქვამის გამავრცელებელს დაევალოს მათი სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება. შეურაცხყოფასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებებიც რომ განხორციელდეს, საჯარო მოხელის მიმართ იგივე სტანდარტები ვერ გავრცელდება, რაც ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართაა დადგენილი. „ქასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“ საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და აზრების გამოთქმის უფლებას, რომლებიც შეურაცხყოფელი, აღმშფოთებელი და შემანუხებელია. დაცვას ექვემდებარება ისეთი ინფორმაციები, რომლებიც შეურაცხყოფს, აღიზიანებს ან შოკს ჰგვრის სახელმწიფოს ან საზოგადოების გარკვეულ ფენას.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს უფლება აქვს, მიიპყროს საზოგადოებრივი ყურადღება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას და საამისოდ მწვავე გამოთქმები გამოიყენოს.

სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა დაიცვას პირის პატივი ან ღირსება, როდესაც ისინი ნამდვილად ილახება. ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ რამდენად შექცეოლი გამოქვეყნებულ ინფორმაციას საზოგადოების თვალში პირის რეპუტაციის შელახვა. მოსარჩელის მიმართ ანალოგიური განცხადებები მანამდე მრავალჯერ გაკეთებულა, უფრო მწვავე ფორმითა და უფრო ფართო აუდიტორიის წინაშეც. მოსარჩელის პიროვნება საჯარო დებატების განხილვის საგანი მანამდეც ხშირად ყოფილა მაღალი თანამდებობის გამო. საზოგადოებას ამ საჯარო დებატების შედეგად საკუთარი აზრი უკვე ჩამოყალიბებული აქვს. მოსარჩელეს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა, საზოგადოებისათვის დაუბრკოლებლად მიენოებინა ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ნათელს მოჰფენდა საჯარო დებატების საკითხს და ძნელი წარმოსადგენია, რომ სწორედ მოპასუხის გამონათქვამებმა შექცეონ რაიმე გარდატეხის შეტანა საზოგადოების დამოკიდებულებაში.

მოპასუხე მაღალი რანგის საჯარო მოხელე — სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირია. საზოგადოებას აქვს სრული უფლება, იცოდეს, თუ როგორ ცხოვრობს მისი გადახდილი გადასახადებით დაფინანსებული ეს საჯარო მოხელე, რა ქონება გააჩნია მას და როგორ იყენებს ის თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. მისი პირადი ცხოვრების დეტალები კონსტიტუციური დაცვის უფრო ნაკლებ სტანდარტებს უნდა დაექვედებაროს. სწო-

რედ ამ მიზნით ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომ საჯარო დანესებულებაში დაცული სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემები ყველასათვის ხელმისაწვდომია. აქ იგულისხმება პირთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჯარო უწყებაში ინახება, მათ შორის მონაცემები პირის ჯანმრთელობის ან ფინანსების შესახებ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი კი ავალდებულებს ასეთი რანგის საჯარო მოხელეს, თანამდებობის დაკავებისას, შემდეგ კი ყოველწლიურად წარმოადგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, რომელიც ამ პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საკმაოდ დეტალურ მონაცემებს შეიცავს. ფაქტობრივად, ამ კანონის შემოღებით სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი ვალდებულია, დაასაბუთოს ყველა შემოსავალი თუ ქონება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი მაღალი რანგის საჯარო მოხელის ქონების კანონიერებასთან დაკავშირებით თავად ამ საჯარო მოხელეს ეკისრება.

თუკი არსებობს რაიმე ეჭვი ამ საჯარო მოხელის თანამდებობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს უფლება, ხმამაღლა გამოთქვას ეს ეჭვი და დაიწყოს საჯარო დებატები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მხოლოდ მოპასუხისადმი დაკისრება არ არის მართლზომიერი, რადგანაც ქონების კანონიერებასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მაღალი რანგის საჯარო მოხელეს ეკისრება („მაღალი რანგის საჯარო მოხელეში“ იგულისხმება ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებულია, შეავსოს ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარაცია კანონის შესაბამისად).

მოპასუხის გამონათქვამების — „მოპარული ქონება“, „ნულიდან გახდა მილიონერი“ — შეფასებისას უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „მოპასუხე გასცდა კრიტიკის ფარგლებს და კრიტიკა გადაიზარდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის დაბრალებაში, რაც ექვემდებარება მტკიცებას. ამდენად, კრიტიკამ გადალახა საზღვარი, რომელიც დადგენილია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად და ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს არ ევალება, ითმინოს ბრალდება დანაშაულის ჩადენაში.“ აღსანიშნავია, რომ, ჯერ ერთი, გამონათქვამი ქონების „მოპარვის“ შესახებ ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მოპასუხე ბრალს სდებს მოსარჩელეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ცნება „მოპარვა“ სისხლის სამართლის კოდექსში არ გვხვდება, იგი იურიდიული ტერმინი არ



არის და ზოგადად ქონების უკანონო გზით შექმნას ნიშნავს, რაც ყოველთვის არ გულისხმობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას. მეორეც, ამ შემთხვევაში ეს გამონათქვამი მოსარჩელის ქონების წარმომავლობის ზოგად შეფასებას წარმოადგენს. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის დაბრალება მაშინ მოხდებოდა, თუკი მოპასუხე მოსარჩელის კონკრეტულ ქმედებაზე მიუთითებდა, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს (მაგ.: პირმა ამა და ამ დღეს კონკრეტული პირისაგან, სახელმწიფოსთან კონკრეტული ხელშეკრულების გაფორმებისათვის, კონკრეტული თანხა მიიღო). მოცემულ შემთხვევაში ეს გამონათქვამი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ფაქტი და ის შეფასებად უნდა მივიჩნიოთ.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია: „სასამართლომ პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი სარჩელის განხილვისას უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს იმ გარემოებას, მონაწილეობდა თუ არა მოსარჩელე საჯარო პოლემიკაში და ხომ არ იყო მოპასუხის განცხადება პასუხი ანალოგიურ მოქმედებაზე. არ დასტურდება და არც მოპასუხე მიუთითებს, რომ ვ.ჩ.-მა საჯარო პოლემიკაში მიიღო მონაწილეობა და ლ.ბ.-ის მიმართ რაიმე შეურაცხყოფელი განცხადება გააკეთა.“ სასამართლოს ამგვარ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით. იმისათვის, რომ საჯარო დებატებში თავისუფალი მონაწილეობის უფლება იქნეს დაცული, აუცილებელი არ არის, რომ გამონათქვამის ადრესატმა შეურაცხყოფელი ან პატივის, ღირსებისა თუ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი განცხადებები გააკეთოს გამონათქვამის ავტორის მიმართ. არსებობდა საჯარო პოლემიკა იმ პერიოდში საზოგადოებისათვის ძალზე აქტუალურ საკითხზე, რომლის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირმა თავისი პოზიცია გამოხატა. საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, რა პოზიცია აქვს მისთვის საინტერესო პრობლემაზე ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის პირს, რატომ უჭერს ან არ უჭერს იგი მხარს ამა თუ იმ საკითხს. საზოგადოებას ასევე აქვს უფლება იცოდეს, მოქმედებს თუ არა მაღალი თანამდებობის პირი საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტისას პირადი ინტერესებით. ასევე ძალზე საინტერესოა, როგორ შეიძინეს საჯარო მოხელეებმა დეკლარირებული ქონება. თუ საჯარო მოხელე თავად ვერ შეძლებს ნათლად და ცალსახად მიუთითოს თავისი ქონების წარმომავლობა, საზოგადოების თითოეულ წევრს უფლება აქვს, გამოხატოს თავისი მოსაზრებები ამ ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეშია აღნიშნული, მოქალაქეებს „მოხელეების ქმედებებთან დასაპირისპირებლად სიტყვის გარდა სხვა ბერკეტი ხშირად არ გააჩნიათ“.

საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: „უდავოა, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს სხვათა რეპუტაციას და ეს დაცვა ვრცელდება პოლიტიკოსებზეც. თუმცა, მსგავს შემთხვევებში სხვათა პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნები გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე პოლიტიკური საკითხების ღია განხილვის ინტერესები“.

ამ საქმის კომენტარებისას არ შეიძლება არ გავავლოთ პარალელი საქმესთან „ვ.კ. ნ.ჯ.-ის წინააღმდეგ“, სადაც უზენაესმა სასამართლომ აბსოლუტურად განსხვავებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა. მართალია, დავის საგანი და მტკიცებულებები ამ ორ საქმეში იდენტური არ არის, მაგრამ „ი.ჩ. ლ.ბ.-ის წინააღმდეგ“ ეხება უფრო მწვავე საზოგადოებრივ პრობლემას და უფრო მაღალი თანამდებობის პირებს, რის გამოც ამ საქმეზე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფრო დაბალი სტანდარტები უნდა გამოყენებულიყო. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ამ ორი საქმისადმი, ჩვენი აზრით, სასამართლოს განსხვავებულ მიდგომაში, კიდევ ერთხელ მოვიტანთ ციტატებს „ვ.კ. ნ.ჯ.-ის წინააღმდეგ“ საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან:

„- გადაცემა შეეხებოდა ქვეყანაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხებს და იქ გამართულ საჯარო პოლემიკაში ვ.კ.-ს ჰქონდა საშუალება, პასუხი გაეცა ნ.ჯ.-ის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და შეფასებებისათვის.

- პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან — თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.

- მოსარჩელეს ცილისწამებად მიაჩნია არა თვით ფაქტი, არამედ ამ ფაქტის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, რომ მან (ვ.კ.-მ) შეცდომაში შეიყვანა ქვეყნის პრეზიდენტი, რითაც მისი პატივი და ღირსება შეილახა“ (ანუ გამონათქვამი ვ.კ.-მ „შეცდომაში შეიყვანა პრეზიდენტი“ — სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიიჩნია მოსაზრებად).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ვ.კ. ნ.ჯ.-ის წინააღმდეგ“ საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული პოზიცია მოცემულ საქმეზე მთლიანად გაიზიარა საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც ი.ჩ.-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

## თ.ნ. და ს.მ.ს.ე.შ.კ.-ი ა.გ. და რ.-ს წინააღმდეგ

საქმის განმხილველი სასამართლო: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება

### საქმის მოკლე აღწერა

თ.ნ.-მ და შემოქმედებითმა კავშირმა „ს.მ.ს.ე.შ.კ.“-მ აღძრეს სარჩელი „რ.“-ს მიმართ, ხოლო ა.გ.-მა თ.ნ.-სა და გაზეთ „ლ.ს“-ს მიმართ. სასამართლომ ეს ორი სარჩელი ერთ წარმოებად გააერთიანა.

თ.ნ. სასარჩელო მოთხოვნას შემდეგ გარემოებებზე ამყარებს: ა.გ.-მა ბრალი დასდო მოსარჩელეს სახელმწიფო თანხებით ვაჭრობაში და აღნიშნა, რომ მწერალთა კავშირის ქონების მეტი ნაწილი უკანონო პრივატიზაციის გზით კავშირის რამდენიმე ხელმძღვანელმა მუქთად ჩაიგდო ხელში. მაგ.: გამომცემლობა „მერანი“, რომელიც 1998 წელს გაიყიდა 36.000 დოლარად. თ.ნ.-ის განცხადებით, მისი პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახველია ა.გ.-ის განცხადება: „უნდა ვივარაუდოთ, რომ რუდიმენტული სტრუქტურითა და წესდებით შემორჩენილი კავშირი დღეს სწორედ სტიქიურ უბედურებას წარმოადგენს ქვეყნისათვის“. ა.გ. აცხადებს, რომ შემოქმედებითმა კავშირმა „ს.მ.ს.ე.შ.კ.“-მა მიითვისა ნოდარ დუმბაძის საიუბილეო ალბომის გამოსაცემად გამოყოფილი 30.000 ლარი, პრეზიდენტის ფონდიდან პოლიკლინიკის პრივატიზაციისათვის გამოყოფილი 8.000 დოლარი, უკვალოდ გააქრო მწერალთა და მათი ოჯახების დასასვენებლად გამოყოფილი 8 000 ლარი.

ა.გ.-მა ასევე წარადგინა სარჩელი თ.ნ.-სა და გაზეთ „ლ.ს“-ს წინააღმდეგ, სადაც იგი ითხოვს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას და 10.000.000 ლარის ანაზღაურებას მორალური ზიანისათვის. სასარჩელო მოთხოვნებს ა.გ. ამყარებს იმ გარემოებებზე, რომ თ.ნ.-მ გაზეთ „ლ.ს“-ს მეშვეობით გაავრცელა ცილისმამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებები, კერძოდ, თ.ნ. მას უწო-

დებს: საცოდავს, ქოსამატყუარას, აფერისტს, შარლატანს, უვიცს, სულელს, უჭკუოს, ადარებს ნაძირალას და მალფუჭებად პროდუქტს. გარდა ამისა, თ.ნ. მას აბრალებს ახალგაზრდა პარლამენტართა ჯგუფისა და უცხოეთიდან დაქირავებული შავი ძალების შეკვეთების შესრულებას, „სააკაშვილის ჯგუფის“ კონტროლის არეალში ყოფნას.

## საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება

საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ შემოქმედებითი კავშირის „ს.მ.ს.ე.შ.კ.“ სარჩელი სამაუწყებლო კომპანია „რ.“-ის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და „რ.“-ს დაეკისრა მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა იმავე გადაცემაში შემდეგი ფორმით: „გავრცელებული ინფორმაცია „მწერალთა კავშირი სახელმწიფო თანხებით ვაჭრობას ეწევა“ — არ შეესაბამება სინამდვილეს. „რ“ ბოდიშს უხდის „ს.მ.ს.ე.შ.კ.“-ს ქვეყნისათვის სტიქიური უბედურებად მისი მიჩნევის გამო“. „რ“-ს ასევე დაეკისრა 5000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სასამართლომ ასევე ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა.გ.-ს სარჩელი თ.ნ.-სა და გაზეთ „ლ.ს.“-ს მიმართ და თ.ნ.-ს და გაზეთ „ლ.ს.“-ს დაეკისრა ა.გ.-ის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით შემდეგი ფორმით: „გაზეთ „ლ.ს.“-ში გავრცელებული ინფორმაციები: „ა.გ. სააკაშვილის ჯგუფის კონტროლის არეალშია“, „გ.-ისათვის ის კი არაა მთავარი, სიმართლე თქვას, არამედ ის, რა წარმატებით შეასრულებს შეთქმულების ორგანიზატორთა ბინძურ შეკვეთებს“, „ყველაფერი ახალგაზრდა პარლამენტარების მიერ იყო შეკვეთილი“ — არ შეესაბამება სინამდვილეს“. გაზეთი „ლ.ს“ და თ.ნ. ბოდიშს უხდის ა.გ.-ს მისი პატივისა და ღირსების შელახვისათვის. თ.ნ.-სა და გაზეთ „ლ.ს“-ს ა.გ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა 5000 ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა თ.ნ.-ს სარჩელი კომპანია „რ.“-ს მიმართ უსაფუძვლოდის გამო.

სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებებზე დააფუძნა:

გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ კავშირი სახელმწიფო თანხებით ვაჭრობას ეწევა, არ შეესაბამება სინამდვილეს და საქმის მასალებზე

ბით არ დასტურდება. სასამართლოს ამ საკითხზე ბანკ „ნარიყალასთან“ დაკავშირებული ინფორმაცია არ მიაჩნია საკმარის მტკიცებულებად, რადგანაც ეს ბანკი დამოუკიდებელი იურიდიული პირია. კავშირის მიზანი განსაზღვრულია წესდებით, მას საერთო არაფერი აქვს სახელმწიფო თანხებით ვაჭრობასთან და ასეთი განცხადება საზოგადოების თვალში მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველია.

„ს.მ.ს.ე.შ.კ.“-ის საქმიანი რეპუტაციის შემლახველად სასამართლომ ასევე მიიჩნია განცხადება, რომლის მიხედვითაც „ს.მ.ს.ე.შ.კ.“ ქვეყნისათვის სტიქიურ უბედურებადაა მიჩნეული. სასამართლო არ თვლის, რომ ეს სუბიექტური მოსაზრებაა. მოპასუხის მითითება იმის შესახებ, რომ ინფორმაცია ეყრდნობოდა კონტროლის პალატის 1998 წლის 4 მარტის აქტს, არ არის საკმარისი. კონტროლის პალატის აღნიშნულ აქტში ნათქვამი არ არის, რომ მწერალთა დასასვენებელი სახლის საგზურების შესაძენად გამოყოფილი 20.000 ლარი უკვალოდ გაქრა. ეს თანხა ჩაერიცხა „ს.ლ.ფ.“-ს, ხოლო ნ. დუმბაძის საიუბილეო ალბომის გამოსაცემად გამოყოფილი 30 000 ლარი — შ.პ.ს. „პ. 97“-ს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ გამონათქვამები: „საცოდავი, ქოსამატყუარა, აფერისტი, შარლატანი, უვიცი, სულელი, უჭკუო, ნაძირალა და მალფუჭებადი პროდუქტი“ — შეურაცხმყოფელია და ა.გ.-ს პატივსა და ღირსებას ლახავს და მათი სინამდვილესთან შესაბამისობა მოპასუხის მიერ საქმის განხილვისას ვერ დადასტურდა.

თ.წ.-სა და „ლ.ს.“-ს წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე აღიარა, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისათვის დაკვეთით მუშაობა მისი რეპუტაციის შემლახველია. მოპასუხებმა ასევე აღიარეს, რომ ა.გ.-ის დაკვეთით მუშაობისა და „სააკაშვილის ჯგუფის კონტროლის არეალში“ ყოფნის შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულებები მათ არ გააჩნიათ. ამდენად, სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა ა.გ.-ის შესახებ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა.

### 3. სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება გარკვეულწილად საკამათოა. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, მივუთითოთ იმ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ კითხვის ნიშნებს წარმოშობს.

- სასამართლოს გადაწყვეტილებაში სრულიად აღრეულია ორი ცნება — ფაქტი და შეხედულება. სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია პასუხისმგებლობის დაკისრება გამოთქმული მოსაზრებისათვის (შეხედულებისათვის). სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ცალსახად ადგენს, რომ უნდა მოხდეს ცნობების უარყოფა, თუკი ცნობათა გამავერცელებელი ვერ შეძლებს მათი სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას, ანუ პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მხოლოდ ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას. ამის მიუხედავად, სასამართლომ პასუხისმგებლობა სწორედ შეფასებისა და მოსაზრების გამოთქმისათვის გაითვალისწინა. ამის დასადასტურებლად რამდენიმე ციტატას მოვიტანთ სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან:

- *„გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ კავშირი სახელმწიფო თანხებით ვაჭრობას ეწევა, არ შეესაბამება სინამდვილეს და საქმის მასალებით არ დასტურდება.“*

- *„ს.მ.ს.ე.შ.კ.“-ის საქმიანი რეპუტაციის შემლახველად სასამართლომ ასევე მიიჩნია განცხადება, რომლის მიხედვითაც „ს.მ.ს.ე.შ.კ.“ ქვეყნისათვის სტიქიურ უბედურებადაა მიჩნეული. სასამართლო არ თვლის, რომ ეს სუბიექტური მოსაზრებაა.“*

- *„სასამართლო მიიჩნევს, რომ გამონათქვამები: „საცოდავი, ქოსამატყუარა, აფერისტი, შარლატანი, უფიცო, სულელი, უჭკუო, ნაძირალა და მალფუჭებადი პროდუქტი — შეურაცხყოფელია და ა.გ.-ის პატივსა და ღირსებას ლახავს და მათი სინამდვილესთან შესაბამისობა მოპასუხის მიერ საქმის განხილვისას ვერ დადასტურდა.“*

ცხადია, რომ შეუძლებელია „საცოდავი“, „მალფუჭებადი პროდუქტი“ ან „სტიქიურ უბედურებად მოველინა“ ჩაითვალოს ფაქტებად, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობა უნდა დამტკიცდეს. ეს გამონათქვამები მხოლოდ პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას ასახავს. შესაძლოა, პირის ასეთი შეფასება ან დამოკიდებულება შეურაცხყოფელი იყოს, მაგრამ მათ გამო პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დაისმება, რადგან კანონმდებლობა შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. შეურაცხყოფის ან უხამსი გამონათქვამებისათვის პასუხისმგებლობის არარსებობის კომპენსირება ვერ მოხდება იმით, რომ ასეთი გამონათქვამები ფაქტებად იქნეს განხილული და ან გამონათქვამის გამავერცელებელს დაევალოს მათი სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება.

- სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმის თაობაზე, რომ გადაცემაში განხილული იყო საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საკითხი, რადგან

კავშირი „ს.მ.ს.ე.შ.გ.“ სწორედ საბიუჯეტო სახსრებს იყენებდა პუბლიკაციაში აღნიშნულ მაგალითებში. შესაბამისად, საზოგადოების ინტერესი საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართ ძალზე დიდია და საზოგადოების ნებისმიერ წევრს უფლება აქვს, დაიწყოს საჯარო დებატები, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება ეს სახსრები. საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს, სად და როგორ იხარჯება გადასახადის გადამხდელთა ის სახსრები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტშია აკუმულირებული. საჯარო მოხელეები თუ სხვა პირები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს განკარგავენ, ვალდებული არიან, დაამტკიცონ განკარგვის კანონიერება. საზოგადოების წევრს აქვს უფლება, საჯაროდ გამოთქვას თავისი პოზიცია და დაიწყოს საჯარო დებატები, თუ საბიუჯეტო სახსრების განკარგვის კანონიერებასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვი არსებობს. საქართველოს კონტროლის პალატის 1998 წლის დასკვნა ასეთი ეჭვის წარმოშობისათვის საკმარის საფუძველს იძლევა. საჯარო დებატების დროს პასუხისმგებელი პირის მიერ თანხების განკარგვის კანონიერების დამტკიცება არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი დებატები არ უნდა შემდგარიყო. პირიქით, საჯარო მსჯელობის მთავარი მიზანი სწორედაც ჭეშმარიტების გარკვევაა. ასეთ დროს, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნები გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე პოლიტიკური საკითხების ღია განხილვის ინტერესი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ფიგურები არიან არა მხოლოდ საჯარო მოხელეები, არამედ ნებისმიერი პირი, რომელსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებრივ აზრზე (მაგ.: ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი, მსახიობი, სპორტსმენი და ა.შ.). მათ მიმართ საზოგადოებას ასევე დიდი ინტერესი გააჩნია. ამიტომ ამ პირების მიმართ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის იგივე სტანდარტები ვერ გავრცელდება, რაც ჩვეულებრივი მოქალაქისათვის არის დადგენილი. როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე უნდა ჩაითვალოს საჯარო ფიგურებად. ამავე დროს, პუბლიკაციები შეეხებოდა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებს და ამ საჯარო პოლემიკაში ორივე მხარეს ჰქონდა საშუალება, პასუხი გაეცა მონინალმდგის განცხადებებსა და შეფასებებზე.

იურიდიულმა პირმა საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის არ შეიძლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. მან შეიძლება მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე განაცხადოს პრეტენზია. თავის მხრივ, იურიდიულ პირს

არ შეიძლება მიადგეს მორალური ზიანი, რადგან ეს უკანასკნელი ფიზიკურ და ფსიქიკურ განცდებთან არის დაკავშირებული. ფიზიკური თუ ფსიქიკური ტკივილის განცდა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ფიზიკურმა პირებმა შეიძლება მოითხოვონ. ამიტომაც, კავშირ „ს.მ.ს.ე.შ.გ.“-ს სასარგებლოდ ა.გ.-სთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება არამართებულად მიგვაჩნია.

სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია ბოდიშის მოხდის ინსტიტუტის შემოტანა. მოქმედი კანონმდებლობა ამგვარ ინსტიტუტს არ ითვალისწინებს. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით, არავინ უნდა იყოს იძულებული, გამოთქვას თავისი შეხედულება. აღნიშნული უფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონითაა შესაძლებელი. არც ერთი კანონი გამოთქმული განცხადებებისათვის ბოდიშის მოხდას არ იცნობს. შესაბამისად, ბოდიშის მოხდის დავალებას კანონიერი საფუძველი არ გააჩნია. შელახული პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დასაცავად კანონით სხვა ინსტრუმენტებია გათვალისწინებული: გავრცელებული ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კი სავსებით საკმარისია ამ სიკეთეების დასაცავად.



## შ.პ.ს. „ს.ა.“ შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ს წინააღმდეგ

საქმის განმხილველი სასამართლო: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგია; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება

### საქმის მოკლე აღწერა

შ.პ.ს. „ს.ა.“-მ სარჩელი აღძრა შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

შ.პ.ს. „ს.ა.“-მ სარჩელი აღძრა შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. შპს „ს.ა.“ თავის სარჩელში მიუთითებდა, რომ შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ს მიერ ერთი წლის განმავლობაში ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს გაერთიანდა სამი ავიაკომპანია ერთ მძლავრ ავიაკომპანიად, რომელსაც ეწოდა „ა.ს.ა.“, ხოლო 2001 წლის 16 თებერვალს კავკას-პრესის მეშვეობით გაავრცელა ყალბი ინფორმაცია სათაურით „ს.ა.“-ის მიერ ფრენების განახლება ფანტაზია... „ს.ა.“-ს ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს აკეთებენ იქ მომუშავე არაპროფესიონალი, ავიაციისაგან შორს მდგომი პირები“. 2001 წლის 17 თებერვალს კი გაზეთ „რეზონანსში“ „ა.ს.ა.“-ის გენ. დირექტორმა თ.გ.-მ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა. ესენი არიან ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი.“ 2001 წლის 14 მაისს „ა.ს.ა.“-ს გენ. დირექტორმა თ.გ.-მ ტელეგადაცემაში „ს.ა.“-ის კოლექტივი კრიმინალებად მოიხსენია.

### საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება

საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ შ.პ.ს. „ს.ა.“-ის სარჩელი შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ის მიმართ მორალური ზიანის ანაზ-

ლაურების შესახებ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შ.პ.ს. „ა.ს.ა“-ს დააკისრა 500 000 ლარის გადახდა შ.პ.ს. „ს.ა.“-ს სასარგებლოდ.

თავის გადაწყვეტილება სასამართლომ შემდეგ გარემოებებს დააფუძნა:

- მთლიანად დადასტურდა მოპასუხის მიერ „კავკას-პრესის“, „რეზონანსისა“ და „რუსთავი 2“-ის მეშვეობით მოსარჩელის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი.

- მოპასუხე შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-მ მის მიერ გავრცელებული ვერც ერთი ინფორმაციის ნამდვილობა ვერ დაადასტურა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შელახულია შ.პ.ს. „ა.ს.ა.“-ს ბრალეული მოქმედებით, რაც მორალური ზიანის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს.

### 3. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება საკმაოდ საკამათოა. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, მივუთითოთ იმ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ეჭვს იწვევს:

სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ შეილახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. არ შეიძლება პატივი ან ღირსება, მათი ბუნებიდან გამომდინარე, გააჩნდეს იურიდიულ პირს და, შესაბამისად, სხვა პირის მიერ მათი ხელყოფა ვერ მოხდება. კომერციულ იურიდიულ პირს მხოლოდ საქმიანი რეპუტაცია გააჩნია.

- საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება მოითხოვოს იურიდიულმა პირმა, მან შეიძლება მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით გამონეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე განაცხადოს პრეტენზია. იურიდიულ პირს არ შეიძლება მიადგეს მორალური ზიანი, რადგანაც ეს უკანასკნელი ფიზიკურ და ფსიქიკურ განცდებს გულისხმობს. ფიზიკური თუ ფსიქიკური ტკივილი კი მხოლოდ ფიზიკურმა პირმა შეიძლება განიცადოს. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურებაც მხოლოდ ფიზიკურმა პირმა შეიძლება მოითხოვოს.

შელახული საქმიანი რეპუტაციის აღდგენის მიზნით იურიდიულ პირს მხოლოდ გავრცელებული ცნობების უარყოფა შეუძლია მოითხოვოს. ასეთ მოთხოვნას სარჩელი არ შეიცავდა და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილება

ფილდებაზე სასამართლოს უარი უნდა ეთქვა.

აღნიშნული საქმე ზემოთ მოტანილი მაგალითებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში ერთმანეთს ედავებოდა ორი კომერციული ორგანიზაცია. არც ერთი მათგანი არ არის საჯარო ფიგურა, თუმცა არც ამ შემთხვევაში გამოირიცხება საჯარო ინტერესი, რადგან ერთ-ერთი კომპანია სახელმწიფოს საკუთრებაა. საზოგადოების ინტერესის სფეროში ასევე შედის ფრენის უსაფრთხოების საკითხი. ამ ასპექტზე მსჯელობა საერთოდ არ ყოფილა სასამართლოში საქმის მსვლელობისას. მსჯელობის საგანია ასევე მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის ოდენობაც — 500 000 ლარი, რაც უპრეცედენტოა საქართველოს სასამართლო პრაქტიკისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივრის საფუძველზე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა უზენაესი სასამართლოს შესაბამისმა პალატამ და შ.პ.ს. „ს.ა.“-ის სარჩელი საერთოდ არ დაკმაყოფილდა.

## რ.კ. გაზეთ „I. Plus“-ის და ქ.ნ.-ის წინააღმდეგ

საქმის განმხილველი სასამართლო: ჩოხატაურის სასამართლო  
დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის  
აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება

საქმის მოკლე აღწერა:

1999 წლის 20 სექტემბერს გაზეთ „ლ. Plus“-ში გამოქვეყნდა საგაზეთო სტატია, რომელიც ეხებოდა „დაცული ტერიტორიების შესახებ“ კანონის ცვლილებების მიღების პერიპეტეიებს, რაც ამ რაიონისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ამ სტატიაში რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მოხსენიებული არ ყოფილა და მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ მიხილ სააკაშვილის გარდა, კანონში არასასურველი ცვლილებების შეტანას წინააღმდეგობა არავენ გაუნია.

ამ ინფორმაციის გამოქვეყნებით თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია რაიონის იმჟამინდელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა რ.კ.-მ, რომელიც ამ დროისთვის უკვე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო და სხვა გაზეთში დაბეჭდა ღია წერილი გაზეთ „ლ. Plus“-ის რედაქტორის, ქ.ნ.-ის, სახელზე. ამ პუბლიკაციას საპასუხო წერილით — „ეჰ, რომანო, რომან“- გამოეხმაურა თავად გაზეთი „ლ. Plus“.

რ.კ.-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, ბოდიშის მოხდა და მოპასუხისათვის 25 000 ლარის დაკისრება არაქონებრივი (მორალური) ზიანის ასანაზღაურებლად. მოსარჩელემ თავისი პატივისა და ღირსების შემლახვად მიიჩნია მოპასუხის მიერ საგაზეთო სტატიაში გამოყენებული შემდეგი ფრაზები:

„კაცი, რომელმაც თავი დაკარგა“;

„ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია?“

„დავიჯერო, სამივე მოსმენის დროს გეძინა?“

„ლ.-ში ფეხებს გეჭრის და პარლამენტში თავსო“;

„ისე ნელა მნიფდება, ვაი, რომ ლ.-ის რაიონს ამდენი დრო არა აქვს, რომ ამ უიმედო პროცესის დასასრულს დაელოდოს“;

„მატყლის საჩეჩად გაგიშვა ლ.-ის რაიონმა პარლამენტში?“

“კანონის ნაკითხვა ვერ გისწავლია ერთი რიგითი დეპუტატის დონეზე, გაზეთის ნაკითხვა არ გცოდნია კიდევ”;

“ამგვარი გამოხატომებისათვის თავში ნაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშველის შენს გაჭირვებას”;

“ჩვენში ყველა ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა”.

### რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხებებმა შელახეს მოსარჩელის პატივი და ღირსება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. სასამართლომ მოპასუხებებს მოსარჩელის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 15 000 ლარის გადახდა, ბოდიშის მოხდა და გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა დააკისრა.

### სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება აშკარად არ შეესაბამება კანონმდებლობას, რის გამოც იგი გააუქმა კიდევ ზემდგომმა სასამართლომ. ქვემოთ ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხებით იმ ასპექტებს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ეჭვს იწვევს:

საგაზეთო პუბლიკაცია ეხებოდა მოცემული რაიონისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომლის მიმართ საზოგადოებას სრულიად ლეგიტიმური ინტერესი გააჩნდა. საჯარო დებატები ასეთ საკითხებზე დაცული უნდა იყოს, რაზეც სასამართლოს არ გაუკეთებია რაიმე მინიშნება.

საგაზეთო პუბლიკაცია ეხება საჯარო პირს — რაიონის წარმომადგენელ პარლამენტარს, კერძოდ, მის საქმიანობას საქართველოს პარლამენტში. საჯარო პირების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ. ამის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული არ ყოფილა.

საგაზეთო პუბლიკაცია შეიცავს შეფასებით მსჯელობას პარლამენტის წევრის საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებით. აქ საუბარი არ არის ფაქტებზე. ასეთ შემთხვევაში შეფასებითი მსჯელობა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს რაიმე პასუხისმგებლობას, თუნდაც ის შეურაცხმყოფელი იყოს.

## დ.ა.კ.-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია თ.შ.-ის წინააღმდეგ

დავის განმხილველი სასამართლო: ქუთაისის საქალაქო სასამართლო დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენა

### საქმის მოკლე შინაარსი

დ.ა.კ.-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციამ აღძრა სარჩელი პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, თ.შ.-ის წინააღმდეგ, სადაც მითითებულ იქნა, რომ 2001 წლის 3 ნოემბერს სატელევიზიო გადაცემაში „გისმენთ პრეზიდენტის რწმუნებული“ და შემდგომ, 6 და 13 ნოემბრის ტრადიციულ პრესკონფერენციებზე, რომლებიც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა თ.შ.-მ გააკეთა განცხადება, რომ დ.ა.კ.-ის ქუთაისის ორგანიზაციაში არის უზნეო პიროვნება, რომელიც უჩივის საკუთარ შვილს ქონების გაყოფის მოტივით. მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა არ შეასრულა მოსარჩელის მოთხოვნა და ამ პიროვნების ვინაობა არ დაუსახელებია. შესაბამისად, მოსარჩელე სასამართლოსაგან მოითხოვდა, რომ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს ან დაესახელებინა დ.ა.კ.-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის იმ უზნეო წევრის ვინაობა ან საჯაროდ უარეყო მის მიერ გაკეთებული განცხადება და საჯაროდვე მოეხადა ბოდიში.

მოპასუხის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა დაასახელა მხოლოდ ფაქტი: მამა უჩიოდა შვილს ქონების გაყოფის მიზნით. ამგვარი რამ ყოველი ადამიანის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა. ასეთი ფაქტის არსებობა არ უკავშირდება პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იურიდიულ პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავს, თუ გავრცელებული ინფორმაცია უშუალოდ მას შეეხება. კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაცია ეხება არა იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირს.

## ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიული პირების მიმართ ჩადენილ არაკანონიერ ქმედებას, რაც გამოიხატება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით დაცული უფლებების ხელყოფაში, გააჩნია განსაკუთრებული სპეციფიკა. იურიდიული პირი თავისი ბუნებით ხელოვნურად შექმნილ სუბიექტს წარმოადგენს, რომელსაც არ გააჩნია ფსიქიკა და არ შეუძლია განიცადოს ის ემოციები, რაც თან სდევს პატივისა და ღირსების შელახვას. მას უფლება აქვს, მხოლოდ მოითხოვოს მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველი და სახელის გამტეხი ცნობების უარყოფა. ასეთ ცნობად შეიძლება მივიჩნიოთ იურიდიული პირის მოღვაწეობის ან მთელი მისი კოლექტივის ქცევის შეფასება და არა — მხოლოდ მისი ცალკეული წევრის. ამიტომაც განცხადება — „დ.ა.კ.-ის ქუთაისის ორგანიზაციაში არის უზნეო პიროვნება, რომელიც უჩივის საკუთარ შვილს ქონების გაყოფის მოტივით“ — არ შეიძლება მივიჩნიოთ მთელი ორგანიზაციის შეურაცხყოფად, ანუ იგი არ შეიცავს დ.ა.კ.-ის ქუთაისის ორგანიზაციის პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელ, სახელგამტეხ ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობას.

### სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

სასამართლო გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, რადგან ამ შემთხვევაში განცხადებაში მითითებული ცნობები ეხება არ უშუალოდ იურიდიულ პირს, არამედ მის წევრ ფიზიკურ პირს. სარჩელი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის სწორედ ფიზიკურ პირს როგორც სათანადო მოსარჩელეს უნდა წარედგინა, თუმცა ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან განცხადების მიხედვით ამ ფიზიკური პირის იდენტიფიკაცია შეუძლებელია საზოგადოებისათვის, მოპასუხეს კი მისი ვინაობა არ დაუსახელებია.

ევროსასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საჯარო პირების მიმართ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ უფრო ფართოა. საჯარო დებატები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის თავისუფლად უნდა მიმდინარეობდეს, რადგან ამ შემთხვევაში დიდი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ნებისმიერი ის საკითხი,

რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის უკეთესის არჩევის საშუალებას მისცემს მოსახლეობას. ამავე დროს, დ.ა.კ.-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციას საშუალება ჰქონდა, ეპასუხა სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებაზე და საზოგადოებისათვის ადეკვატური ინფორმაცია მიენოდებინა. თავისთავად ის ფაქტი, რომ დ.ა.კ.-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის დაუინებელი მოთხოვნის მიუხედავად პიროვნების ვინაობა არ დასახელდა, უკვე აშკარად აჩვენებს, რომ ამ დროს ვისიმე პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა.



## ტელეკომპანია „რ“ ტელეკომპანია „ქ“-ის წინააღმდეგ

დავის განმხილველი სასამართლო: ქუთაისის საქალაქო სასამართლო

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენა

საქმის მოკლე შინაარსი:

2001 წლის 22 ივლისს ტელეკომპანია „ქ“-ის ეთერით პროგრამაში „კვირიდან კვირამდე“ გადაიკა სიუჟეტი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემჩნეული კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით. გადაცემაში საუბარი იყო პროფ. ო-ის შესახებ დაწერილი ანონიმური წერილის თაობაზეც. გადაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტელეკომპანია „რ“-ში მივიდნენ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამეკურსელები, რომელთა გვარებიც აღნიშნული იყო ანონიმურ განცხადებაში. სტუდენტებმა ითხოვეს საეთერო დრო განცხადების გასაკეთებლად და გადაიხადეს შესაბამისი თანხა. ერთ-ერთმა სტუდენტმა პირდაპირ ეთერში წაიკითხა განცხადება, რომლითაც უარყო ანონიმური წერილის ავტორობა და გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ „ჟურნალისტმა ნ.თ.-მ ყურად არ იღო ახალგაზრდების თხოვნა და არ დაუთმო მათ საეთერო დრო. ტელეკომპანია „რ.“-ის ჟურნალისტებს სტუდენტების განცხადებათან დაკავშირებით რაიმე კომენტარი არ გაუკეთებიათ. 2001 წლის 6 აგვისტოს გადაცემაში „კვირიდან კვირამდე“ ტელეკომპანია „ქ.“-ის ჟურნალისტმა ნ.თ.-მ ტელეკომპანია „რ.“-ს ჟურნალისტები მოიხსენია „ა-ტალანტებად“ და ისინი ოთხფეხა პირუტყვებს შეადარა. მოსარჩელემ პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია გამონათქვამები: „რიონს გატანებული სინდისი“ და „წყალში ჩაყრილი კოლეგიალობა“. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეს იმავე გადაცემაში უარყო მოსარჩელის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი ფრაზები და მას, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაჰკისრებოდა 5 ათასი ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ მათი გადაცემით ტელეკომპანია „რ.“-ის რომელიმე კონკრეტული ჟურნალისტისადმი შეურაცხმყოფელი განცხადება არ გაკეთებულა. გადაცემა წარმოადგენდა ტელეკომპანია „რ.“-ის პირდა-

პირი ეთერის საპასუხო რეაქციას, რითაც არ შელახულა მოსარჩელის — იურიდიული პირის — საქმიანი რეპუტაცია. ამ გადაცემის შემდეგ მოსარჩელის შემოსავალი არ შემცირებულა, არც მოსარჩელის საქმიანი რეპუტაცია შელახულა, რადგან გადაცემის შემდეგ მოსარჩელის რამდენიმე უურნალისტმა მიიღო სახელმწიფო ჯილდო.

## ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და ტელეკომპანია „ქ.“-ის დირექტორს, აგრეთვე უურნალსტ ნ.თ.-ს დააკისრა მოსარჩელე მხარის მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი ფრაზების უარყოფა და ბოდიშის მოხდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის 5 ათასი ლარის გადახდის შესახებ.

## სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

სასამართლოს გადაწყვეტილება სადავოა. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული და ძნელია იმის განსაზღვრა, რაზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ ამგვარი გადაწყვეტილება.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბოდიშის მოხდის ინსტიტუტს. შესაბამისად, ბოდიშის მოხდის დაკისრება სასამართლოს მიერ კანონს არ შეესაბამება.

მოპასუხის მიერ გამოთქმული ფრაზები შეფასებას წარმოადგენს და არა ფაქტს. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, პირი პასუხს აგებს მხოლოდ არასწორი ფაქტების და არა შეფასების გავრცელებისათვის. შეფასება შეიძლება საკმაოდ შეურაცხმყოფელიც იყოს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ამ სიკეთეს არ იცავს. გამონათქვამები — „ა-ტალანტები“, „რიონს გატანებული სინდისი“ და „წყალში ჩაყრილი კოლეგიალობა“ — ვერ ჩაითვლება ისეთ ცნობებად, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია.

მოსარჩელეს მორალური ზიანი ვერ მიაღებოდა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ ფიზიკური პირისთვის ითვალისწინებს.

## გ.თ. ბ.ჯ.ი.-ის წინააღმდეგ

საქმის განმხილველი სასამართლო:

თბილისის საოლქო სასამართლო

დავის საგანი:

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა

საქმის მოკლე აღწერა:

გ.თ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მოპასუხე „ბ.ჯ.ი.“-ის მიერ გავრცელებული მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის იმავე გადაცემით, რომლითაც ცნობები გავრცელდა. ასევე, მოპასუხისაგან მოითხოვა 500.000 აშშ დოლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2000 წლის 5 ივლისს საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე პირდაპირი ეთერით („მოამბე“ — 24.00 საათზე) გადაიკა ინტერვიუ მოპასუხის წარმომადგენელთან, რომელმაც მისი პიროვნებისა და საქმიანობის შესახებ საუბრისას არასწორი, სინამდვილესთან აშკარად შეუსაბამო ინფორმაცია გაავრცელა.

2000 წლის 6 ივლისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მოპასუხის წარმომადგენელმა გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს მასმედიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მოსარჩელე აღნიშნულ სატელევიზიო გადაცემასა და პრესკონფერენციაზე მოპასუხის მიერ ინტერვიუში გაკეთებული განცხადებებიდან მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნევს შემდეგ ცალკეულ გამონათქვამებს:

1. „ბ-ნ გ.-საც უნდა შემოეტანა თავისი შენატანი, თავისი წელილი ამ საქმეში. მას არაფერი არ მოუტანია საქმეში, არაფერი არ შემოუტანია ამ ერთობლივ სანარმოში.“

2. „ჩვენ ჩამოვედით თ.-ლენდში. ეს აღარ არის საქართველო, ეს თ.-ლენდია. ის აქ არის როგორც მეფე და აკეთებს, რაც უნდა და ჩვენ არ შეგვიძლია არაფერი. წარმოუდგენელია ბ-ნ გ.-სთან მუშაობა, წარმოუდგენელია გავაკეთოთ ის, რაც ჩვენ გვინდა.“

3. „ბ-ნი თ. გვიქმნის ჩვენ უამრავ პრობლემას და ამჟამად ჩვენ მივდივართ სასამართლოში და ჩვენ გვანტიერებს, რა მოიტანა ბ-ნმა თ.-მ? შეუძლია მას დაგვიმტკიცოს, დაგვიდასტუროს, რა შემოიტანა? მას არ შეუძლია არაფრის დამტკიცება, მას არაფერი შემოუტანია ამ ქარხანაში.“

4. „ბ—ნი გ.თ. არის საბჭოთა საქმოსანი. მას არც ერთი ცენტი არ ჩაუდია ამ კომპანიაში და მას უნდა თავი აჩვენოს, რომ მე ვარ აქ მეფე, მე ვმართავ ამ საწარმოსო.“

5. „ჩვენ გარკვეულწილად მახეში ვართ გაბმულები. ჩვენ ერთმანეთში თ.-ლენდს ვეძახით აქაურობას. თ.-ლენდი — ეს არის სამეფო და მასში მეფობს გ.თ., სადაც არის ერთადერთი კარი — შესასვლელი კარი; თქვენ შედისართ თქვენი ტვირთით და ერთადერთი კარია გამოსასვლელი, მაგრამ გამოსვლა თქვენ არ შეგიძლიათ თქვენს ბარგთან ერთად. თქვენ ტოვებთ თქვენს ჩემოდნებს.“

6. „ჩვენ აქ იმისთვის არ ჩამოვსულვართ, რომ მუხლი მოვუდრიკოთ ბ-ნი თ.-ს. ჩვენ გვაქვს ჩვენი თავმოყვარეობა და გვინდა, რომ გვექონდეს ურთიერთობა ასევე თავმოყვარე ადამიანებთან.“

7. „საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან, სახეზეა არასამართლებრივი კონკურენცია, როდესაც ერთი ადამიანი ორი კონკურენტი საწარმოს სათავეში ექცევა.“

8. „20 000 ლარი გადავიხადეთ იანვრის თვეში მხოლოდ ბ-ნი თ.-ის მობილური ტელეფონით საუბრებისათვის, არა ბ-ნი თ.-სთვის, არამედ მისი უდიდებულესობა „ჯინი თ.-სთვის.“

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ის არ უარყოფს თავისი წარმომადგენლის მიერ თ.-ის მიმართ ცნობების გავრცელების ფაქტს, მაგრამ მას მიაჩნია, რომ მის მიერ გავრცელებული ცნობები არ ლახავს მოსარჩელის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან ისინი შეესაბამება სინამდვილეს. რაკი პირადი არაქონებრივი უფლებები არ არის დარღვეული, არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველიც.

„ბ.ჯ.ი.“ — მ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე თ.-ის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს მასმედიის საშუალებით მის მიმართ გავრცელებული არაზუსტი და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისათვის მოპასუხისაგან მოითხოვა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა საქართველოს ტელევიზიისა და პრესის საშუალებით და განცდილი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მისთვის ერთი მილიონი აშშ დოლარის დაკისრება.

შეგებებულ სარჩელში „ბ.ჯ.ი.“ თავის სასარჩელო მოთხოვნებს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: იგი მიუთითებს, რომ 2000 წლის 22 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სალამოს 9 საათის გამოშვებაში და 2000 წლის 22 ივლისს ტელეკომპანია „მეორე არხის“ საინფორმაციო გამოშვებაში თ.-მ გააერცვლა შემდეგი სახის შეგნებული მონაჭორი, ცრუ, არაზუსტი, შეურაცხყოფელი ინფორმაცია კომპანია „ბი—ჯი—აი“-სა და კ.-ის მიმართ:

1. „ფრანგებს „ჟულიკად“ გამოვაცხადებთ, ვინაიდან სცადა მოეტყუებინა ქართული მხარე“;

2. „ბ-ნ კ.-ს მე თაღლითად გამოვაცხადებ, ვინაიდან მას უნდოდა ქართული მხარის მოტყუება და ვერ შეძლო“;

3. „მე დაევუდასტურებ მათ და საზოგადოებას, რომ არიან თაღლითები და მათ ასეთი რამ არ გაუვათ“;

4. „ჩამოიტანეს კარგად შეღებილი სანარმოო ხაზი და ე.ი. იყო მცდელობა, ნახმარი ხაზი უხმარად მიგველო, 15 წლის წინ გამოშვებული დაგვანერეს 5 მილიონ დოლარად“.

5. „როგორც აცხადებენ, ინვესტიცია 33 მილიონი არის. მე ვლაპარაკობ, რომ თავის გადმორიცხულიანად და შექნილი მონყობილობებით არ აღემატება 17—18 მილიონს“.

6. „მე დაევმტკიცებ ფრანგებს, რომ თაღლითობენ, რომ მათ მიერ შემოტანილი მონყობილობა 15—16 წელი აფრიკაში ნასაქმები იყო, მერე გადაღებილი, მათ მიერ წამოყენებული ინვესტიციების ოდენობა არ შეესაბამება სინამდვილეს და იმ ფასებს, რომელსაც გვიყენებენ“.

7. „ერთ—ერთი დანადგარი, რომელიც ჩამოიტანეს და დაგვანერეს 5 მილიონ დოლარად, შიგ პალმის ფოთლები იყო, 1982 წელს გამოშვებული და შეღებილი, თითქოსდა ახალი დანადგარი იყო“.

8. „ჩამოიტანეს 15 წლის ნახმარი მანქანა—ხაზი, როცა ის დავატრიალეთ, პალმის ფოთლები ამოცვივდა იქიდან“.

თ.—მე შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის მიერ ტელევიზიის საშუალებით გაკეთებული განცხადებები შეესაბამება სინამდვილეს და ფრანგების მიერ მოწოდებული მანქანა—დანადგარების ლირებულებისა და სიძველის ობიექტური შეფასებაა. აღნიშნული ფაქტის დადასტურებას ის აპირებდა სპეციალისტების მიერ მომზადებული დასკვნების საფუძველზე და არავის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას არ შეხებია. აქედან გამომდინარე, მას უსაფუძვლოდ მიაჩნია შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

## სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1. დაევალოს „ბ.ჯ.ი.“-ს აღნიშნული ცნობების უარყოფა 1 თვის ვადაში გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ საშუალებით;
  2. დაეკისროს „ბ.ჯ.ი.“-ს გ.თ.-ის სასარგებლოდ 100.000 (ასი ათასი) ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;
  3. დაეკისროს „ბ.ჯ.ი.“-ს გ.თ.-ის სასარგებლოდ 5.000 ლარის გადახდა განუვლი სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად;
  4. „ბ.ჯ.ი.“-ს შეგებებულ სარჩელს გ.თ.-ის მიმართ ეთქვას უარი;
- სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებებს დააფუძნა: სასამართლო კოლეგია აღნიშნულ გამონათქვამებს: „ბ-ნ გ.-საც უნდა შემოეტანა თავისი შენატანი... არაფერი არ შემოუტანია ამ ერთობლივ საწარმოში“ და „ბ-ნი თ. ვეიქმნის ჩვენ უამრავ პრობლემას... მას არაფერი შემოუტანია ამ ქარხანაში“ — მიიჩნევს მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად, რადგანაც მენარმე, რომელიც ვალდებულებას არ ასრულებს და ქმნის უამრავ პრობლემას, პოტენციური პარტნიორების თვალში აღიქმება არასაიმედო პარტნიორად და შელახულია მისი საქმიანი რეპუტაცია.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ ფრაზებით: „ჩვენ ჩამოვედით თლენდში... წარმოუდგენელია ბ-ნ გ.-თან მუშაობა...“ — მოპასუხე ახასიათებს მოსარჩელეს ისეთ თავნება პიროვნებად, რომელიც საკუთარ მიწაზე პარტნიორთა აზრს ანგარიშს არ უწევს. სასამართლოს აზრით, მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა ზემოაღნიშნული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. პირიქით, განაცხადა, რომ ისინი საქართველოდან წასვლას არ აპირებენ, ეს განცხადება კი საქართველოში მუშაობის შეუძლებლობაზე არ მიუთითებს.

სასამართლო მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნევს გამონათქვამს: „ბ-ნი გ.თ. არის საბჭოთა საქმოსანი.“ ფრაზა „საბჭოთა საქმოსანი“ საზოგადოებაში აღიქმება არაპროგრესული, მოძველებული მენტალიტეტის მქონე პიროვნებად, რომელიც ვერ აზროვნებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ასეთი პიროვნება ნებისმიერი მენარმისათვის არასასურველი პარტნიორია.

მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება, რომე-

ლიც დაადასტურებდა აღნიშნული გამონათქვამის სინამდვილესთან შესაბამისობას. პირიქით, გაზეთ „ჯორჯიან ტაიმის“ ტრადიციულმა ბიზნეს რეიტინგმა გ.თ. წლის საუკეთესო ბიზნესმენად დაასახელა 1998 და 1999 წლებში.

სასამართლოს აზრით, გამონათქვამით — „თ-ლენდი — ეს არის სამეფო და მასში მეფობს გ.თ., სადაც არის ერთადერთი კარი — შესასვლელი კარი... გამოსვლა თქვენ არ შეგიძლიათ თქვენს ბარგთან ერთად. თქვენ ტოვებთ თქვენს ჩემოდნებს“ — მოპასუხე ბრალს სდებს მოსარჩელეს მართალსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რაც გამოიხატება სხვისი საკუთრების ხელყოფაში.

სასამართლო კოლეგია მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნევს შემდეგ გამონათქვამს: „საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან, სახეზეა არასამართლებრივი კონკურენცია, როდესაც ერთი ადამიანი ორი კონკურენტი საწარმოს სათავეში ექცევა“. აღნიშნული საჯარო განცხადებით მოპასუხე მხარე ბრალს სდებს მოსარჩელეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, რაც მოპასუხემ ასევე ვერ დაადასტურა. საქმეში არსებული მტკიცებულების მიხედვით, გ.თ. რუსთავის ქარხანაში არის მხოლოდ აქციონერი. კერძოდ, საერთო პაკეტის 11%-ის მფლობელი.

სასამართლო კოლეგია მოსარჩელის ღირსების შემლახველად და სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნევს მოპასუხის შემდეგ გამონათქვამს: „20.000 ლარი გადავიხადეთ... მისი უდიდებულესობა „ჯინი“ თ.-სთვის“. მოსარჩელის მიმართ გაკეთებული ეს განცხადება ცინიკურია და, ამავე დროს, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა აღნიშნული გარემოებების სინამდვილესთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. პირიქით, საქმეში არსებული ოფიციალური ცნობის მიხედვით, იანვარში მოსარჩელის სატელეფონო საუბრებისათვის დახარჯული იყო მხოლოდ 38 ლარი და 92 თეთრი.

გ.თ.-ის მიმართ გარკვეული ეჭვი გაუჩნდა მის ავსტრიელ კოლეგას, კ.ლ.-ს, რომელიც 2000 წლის 20 აპრილს ფაქისს საშუალებით გამოგზავნილ წერილში წერდა, რომ მათ ერთობლივი საქმიანობა უნდა წამოეწყით ახალი წლიდან. გავრცელებული ცნობების შეტყობის შემდეგ, 2000 წლის 4 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში კი საქმიანობის დაწყებიდან თავი შეიკავა და პროექტის განხორციელება სხვა დროისათვის გადადო.

## სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია არა მხოლოდ გავრცელებული ცნობები, რომლებიც სინამდვილეს არ შესაბამეობა, არამედ მოპა-

სუბის მიერ გაკეთებული ისეთი შეფასებებიც, როგორცაა „საბჭოთა საქმოსანი“, „თ.-ლენდი“, „ჯინი თ.“ და ა.შ.

სასამართლოს საერთოდ არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ მოსარჩელე დავის მომენტისთვის წარმოადგენდა საჯარო პირს, რომელსაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა ეკავა. ასეთ პირებს საქართველოს კონსტიტუციით ეკრძალებათ სამენარმეო საქმიანობა. შესაბამისად, მისი როგორც „საიმედო პარტნიორის“, მენარმის საქმიანი რეპუტაციის დაცვისას, სასამართლო უფრო შეზღუდულია. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ საქმეში ავსტრიელი პარტნიორის წერილი არსებობს, არ შეიძლება რამეს ცვლიდეს ისეთი პირისათვის, რომელსაც სამენარმეო საქმიანობა კონსტიტუციით ეკრძალება.

მეორეც, ევროსასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საჯარო პირების მიმართ დასაშვები კრიტიკის ზღვარი უფრო ფართოა, რაც სასამართლოს საერთოდ არ გაუთვალისწინებია. ამასთან, გ.თ.-ს როგორც საჯარო პირს ყველა საშუალება გააჩნდა, საზოგადოებისათვის საკუთარი პოზიცია და ინფორმაცია სრულად მიეწოდებინა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დავა და საჯარო პოლემიკა მხარეებს შორის მოცემულ საქმეში აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებამდეც არსებობდა. მოცემული ინფორმაციის გავრცელება სწორედ ამ საჯარო პოლემიკის ნაწილი იყო. შესაბამისად, ასეთ დროს მხარეთა დაცვის სტანდარტები უფრო დაბალია (იხ.: ვ.კ. ნ.ჯ.-იანის წინააღმდეგ).



კ.თ., ა.ჩ., ვ.დ., ზ.ვ., ნ.ი., ზ.უ. და რ.მ. გაზეთ „რ.“-ისა და ე.ჩ.-ის წინააღმდეგ

საქმის განმხილველი სასამართლო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

დავის საგანი:

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა

საქმის მოკლე აღწერა:

კ.თ.-მ, ა.ჩ.-მ, ვ.დ.-მ, ზ.ვ.-მა, ნ.ი.-მა, ზ.უ.-მ და რ.მ.-მა აღძრეს სარჩელი ე.ჩ.-ისა და გაზეთ „რ.-ის“ მიმართ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ 2001 წლის 16 მარტს გაზეთ „რ.“-ში გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით: „დინამო“ შვიდი პოლიციელის საკუთრება, თ.-ს და კომპანიას შევარდნაძე ბიუჯეტიდან 7 მილიონს ჩუქნის“. გაზეთის ამავე ნომრის სატიტულო გვერდზე, ზემოთ, მსხვილი შრიფტით გაკეთებულია წარწერა: „სუპერაფერა“. წარწერის გვერდით მოთავსებულია კ. თ.-ის ფოტოსურათი. აქვე, გაზეთის პირველ გვერდზე, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ემბლემის ქვეშ არის ჩანაწერი: „თ.-მ მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე“.

პუბლიკაციაში გატარებულია აზრი, რომ მოსარჩელებმა მოტყუებითა და ძალით ჩაიგდეს ხელში და მიისაკუთრეს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ და, ამასთან, აპირებენ „თბილისის დინამოსთვის“ განკუთვნილი სახელმწიფო სახსრების პირადი ინტერესებისათვის გამოყენებას. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა „თბილისის დინამო“ აჩუქა 7 კაცს, პოლიციის შვიდ მაღალჩინოსანს. სტატიაში აღნიშნულია, რომ უხეშმა ძალამ „დინამო“ წაართვა საქართველოს, ხალხს, ფეხბურთელებს და გახადა შ.პ.ს. „თარგამაძე და კომპანიის“ საკუთრება. ის, რომ ამ შვიდ კაცში მოსარჩელები იგულისხმება, პუბლიკაციაშივეა აღნიშნული. მასში ნათქვამია, რომ ეს შვიდი ადამიანი აფუძნებს შ.პ.ს.-ს. ყოველივე მომხდარს უურნალისტი აფერას უწოდებს, რომლის ერთ-ერთ ნაწილად უურნალისტს შს მინისტრის 1997 წლის 6 ოქტომბრის 575-ე ბრძანება მიაჩნია, რომლითაც სამინისტროს პირადი შემადგენლობის ხელფასის 0,2%-ით ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამოს“ დაფინანსება გადაწყდა. აქვე გაკეთებულია უურნალისტის მოკლე დასკვნა, სადაც

აღნიშნულია: „აი, ასე აცურებს პოლიციის ნომენკლატურა თავისივე თანამშრომლებს.“ პუბლიკაციის ავტორი ვ.დ.-ს მიაწერს აზრს იმის თაობაზე, რომ ის შვიდი პიროვნება, რომლებიც გამგეობაში არიან, უზარმაზარ ქონებას როგორც უნდათ, ისე განკარგავენ. ჟურნალისტის აზრით, მოსარჩელე კ.თ. „თბილისის დინამოს“ მეპატრონე იქნება ყოველთვის, მიუხედავად იმისა, დარჩება თუ არა იგი შს მინისტრად. საგაზეთო სტატიაში, იქ, სადაც ჟურნალისტი ფიზკულტურულ—სპორტული კლუბი „დინამოს“ რეგისტრაციის საკითხებს ეხება, აღნიშნავს, რომ კ.თ. არად აგდება საკუთარი თანამშრომლების ნება-სურვილს, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, არიან თუ არა ისინი თანახმა, თ.-ის თავმჯდომარეობით განევიანდნენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

2001 წლის 17 მარტს გაზეთ „რ.“-ში გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით: „ქურდებისა და პოლიციელების „დინამო“. გაზეთის ამავე ნომრის სატიტულო გვერდზე, ზემოთ, მსხვილი შრიფტით გაკეთებულია წარწერა: „სუპერაფერისტი“. წარწერის გვერდით მოთავსებულია კ.თ.-ის ფოტოსურათი, აქვე, გაზეთის პირველ გვერდზე, არის შემდეგი ჩანაწერები: „დინამო თ.-ს გამარტივებული წესით“ და „როგორ გააცუცურა კ.თ.-მ შევარდნაძე“. პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ ფეხბურთს დაუდგა დრო, როდესაც პოლიციის მაღალჩინოსნებმა მოინდომეს ამ მომგებიან სფეროში არსებული ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის საკუთარ ჯიბეში გადაქაჩვა.

მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული პუბლიკაციით ილახება მათი პატივი და ღირსება და მოითხოვენ, მოპასუხეს ბოდიშის მოხდა დაევალოს იმ შრიფტით და იმ ადგილას, სადაც წერია „სუპერაფერისტი“ და „სუპერაფერა“. მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხე გაზეთ „რ.“-ს ზემოაღნიშნული ინფორმაციის უარყოფისათვის წაემძღვარებინა სათაური: „გაზეთი „რ“ უარყოფს მის მიერ გავრცელებულ ყალბ ცნობებს“.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შესაგებელში მიუთითეს: გაზეთ „რ.“-ში დაბეჭდილი სტატიები ემყარება ფიზკულტურულ—სპორტული კლუბი „დინამოს“ და შ.პ.ს. „დინამო თბილისის“ რეგისტრაციის მასალებს. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 მარტის 42-ე ბრძანებულებისა და შს მინისტრის 1997 წლის 6 ოქტომბრის 575-ე ბრძანების ტექსტს. საქართველოს პარლამენტის დეპუტატების: კობა დავითაშვილის, ვახტანგ ხმალაძის, ვასილ მალაფერიძის, დემურ გიორხელიძის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის ირაკლი ოქრუაშვილის, იურისტ დავით უსუფაშვილის შეფასებებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მოპასუხეს ყალბი ცნობები არ გაუვრცელებია, ხოლო რაც შეეხება ამა თუ იმ შეფასებას, ეს ჟურნალისტისა და გაზეთის პოზიციასა და სრულიად შეესაბამება სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურ ნორმას. ამა თუ

იმ მოვლენის აფერად შეფასება არ წარმოადგენს ყალბი ცნობის გავრცელებას. ეს აზრი მოვლენის ყურნალისტიკური და გაზეთისეული აღქმითაა. ამასთან, გაზეთი იმეორებს ზემოთ ჩამოთვლილი პირების შეფასებებს.

## სასამართლო გადაწყვეტილება

**სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის საჩივარი და სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკანონმდებლო აქტები ადგენს როგორც მოსაზრებების, ინფორმაციის გამომხატვისა და გავრცელების, ისე პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავენ მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება.

ეს არის ის შემთხვევა, როდესაც კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევას სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში და იძულებითი ღონისძიებების განხორციელებას პირთა პატივისა და ღირსების დასაცავად.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა არ უნდა განხორციელდეს და სასამართლომ მოპასუხეს იძულების ღონისძიება არ უნდა დააკისროს შემდეგ გარემოებათა გამო:

სიტყვის თავისუფლება იმ სახით, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ საფუძველს, საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ პირობას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის მისიაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკურ საკითხებთან და იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენს. სიტყვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ის იარაღი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, შეიტყოს პოლიტიკური ლიდერების დამოკიდებულება საზოგადოებრივი პრობლემებისადმი, ერთმანეთს შეადაროს მათი შეხედულებები და იდეები.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პრესის თა-

ვისუფლება, რომ ინფორმაცია მიანოდოს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების უფლებაც, იყოს სათანადოდ ინფორმირებული.

პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართოა, ვიდრე კერძო პირების. პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ კრიტიკა გარდაუვალია და ამგვარი თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იქნება ყურნალისტების მუდმივი და დაჟინებული ყურადღებისა და ანალიზის ობიექტი. პოლიტიკოსმა, შესაბამისად, უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამასთან, კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და იგი არ უნდა გადაიზარდოს ღვარძლიან დაპირისპირებაში, რომელიც კრიტიკისა და განსჯისათვის შეუფერებელია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რაც უფრო დიდია პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებიც უფრო ფართოა. პოლიტიკური თანამდებობის პირის მისამართით გამოთქმულ საფუძვლიან კრიტიკას მეტი დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

პოლიტიკოსს, რა თქმა უნდა, აქვს თავისი რეპუტაციის დაცვის უფლება, მაგრამ ამგვარი დაცვის მოთხოვნის საპირისპირო და გამანონანსორებელ გარემოებას წარმოადგენს საზოგადოების უფლება, მოითხოვოს მისთვის საინტერესო პოლიტიკურ საკითხზე ღია დისკუსია.

ცნობა არის ოფიციალურად გადაცემული ამბავი, ცხოვრების აღწერა, მონათხრობი ვინმეს ან რაიმეს შესახებ.

პატივისა და ღირსების შელახვაში იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირების შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავს მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

მოსაზრება არის განსჯის პროდუქტი. ამდენად, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი.

მოცემულ შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება დაიყოს

ინფორმაციად ფაქტობრივი მონაცემების შესახებ და ინფორმაციად შეფასების შესახებ, რომლებიც, ამასთან, ცნობებსაც წარმოადგენენ.

მოპასუხე პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის გამო კი არ უნდა გათავისუფლდეს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ცნობას არ წარმოადგენს, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი უნდა გახდეს შემდეგი გარემოებები:

პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასებები, რომლებიც არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს, არ შეიძლება იყოს ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი. ჟურნალისტური შეფასებები ფაქტების ადეკვატური უნდა იყოს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ გაზეთ „რ.“-ში მითითებული პუბლიკაციის გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო იმ პრობლემების საჯარო განხილვას, რომლებიც საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ.

როდესაც საგაზეთო პუბლიკაცია ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის მქონე იმ პირების მიერ განხორციელებულ უკანონო მოქმედებას, რომლებიც თვითონ არიან პასუხისმგებელნი ქვეყანაში კანონიერების დაცვაზე და ამ დარღვევების არსებობის უარყოფა არ ხდება, ამ შემთხვევაში კრიტიკის ფარგლები ფართოა. ამ შემთხვევაში პრესის ფუნქციაა, შეასრულოს „ნაგაზის“ როლი საზოგადოებაში და გაავრცელოს ინფორმაცია პოლიტიკურ ლიდერთა შესახებ, რათა ხალხმა შეაფასოს მათი საქმიანობა. პოლიტიკოსი, რომელიც ახორციელებს ასეთ სარისკო მოქმედებებს, თვითონ აქცევს თავის თავს ჟურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან მძაფრი თავდასხმის ობიექტად.

როდესაც უდავოა ფაქტების ნამდვილობა, რომელსაც შეფასებითი განსჯა ეფუძნება და თვით ეს შეფასებებიც გამომდინარეობს სხვა პოლიტიკოსთა და სპეციალისტთა მოსაზრებებიდან, მოთხოვნა ჟურნალისტის მხრიდან ამგვარი ცნობების უარყოფის შესახებ ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების პრინციპებს.

ჟურნალისტს და რედაქციას მოცემულ შემთხვევაში საგაზეთო პუბლიკაციის მკვეთრი და ყოველი ადამიანისათვის თვალშისაცემი ფორმა აქვს შერჩეული. განსახილველი პრობლემიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ობიექტები აღმოჩნდებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები, რომლებიც თვითონ არიან პასუხისმგებელნი კანონის დაცვაზე, არ შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკის ამგვარი ფორმის არჩევით ჟურნალისტმა და რედაქციამ გადალახეს სიტყვის თავისუფლების ფარგლები.

პალატამ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის“ მე-10 მუხლის დებულებათა განმარტებისას გაითვალისწინა ადა-

მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, „სანდი ტაიში“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.”

## სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე კომენტარი

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების თაობაზე საქართველოს სასამართლოში მიღებულ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და კარგად დასაბუთებულია. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას ასევე აფუძნებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და მოუთითებს ევროსასამართლოს მიერ განხილულ შესაბამის საქმეებზე.

ამავე დროს, არ შეიძლება არ განვიხილოთ სასამართლოს დამოკიდებულება შეფასებებისა და მოსაზრებების თაობაზე. სასამართლო მიუთითებს, რომ მოსაზრება არის განსჯის პროდუქტი. ამდენად, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი. სასამართლოს შემოაქვს ახალი ცნება — ინფორმაცია შეფასების შესახებ, რომელიც, ამასთან, ცნობასაც წარმოადგენს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია შეფასებისა თუ მოსაზრების გამო პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. არადა, სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ იმ ცნობათა გამო ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობა ვერ დასტურდება. შეფასების გაკეთებისას პირი იძულებული არ უნდა იყოს, ეს შეფასება ფაქტებით გაამყაროს. მაგ.: თუ პირი განაცხადებს, რომ „ა“ უზნეო მინისტრია, ის არ უნდა იყოს იძულებული, მოიტანოს ამ შეფასების დამადასტურებელი ფაქტები. თუ პირი ვერ შეძლებს შესაბამისი ფაქტების მოყვანას, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება დადგეს. შესაძლოა, ერთსა და იმავე განცხადებაში პირი ფაქტებზეც მიუთითებდეს და, ამავე დროს, შეფასებას აძლევდეს ამ ფაქტებს. ასეთ დროს პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ არასწორი ფაქტების გავრცელებისათვის, თუკი ასეთი რამ მოხდა. თუ პირი ფაქტებს სწორად გადმოსცემს, დაუშვებელია რაიმე პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას ამ ფაქტის არაადეკვატური შეფასებისათვის. მაგ.: პირმა განაცხადა, რომ მისი მეზობელი არის „ჩამშვები“, მოლაღატე და ნაძირალა იმის გამო, რომ პოლიციას შეატყობინა დანაშაულის ფაქტის შესახებ, რაც სინამდვილეში მართლაც მოხდა. ბუნებრივია, ამგვარი შეფასებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი არ წამოიჭრება.

დანარსი





# დანართი 1

(გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები 1991 წელი – N 8)

## საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

### თავი 1

#### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. პრესის თავისუფლება

1. საქართველოში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია. ეს თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე.

3. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგულისხმება: გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები, ვიდეო და კინოდოკუმენტალისტიკა, ბიულეტენები, 500-ზე მეტი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები, თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოდგენილია აგრეთვე

გამომცემლობებით, პერიოდული პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის რედაქციებით, საინფორმაციო სააგენტოებით და სხვა დაწესებულებებით, რომლებიც აწარმოებენ და ავრცელებენ მასობრივ ინფორმაციას.

**მუხლი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენა**

1. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული, აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზური (28.10.97 N 1000 პარლამენტის უწყებანი N 44).

2. საქართველოში ნებადართულია აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერ სხვა ენაზე.

3. საქართველო მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობისათვის უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღების და გავრცელების უფლებას მათ მშობლიურ ენასა და სხვა ენებზე.

**მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების**

**შეზღუდვა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით (25.11.97 N 1115 პარლამენტის უწყებანი N 46).

**მუხლი 5. საქართველოს კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ**

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონისა და შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან (28.10.97 N 1000 პარლამენტის უწყებანი N 44).

## **თავი II**

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა**

**საქმიანობა და გავრცელება**

**მუხლი 6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება**

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზო-

გადობრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებით კავშირებს, სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილი და რეგისტრირებულია კანონის შესაბამისად, აგრეთვე 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს. ამ ორგანიზაციებს და პირებს აქვთ რამდენიმე გაზეთის ან ჟურნალის, გამომცემლობისა და აგრეთვე დამოუკიდებელი ტელერადიომანუწყებლობის რედაქციის დაარსების უფლება. არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია. არც ერთი დამფუძნებლის საერთო წილი ერთი და იმავე სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.

2. დამფუძნებელს უფლება აქვს შეაჩეროს, შეწყვიტოს ან ორგანიზაციულად შეცვალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელი პასუხისმგებელია როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე კერძო პირების წინაშე ყველა ადრე აღებული ვალდებულებებისათვის.

მუხლი 7. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაცია

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“.

3. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება რაიმე მიზეზის გამო არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, აუცილებელია მისი ხელმოწერედ რეგისტრაცია (28.10.97 N 1000 პარლამენტის უწყებანი N 44).

მუხლი 8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოლიგრაფიული

ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა

რეგისტრირებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენონ პოლიგრაფიული ბაზები, კერძო ან კოოპერატიულ საკუთრებში შეიძინონ საკუთარი სტამბა საქართველოში ან საზღვარგარეთ. ანალოგიური უფლება ვრცელდება ტელერადიო პროგრამების ტექნიკურ საშუალებებზეც.

მუხლი 9. რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები

რეგისტრაცია არ სჭირდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ოფიციალური ნორმატიული და სხვა აქტების, სასამართლო და საარ-

ბიტრაჟო ბიულეტენების გამოცემას, აგრეთვე ხუთას ცალზე ნაკლები ტირაჟის ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებას, ამავე ტირაჟის ვიწრო სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც ინფორმაციის გავრცელებისათვის არ არის გამიზნული. წინასაარჩევნო მასალების გასავრცელებლად საკმარისია საარჩევნო კომისიის ნებართვა.

მუხლი 10. რეგისტრაციაზე უარის თქმა

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ითქვას:

- ა) თუ მისი მიზნები ამ კანონს ეწინააღმდეგება;
- ბ) თუ არსებობს ამავე სახელწოდების სხვა გამოცემა;
- გ) თუ აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების გაუქმებიდან არ არის გასული ერთი წელი.

მუხლი 11. სარეგისტრაციო გადასახადი

სარეგისტრაციო გადასახადი წესდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით (25.11.97. N 1115 პარლამენტის უწყებანი N 46) დაირღვა კანონი, რითაც ხელი ეწყობა დანაშაულს, საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას (28.10.97 N 1000 პარლამენტის უწყებანი N 44).

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერება ნიშნავს ბეჭდვითი გამოცემის ერთი ან რამდენიმე ნომრის აკრძალვას, აგრეთვე განკარგულებას ტელე-რადიო მაუწყებლობის დროებითი შეწყვეტის შესახებ.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის დროებითი (არა უმეტეს ერთი თვისა) შეჩერების უფლება აქვს იმ ორგანოს, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა.

4. შეჩერება ეხება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მასობრივი ინფორმაციის საშუალებას. ყველას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერების შესა-

ხებ. სასამართლო ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში განიხილოს აღძრული საკითხი. თუ სასამართლო დაადგენს შეჩერების უკანონობას, აუცილებელია დაზარალებული მასობრივი ინფორმაციის საშუალების მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსირება.

5. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის სრული შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

6. თუ დამფუძნებელი გააუქმებს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რედაქციას ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უპირატესი უფლება დაარსოს იმავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება (გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა, ტელე-რადიო მაუწყებლობის რედაქცია).

მუხლი 13. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი, რედაქტორი, რედაქცია და გამომცემელი

1. დამფუძნებელი განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების პროგრამას (ძირითად პრინციპებს).

2. თუ მასობრივი ინფორმაციის დამფუძნებელი ერთდროულად გამომცემელი (დამფინანსებელი) არ არის, დამფუძნებელსა და გამომცემელს (დამფინანსებელს) შორის ფორმდება ხელშეკრულება. გამომცემელს, რომელიც ფინანსურად დამოუკიდებელია, უფლება აქვს იყოს დამფუძნებელიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციისა და გამომცემლის სანარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობა აიგება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. დამფუძნებელს, გამომცემელსა და რედაქციას შორის ფინანსურ თუ სხვა ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებს აგვარებს სასამართლო.

3. რედაქციის საქმიანობას წარმართავს რედაქტორი სარედაქციო კოლეგიის დახმარებით.

4. სარედაქციო კოლეგია იქმნება დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით.

მუხლი 14. სარედაქციო წესდება

მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო წესდებებს ხმების უმრავლესობით იღებს რედაქციის საერთო კრება, რომელსაც ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი და ამტკიცებს დამფუძნებელი. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი. თუ დამფუძნებელი და გამომცემელი ერთი და იგივე ორგანო ან ერთი

და იგივე კერძო პირია, კონფლიქტს მასსა და რედაქციას შორის აგვარებს სასამართლო.

მუხლი 15. პერიოდული პრესის ძირითადი მონაცემები

1. პერიოდული გამოცემის ყოველი გამოშვების ძირითადი მონაცემები:

ა. გამოცემის სახელწოდება;

ბ. დამფუძნებელ-გამომცემელი ან ცალკე დამფუძნებელი და ცალკე გამომცემელი;

გ. რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) სახელი და გვარი;

დ. გამოშვების რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი პერიოდული გამოცემებისათვის, ხოლო გაზეთებისათვის - დასაბეჭდად ხელმოწერის დრო;

ე. ინდექსი;

ვ. ტირაჟი;

ზ. ფასი;

თ. რედაქციისა და სტამბის მისამართები.

2. ტელე-რადიო მაუწყებლობა ვალდებულია ეთერში ყოველი გასვლის დროს გამოაცხადოს რედაქციის დასახელება.

მუხლი 16. საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები

1. პერიოდული გამოცემის უფასო საკონტროლო ეგზემპლარები ეგზენებათ: პრეზიდენტის პრესსამსახურს, საქართველოს პარლამენტს, ცენტრალურ ბიბლიოთეკებს და საცავებს.

2. ტელე-რადიო მაუწყებლობის რედაქციები ვალდებული არიან გადაცემათა მასალები (ტექსტი, ფირი) შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთ თვის განმავლობაში. მნიშვნელოვანი გადაცემებისა და ოფიციალური ქრონიკებისათვის იქმნება ტელე-რადიომაუწყებლობის საგანგებო საარქივო ფონდი.

მუხლი 17. გავრცელების წესი და ნებართვა

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციას ავრცელებენ უშუალოდ რედაქცია (მათ შორის ღია საჯარო გაყიდვის წესით), გამომცემელი, კავშირგაბმულობის საწარმოები, ორგანიზაციები ან მოქალაქეები ამ კანონის საფუძველზე. პრესის გავრცელებაზე სახელმწიფო მონოპოლია არ არსებობს. ცალკეულ ორგანიზაციებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს

შეუძლიათ შექმნან დამოუკიდებელი სანარმო სამეურნეო ანგარიშზე და ხელშეკრულების საფუძველზე გაავრცელონ ნებისმიერი პერიოდული გამოცემა. ყველა ასეთი სანარმო საჭიროებს სპეციალურ რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით.

2. პერიოდული პრესის თითოეული ცალკე გამოშვება ვრცელდება რედაქტორის ნებართვის შემდეგ.

3. ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს დამფუძნებელი.

4. საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ნებისმიერი პერიოდული გამოცემის ტირაჟი.

5. კანონიერ საფუძველზე მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ტირაჟის ან მისი ნაწილის ამოღება, აგრეთვე ნებადართული ტელერადიომაუწყებლობის დამოუკიდებელი არხების ჩახშობა ან შეწყვეტა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

#### მუხლი 18. ოფიციალური ცნობები

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ვალდებული არიან უფასოდ გამოაქვეყნონ ამ ორგანოების ოფიციალური ცნობები, ამ ვალდებულებისაგან თავისუფალი არიან არასამთავრობო მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, გარდა საგანგებო შემთხვევისა (ომის გამოცხადება, სტიქიური უბედურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და ა.შ.).

### თავი III

#### მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 19. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ინფორმაციის მიღების უფლება

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ან თანამდებობის პირებისაგან, აგრეთვე მოითხოვონ საჭირო დოკუმენტები. უარის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

მუხლი 20. პიროვნების ან ორგანიზაციის შეურაცხმყოფელი მასალის უარყოფისა და მასზე პასუხის უფლება

1. მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალის უარყოფა.

2. უარყოფა ან პასუხი ქვეყნდება გაზეთში ან ჟურნალში სპეციალური რუბრიკით იმავე გვერდზე ან ტელე-რადიო პროგრამების მორიგ გამოშვებაში მოთხოვნის შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. უარყოფა შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა გაზეთში ან ჟურნალში, თუ პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალა დაიბეჭდა რომელიმე ერთჯერად გამოცემაში.

3. თუ მოქალაქეს ან ორგანიზაციას არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 21. ჟურნალისტი და მისი უფლება

1. ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, არედაქტირებს ან ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად და აქვს სათანადო რწმუნება ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი.

2. ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით.

3. ჟურნალისტს უფლება აქვს:

ა. მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;

ბ. თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს;

გ. ჩაინეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით, კინო და ფოტო გადაღებით) კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა;

დ. დაესწროს და აქტიურად გააშუქოს მასობრივი ღონისძიებები: საზო-



გადღობრივი თავყრილობები, მიტინგები, დემონსტრაციები, დაუბრკოლებლად ჩავიდეს სტიქიური უბედურების რაიონებში და ა.შ.

ე. მიმართოს სპეციალისტებს შემოსული მასალების შესამოწმებლად;

ვ. მოითხოვოს ავტორობის საიდუმლოს შენახვა;

ზ. არ მოანეროს ხელი და არ მოამზადოს მასალა, რომელიც მის მრწამსს ეწინააღმდეგება, ანდა სარედაქტორო სწორების დროს დამახინჯდა;

თ. ჟურნალისტს უფლება აქვს ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების პირად ცხოვრებას (არქივიდან პირადი ცხოვრების შესახებ მასალის გამოქვეყნება შეიძლება თვით ამ პიროვნების ან მისი ახლობელი ნათესავების ნებართვით);

ი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ჟურნალისტი წინასწარ მიავლინონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ ჟურნალისტი სამუშაო პირობებით. საგანგებო სიტუაციაში საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დროებით შეუზღუდოს ჟურნალისტს ამ მუხლის მე-2,3,4,8 პუნქტებში ჩამოთვლილი უფლებები. ასეთ შემთხვევაში ოფიციალური ხელისუფლება ვალდებულია განუმარტოს ჟურნალისტს ან მის წარმდგენ ორგანოს დროებითი შეზღუდვის მოტივები.

## მუხლი 22. ჟურნალისტის აკრედიტება

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოახდინონ მათთან თავისი ჟურნალისტების აკრედიტება.

2. აკრედიტებული ჟურნალისტი ესწრება სხდომებს, თათბირებს, აგრეთვე ამ ორგანოთა და ორგანიზაციათა სხვა ღონისძიებებს, აკრედიტებულ ჟურნალისტს უფლება აქვს გაეცნოს სტენოგრამებს, ოქმებს და სხვა დოკუმენტაციას საერთო წესის მიხედვით.

## მუხლი 23. უარი ინფორმაციის მიწოდებაზე

1. ინფორმაციის მიწოდებაზე უარის მიღების შემთხვევაში ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელს ეძლევა წერილობითი ახსნა-განმარტება უარის მიზეზების მითითებით ინფორმაციის მოთხოვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

2. ინფორმაციის მინოდებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში.

**მუხლი 24. ჟურნალისტიკის მოვალეობანი**

ჟურნალისტიკის მოვალეა:

ა. დაიცვას რედაქციის წესდება და პროგრამა;

ბ. შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა;

გ. დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის ან, პირიქით, მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება;

დ. უარი თქვას რედაქტორის (მთავრი რედაქტორის, ან რედაქციის მიერ მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს;

ე. პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს;

## **თავი IV**

### **კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა**

**მუხლი 25. ყალბი ცნობების გავრცელება, მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ღირსებისა და პატივის შელახვა**

ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავრ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი.

**მუხლი 26. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში**

**ჩაურევლობა**

1. სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ნებისმიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ჟურნალისტიკის ან რედაქციის კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლება, ჟურნალისტიკის და რედაქტორთა იძულება, შეცვალონ ან უარი თქვან ინფორმაციის გავრცელებაზე, ისჯება შრომის ანაზღაურების ოცდაათ მინიმალურ

ოდენობამდე ჯარიმით, ძალდატანების განმეორებით მცდელობის შემთხვევაში - შრომის ანაზღაურების 70 მინიმალური ოდენობიდან 145 მინიმალურ ოდენობამდე (28.10.97 N 1000 პარლამენტის უწყებანი N 44) ჯარიმით ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

2.თუ სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანოები არღვევენ პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების კანონს, მათ წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

მუხლი 27. პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის უკანონო მომზადებისა და გავრცელებისათვის

1.მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პრდუქციის შექმნა და გავრცელება, თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - შრომის ანაზღაურების 15 მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმას, რომელსაც სასამართლო აკისრებს რედაქციას და ნაბეჭდი ტირაჟის ან სხვა პრდუქციის ამოღებას.

2.კანონის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა იზრდება შრომის ანაზღაურების 70 მინიმალურ ოდენობამდე (28.10.97 N 1000 პარლამენტის უწყებანი N 44). ამასთან ხდება იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც საინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის.

მუხლი 28. პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები

1.რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხიმგებლობა არასწორი ცნობების გავრცელებისათვის:

ა.თუ ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები;

ბ.თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისა ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან;

გ.თუ ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თაყყრილობებზე პასუხიმგებელ პირთა გამოსვლებს;

დ.თუ ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გავიდა წინასწარი ჩანერის გარეშე, ან ტექსტებში, რომლებიც არ ექვედებარება რედაქტირებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 29. ამოღებულია

## თავი V

### საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი უცხოეთის მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ კანონით გათვალისწინებული ურთიერთობის წესრიგისაგან განსხვავებული წესები, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

3. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია საზღვარგარეთის წყაროებიდან (ტელევიზია, რადიო, პრესა, წიგნები, ბროშურები და ა.შ.).

მუხლი 31. საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დიპლომატურ და სხვა წარმომადგენელთა

საინფორმაციო საქმიანობა

საქართველოში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა წარმომადგენლების სამართლებრივ მდგომარეობასა და პროფესიულ საქმიანობას, აგრეთვე საქართველოში დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების საინფორმაციო საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## თავი VI

მუხლი 32. ამოღებულია 28. 10. 97. N1000 პარლამენტის უწყებანი N44

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

# დანართი 3

## საქართველოს კანონი სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ 20.01.2002. პროექტი

### თავი I. ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. კანონში გამოყენებული ცნებები

ამ კანონში გამოყენებულ ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. განცხადება – ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ გავრცელდა ან მესამე პირისათვის გახდა ცნობილი;
2. აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას რაიმე მოვლენის, პიროვნების ან საგნისადმი და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს;
3. საგანი – თემა ან საკითხი, რომლის შესახებაც მსჯელობენ და ამა თუ იმ თვალსაზრისს გამოხატავენ;
4. მონოდება – განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ქმედების გამონეევას;
5. ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი ბრალეულად სახელგამტეხი განცხადება;
6. უხამსობა – განცხადება, რომელიც არ შეიცავს რაიმე პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულების მქონე ინფორმაციას და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს;
7. საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების კანონიერი ინტერესი იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა;

8. საჯარო პირი – სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლების მქონე საჯარო მოსამსახურე; აგრეთვე პირი, რომელიც მონაწილეობს სამართლებრივი აქტის გამოცემაში ან რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; აგრეთვე პირი, რომელიც ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოექცა;
9. კერძო პირი – ყველა ის პირი, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო პირს ან ადმინისტრაციული ორგანოს;
10. სახელმწიფო საიდუმლოება – ინფორმაცია თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროდან, რომლის გამჟღავნება ან დაკარგვა უქმნის აშკარა და პირდაპირ საფრთხეს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას;
11. კომერციული საიდუმლოება – კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას და რომლის საიდუმლოდ შენახვასა და გამხელისაგან დაცვასაც ეს პირი მოითხოვს. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას;
12. პირადი საიდუმლოება – პერსონალური ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოდ შენახვასა და გამხელისაგან დაცვას მოითხოვს კანონი ან თავად ეს პირი და რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას;
13. პროფესიული საიდუმლოება – აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის ან დამცველისათვის მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას ან სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ შეიძლება იყოს პროფესიული საიდუმლოება;

14. ნათელი და განჭვრეტადი კანონი – ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებული ნორმა, რომელიც არ შეიცავს ზოგად, ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს და შესაძლებლობას აძლევს პირს, დაარეგულიროს საკუთარი ქმედება, აგრეთვე ცხადად და გარკვევით განსაზღვროს ნინასნარ მისი სამართლებრივი შედეგები;
15. ვინროდ მიზანმიმართული კანონი – ნორმა, რომელიც აწესებს შეზღუდვის პირდაპირ მოთხოვნას, კონკრეტულ კრიტერიუმებსა და ამომწურავ ჩამონათვალს და შეიცავს ამ ნორმის არამიზნობრივად გამოყენების სანინალმდეგო გარანტიებს;
16. ერთგვაროვნად გამოყენებადი კანონი – ყველასათვის თანაბრად სავალდებულო ნორმა, რომელიც არ ადგენს გამონაკლისებს ან განსაკუთრებულ წესებს;
17. ლეგიტიმური მიზანი – საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მიზანი;
18. არადისკრიმინაციულობა – გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა და თანაბარი მოპყრობის ვალდებულება;
19. დემოკრატიული საზოგადოებისათვის კრიტიკულად აუცილებელი შეზღუდვა – ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე შეზღუდვა, რომელიც ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამოინურა სხვა გზით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა შესაძლო გონივრული და ქმედითი შესაძლებლობა;
20. პროპორციული შეზღუდვა – ლეგიტიმური მიზნისა და კრიტიკული აუცილებლობის შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც აღნიშნული მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური და ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი საშუალებაა. უფრო მკაცრი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნისა და კრიტიკული აუცილებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
21. აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება;
22. კვალიფიციური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივი ან პირობითი განთავისუფლება. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით პირმა შეიძლება

დაკარგოს კვალიფიციური პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და იგი ჩადის ბრალეულ ქმედებას.

## **მუხლი 2. კანონის ინტერპრეტირება**

კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად.

## **მუხლი 3. სიტყვისა და პრესის თავისუფლება**

ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს სიტყვისა და პრესის თავისუფლება, რომელიც შემდეგ უფლებათა ერთობლიობაა:

- ა) უფლებას, ჰქონდეს და გამოხატოს საკუთარი მრწამსი;
- ბ) ნებისმიერი სახით ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- გ) დუმის უფლებას;
- დ) ანონიმურობის უფლებას.

## **მუხლი 4. სასამართლო გარანტიები**

1. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.
2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების განხორციელებაზე კანონით ზოგადად დაწესებული შეზღუდვის ინდივიდუალური გამოყენების კანონიერება ან დასაბუთებულობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
3. მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში მოპასუხეს წარმოადგენს მედია.

## **მუხლი 5. მტკიცებულების სტანდარტი და ტვირთი**

1. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.
2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.



- კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.
- განცხადებაში მოტანილი მტკიცებისათვის აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

### **მუხლი 6. კერძო არბიტრაჟი**

ამ კანონით მონესრიგებულ საკითხებზე წამოჭრილი სამოქალაქო დავა მხარეთა შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა კერძო არბიტრაჟს, რომელიც საარბიტრაჟო განხილვას აწარმოებს ამ კანონითა და კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## **თავი II. შეზღუდვის საფუძველი და წესი**

### **მუხლი 7. სიტყვისა და პრესის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველები**

- ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი სახის შეზღუდვა გამონაკლისის სახით შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი, განჭვრეტადი, ვინაობა მიზანმიმართული და ერთგვაროვნად გამოყენებადი კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.
- ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს:
  - ლეგიტიმურ მიზნების შესაბამისი;
  - კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის;
  - არადისკრიმინაციული;
  - პროპორციული.
- სიტყვისა და პრესის თავისუფლებით სარგებლობისათვის არ შეიძლება დაწესდეს სალიცენზიო, სარეგისტრაციო თუ სხვა სახის ნებართვის მოთხოვნა.

## **მუხლი 8. შინაარსობრივი რეგულირება**

კანონით შეიძლება დანესდეს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შინაარსობრივი რეგულირება, თუ ინფორმაცია ან იდეები შეიცავს:

- ა) ცილისნამებას;
- ბ) უხამსობას;
- გ) დანაშაულისაკენ ნაქეზებას;
- დ) მუქარას;
- ე) სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას;
- ვ) რეკლამას, ტელეშოპინგს ან სპონსორობას;
- ზ) ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, ნევრისა ან თანამშრომლის სიტყვას;
- თ) თავისუფლებააღკვეთილი ან შეზღუდული პირის სიტყვას;
- ი) ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის პირის სიტყვას.

## **მუხლი 9. თვალსაზრისობრივად ნეიტრალური რეგულირება**

1. შინაარსობრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შეზღუდვის სახით.
2. თვალსაზრისობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს ინფორმაციისა და იდეების გამოხატვის მხოლოდ ისეთი არადისკრიმინაციული შეზღუდვების დანესებას, რომლებიც გავლენას არ ახდენენ გამოხატვის საგანის შესახებ საზოგადოებრივი აზრისა და განწყობების ფორმირებაზე.

## **მუხლი 10. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება**

1. კანონით შეიძლება დანესდეს გამომხატველობითი ქცევის შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირების შესაძლებლობა.
2. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებისას დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა.
3. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ გამომხატვის ადგილის, დროისა და ფორმის ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე და ტოვებს მათი ალტერნატიული გზებით გამომხატვის ეფექტურ შესაძლებლობას.

### თავი III. პრივილეგირებული სიტყვა

#### მუხლი 11. აზრისა და მოწოდების თავისუფლება

1. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.
2. მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი პირდაპირი განზრახვით ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო გზით კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა და პირდაპირ საშიშროებას.

#### მუხლი 12. პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლება

პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ პოლიტიკური დებატების ფარგლებში ან თავისი მოვალეობის შესრულებისას გაკეთებული განცხადება, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის ან კომისიის სხდომაზე, სასამართლო პროცესზე პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გაკეთებული განცხადება დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

#### მუხლი 13. პასუხისმგებლობა საიდუმლოების გამხელისათვის

1. პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვა მას პირდაპირ ევალება სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით.
2. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ გამხელილი ინფორმაცია დაკავშირებულია საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მყოფ საკითხთან, აგრეთვე თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას ან კანონმდებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის თავიდან აცილებასა თუ ასეთი დარღვევის გამოვლენას.
3. პირს შეუძლია მოითხოვოს ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით დაცული უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

## **თავი IV. პროფესიული დამოუკიდებლობა და თვითრეგულირება**

### **მუხლი 14. სარედაქციო დამოუკიდებლობა, შემოქმედებისა და სინდისის თავისუფლება**

1. პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობას იცავს კანონი.
2. ჟურნალისტის შემოქმედებით თავისუფლებას, აგრეთვე მის უფლებას საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები, იცავს კანონი.
3. ჟურნალისტს უფლება აქვს უარი თქვას სარედაქციო დავალების შესრულებაზე, თუკი ეს დავალება ეწინააღმდეგება მის სინდისს ან პროფესიულ სტანდარტებს.

### **მუხლი 15. პროფესიული საიდუმლოებისა და მისი წყაროს დაცვა**

1. პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის აქვს უფლება, მოითხოვოს ამ ინფორმაციის წყაროს გამხელა.
2. დაუშვებელია საიდუმლოების გამხელა თვით მისი მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.
3. სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ბრძანება ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელის შესახებ, რომლის გამჟღავნების აუცილებლობაც დამტკიცდა.
4. გამხელით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც მოხდა მისი გამხელა.

### **მუხლი 16. პროფესიული სტანდარტები და თვითრეგულირება**

1. მედია, აგრეთვე მათი ან ჟურნალისტთა გაერთიანებები დამოუკიდებლად ქმნიან საკუთარ პროფესიულ სტანდარტებს.
2. პროფესიული სტანდარტების დაცვის მიზნით მედია, აგრეთვე მათი ან ჟურნალისტთა გაერთიანებები უფლებამოსილნი არიან დააფუძნონ მედია — ომბუდსმენის ინსტიტუტი ან პროფესიული თვითრეგულირების სხვა ანალოგიური სისტემები.

## თავი V. შესწორების და უარყოფის უფლება და ცილისწამება

### მუხლი 17. შესწორებისა და უარყოფის უფლება

1. მედიამ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა გამოქვეყნებული ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომები.
2. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს საწყის განცხადებაში მოტანილი მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორების ან უარყოფის იმავე მედიაში გამოქვეყნება საწყისი განცხადების გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში. მედიამ შესწორება ან უარყოფა უნდა განახორციელოს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.
3. მედიის მიერ შესწორების ან უარყოფის განუხორციელებლობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.
4. თუ მედიას ჰყავს მედია — ომბუდსმენი ან ჩართულია პროფესიული თვითრეგულირების ანალოგიურ სისტემაში, სასამართლოში შესწორების ან უარყოფის საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს მხოლოდ ამ საკითხის მედია — ომბუდსმენთან ან პროფესიული თვითრეგულირების ანალოგიურ სისტემის ფარგლებში გასაჩივრების შემდეგ.

### მუხლი 18. კერძო პირის ცილისწამება

პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ცილისმწამებლური განცხადებით მოსარჩელეს ბრალეულად მიადგა ზიანი.

### მუხლი 19. საჯარო პირის ცილისწამება

1. პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ცილისმწამებლური განცხადებით მოსარჩელეს ბრალეულად მიადგა ზიანი.
2. მოპასუხეს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასა-

მართლოში დამტკიცდება, რომ განცხადებული ფაქტის სიმცდარე მისთვის წინასწარ იყო ცნობილი და რომ იგი მოქმედებდა მოსარჩელისათვის ზიანის მიაყენების განზრახვით.

## **მუხლი 20. მცდარი ფაქტის განცხადებისათვის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება**

პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მცდარი ფაქტის განცხადებისათვის, თუ

- ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სიზუსტის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება;
- ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, ან კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილებას ან ასეთი დარღვევის გამოვლენას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;
- გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით;
- დ) მისი განცხადება მოსარჩელის მიერ მასზე განხორციელებული თავდასხმის თანაზომადი პასუხი იყო.

## **მუხლი 21. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

1. მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ცილისმწამებლური განცხადების შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება.
2. თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისმწამებლური განცხადებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ცილისმწამებლური განცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანის საკომპენსაციო თანხის გადახდა.
3. მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს ცილისმწამებლური განცხადებით მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის კომპენსაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით მიმართავს შესწორების ან უარყოფის განხორციელების მოთხოვნით და მოპასუხე კანონით დადგენილი ვადაში არ განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას.

## **მუხლი 22. საჯარო მოსამსახურის მიერ მცდარი ცნობების გავრცელება**

1. საჯარო მოსამსახურე ჯარიმდება მცდარი ცნობების გავრცელებისათვის.
2. თუ პირი სასამართლოში დაამტკიცებს, რომ საჯარო მოსამსახურის

განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს, საჯარო მოსამსახურე ჯარიმდება თანხით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი წლიური შემოსავლის ოდენობას.

3. თუ პირი სასამართლოში დაამტკიცებს, რომ საჯარო მოსამსახურე მიზნად ისახავდა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დაფარვას ან საზოგადოების სხვა კანონიერი ინტერესების შელახვას, საჯარო მოსამსახურე ჯარიმდება თანხით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი წლიური შემოსავლის სამმაგ ოდენობას.
4. ამ კანონის მე-14 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ნებსები არ ვრცელდება პოლიტიკური დებატების ფარგლებში გაკეთებული განცხადებზე.

### **მუხლი 23. ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელი**

პრესისა და სიტყვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ ამკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელის დაჯარიმება მისი წლიური შემოსავლის ტოლი თანხით.

## **თავი VI. დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 24. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### **მუხლი 25. ძალადაკარგული აქტების ნუსხა**

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი.
3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

საქართველოს პრეზიდენტი

# საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

**მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:**

1. კოდექსს დაემატოს 55<sup>1</sup>-ე მუხლი:

**„მუხლი 55<sup>1</sup>. სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება**

1. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოპასუხემ შეიძლება შესთავაზოს მოსარჩელეს მორიგება და არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციო გარკვეული ოდენობის თანხა.
  2. შემოთავაზებული არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციო თანხის ოდენობა ცნობილია მხოლოდ მხარეთათვის, მათი ადვოკატებისა და ნოტარიუსისათვის.
  3. თუ მოსარჩელე არ მიიღებს მორიგებას, ხოლო სასამართლოს მიერ გამოტანილი არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციო თანხა ნაკლები აღმოჩნდება მოპასუხის მიერ შეთავაზებულ საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე, სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯებს მორიგების შეთავაზების მომენტიდან ანაზღაურებს მოსარჩელე.
2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 83<sup>1</sup>-ე მუხლი:

**„მუხლი 83<sup>1</sup>. ცილისწამების შესახებ სარჩელის დაუშვებლობა**

ცილისწამების შესახებ სარჩელი არ შეიძლება იყოს სასამართლოს განსჯის საგანი, თუ

- ა) 100 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა მოპასუხის განცხადებას;
- ბ) მოპასუხის განცხადება ეხება განუსაზღვრელ პირთა ჯგუფს ან მოსარჩელე არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი, ხოლო ამ პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მისი პირდაპირი მემკვიდრე;
- გ) მოპასუხე არ ყოფილა განცხადების ავტორი, რედაქტორი ან გამომცემელი და განცხადებაში მკაფიოდ იყო მითითებული ინფორმაციის პირველწყარო ან ავტორი;
- დ) მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოა.“



3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის თავი XXXIV შესწორებისა და უარყოფის უფლების სარჩელების განხილვა:

### **„თავი XXXIV<sup>1</sup> შესწორების ან უარყოფის სარჩელის განხილვა**

#### **მუხლი 309<sup>1</sup>. ზოგადი პრინციპი**

შესწორების ან უარყოფის სარჩელის განხილვისას გამოყენებულ უნდა იქნეს სასარჩელო წარმოების საერთო წესი, თუ ეს თავი განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს.

#### **მუხლი 309<sup>2</sup>. სარჩელის დაუშვებლობა**

შესწორების ან უარყოფის სარჩელი დაუშვებელია, თუ:

- ა) შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა მედიას არ წარდგენია 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა საწყის განცხადებას;
- ბ) საწყისი განცხადება ეხება განუსაზღვრელ პირთა ჯგუფს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი;
- გ) მომჩივანი ადმინისტრაციული ორგანოა;
- დ) თუ შესწორება ან უარყოფა პირდაპირ კავშირში არ არის საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოტანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით უარყოფის ან შესწორებისთვის ან თუ შესწორება ან უარყოფა საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა ფაქტის უარყოფას ან შესწორებას ახდენს;
- ე) შესწორება ან უარყოფა შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომლის გავრცელების შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს შეესაბამება;
- ვ) თუ შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირებს;
- ზ) თუ მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს ან ვერ მიუთითებს იმ ზიანზე, რომელიც მან განიცადა უსამართლო მოპყრობის შედეგად.

#### **მუხლი 309<sup>3</sup>. შესწორების ან უარყოფის სარჩელი**

1. შესწორების ან უარყოფის სარჩელი, რომელიც საქმის გამარტივებულ წესით განხილვის საფუძველია, მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს

მიერ შესწორების ან უარყოფის ბრძანების მიღებას.

2. დაუშვებელია შესწორების ან უარყოფის სარჩელის შეერთება სხვა სარჩელებთან.
3. შესწორების ან უარყოფის სარჩელი უნდა შეიცავდეს:
  - ა) მხარეებისა და/ან მათი წარმომადგენლების დასახელებას;
  - ბ) სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;
  - გ) წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულების შესაბამისი დოკუმენტები დამონმებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი;
  - დ) განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.
3. შესწორების ან უარყოფის სარჩელს თან უნდა დაერთოს სადავო განცხადების ასლი.

### **მუხლი 309<sup>4</sup>. ვადები**

1. თუ მედიას არა აქვს მედია-ომბუდსმენის ინსტიტუტი ან იგი არაა ჩართული პროფესიული თვითრეგულირების ანალოგიურ სისტემაში, მომჩივანს უფლება აქვს მედიისადმი მიმართვიდან 10 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს, თუ მედიისადმი შესწორების ან უარყოფის საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში მედია არ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას.
2. თუ მედიას აქვს მედია-ომბუდსმენის ინსტიტუტი ან იგი ჩართულია პროფესიული თვითრეგულირების ანალოგიურ სისტემაში, მომჩივანს უფლება აქვს მედიისადმი მიმართვიდან 20 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს, თუ მედიისადმი შესწორების ან უარყოფის საჩივრის წარდგენიდან 15 დღის ვადაში მედია-ომბუდსმენი ან პროფესიული თვითრეგულირების ანალოგიური სისტემა ვერ უზრუნველყოფს მედიის მიერ მომჩივანის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

### **მუხლი 309<sup>5</sup>. შესწორების ან უარყოფის ბრძანება**

1. შესწორების ან უარყოფის სარჩელის არსებით განხილვას სასამართლო იწყებს სარჩელის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.
2. არსებითი განხილვის დაწყებიდან 1 თვის ვადაში სასამართლო ღებულობს დასაბუთებულ გადანყვეტილებას შესწორების ან უარყოფის ბრძანების გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია გაზარდოს ეს ვადა.
3. შესწორების ან უარყოფის ბრძანების აღსრულება უნდა მოხდეს მისი

კანონიერად ძალაში შესვლიდან 72 საათის ვადაში.

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 252'-ე მუხლი:

„მუხლი 248<sup>1</sup>: არაქონებრივი ზიანის გამოანგარიშების ზოგადი წესი

1. არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციო თანხის პროპორციული, სამართლიანი და გონივრული ოდენობის გამოანგარიშებისათვის მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

(ა) მოპასუხის არამართლზომიერი ქმედების ბუნება და მისი ეფექტი მოსარჩელეზე, სხვა პირებსა თუ საზოგადოებაზე;

(ბ) შეიცავს თუ არა ცილისმნამებლური განცხადება უხამსობას;

(გ) მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ოდენობა;

(დ) მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა და საკომპენსაციო თანხის ეფექტი ამ მდგომარეობაზე;

(ე) მოპასუხის მიერ არამართლზომიერი ქმედებით მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, მოგება ან სარგებელი;

(ვ) საკომპენსაციო თანხის ოდენობის ნებისმიერი უარყოფითი ეფექტი მესამე პირებზე;

(ზ) მიიღო თუ არა მოპასუხემ რაიმე ზომები არამართლზომიერი ქმედების გამოსასწორებლად;

(თ) დაიცვა თუ არა მოპასუხემ აღიარებული პროფესიული სტანდარტები;

(ი) საკომპენსაციო თანხის ოდენობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები.

2. არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ორმაგ ოდენობას, მაგრამ ამავედროს არ უნდა იყოს მოპასუხე ფიზიკური პირის წლიურ შემოსავალზე ან მოპასუხე იურიდიული პირის -- წლიური ბრუნვის ოდენობაზე მეტი.“

5. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 381'-ე მუხლი:

„მუხლი 381<sup>1</sup>. საკომპენსაციო თანხის გაზრდის დაუშვებლობა

ცილისმნამების შესახებ სარჩელის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუშვებელია საკომპენსაციო თანხის გადიდების მოთხოვნა.“

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

საქართველოს პრეზიდენტი

**საქართველოს კანონი  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში  
ცვლილებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის  
მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები**

2. პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიან რეპუტაცია მცდარი ცნობების გავრცელებით შელახვისაგან. მცდარი ცნობების გამავრცელებელი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით მოახდინოს მათი შეასწორება ან უარყოფა. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობას კანონით დადგენილი წესით აზუსტებს სასამართლო. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.“

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
საქართველოს პრეზიდენტი**

# საქართველოს კანონი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

## I. საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999წ) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადებაში სიტყვა „პერსონალური“ შეიცვალოს სიტყვით „პირადი“.
2. კოდექსის 42-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

### „მუხლი 42. გამოქვეყნების ვალდებულება“

3. კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „ამ კოდექსის“ შემდეგ დაემატოს:

„4-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 32-ე მუხლით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 95-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და 3-ე ნაწილით, 96 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით, 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 109-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 116-ე მუხლით, 119-ე მუხლით, 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 159-ე მუხლის მე-2 ნაწილით.“

4. კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

“2. სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზიისა და ნებართვის გაცემასთან, ლიცენზიითა და ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის პირობების დადგენასთან, სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

3. ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ან პირის მოთხოვნით ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით გამოცემაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“;

5. კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლ ნაწილს სიტყვების „უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა“ შემდეგ დაემატოს:

„ადმინისტრაციული აქტის პროექტის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 20 დღის ვადაში“

**II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**  
საქართველოს პრეზიდენტი

**საქართველოს კანონი**  
**საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო**  
**კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების**  
**შეტანის შესახებ**

**I. საქართველოს პარლამენტი ადგენს:**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999წ) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:  
„3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 მუხლით, მე-60, 98-ე, 99-ე, 100-ე, 101-ე მუხლებით, აგრეთვე კოდექსის მე-3, მე-9 და მე-13 თავებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სარჩელის არსებითი განხილვა სასამართლომ უნდა დაიწყოს ერთი თვის ვადაში. არსებითი განხილვის დაწყებიდან 1 თვის ვადაში სასამართლო ლეზულობს დასაბუთებულ გადანყვეტილებას. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია, გაზარდოს ეს ვადა.“
4. თუ მოსარჩელემ სხვა რამ არ მოითხოვა, 28-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საქმეების განხილვა ხორციელდება 28-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით.“

**II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**  
საქართველოს პრეზიდენტი

# საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, '32, 24 ივლისი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსი ნ) ქვეპუნქტი:  
„ნ) საინფორმაციო მომსახურების განვითარების მიზნების განხორციელების მიზნით“.
2. კოდექსს დაემატოს შემდეგი 104<sup>1</sup>-ე მუხლი:  
„საინფორმაციო მომსახურება, სატელევიზიო აპარატურის, ჟურნალ-გაზეთების გამოცემისათვის საჭირო ქაღალდისა და სხვა მასალების (საღებავები, ფორმები და სხვა) იმპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.“
3. კოდექსის 187-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ) ქვეპუნქტი:  
„ვ) საინფორმაციო მომსახურების განმარტების მიზნების განხორციელების მიზნით“.
4. კოდექსის 213-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:  
„4. ტელე და რადიო მაუწყებლობის, ჟურნალ-გაზეთებისა და ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული რეკლამა განთავისუფლებულია ამ მუხლით გათვალისწინებული გადასახადით დაბეგრისაგან.“
5. კოდექსს დაემატოს 50<sup>1</sup>-ე მუხლი:  
„საინფორმაციო მომსახურების გამოწერაზე განეული ხარჯები გამოიქვითება ფიზიკური და იურიდიული პირების ერთობლივი შემოსავლიდან.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს კანონი

„საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“

საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, '13-14, 8.04.1998) მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ფ) ქვეპუნქტი:

„ფ) სატელევიზიო აპარატურის, ჟურნალ-გაზეთების გამოცემისათვის საჭირო ქაღალდისა და სხვა მასალების (საღებავები, ფორმები და სხვა) იმპორტი.“

სატელევიზიო აპარატურის, უურნალ-გაზეთების გამოცემისათვის საჭირო ქალაქისა და სხვა მასალების (საღებავები, ფორმები და სხვა) იმპორტი იბეგრება საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადების ნულოვანი განაკვეთით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი



# დანართი IV

## სამოქალაქო კოდექსი

### მუხლები 18-19

#### მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება

(ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

### **მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ**

მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.